

# სამოქადო კვლევა

სახელმძღვანელო  
მკვლევარ პედაგოგთათვის

მესამე გამოცემა

ჯეფრი ი. მილსი

სამხრეთ ორეგონის უნივერსიტეტი

პირსონ

მერილ ფრენტის ჰოლი (Pearson, Merrill Prentice Hall)

აფშერ სედლ რივერი, ნიუ-ჯერსი  
კოლუმბუს, ოჰაიო (Upper Saddle River, New Jersey, Columbus, Ohio)



გამომცემლის მონაცემთა ბაზა კატალოგიზებულია კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ.

მილსი, ჯეფრი ი.

სამოქმედო კვლევა, სახელმძღვანელო მკვლევარ პედაგოგთათვის/ ჯეფრი ი. მილსი, მესამე გამოცემა.

გვ. 82.

შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობებსა (გვ. ) და ონლაინ.

ISBN 0-13-172276-X (ქაღალდისყდიანი წიგნი)

1. სამოქმედო კვლევა განათლებაში – შეკრთხული შტატები – სახელმძღვანელოები, გზამკლევები, და ა.შ.

2. სწავლება – შეკრთხული შტატები – სახელმძღვანელოები, გზამკლევები. ა.შ. I. სათაური.

LB1028.24.M55 2007

370.7'2-dc22

2005058673

ვიცე-პრეზიდენტი და აღმასრულებელი გამომცემელი – ჯეფრი ვ. ჯონსტონი

გამომცემელი – კევინ მ. დევისი

რედაქტორი – ოთემ ქრისფ ბენსონი

რედაქტორის ასისტენტი – სარა ნ. კენიური

წარმოების რედაქტორი – მერი პარლანი

წარმოების კოორდინატორი – თრიშ ფინლი

დიზაინის კოორდინატორი – დაიან ს. ლორენცო

ტექსტის დიზაინი – GGS Book Services

გარეკანის დიზაინი – ჯანა ტომფსონ ქორდასი

გარეკანის ფოტო – ქორბისი (Corbis)

წარმოების მენეჯერი – ლაურა მესერლი

მარკეტინგის დირექტორი – დევიდ გესელი

მარკეტინგის მენეჯერი – ოთემ ფურდი

მარკეტინგის კოორდინატორი – ბრაიან მოუნტსი

ეს წიგნი დაკაბადინებულია გარამონდში GGS Book Service-ის მიერ. აიწყო და დაიბჭიდა R.R. Donnelley & Sons Company-ის მიერ. გარეკანი დაბჭიდა R.R. Donnelley & Sons Company-ის მიერ.

**Copyright © 2007, 2003, 2000 by Pearson Education, Inc., Upper Saddle River, New Jersey 07458.**

პრისონ ფრენისის პოლი. კულტურული დაცულია. დაბეჭიდლია ამერიკის შეკრთხულ შტატებში. გამოცემის სავტორო უფლებები დაცულია. ნებისმიერი ნაწილის საღისავის გადაღება (გამრავლების მზნით), შენახვა კომპიუტერულ სისტემაში, ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით – ელექტრონული, ბეჭდვითი, ფოტოფორმის, აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის, ან სხვაგარი გზით – შეიძლება განხორციელდეს გამომცემლისგან ნებართვის აღების შემდეგ.

ნებართვის თაობაზე დაუკავშირდით უფლებებისა და ნებართვების დეპარტამენტის.

Pearson Prentice Hall™ არის Pearson Education, Inc.-ის სავაჭრო ნიშანი.

Pearson® არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია (plc) Pearson-ის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი

Prentice Hall® არის Pearson Education, Inc.-ის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი.

Merrill® არის Pearson Education, Inc.-ის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი.

Pearson Education Ltd.

Pearson Education Australia Pty. Limited

Pearson Education Singapore Pte. Ltd. Pearson Education North Asia Ltd.

Pearson Education Canada, Ltd.

Pearson Education de Mexico, S.A. de C.V.

Pearson Education-Japan

Pearson Education Malaysia Pte. Ltd.



10 9 8 7

ISBN 0-13-172276-X

ეძღვნებათ: ერნი მილსს, ოდრი მილსს, დოქტორ ილტონ ჰ. ბრაუნსა და კათერინ ს. ბრაუნს – თქვენი სიყვარული, თანადგომა და სულისკვეთება მუდამ ჩემთან დარჩება.




# პედაგოგის მოსამზადებელი საკლასო ოთახი

პედაგოგის მომზადება – Merrill Prentice Hall

იხილეთ საილუსტრაციო მასალა: [www.prenhall.com/teacherprep/demo](http://www.prenhall.com/teacherprep/demo)

## თქვენი მოსწავლები; მათი კარიერა; ჩვენი მომავალი; იქნებიან თქვენი მოსწავლეები მომზადებულნი?

გიჩვევთ, რათა გაეცნოთ ჩვენს ახალ, ნოვატორულ და მიმზადებელ ვებგვერდს და ყველაფერს, რასაც ის გთავაზობთ თქვენ, თქვენს კურსსა და მომავალ პედაგოგებს. ვებგვერდი შეიცავს მომავალი მასწავლებლის მიერ უკვე არჩეულ ძრითად კურსებს, გარდა ამისა, იგი გთავაზობთ შემდეგ კურსებსაც: მედია, მოსწავლის/მასწავლებლის არტიფაქტები, სტრატეგიები, კვლევითი სტატიები და სხვა მასალები. ყოველივე ეს ებმარება თქვენი მოსწავლეების აღჭურვას საჭირო ცოდნით და განაპირობებს ქათ წარმატებასა და შზადყოფნას პირველი გაეცემოს.



ონლაინსტაუნი მასალას უფასოდ მიიღებთ Merrill ტექსტის კომპლექტთან ერთად, რომელიც თქვენ და თქვენს მოსწავლეებს სთავაზობს:

**ონლაინგვიდეობაზოითებებას** – 150-ზე მეტი ვიდეორგოლი – თითოეული დაკავშირებულია კურსის თემასთან, დაფუძნებულია სწავლების მიზნებზე და არის პრაქტიკული შეკითხვების შემცველი – გვიჩვენებს საკლასო ოთახებში მომუშვებ ნამდვილ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ისევე, როგორც ვრცელ ინტერვიუებს მოსწავლეებსა და პედაგოგებთან. ფაქტებს მოსწავლისა და პედაგოგის გამოცდილებიდან – 200-ზე მეტი ფაქტი ფაქტის მოსწავლისა და პედაგოგის გამოცდილებიდან – თითოეული დაყავიტირებულია კურსის თემასთან, ეფუძნება სწავლების მიზნებსა და პრაქტიკულ საკითხებს – უხვად გვთავაზობს მასალებსა და გამოცდილებას, რაც გეხმარებათ, სწავლის შედეგად გახდეთ პროფესიონალი, უფრო ჩამოყალიბებული და პრაქტიკული მასწავლებელი.

**კვლევთ სტატიებს** – 500-ზე მეტი სტატია ხელმძღვანელობისა და სასწავლო პროგრამის განვითარების ასოციაციის (ASCD) ცნობილი ურნალიდან – *Educational Leadership*. ვებგვერდს ასევე აქვთ სანავიგაციო სისტემა, რომელიც გეხმარებათ მონაცემთა ბაზაში არსებული განათლების სფეროში კვლევისთვის საჭირო დამატებითი ურნალების მოძიებაში.

**სწავლების მეთოდებს**. 500-ზე მეტი მეთოდი და გაკეთილის ჩატარების გეგმა დაგეხმარებათ, როდესაც გახდებით პრაქტიკის მასწავლებელი.

**ლიცენზიის მოპოვებისა და წარმატების სერტების**. წარმოდგენილი მასალა დაგეხმარებათ სალიცენზიონ გამოცდის ჩაბარებაში; სტანდარტების, კანონისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლაში; სწავლების დაგეგმვაში; თქვენი სწავლების პირველ წელს წარმატების მიღწევაში.

როგორ შეუკეთოთ პედაგოგის მომზადება თქვენთვის და თქვენი მოსწავლეებისათვის:

იმისათვის, რომ წინამდებარე ტექსტთან ერთად მოსწავლეებმა მიიღონ ვებგვერდზე – „პედაგოგის მომზადება“ – შესასვლელი პაროლი, ინსტრუქტორმა სახელმძღვანელოს შეკვეთის ფორმაში უნდა მიუთითოს სპეციალური კომპლექტის ISBN ნომერი. ISBN-ის მიღებისთვის გაგზავნეთ ელფოსტა: [Merrill.marketing@pearsoned.com](mailto:Merrill.marketing@pearsoned.com) და მიაწიდეთ შემდეგი ინფორმაცია:

- სახელი და გვარი, საქმიანობა
- ავტორი/სათაური/Merrill ტექსტის გამოცემა

მოსწავლეებისათვის „პედაგოგის მომზადების“ შეკვეთისთანავე ინსტრუქტორებს მიეცემათ „პედაგოგის მომზადების“ მუდმივი შესასვლელი პაროლი.

# წინასიტყვაობა

## სამოქმედო კვლევის როლი – ცვლილება განათლების სისტემაში

სამოქმედო კვლევა შესაძლოა გახდეს საგანმანათლებლო ცვლილების ძლიერი ფაქტორი. სამოქმედო კვლევა ხელს უწყობს პედაგოგებსა და ხელმძღვანელებს, განავითარონ პროფესიული ჩევევები, რაც გულისხმობს მოქმედებას, პროგრესსა და რეფორმას, ინერტულობისა და უმოქმედობის ნაცვლად. გარდა ამისა, სამოქმედო კვლევის პროცესი ავითარებს როგორც დემოკრატიულ მიზღვმას გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე ახდენს თითოეული პედაგოგის წახალისებას ერთობლივ და სოციალურად აქტუალურ კვლევებში მონაწილეობის მისაღებად.

სამოქმედო კვლევაში მონაწილეობისას პედაგოგები და ადმინისტრატორები უფრო წარმატებული შემსწავლები ხდებიან, ვიდრე ექსპერტები. ისინი, ვინც გადაწყვიტა კვლევაში ქმედით მონაწილეობს მიღება, ნებაყოფლობით ერთვებან პროფესიული განვითარების გრძელვადიან პროცესში, რადგან ხედავენ, რამდენად განსხვავდება დღევანდელი სწავლების პროცესი მათი იდეალებისაგან.

მომავალ პედაგოგთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებში სამოქმედო კვლევის დაწერგვა მოქმედ პედაგოგებს მისცემს შესაძლებლობას, სამოქმედო კვლევა გახდეს პროფესიონალ მასწავლებელთა პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი. ეს აუცილებლად დაქმარება პედაგოგებს, გამოიყონ სამოქმედო კვლევა სწავლების სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებთან ერთად, როგორებიცაა: სასწავლო პროგრამის შემუშავება, სწავლების მეთოდების სწორი შეფასება, კლასის მენეჯმენტის სტრატეგია, სწავლების სტრატეგია და ბაგშეთა სოციალური დაცვა. ასეთი მოქმედებები პედაგოგებში ცვლილებების მიმართ მზაობას განვითარებს.

ვიძელოვნებ, წინამდებარე წიგნი, რთულ პერიოდშიც კი, გარკვეულწილად, დაგვეხმარება წინსკლაში. სამოქმედო კვლევა არის გამოწევება, რათა გავიღორმაოთ ცოდნა; ასევე არის საშუალება, გადავჭრათ რთული საკითხები, რომლებსაც ჩვენ, როგორც პედაგოგები, ვაწყდებით ინდივიდუალურად თუ კოლექტურად. გარდა ამისა, იგი საშუალებას გვაძლევს, ჩავუდრმავდეთ იმ მოსაზრებებს, რომლებსაც, როგორც წესი, უაპელაციონ ვიღებთ. ეს ყოველივე კი დაგვეხმარება მომავლის იმედის პოვნაში.

## ტექსტის სტრუქტურა

წინამდებარე წიგნი ეფუძნება წლების განმავლობაში ჩემ მიერ მიღებულ სამოქმედო კვლევის სწავლების გამოცდილებას. ამ პერიოდს განმავლობაში მე მქონდა შესაძლებლობა, მემუშავა სახელგანთქმულ პედაგოგებთან და სკოლების დირექტორებთან, რომლებიც სისტემატურად აკირადებოდებოდნენ, თუ რა გავლენას ახდენდა მათი პროგრამები ბავშვების ცხოვრებაზე. ამ წიგნის სტრუქტურა ჩამოყალიბდა მათი გამოცდილების შედეგებსა და მრავალი მოსწავლისა და კოლეგის მიერ ჩატარებულ საველე სამუშაოებზე დაყრდნობით.

თითოეული თავი იწყება სამოქმედო კვლევის მოქლე შინაარსით, რაც, დაწერილი იმ პედაგოგებისა და დირექტორების მიერ, რომლებთანაც მე ვმუშაობდი, განუმარტავს მეითხველს, თუ რა სახის არის სამოქმედო კვლევა და ვინ უნდა ჩატაროს

იგი. წიგნის თავების თანმიმდევრობა დაახლოებით შეესაბამება სამოქმედო კვლევის ჩატარების პროცესს და ასეთი მიღებობა ჩემ მიერ სამოქმედო კვლევის სწავლების დროს საკმაოდ წარმატებული იყო.

## წინამდებარე გამოცემის სტრუქტურა

პირველი თავი გვთავაზობს სამოქმედო კვლევის განსაზღვრებას თავისი ისტორიული და თეორიული კონტექსტით. აქვე განხილულია სამოქმედო კვლევის მრავალი მოდელი, ბოლოში მოცემულია ოთხსაფეხურიანი პროცესის აღწერა (პრიორიტეტული სფეროს იდენტიფიცირება, მათი შეგროვება, ანალიზი და ინტერპრეტაცია, სამოქმედო გეგმის შემუშავება) და დიალექტიკური მოდელი, რომელსაც წინამდებარე წიგნი ეფუძნება. მომდევნო თავებში უფრო დეტალურად არის განხილული ოთხსაფეხურიანი პროცესი.

მეორე თავი მკვლევრებს ეხმარება როგორც „პრიორიტეტული სფეროს“ არჩევაში, ასევე გვთავაზობს თანმიმდევრულ ინსტრუქციას დიდი რაოდნობით ონლაინ- და ტრადიციული ზიბლითობების მასალებზე დაყრდნობით ლიტერატურის მიმოხილვის ჩასატარებლად. წინამდებარე გამოცემის სიახლე ისაა, რომ იგი გვთავაზობს კუცელ განხილვს, თუ როგორ უნდა ჩავატაროთ ლიტერატურის მიმოხილვა. წიგნის პარტიორ ვეტგვერდზე მკითხველს შესაძლებლობა ექნება, ნახოს ლიტერატურის მიმოხილვის ახალი, დასრულებული ნიმუში. თავი მთავრდება სამოქმედო კვლევის გეგმით, რომელიც პრაქტიკული გზამკვლევია მკვლევარი პედაგოგებისათვის სამოქმედო კვლევის პროცესში გასარკვევად.

მესამე თავში ვრცლად არის განხილული ხარისხობრივი მონაცემების შეგროვების საკითხი, რაშიც სამი ასპექტი მოაზრობა: გამოცდილება, გამოკვლევა და შემოწმება. წინამდებარე გამოცემის სიახლე ისაა, რომ ხარისხობრივი მონაცემების შეგროვების ტექნიკის განხილვასთან ერთად მასში აგრეთვე განხილულია რაოდნობრივი მონაცემების შეგროვების ტექნიკა.

მეოთხე თავი ეძღვნება მონაცემთა შეგროვების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორებიცაა: სისწორე, სანდოობა, განზოგადება, რაც განაპირობებს შეგროვებული მონაცემების უტყუარობას.

წინამდებარე გამოცემის სიახლე არის მეტეთე თავიც, რომელშიც ფართოდ არის განხილული ეთიკის საკითხები. მასში მოყვანილია ეთიკური პრობლემების მოკლე მიმოხილვა, რაც მკვლევარ მასწავლებლებს უბიძებს, ეთიკური პრობლემის წამოჭრისას ეძებონ მისი გადაჭრის გზები.

მე-6 თავში აღწერილი მონაცემთა ანალიზის ტექნიკისა და ინტერპრეტაციის საკითხები, აგრეთვე საუბარისა მოცემული ორი პროცესის მიზნებს შორის სხვაობაზე. აქ სიახლე ისაა, რომ მასში განხილულია მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია, რასაც თან ერთვის კონკრეტული მაგალითები. მაგალითად, დამატებულია თემებად და კატეგორიებად დაყოფილი გაშიფრული ინტერვიუს ანალიზის ახალი ანთერიტული ნიმუში.

მე-7 თავი ეხმარება მკვლევარ პედაგოგებს, იმოქმედო „სამოქმედო სქემის ეტაპების“ მიხედვით. ეს თავი ასევე განიხილავს საგარაუდო წინაღობებს, რომლებიც დასაძლევა და გვთავაზობს სტრატეგიებს ალნიშნული წინაღობების გადასალახვად.

მე-8 თავში მოცემულია პრაქტიკული რჩევები სამოქმედო კვლევის დასაწერად. ხელახლა დაბეჭდილი სტატია სამოქმედო კვლევის შესახებ, თანდართული სქოლიობით, მკვლევრებს წარმოუდგენს მოქმედებითი კვლევის ზოგადი სტრუქტურისა და კომპონენტების ნიმუშს. თვითშეფსების რეზირიკა ეხმარება მკვლევარ პედაგოგებს, დარწმუნდნენ, რომ მათი ნაშრომი მზად არის გამოსაქვეყნებლად. აქ სიახლეა მოქმედებითი კვლევის ონლაინ-ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია მოქმედებით კვლევაზე, რომელიც სელმისაწვდომია პარტიორ ვეტგვერდზე. ასევე თავში ვრცლად არის განხილული წერის პროცესში პრერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის სახელმძღვანელოს (მეტეთე გამოცემა) გამოყენების საკითხი.

და ბოლოს, მე-9 თავში განხილულია კვლევასა და პრაქტიკას შორის არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მნიშვნელობა, მას მოსდევს სამოქმედო კვლევის სრული ციკლი, რომელიც შესაძლებელს ხდის, დავრწმუნდეთ, რომ კვლევის შედეგები ზეგავლენას ახდენს მოსწავლების სწავლების პროცესზე. სამოქმედო კვლევის გაცნობის, კრიტიკისა და წახალისების მნიშვნელობასთან ერთად ეს თავი გვთავაზობს რჩევებს, თუ როგორ გამოვიყენოთ ინტერნეტში – კებგვერდზე, აღრესატების სიასა და ონლაინურნალებში - არსებული სამოქმედო კვლევის მასალები.

დანართი „ა“ შეიცავს „ქრონის ელემენტარის“ (Curtis Elementary) მიერ პრაქტიკულ შემთხვევაზე დაფუძნებული კვლევის მაგალითს, რომელიც მოსდევს წიგნში აღწერილ პროცესს და აფასებს პროექტს სამოქმედო კვლევის შესაფასებლად დადგრილი კრიტერიუმების მიხედვით. დანართი „ბ“ შეიცავს აღწერილობითი სტატიის (საშუალო, მოდა, მედიანა და სტანდარტული გადახრა) მოკლე მიმოხილვას და პედაგოგის კვლევის ანალიზისა და ინტერპრეტირების დროს მათი გამოყენების შესაძლებლობას. ამ გამოცემაში სიახლეა მაგალითები, რომლებიც გვჩივენებენ, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ კალებულატორი აღწერილობითი სტატიისტიკის მისაღებად. დანართი „გ“, „მონაცემთა ვიზუალური გამოსახულება“, წარმოგვიდგენს სამოქმედო კვლევის პროექტიდან მონაცემთა ვიზუალური გამოსახულების მრავალ მაგალითს – ჰისტოგრამებს, ცხრილებს, დიაგრამებს. გამოსახულებითი ტექნიკის გამოყენება პედაგოგებს ეზმარება მოხაცემთა უკეთესად გაანალიზებასა და ინფორმაციის გაცვლაში.

## ტექსტის სათაური, სარჩევი, მიზნები, მოკლე შინაარსი და საკითხები სამომავლო განხილვისათვის

გამოსაყენებლად მოსახერხებელი ტექსტის ფორმატი შეიცავს წიგნის თავების მიზნებს, საკვანძო კონცეფციათა გრაფებს, კვლევის აქტივობების ჩამონათვალს, თავის მოკლე შინაარსსა და საკითხებს სამომავლო განხილვისთვის. ტექსტი, ასევე, შეიცავს სამოქმედო კვლევის პროცესის ამსახველ ბევრ პრაქტიკულ მაგალითს, რაც დაეხმარება მკვლევარ პედაგოგებს, გამოიყენონ მითითებული პროცესი საკუთარ სკოლებში და გაკვეთილებზე. მე-9 თავში მოცემული ინფორმაცია, რომელიც ონლაინსამოქმედო კვლევის მასალებს ეხება, საინტერესო იქნება მათთვის, ვისაც სურვილი ექნება, ითანაბრრომლოს სხვა მკვლევრებთან და გაეცნოს ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომ სამოქმედო კვლევის მრავალ მასალას.

## პარტნიორი ვებგვერდი

თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ პარტნიორი ვებგვერდი შემდეგ მისამართზე: [www.prenhall.com/mills](http://www.prenhall.com/mills). ეს ონლაინშემსწავლელი ვებგვერდი ეზმარება მოსწავლეებს, აითვისონ კურსი თავების მიმოხილვის, პრობლემების განხილვის, ინტერაქტიული თვითშეფასების სავარჯიშოების შესრულებისა და შეკითხვების დასმის მეშვეობით. ასევე გვთავაზობს ინტერნეტბმულებს სამოქმედო კვლევის შესახებ ვებგვერდების აღმოსაჩენად. აქვე მოცემული ლიტერატურის მიმოხილვის მაგალითები და მითითება ონლაინურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე.

## ონლაინექტრონული (PორტერPოინტ) სლაიდები

ინსტრუქტორის რესურსების თქვენ შესაძლებლობა გექნებათ ნახოთ ონლაინექტრონული (PowerPoint®) სლაიდები, რომლებიც დაგეხმარებათ, გააუმჯობესოთ საკლასო გაკვეთილების ხარისხი. ონლაინექტრონული სლაიდები ხელმისაწვდომია

შემდეგ ვეტგვერდზე: [www.prenhall.com](http://www.prenhall.com). ამ ვეტგვერდზე შესვლისას დააწეაპუნეთ ღილაკზე - Instructor Support (ინსტრუქტორის დახმარება) და შემდეგ გადადით ჩამოტეროვის (Download Supplements) სექციაში. აქვე შესაძლებლობა გექნებათ შეცვიდეთ ვეტგვერდზე: „შესვლა“-ში, ანდა ერთჯერადად დარეგისტრირდეთ მომხმარებლის სახელისა და პაროლის მოსაპოვებლად.

წიგნის ავტორი მადლიერებას გამოხატავს იმ პირების მიმართ, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ და მონაწილეობდნენ სახელმძღვანელოს გამოცემის პროცესში.

მინდა მადლიერება გამოვხატო რეცენზენტების მიმართ, რომლებმაც წინამდებარება წიგნის შექმნის პროცესში დროის დიდი ნაწილი მიუძღვნეს მის კრიტიკულ შეფასებას. ესენი არიან: ჯენიფერ ესპოსიტო (ჯორჯის უნივერსიტეტი), ქრისტინ ფოქსი (ტოლედოს უნივერსიტეტი), პატრისია მაკელუში (პიდმონტკოლეჯი) და ამირა ფროველერი (დეპაულის უნივერსიტეტი).


ასევე მინდა მადლობას გადაუხადო „მერილ პრენტის ჰოლის“ თანამშრომლებს, რომელთა ჩემი გამოცემას (და მოთმინების!) წყალობით წინამდებარე წიგნის გამოცემა რეალობად იქცა. კერძოდ, მე მადლობას ვუხდი კევინ დევისს, გამომცემულსა და აღმასრულებელ რედაქტორს, რომელმაც ჩემთვის ერთად მიუშვა წიგნის მესამე გამოცემაზე და დამატებითი წყლილი შეიტანა წიგნის რედაქტორებთან ერთად; ასევე მადლობას ვუხდი წიგნის რედაქტორ თემებ ბენსონს, რომელიც დაუძლავად მრომობდა, რათა წიგნი კოფილიყო ხარისხიანი და მომხმარებლისთვის ადვილად გამოსაყენებელი.

გარდა ამისა, ჩემი მადლიერება მინდა გამოხატო სამხრეთ ორეგონის უნივერსიტეტის იმ ასობით სტუდენტის მიმართ, რომლებიც გამოეხმაურნენ წინამდებარე წიგნის აღრეული გამოცემების რამდენიმე სამუშაო ვარიაცის და თავი მოუყარეს ჩემს გაფანტულ მოსაზრებებს მოაზროვნე პრაქტიკოსად ჩამოყალიბებისა და პროფესიონალებისთვის თვითგანვითარებისკენ სწრაფვის მნიშვნელობის შესახებ. მე ვაფასებ და ვითვალისწინებ მოსწავლეების ხელვას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავხადოთ წიგნი მომხმარებლისთვის ადვილად გამოსაყენებელი. ასევე, მე წილად მხვდა დიდი პატივი, მეტუშვა ორეგონის შტატის ასობით მასწავლებელთანაც, რომლებმაც რჩევები მომცეს წინამდებარე წიგნის შენარსთან დაკავშირებით.

და ბოლოს, მე მადლობას ვუხდი ჩემს მეუღლეს, კოლეგასა და საუკეთესო მეგობარს, დოქტორ დონა მილს (სამხრეთ ორეგონის უნივერსიტეტი) დახმარებისა და გამნენებებისთვის. იგი მოთმინებით მოეკიდა ჩემი ხასათის ცვალებადობს და იმ ფაქტს, რომ ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შაბათ-კვირასაც, წერის პროცესით ვიყავი დაკავებული. ასევე მადლობას ვუხდი ჩემს ვაჟიშვილს, ჯონათანს, რომელმაც დათმო მამასთან თამაშში გასატარებელი დრო, და დაუზარელად მახსენებდა სამ მნიშვნელოვან რამეს: (1) რას ნიშნავს იყო მასწავლებელი და მოსწავლე; (2) რომ ყოველდღე უნდა მეგარჯიშა, რათა არ ჩამოერჩენოდი ჩემს შეიღს ენერგიულობასა და ცხოვრებისადმი ენთუზიასტურ დამოკიდებულებაში, (3) და რომ ყოველთვის კომპიუტერის ბრალია, როდესაც საქმე ისე არ მიღის, როგორც შენ გინდა! წინამდებარე გამოცემაზე მუშაობას დაუყოვნებლივ მოჰკვა მეორე ხანგრძლივი პროექტი – მერვე გამოცემა, საგანმანათლებლო კვლევა: ანალიზის შესაძლებლობა და მისი გამოყენება (გეო, მილსი და აირასიანი, 2006). გულწრფელად ვუხდი მადლობას დონასა და ჯონათანს ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოჩენილი მოთმინებისა და თანადგომისთვის.

ჯეფ მილსი

# კვლევის ნავიგატორი: გაამარტივეთ კვლევა!



[www.ResearchNavigator.com](http://www.ResearchNavigator.com)

„მერილ ედუქიშენი“ სიამოვნებით წარმოგიდგენთ კვლევის ნავიგატორს – სწრაფ საშუალებას მოსწავლეებისათვის კვლევის ჩასატარებლად, იგი ამარტივებს და აუმჯობესებს კვლევის მთელ პროცესს. ვებგვერდზე: [www.ResearchNavigator.com](http://www.ResearchNavigator.com) მოსწავლეებს შეეძლებათ ნახონ მრავალი მასალა, რომლებიც დაეხმარებათ კვლევის ჩატარების შესახებ ცოდნის გაუმჯობესებაში და, შესაბამისად, ეფექტურად ჩაატარებენ კვლევას. ასევე, კვლევის ნავიგატორს აქვთ სანდო მასალის შემცველი ექსკლუზიურ მონაცემთა სამი ბაზა, იგი დაეხმარება მოსწავლეებს ყურადღების კონცენტრაციასა და კვლევის ჩატარებაში.

## როგორ გააუმჯობესებს კვლევის ნავიგატორი თქვენს კურსს?

- ამომწურავი მასალა დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთ გაიგონ კვლევის პროცესი, წერის, ინტერნეტიებისა და წყაროების მითითების ტეაპების ჩათვლით.
- თანმიმდევრული რჩევები მიმართულებას მისცემს მოსწავლეებს კვლევის მთელი პროცესის დროს, დაწყებული გამოსაკვლევი თემის არჩევით, დამთავრებული კვლევის პროექტის შესწორებით.
- სექცია „დისკიპლინებში“ მოცემული „კვლევის წერა“ აღწერს კვლევებს შორის განსხვავებებს იმის მიხედვით, თუ რომელ დისკიპლინაში იწერება იგი.
- ექსკლუზიურ მონაცემთა სამი ბაზა (EBSCO – აირჩიეთ აკადემიური ჟურნალის მონაცემთა ბაზა, „ნიუ-იორკ თამისი“ მოძებნეთ თემატური არქივის მემკვებით, ასევე ბიბლიოთეკის ბმული „რჩეული“) საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ადვილად მოიპოვონ სტატიები ჟურნალებიდან ან მათგან საინტერესო სხვა მასალა.

## ღირებულება?

კვლევის ნავიგატორზე ხელმოწერა ღირს 7,50 აშშ-ის დოლარი, თუმცა, წინამდებარე წიგნის შეკვეთის შემთხვევაში, თქვენ მიიღებთ კვლევის ნავიგატორს უფასოდ.

# მოკლე სარჩევი

---

თავი 1:	სამოქმედო კვლევის გააზრება	1
თავი 2:	პრიორიტეტული სფეროს არჩევა	24
თავი 3:	მონაცემთა შეგროვების მეთოდები	56
თავი 4:	მონაცემთა შეგროვების საკითხები: სისწორე, სანდოობა და განზოგადება	90
თავი 5:	ეთიკა	112
თავი 6:	მონაცემთა ანალიზი და განმარტება	130
თავი 7:	მოქმედების დაგეგმვა საგანმანათლებლო ცვლილებისთვის	158
თავი 8:	როგორ დავწეროთ მოქმედების კვლევა	182
თავი 9:	მოქმედების კვლევის ონლაინგაზიარება, კრიტიკა და აღიარება	214
დანართი „ა“	მოქმედების კვლევა მოქმედებაში: კურტისის დაწყებითი სკოლის მაგალითი და ნაშრომის კრიტიკა	240
დანართი „პ“	აღწერითი სტატისტიკა და მოქმედების კვლევა	255
დანართი „გ“	მონაცემების ვიზუალურად წარმოდგენა	265

# სარჩევი

თავი 1:      სამოქმედო კვლევის გაზრება	1
რა შთააგონებს არამოტივირებულ მოსწავლეებს?	1
საგანმანათლებლო კვლევის ზოგადი მიმოხილვა	3
სამოქმედო კვლევის განსაზღვრება	5
სამოქმედო კვლევის წარმოშობა	6
კრიტიკული სამოქმედო კვლევა • პრაქტიკული სამოქმედო კვლევა	9
სამოქმედო კვლევის მიზნები და საფუძველი	9
სამოქმედო კვლევის საჭიროება: სამოქმედო კვლევის გავლენა პრაქტიკაზე	11
სამოქმედო კვლევა დამაჯერებელი და მხრანებლურია • სამოქმედო კვლევა შესაბამისია • სამოქმედო კვლევა პედაგოგისთვის ხელმისაწვდომს ხდის კვლევის შედეგებს • სამოქმედო კვლევა ებმარება პედაგოგებს განათლების სისტემის რეფორმის დროს არსებული სირთულეების დაძლევაში • სამოქმედო კვლევა არ არის ახირება	11
სამოქმედო კვლევა ვაქციოთ ჩვენი სწავლების ყოველდღიურ შემადგენელ ნაწილად	15
სამოქმედო კვლევის პროცესი	17
დასკვნა	22
საკითხები სამომავლო განხილვისთვის	23
თავი 2:      პრიორიტეტული სფეროს არჩევა	24
მოზარდთა ინტერაქტიული თეატრი	25
ჩამოაყალიბეთ ზოგადი იდეა და გამოყავით პრიორიტეტული სფერო	28
გამოკვლევა	29
თვითგამოხატვის გზით პრიორიტეტული სფეროს არსები გარკვევა	• პრიორიტეტული
სფეროს არსები გარკვევა აღწერილობითი აქტივობის გზით • პრიორიტეტული სფეროს არსები ჩაწერილი მასალის შენითი მოქმედებით	სფეროს არსები ჩაწერილი მასალის შენითი მოქმედებით
შესძინვის ლიტერატურის მიმოხილვა	32
ონლაინმასალების ძიება • ინტერნეტის და სერვერთა ქსელის ძიება • პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანება • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დათვალიერება • თქვენს ხელთ არსებული მასალის შეფასება • შეჯამება • ლიტერატურის ანალიზი, სისტემატიზაცია და ანგარიში • წერის უნარ-ჩვევები და რჩევები	32
სამოქმედო კვლევის გეგმა	50
გამოკვეთეთ პრიორიტეტული სფერო • ცვლადის განსაზღვრა • კვლევის შეკითხვების დახვეწია •	50

ჩარევისა ან სიახლის აღწერა	• სამოქმედო კვლევის ჯგუფის წევრების აღწერა	• აღწერეთ, რა სახის მოლაპარაკებების ჩატარებაა აუცილებელი	• განსაზღვრეთ ქრონოლოგია	• განსაზღვრეთ გამოსაყენებელი მასალა	• შეიძუშავეთ მოსაზრებები მონაცემთა შეგროვების შესახებ	• აამოქმედეთ სამოქმედო გეგმა.
<b>დასკვნა</b>						54
<b>საკითხები სამომავლო განხილვისთვის</b>						54

**თავი 3: მონაცემთა შეგროვების მეთოდები** 56

<b>სამოქმედო კვლევის განხილვა</b>	57
<b>მონაცემთა შეგროვების ხარისხობრივი მეთოდი</b>	62
<b>გამოცდილების მიღება პირდაპირი დაკვირვებით</b>	64
მონაწილეზე დაკვირვება • შენიშვნები	
<b>გამოკვლევა: როდესაც მკვლევარი შეკითხვას სვამს</b>	69
არაფორმალური ეთნოგრაფიული ინტერვიუ • სტრუქტურიზებული ფორმალური ინტერვიუები • ფოკუსჯგუფები • კითხვარები	
<b>შემოწმება: ჩანაწერების გამოყენება და გაკეთება.</b>	77
საარქივო დოკუმენტები • უკანალები • რუკების, ვიდეო- და აუდიო- ჩანაწერების, ფოტოსურათების, ფილმებისა და ფაქტების შექმნა	
<b>მონაცემთა შეგროვების ოაოდენობრივი მეთოდი</b>	82
პედაგოგის მიერ შედეგნილი ტესტი • სტანდარტიზებული ტესტი • სკოლის მიერ შემუშავებული მოსწრების ფურცელი • დამოკიდებულების განსაზღვრა • სხვა საზომი საშუალებები	
<b>პრიორიტეტული სფეროსა და სამოქმედო კვლევის გეგმის საჭიროებისამებრ კორექტირება</b>	86
<b>დასკვნა</b>	87
<b>საკითხები სამომავლო მსჯელობისთვის</b>	88

**თავი 4: მონაცემთა შეგროვების საკითხები: სისწორე,  
სანდოობა და განზოგადება** 90

<b>გამრავლების საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეებში ცოდნისა</b>	
და მოტივაციის ამაღლება	91
<b>სისწორე</b>	95
გუბას კრიტერიუმი ხარისხობრივი კვლევის სისწორეზე • მაქსველის კრიტერიუმი ხარისხობრივი კვლევის სისწორეზე • ანდერსონის, პერისა და ნიპლენის კრიტერიუმი სამოქმედო კვლევის სისწორეზე • ვოლკოტის სტრატეგია სამოქმედო კვლევის სისწორის უზრუნველსაყოფად	
<b>სანდოობა</b>	106
<b>განზოგადება</b>	107
<b>ტენდენციურობა სწავლების პროცესში კვლევის ჩატარებისას</b>	108
<b>დასკვნა</b>	109
<b>საკითხები სამომავლო მსჯელობისთვის</b>	110

**თავი 5: ეთიკა** 112

<b>ტექნიკას გამოყენება მათემატიკაში მიღწევების გასაუმჯობესებლად</b>	113
<b>კვლევის ეთიკა</b>	115
ინფორმირებული თანხმობა და ზიანისგან დაცვა • ტყუილი	
<b>სწორი გადაწყვეტილების მიღება: ეთიკის მნიშვნელობა სამოქმედო კვლევის დროს</b>	120
ეთიკური რჩევები • ფლინდერსის კონცეფცია ხარისხობრივი კვლევის ეთიკაზე	
<b>დასკვნა</b>	128
<b>საკითხები სამომავლო მსჯელობისთვის</b>	128
<b>თავი 6: მონაცემთა ანალიზი და განმარტება</b>	130
<b>ნიშნებზე ყურადღების შემცირებით სწავლებაზე მეტი ყურადღების გამახვილება</b>	131
მიმდინარე ანალიზი და განხილვა	135
<b>ანალიზისა და განმარტების მნიშვნელობა</b>	137
<b>მონაცემთა ანალიზის მეთოდები</b>	138
თემების განსაზღვრა • კვლევის, ინტერვიუებისა და კითხვარების სისტემატიზაცია • ინტერვიუს ანალიზი • საკვნძო კითხვების დამტკიცება • ორგანიზაციული მიმოხილვის ჩატარება • დიაგრამების შემუშავება • წარსულისა და შედეგების ანალიზი • შედეგების გამოქვეყნება • რა გვაკლია • კომპიუტერული პროგრამების გამოყენება მონაცემთა ანალიზის ჩასატარებლად.	
<b>მონაცემთა განმარტების მეთოდები</b>	153
ანალიზის გაფართოება • შედეგების დაკავშირება პირად გამოცდილებასთან • მიმართეთ ანალიზისთვის კრიტიკულად განწყობილ მეცნიერებას • ლიტერატურაში აღმოჩენების კონტექსტიდან გამომდინარე გამოყენება • მივუბრუნდეთ თეორიას • იცოდეთ, როდის თქვათ „როდის“!	
<b>თქვენი განმარტებები გაუზიარეთ ჭკვიანურად</b>	156
<b>დასკვნა</b>	156
<b>სამომავლო მსჯელობისთვის</b>	156
<b>თავი 7: მოქმედების დაგეგმვა საგანმანათლებლო ცვლილებისთვის</b>	158
<b>დაშვების კრიტერიუმების განხილვა</b>	159
<b>სამოქმედო გეგმის შემუშავება</b>	161
სამოქმედო დაგეგმვის დონეები • მოქმედება უნდა იყოს მიმდინარე • განხილვის მნიშვნელობა	
<b>ზოგიერთი სირთულე, რომელთაც მკვლევარი პედაგოგები აწყდებიან</b>	171
მასალების არასაკერძოსობა • წინააღმდეგობა ცვლილებისადმი • სხვათა პროფესიული პრაქტიკის გამოყენების სურვილის უქონლობა • სირთულის არსებობის აულიარებლობა • საკუთარი ცოდნის გასაზიარებლად დისკუსიაში მონაწილეობა • სამოქმედო კვლევის ჩასატარებლად დროის გამონახვა	
<b>საგანმანათლებლო ცვლილების ხელშეწყობა</b>	175
პედაგოგებსა და ხელმძღვანელებს სჭირდებათ ძალისა და ავტორიტეტის ურთიერთდამოკიდებულების რესტრუქტურიზება • ცვლილების მოსახლენად გამოსადევება როგორც დაღმავალი, ისევე აღმავალი სტრატეგიები • პედაგოგებს სჭირდებათ თანადგომა • ცვლილება დამოკიდებულია თითოეულ ადამიანზე • ცვლილება არ მიმდინარეობს დახვეწილად, საფუძულებრივად ან რაციონალურად • მკვლევარმა პედაგოგებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სკოლის კულტურულ მხარეს • ცვლილებით გამოწვეული შედეგით უნდა ისარგებლონ მოსწავლეებმა • იყო იმედით აღსავს, გქონდეს კრიტიკული	

რესურსი	
რას იძნეს პედაგოგი?	180
დასკვნა	180
სამომავლო განწილვისთვის	181
 თავი 8: როგორ დავწეროთ მოქმედების კვლევა	182
რატომ არის მნიშვნელოვანი სამოქმედო კვლევის დაწერა?	184
ფორმატი და სტილი	185
რიტუალები და წერის პროცესი	196
მონახაზი სამოქმედო კვლევის ანგარიშისათვის	199
სამოქმედო კვლევის ანგარიშის განსხვავებული სტრუქტურა	200
ჟურნალში დასაბეჭდად სტატიის ჩაბარების ზოგადი წესები	202
ჟურნალის სტილის არჩევა • ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) სახელმძღვანელო კრებულის გამოცემა • ოქენი სამოქმედო კვლევის გეგმის თვითშეფასება • სწავლების, კვლევისა და წერის გაერთიანება • რამდენად გრძელი უნდა იყოს გეგმა? • უკუკავშირის ძიება • რას უნდა შეიცავდეს სათაური? • ტექსტის დახვეწა	212
მოკლე შეჯამება	212
შემდგომი განსჯისთვის	213
 თავი 9: მოქმედების კვლევის ონლაინგაზიარება, კრიტიკა და აღიარება	214
განაზრებები რეფლექსური სწავლების შესახებ	215
სამოქმედო კვლევის გაზიარება	218
სამოქმედო კვლევის გაზიარების ელექტრონული საშუალებები	218
სამოქმედო კვლევის ვებგვერდები	
ინტერნეტის გამოყენება კავშირის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად	219
რა სახის ონლაინრესურსები შეგვიძლია გამოვიყენოთ?	220
სამოქმედო კვლევის ვებგვერდები • ადრესატთა სია • ონლაინჟურნალები	
ელექტრონული მოქმედების კვლევა: რისკი და საფრთხილო საკითხები	230
ტექნოლოგიის დაძლევა • მუდამ განვითარებადი ინტერნეტის გამოწვევები • ყურადღება:	
პირადი გამოცდილება	235
ზეიმი - გართობის დროა!	236
ეს მხოლოდ დასაწყისია!	237
დასკვნა	238
განსჯისათვის	239
 დანართი „ა“ მოქმედების კვლევა მოქმედებაში: კურტისის დაწყებითი სკოლის მაგალითი და ნაშრომის კრიტიკა	240

ვითარების აღწერა: კურტისის დაწყებითი – პროფესიული განვითარების სკოლა	240
ინტერესის სფერო: ნაწერიდან აზრის გამოტანის სწავლება/ფორმირება	242
ლიტერატურის მიმოხილვა	245
სამოქმედო გეგმის შემუშავება	245
წაკითხულიდან აზრის გამოტანის ფორმირება	245
კვლევის შედეგების გაზიარება	250
სამოქმედო კვლევის კრიტიკა	251
ვისთვის იყო კვლევა განკუთვნილი • ფორმატი • ცრურწმენები • პროფესიული დისპოზიცია • პროფესიული განვითარება • გავლენის მქონე • მოქმედებისა და მონაცემების ურთიერთებაშირი • გავლენა • ცვლილებები • გამოხმაურება კოლეგების მხრიდან	
მოქმედების კვლევის დასრულების აღნიშვნა	253
შეჯამება	253
<b>დანართი „პ“ აღწერითი სტატისტიკა და მოქმედების კვლევა</b>	255
დათვალიერითი რისი დათვლაც შესაძლებელია! აღწერითი სტატისტიკის გამოყენება	255
რატომ უნდა გამოიყენოთ აღწერითი სტატისტიკა?	255
ცენტრალური ტენდენციის გამოთვლის მეთოდი	256
ცვალებადობის საზომი: სტანდარტული გადახრა	257
ილუსტრაცია	259
ფრთხილი იყავით განცხადებების კეთებისას	263
<b>დანართი „გ“ მონაცემების ვიზუალურად წარმოდგენა</b>	265
მაგალითი №1: წერითი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებელი სემინარები და ESL-ის მოსწავლეების წერილობითი ნაშრომები და დამოკიდებულებები.	265
მაგალითი №2: მათემატიკის სწავლება მანიპულატორების გამოყენებით	268
მაგალითი №3: წიგნის გაზიარების/ზელმისაწვდომობის ზეგავლენა მოსწავლის კითხვის მოტივაციაზე	
მაგალითი №4: პედაგოგის კლასში მოძრაობის/ადგილმდებარეობის რუკა	
მაგალითი №5: კონცეფტუალური რუკა დასკვნა	271
დასკვნა	273
<b>წყაროები</b>	275
ავტორის ინდექსი	280
თემის ინდექსი	282

შენიშვნა: ყველანაირად შევეცადეთ, წიგნში შეგვეტანა სწორი და ზუსტი ინტერნეტი და მასში არსებული ინფორმაციაც გამუდმებით იცვლება, აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ინტერნეტმისამართი, რომელიც წინამდებარე წიგნშია მოყვანილი, შესაძლოა, მომავალში შეიცვალოს.

# სამოქმედო კვლევის გააზრება

წინამდებარე თავი გაგაცნობთ სამოქმედო კვლევას ნამდვილი მკვლევარი პედაგოგის მიერ ჩატარებული სამოქმედო კვლევის მაგალითზე, სამოქმედო კვლევის ისტორიული და თეორიული საფუძვლების შესწავლის გზით სამოქმედო კვლევის მიზნებისა და მისი საჭიროების განხილვას, და სამოქმედო კვლევის პროცესის ახსნას.

წინამდებარე თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ უნდა შეგეძლოთ:

1. გაარჩიოთ სამოქმედო კვლევა
2. სამოქმედო კვლევის ისტორიული საფუძვლის აღწერა
3. სამოქმედო კვლევის კრიტიკულ/პოსტმოდერნისტულ და პრაქტიკულ თეორიებს შორის არსებული მსგავსებებისა და სხვაობების გარჩევა
4. სამოქმედო კვლევის მიზნებისა და მისი საჭიროების აღწერა
5. სამოქმედო კვლევის პროცესის ოთხი საფეხურის ჩამოთვლა

# რა შთააგონებს არამოტივირებულ მოსწავლეებს?

## დებორა საუთი

დებორა საუთი არის სოფლის საშუალო სკოლის პედაგოგი ორევონის შტატში. იგი იყო სამოქმედო კვლევის ჯგუფის მონაწილე და გვიზიარებს თავის გამოცდილებას იმ გამოწვევებზე, რომელთაც წარწერა საკლასო ოთახში შესვლამდე ერთი წუთით აღრე, მისთვის მიცემული დავალების გამო, რადგან „არამოტივირებულ“ მოსწავლეებთან მოუხდა მუშაობა. დებორას მაგალითი წარმოგვიდგენს მრავალ ფაქტორს, რომლებსაც მოსწავლეების სწავლის პროცესზე შეუძლიათ ზეგავლების მოხდება და პედაგოგის სურვილს, ერთიულდად შეფასოს საკუთარი სწავლების მეთოდები და მათი ზეგავლენა გაკვეთილზე დამსწრე ბავშვებზე. დებორას სწავლების შედეგებით კიდებთ მონაცემებს, რაც დებორამ და სკოლის დირექტორებმა შეიძლება გამოიყენონ არამოტივირებული მოსწავლეებისათვის სასწავლო პროგრამას შეცვლისა და გაუჭირობებისთვის.

არამოტივირებული და გულგრილი მოსწავლეების სწავლება პედაგოგებისათვის რთული გამოწვევაა. როგორც წესი, ასეთი მოსწავლეები უაყოფითად არიან განწყობილი, არღვევნ სასწავლო პროცესს და ხშირად მათი ქცევის გასაკონტროლებლად ისარჯება პედაგოგის დროის დიდი ნაწილი. არამოტივირებული მოსწავლეების სწავლების საკითხით ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის დაწეების დღიდან დავინტერესდი, რაც 5 წლის წინ მოხდა. პედაგოგი ყოველთვის ცდილობს, გამოიყენოს ყველანაირი მიღობა, რათა წაახალისოს მოსწავლე, რათა იყო იყოს წარმატებული. თუმცა ასეთი მიღობობები არ არის უფექტური არამოტივირებულ მოსწავლეებთან, რომლებიც არ გამოხატავენ დაინტერესებას და შეუსაბამოდ იქცევიან. შედეგად ჩემი მომონიება იწურება და, როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს ამის აღიარება, მე ველარ ვაწვდენ ხმას ასეთ მოსწავლეებს. საბოლოოდ კი იმით ვემაყოფილდები, რომ ასეთი მოსწავლეები, უბრალოდ, რჩებიან თავიანთ ადგილებზე, არიან ჩემად და ხელს არ უშლიან გარშემო მყოფებს.

მეუხედავად ამისა, ბოლო სემესტრში იძულებული გავხდი, დამოიდებულება შემეცვალა: უნარ-ჩვევების სწავლება მომიხდა დაბალი შედეგების მქონე მერვეკლასელთა ოცაციანი ჯგუფისათვის. კლასი შედგებოდა 16 ბიჭისა და 4 გოგოსაგან. ჩემი მიზანი იყო, მესწავლეებინა ამ ბავშვებისათვის და ყველანაირი საშუალებით მექცია ისინი მოტივირებულ და წარმატებულ მოსწავლეებად. სანამ სემესტრი დაიწყებოდა, გავიარე ტრენინგები უნარ-ჩვევების სწავლებაში და ჩავთვალე, რომ მზად ვიყავი ასეთ კლასთან სამუშაოდ: მე მყავდა მოსწავ-

ლები, მქონდა სასწავლო პროგრამა და მეტმარებოდნენ სპეციალისტები.

ერთი კვირის შემდეგ მიხვდი, რომ არსებობდა სირთულეები. ჩემი ოცაციან ჯგუფი ხშირად მოუშზადებელი მოდიოდა. მოსწავლეები უწესოდ იქცეოდნენ. გაკვეთილის დროს იყო გადაძახილები, ისროლნენ სხვადასხვა საგანს და დაუკითხავად დადიოდნენ საკლასო ოთახში, როცა კი მოუნდებოდათ. მათი ჩემდამი დამოკიდებულება აბსოლუტურად უარყოფითი იყო. ძალიან ვღელავდი: ერთი მხრივ, ძალიან ვწუხდი იმის გამო, რომ მათ ინტერესი ჰქონდათ დაკარგული სკოლისა და საკუთარი მომავლის მიმართ; მეორე მხრივ, როცა წარმოკიდებიდი, მომდევნო 14 კვირის განმავლობაში ასეთ გარემოში უნდა ჩამეტარებინა გაკვეთილები, ვონცებობდი, მალე მოსულიყო საზაფხულო არდადებები. ასეთი ვითარების ფონზე გადავწყვიტე, გავცნობილი ლიტერატურას იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებდნენ სხვა პედაგოგები, გაეღვივებინათ ინტერესი არამოტივირებულ მოსწავლეებში, ასევე შევეცადე, ჩამომეცალიბებინა იდეები ცვლადების შესახებ, რაც დაეხმარებოდა მოსწავლეებს სკოლაში წარმატების მიღწევაში. ცვლადები, რომლებიც შეესახებ, შედეგების ზეგავლენასა და წარმატებებს ისეთ საგნებში, როგორებიცაა: მათემატიკა, მეცნიერება, ხელოვნების ენა, სოციალური განათლება, ასევე საკუთარი თავის პატივისცემა და მოსწავლეების აზრი საკუთარ შესაძლებლობებზე.

მონაცემების უმეტესობა შეგაგროვე კვლევებიდან, ინტერეტიულებიდან და მოსწრების ფურცლიდან/დამწრეთა სიიდან, რათა გამეცა პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- რა ზეგავლენას ახდენს გაკვეთილებზე დასწრება მოსწავლის მოსწრებაზე?
- რა ზეგავლენას ახდენს მოსწავლეებზე მათი მეცნიერების მიერ საკლასო დავალებების შესრულებაზე?
- რა ზეგავლენას ახდენენ ზრდასრული პირები (მშობლები, პედაგოგები) მოსწავლეების წარმატებაზე?
- როგორი თვითშეფასება აქვთ ამ მოსწავლეებს?

ამ გამოკვლევის შედეგად ბევრი რამ ცხადი გახდა ჩემთვის. მაგალითად, მოსწავლეების ამ ჯგუფისათვის, ერთი მოსწავლის გამოყენებით, დასწრებას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ისინი სისტემატურად ქარისხით გაკვეთილებს; ასევე, არც თანაზოლების მიღწევები ახდენდა გავლენას მათ აკადემიურ მოსწრებაზე. ჩემი მოსწავლეების 63%-მას განაცხადა, რომ მათ მეცნიერებს არასოდეს წაუხალისებიათ ისინი საშინაო დავალების მოსამაზადებლად, ან არასოდეს უცდიათ, დახმარებოდნენ დავალების მომზადებაში.

ასევე გამაკვირვა იმის გაგებამ, რომ მასწავლებლის კეთილგანწყობა მოსწავლის მიღწევებზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენდა. ჩემი მოსწავლეების 99%-მა აღნიშნა, რომ ისინი არასდროს, ან ძალიან იშვიათად, ასრულებენ საშინაო დავალებას მასწავლებლისგან წახალისების მიღების მოლლოდნში. ამის საწინააღმდეგოდ, 57%-მა მიუთითა, რომ ხშირად ან ყოველთვის ისინი ასრულებენ საშინაო დავალებებს იმიტომ, რომ ოჯახის წევრებმა მათი ქცევით იამყონ.

კვლევისას ყველაზე საინტერესო აღმოჩენა იყო ის, რომ მოსწავლეების უმრავლესობის არასათანადო ქცევას განაპირობებდა საკუთარი უუნარობით გამოწვეული უქმაყოფილების გრძნობა. ისინი საშინლად იქცეოდნენ არა იმიტომ, რომ მიექციათ ყურადღება, არამედ იმიტომ, რომ არ იცოდნენ, როგორ შეესრულებინათ დავალება და ამით ცდი-

ლობდნენ, ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანათ.

როდესაც შევისწავლე მათი აკადემიური მოსწრების შედეგები და შეგადარე ბოლო სამი მეოთხედის სემესტრის ნიშნები, აღმოგაჩინე ტენდენცია, რომ პირველ და მეორე მეოთხედებს შორის მოსწავლეების აკადემიური მოსწრება გაუმჯობესდა, ანუ მოსწავლეების უმრავლესობა პირველ მეოთხედთან შედარებით უკეთესად სწავლობდა. მეორე და მესამე მეოთხედებს შორის ნიშნები საგრძნობლად გაუარესდა. შევეცადე, გამერკვია ამის მიზეზი. ერთ-ადრით სიახლე, რაც ყველა მოსწავლეს თანაბრად შეეხო ამ პერიოდში, იყო ის, რომ მესამე მეოთხედის დასაშეინიში მათთან მე შევედი კლასში.

როდესაც სემესტრის დასრულების აღსანიშნავად სამოქმედო კვლევის კლასს წარვუდებინე ჩემი პროექტი, დაგრიწმუნდი, რომ მოსწავლეების უმოტივობა ჩემი სწავლებით იყო გამოწვეული. ჩემ მიერ შეგროვებული მონაცემების ანალიზისა და დამუშავების შემდეგ დაგასცემით, რომ ერთადერთი საერთო გამოცდილება, რაც 20 ბავშვს აერთიანებდა, იყო ჩემი მონაწილეობა უნარ-ჩვევების გაკვეთილებში, თუმცა ჩემი დასკვნა სამოქმედო კვლევის კლასში მონაწილე კრიტიკულად განწყობილმა მეცნიერებმა და კოლეგებმა ადგილობრივი არ გაიზიარეს. მათ მირჩიეს, მემსჯელა მონაცემთა სხვაგვარ ინტერპრეტირებაზე. მაგალითად, შესაძლოა, ერთ საკლასო ოთახში თავმოყრილი ნებატიურად განწყობილი კრიტიკული მასა კატალიზატორი იყო მასწავლებლის საწინააღმდეგოდ მოქმედებისათვის. გარდა ამისა, უნარ-ჩვევების კლასი იყო ერთადერთი, სადაც სსენტებულ 20 მოსწავლეს ერთად უტარდებოდა გაკვეთილი. ამის შემდეგ ჩემი კვლევის შედეგები გაუუზიარე ჩემი სკოლის დირექტორს. = მან გადაწყვიტა, რომ შემდეგ წელს უნარ-ჩვევების კლასისათვის ჯგუფის დაკომპლექტებისას ეს მოსწავლეები არ მოეცველობნა ერთსა და იმავე ჯგუფში.

**ო**გორც ხედავთ, სამოქმედო კვლევა „საოცრად არაკომფორტული“ (ლითლი, 1997) რაგოლია – კვლევის დაწყებისას ჩენ წარმოდგენაც არ გვაქვს, თუ სად დასრულდება ჩენი „მოზაურობა“. სამოქმედო კვლევა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პრობლემის მოგვარების პროცესი, არის უწყვეტი კრეატიული პროცესი, რომელიც გვთავაზობს სიურპრიზებს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო კვლევის ჩატარებისათვის ეტაპების დაგეგმვამ, შესაძლოა, მხოლოდ მიგვაცვედოს და შორიდან დაგვინახვოს ის, რაც ჩენი კვლევისათვის ცენტრალური ნაწილია. კვლევის დასაშეინიში არსებული გაურკვევლობა გვაიძელებს, უკეთ გავიაზროთ საკუთარი შესაძლებლობები, რაც აუცილებელია წარმატებისათვის. წინამდებარე წიგნში არის მცდელობა, თქვენში გააძლიეროს შზაობა სამოქმედო კვლევის ჩასატარებლად.

## საგანმანათლებლო კვლევის ზოგადი მიმოხილვა

როდესაც გესმით სიტყვები – სამეცნიერო კვლევა, საგარაუდოდ, ოქვენ ფიქრობთ თეთრხალათიან მეცნიერებზე (როგორც წესი, წარმოიდგენთ მელოტ, შუახინის მამაკაცს, საწერი კალმებით გამოტენილი ჯიბით!), რომლებიც ერთმანეთში ურევენ ქიმიურ ნივთიერებებს ან თეთრი ვირთხების გამოყენებით ატარებენ ექსპერიმენტებს. ტრადიციულად მეცნიერები, რომლებიც მე საკმაოდ ბანალურად დავასასიათვ, ატარებენ თავიანთ კვლევებს იმ რწმენით, რომ „ყველა მოქმედება და მოვლენა არის სისტემური“ და, რომ „შესაძლებელია ყველა მოვლენის ახსნა“ (გეი, მილსი და აირასიანი, 2006, გვ. 5-6). ასეთ ტრადიციულ შექმნულებას, რომელიც ემპირიული მეცნიერების გამოყენებით ბუნებრივი მოვლენების ახსნის მეთოდურობას აღიარებს, ეწოდება პოზიტივიზმი.

თუმცა ადამიანი, ქიმიური ნივთიერებებისა და თაგვებისაგან განსხვავებით, საკმაოდ რთული მოვლენაა, ამასთან, მისი ქცევა შესაძლოა იყოს არამეთოდური და არაპროგნოზირებადი, რაც გამოწვევაა განათლების მკვლევრებისათვის, რადგან ისინი ცდილობენ, განათლების პროცესში, სკოლებში და გაკვეთილებზე ადამიანის ქცევის არსს ჩასწავლნენ.

ტრადიციული საგანმანათლებლო კვლევის მიზანი არის „განათლების ფენომენის ახსნა, განჭივრება და კონტროლი“ (გეი და სტვები, 2006, გვ. 5). ამისათვის მკვლევრები ცდილობენ, ცვლადებით (ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკრეტული სწავლების შედეგებზე) მანაპულირებას და მათ კონტროლს, რათა შეამოწმონ პიპოთეზა (განცადება, რომლითაც მკვლევარი წინასწარ განჭივრებს, რა მოხდება ან განმარტას, თუ რა იქნება კვლევის შედეგი).

მაგალითად, მკვლევრები შეიძლება დაინტერესდნენ კითხვის შემსწავლელი ფონეტიკური მეთოდით (დამოუკიდებული ცვლადი) და მისი გავლენით ბავშვების მიერ კითხვის სწავლის დონეზე (დამოუკიდებული ცვლადი). მკვლევრებმა შეიძლება წამოაყენონ პიპოთეზა, რომ ფონეტიკური პროგრამის გამოყენებით მოსწავლეები ნაკლებ დროს ანდომებდნენ კითხვის სწავლას. ამ პიპოთეზის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად შეიძლება დავაკვირდეთ მოსწავლეთა იმ ერთი ჯგუფის მიერ კითხვის სწავლის პროგრესს, რომლებსაც კითხვა ასწავლეს ფონეტიკური პროგრამის გამოყენებით (ექსპერიმენტული ჯგუფი) და შეადარინ ბავშვთა სხვა ჯგუფის კითხვის სწავლის პროგრესს (საკონტროლო ჯგუფი), რომლებმაც კითხვა ისწავლეს ფონეტიკური პროგრამის გამოყენების გარეშე. ბავშვებს, შემთხვევითობის პრინციპით, შეიყვანენ ექსპერიმენტულ ან საკონტროლო ჯგუფში. ექსპერიმენტის ბოლოს, მკვლევრები შეადარებენ თითოეული ჯგუფის პროგრესს და გადაწყვეტენ, რამდენად შეიძლება დავგთანხმოთ ან უარყოთ პიპოთეზა წინასწარ განსაზღვრულ სტატისტიკურ შიგნელოვნებაზე დაყრდნობით (მაგალითად, საკონტროლო ჯგუფის საშუალო არითმეტიკული კულსა და ექსპერიმენტული ჯგუფის საშუალო არითმეტიკულს შორის სხვაობა არის დიდი, სტანდარტულ ცდომილებასთან შედარებით). ბოლოს, მკვლევრები კონფერენციაზე წარმოადგინენ კვლევის აღმოჩენებს და შესაძლოა, შედეგებიც გამოაქვეყნონ.

ეს პროცესი შეიძლება ძალით მარტივად გამოიყერებოდეს. თუმცა საკლასო ოთახსა და სასკოლო დაწესებულებებში ყველა ფაქტორის გაკონტროლება, რაც ზეგავლენას ახდენს სწავლების შედეგებზე გაკვეთილის ნორმალური მსგლელობის დარღვევის გარეშე, საკმაოდ რთულია. მაგალითად, როგორ გავიგოთ, რომ ფონეტიკური პროგრამა არის ერთადერთი ცვლადი, რომელიც დადგებითად მოქმედებს მოსწავლეების მიერ კითხვის სწავლის დონეზე? შესაძლოა, ზოგიერთ მოსწავლეს სახლში უკითხავდნენ თავიანთი შშობლები; შესაძლოა, ერთი მასწავლებული უფრო ეფუქტურია, ვიდრე

მეორე; შესაძლოა, მოსწავლეთა ერთ ჯგუფს უზღდება უფრო საინტერესო წიგნების წაკითხვა, ვიდრე მეორეს; შესაძლოა, ერთი ჯგუფი ბავშვებისა საკითხავ მასალაზე კონცენტრირებას ვერ ახდენს იმ მარტივი მიზეზით, რომ დილით არ უსაუზმიათ!

სამოქმედო კვლევის ჩამტარებლებს კარგად ესმით და ითავისებენ ამ სირთულეებს და არ ცდილობენ მათ კონტროლს. გარდა ამისა, სამოქმედო კვლევის ჩამტარებელი მკვლევრები განსხვავდებიან ტრადიციული მკვლევრებისაგან, რადგან მათ გადაწყვეტილი აქვთ, იმოქმედონ და საკუთარი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით პოზიტიური ზეგავლენა მოახდინონ საგანმანათლებლო ცვლილებაზე, და არ დაქმაყოფილდნენ მხოლოდ სხვებისთვის კვლევის შედეგების გაზიარებით. მეორე სხვაობა ისაა, რომ იმ დროს, როდესაც საგანმანათლებლო კვლევას ისტორიულად ატარებდნენ უნივერსიტეტის პროფესორები, მეცნიერები და მაგისტრანტები, ბავშვებზე, პედაგოგებსა და დირექტორებზე სამოქმედო კვლევის ჩამტარებლები ხშირად არიან სკოლის მასწავლებლები და სკოლის დირექტორები, რომლებიც თავად იყვნენ საგანმანათლებლო კვლევის სუბიექტები. მდგარად, ისინი მონაწილეობენ საკუთარ კვლევებში და ერთდროულად მოქმედებენ როგორც პედაგოგი და მკვლევარი. პედაგოგის კვლევა უფრო და უფრო პრიორიტეტული ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ჯორჯ ვ. ბუშის საგანმანათლებლო გეგმის ნაწილი – „არც ერთი ბავშვი არ უნდა ჩამორჩეს.“ მიიგოს (2001) თანახმად, ეს კანონმდებლობა არის „სრულყოფილი“, „ფართო“, „პერსპექტიული“ და „უპრეცედენტო“. როგორც ამ კანონმდებლობის ნაწილი, შტატებს მოეთხოვებათ, ყოველწლიურად შეამოწმონ მე-3 – მე-8 კლასებში მოსწავლეები კითხვასა და მათებატიყაში და დააწესონ სანციები იმ სკოლებისთვის, რომლებიც ვერ მოახერხებენ „ყოველწლიურად ადეკვატური პროგრესის“ მიღწევას (მიიგო, 2001, გვ. 2). კაშირი ამერიკის ასეთი სახის კანონმდებლობასა და სამოქმედო კვლევას შორის აშკარა: როგორ შეუძლიათ პედაგოგებს, დაგვინახონ, რომ თავიანთი სწავლებით გავლენას ახდენენ ყველა მოსწავლეზე? სამოქმედო კვლევა უზრუნველყოფს პედაგოგებს ფილოსოფიური დოქტრინით და პრაქტიკით, რაც საშუალებას აძლევს მათ, სისტემატურად გაეცნონ მათი სწავლების გავლენას მოსწავლეების განათლებაზე.

და ბოლოს, განსხვავებული საკვლევი საკითხები მოითხოვენ განსხვავებულ კვლევის მეთოდებს. ეს მეთოდები საგანმანათლებლო კვლევის შემთხვევებში ხშირად იყოფა რაოდენობრივ ან ხარისხობრივ კვლევაზე. რაოდენობრივი კვლევა ყურადღებას ამახვილებს მცირე რაოდენობის ცვლადების კონტროლზე, რათა განსაზღვროს მიზეზშედეგობრივი კავშირი ან/და გააძლიეროს ეს კავშირი. კვლევის ეს სახე იყენებს რიცხვებს, რათა დათვალის მიზეზშედეგობრივი კავშირი. რაოდენობრივი კვლევის ჩამტარებლები, როგორც წესი, მონაწილეებთან, რომელთაც შესწავლიან, უშუალოდ არ ურთიერთობენ, ვინაიდან მონაცემთა უმეტესობა მოიპოვება კითხვარების შექსების ან საბუთების შეგროვების გზით, ანუ არაინტერაქტიული საშუალებით. ხარისხობრივი კვლევა მონაცემთა შეგროვების დროს იყენებს თხრობით, აღწერილობით მიდგომას, რათა გაიგოს მოვლენათა რაობა და კვლევის მონაწილეთა მიერ საგნის აღჭმის ხარისხი. ხარისხობრივ კვლევაში შეიძლება იგულისხმებოდეს, მაგალითად, პირისპირ ინტერვიუირება, დაკვირვება, ინტერვიუ, ვიდეოჩანაწერი. საკვანძო კონცეფციების გრაფა №1-1 ერთმანეთს ადარებს ტრადიციულ კვლევას და სამოქმედო კვლევას.

მიუხედავად სხვაობისა, ეს ორი მიდგომა განხილულ უნდა იქნეს ურთიერთ-გამორიცხვის პრინციპით; კვლევამ შესაძლოა მოიცავს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ტექნიკა. კვლევა, რომელიც იყენებს ორიგეს, რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემთა შეგროვებას ერთჯერადი კვლევის დროს, ეწოდება კვლე-

**გის შერეული მეთოდი.** მაგალითად, მკვლევრებს აინტერესებთ კავშირი მოსწავლის მიღწევებსა და ოვითშეფასებას შორის, რაც შეიძლება შემოწმდეს სკოლის მოსწავლების საშუალო ქულების შედარებით მრავალვარიანტიანი პასუხისმომსახულის გათვალისწინებული კითხვარების შეცვლით მიღებულ ქულებთან, რითაც განისაზღვრება ოვითშეფასების დონე. ამ როველ ურთიერთყავშირზე უფრო ღრმა წარმოდგენის შესაქმნელად მკვლევრებმა დამატებითი მასალის შესაგროვებლად უნდა ჩაატარონ ინტერვიუ და დააკვირდნენ მოსწავლეების გარკვეულ რაოდენობას.

მკვლევრის გამოკვეთილი საკვლევი შეკითხვა ან პრიორიტეტული სფერო განსაზღვრავს გამოსაყენებლად ყველაზე მართებულ მიღებას (რაოდენობრივს ან ხარისხობრივს). იმის გამო, რომ სამოქმედო კვლევის ჩამტარებლების უმრავლესობა იყენებს თხრობით, აღწერილობით მეთოდს, წიგნში ყურადღება გამახვილებული იქნება ხარისხობრივი კვლევის გამოყენებაზე, თუმცა მესამე თავში შესულია ქვეთავი სახელწოდებით: „მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი ტექნიკა“.

### საკვანძო კონცეფციების გრაფა №1-1.

ტრადიციული და სამოქმედო კვლევის შედარება		
რა?	ტრადიციული კვლევა	სამოქმედო კვლევა
ვინ?	ტარდება უნივერსიტეტის პროფესიონალების, მეცნიერებისა და აკადემიური ხარისხის (მაგისტრი) მქონე სტუდენტების მიერ ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების მაგალითზე	ტარდება პედაგოგებისა და დირექტორების მიერ, მათი აღსაზრდელი ბავშვების მაგალითზე
სად?	გარემოში, სადაც შესაძლებელია ცვლადების მართვა	სკოლებსა და საკლასო ოთახებში
როგორ?	რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით წინასწარ დადგენილი სტატისტიკის მიხედვით ვაჩვენებთ ცვლადებს შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირს	ხარისხობრივი მეთოდის გამოყენებით აღვწერთ, თუ რა ხდება და ვიგებთ პედაგოგიური ჩარევის შედეგს
რატომ?	გავაკეთოთ მოხსენება და გამოვაქვეყნოთ დასკვნები, რაც შესაძლოა განზოგადდეს ფართო მასებისათვის.	მიეღილოთ ქმედითი ზომები და გამოკვლეულ კონკრეტულ სასკოლო გარემოში საგანმანათლებლო ცვლილებაზე პოზიტიური გავლენა მოვახდინოთ

### სამოქმედო კვლევის განსაზღვრება

გასული ათწლეულის განმავლობაში ბევრ სკოლაში, კოლეჯში და პედაგოგიურ ფაკულტეტზე ტიპური სავალდებულო კვლევა შეიცვალა: ტრადიციული კვლევების მეთოდებს ჩაენაცვლა უფრო პრაქტიკული კვლევის კურსები, რაც ყურადღებას ამახვილებს სამოქმედო კვლევის საგანზე ან მოიცავს მას. თუმცა რა არის სამოქმედო კვლევა და რატომ იპყრობს იგი პედაგოგთა, ხელმძღვანელთა და პოლიტიკის განმსაზღვრელ პირთა ყურადღებას?

**სამოქმედო კვლევა** არის მკვლევარი პედაგოგების, დირექტორების, სასკოლო საბჭოს წარმომადგენლების ან სასწავლო/პედაგოგიურ დაწესებულებებში მომუშავე სხვა დაინტერესებული პირების მიერ ჩატარებული ნებისმიერი სახის მეთოდური გამოკვლევა კონკრეტული სკოლის საქმიანობის, სწავლა-განათლებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწორების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. აღნიშნული ინფორმაციის შეგროვების მიზანია, ჩატვრდეთ არსეს, განვავითაროთ აზროვნების კულტურა, სასკოლო გარემოში (და საერთოდ საგანმანათლებლო პროცესში) დადგებით ცვლილებებზე მოუახდინოთ ზეგავლენა და გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა შედეგები, აგრეთვე მათი, ვინც ამ პროცესშია ჩართული.

სამოქმედო კვლევა არის კვლევა, რომელსაც პედაგოგები საკუთარი თავისთვის ატარებენ; იგი არ ტარდება გარე პირების მიერ. სამოქმედო კვლევის დროს პედაგოგები ჩაბმული არიან ოთხსაფეხურიან პროცესში, ეს საფეხურებია:

1. პრიორიტეტული სფეროს განსაზღვრა
2. მონაცემთა შეგროვება
3. მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტირება
4. სამოქმედო გეგმის შემუშავება

სანამ კონკრეტულად განვიხილავთ ხსნებულ ოთხ საფეხურს, ჩვენ გავაანალიზებთ სამოქმედო კვლევის ისტორიულ წარსულს და თანამედროვე სამოქმედო კვლევის პრაქტიკის თეორიულ საფუძვლებს. მოცემული აღწერების წაკითხვისას განიხილეთ, რომელი ფილოსოფიური დოქტრინა მიესადაგება თქვენს შეხედულებებს ცველაზე კარგად სამოქმედო კვლევაზე, სწავლებასა და სწავლაზე. შემდეგ განსაზღვრეთ, თუ როგორ გამოიყენოთ სამოქმედო კვლევა თქვენს პროფესიულ ცხოვრებაში.

## სამოქმედო კვლევის წარმოშობა

ზოგიერთმა მკვლევარმა სწავლების პარალელურად კვლევის ისტორია კარგად აღწერა და განხილა (ადელმანი, 1993; გუნზი, 1996; კემისი, 1988; ნოფკე, 1994). 1934 წელს ტერმინ „სამოქმედო კვლევას“ გამოვინებას ხშირად მიაწერენ ქურტ ლევინს (1890-1947). 40-იანი წლების დასაწყისში პრაქტიკული გამოცდილების კონკრეტული მაგალითების მიხედვით სამოქმედო კვლევა მან აღიქვა როგორც პროცესი, რომელიც „კოლექტიურ კვლევა „პირად სირთულეებში“ მონაწილე ჩვეულებრივ ადამიანებში აზროვნების, დისკუსიის, გადაწყვეტილების მიღების რწმენას ავითარებს“ (ადელმანი, 1993, გვ. 8).

ჯონ დევის (ნოფკე, 1994) ნაშრომის მიხედვით, ადრეული სამოქმედო კვლევის ბევრი მიმდევარი სამოქმედო კვლევის სხვადასხვა მიმდინარეობას ემზრობოდა, ამერიკის სამოქმედო კვლევის ჯგუფის ჩათვლით, რომლის წარმოშობაც დაკავშირებულია პროგრესულ საგანმანათლებლო მოძრაობასთან; აღსანიშნავია დიდ ბრიტანეთში სასწავლო პროგრამის რეფორმირების მცდელობები და დიდი პროფესიონალიზმი სწავლებაში (ელიოტი, 1991); ავსტრალიის ძალისხმევა სასწავლო პროგრამის ერთობლივად დაგეგმვის მასშტაბურ მოძრაობაში (კემისი, 1988).

როგორც ხედავთ, კვლევა სწავლების პარალელურად ვითარდებოდა მნიშვნელოვნად განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობისა და სოციოპოლიტიკური კონტექსტის ფონზე. თუმცა, ამის მიუხედავად, მთავარი აქცენტი კვლევის განვითარების მცდელობის დროს მიმართული იყო მოსწავლეთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე. როგორც ნოფკე (1994) შეგვახსენებს, უნივერსიტეტებში მოღვაწე პირების მიერ დაწერილი სწავლების პროცესში კვლევის შესახებ ანგარიშის წაკითხვა არ მოგვცემს მასწავლებლის პედაგოგიური გამოცდილების რეალურ სურათს და ვერ

დაგვინახვებს, თუ რისი მიღწევა სურთ მათ სწავლების პარალელურად კვლევაში მონაწილეობის გზით. შესაბამისად, წინამდებარე წიგნში ყურადღება გამახვილებულია პედაგოგის შემოწმებაზე, რაც დაკავშირებულია ბავშვების აღზრდასთან და სწავლების პარალელურად კვლევის პროცესში პედაგოგებთან, ხელმძღვანელებთან, სკოლის საბჭოს წევრებთან და ბავშვების მშობლებთან თანამშრომლობასთან.

თეორიული შეხედულებები და ფილოსოფიური დოქტრინები, რომელთა მეშვეობითაც თანამედროვე მეცნიერობა პედაგოგთა პრატიკას ვეცნობით, ისევე მრავალმხრივა, როგორც სწავლების პარალელურად კვლევის ისტორიული წინამორბედები. მომდევნო ქვეთავები ზოგადად მიმოიხილავს სწავლების პარალელურად კვლევის ორ ძირითად თეორიას: კრიტიკულს (ან თეორიაზე დაუფარგიზულს) და პრაქტიკულს.

ԱՐԴԻՇՈՒՆՈՒ ՏԱՅՐԱՎԵԼՈ ԿՅԱՋԱ

კრიტიკულ სამოქმედო კვლევას ასევე უწოდებენ განმათავისუფლებელ (ემანსი-პატორულ) სამოქმედო კვლევას, რადგან მისი მიზანია განთავისუფლება ცოდნის დაგროვების გზით. ტერმინი კრიტიკული სწავლების პარალელურად კვლევა მომდინარეობს კრიტიკული თეორიების ჯგუფიდან, რომელსაც ეს კვლევა ეფუძნება, თუმცა არა იმიტომ, რომ ამ ტაიპის კვლევა არის კრიტიკული, როგორიც, მაგალითად, „შეცდომების პოვნა“ ან „ნიშანდობლივი“, თუმცა ტერმინის წარმოშობას შეიძლება ორივე მიზეზი ედოს საფუძვლად! კრიტიკული სამოქმედო კვლევის ღოგიკური ახსნა მოცემულია სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების კრიტიკულ თეორიაში, ისევე, როგორც პოსტმოდერნისტულ თეორიებში.

სწავლების პარალელურად კვლევის კრიტიკულ თეორიასა და სოციალურ და პუმანიტურულ მეცნიერებებს აქვთ რამდენიმე ძირითადი მიზანი (კემისი, 1998). ეს მსგავსი ინტერესები ან „ინტერესთა საერთოობა“ გულისხმობს:

1. სწავლების პროცესში საერთო ინტერესებს.
  2. საერთო ინტერესებს ინდივიდების ტრადიციის, ჩვეულებისა და ბიუროკრატიის გავლენისგან გათავისუფლების პროცესში.
  3. რეფორმის პროცესში აქტიური მონაწილეობის ვალდებულების აღებას.

კუნძულის მიხედვით (1997), პრატიკულზე კყლევის გავლენის ნაკლებობა აისახება საჯარო ათავსუფლო კლევის შემთხვევაში:

- იგი არის დამაჯერებელი და დასაძლევად როტულია პედაგოგებისთვის.
  - არ შეესაბამება პედაგოგთა ყოველდღიურ პრაქტიკას – აკლია პრაქტიკულობა.
  - არ არის გამოხატული ისეთი საშუალებით, რაც მისაღები იქნებოდა პედაგოგებისთვის.

პოსტმოდერნისტული ხედგა ყურადღებას ამახვილებს ბევრ ზემოთ მოყვანილ საკითხზე და მხარს უჭირს კვლევას, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საგანმანათლებლო სფეროზე არსებულ დადასტურებულად მიჩნეულ მოსაზრებებს და წარმოგვიდებებს შედარებით, პირობით გამოცდილებაზე დაფუძნებულ ჰქეშმარიტებებს. შესაბამისად, თუმცა კვლევას შეუძლია დაგვეხმაროს, ღრმად ჩავწევდეთ პრაქტიკას (სხვა პედაგოგების საცალასო ოთახებსა და სკოლებში ჩატარებული კვლევის მეშვეობით), თქვენს კლასში/სკოლაში ჩატარებული სწავლების პარალელური კვლევა უფრო დამაჯერებელი და რელევანტურია, გაკეთებული აღმოჩენები კი საგულისხმო და მრავლისმთქმელია თავად პედაგოგებისათვის.

პოსტმოდერნისტული თეორია კრიტიკულად იხილავს და ამოწმებს ცოდნის მიღების მექანიზმს და ამოწმებს ბევრ იმ შეხედულებას, რასაც თანამედროვე ცხოვრება უფუძნება. შესაბამისად, ის გვიჩიძებს, „შევმოწმოთ ჩვეულებრივი, ყოველდღიური, დამტკიცებულად მიჩნეული მოსაზრებები, რომელთა საფუძველზეც ვგეგმავთ და ვასორციელებთ ჩვენს პირად, სოციალურ და პროფესიულ აქტივობებს“ (სტრინგერი, 1996, გვ. 156). კვლევა სწავლების პარალელურად გვაძლევს საშუალებას, შევამოწმოთ და წარმოვადგინოთ კონცექსტიდან გამომდინარე კლასის პედაგოგების გამოცდილება.

ლირებულებები, რომელთაც კრიტიკული სამოქმედო კვლევა უფუძნება, გვირჩევს, რომ საგანმანათლებლო კვლევა იყოს სოციალურად აქტუალური, ისევე როგორც:

1. დემოკრატიული – ხალხისათვის მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის მიცემა.
2. ერთობლივი – შემსწავლელთა საზოგადოების შექმნა.
3. გამაძლიერებელი – მძიმე, შემასუსტებელი გარემოსგან გათავისუფლება.
4. წამახალისებელი – ხალხის შესაძლებლობების მაქსიმუმის გამომჟღავნებისათვის ხელის შეწყობა. (სტრინგერი, 2004, გვ. 31)

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ თეორიაზე დაფუძნებულ კრიტიკულ მიდგომას არა-პრაქტიკულობის გამო აკრიტიკებდნენ (ჰამერსლი, 1993), მისი გათვალისწინება მაინც მნიშვნელოვანია, რადგან იგი სთავაზობს სასარგებლო ევრისტიკულ მეთოდს, ან პრობლემის მოგარების გზებს იმ პედაგოგებს, რომლებმაც გადაწყვიტს, სამოქმედო კვლევის მეშვეობით გამოიკვლიონ თავიანთ პრაქტიკაში არსებული, დადგენილად მიღებული, კავშირები და პრაქტიკები. საკვანძო კონცეფციების გრაფა №1-2-ში შეჯამებულია სამოქმედო კვლევის კრიტიკული მიდგომის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტები.

### პრაქტიკული სამოქმედო კვლევა

**პრაქტიკული სამოქმედო კვლევა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ „როგორ“ მივუდეთ სამოქმედო კვლევის პროცესს და ნაკლებად „ფილოსოფიური“ ხასიათისაა. გარკვეულწილად, იგი მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური პედაგოგები და პედაგოგთა ჯგუფები არიან დამოუკიდებლები და შეუძლიათ განსაზღვრონ ჩასატარებელი კვლევის ხასიათი. კვლევა ასევე მიიჩნევს, რომ მკვლევარ პედაგოგებს ნაკისრი აქვთ გრძელვადიანი პროფესიული განვითარებისა და სკოლის გაუმჯობესების ვალდებულება და რომ მკვლევარ პედაგოგებს სურთ თავიანთი პრაქტიკის სისტემატური განხილვა. და ბოლოს, პრაქტიკული სამოქმედო კვლევის მიდგომის თანაბად, გადაწყვეტილების მიმღები პირები, მკვლევარი პედაგოგები თავად ირჩევენ პრიორიტეტულ სფეროს, განსაზღვრავენ მონაცემთა შეგროვების ტექნიკას, ახდენენ მონაცემთა ანალიზსა და ინტერპრეტირებას და ავითარებენ სამოქმედო გეგმას, კვლევის აღმოჩენებზე დაკრძნობით. ეს მოსაზრებები შევამებულია საკვანძო კონცეფციების გრაფა №1-3-ში**

## საკუანძო კონცეფციების გრაფა №1-2.

სამოქმედო კვლევის კრიტიკული მიღების შემადგენელი ნაწილები	
საკუანძო კონცეფცია	მაგალითი
სამოქმედო კვლევა არის ერთობლივი და დემოკრატიული	თქვენს პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოყავით სფერო, რომელიც, თქვენი აზრით, შეიძლება გაუმჯობესდეს (მოსწავლეებისაგან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით). თქვენ გადაწყვიტეთ, გამოგეკვლიათ თქვენი კვლევის ზეგავლენა და შეგემოწმებინათ, რამდენად შეუძლია მას რაიმის შეცვლა.
სამოქმედო კვლევა არის სოციალურად აქტუალური და ტარდება კონტექსტიდან გამომდინარე	თქვენ შეწუხებული ხართ იმით, რომ თქვენს კლასში უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები (მაგალითად ისინი, ვისთვისაც ინგლისური მეორე ენა) არ არიან გათვალისწინებული სასწავლო პროგრამასა და სწავლების სტრუქტურულად სენსიტიური საკითხია. თქვენ გადაწყვიტეთ, შეისწავლოთ უკეთ, თუ როგორ ასწავლოთ ბავშვებს, რომლებისთვისაც ინგლისური არის მეორე ენა და განახორციელოთ ზოგიერთი სტრატეგია.
სამოქმედო კვლევა ეხმარება მკვლევარ პედაგოგებს, შეამოწმონ ყოველდღიური, დადგენილი წესები, რომელთა მიხედვითაც ისინი ახორციელებენ პრაქტიკულ მუშაობას.	თქვენ მიღეთ მათემატიკაში პრობლემის მოგვარების ახალი სასწავლო პროგრამა და გადაწყვიტეთ, შეამოწმოთ მისი გავლენა მოსწავლეების მოსწრებაზე პრობლემის გადაჭრისას მრავალპასუხისმართვის შეკითხვისა არსებობის შემთხვევაში და, ზოგადად, მოსწავლეების დამოკიდებულებაზე მათემატიკის მიმართ.
სამოქმედო კვლევის შედეგად შეძენილმა ცოდნამ შეიძლება გაათავისუფლოს მოსწავლეები, პედაგოგები და ადმინისტრატორები და გააძლიეროს ცოდნის მიღების, სწავლებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესი.	თქვენს სკოლას აქვს მოსწავლეების მიერ გაკვეთილების გაცდენის მაღალი მაჩვენებელი, მიუხედავად მთელ ოლქში გაცდენებთან დაკავშირებით დადგენილი ახლი წესებისა. თქვენ იკვლევთ კოლეგების, მოსწავლეებისა და მშობლების მოსაზრებას გაცდენებთან დაკავშირებით, რათა უკეთ გაიგოთ, რატომ არ აქვთ გაცდენებთან დაკავშირებულ წესებს სასურველი შედეგი. იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაციას მიიღებთ, თქვენ განახორციელებთ გაცდენებთან დაკავშირებით ახალ პოლიტიკას და სისტემატურად გააკონტროლებთ მის გავლენას გაცდენების ღონესა და მოსწავლეების დამოკიდებულებაზე სკოლის მიმართ.

### სამოქმედო კვლევის მიზნები და საფუძველი

თუმცა სამოქმედო კვლევის კრიტიკული/პოსტმოდერნისტული და პრაქტიკული თეორიები ექრძნობიან რადიკალურად განსხვავებულ მსოფლმხედველობას, ეს ორი მნიშვნელოვნად განსხვავებული ფილოსოფია იზარებს საერთო მიზნებს, რაც ხელს უწყობს არსებულ ნებისმიერ ფილოსოფიურ, ისტორიულ, სოციალურ და რეგიონულ სახესხვაობათა დაკავშირებას.

ორივე ფილოსოფიური დოქტრინის გამოყენებით ჩატარებული სამოქმედო კვლევა კველას, ვინც ამ პროცესში ჩართულია, შესაძლებლობას აძლევს, გააუმჯობესონ ბავშვების ცხოვრება და შეისწავლონ სწავლების ხელოვნება. ყველა მკვლევარი, მიუხედავად მათი კონკრეტული მსოფლმხედველობისა თუ შეხედულებისა, დაკავებულია

საკულასო ოთახში სწავლების პრინციპების კრიტიკული შესწავლითა და მოწაფეებზე პედაგოგების ზეგავლენის შესწავლით.

### საკვანძო კონცეფციების გრაფა №1-3.

სამოქმედო კვლევის პრაქტიკული ხედვის შემადგენელი ნაწილები	
საკვანძო კონცეფცია	მაგალითი
მკვლევარ პედაგოგებს აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება	თქვენმა სკოლამ მიიღო მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია სკოლაზე, რაც შესაძლებლობას აძლევს პედაგოგებს, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უშუალო ზეგავლენას მოახდენს სწავლა-განათლებაზე. გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მინიჭებით თქვენ, როგორც მიმდინარე პროფესიული განვითარების შემადგენელი ნაწილი, იყვლევთ ახლად მიღებული სასწავლო პროგრამის ზეგავლენას მოსწავლეების უნარებსა და მათ დამოკიდებულებაზე.
მკვლევარი პედაგოგები იღებენ ვალდებულებას, ჩატან მიმღინარე პროფესიული განვითარებისა და სკოლის გაუმჯობესების პროცესში	შტატის მასშტაბით შეფასებული ტესტებისა და საკულასო ოთახებში წარმოებული დაკვირვებების საფუძველზე თქვენი სკოლის პედაგოგები და დირექტორები აღგენენ, რომ კითხვის უნარები სუსტია. პერსონალი ერთობლივად დაადგენს სკოლაში გასაუმჯობესებელ სფეროს და განსაზღვრავს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, რაც შესაძლებლობას მისცემს პედაგოგებს, შეცვალონ კითხვის სწავლების მეთოდები.
მკვლევარ პედაგოგებს სურთ, გაანალიზონ საკუთარი პრაქტიკული საქმიანობა	თქვენ ხართ სკოლის წარმატებული პედაგოგი, რომელიც სისტემატურად აანალიზებს ყოველდღიურ პედაგოგიურ საქმიანობას და ფიქრობს, თუ რომელი სფერო შეიძლება გაუმჯობესდეს. თქვენ გჯერათ, რომ პროფესიონალი პედაგოგი ნიშნავს, გქონდეთ სურვილი, სისტემატურად შეამოწმოთ თქვენი სწავლების ეფექტურობა.
მკვლევარი პედაგოგები გამოიყენებენ სისტემატურ მიდგომას, რათა შეაფასონ საკუთარი პრაქტიკული მოღვაწეობა	მთელი სკოლის მასშტაბით კითხვის უნარების გაუმჯობესებაზე ყურადღების გამახვილებით, თქვენ გადაწყვიტეთ კითხვის შემსწავლელი ახალი სასწავლო პროგრამის ეფექტურობის გაუმჯობესდება და კითხვის გაკვეთილებზე დაკვირვება სწავლების მეთოდების ვიდეოჩაწერით (თვეში ერთხელ), კითხვის უნარების შემოწმებაზე თვალყურის გადევნებით (კვირაში ერთხელ), თქვენს საკულასო ოთახში მოწაფეებისათვის ინტერვიუს ჩამორთმევით (ერთხელ სემესტრში), და მთელი შტატის მასშტაბით ტესტირებით (აკადემიური წლის ბოლოს).
მკვლევარი პედაგოგები აირჩევენ პრიორიტეტულ სფეროს, განსაზღვრავენ მონაცემთა შეგროვების მეთოდს, მოახდენენ მონაცემთა ანალიზსა და ინტერპრეტირებას, და შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას.	რომ გავაგრძელოთ ზემოთ მოყვანილი მაგალითი, თქვენ ყურადღება გაამახვილეთ კითხვის შესწავლაში ახალი სასწავლო პროგრამის ეფექტურობასა და სწავლების სტრატეგიებზე. თქვენ გადაწყვიტეთ, მონაცემების შეგროვებისას გამოიყენოთ გაკვეთილების ვიდეოჩაწერები, რეგულარული შემოწმებები, ინტერვიუები და მთელი შტატის მასშტაბით ტესტირება. ერთი წლის განმავლობაში შეცადეთ, თქვენ მიერ შეგროვებული მონაცემების ინტერპრეტირებას და ნახავთ, თუ რას გიჩვენებთ აღნიშნული მონაცემები ახალი სასწავლო პროგრამის ეფექტურობასა და სწავლების მეთოდებზე. როდესაც მონაცემები მთლიანად შეგროვდება და გაანალიზდება, თქვენ გადაწყვეტ, რა უნდა მოიმოქმედოთ, რათა დახვეწოთ, გაუმჯობესოთ ან შეინარჩუნოთ კითხვის ცოდნის დონე და სწავლების მეთოდები.

ამ დროისთვის ცხადია, რომ საგანმანათლებლო ცვლილება, რომელიც მოწაფეთა ცხოვრებას აუმჯობესებს, არის სამოქმედო კვლევის მთავარი მიზანი, თუმცა სამოქმედო კვლევაში ასევე შესაძლოა გააუმჯობესოს პროფესიონალების ცხოვრებაც.

ოსტერმანისა და კოლეკამპის (1993) თანახმად, სამოქმედო კვლევა ხელს უწყობს ასევე პროფესიულ ზრდას:

1. ყველას უნდა მიეცეს პროფესიული განვითარების შესახებ.
2. ყველა სპეციალისტს უნდა პროფესიულად გაიზარდოს.
3. ყველა სპეციალისტს შეუძლია ისწავლოს.
4. ყველა სპეციალისტს შესწევს უნარი, პროფესიული ზრდისა და განვითარების პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე.
5. ხალხისთვის საჭირო და აუცილებელია საკუთარ საქმიანობაზე ინფორმირებულობა.
6. თანამშრომლობა აუმჯობესებს პროფესიულ განვითარებას (გვ.46).

სამოქმედო კვლევა ძირითადად პედაგოგების პროფესიულ განვითარებას შეეხება, რაც გულისხმობს პედაგოგების წახალისებას, რათა გააგრძელონ სწავლა – საკლასო ოთახებში და პრაქტიკულად. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო კვლევა არ არის უნივერსალური საშუალება საგანმანათლებლო რეფორმაში სირთულეების დასაძლევად, იგი პედაგოგთა პროფესიული მომზადებულობის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან საშუალებას აძლევს პედაგოგებს, აჩვენონ თავიანთ მოწაფეებს, თუ როგორ ხდება ცოდნის შეძენა.

სამოქმედო კვლევა ასევე გულისხმობს ყოველდღიურ სწავლების პროცესში სრულყოფისკენ სწრაფვას – სურვილს, კრიტიკულად შეაფასონ საკუთარი სწავლების მეთოდები, რათა გააუმჯობესონ ან აამაღლონ იგი. ეს ნიშნავს იმ პრიციპის გაზიარებას, რომ შენ, როგორც პედაგოგი, შორს ხარ იდეალურისაგან, მაგრამ მაინც მიიღოტვი მისკენ – ეს არის განათლების არსა! სამოქმედო კვლევა მნიშვნელოვანად ეხმარება პროფესიულ სრულყოფას, რასაც პედაგოგები იზარებენ, რადგან ის უბიძებს მათ, შეამოწმონ დინამიკა თავის კლასში, აწონ-დაწონონ მოქმედებები და მოსწავლეების დამოკიდებულება, დაასაბუთონ და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ არსებული პრაქტიკა, და გარისკონ ამ პროცესში. როდესაც, სამოქმედო კვლევის დახმარებით, პედაგოგები ახლებურად შეხედავენ როგორც საკუთარ, ისე თავიანთი მოსწავლეების ქცევას, ისინი შეძლებენ:

- ინფორმირებულობის გადაწყვეტილება მიიღონ იმის შესახებ, თუ რა უნდა შეიცვალოს ან, პირიქით, არ შეიცვალოს.
- ადრე მიღებული ცოდნა დაუკავშირონ ახალშექრისლ ინფორმაციას.
- ისწავლონ საკუთარ გამოცდილებაზე (შეცდომებსა და წარუმატებლობაზე).
- დასვან კითხვები და სისტემატურად ეძებონ პასუხი. (ფურცელი და კოორდინაცია, 1997).

პედაგოგების მიერ პროფესიული პრობლემის მოგვარება აუმჯობესებს როგორც მათ პრაქტიკულ საქმიანობას, ასევე მოსწავლეების შედეგებსაც და გვაჩვენებს მიზეზს, თუ რატომ უნდა ჩატარდეს სამოქმედო კვლევა.

## **სამოქმედო კვლევის საჭიროება: სამოქმედო კვლევის გავლენა პრაქტიკაზე**

სამოქმედო კვლევის კურსის დასაწყისში ხშირად ვთხოვდი პედაგოგებს, განეხილათ, თუ რას აკეთებდნენ ისინი სკოლაში და საკლასო ოთახებში; ანუ, რას განიხილავდ-

ნენ დადგენილად სკოლაში და რას ეფუძნებოდა მათი პრაქტიკა? ხშირად მათი პასუხები შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

დაწყებით კლასებში მნიშვნელოვანია უნარების გაკვეთილის დილით ჩატარება, ხოლო სოციალურ მეცნიერებათა საგნებში – შუადღეზე, რადგან ამ დროს ბავშვები უკეთესად ახდენენ კონცენტრირებას და უკეთ სწავლობენ.

ბავშვების სრული ჯგუფის (მე-3 კლასებური) ეფექტურად სწავლებისათვის საუკეთესო გზა არის, რომ მათემატიკის გაკვეთილზე ისინი დასვათ წრეში. ასეთ შემთხვევაში ისინი პედაგოგთან ახლოს არიან და უფრო ყურადღებით უსმენენ გაკვეთილზე განხილულ საკითხებს.

საშუალო სკოლებში სწავლებისათვის განკუთვნილი ოპტიმალური დრო არის 43 წუთი. ამ დროის გადაცილების შემდეგ მოსწავლები ხდებინ მოუსვენრები და კარგავენ კონცენტრაციას. შესაბამისად, ვფიქრობ, „ლექციების დროის გახანგრძლივება, გაკვეთილების რაოდენობის შემცირების ხარჯზე“ არის მცდელობა, დავემსგავსოთ დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს.

თუ ჩვენ, უბრალოდ, გაიგაცნობთ მოსწავლეებს, თუ რა კრიტერიუმებს ვიყენებთ მათი ცოდნის შეფასებისას, ისინი ავტომატურად გააუმჯობესებენ სწავლის შედეგებს ტესტებისას და ასეთ შემთხვევაში არ იქნება საჭირო სწავლების მეთოდის შეცვლა.

თუ ბავშვები ნაკლებ დროს სარჯავენ მონაცემთა შეგროვებაზე, მათ განუვითარდებათ უკეთესი წარმოდგენა მეცნიერულ კონცეფციებზე იმ შემთხვევაში, თუ მათ შევასწავლით ამას.

თუმცა წარმოდგნილია მხოლოდ მცირე ნაწილი სწავლა-განათლების შესახებ არსებული საკამათო ოეროიებისა, რომელიც მე გამიგია, ისინი გვიჩვენებენ საგანმანათლებლო სფეროში კვლევასა და პრაქტიკას შორის არსებულ ხარჯებს: რამდენად შეასრ კვლევმ სწავლების პრაქტიკა? არის თუ არა სწავლების დროს გათვალისწინებული ფოლკლორი? იძენენ თუ არა პედაგოგები სწავლების კულტურას მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობისა და დაკვირვების შედეგად, ჯერ როგორც მოსწავლეები და შემდეგ როგორც ახალტედა პედაგოგები? როგორ ხდებიან პედაგოგები ისეთები, როგორებიც გახდენ? რა არის კვლევაში ისეთი, რაც აიძულებს პედაგოგებს, გაეცნოთ იმის გაფიქრებაზე, რომ კვლევამ შეიძლება შეცვალოს პრაქტიკა? რა არის ჩვენი განხილვის მიზანი, მივმართოთ ძალისხმევა სამოქმედო კველვის ჩატარებისკენ?

კენედის თანახმად (1997), სწავლებებმა კვლევასა და პრაქტიკას შორის არსებულ კავშირზე და კვლევის წარუმატებლობამ გავლენა მოეხდინა სწავლებაზე, დაგვანახვა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- პედაგოგები არ უურებენ კვლევას როგორც დამაჯერებელს ან შპრანგებლურს.
- კვლევას არ ჰქონდა პრაქტიკასთან კავშირი და არ განიხილავდა პედაგოგებისათვის საინტერესო საკითხებს.
- კვლევის შედეგები არ იყო წარმოდგენილი პედაგოგებისათვის გასაგებ ენაზე.
- თავად საგანმანათლებლო სისტემას არ ძალუს შეიცვალოს, ან პირიქით, მოცემული სისტემა, არსობრივად, არასტაბილური და სენსიტიურია ცვლილებების მიმართ.

ბევრმა პედაგოგმა შესაძლოა აღიქვას კენედის ჰიპოთეზა როგორც აშეარა ფაქტის მტკიცება, თუმცა ეს მტკიცებები გვთავაზობს სხვა სახის ახსნასაც – თუ რატომ გადაწყვიტა ბევრმა პედაგოგმა, გამხდარიყო სრულყოფილება-

ზე ორიენტირებული პრაქტიკოსი, რათა დაფიქრებულიყვნენ/გაეანალიზებინათ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული სირთულეები. ეს პიპოთება ასევე მიანიშნებს მიმდინარე სამოქმედო კვლევაში აქტიური მონაწილეობის მიღების სურვილზეც.

## სამოქმედო კვლევა არის დამაჯერებელი და მპრდანებლური.

პედაგოგთა მიერ პედაგოგებისათვის განხორციელებული კვლევა მოიცავს დამაჯერებელი მონაცემების შეგროვებას. ეს მონაცემები დამაჯერებელია, რადგან პედაგოგების მიერ მონაცემთა შეგროვება ხდება კანონიერად, რაც იმას ნიშნავს, რომ წყაროები, რომელთაც მოპოვებული მონაცემები ეყრდნობა, გვეხმარება სანდო ინფორმაციის მიღებაში იმის შესახებ, თუც რა ზეგავლენას ახდენს ჩარევა მოსწავლეების სწავლის შედეგებზე. ასევე, სამოქმედო კვლევის აღმოჩენები და ამ აღმოჩენებიდან გამომდინარე განსახორციელებლი საჭირო მოქმედებები არის სავალდებულო მკვლევარი პედაგოგებისათვის. სამოქმედო კვლევის ჩატარებისას მკვლევარი პედაგოგები შეიმუშავებენ საკუთარი პრობლემების გადაჭრის გზებს. პედაგოგები არიან არა გარეშე ექსპერტები, არამედ ფლობები ღრმა ცოდნას იმისას, თუ როგორ/და რას აქეს ეფექტი თავიანთ საკლასო ოთახებში.

## სამოქმედო კვლევის შესაბამისობა

გამოქვეყნებული კვლევის შესაბამისობა პედაგოგების ცხოვრებასთან, ალბათ, ყველაზე მეტად აქტუალურია პედაგოგებისათვის, როდესაც ვსაუბრობთ საგანმანათლებლო კვლევის საკითხებზე, რადგან ის პრობლემები, რომელთაც მკვლევრები იყვლევენ, სინამდვილეში პედაგოგისათვის არ არის პრობლემა, ანდა ის სკოლები თუ კლასები, რომელთა მაგალითზეც კვლევა ჩატარდა, მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი სასკოლო გარემოსაგან. ბოლო რო ათწლეულის განმავლობაში სკოლებსა და სწავლებაზე ჩატარებული კვლევების შესწავლისას კენედი (1997), იშველიებს ჯექ-სონის (1968) „კლასის ცხოვრებას“ და ლორთის (1975) „სკოლის პედაგოგებს“, რათა ნათლად გვიჩვნის ამ კვლევების შედეგად მიღებული აღმოჩენების შესაბამისობა. კენედის კვლევის (1997) შედეგად გაირკვა, რომ კლასის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, ძალაუფლება, ქების შესხმა და ცვალებადობა/არასტაბილურობა:

- მოსწავლეთა დიდი რაოდენობა – მოსწავლეთა ჯგუფები შედგებოდა 20-30 ბავშვებისაგან, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი უნდა მდგრადიყნენ რიგებში, უნდა დალოდებოდნენ, სანამ მათ გამოიძახებდნენ, ან სანამ მათთან დასახმარებლად მივიღოდა ვინმე.
- ძალაუფლება – პედაგოგები აკონტროლებდნენ თითქმის ყველა მოქმედებასა და ღონისძიებას და იღებდნენ გადაწყვეტილებას, თუ რა უნდა გაეკეთებინა ჯეუფს.
- შექება – პედაგოგები აქებდნენ ან თავის იყავებდნენ ქებისაგან, ამით მოსწავლეები ხედებოდნენ, თუ ვინ იყო პედაგოგის ფავორიტი.
- ცვალებადობა/არასტაბილურობა – მოსწავლეთა დიდი რაოდენობა ხელს შეუშლიდა მოსწავლეთა ნორმალურ მუშაობას.

კენედის (1997) აზრით, კვლევის ერთ-ერთი მიზანი არის კლასის პროგნოზირებადობის მეშვეობით უტყუარობის ხარისხის გაზრდა. რადგან „ყოველდღიური მეცადი-

ნეობა ზრდის პროგნოზირებადობას და ამცირებს პედაგოგებსა და მოსწავლეებში გაურკვევლობის გრძნობას“ (გვ. 6).

სამოქმედო კვლევის ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ იგი აქმაყოფილებს პედაგოგების სურვილს, პროგნოზირებადობა გაზარდონ იმით, თუ რა შეიძლება მოხდეს მათ კლასებში, კერძოდ, გაზარდოს შესაძლებლობა, რომ კონკრეტული სასწავლო პროგრამა, სასწავლო მეთოდი, ან მისი გამოყენება პოზიტიურად იმოქმედებს მოსწავლის სწავლის შედეგებზე. და თუმცა ეს სასურველი შედეგი მიღწევა პროგნოზირებადობის ხარჯზე, სამოქმედო კვლევის შედეგად მიღებული აღმოჩენები დროთა განმავლობაში დაგეხმარებათ სასწავლო პრაქტიკის დროს არსებული სხვადასხვა საკითხის პროგნოზირებაში.

### სამოქმედო კვლევა პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომსადის კვლევის შედეგებს

კენედი (1997) ასევე აყენებს ჰიპოთეზას, რომ კვლევასა და პრაქტიკას შორის არსებული არასაკმარისი კავშირი გამოწვეულია იმით, რომ კვლევის შედეგები არ არის სათანადო ხელმისაწვდომი პედაგოგებისათვის. კვლევის სუსტი გავლენა სწავლების პროცესზე ნაწილობრივ აისხება პედაგოგთა ძველი შეხედულებებით, რომელთა მიხედვით, პედაგოგთა პრაქტიკული საქმიანობა შეუძლებელია შევცვალოთ მათთვის მხოლოდ კვლევის შედეგების გაცნობით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, თუ ჩვენ დავფიქრდებით იმაზე, როგორ ვასწავლით, შესაძლებელია, მიხევდეთ, რომ ჩვენი შეხედულებები და ფასულობები ყალიბდება იმის მიხედვით, თუ U როგორ გვასწავლიდნენ ჩვენ თვითონ ბავშვობაში („ჩემს შემთხვევაში ამან გაამართლა და დღეს მე წარმატებული ვარ. მე პედაგოგი ვარ.“) და მოწაფედ ყოფნის პერიოდში თავად რა შიგვაჩნდა სწავლების სწორმად.

პედაგოგებისათვის მხოლოდ კვლევაზე ინფორმაციის მიწოდებით ნაკლებად სავარაუდო რაოდეს შეცვლა ამ თვალსაზრისით, სამოქმედო კვლევის ხიბლი და ძალა ისაა, რომ იგი დადგებითად მოქმედებს პრაქტიკაზე. როგორც მკვლევარი პედაგოგი, თქვენ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებთ სწავლა-განათლების შესახებ დადგენილად მიჩნეულ მოსაზრებებს. თქვენს მიგნებებს მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, რადგან თქვენ განსაზღვრეთ თქვენთვის პრიორიტეტული სფერო და სურვილი გქონდათ, შედავებოდით დადგენილ წესებს. მოყლედ რომ ვთქვათ, თქვენი სურვილი, გააანალიზოთ და შეცვალოთ შეხედულებები თქვენი სწავლების მეთოდებზე, შესაძლებლობას გაძლევთ, თქვენს სფეროში იყოთ წარმატებული და პროდუქტული პროფესიონალი.

### სამოქმედო კვლევა ესმარება განათლების სისტემას რეფორმის დროს არსებული სირთულეების დაძლევაში

კენედის (1997) ბოლო ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ კვლევასა და პრაქტიკას შორის არსებული არასათანადო კავშირის მიზეზი თავად განათლების სისტემაა და არა კვლევა. კენედი (1997) ახასიათებს ამერიკის განათლების სისტემას როგორც სისტემას, რომელსაც:

- არ აქვს საყოველთაოდ ჩამოყალიბებული შეხედულება მიზნებსა და სახელმძღვანელო პრინციპებზე.

- არ ჰყავს ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც შეეძლება სირთულეების მოგვარება.
  - გამუდმებით თავს აბეზრებენ ახალ-ახალი ახირებებითა და კაპრიზებით.
  - აქვს შეზღუდული შესაძლებლობები, მხარი დაუჭიროს ან უარყოს რომელიმე პრაქტიკული ჩანაფიქრო.
  - მხარს უჭირს ისეთ რეფორმებს, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგოა.
  - სხვა ქეყნებთან შედარებით პედაგოგებს აძლევს ნაკლებ დროს, რათა მათ შეიძუმაონ სასწავლო და ყოველდღიური გაკვეთილების პროგრამა.
- სამოქმედო კვლევა მედიაზე მედიაგოგებს აძლევს შესაძლებლობას, გაითავისონ პრაქტიკული ცოდნა და ფილოსოფიური საწავლება პრობლემის მოგვარების შესახებ, როგორც მათი სკოლებისა და პროფესიული მდგომარეობის განუყოფელი ნაწილი, ასევე გაუმჯლავდნენ განათლების სისტემაში არსებულ სირთულეებს, სამოქმედო კვლევის განათლების სისტემის ნაწილად ქცევის გზით.

## სამოქმედო კვლევა არ არის ახირება

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაზეც კენედიმ არ გაამახვილა ყურადღება, არის ბევრი პედაგოგის რწმენა, რომ მეცნიერებში არის ტენდენცია, გამოიყვლით ისეთი ახირები, რაც მოღაშია და ანტერესებთ სასწავლო პროგრამის მხოლოდ მოღური მიდგომები და საწავლების მეთოდები. ხშირად გაიგებთ სამოქმედო კვლევის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ხალხისგან: „რისთვის შევიწუხოთ თავი? ეს არის განათლების სისტემაში არსებული ერთ-ერთი მორიგი ახირება, რაც დროთა განმავლობაში ჩაიგლის, თუ ცოტას მოიცდა“. თუმცა, უდავოდ, სამოქმედო კვლევა არ არის მორიგი ახირება მარტივი მიზეზის გრძო: კარგი პედაგოგები ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას, თუ რა გავლენა ჰქონდა მათი საწავლების მეთოდს მოსწავლების სწავლის შედეგებზე. შესაძლოა, ისინი ამ პროცესს არ უწოდებდნენ სამოქმედო კვლევას და შესაძლოა არც მიაჩნდათ, რომ მათი ნაფიქრალი საკმარისად სწორი და მნიშვნელოვანი იყო, რათა იგი შეფასებულიყო როგორც კვლევა, თუმცა აღნიშნული მართლაც არის სამოქმედო კვლევა!

## სამოქმედო კვლევა ვაქციოთ ჩვენი სწავლების ყოველდღიურ შემადგენელ ნაწილად

იმისათვის, რომ სამოქმედო კვლევა ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის ყოველდღიურ შემადგენელ ნაწილად იქცეს, კარგად უნდა გავეცნოთ პროცესს და გავარკვით, არის თუ არა უკვე სამოქმედო კვლევა ჩვენი, როგორც პედაგოგების, ყოველდღიური პრაქტიკის ნაწილი. განვიხილოთ, რამდენად ჰყავს პედაგოგიური საქმიანობა სამოქმედო კვლევის ჩატარების საქმიანობას. ნებისმიერ კონკრეტულ გაკვეთილზე თქვენ გეგმავთ, ახორციელებთ და აფასებთ თქვენი საწავლების მეთოდს, იმავეს აკეთებს მკვლევარი პედაგოგი, როდესაც ატარებს სამოქმედო კვლევას. თქვენ შეიმუშავებთ მიზნების სიას (პრიორიტეტულ სფეროს), ატარებთ გაკვეთილს, და აფასებთ, რამდენად მიაღწიეს ბავშვებმა მიზნებს შემაჯამებელი შეფასების მეშვეობით (მონაცემთა შეგროვება), გაკვეთილის ბოლოს აჯამებთ, რა მოხდა (მონაცემთა ანალიზი და ასენა) და დღის ბოლოს თქვენს დროს უთმობთ იმის გარკვევას, თუ როგორ გავლენას მოახდენს დღევანდელი გაკვეთილი ხელინდელ გაკვეთილზე (მოქმედების დაგეგმვა). სამოქმედო კვლევის მსგავსად, სწავლების პროცესი არის ინტუიციური და გაკვეთილის ინტუიციურად ჩატარება ახასიათებთ როგორც გამოცდილ, ასევე დამწყებ პედაგოგებს.

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ სამოქმედო კვლევაში ჩართულმა პედაგოგმა შემახსენა, რომ ჩემს მისწრაფებასა და მოწადინებაში, პრაქტიკულად მეჩვენებინა მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია (ჩემს ერთ-ერთ კვლევაზე დაყრდნობით), გაუცნობიერებლად ვაძლევ, ეფექტურა, რომ ამ კვლევის რეალურად ჩატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ მთლიან სამუშაო განაკვეთზე მომუშავე კვლევარის მიერ, რომელსაც არ ექნებოდა სხვა საქმე, რაც ხელს შეუშლიდა კვლევის ჩატარებაში, მაგალითად, როდესაც არ მოუწევდა გაკვეთილების ჩატარება პირველ კლასში 28-ბაზშვიანი ჯგუფისთვის. ამ მსწავლებელმა ითქვრა, რომ სამოქმედო კვლევის ჩატარება იყო ძალიან რთული და მოითხოვდა იმდენ დროს, რომ ჩვეულებრივი მოქვდავისთვის შეუძლებელს ხდიდა მის განხორციელებას. მას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ამისათვის საჭირო იყო ზებუნებრივი მასწავლებლის არსებობა, რომელიც ჩაატარებდა გაკვეთილებს და განახორციელებდა კვლევას. თუმცა, თუ სამოქმედო კვლევის მეშვეობით სწავლებაზე არსებოთ გავლენას ვერ ვახდენთ, მაშინ ჯობია, ასეთი კვლევა საერთოდ არ ჩავატაროთ.

წინამდებარე წიგნში ჩვენ განვიხილავთ პრაქტიკულ და რეალურ გზებს, რათა სამოქმედო კვლევა იქცეს სწავლა-განათლების პროცესის ნორმატიულ ნაწილად. ამ პროცესის შესასწავლად საჭირო იქნება დიდძალი ღროვასა და ენერგიის მიძღვნა, თუმცა დახარჯული დრო არის ინგესტიცია, ჩადებული მოსწავლეების ცოდნის გაუმჯობესებაში. იმისათვის, რომ ყოველდღიურ სწავლების პროცესში სამოქმედო კვლევის რეალისტურად გამოყენება შევძლოთ, საჭიროა რამდენიმე საკითხის მოგვარება:

- დაიწყეთ კვლევა და დარწმუნებული იყავთ, რომ დახარჯული დრო და ენერგია ღირს მიღებულ შედეგად. პირველ რიგში, შეადგინეთ სამოქმედო კვლევის გეგმა, რასაც თქვენთვის მიზნებისა და განსაზღვრულ თქვენი მოსწავლეების საჭიროები. გეგმის შედგენის შემდეგ დაინახავთ, თუ როგორ დაგეხმარება თქვენ მიერ საკითხის ახლებული ხედვა თქვენს პედაგოგიურ თუ მოსწავლეების სწავლის პროცესს (ან იდეალურ ვითარებაში ორივეს ერთად). მხოლოდ ამის შემდეგ მოიპოვებთ რწმენას, რომ სამოქმედო კვლევაზე დახარჯული დრო და ენერგია ღირდა ამად. თქვენი შეხედულება და დამოკიდებულება სამოქმედო კვლევის მიმართ შეიცვლება მას შემდეგ, რაც მას საკუთარ თავზე გამოცდით.
- გახსოვდეთ, რომ სამოქმედო კვლევა არის ისეთი პროცესი, რომლის ჩატარებასაც არ ექნება უარყოფითი გავლენა თქვენს როგორც პირად, ასევე პროფესიულ ცხოვრებაზე. მაგალითად, სამოქმედო კვლევა, როგორც წინამდებრე წიგნშია აღწერილი, არ შეიძლება აღვიქვათ როგორც კადევ ერთი მორიგი რამ, რაც უზად გავაკეთოთ. პედაგოგებს ისედაც ბევრი საქმე აქვთ და არასოდეს ყოფნით დრო ამ ყველაფრის გასაკეთებლად. წინამდებარე წიგნში აღწერილი სამოქმედო კვლევის მიზანია, მოგვაწოდოს მეთოდიკა, რისი გამოყენებაც შეგვეძლება ყოველდღიური პედაგოგიური მოღვაწობის დროს. ის დრო, რასაც თქვენ სამოქმედო კვლევის ჩატარების შესასწავლად დახარჯავთ, ღირს მიღებულ შედეგად. ამ პროცესში ასევე შესაძლოა, სხვა დადებითი შედეგები მივიღოთ, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, ვითანამშრომლოთ იმ კოლეგებთან, რომლებთანაც საერთო პრიორიტეტული სფერო გვაქვს. წინამდებარე წიგნი გვაცნობს საკუთარი პრაქტიკის შესაფასებლად საჭირო მეთოდებს, კლასებსა და სკოლებში არსებული მონაცემების გამოყენებით. წიგნი გვთავაზობს ნიმუშს, რაც შეიძლება გაუზიაროთ თქვენს თანამოაზრე

- კოლეგებს, რომელთაც ასევე განზრახული აქვთ, საკუთარ კლასებში გააუმჯობესონ სწავლა-გნათლების პროცესი.
- მიმართეთ თქვენს პროფესიონალ კოლეგებს დახმარებისთვის. თუმცა ისეთი სტრატეგიები, როგორებიცაა: სწავლების თეორია, დაკვირვება, უკუკავშირის შემოღება, საშუალებას აძლევს პედაგოგთა უმეტესობას, განავითარონ თავიანთი უნარები ისე, რომ ნიმუშის გამოყენება შეძლონ. უნარების განვითარება, თავისთავად, არ გულისხმობს მათი გადაცემის შესაძლებლობას. პედაგოგთან, რომელთაც ნასწავლი აქვთ სწავლების ახალი მიღებები, თუ მათ არ აქვთ გავლილი სპეციალური ტრენინგები, შედარებით ცოტა ახერხებს მათი უნარების ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენებას (ჯოისი, ჰერში, და მაკიბენი, 1983). ამიტომაც არის სხვა მკვლევარი პედაგოგების დახმარება და რჩევები მნიშვნელოვანი თქვენი, როგორც მკვლევარი პედაგოგის, წარმატებისათვის. ეს მოსაზრებები შეჯამებულია კვლევის მოქმედებათა ჩამონათვალის №1–1 ცხრილში.

**კვლევის მოქმედებათა ჩამონათვალის №1–1 ცხრილში.**


### ვაქციოთ სამოქმედო კვლევა ჩვენი სწავლების ყოველდღიურ შემადგენელ ნაწილად

- შეცადეთ, დაარწმუნოთ საკუთარი თავი იმაში, რომ დახარჯული დრო და ენერგია ღირს მიღებულ შედევად.
- გახსოვდეთ, რომ სამოქმედო კვლევა არის ისეთი პროცესი, რომლის ჩატარებასაც არ ექნება უარყოფითი გავლენა თქვენს როგორც პირად, ასევე პროფესიულ ცხოვრებაზე.
- მიმართეთ თქვენს პროფესიონალ კოლეგებს დახმარებისთვის

### სამოქმედო კვლევის პროცესი

მას მერე, რაც განვსაზღვრეთ სამოქმედო კვლევა, აღვწერეთ მისი ისტორიული და თეორიული საფუძვლები და აქსენთი, რატომ ახორციელებენ მას პედაგოგები, მოდით, განვიხილოთ თავად სამოქმედო კვლევის პროცესი. წლების განმავლობაში ბევრი რჩევა და მოდელი იყო წარმოდგენილი მკვლევარი პედაგოგებისათვის გასათვალისწინებლად, მაგალითად:

- ქურთ ლევინი (1952) აღწერდა „სპირალურ“ ციკლურ პროცესს, რაც მოიცავდა და დაგეგმვას, აღსრულებასა და გამოკვლევას.
- შტეფან კემისმა (1988) შექმნა სამოქმედო კვლევის კარგად ნაცნობი „სპირალის“ პროცესი (იხილეთ დიაგრამა №1–1), რომელიც შეიცავს ლევინის მოდელის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს. კემისმას მოდელი შეიცავს გამოკვლევას, დაგეგმვას, პირველ სამოქმედო ნაბიჯს, მონიტორინგს, განხილვას, ხელახალ გააზრებასა და შეფასებას.
- ემილი ქალპოუნი (1994) აღწერს სამოქმედო კვლევის ციკლს (იხილეთ დიაგრამა №1–2), რომელიც შეიცავს საერთო პრობლემატური სფეროს არჩევას, მონაცემთა შეგროვებას, მონაცემთა სისტემატიზაციას, მონაცემთა ანალიზსა და ინტერპრეტაციას და ზომების მიღებას.




### დიაგრამა №1-1. ლევინის სამოქმედო კვლევის ციკლის გამოსახულება

წყარო: სამოქმედო კვლევა წარსულსა და მომავლში (გვ. 29), შტეფან კემისი, 1988. ვიქტორია, ავსტრალია: დეკინ უნივერსიტეტის პრესა, დასტრიბუტორი, საავტორო უფლება, 1988, დეკინ უნივერსიტეტი. ხელახლა გამოცემულია ნებართვით. ყველა უფლება დაცულია.


- გორდონ უელსი (1994) აღწერს, როგორც თავად უწოდებს, სამოქმედო კვლევის ციკლის იდეალურებულ მოდელს (იხილეთ დიაგრამა №1-3), რომელიც შეიცავს დაკვირვებას, ინტერპრეტირებას, ცვლილების დაგეგმვას, მოქმედებას, და „პრაქტიკოსების პირად თეორიას“ (გვ. 27), რომელიც აწვდის და იღებს ინფორმაციას მოქმედებით კვლევის ციკლით;
- რიჩარდ საგორი (2000) აღწერს შეიძლსაფეხურიან პროცესს, რომელიც მოცავს პრიორიტეტული სფეროს არჩევას, თეორიებში გარკვევას, საკვლევი შეკითხვის

- დადგენას, მონაცემთა შეგროვებას, მონაცემთა ანალიზს, შედეგების მოხსენებას და ინფორმირებული ქმედების განხორციელებას;
- ერნსტ სტრინგერი (2004) აღწერს სპირალისებურ სამოქმედო კვლევას (იხილეთ დიაგრამა №1-4), რომელიც მოიცავს ძიებას, ფიქრსა და მოქმედებას, როგორც „დოკოთა განმავლობაში განმეორებადი კვლევის ფაზებს“ (გვ. 10).



#### დიაგრამა №1-2. სამოქმედო კვლევის ციკლი


წყარო: როგორ გამოვიყენოთ სამოქმედო კვლევა ოვეთგანახლებად სკოლებში, გვ. 2, ემილი კალპოუნი, 1994, ალექსანდრია, ვირჯინია: ზედამხედველობისა და სასწავლო პროგრამის განვითარების ასოციაცია (ASCD). საავტორო უფლებები კ 1994, ASCD. ხელახლა გამოცემულია ნებართვით. კველა უფლება დაცულია. ზედამხედველობისა და სასწავლო პროგრამის განვითარების ასოციაცია მსოფლიოში ცნობილი პედაგოგთა საზოგადოებაა, რომელიც მხარს უჭირს გონიერულ პოლიტიკას და იზიარებს მოსწავლის მიერ წარმატების მისაღწევად საუკთხო პრაქტიკას. მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ASCD-ს შემდეგ ვებგვერდზე: [www.ascd.org](http://www.ascd.org).



#### დიაგრამა №1-3. სამოქმედო კვლევის იდეალური მოდელი


წყარო: შევცვალოთ სკოლები შიგნიდან: შემსწავლელი საზოგადოებების შექმნა, გვ. 27, გორდონ უელსი, 1994, ტორონტო, ონტარიო, ონტარიოს პედაგოგიური ინსტიტუტის (OISE) პრესა. საავტორო უფლებები, 1994, OISE, პრესა. ხელახლა გამოცემულია ნებართვით. კველა უფლება დაცულია. შეერთებული შტატები. უფლებები მინიჭებულია გორდონ უელსის მიერ: შევცვალოთ სკოლები შიგნიდან: შემსწავლელი საზოგადოებების შექმნა (პეინემანი, რიდ ელსევირ კორპორაციის განყოფილება, პორტსმაუსი, ნიუ ჰემფშირი, 1994).

- ჯონ გრესველი (2005) აღწერს სამოქმედო კვლევას, როგორც დინამიკურ, მოქნილ პროცესს, რომელიც მოიცავს შემდეგ საფეხურებს: გადაწყვეტა ოუარის სამოქმედო კვლევა გამოყენებითივის საუკეთესო საშუალება, შესასწავლი პრობლემის განსაზღვრა, პრობლემის გამოსაკვლევად საჭირო მასალების თავითიყრა, საჭირო ინფორმაციის გამოკვეთა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ანალიზი, სამოქმედო გეგმის შემუშავება, გეგმის განხორციელება და განხილვა, ოურადდენად ახდენს ცვლილებას.
- ჩერ ჰენდრიქსი (2006) აღწერს სამოქმედო კვლევის პროცესს, რომელიც იზიარებს პრინციპს – „მიმდინარე განხილვაზე დაფუძნებული სისტემატური კვლევა“ (გვ. 9), რომელზეც დიდი ზეგავლენა მოახდინა ლოურენს სტენკეუზის ნაშრომში (1981), საგანმანათლებლო კვლევის ცენტრი, ინგლისის აღმოსავლეთ ანგლიის უნივერსიტეტი (იხილეთ დიაგრამა №1-5).



#### დიაგრამა №1-4. სპირალისტური სამოქმედო კვლევა

წყარო: სამოქმედო კვლევა საგანმანათლებლო სისტემაში (გვ.12), ერნსტ სტრინგერი, 2004, აფერ სედლ რივერი, ნიუ-ჯერსი, ფრენთის პლატფორმაზე.



#### დიაგრამა №1-5. სამოქმედო კვლევის პროცესი

წყარო: სამოქმედო კვლევის მემკვებით გავაუმჯობესოთ სკოლები: გაუმჯობესებული გზამკვლევი პედაგოგებისთვის (გვ.9), ჩერ ჰენდრიქსი, 2006, ბოსტონი, მასაჩუსეტსი: ელინ და ბაკონი.

კველა ეს მოდელი იმის მიხედვით, თუ რა კონტექსტში იყო გამოყენებული, სარგებლობს სხვადასხვა ხარისხის პოპულარობით. მაგალითად, აღნიშნული სამოქმედო კვლევის მოდელები ცალკეულად გამოყენებული იყო სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, სოციალური, წარმოებისა და საზოგადოებრივი განვითარების სფეროებში.


ნათელია, რომ მოცემულ სამოქმედო კვლევის მოდელებს აქვთ საერთო ელემენტები: მიზანი, რომელიც გამომდინარეობს პრობლემიდან ან პრიორიტეტული სფეროდან (პრიორიტეტული სფეროს განსაზღვრა), პრაქტიკაზე დაკირვება ან მონიტორინგი (მონაცემთა შეგროვება), შეგროვებული ინფორმაციის სინთეზი (მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია) და რამენარი ფორმით მოქმედება, რაც გამუდმებით სპირალის მაგვარად კვლევას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში (სამოქმედო გეგმის შემუშავება).

### საკვანძო კონცეფციების გრაფა №1–4.

საფეხურები სამოქმედო კვლევის პროცესში, დებორა საუთის მაგალითზე „არამოტივირებული“ მოსწავლეები	
საკვანძო კონცეფციები	მაგალითი
პრიორიტეტული განსაზღვრა	სფეროს მოცემული კვლევის მიზანი იყო, აღმეწერა „უნარ-ჩვევებში“ სასწავლო პროგრამის გავლენა მოსწავლეების სწავლის შედეგებზე. კერძოდ, კვლევა ფოკუსირებული იყო მოსწავლეების აკადემიური დასწრების ცვლადებზე, თანატოლთა ზეგავლენაზე, ზრდასრულ პირთა ზეგავლენასა და მოსწავლეების თვითშეფასებაზე.
მონაცემთა შეგროვება	მონაცემები შეგროვდა კვლევებზე, ინტერვიუებსა და მოსწრების ფურცლებზე/დასწრების სიებზე დაყრდნობით
მონაცემთა ანალიზი ინტერპრეტაცია	და აღმოჩნდა, რომ დასწრება არ იყო პრობლემა – ბავშვები სისტემატურად ესწრებოდნენ გაკვეთილებს. თანატოლთა ჯგუფები, მართლაც, ახდენდნენ გავლენას სწავლის შედეგებზე. მოსწავლეები ერთმანეთს აქეზებდნენ, არ შეესრულებინათ საშინაო დავალებები. აღმოჩნდა, რომ მასწავლებლის შექმნას მცირე გავლენა ჰქონდა ბავშვების სწავლის პროდუქტულობაზე, მაშინ როდესაც ბავშვების ნახევარმა მიუთითა, რომ საშინაო დაგალების შესრულებისას მათვის მოტივაცია მშობელთა მხრიდან დადებითად შეფასება იყო. საშუალოდ, მოსწავლეების ნიშნები მნიშვნელოვნად გაუარესდა, იმ სემესტრის დროს, როდესაც მათ უტარდებოდათ უნარ-ჩვევების გაკვეთილები. ინტერპრეტაცია: უნარ-ჩვევების გაკვეთილებს ჰქონდა უარყოფითა გავლენა მოსწავლეების სწავლის შედეგებზე, ქცევასა და დამკიდებულებაზე.
სამოქმედო გეგმის შემუშავება	გადაწყდა, რომ მომავალ სემესტრში უნარ-ჩვევების კლასისთვის ჯგუფს აღარ დააკომპლექტებდნენ იმავე ბავშვებისგან, რადგან მოსწავლეებში დიდი რაოდენობით უარყოფითმა მუხტმა მოყარა თავი და ისინი ერთმანეთში არამოტივირებულობის გაძლიერებას უწყობდნენ ხელს. უნარ-ჩვევების სასწავლო პროგრამა შემდგომშიც იქნებოდა გამოყენებული, რასაც დააკირდებოდნენ არაერთგვაროვნად აკომპლექტებული მოსწავლეების ჯგუფებზე.

სწორედ ამ საერთო ელექტრობზე კონცენტრირებას ვაპირებთ წინამდებარე წიგნში. მომდევნო თავებში დეტალურად განვიხილავთ, თუ როგორ განვახორციელოთ სამოქმედო კვლევის პროცესი, რაც მოიცავს ზემოთ აღნიშნულ ოთხ ელექტრობს: პრიოტიტული სფეროს განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია და სამოქმედო გეგმის შემუშავება. საკვანძო კონცეფციების გრაფა №1–4 გვიჩვენებს დებორა საუთის მიერ გამოყენებულ სამოქმედო კვლევის პროცესს, რაც აღწერილია წინამდებარე თავის დასაწყისში.

მოცემული ოთხსაფეხურიანი პროცესი, რომელსაც მე ვუწოდე დიალექტური სამოქმედო კვლევის სპირალი, ნაჩვენებია გრაფა №1–6-ში. იგი აწვდის მკვლევარ პედაგოგებს პრაქტიკულ რჩევებს და აჩვენებს, თუ როგორ ჩავატაროთ კვლევა. ეს არის მკვლევარებისთვის ნიმუში, რომელიც შექმნილია პედაგოგების მიერ პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის და არა მათზე ჩატარებული კვლევა. აქედან გამომდინარე, დინამიკური და აქტუალური ნიმუშია, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მიზნებისთვის. მისი დანიშნულება იყო, მკვლევარი პედაგოგებისათვის წარედგინა მათ სამუშაოზე ფიქრის „პროგრაციული და კონსტრუქტიული გზები“ (ვოლკოტი, 1989, გვ. 137).



გრაფი №1–6. დიალექტიკური სამოქმედო კვლევის სპირალი

## დასკვნა

სამოქმედო კვლევა არის სისტემატური კვლევა, რომელსაც ატარებენ პედაგოგები (ან სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირები), რათა შეაგროვონ ინფორმაცია – და შემდეგ გააუმჯობესონ – როგორ მუშაობს კონკრეტულად მათი სკოლა, როგორ ასწავლიან და რამდენად კარგად სწავლობენ მათი მოსწავლეები.

გეოგრაფიული გარემო და თეორიული კონტექსტები, რომელშიც სამოქმედო კვლევა მიმდინარეობს, განსხვავდება. ორ ძირითად ფილოსოფიურ მიღებობას აქვს მნიშვნელობა თანამედროვე სამოქმედო კვლევის პრაქტიკაში: **კრიტიკულ სამოქმედო კვლევას**, რომელიც წარმოიშვა კრიტიკული და პოსტმოდერნისტული თეორიებიდან და უურადღებას ამახვილებს დემოკრატიულობასა და გათავისულფეხაზე; და პრაქტიკულ სამოქმედო კვლევას, რომელიც ემსრობა სამოქმედო კვლევის ყველაზე სშირად გამოყენებულ და კონტექსტუალიზებულ მიდგომას.

სამოქმედო კვლევის უველა ფორმისთვის საერთო მიზანია მოწავლეებისა და პედაგოგების ცხოვრების გაუმჯობესება. სკოლის პედაგოგები ხშირად კვლევის მიმართ სკეპტიკურები არიან იმის გამო, რომ ისტორიულად მან ვერ შეძლო დაეკავშირებინა ერთმანეთთან სკოლის პრაქტიკა პედაგოგებისა და მოწავლეების გამოცდილებასთან. სამოქმედო კვლევა არ არის აზირება, რომელიც ჩაივლის, რადგან კარგი პედაგოგები ყოველთვის კრიტიკულად აფასებდნენ თავიან პრაქტიკას. წინამდებარე წიგნი შემოგთავაზებთ რეალისტურ მეთოდებსა და პრაქტიკულ რჩევებს, რათა კვლევა გაქციოთ პედაგოგის ყოველდღური საქმიანობის განუყოფელ ნაწილად.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სამოქმედო კვლევის ჩატარების რიგი მოდელებისა, ძირითადი პროცესი შედგება ოთხი საფეხურისგან: პრიორიტეტული სფეროს გამოკვეთა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია და სამოქმედო გეგმის შემუშავება. მომდევნო თავები დეტალურად განიხილავენ სსენებულ ოთხ საფეხურს.

## საკითხები სამომავლო განხილვისთვის

1. როგორ აღწერდით სამოქმედო კვლევის მიზნებს?
2. რომელია ასაბუთებს კრიტიკული/პოსტმოდერნისტული დოქტრინები სამოქმედო კვლევის ჩატარების აუცილებლობას?
3. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს კლასში მოწაფეები გამოცდას ვერ აბარებენ წარმატებით. ამ თავში აღწერილი სამოქმედო კვლევის პროცესის ოთხი საფეხურის გამოყენებით აღწერეთ, ზოგადად, რას გააკეთებდით, რომ სისტემატურად შეგემოწმებინათ აღნიშნული საკითხი.
4. თქვენმა სკოლამ პროფესიული განვითარებისთვის მიიღო დიდი გრანტი, რომელიც ორიენტირებულია კითხვებში ტესტირების დროს ბაგშევების ნიშნების გაუმჯობესებაზე. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს სკოლაში კითხვის შესახებ არსებული სასწავლო პროგრამა არის ძლიერი. რა სახის სამოქმედო კვლევა შეიძლება ჩაატაროთ, რათა განიხილოთ სხვაობები თქვენი სკოლის კითხვის პროგრამის შედეგებსა და იმ კონცეფციებს შორის, რაც ტესტირების დროს უნდა შემოწმდეს?

თავი

2

## პრიორიტეტული სფეროს არჩევა

წინამდებარე თავი დაგვეხმარება, ჩამოვაყალიბოთ ზოგადი იდეა და ავირჩიოთ სამოქმედო კვლევის პრიორიტეტული სფერო. ამ თავში აღწერილია საჭირო ლიტერატურის შესწავლისა და მიმოხილვის პროცესი ონლაინრესურსების – საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრის (ERIC), ინტერნეტის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ან განათლების სფეროში მოღვაწე პროფესიული ორგანიზაციების მიერ უზრნალებში გამოქვეყნებული სტატიების – გამოყენებით; დაბოლოს, ნაჩვენებია, თუ როგორ შევიმუშაოთ სამოქმედო კვლევის გეგმა.

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ შეგეძლებათ:

1. სწორი პრიორიტეტული სფეროს არჩევა.
2. მასალების შესწავლა.
3. საჭირო ლიტერატურის მომოხილვა ონლაინმასალის გამოყენებით.
4. სამოქმედო გეგმის დაწერა, რის მიხედვითაც გახახორციელებთ საქმიანობას.

# მოზარდთა ინტერაქტიული თეატრი

## ქეთი მითჩელი

ქეთი მითჩელი შტატგარეშე პედაგოგია, რომელიც, ასევე, მუშაობს მოზარდთა თეატრის დასთან. მისი ამბავი გვიჩვენებს, თუ რა როლს ასრულებს ინტერიული პრიორიტეტული სფეროს არჩევის დროს. სამოქმედო კვლევის დაწყებით ეტაპზე ქეთი არ იყო დარწმუნებული, რომ სწორად აირჩია პრიორიტეტული სფერო, თუმცა ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევის შეძლება, როდესაც მსახიობმა ვერ შეძლო წარმოდგენაში მონაწილეობა, ქეთიმ გადაწყვეტა, სისტემატურად შექმოწმებინა, თუ რა გავლენას ახდენდა იმპროვიზაცია სპექტაკლში მონაწილე აუდიტორია ზე.

ბოლო ათი წლის განმავლობაში მე ვხელმძღვანელობდი მოზარდთა საგანმანათლებლო თეატრს. თეატრალური ჯგუფები იგორებდნენ და დგამდინენ საზოგადოების წევრთა გამოცდილებასა და შეხეძულებებზე დაყრდნობით პიესებს, რომელშიც თავმოყრილი იყო დრამატული სცენები, ვოლევილები და სიმღერები. პიესები იდგმებოდა ახალგაზრდებისთვის აქტუალურ თემებზე, როგორებიცაა: საკუთარი ღირსების გრძნობა, ალეოპოლის ან ნარკოტიკის მოხმარება, მოზარდთა ორსულობა, სიყვარული და ვნება, ძალადობა, ოჯახი და სქესობრივად გადამდები დაავადებები. ჩვენ ხშირად გვქონდა გასტროლები და წარმოდგენებს ვმართავდით როგორც საშუალო სკოლებში, ასევე არასრულწლოვანთა დაკავების ადგილებში.

როგორც წესი, წარმოდგენებს ძალიან კეთილგანწყობილად იღებდნენ, თუმცა, ჩემი აზრით, მაყურებელსა და მსახიობებს შორის არ მყარდებოდა კონტაქტი. მაყურებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სპექტაკლს, გულწრფელად იცნოდა და კმაყოფილი იყო იმით, რომ წარმოდგენა მრავალფეროვანს ხდიდა მის სასწავლო დღეს, თუმცა მაინც პასიური იყო. სპექტაკლის შემდეგ შევვედრების გამართვის მიზანი აქტუალურ საკითხებზე საუბარი-დისკუსია იყო, თუმცა, ამის ნაცვლად, დისკუსიას ხშირად მიუღია მოსაწყენი ფორმა, რა დროსაც აუდიტორია შემდეგი შინაარსის შეკითხვებს სვამდა: „რამდენი დრო მონადომეთ რეპეტიციას?“ ან „თუ გინდათ გახდეთ მსახიობი, როცა გაიზრდებით?“

ორი წლის წინ რა მსახიობს მოუხდა წარმოდგენის გამოტოვება. როდესაც სკოლაში მივედით,

სადაც სპექტაკლი გვქონდა დაგეგმილი, მიგვდით, რომ წარმოდგენის დასაწყისში იყო ორი პატარა როლი, რომელთა ამოღება არ შეგვეძლო, თუმცა, ამავდროულად, არ გვყვადა საკმარისი რაოდენობით მსახიობები, რომლებიც ითამაშებდნენ ამ როლებს. მე მივმართე ბავშვების აუდიტორიას და ორ მსურველს ვთხოვე წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება. მე აუხსები მათ, თუ რა როლი უნდა ეთამაშათ და რა რეპლიკა უნდა წარმოეთვათ სცენაზე გასვლისას. შესაბამისად, მათ შეძლეს გამოსვლა და სცენის დასრულება. მაყურებელი ერთხაში გამოცოცლდა. ასეთი პატარა ცვლილების მიუხედავად, ჩვენ შევძელით, დაგვენგრია კედელი, რომელიც ყოფდა მსახიობებსა და მაყურებელს.

ამ ამბით იწყება ინტერაქტიულ თეატრში ჩემი გამოცდილება. ჩემთვის ეს იყო იმპროვიზაციული ტექნიკის სცენაზე გადატანა და მაყურებლის ჩართვა ამ პროცესში. მე აღმოვაჩინე, რომ აუდიტორიის წარმოდგენაში ჩართვით ისინი პასიური მაყურებლიდან აქტიურ მონაწილებად იქცნენ.

ჩემი კალების მიხედვით, ინტერაქტიული თეატრი შემდეგნაირად არის მოწყობილი: მოკლე სცენებს თამაშობენ სამუშაო სემნარში მონაწილე მსახიობები. აუდიტორიას ვთავაზობთ, წარმოადგინო ბრობულების გადაჭრის თავიანთი გარიანტები. შემდეგ იმავე სცენას ხელახლა თამაშობენ, და წარმოდგენის მსვლელობისას, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მაყურებელს შეუძლია შეაჩეროს წარმოდგენა და დაიკავოს რომელიმე მსახიობის ადგილი, რათა გაჩვენოს პრობლემის მოგვარების უკეთესი გზა. ამის გასაკეთებლად, უბრალოდ, საჭიროა, მაყურებელმა წარმოდგენის მსვლელობის დროს

დაიყვიროს: „შეჩერდი!“ და დაიკავოს მსახიობის ადგილი. ერთი სცენა შეიძლება რამდენჯერმე ითა-მაშონ. ხშირად მონაწილეები ვერ თანხმდებიან და სცენა მთავრდება პრობლემის გადაუჭრელად და ემოციურად. შემდეგ აუდიტორია და მსახიობები ერთად იხილავენ წარმოდგენის დროს წამოჭრილ საკითხებს.

ჩემი კვლევის მიზანი იყო დამედგინა, რა გავ-ლენას ახდენდა ინტერაქტიულ წარმოდგენებში მაყურებლების მონაწილეობა მათ უნაზე, გა-ნესაზღვრათ პრობლემური საკითხი. ასევე, რამ-დენად შეეძლოთ ინტერაქტიულ წარმოდგენაში მონაწილეობის შედეგად შეძნილი ცოდნის რე-ალურ ცხოვრებაში გამოყენება. მაგალითად, ამჟა-მად მე ვხელმძღვანელობ „დაქთ ტაიფ თეატრის“ (Duct Tape Theatre) მსახიობთა დასს, რომელსაც დადგმული აქვს სცენარი სახელწოდებით: „ჯოხ-ები და ქვები“, სადაც არის პოეზია, სიმღერა, მოკ-ლე მონოლოგი და სცენები. იგი გრძელდება დაახ-ლოებით 20 წუთს და ილაშქრებს ისეთი ცნებების წინააღმდეგ, როგორებიცაა: ცრურწმენა, დის-კრიმინაცია და ძალადობა. მე გადავწევიტე, შე-მეცვალა ეს სცენარი მაყურებლის მიერ მოფიქრე-ბული ინტერაქტიული წარმოდგენით. „ჯოხები და ქვების“ სამი წარმოდგენა ჩაატარა ჩემმა საკონ-ტროლო ჯგუფმა და სამი წარმოდგენა, სახელ-წოდებით „ძალადობის იმპროვიზაცია“, ჩაატარა მაყურებელთა ინტერაქტიულმა ჯგუფმა. შედეგად მივიღეთ ექვსი აუდიტორია: სამი, შემდგარი სა-კონტროლო ჯგუფისგან, და სამი – მაყურებელთა ინტერაქტიული ჯგუფისგან.

ამ პროექტისთვის გამოვიყენ მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდები: ჩემი პირადი ურნალი და მსახიობთა ურნალები, რაც მსახ-იობებს სჭირდებათ კლასში საჭირო კრედიტების მისაღებად. ასევე, ვთხოვე თითოეულ ჰედაგოგს, დაეწერათ თავინოთ შეხედულებები წარმოდგე-ნასთან დაკავშირებით. არც ერთმა ზემოთ მი-თითებულმა მსალამ არ მომცა ჩემთვის საჭირო მონაცემები. თუმცა ყველაზე რთულად მოსა-პოვებელი იყო მონაცემები აუდიტორიიდან/მაყ-ურებლისგან. მე გადავწევიტე, მსახიობთა და-სისთვის დამევალებინა აღნიშნული მონაცემების შეგროვება. მსახიობებთან ერთად შევიმუშავეთ

კითხვარი, რომელიც მაყურებელს უნდა შეეცაო წარმოდგენის დასრულების შემდეგ; ასევე, შე-ვიმუშავეთ ჯგუფური ინტერვიუს ტექნიკა, რაც გულისხმობდა სამი მსახიობის მიერ მაყურებლის მცირე ჯგუფებისთვის 15-წუთიანი ინტერვიუს ჩატარებას. მიზანი იყო, მიგვეღო რაც შეიძლება ბევრი გამოხმაურება ძალადობის სცენის შესახებ. შესაბამისად, ერთი მსახიობი იყო ინტერვიურის როლში, მეორე ჩანაწერებს აკეთებდა და მესა-მე აღრიცხავდა მაყურებელთა კომენტარებსა და გამოხმაურებებს.

მიღებული მონაცემებით გამოიკვეთა ოთხი საკითხი:

1. მაყურებელი უფრო კომპეტენტურად მსჯელობდა სპეციალური „ძალადობაზე“ და ბევრ პარალელს ავლებდა საკუთარ ცხ-ოვრებასთან, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის წარმოდგენაზე – „ჯოხები და ქვები“;
2. მეტი მაყურებელი ჩაერთო ძალადობაზე გამართულ დისკუსიაში. უფრო მეტი იყო შემაჯამებელი კომენტარები და მოსაზრე-ბები, თუ რა იყო სწორი განხილულ სიტუა-ციაში. ამ მონაცემებმა დაგვანახვა, რომ უფრო მეტ მაყურებელს შეეძლო როგორც წარმოდგენაში პრობლემური თემის დანახ-ვა, ასევე ამ საკითხების საკუთარ ცხოვრე-ბასთან დაკავშირება;
3. გამოკვეთილად უარყოფითი გამოხმაუ-რება მოჰყვა ინტერაქტიულ წარმოდგენას, რომელმაც ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს წარმოდგენაში მონაწილე პირებს სადღაც ეჩქარებოდათ. აღნიშნულმა მო-ნაცემებმა დაგვანახვა, რომ წარმოდ-გენისთვის წინასწარ დადგენილმა დრომ არ გაამართლა. მე ხშირად ვწერდი ჩემს უურ-ნალში, რომ წარმოდგენის შემდეგ ძალიან დაღლილი და გამოფიტული ვიყავი. ჰედა-გოგებიც მწერდნენ, რომ წარმოდგენისთვის დადგენილ დროს ვაჭარბებდით და შესვენ-ებისთვის განკუთვნილ დროსაც კი ვიყენებ-დით, რითიც ვცდილობდით დიდი მასალის პატარა დროში ჩატევას;
4. ყველაზე დიდი იმედგაცრუება ჩემში გამ-ოწვია იმ ფაქტმა, რომ მოცემულ ორ აუ-

დიტორიას შორის არ იყო სხვაობა, ანუ არ მოხდა მაყურებლის მიერ უფრო მეტი პრობლემატური საკითხის წამოჭრა და არ იყო შემოთავაზებული პრობლემათა გადასაჭრელად მრავალი გზა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერაქტიული იმპროვიზაციის შედეგად მივიღეთ უფრო მეტი პასუხი და მაყურებელიც მეტად იყო ჩართული, განხილული საკითხები და მათი გადაჭრის გზები არ განსხვავდებოდა საკონტროლო ჯგუფის წარმოდგენის შემდეგ გამართული დისკუსიის დროს წამოჭრილი საკითხებისგან.

ჩემი სამოქმედო კვლევის პროექტმა დამარტინა, რომ სწორი მიმართულება აყირჩიე და მეთოდები, რომლებსაც მოზარდთა თეატრში ვიყენებდი, მნიშვნელოვანი იყო. ასევე, აშკარა იყო, რომ ფორმატი, რომელსაც ვიყენებდი, არ იყო საუკე-

თესო. მე ვგეგმავ, გაგაგრძელო მოზარდების თეატრთან მუშაობა, რათა დავხვეწო ის ფორმატი, რომელსაც აღრე ვიყენებდი და დავაკირდე, თუ რა ზეგავლენას ახდენს მონაწილეებზე წარმოდგენის დროს გაგებული და ნასწავლი, და თუ შეუძლიათ, აღნიშნულის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება. ჩემთვის ეს გადამწყვეტია და ამ პროექტის კველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ ახლა მე განახლებული ენერგიით შევუდგები ჩემს სამუშაოს. შარშან ამ დროს მე ინტენსიურად ვეძებდი ჩემს შემცვლელს და ვაცხადებდი, რომ აღარ ვაპირებდი მოზარდების ხელმძღვანელობას. თუმცა არც მითიქირია, რომ შემქმავლა და განმეორა პრობლემა და შემდგომ გამომქმედირენებინა იგი. ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც ელოდები, რომ ჩატარებული კვლევის მეშვეობით რაღაც შეიცვლება.

ამოქმედო კვლევის დაწყებისას ყველას არ აქვს განსაზღვრული კვლევის პრიორიტეტული სფერო. სინამდვილეში, დასაწყისში, ბევრ პედაგოგს არ სურს, მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში. საქმაოდ შეიხვდებით სკეპტიკურად განწყობილ პედაგოგებსა და ხელმძღვანელებს, რომლებიც აცხადებენ: „მე აქ მოვალეობის მოხდის მიზნით ვარ. თუ არ მივიღებ სამოქმედო კვლევაში მონაწილეობას, ვერ მივიღებ პედაგოგის/ხელმძღვანელის ლიცენზია!“. მოზარდთა თეატრის მაგალითზე, „ჩარევა“ და „პრიორიტეტული სფეროს“ გამოკვეთა საქმაოდ მოულოდნელად მოხდა და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე დაგვაფიქრა, როგორიცაა მაყურებლის აღქმისა და მისი ჩართულობის გაუმჯობესება.

მოგვინებით დავინახავთ, რომ, შესაძლოა, თქვენ ჯერ არ გქონდეთ განსაზღვრული პრიორიტეტული სფერო, თუმცა შეიძლება გქონდეთ სხვადასხვა ინტერესი და შეხედულება, მაგალითად: საგანი, რომელსაც ასწავლით, კლასი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, პროგრამები რისკურსული მყოფი ბავშვებისთვის, განათლების აღტერნატიული პროგრამა, კომბინირებული კლასები (როგორც წესი, სოფლებსა და სოციალურად გაჭირვებულ საზოგადოებებში პედაგოგთა დეფიციტის გამო სხვადასხვა ასაკის ბავშვებს ერთ კლასში სვამენ, თუმცა ოფიციალურად ბავშვები სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან), ტესტები კითხვაში, გახანგრძლივებული გაკეთილის სწავლების პროგრამას, ან ერთოთახინ სკოლას.

ყველა პედაგოგი და ხელმძღვანელი, ვინც სამოქმედო კვლევაზე მუშაობას იწყებს, ერთნაირად აყალიბებს კვლევის შეკითხვას ან პრობლემას, ან განსაზღვრავს პრიორიტეტულ სფეროს. პრიორიტეტული სფეროს არჩევა შეიძლება რთული აღმოჩნდეს. დასაწყისშივე დარწმუნდით, რომ კვლევის თემა თქვენთვის მნიშვნელოვანია, რაც სამოქმედო კვლევის დროს გადამწყვეტია. იცოდეთ, სხვა ვერავინ გეტაჟით, რა უნდა იყოს თქვენი პრიორიტეტული სფერო. ქვემოთ მოცემული რჩევები დაგეხმარებათ კვლევის საგნის ჩამოყალიბებაში.

## ჩამოაყალიბეთ ზოგადი იდეა და გამოყავით პრიორიტეტული სფერო

სამოქმედო კვლევის დასაწყისში თქვენ უნდა ჩამოაყალიბოთ ზოგადი იდეა, რაც იქნება თქვენი კვლევის პრიორიტეტული სფერო. ზოგადი იდეა არის განცხადება, რომელიც აზრსა და მოქმედებას ერთმანეთთან აკავშირებს და ეხება იმ საკითხს, რომლის შეცვლას ან გაუმჯობესებას აპირებთ (ელიოტი, 1991). ამ თავში მოცემულია მაგალითები, დაკვირვების შედეგად გაკეთებული განცხადებები, რასაც მოსდევს შეკითხვა, თუ როგორ უნდა გავაუმჯობესოთ არსებული მდგომარეობა:

- განცხადება/დაკვირვება: მოსწავლეები არ იყვნენ ჩართული მოზარდთა თეატრის დადგმის პროცესში.

შეკითხვა: როგორ გავზიარდო მათი ჩართულობა?

- განცხადება/დაკვირვება: მათემატიკის გაკვეთილზე მოსწავლეები ამოცანის ამოხსნას ანდომებდნენ დიდ დროს, თუმცა ეს ვერ დაქმარა მათ სხვა მათემატიკური უნარების ან ცოდნის შეძენაში.

შეკითხვა: როგორ გავაუმჯობესოთ მათემატიკური ამოცანის ამოხსნის უნარები?

- განცხადება/დაკვირვება: მშობლები უკმაყოფილონი არიან პედაგოგებთან გამართული მშობელთა რეგულარული კრებებით.

შეკითხვა: როგორ გავაუმჯობესო მშობელთა კრებები, იქნებ მოსწავლეებს მივცეთ შესაძლებლობა, გაუძლვენ კრებებს?

სამოქმედო კვლევის დასაწყისში თქვენთუის ყველაზე მეტად საინტერესო საკითხის გამოკვეთა გადამზიდვებია. ზოგიერთი ამის გარკევას შედარებით მოკლე დროში ახერხებს და როდესაც კვლევის ჩატარებას იწყებს, უკვე ნათლად აქვს განსაზღვრული, რას შეეხება მისი კვლევის სფერო: პედაგოგის, მოსწავლისა თუ მშობლის ინტერესებს. ზოგიერთისთვის კი პრიორიტეტული სფეროს განსაზღვრა, შესაძლოა, უფრო პრობლემური პროცესი აღმოჩნდეს. თუმცა ასეთ დროს არ უნდა აჩქარდეთ! გაესაუბრეთ კოლეგებს, განიხილეთ თქვენი ყოველდღიური საქლასო ცხოვრება და კარგად დაუფიქრდით, რა გაწუხებთ ყველაზე მეტად, როდესაც სამსახურში წასასვლელად ემზადებით.

კვლევა მოქმედებით. 2-1 ცხრილი

### პრიორიტეტული სფეროს იდენტიფიცირება

თქვენი პრიორიტეტული სფერო

\_\_\_\_\_ ეხება თუ არა სწავლებას და სწავლას?

\_\_\_\_\_ თქვენი კონტროლის სფეროშია თუ არა?

\_\_\_\_\_ ძალიან გაინტერესებთ?

\_\_\_\_\_ გინდათ თუ არა, რომ შეცვალოთ ან გააუმჯობესოთ?

პრიტერიუმები, რიტაც ვხელმძღვანელობთ ზოგადი იდეას/  
პრიორიტეტული სფეროს არჩევისას

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რაც უნდა გაითვალისწინოთ, როდესაც ახდენთ ზოგადი იდეისა და, შესაბამისად, პრიორიტეტული სფეროს არჩევას (კრესველი, 2005; ელიოტი, 1991; საგორი, 2000).

- პრიორიტეტული სფერო უნდა შეიცავდეს სწავლებასა და სწავლას, და მიმართული უნდა იყოს თქვენს საკუთარ პრაქტიკაზე;
- პრიორიტეტული სფერო დაკავშირებული უნდა იყოს თქვენი წარმატების ფაქტორთან;
- პრიორიტეტული სფერო ძალიან უნდა გაინტერესებდეთ;
- პრიორიტეტული სფერო არის ის სფერო, რომლის შეცვლის ან გაუმჯობესების სურვილიც გაქვთ.

სამოქმედო კვლევის დასაწყისშივე ამ კრიტერიუმების გამოყენება სწორ გზაზე დაგაყენებთ. ეს კრიტერიუმები, ასევე, შეგახსენებენ სამოქმედო კვლევის მნიშვნელოვანი და დინამიკური მხარეების შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კრიტერიუმები შეგახსენებენ მკვლევარი პედაგოგის მიერ საკუთარი თავისა და მოსწავლეებისთვის გაწეული მნიშვნელოვანი სამუშაოს შესახებ, რომლის შედეგები აუცილებლად გააუმჯობესებს მოსწავლეების მოსწავლეებას (იხილეთ კვლევა მოქმედებაში, 2–1 ცხრილი).

## გამოკვლევა

შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სამოქმედო კვლევის პროცესში არის გამოკვლევა, ანუ ინფორმაციის წინასწარი შეგროვება. უფრო კონკრეტულად, გამოკვლევისას თქვენ დროს უთმობთ იმაზე ფიქრს, თუ როგორია თქვენი წარმოდგენა და ცდილობთ გაიგოთ ზოგადი იდეის არის და კონტექსტი. არსებობს გამოკვლევის სამი ფორმა: თვითშეფასება, აღწერა და ახსნა.

### თვითშეფასების გზით პრიორიტეტული სფეროს არსები გარკვევა

პირველ რიგში, შეეცადეთ გაარკვიოთ, როგორ გქმით:

- თეორიები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ თქვენს პრაქტიკაზე.
- პედაგოგიური ლირებულებები, რომელთაც თქვენ ემზრობით.
- რამდენად შეესაბამება თქვენი პირადი პედაგოგიური პრაქტიკა, ფართო გაზებით, განათლების სისტემასა და საზოგადოებას.
- თქვენი სკოლისა და განათლების ისტორიული კონტექსტი და რითი არის განპირობებული დღეს არსებული მდგომარეობა.
- ისტორიული კონტექსტი, თუ როგორ ყალიბდებოდა თქვენი შეხედულებები სწავლაზე (ქემისი და მაკრაგარტი, 1988, 2000).

თუ თქვენი სამოქმედო კვლევის ზოგადი იდეა არის შემდეგი შეკითხვა: როგორ გავაუმჯობესო მათემატიკაში ამოცანის ამოხსნის უნარების გამოყენება და გადაცემა? მაშინ, თქვენ, შესაძლოა, უნდა განიხილოთ შემდეგი საკითხებიც:

- მათემატიკის სწავლების პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვან დე ვალეს (2003) მათემატიკის პროგრესულად სწავლებისა და სწავლის თეორიამ. კერძოდ, მათემატიკის მიზანი იყო ფარდობითობის გაგება, რაც მათემატიკაში კონცეპტუალურ და პროცედურულ ცოდნას შორის კავშირს გულისხმობს. ეს მათემატიკური თეორია პირდაპირ გავლენას ახდენს ჩემს წარმოდგენაზე, თუ როგორ უნდა გასწავლო მოსწავლეებს მათემატიკა.
- ჩემი პედაგოგიური ლირებულებებიდან გამომდინარე, ბაგშებს უნდა შეეძლოთ ამოცანის ამოხსნის უნარების როგორც მათემატიკის სხვა სფეროში, ასევე სკოლის გარეთ გამოყენება, ანუ მე ვემზრობი იმას, რომ სასწავლო პროგრამა იყოს ადეკვატური.

- მე დარწმუნებული ვარ, რომ მათემატიკაში ამოცანის ამოხსნა და, ზოგადად, პრობლემის გადაჭრა, ფართო გაგებით, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი საკითხების ადეკვატურია და ბავშვებს სამუდამოდ უდივებს კრიტიკული სწავლის უნარებს, რაც მათ შეიძლება გამოიყენონ ყველა სახის სიტუაციაში.
- მათემატიკის სწავლების ისტორიული კონტექსტი გვთავაზობს ფაქტებისა და ალგორითმების მექანიკური დაზეპირების მეთოდს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეთოდით მათემატიკის სწავლამ ჩემს შემთხვევაში გაამართლა (როგორც ბავშვისა და ახალგაზრდა პედაგოგის), დღეს აღნიშნული სწავლების მეთოდი აღარ არის დამაკამაყოფილებელი.
- ისტორიული კონტექსტი, რამაც მიბიძგა მათემატიკის სწავლების მეთოდის შეცვლა. მქონდა უკამაყოფილების განცდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ არ ვიცოდი, რატომ უნდა გამომეყენებინა კონკრეტული მიდგომა ან ალგორითმი.
- პრიორიტეტული სფეროს განხილვის შემდეგ, რაც დაკავშირებული იყო მათემატიკაში ამოცანის ამოხსნის უნარის გამოყენებასთან, მე უკეთ მესმის, თუ როგორ უნდა ვასწავლო ამოცანის ამოხსნის საკითხები.

გონიერობის შრომა და ვარჯიში არის სამოქმედო კვლევის შემადგენელი ნაწილი. ეს არ არის ისეთი საქმიანობა, რომელიც დაუყოვნებლივ მოგვცემს ახალ, მომზადებელ სასწავლო პროგრამას და სწავლების მასალას, არამედ, ყოველივე ეს, შესაძლოა, მოგვიანებით მივიღოთ, როდესაც უკეთ ჩავწერებით ჩარევის არსს.

## აღნერილობითი მოძრავებების მეშვეობით პრიორიტეტული სფეროს არსში გარემონტინა

შეეცვალეთ, რაც შეიძლება დეტალურად აღწეროთ ის სიტუაცია, რომლის შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ – ვინ, რა, როდის, სად და როგორ – კითხვების გათვალისწინებით. ამ კითხვების დახმარებით თქვენ გაარკვევთ სამოქმედო კვლევის პრიორიტეტულ სფეროს. მაგალითად, ამ ეტაპზე თქვენ შეგიძლიათ უპასუხოთ შემდგენ კითხვებს:

- როგორ ამტკიცებთ, რომ ეს (მათემატიკის შემსწავლელი ამოცანის ამოხსნის უნარები) არის პრობლემა?
- რომელ მოსწავლეებს არ შეუძლიათ მათემატიკაში ამოცანის ამოხსნის უნარების სხვა სფეროში გამოყენება?
- როგორ ასწავლიან დღეს ამოცანის ამოხსნის უნარებს?
- რა სიხშირით ასწავლიან ამოცანის ამოხსნის უნარებს?
- როგორია ამოცანის ამოხსნის უნარების სწავლებაზე დახარჯული დროის თანაფარდობა სხვა მათემატიკური უნარების სწავლებაზე დახარჯულ დროსთან?

## განერიტებითი მოძრავებების გზით პრიორიტეტული სფეროს არსში გარემონტინა

მას შემდეგ, რაც კარგად აღწერეთ სიტუაცია, რომლის გამოკვლევასაც აპირებთ, შეეცადეთ, ასსნათ იგი და უურადლება გამამარტინით კითხვაზე – რატომ? შეგიძლიათ თუ არა გამოთვალოთ ის გადამწყვეტი ფაქტორები, რომლებმაც გავ-

ლენა მოახდინეს ზოგად იდეაზე? ფაქტობრივად, ეს არის ის ეტაპი, როდესაც თქვენ აყალიბებთ პიპოთეზას და ამტკიცებთ თქვენს კვლადებს შორის მოსალ-ოდნელ კავშირს (ელიოტი, 1991).

ამ შემთხვევაში, თქვენ შეიძლება წამოაყენოთ პიპოთეზა, რომ მოსწავლეებს უჭირთ ამოცანის ამოსნის უნარების გამოყენება სხვა სახის მათემატიკური ამოცანის ამოსნისას, რადგან არ აქვთ საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება, მათ არ გააჩნიათ ძირითადი მათემატიკური უნარები, ან არ გამოუყენებიათ მათემატიკური თვალსაჩინოებები, ან გამოიყენეს ნაწილობრივ. ამ ვარაუდების წარმოდგენით, თუ რატომ ვერ ახერხებენ ბავშვები ამოცანის ამოსნის უნარების გამოყენებას მათემატიკის სხვა სფეროში, თქვენ შესაძლოა განავითაროთ შემდეგი პიპოთეზა:

- არსებობს ურთიერთკავშირი მათემატიკის სასწავლო პროგრამასა, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის უნარზე, იცოდეს, რა აკეთოს და რატომ, და ბავშვების შესაძლებლობას შორის, გამოიყენოს ამოცანის ამოსნის უნარები.
- ურთიერთკავშირი არსებობს მათემატიკის სასწავლო პროგრამის გამოყენებასა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს თვალსაჩინოების გამოყენებაზე (რაც ეხმარება ბავშვებს აზრის გამოტანაში) და ბავშვების შესაძლებლობას შორის, გამოიყენონ ამოცანის ამოსნის უნარები.

ასეთი გამოკვლევები (თვითშეფასება, აღწერა და ახსნა) მკვლევარ პედა-გოგებს ემარება, გაარკიონ, თუ რა იციან კვლევის საგნის შესახებ. რა მიაჩნიათ სიმართლედ ფაქტორების, ცვლადებისა და კონტექსტის ურთიერთკავშირის შესახებ, რაც მათ სამუშაო გარემოს ქმნის და როგორ შეიძლება სიტუაციის გაუმჯობესება. კვლევა მოქმედებაში. 2–2 ცხრილი აჯამებს გამოკვლევისთვის აუცილებელ აქტივობებს, რომლებიც სამოქმედო კვლევის ამ ეტაპზე უნდა განხორციელდეს.

## კვლევა მოქმედებაში. 2–2 ცხრილი

### გამოკვლევისთვის საჭირო აქტივობები

#### თვითშეფასება:

თქვენი ღირებულებებისა და წარმოდგენის გათვალისწინებით შეაფასეთ პრიორიტეტული სფერო; როგორია თქვენი წარმოდგენა თეორიას, პრაქტიკას, სკოლასა და საზოგადოებას შორის არსებული კავშირების შესახებ; რა არის არსებული შედეგის მიზეზი და რისი გჯერათ, როდესაც საქმე ეხება სწავლებასა და სწავლას.

#### აღწერა:

აღწერეთ სიტუაცია, რომლის შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ.

აღწერეთ, რა გაძლევთ იმის მტკიცების საფუძველს, რომ პრიორიტეტული სფერო არის პრობლემური.

აღწერეთ ის გადამწყვეტი ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ თქვენს პრიორიტეტულ სფეროზე.

#### ახსნა:

ახსნით სიტუაცია, რომლის გამოკვლევაც გადაწყვიტეთ. ეს გააკეთეთ პიპოთეზის წამოყენებით იმის შესახებ, თუ თქვენ მიერ იდენტიფიცირებული გადამწყვეტი ფაქტორები როგორ და რატომ ახდენენ სიტუაციაზე ზეგავლენას.

## შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა

პირველ რიგში, უნდა შეისწავლოთ პროფესიული ლიტერატურა, გადახედოთ სხვების გამოცილებას, რათა უკეთ გაერკვეთ იმ პრობლემაში, რომლის გამოკვლევიც გადაწყვიტეთ. ლიტერატურის მიმოხილვამ შესაძლოა, დაგანახოთ პრობლემის გადაჭრის სხვა გზებიც და დაგეხმაროთ თქვენთვის საინტერესო ნოვატორული მიღომის პოვნაში, რაც, შესაძლოა, საკუთარ კლასში პრობლემის მოგვრებაში დაგეხმაროთ. კემისისა და მაქთაგარტის (1988) სიტყვებით რომ ვთქვა: „რამდენად შეუძლია არსებულ კვლევას, ნათელი მოჰყვინოს თქვენს სიტუაციას და დაგეხმაროთ მის უკეთ გაგებაში?“ (გვ. 55).

სამოქმედო კვლევებზე შექმნილი ზოგიერთი წიგნის ავტორი მსჯელობს სამოქმედო კვლევის პროცესში ლიტერატურის მიმოხილვის აუცილებლობაზე. ექსპერტთა უმრავლესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ლიტერატურის მომოხილვა არის მნიშვნელოვანი ეტაპი სამოქმედო კვლევის ჩატარების პროცესში. მაგალითად, საგორი (1992) წერს: „ყველას, ვისაც განზრასული აქვს კარგი კვლევის ჩატარება, ვურჩევ, გააკეთონ ლიტერატურის მიმოხილვა, როდესაც პრობლემის იდენტიფიცირებას ახდენენ“ (გვ. 76). თუმცა საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც დაადგინეს, რომ ლიტერატურის მიმოხილვა აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია დისერტაციის წერის, კონფრაქტით განსაზღვრული მეცნიერული კვლევებისა და ხარისხის მაძიებელთა მიერ კვლევების ჩატარების პროცესისა. ამ ჩამონათვალს ასევე უნდა დავუმატოთ მკვლევარი პედაგოგების მიერ ჩატარებული კვლევებიც.

ლიტერატურის მიმოხილვა სამოქმედო კვლევის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი დროის დაზოგვაშიც გეხმარებათ. ხშირად მკვლევარი პედაგოგები ფიქრობენ, რომ უკვე კარგად იციან, თუ როგორია გამოსაკვლევი პრობლემა, თუმცა კვლევის პროცესში ხშირად ჩიხში ექცევიან, რადგან აღმოჩნდება, რომ თავიდანვე არ ჰქონდათ ნათლად ჩამოყალიბებული, თუ რას იყვლევდნენ. ლიტერატურის მიმოხილვის დროს შესაძლოა, საკვლევი პრობლემა უცხო თვალით დაინახოთ. როდესაც მთლიანად ხართ ჩაფლული საკვლევ ლიტერატურაში, ეს გეხმარებათ, იძოვოთ პასუხი იმაზე, თუ რას აკეთებთ და დაინახოთ გამოწვევები სხვა კვლევებიდან, ან გაეცნოთ სხვა მკვლევრების მიერ პრობლემის გადაჭრის მათეულ გზებს. ამ პროცესის ბოლოს თქვენ უნდა შეგეძლოთ, თქვენს კოლეგებთან შესაბამის ლიტერატურასა და იმ აქტუალურ საკითხებზე საუბარი, რაც მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას. ასევე, უნდა შეგეძლოთ სხვა მკვლევრების მიერ შემუშავებულ ნოვატორულ მიღომებზე საუბარი, რაც, შესაძლოა, თქვენც წარმატებით გამოიყენოთ.

ეს პროცესი შეიძლება შევადაროთ ისეთ მოქმედებას, რომელსაც უმეტესობა ახორციელებს, როდესაც ოჯახისთვის შენაძენის გაკეთებას აპირებს. კერძოდ, კონკრეტული პირები ეცნობიან ლიტერატურას, რათა გაიგონ სხვა ოჯახების აზრი კონკრეტული პროდუქტის შესახებ. მაგალითად, მე ცოტა სნის წინ შევიძინე ახალი ავტომანქანა. მე და ჩემმა ცოლმა გიმსჯელეთ, თუ რა ტიპის ავტომანქანა გვინდოდა ოჯახის საჭიროებებიდან გამომდინარე (გვყავდა ერთი შვილი), გავითვალისწინეთ დასასვენებლად გამგზავრება (ზამთრის პერიოდში სათხილაშუროდ და ზაფხულში კარვებით ლაშქრობა) და, ასევე, გავითვალისწინეთ ჩვენი ოჯახის ბიუჯეტი (რამდენად შეგვეძლო საკუთარი თავისთვის ავტომანქანის ყიდვის უფლების მიცემა?).

აღწერილი მოქმედება ძალიან ჰგავდა პრიორიტეტული სფეროს არჩევის პროცესს. ჩვენს შემთხვევაში, პრიორიტეტული სფერო იყო მაღალი გამავლობის ავტომანქანის შეძენა. ამან მიზიძგა, გადამექედა მაღალი გამავლობის ავტომანქანის შესახებ შესაბამისი ლიტერატურისთვის. მაგალითად, მენახა ისეთი ლიტერატურა, როგორიც არის: მომხმარებლისთვის განკუთვნილი ინფორმაცია, „ავტომანქანა და მძღოლი“, „ედმუნდის ონლაინჩევები მყიდველთათვეის“, „კელის ცისფერი წიგნი“, სადაც გავეცანი მომხმარებლების კრიტიკულ შეფასებებს და შევადარე ფასები.

აღნიშნული ლიტერატურის მომხსელვა შენიშვნელოვანი იყო, რათა ამომწურავი ინფორმაცია მიმედო მაღალი გამავლობის ავტომანქანის შეძენასთან დაკავშირდით. მაგალითად, გვჭირდება თუ არა, ავტომანქანის შეძენისას მას მოჰყვებოდეს ყველა დამატებითი ავტონაწილი? როგორ შევადაროთ სხვადასხვა ავტომანქანის უსაფრთხოება და გამძლეობა? როგორც სამოქმედო კვლევაში, შესაბამისი ლიტერატურის შესწავლა დამეხმარა კონკრეტულ შემთხვევაში ყველა შესაძლო საკითხის გარკვევაში.

ეს მოქმედება ასევე დამეხმარა ახალი ავტომანქანის შეძენის დროს ნოვატორული და პრაქტიკული მიდგომის პოვნაში. მაგალითად, იარლიუზე მითითებული ფასი რომ ავიღოთ – რეალურად რამდენი უნდა გადაეგიხადო ავტომანქანის შეძენისას? ასეთ შემთხვევაში, ისევ დამეხმარება ლიტერატურა, რომელიც მთავაზობს შეძენის სტრატეგიებს, რომლებსაც გამოცდილი შემსყიდველება აქტიურად იყენებენ. აღნიშნულ სტრატეგიებში მოცემულია როგორც ავტომანქანის თავდაპირველი/ქარხნული, ისე მიმწოდებლის ფასი; მასში გამოანგარიშებულია მიმწოდებლის პრემიები, მიწოდების შეფერხება, გაყიდვის პროცენტი და, რა თქმა უნდა, დაანგარიშებულია მისაღები ფასი, რაც შესაძლებლობას აძლევს მიმწოდებელს, რეკლამის, საკომისიო და ა.შ. ხარჯები დაფაროს.

სსენებული ლიტერატურის მიმხსილვის შემდეგ და პრაქტიკული რჩევების გათვალისწინებით, მე მზად ვიყავი მეუიდა ისეთი მაღალი გამავლობის ავტომანქანა, რომელიც საუკეთესოდ უპასუხებდა ჩემი ოჯახის მოთხოვნილებებს და ბიუჯეტს. და თუმცა შესაბამისი ლიტერატურის შესწავლაზე დახარჯული დრო გარინტის არ მაძლევდა, რომ აუცილებლად მიგადწევდი საწადელ შედეგს, მე უკვე უკეთ ვიყავი მომზადებული ჩემი წამოწყებისთვის და ინფორმირებული, თუ როგორ უნდა მიმედწია მიზნისთვის, რაც, რა თქმა უნდა, ეფუძნებოდა ამავე სფეროში სხვა ექსპერტების გამოცდილებას.

ზოგჯერ მკვლევარმა პედაგოგებმა შეიძლება განაცხადონ, რომ ვერ პოულობენ მათვის საინტერესო გამოქვეყნებულ კვლევას. აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება შესაბამისობისა და მიშვნელოვანობის საკითხს. თუ აღმოჩნდა, რომ მანამდე არავის გამოუკვლევია თქვენთვის საინტერესო პრობლემა, შესაძლოა, არც ლირდეს ასეთი პრობლემის გამოკვლევა! რა თქმა უნდა, მაღალი გამავლობის ავტომანქანის მაგალითი არ არის საკმარისად სერიოზული, როდესაც პრიორიტეტული სფეროს არჩევაზე ვსაუბრობთ. რამდენიმე წლის წინ, როდესაც ჩემი ვაჟიშვილი 3 წლის იყო, დაუდგენელი მიზეზების გამო სისხლს შარდავდა, რაც მშობლისთვის საკმაოდ შემაშფოთებელი ამბავია. 6 თვის განმავლობაში ჩატარებული უამრავი სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ, საბოლოოდ, არჩევანი შევაჩერეთ ისეთ სამედიცინო ჩარევაზე, სადაც საჭირო იქნებოდა სისხლის გამოსაკვლევად საერთო ანგსთეზის გაკეთება. ქირურგი გამოვიდა საოპერაციო ოთახიდან და განაცხადა: „მე მაქას კარგი ამბავი და მაქას ცუდი ამბავი!“ კარგი ამბავი იყო ის, რომ ქირურგს საშუალება პქნდა დაედგინა შიდა სისხლდენის მიზეზი – ტრიგონიტი (იშვიათი,

მსუბუქ ფორმებში, სიცოცხლისთვის უსაფრთხო ფორმის შარდის ბუშტის ანთება); ცუდი ამბავი იყო ის, რომ ქირურგს არ შეეძლო ეთქვა, რატომ განუვითარდა ეს ავადმყოფობა ჩვენს შვილს, ან როგორ გვემკურნალა მისთვის! ქირურგისგან ამ ამბის გაეგება ჩვენთვის იყო შოკისმომგვრელი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: როგორ შეიძლება, ჩემს შვილს ჰქონდეს შიდა სისხლისდენა და არ არსებობდეს ამის სამედიცინო ახსნა? ქირურგმა ამისხნა, რომ, ვინაიდან მსუბუქი ფორმის ეს იშვიათი ავადმყოფობა სიცოცხლისათვის არ იყო სახიფათო, მიზეზის დადგენაც არ იყო აუცილებელი! ამ შემთხვევაში, ჩემი მიზანი არ არის, ვიყო დრამატული, უბრალოდ, ვცდილობ დაგანახვოთ კვლევისთვის მნიშვნელოვანი ფაქტი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სფეროში იყო იგი გამოკვლეული (და გამოცემული) პროფესიონალების მიერ. მარტო იმიტომ, რომ პრიორიტეტული სფერო ოქვენთვის არის უნიკალური, ეს არ ხდის ამ სფეროს ნაკლებად მნიშვნელოვანს. არ დანებდეთ, თუ აღმოჩნდება, რომ ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად ვერ მიაგენით ვერც ერთ საინტერესო და გამოსადეგ მასალას.

სამოქმედო კვლევა ლიტერატურის ოთხ ძირითად წუაროს ეყრდნობა, რაც გვეხმარება, უკეთ მოვამზადოთ კვლევისთვის: საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრის (ERIC) ონლაინძიება და მსგავსი ონლაინმასალები (მაგალითად: Education Index, PPycINFO, Dissertation Abstracts, Readers' Guide to Periodical Literature, the Annual Review of Psychology), ინტერნეტისა და სერვერების ონლაინძიება, პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანება და ვიზუალური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

## ოცლაიდასალების ძიება

### საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრი (ERIC)

ცენტრი დაარსდა 1966 წელს განათლების ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ. იგი შეერთებული შტატების განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო კვლევისა და განვითარების ოფისის ნაწილია. ERIC მსოფლიოში განათლების შესახებ უმსხვილესი მონაცემთა ბაზაა. ონლაინმაცემთა ბაზა გვთავაზობს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ადრეული ბავშვების პერიოდი, დაწყებითი განათლება, ნიჭიერი ბავშვების განათლება და სოფლისა და ქალაქის განათლება. ERIC-ს ყოველწლიურად 500000-ზე მეტი ადამიანი იყენებს. მისი საშუალებით შეგიძლიათ გაეცნოთ 1,1 მილიონზე მეტ ბიბლიოგრაფიულ მონაცემს და 107 000-ზე მეტ სრულ ტექსტს, არაურნალურ დოკუმენტებს. 2004 წელს ERIC-ის სისტემა განათლების სამინისტრომ განაახლა, ხოლო 2004 წლის სექტემბერში შეიქმნა ახალი ვებგვერდი, რომელიც იყენებს განახლებულ საძიებო სისტემას, რაც ERIC-ის მონაცემთა ბაზას მომზარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის.

მომზარებლისთვის ადგილად გამოსაყენებელი ფორმატით ERIC არის სწრაფი და მარტივი საშუალება საინტერესო ლიტერატურის მოსაძიებლად. გარდა ამისა, ERIC-ის მეშვეობით ონლაინძიების წარმოება უფასოა და ოქვენ შეგიძლიათ ძიება აწარმოოთ სახლიდან ან სკოლის კომპიუტერიდან, ისევე, როგორც ERIC-ის მონაცემთა ბაზიდან გახსნათ მთლიანი ტექსტები. ERIC-ის მონაცემთა ბაზის შესწავლა შეიძლება დაიწყოთ ERIC-ის მთავარი გვერდიდან შემდეგ ვებმისამართზე: <http://www.eric.ed.gov>. (ინტერნეტმისამართის სისწორე წინამდებარე წიგნზე მუშაობის პროცესში შემოწმდა. ტექნოლოგიების ხშირი ცვლის გამო ზოგირთი ინტერნეტმისამართი და პროცედურა შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ დროისთვის, როდესაც თქვენ წინამდებარე წიგნს წაიკითხავთ. თუმცა ონლაინძიებისთვის ძირითადი

მეთოდები იგივე დარჩება.). მთავარი გვერდი შეიცავს ღილაკს **ERIC**-ის სხვა გვერდზე გადასასვლელად, რომელსაც ეწოდება **ERIC Search** (ძიება).

თქვენ შეგიძლიათ განახორციელოთ ძიება ონლაინ-ERIC-ის სხვადასხვაგვარად გამოყენებით. ძირითადად, ძიება შეიძლება განახორციელოთ საძიებო გრაფაში საკვანძო სიტყვების ჩაწერით, მაგალითად: მხოლოდ ავტორის ან სათაურის, ან **ERIC**-დოკუმენტის ნომრის მითითებით. **ERIC**-ის გაუმჯობესებული ძიება გვთავაზობს დოკუმენტის მოძებნას როგორც ძირითადი ძიების ხერხის გამოყენებით, ასევე ძიებას ISBN ნომრის, ურნალის სახელწოდების, ინსტიტუტის, დამკეთი როგორნიზაციის, გამოცემის ტიპის (მაგალითად: წიგნის, მიმოხილვის, დისერტაციის) მითითებით, **ERIC**-ენციკლოპედიის, გამოცემის თარიღისა და სრული ტექსტის შესაძლებლობის მითითებით.

ენციკლოპედიის საძიებო გვერდზე შეგიძლიათ მიუთითოთ თქვენთვის საინტერესო კატეგორია, რომელიც უნდა დამთხვეს **ERIC**-ის მონაცემთა ბაზაში არსებულ კატეგორიებს (გახსოვდეთ, არასწორად აკრეფილი სიტყვის შემთხვევაში ძიება ვერ გაჩვენებთ სასურველ შედეგს). თქვენ უნდა მოძებნოთ **ERIC**, **ERIC**-ენციკლოპედიის გამოყენებით. მაგალითად, **ERIC**-ის ჩიევით შეგეძლებათ ძიების შევიწროება, თუ საძიებო გრაფაში ჩაწერთ – პედაგოგის და მოსწავლის შედეგების ტესტი. ასევე, შესაძლებელია მონაცემების აღფაბეტის ან კატეგორიების მიხედვით დათვალიერება. როდესაც გადაწყვეტით, თუ რომელი მასალის შესწავლა გურუთ, ასევე, აუცილებელია, რომ ამ მასალაზე ხელი მიგიწვდებოდეთ. ძიების დროს შეიძლება შეამნიოთ, რომ დოკუმენტები დაყოფილია კატეგორიებად - ED და EJ. ED კატეგორიის ქვეშ, როგორც წესი, მოთავსებულია გამოუქვეყნებელი დოკუმენტები, მაგალითად; მოხსენებები, კვლევები და გაკეთილის გეგმებიც კი. ED კატეგორიის ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში **ERIC**-ის შემცირებული ზომის დოკუმენტების კოლექციის მეშვეობით (**ERIC Microfiche collection**), ან, შესაძლოა, სრული ტექსტიც იყოს, ონლაინკუმენტის სახით; EJ კატეგორიის ქვეშ არის სტატიები, რომლებიც გამოქვეყნდა პროფესიულ ურნალებში. EJ სტატიები არ არის ხელმისაწვდომი სრული ტექსტის სახით **ERIC**-ის მონაცემთა ბაზაში და შეიძლება მოიძიოთ ბიბლიოთეკის პერიოდული გამოცემების კოლექციაში ან შეიძინოთ სტატიის გამომცემი კომპინისგან.

მიუხედავად იმისა, რომ **ERIC** არის საგანმანათლებლო ლიტერატურაში მონაცემების უდიდესი საძიებო ვებგვერდი, იგი არ არის ერთადერთი ხელმისაწვდომი საშუალება. განათლების სფეროში არსებული სხვა ელექტრონული მონაცემთა ბაზები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება, აღწერილია მომდევნო ქვეთავეებში.

## **Education Index**

განათლების კატალოგი – **Education Index** – არსებობს 1983 წლიდან და შეიცავს საგანმანათლებლო სფეროში პერიოდული გამოცემების მოკლე მიმოხილვებს. იგი გვაწვდის ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას და წყაროებზე მოკლე ინფორმაციას (ზოგიერთ ბიბლიოთეკას, სპეციალური შეთანხმების საფუძველზე, შეიძლება სრულ ტექსტზეც მიუწვდებოდეს ხელი) გამოკვლეული თემების მიხედვით. **განათლების კატალოგში** ძიების ნიმუში მოცემულია 2-1 გრაფაში. სტატიების მოკლე მიმოხილვასთან ერთად, მონაცემთა ბაზა შეიცავს მონაცემებს წლიური გამოცემებისა და მონოგრაფიების სერიებზე, ვიდეოჩანაწერებზე, კინოფილმებსა და კომპიუტერული პროგრამების მიმოხილვაზე, ასევე, სასამართლო საქმეებზე.

ჩანაწერი №1. განათლების მოკლე მიმოხილვები, 6/83-6/01

სათაური: წერა-კითხვის ცოდნის გაუმჯობესების მიზნით, საკუთარ თავში რწმენის გაძლიერება: რისი გაკეთება შეუძლიათ პედაგოგებს.

ავტორები: ქოლგინ, ქაროლინ; სქლოსერი, ლინდა, კრამერი

წყარო: ურნალი „მოზარდებისა და ზრდასრულთა წიგნიერება“, V, 41, დეკემბერი, 1997/იანვარი, 1998, გვ. 272-81.

მოკლე მიმოხილვა: კვლევა ეხება საშუალო სკოლაში წიგნიერების კავშირს ბავშვების აკადემიურ მოსწრებასა და თვითშეფასებასთან. მონაწლეები იყვნენ რისკჯენის მოსწავლეები, წარმატებული მოსწავლეები და სამხრეთ კალიფორნიის საშუალო სკოლის მასწავლებლები. აღმოჩნდა, რომ, როდესაც მარგინალურ მოსწავლეებს წერა-კითხვის მეთოდების გამოყენება უზიდებოდა, მეთოდების ეფექტურობა შეზღუდული და გამოუსადევარი იყო. თუმცა წარმატებულმა მოსწავლეებმა იკოდნენ, სავარაუდოდ, როგორმა მოქმედებით მაღალწევით წარმატებას წერა-კითხვის შესწავლაში. საერთო მახასიათებლი როგორც მარგინალურ მასწავლებებს მორის გამოიკვეთა, რის მიხედვითაც პედაგოგებს რჩევები შესთავაზეს, რაც მათ დაეხმარებოდათ ისეთი კლასის შექმნაში, სადაც მოსწავლეები ეფექტურიანდ ისწავლიდნენ.

აღწერილობები: დამოკიდებულებები—საშუალო სკოლა—მოსწავლეები—ფსიქოლოგია; საკუთარი აღქმა; ენა-ხელოვნება—მოტივია.

## 2-1 გრავა. Education Index-ის ძიების შედეგები

წყარო: ქოლგინ, ქაროლინ, და სქლოსერი, ლინდა, კრამერი. (დეკემბერი, 1997/იანვარი, 1998). წიგნიერების გაუმჯობესების ხელშესაჭყობად საკუთარ თავში რწმენის გაძლიერება: რისი გაკეთება შეუძლიათ პედაგოგებს. ურნალი „მოზარდებისა და ზრდასრულების წიგნიერება“ 41(2), 272-281. ხელახლა გამოცემულია ქაროლის, ქოლგინის და საერთაშორისო მეთხველთა ასოციაციის წებართვით. საერთაშორისო მეთხველთა ასოციაცია სტატიის სწორ თარგმნაზე პასუხისმგებელი არ არის.

### PsycINFO

PsycINFO-ს მონაცემთა ბაზა არის ფსიქოლოგიური კვლევების მოკლე მიმოხილვების ონლაინგრანი (იხილეთ <http://www.apa.org/psycinfo>). ყოველთვიურად გამოცემული, ფსიქოლოგიური კვლევების მოკლე მიმოხილვები შეიცავს ურნალის სტატიების დასკვნებს, ტექნიკურ მოხსენებებს, წიგნის თავებს და ფსიქოლოგიაში წიგნებს. ვებგვერდი შედგენილია სფეროების მიხედვით და იმისათვის, რომ საძიებლად ძარტივი იყოს, სისტემატიზებულია PsycINFO-ს კოდების მიხედვით. ეს კოდები, ასევე, ასრულებენ სარჩევის ფუნქციას ფსიქოლოგიური კვლევების მოკლე მიმოხილვებისთვის, რაც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.apa.org/psycinfo/training/tips-classcodes.html>. სისტემატიზებული კოდები საშუალებას გვაძლევს, ჩვენი კვლევისთვის ვეძებოთ მოკლე მიმოხილვები კატეგორიათა მიხედვით. მაგალითად, განვითარების დარღვევა და აუტიზმი (3250), ან მეტყველების დარღვევა (3270).

### Dissertation Abstracts

Dissertation Abstracts შეიცავს ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს და მსოფლიოს 1000-ზე მეტ აკრედიტებულ კოლეჯსა თუ უნივერსიტეტში შესრულებული სადოქტორო დისერტაციებისა და სამაგისტრო თემების მოკლე მიმოხილვებს თემატიკის მიხედვით. აღნიშნულ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეყვანა 1861 წლიდან დაიწყეს, ხოლო მოკლე მიმოხილვებისა 1980 წლიდან. თუ მოკლე მიმოხილვის წაკითხვის შემდეგ თქვენ სურვილი გაგიჩნდებათ, შეიძინოთ დისერტაციის სრული ასლი, შეამოწმეთ, ხელმისაწვდომია თუ არა იგი თქვენს ბიბლიოთეკაში. თუ არა, პკითხეთ ბიბლიოთეკარს, როგორ შეიძინოთ ასლი. Dissertation Abstracts-ის ძიების შედეგები ნაჩვენებია 2-2 გრაფაში.

Mark:

Database: Dissertations

Title: **Learning community: An ethnographic study of popular education and homeless women in a shelter-based adult literacy program**

Author(s): Rivera, Lorna

Degree: Ph.D.

Year: 2001

Pages: 00264

Institution: Northeastern University; 0160

Advisor: Adviser Gordana Rabrenovic

Source: DAI, 61, no. 09A (2001): p. 3511

Standard No: ISBN: 0-599-95181-8

**Abstract:** This dissertation studies the impact of popular education approaches on the lives of fifty homeless and formerly homeless women who participated in the Adult Learners Program at a shelter located in one of Boston's poorest neighborhoods. Data were collected between January 1995 and June 1998. The guiding research questions are: How do poor women interpret the value of education? What poverty-related barriers interfere with their participation in popular education classes? How do the principles and practices of popular education build a sense of community and collective social action?

This ethnographic study utilizes multiple research methods to illustrate how popular education approaches make it possible for poor women to become empowered individually and collectively. Popular education is a methodology of teaching and learning through dialogue that directly links curriculum content to people's lived experience. Its roots are in critical social theory and the work of Paulo Freire. This research shows that poor women place a high value on education. They believe that a high school diploma will provide access to better economic opportunities and they struggle to complete their formal education within the context of homelessness and family violence.

It is argued that popular education's potential to build community is strengthened by the Adult Learners Program's participatory organization and the support services it offers to homeless families. Further, it is argued that popular education had a positive impact on the women's lives, as evidenced by: the women's increased levels of participation in their children's education; the women's participation in efforts to help other poor women in the community; the women's reported increase in self-confidence and group esteem; and, the women becoming stronger advocates for their basic legal rights related to welfare, housing, health, and education.

The research data suggest that the 1995 Massachusetts welfare reform legislation poses a significant barrier to adult literacy for welfare recipients. It is argued that limiting access to education through "work-first" welfare reform policies reproduces social inequalities. This dissertation about homeless women and popular education provides strong evidence in support of the social, political, and economic benefits of popular education programs for the poor.

#### SUBJECT(S)

Descriptor: EDUCATION; SOCIOLOGY OF  
SOCIOLOGY; PUBLIC AND SOCIAL WELFARE  
EDUCATION; ADULT AND CONTINUING

Accession No: AAI9988499

## 2-2 გრავა. Dissertation Abstracts-ის ძიების შედეგები

წყარო: OCLC საძიებო ვებგვერდი: <http://FirstSearch.oclc.org>. FirstSearch ელექტრონული მასალა, საავტორო უფლებები დაცულია © 1992-2001 OCLC-ის მიერ. ხელახლა გამოცემულია ნებართვით. FirstSearch და WorldCat არის OCLC-ის (ოხლან-კომპუტერული ბიბლიოთეკის ცენტრი, კორპორაცია) რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნები.

### Readers Guide to Periodical literature

Readers Guide to Periodical literature არის **Education Index**-ის მსგავსი ფორმატის კატალოგი. პროფესიული გამოცემების ნაცვლად, მასში კატალოგიზებულია სტატიები დაახლოებით 200 მაღალრეიტინგული გაზეთიდან. Readers Guide-ის ვებგვერდზე თავმოყრილი სტატიები, როგორც წესი, არ არის ტექნიკური ხასიათისა, ისინი შეფასებითია. მათი გამოყენება გამოგადგებათ თქვენი პრობლემის აქტუალობის აღწერისას. Readers Guide-ში ჩამოთვლილი სტატიების მისაღებად ბიბლიოთეკების კატალოგში მოქმედი ის გაზეთი, რომელშიც თქვენთვის საჭირო სტატია დაიბეჭდა. თუ თქვენს ბიბლიოთეკას აქვს ეს გაზეთი, იგი განთავსებული იქნება პერიოდიკული განყოფილებაში.

## **Annual Review of Psychology**

Annual Review of Psychology შეიცავს ფსიქოლოგიური კვლევების მიმოხილვებს, რაც, ხშირად, კავშირშია საგანმანათლებლო კვლევასთან. მასში მოცემულია ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია და მოკლე მიმოხილვები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ბავშვთა განვითარება, განათლების ადმინისტრირება, უნარშეზღუდული ბავშვების განათლება და ენის სწავლება.

## **ინტერნეტი და სერვერთა ქსელი გვაწვდის ინფორმაციასა და მასალას განათლების მრავალ საკითხზე.**

სერვერთა ქსელი არის ინტერნეტმომსახურება, რაც მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის სხვადასხვა ტექსტს, გრაფიკულ გამოსახულებებსა და ინფორმაციის მრავალ საშუალებას. თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ ვებგვერდზე კომპიუტერის მეშვეობით, რომელიც შეერთებულია მოდეზე და ინტერნეტი მიეწოდება ტელეფონის ხაზის ან კაბელის მიერთების გზით. თქვენს კომპიუტერს ასევე სჭირდება ბრაუზერი – Netscape ან Internet Explorer.

მასალები, რომელთა პოვნაც შეგიძლიათ ვებგვერდზე, თითქმის შეუზღუდავია. რამდენიმე დაწესებულებით თქვენ შეგიძლიათ გახსნათ საგანმანათლებლო ელექტრონული ჟურნალები, რომლებშიც მოცემულია სტატიათა სრული ტექსტები, ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია თუ მოკლე მიმოხილვები. თქვენ, ასევე, შეგიძლიათ ნახოთ კვლევების შესახებ სულ ახალი მოხსენებები. ასევე, ინფორმაცია განათლების სფეროში კვლევების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა კვლევით ცენტრში ჩატარდა. გარდა ამისა, შეგიძლიათ განათლების შესახებ მთავარი გვერდები გახსნათ, სადაც ბმულების მეშვეობით შეძლებთ დაათვალიეროთ სხვა მკვლევართა მოსაზრებები – საგანმანათლებლო სფეროში არსებული მნიშვნელოვანი ლიტერატურა. თუმცა, გახსოვდეთ, რომ ინტერნეტში არსებული მასალის ხარისხის კონტროლი ნაკლებად ხდება. ზოგჯერ ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის მოცულობა შეიძლება ძალიან დიდი იყოს და უნდა შეექლოთ არასაჭირო ინფორმაციის გაფილტრა, რათა მან ხელი არ შეგიშალოთ ღირებული ინფორმაციის პოვნაში. იმისათვის, რომ თქვენთვის სასურველი ინფორმაციის მოძიებაში გაიწაფოთ, საჭიროა თავისუფალი დრო დაუთმოთ ინტერნეტძიებას. ამ გზით თქვენ შეეჩვენით საიტიდან საიტზე მანევრირებას და გამოიმუშავებთ ეფექტური ძიების მეთოდებს.

ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი ვებგვერდი, რომლებიც განსაკუთრებით გამოგადგებათ სამოქმედო კვლევის განხორციელებისას. აღნიშნული ინტერნეტმისამართები მოცემულია ფრჩხილებში. ამის გარდა, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ სხვა კატალოგებისა და მოკლე მიმოხილვების ელექტრონული გვერდები, კომპიუტერიდან ინტერნეტძიების გამოყენებით (მაგალითად, Lycos, Infoseek, Yahoo! ან Excite) და იპოვოთ თქვენთვის საინტერესო ინტერნეტმისამართები. ინტერნეტმისამართები, რომლებიც შეიცავს ან ბოლოვდება ed-ით ან ed-თი, დაკავშირებულია საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, ხოლო ის მისამართები, რომლებიც ბოლოვდება com-ით, არის კომერციული საწარმოები.

- **Uncover Periodical Index** (<http://www.unm.edu/~brosen/uncover.htm>).

Uncover არის მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს სტატიებზე მოკლე ინფორმაციას 17.000-ზე მეტი მრავალგანხრიანი ჟურნალიდან. თუ თქვენ დარეგისტრირდებით (საფასურის გადახდით) **Uncover REVEAL**-ზე, ყოველთვიურად ავტომატურად მიიღებთ თქვენთვის სასურველი პერიოდული გამოცემების

- სარჩევს. მოცემული საიტი, ასევე, შესაძლებლობას გაძლიერთ, შეიმუშაოთ საკუთარი ძიების მეთოდები საკვლევი თემის მიხედვით.
- **NewJour** (<http://gort.ucsd.edu/newjour/>). ამ საიტზე ნახავთ ნებისმიერი თემატიკის ჟურნალებისა და საინფორმაციო ჰიულეტების განახლებულ სიას. NewJour-ის საძიებო საშუალების გამოყენებით, თქვენ შეგიძლიათ შეამოწმოთ, არის თუ არა რომელიმე კონკრეტული ჟურნალი ინტერნეტსივრცეში, ანდა გამოიყენოთ თემატური ძიება, რათა დაადგინოთ, ინტერნეტით ხელმისაწვდომი რომელი ჟურნალი იხილავს კონკრეტულ თემას. ასეთ შემთხვევაში, პირდაპირი ბმულების მეშვეობით შეგიძლიათ გახსნათ ჟურნალები.
  - **Education Week** (<http://www.edweek.org/>). Education Week გვთავაზობს სტატიების სრულ ტექსტებს. საიტზე შეგიძლიათ ნახოთ პერიოდული გამოცემები განათლების რეფორმაზე, სკოლებსა და პოლიტიკაზე. საიტი, ასევე, გვთავაზობს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც ემარება პედაგოგებს, წარმოდგენა პქონდეთ მიმდინარე სიახლეებსა და საჭირო საიტებზე.
  - **CSTEET: The Center for the Study of Testing, Evaluation, and Educational Policy** (<http://www.csteep.bc.edu/>). (ტესტირების, შეფასებისა და განათლების პოლიტიკის სასწავლო ცენტრი). ეს საგანმანათლებლო ორგანიზაციის ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას ტესტირებაზე, სკოლის შეფასების საჯარო პოლიტიკასა და საერთაშორისო შედარებით კვლევაზე.
  - **National Center for Education Statistics** (<http://www.nces.ed.gov/>). (განათლების სტატისტიკის ეროვნული ცენტრი). საიტი შეიცავს სტატისტიკურ მოხსენებებსა და შეერთებულ შტატებში განათლების მდგრამარეობაზე ინფორმაციას. ასევე, საიტზე ნახავთ ინფორმაციას მსოფლიო მასშტაბით განათლების სფეროში არსებულ სიახლეებზე.
  - **Developing Educational Standards** (<http://www.edstandards.org/Standards.html>). (საგანმანათლებლო სტანდარტების განვითარება). ეს საიტი შეიცავს ეროვნული, შტატის, ადგილობრივი და სხვა წყაროებიდან დიდი მოცულობით განახლებულ ინფორმაციას საგანმანათლებლო სტანდარტებსა და სასწავლო პროგრამებზე. სტანდარტებსა და სტრუქტურებზე ინფორმაცია თემატიკურად შეიძლება ბმულით იყოს დაკავშირებული შტატთან, სახელმწიფო ორგანიზაციასთან ან სხვა ორგანოსთან. საიტზე სტანდარტები და სტრუქტურები ხელმისაწვდომია სრულყოფილად.
  - **Internet Resources for Special Education** (<http://specialed.miningco.com>). (სპეციალურ განათლებაზე ინტერნეტშეყროები). საიტი შეიცავს თემებს სხვადასხვა სფეროში, სწავლის მასალებს ჩვეულებრივი და სპეციალური განათლებისთვის; მოსწავლეებისთვის ვებგვერდებს; ინფორმაციას, მასალებსა და კვლევებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაკავშირებით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაკვის კანონებს; კანონებს სპეციალურ განათლებაზე; დამხმარე ტექნოლოგიებზე; სასწავლო ცენტრებზე; ასევე, სხვა აქტუალურ ინფორმაციას.
  - **U.S. Department of Education** (<http://www.ed.gov>). (ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სამინისტრო). საიტი შეიცავს ბმულებს შეერთებული შტატების სახელმწიფო განათლების სისტემის შესახებ არსებულ მონაცემთა ბაზაზე (ERIC-ის ჩათვლით). ასევე, აღნიშნულ საიტზე ხელმისაწვდომია განათლების სფეროში ჩატარებულ კვლევებზე დაწერილი სრული მოხსენებების ტექსტი. ასევე, აქვე არის ბმულები კვლევით ორგანიზაციებზე გადასავლე-

ლად, აგრეთვე შეგვიძლია, ვინილოთ გამოქვეყნებული კვლევები. ამ საიტზე საძიებო სექციის – Guide to the Department of Education – დაბმარებით მკვლევრები ნახავენ საინტერესო ინფორმაციას.

თქვენ შესაძლოა მოგინდეთ სხვა გებგვერდების დათვალიერებაც, რომელთა მისამართებიც წინამდებარე წიგნში არ არის მოცემული. ყველაზე მრავივი და სწრაფი საშუალება, ნახოთ ახალი საინტერესო საიტები, არის საძიებო პორტალების გამოყენება (როგორებიც არის: Google, Yahoo!, Lycos, Excite, ან Alta Vista), სადაც საკვანძო სიტყვის მითითებით შეგიძლიათ მოძენოთ სანოტერესო ვებგვერდები. საძიებო პორტალის მთავარ გვერდზე, შესაბამის გრაფიში საკვანძო სიტყვის ან სიტყვების შეყვანით, საძიებო პორტალი გამოიტანს ვებგვერდების ვრცელ ჩამონათვალს, რომელიც შეიცავს თქვენ მიერ მითითებულ საკვანძო სიტყვებს.

## პროფესიული ორგანიზაციის წევრობა

თქვენი კვლევისთვის საჭირო ლიტერატურის მიღება შეგიძლიათ პროფესიულ ორგანიზაციაში გაწევრინებით. ქვემოთ მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების იმ პროფესიული ორგანიზაციების სია, რომლებშიც შეგიძლიათ თქვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი მასალის მოპოვება, მაგალითად, მოსხენებზე კვლევებზე და მასალები სასწავლო პროგრამებზე. დიდი შესაძლებლობაა, რომ სხვა ქვეყნებშიც არსებობდეს მსგავსი პროფესიული ორგანიზაციები, რომელთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება ასევე შეგიძლიათ ინტერნეტის მეშვეობით. ქვემოთ მოცემული პროფესიული ორგანიზაციების სია არ არის ამომწურავი, მათთვის სიმრავლისა და სხვადასხვა სფეროში მუშაობის გამო (კითხვა, წერა, მათემატიკა, მეცნიერება, სოციალური მეცნიერებები, მუსიკა, ჯანმრთელობა და ფიზიკური განათლება და ა.შ.), ასევე არის სპეციალური ინტერესების მქონე ჯგუფები (მაგალითად, Montessori education). ინტერნეტის შედეგად თქვენ შესაძლებლობა გექნებათ ნახოთ მრავალი ორგანიზაციის ელექტრონული მისამართების სია.

- **Association for Supervision and Curriculum Development (ASCD)** (<http://www.ascd.org>). (სასწავლო პროგრამის განვითარებისა და ხელმძღვანელობის ასოციაცია). აღნიშნულ ასოციაციას 160000-ზე მეტი წევრი ჰყავს 135-ზე მეტი ქვეყნიდან. ASCD არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საგანმანათლებლო ორგანიზაცია. ASCD აქვეყნებს წიგნებს, საინფორმაციო ბიულეტენებს, უცდიოდა ვიდეოჩანაწერებს და მკვლევარი პედაგოგებისთვის სანოტერესო ურნალებს: Educational Leadership (საგანმანათლებლო ლიდერობა) და the Journal of Curriculum and Supervision (ურნალი ხელმძღვანელობასა და სასწავლო პროგრამაზ).
- **National Council of Teachers of Mathematics (NCTM)** მათემატიკის მასწავლებლთა ეროვნული საბჭო (შემდგომში საბჭო) (<http://nctm.org>). აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრინაინებულია 100000 წევრი. საბჭო ორიენტირებულია მათემატიკის სწავლებაზე და პედაგოგებს სთავაზობს ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიისთვის მათემატიკის სწავლების ხედვებს. საბჭო პროფესიული განვითარების შესაძლებლობას იძლევა რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. იგი გამოსცემს შემდეგ ურნალებს: Teaching Children Mathematics (ბავშვებისთვის მათემატიკის სწავლება), Mathematics Teaching in the Middle School (საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლება), Mathematics Teacher (მათემატიკის მასწავლებელი), Online Journal for School Mathematics (სასკოლო მათემატიკის ონლაინურნალი), და the Journal for Research in Mathematics Education (ურნალი მათემატიკის სწავლების კვლევა).

- **National Council for the Social Studies (NCSS)** (<http://www.ncss.org>). (სოციალური მეცნიერებების ეროვნული საბჭო). NCSS მთავრს უჰერს სოციალური მეცნიერებების სწავლებას. მამ ვებგვერდზე პედაგოგებისთვის საინტერესო შემდეგი უურნალები შეგიძლიათ ნახოთ: Social Education (სოციალური განათლება) და Social Studies and the Young Learner (სოციალური მეცნიერებანი და ნორჩი მოსწავლეები).
- **National Science Teachers Association (NSTA)** (<http://NSTA.org>). (მასწავლებელთა მეცნიერების ეროვნული ასოციაცია). ასოციაციაში 55000 პირია გაწევრიანებული. ასოციაციის ვებგვერდი მეცნიერი პედაგოგებისთვის ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. აღნიშნული ასოციაცია აყალიბებს ეროვნული მეცნიერების საჯანმანათლებლო სტანდარტებს და გამოსცემს შემდეგ უურნალებს: Science and Children (მეცნიერება და ბავშვები), Science Scope (მეცნიერების მიზანი), The Science Teacher (მეცნიერების მასწავლებელი), და Journal of College Science Teaching (უურნალი კოლეჯში მეცნიერების სწავლების შესახებ).
- **International Reading Association (IRA)** (<http://wwwира.org>). (მკითხველთა საერთაშორისო ასოციაცია). ასოციაცია კითხვის მასწავლებლებს საერთაშორისო მასშტაბით სთავაზობს შემდეგ უურნალებს: The Reading Teacher (კითხვის მასწავლებელი), Journal of Adolescent and Adult Literacy (უურნალი მოზარდთა და ზრდასრულთა წიგნიერების შესახებ), და the Reading Research Quarterly (კვარტალური გამოცემა კითხვის კვლევის შესახებ).

### 30გითი უნივერსიტეტის პიპლიოტეკაში

ინტერნეტში თქვენთვის საინტერესო მასალის ძიებისას არ გამოგრჩეთ ინფორმაციის მოპოვების მნიშვნელოვანი და ადვილი წყარო – თქვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების უმეტესობას (განსაკუთრებით, საჯარო ბიბლიოთეკებს) ჰყავს მორიგე ბიბლიოთეკარები, რომლებიც ასეთ სიტუაციებში დაგეხმარებიან. ჩვენს უნივერსიტეტს ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ერგვევა როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი განათლების საკითხებში და საქამაოდ კარგი რჩევების მიცემა შეუძლია იმ-ათვის, ვისაც საცავში წიგნების ძიება აშინებს. თუმცა თუ ბიბლიოთეკაში ვიზიტისას ბიბლიოთეკარს არ სცალია, შეგიძლიათ, მუშაობა დაიწყოთ შემდეგი მასალით:

- კომპიუტერებით. კატალოგების მაგივრად, რომელიც, შესაძლოა, ძველი დროიდან გვახსოვდეს, თქვენ იპოვით კომპიუტერულ პროგრამას, რომლითაც შეგიძლიათ გაეცნოთ ბიბლიოთეკაში არსებული მასალების ჩამონათვალს. თქვენ ასევე შეგიძლიათ ნახოთ ინფორმაცია სხვა ბიბლიოთეკების შესახებ, რომლებთანაც თქვენს ბიბლიოთეკას დადგებული აქვს შეთანხმება წიგნების თხოვების შესახებ. ელექტრონულ მონაცემთა ბაზები საოცრად მარტივია გამოსაყენებლად და კარგი საშუალებაა თქვენი კვლევისთვის საჭირო ლიტერატურის ძიების დასაწყებად.
- ERIC CD-ROM-ზე. იმავე კომპიუტერის დაბმარებით, რომელიც შეიცავს ბიბლიოთეკის ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, შეგიძლიათ ნახოთ ERIC-ის CD-ROM-ზე. თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, გამოიყენოთ იგივე საძიებო საშუალება, რომელიც ზემოთ იყო განხილული.
- Browsing the stacks. (წიგნის საცავის დათვალიერება). ელექტრონულ მონაცემთა ბაზაზე საუბრისას ჩვენ გამოგრჩა მასალების მოპოვება წიგნის საცავების დათვალიერების გზით. ეს საჯარო ბიბლიოთეკებში წიგნის ძიების მეთოდს ჰყავს, როდესაც, მაგალითად, ფანტასტიკის ჟანრში წასაკითხ წიგნს ეძებთ. თუ იპოვეთ თემა-

ტიკის მიხედვით ის თაროები, სადაც თქვენთვის საინტერესო ლიტერატურაა გან-თავსებული, ძალიან ნაყოფიერი იქნება წიგნების გადათვალიერება. თქვენ ასევე შეგიძლიათ იპოვოთ თქვენთვის საინტერესო ლიტერატურა წიგნში მითითებული შენიშვნების მეშვეობით.

## თქვენი მასალების შეზასება

მას შემდეგ, რაც მასალას შეაგროვებთ, თქვენ უნდა შეაფასოთ იგი. პირველ რიგში უნდა გაერკეთ, რამდენად ეწება ეს მასალა თქვენს საკვლევ თემას. თუ მასალა კავშირშია თემასთან, მაშინ უნდა შეაფასოთ ამ მასალის ხარისხი, მაგალითად, მოპოვებულია თუ არა იგი მეცნიერული უურნალიდან ან ცნობილი გაზეთიდან? არის თუ არა ეს ინფორმაცია ვინმეს პირადი აზრი, თუ სამეცნიერო კვლევის შედეგია? ბუნებრივია, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს სანდოობის განსხვავებული ხარისხი აქვს.

მასალის შეფასებისას, პირველ რიგში, შეხედეთ მისი გამოცემის თარიღს და წყაროს, საიდანაც მოიპოვეთ ხსნებული მასალა. შეხედეთ წიგნის სავტორო უფლებების თარიღს, რომელიც მითითებული იქნება სტატიის გამოცემის თარიღთან. როდესაც გსურთ შეისწავლოთ კონკრეტული საკითხი და მიმღინარე პროცესები, ეს, ბუნებრივია, მოითხოვს, რომ კვლევა ეყრდნობოდეს განახლებულ ინფორმაციასა და მასალებს.

შემდეგ უნდა გაარკვიოთ, თუ საიდან მოიპოვეთ მასალა. მაგალითად, იპოვეთ თუ არა თქვენი მასალა რეცენზირებულ ან ურეცენზიო უურნალში? უურნალებში, რომელთაც რეცენზიები ახლავს, სტატიები შემოწმებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ და, შესაბამისად, ასეთ სტატიის უფრო მეცნიერული ხასიათი აქვს და არის სანდო, ვიდრე რეცენზიის გარეშე სტატიები უურნალებიდან ან, უბრალოდ, პოპულარული უურნალებიდან. რეცენზირებულ უურნალებში გამოქვეყნებული მეცნიერული სტატიები უნდა შესაბამებოდეს გარკვეულ მოთხოვნებს, უნდა იყოს შესაბამისი ფორმატისა და დაწერილი იყოს კვლევისთვის დადგენილი პროცედურების დაცვით.

ასევე უნდა დარწმუნდეთ, რომ კონკრეტული წყაროდან მიღებული ინფორმაცია არის მიუკერძოებელი და ობიექტური. იშველიებს თუ არა ავტორი დამამტკიცებელ საბუთს ინტერპრეტაციის გასამყარებლად? არის თუ არა სტატიის შინაარსი, ძირითადად, კერძო პირების პირადი აზრი, თუ იგი შეიცავს სათანადო შეგროვებულ და გაანალიზებულ მონაცემებს? დაბოლოს, შემატებს თუ არა აღნიშნული მასალა რამეს თქვენს საკვლევ თემაზე უკვე შეგროვებულ ინფორმაციას? აღრმავებს თუ არა აღნიშნული მასალა თქვენს ცოდნას და ღირს თუ არა, რომ მას მიაქციოთ ყურადღება?

განსაკუთრებული სიფრთხილე გამორთებთ, როდესაც აფასებთ ინტერნეტის საშუალებით მოპოვებულ ინფორმაციას, რადგან ნებისმიერ პირს შეუძლია, ინტერნეტით განათავსოს მასალა. მხოლოდ ის, რომ ინტერნეტის საძიებო პორტალმა გიჩვენათ კონკრეტული მასალა, არ ადასტურებს მის სიზუსტესა და სანდოობას. ინტერნეტით მოძიებული მასალა საგულდაგულოდ უნდა შემოწმდეს – რამდენად არის იგი ტენდენციური, მიკერძოებული, სავარაუდო ან ზუსტი.

ბიბლიოთეკაში და ინტერნეტის საშუალებით ეფექტური ძიების მეშვეობით მოიპოვებთ მრავალფეროვან მასალას თქვენი საკვლევი თემის შესახებ. ორივე საძიებო მეთოდის გამოყენებით თქვენ შეაგროვებთ ინფორმაციას, რომელიც როგორც განახლებულია, ასევე ყოვლისმომცველია. დროთა განმავლობაში თქვენ უფრო მეტ გამოცდილებას შეიძენთ და შესაძლებლობა გექნებათ, მასალის ძიება უფრო ეფექტურად განახორციელოთ.

## მოკლე მიმოხილვა

საკვლევი თემისთვის საჭირო მასალის იდენტიფიცირების შემდეგ თქვენ გადადიხართ შემდეგ ეტაპზე, რაც ლიტერატურის მიმოხილვას გულისხმობს. როგორც წესი, ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ წერთ მოკლე დასკვნებს და ახდენთ თქვენი მასალის კლასიფიცირებას. ზოგჯერ მოსწავლეები კითხულობენ – რისთვის არის საჭირო ორიგინალის, სტატიის, მოსსენების წაკითხვა და მოკლე მიმოხილვა, მაშინ, როდესაც აღნიშნულ ლიტერატურას კარგად დაწეროლი რეცეპტიები ახლავს? ამის ორი ძირითადი მიზანი არსებობს: პირველი, არსებული რეცეპტია არ არის ყოველთვის კარგი. იგი, შესაძლოა, არ იყოს სტატიის შინაარსის ზუსტი მიმოხილვა ან დასკვნა. მეორე, როგორც წესი, სტატიის მხოლოდ სრულად წაკითხვით გეძლევათ შესაძლებლობა, მიიღოთ უამრავი საინტერესო ინფორმაცია (თქვენ ამაში დარწმუნდებით).

მოკლე მიმოხილვის პროცესის დასაწყებად დააღაგეთ სტატიები და სხვა მასალები ქრონოლოგიურად. მასალის შესწავლა დაიწყეთ ბოლო გამოცემიდან, რაც კვლევისთვის კარგი სტრატეგიაა, რადგან ბოლო/ახალი კვლევა, სავარაუდო, უფრო სასარგებლო, ვიდრე ადრინდელი. ასევე, ბოლოდროინდელ კვლევებში შეიძლება მითითებული იყოს წინამორბედი კვლევები, რომელთა შესახებ თქვენ გაგონილიც კი არ გქონდათ. თითოეული მასალის შესწავლისას უნდა გათვალისწინოთ შემდეგი:

1. თუ სტატიას ახლავს რეცეპტია ან დასკვნა, რაც სტატიების უმეტესობას აქვს, წაკითხეთ და განსაზღვრეთ, რამდენად გამოსაღებია იგი თქვენი კვლევისთვის.
2. გადაათვალიერეთ სტატია, რათა განსაზღვროთ მასში განხილული მთავარი თემები.
3. კატალოგში ან კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში ჩაწერეთ ნაშრომის სრული ბიბლიოგრაფიული მონაცემები. კატალოგის ბარათში ან მონაცემთა ბაზაში მიუთითეთ ბიბლიოთეკაში მიმართვის ნომერი, თუ წყარო წიგნია. ეს საკმაოდ მოსაწყინი პროცესია, თუმცა აუცილებელია. როდესაც ადგილზევე ახდენთ მასალის მოკლე მიმოხილვას, ამით ზოგავთ თქვენს დროსა და ენტრეგიას. თუ თქვენ იცით, რომ ლიტერატურის წყაროზე მითითება კონკრეტული წერის ფორმატის მიხედვით უნდა იყოს შედგენილი, მაგალითად, როგორც ეს *Publication Manual of the American Psychological Association (APA)* – ამერიკის ფილიოლოგთა ასოციაციის გამოცემაშია აღწერილი, მაშინ შეადგინეთ თქვენი ბიბლიოგრაფიული მონაცემები ამ ფორმატის მიხედვით. მაგალითად, APA-ს წერის ფორმატით უწრნალის სტატიის წყაროზე მითითება უნდა გამოიყერებოდეს შემდეგნაირად:

სწურდი, ბ. ჯ. (1995). გაუმჯობესებული აღრიცხვის სწავლების დროს თეთრი ცარცის გამოყენება ყვითელ ცარცთან შედარებით. უწრნალი „Useless Findings“, 11, 1-99.

მოცემულ მაგალითში 1995 არის გამოცემის თარიღი, 11 არის უწრნალის ტომის ნომერი, 1-99 არის გვერდების ნომრები. APA-ს მიერ შემუშავებული წერის ფორმატი შეიცავს წყაროს მითითების სტილს ნებისმიერი სახის მასალისთვის. როგორ ფორმატსაც არ უნდა იყენებდეთ, გამოიყენეთ იგი ყოველთვის ერთნაირად და დარწმუნდით, რომ ბიბლიოგრაფიული მითითებები არის ზუსტი. წინასწარ არასაღროს იცით, როდის შეიძლება დაგჭირდეთ მითითებული მასალის ხელახლა ნახვა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

4. მოახდინეთ სტატიების სისტემური კლასიფიცირება და კოდიფიკაცია, შემდეგ დაუმატეთ აღნიშნული კოდი მონაცემთა ბაზაში ან კატალოგის ბარათში გამოსაჩენ ადგილას, მაგალითად, ზედა, მარჯვენა კუთხეში. კოდის მეშვეობით თქვენ შეგეძლებათ თქვენი მასალების კატეგორიების მიხედვით დახარისხება. კოდიფიცირება დაგეხმარებათ მასალების დახარისხებაში, დალაგებაში, ანალიზში, სინთეზირებასა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვის დაწერაში. თქვენი სტატიების კოდიფიცირება და ჩანაწერების წარმოება არის მნიშვნელოვანი მათი სისტემატიზაციისთვის. ასევე, არსებობს კომპიუტერული პროგრამები კოდიფიცირებისთვის. უახლესი მონაცემთა საძიებო კომპიუტერული პროგრამები არის: HyperSEARCH და EndNote.
5. მოკლედ მიმოხილეთ, მიუთითეთ წყაროს შესახებ და გადმოეცათ მასალის ძირითადი არის (დამიჯერეთ, თქვენ აუცილებლად წაიკითხავთ თქვენ მიერ დაწერილ მოკლე მიმოხილვას მოგვიანებით). თუ სტატია ეხება ვიღაცის პირად აზრს, დაწერეთ ავტორის შეხედულების ძირითადი საკითხები, მაგალითად: „ჯონს მიაჩნია, რომ მშობლების მოხალისებად გამოყენება საჭიროა, რადგან...“ (ჩამოთვალეთ მიზეზები). თუ ეს არის ნაშრომი, მიუთითეთ პრობლემა, პროცედურები (მონაწილეებისა და საშუალებების ჩათვლით) და ძირითადი დასკვნები. განსხვავებულად ჩაინიშნეთ თქვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ან კვლევის უნიკალური ასპექტი, მაგალითად, ახალი საზომი ინსტრუმენტების გამოყენება. ყურადღებით შემოწმეთ მასალა. დაწმუნდით, რომ რაიმე მნიშვნელოვანი არ გამოგრჩათ. თუ სტატიის დასაწყისში მოცემული რეცეზია შეიცავს სრულ ინფორმაციას (რაშიც ეჭვი მეპარება), გამოიყენეთ აღნიშნული.
6. მიუთითეთ ნებისმიერი აზრი, რაც სტატიის წაკითხვისას გაგიჩნდებათ, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ისეთი საკითხი, რომელშიც სტატიის ავტორს არ ეთანხმებით (აღნიშნული სახის ჩანაწერზე მიუთითეთ X), ან ისეთი საკითხები, რომლებიც ვერ გაიგეთ (მიაწერეთ ?). მაგალითად, თუ ავტორი აცხადებს, რომ მან გამოიყენა ორმაგად ბრმა პროცედურა და თქვენ არ იცნობდით ამ კონკრეტულ ტექნიკას, თქვენს მონაცემთა ბაზაში ან კატალოგის ბარათზე, ან გენრდის ფორმაპირზე თქვენ უნდა დაუსვათ კითხვის ნიშანი ამ განცხადების გასწვრივ. მოგვიანებით შეიძლება გაიგოთ, თუ რა იგულისხმებოდა ამ მეთოდში.
7. ჩაინიშნეთ ყველა განცხადება, რომლებიც შეიცავს პირდაპირ ციტირებას ან პირად რეაციას: პლაგიატიზმი (შეგნებული თუ უნებლიერი) აბსოლუტურად მიუღებელია და იწვევს არასასურველ შედეგებს. თქვენს მონაცემთა ბაზაში ან კატალოგის ბარათში პირდაპირი ციტირების ამოწერისას თუ არ ჩასვამთ მას ბრჭყალებში, მოგვიანებით თქვენ შეიძლება დაგვაიწყდეთ, რომ ეს პირდაპირი ციტირება იყო. თქვენ ასევე უნდა მიუთითოთ იმ გვერდის ზუსტი ნიმერი, რომელზეც ციტატა იყო მოყვანილი, რადგან მოგვიანებით შეიძლება თქვენს ნაშრომში აღნიშნული ციტირების გამოყენება მოგიჩდეთ. თუმცა თქვენი კვლევის გეგმაში ან მოხსენებაში პირდაპირი ციტირებები მინიმალური ოდენობით უნდა გამოიყენოთ; ორივე უნდა დაიწეროს თქვენი, და არა სხვა მკვლევრების, სიტყვებით. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ პირდაპირი ციტირება შეიძლება საქმაოდ დროული და საჭირო აღმოჩნდეს. თუმცა დარწმუნდით, რომ საჭირო ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია სრულად ჩაინიშნეთ.

როგორი ფორმატიც არ უნდა აირჩიოთ ბიბლიოგრაფიული მონაცემების შედგენისას, აუცილებლად გაუფრთხილდით თქვენს ჩანაწერებს. გააკეთეთ მათი ასლები და შეინახეთ დაცულ ადგილას. როდესაც დასრულებთ ლიტერატურის მიმოხილვის პროცესს, ამ

მონაცემთა ბაზის შექმნაში ბევრი სამუშაო დრო გექნებათ დახარჯული. მოსწავლეები ტირილამდე მისულან, როდესაც დარჩენიათ თავიანთი ჩანაწერები ავტობუსში ან კაფეში, მაგიდაზე, ან წაშლიათ მთელი ინფორმაცია კომპიუტერული ვირუსის გამო. მიუხედავად დიდი სიმპათიისა, თქვენს ხელმძღვანელს მხოლოდ იმის თქმა შეუძლია ასეთ შემთხვევაში, რომ დაიწყოთ ყველაფერი თავიდან. ასევე, როდესაც კვლევის ანგარიში დასრულებულია, ბარათები ან კომპიუტერულ მონაცემთა ბაზა შეიძლება დააარქივოთ (ფოტოპირები შეიძლება მოათავსოთ დიდ ბაინდერებში) და შენახოთ სამომავლო კვლევისთვის (არავინ დაკმაყოფილებულა მხოლოდ ერთი კვლევის ჩატარებით).

#### ლიტერატურის ანალიზი, სისტემატიზაცია და აღწერა

გეგმის შედგენის დროს დამწებ მკვლევრებს ყველაზე მეტად ლიტერატურის მიმოხილვის დაწერაზე ფიქრი აშენებთ. უფრო მეტი დრო იხარჯება იმაზე ნერვიულობით, თუ როგორ დაწერთ მიმოხილვას, ვიდრე უშუალოდ მიმოხილვის დაწერას სჭირდება. ასეთი გადაუწყვეტელობა, ძირითადად, გამოწვეულია ლიტერატურის მიმოხილვის დაწერის გამოცდილების უქინლობით.

- აღწერეთ ფაქტები და გამოყარეთ პირადი შეხედულებები. მიუთითოთ წყაროზე ფაქტებისა და პირადი შეხედულებების გასამყარებლად. გაითვალისწინეთ, რომ ფაქტები ხშირად ეფუძნება ეპიროვულ მონაცემების, მოსაზრებები კი არა. სარწმუნობის იერარქიაში ფაქტები უფრო სარწმუნოა, ვიდრე პირადი აზრი. მიმოხილვაში განასხვავთ ფაქტები და პირადი აზრები.
- ცხადად განსაზღვრეთ ტერმინები და იყავით თანმიმდევრული ტერმინების გამოყენებისას.
- მოახდინეთ შინაარსის ლოგიკური სისტემატიზაცია.
- თქვენი ნაწერი მიმართეთ კონკრეტული მკითხველისენ. როგორც წესი, ლიტერატურის მიმოხილვა განკუთხილია შედარებით მიამიტი მკითხველისთვის, რომელსაც საკითხზე ზოგადი წარმოდგენა აქვს, თუმცა სჭირდება დამატებითი განათლება, რომ გაიგოს საკითხის არსი ან საგანი. არ ჩათვალით, რომ თქვენმა მკითხველებმა იციან იგივე, რაც თქვენ, მოცემული საკითხისა და ლიტერატურის შესახებ! მათ არ იციან, ასე რომ, თქვენ უნდა გაანათლოთ ისინი.
- იხელმძღვანელეთ დადგენილი წერის ფორმატით. წერის ფორმატში აღნიშვნულია, რა სტილში უნდა გაკეთდეს თავების სათაურები, ცხრილი როგორ უნდა ავაგოთ როგორ უნდა შეგადგინოთ შენიშვნები და ბიბლიოგრაფიული მონაცემები. დადგენილი წერის ფორმატებიდან ყველაზე ხშირად იყენებენ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის სახელმძღვანელოს (მეცუთე გამოცემა) და ჩიკაგოს წერის ფორმატს (მეტხუთმეტე გამოცემა).
- თავი აარიდეთ ჟარგონის გამოყენებას.
- ყველა ძირითადი თავი დაიწყეთ მისი მოყვე მიმოხილვით. მიმოხილვა შეიძლება დაიწყოთ შემდეგნაირად: „ამ თავში სამი ძირითადი საკითხი იქნება განხილული. პირველი შეეხება.....“.
- ყველა ძირითადი თავი დაასრულეთ დასკვნით, რომელშიც თავს მოუყრით ძირითად იდეებს.

#### 2-3 გრაფა. რჩევები ტექნიკური წერისთვის

ლიტერატურის მიმოხილვა მოითხოვს წერის ტექნიკურ ფორმას, რაც არ პგავს ჩენ მიერ ძირითადად შესრულებულ ნაწერებს. ტექნიკური წერის დროს ფაქტები უნდა აღიწეროს და პირადი აზრები დასაბუთდეს. მაგალითად, თუ აცხადებთ, რომ ოპაიოს შტატში იმ მოზარდების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც საშუალო სკოლაში სწავლას თავს ანტებენ, გაიზარდა ბოლო 10 წლის განმავლობაში, თქვენ ასევე უნდა მიუთითოთ ამ ინფორმაციის მიღების წყარო. ტექნიკური წერა არის

ზუსტი და მოითხოვს განსაზღვრებების სიზუსტეს და ტერმინების გამოყენების დროს თანმიმდევრულობას. თუ ტერმინი მიღწევა მნიშვნელოვანია თქვენი მიმოხილვისთვის, თქვენ ასევე უნდა მიუთითოთ, რას გულისხმობთ მასში და უნდა იყოთ თანმიმდევრული ერთი და იმავე მნიშვნელობით აღნიშნული ტერმინის გამოყენებისას მთელი წერილობითი ნაშრომის დროს. №2-3 გრაფა აჯამებს ლიტერატურის მიმოხილვის დროს ტექნიკური წერისთვის გამოსადეგ მნიშვნელოვან რჩევებს.

ლიტერატურის მოკლე მიმოხილვის სწორად დაწერის შემთხვევაში, მისი ანალიზი, სისტემურიზება და აღწერა გაცილებით გაგიადგილდებათ. დასაწყისისთვის უნდა გადახელოთ თქვენს ჩანაწერებს, რითიც მექსიერებას გაავარჯიშებთ. ეს დაგეხმარებათ იმის გადაწყვეტაში, თუ რომელი მასალა არ გამოდგება გამოსაყენებლად, ვინაიდან არ არის საკმარისად და კავშირებული თქვენს საკვლევ თემასთან; ან შეუცადოთ ისეთი მასალის გამოყენებას, რომელიც არ არის თქვენს თემასთან კავშირში; მოკლე მიმოხილვა, როგორც პიპოთების საფუძველი, ასევე დასაბუთებაც არის და ამიტომ უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ მასალას, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად გამოგადგებათ. ქვემოთ მოყვანილი რჩევები თქვენთვის სასარგებლო უნდა იყოს:

- გაყენეთ მონახაზი. ნუ იწუწუნებთ. როგორიც არ უნდა იყოს თქვენი მონახაზი, იგი დაზოგავს თქვენს დროს სამომავლოდ და გაზრდის შანსს, რომ მოკლე მიმოხილვა იყოს სისტემურიზებული. მონახაზი არ უნდა იყოს ზედმიწევნით დეტალური. დაიწყეთ მთავარი თემების იდენტიფიცირებით და ჩამოაყალიბეთ, როგორი თანმიმდევრობით წარმოადგინთ მათ. მაგალითად, მონახაზი კვლევისთვის, რომელიც ეხება ანაზღაურების ქქონე არაპროფესიონალების მოხალისე მშობლებთან შედარებას, შეიძლება დაიწყოთ სათაურით: „ლიტერატურა ანაზღაურების ქქონე არაპროფესიონალების შესახებ“, „ლიტერატურა მოხალისე მშობლების შესახებ“ და „ლიტერატურა, რომელიც აღნიშნულ ორ კატეგორიას ადარებს“. გახსოვდეთ, რომ მუშაობის პროცესში, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დაამატოთ ან ამოიღოთ საკითხები თქვენი მონახაზიდან. შემდეგი ნაბიჯი იქნება თითოეული ძირითადი სათაურის პატარა ქვესათაურებად დაყოფა. ამის საჭიროება თქვენი საკვლევი თემით იქნება განპირობებული. რაც უფრო რთული იქნება თქვენი თემა, მით უფრო მეტი ქვეთავის დამატება დაგჭირდებათ. როდესაც დასარულებთ მონახაზზე მუშაობას, თქვენ აუცილებლად მოგიზდებათ ზოგიერთი თავის გადაადგილება, დამატება ან წაშლა, რაც გაცილებით ადვილია.
- თქვენი მონახაზის მიხედვით გაყენეთ თქვენი მასალის ანალიზი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსაზღვრეთ, რომელ ქვეთავს მიესადაგება თითოეული მასალა. შემდეგ მოახდინეთ თქვენი მასალის სისტემურიზაცია. თუ ისე აღმოჩნდა, რომ მასალას არ აქვს მიჩნილი თავისი ადგილი, შეიძლება ვივარაუდოთ სამი რამ: (1) თქვენი მონახაზი არ იყო სწორად შედგენილი; (2) მოკლე აღწერილობაში მითითებული მასალა არ არის შესაბამისა და უნდა იყოს ამოღებული; (3) მასალები, მართალია, მოკლე მიმოხილვისთვის გამოუსადეგარია, თუმცა შეიძლება გამოგადგეთ კვლევის გეგმის რომელიმე ნაწილისთვის ან მოხსენებისთვის. აღწერილობითი კვლევის პირადი მოსაზრებების შემცველი სტატიები ხშირად გამოსადეგია შესაბამის ნაწილისთვის, მაშინ როცა ფორმალური კვლევები უფრო გამოსადეგია შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში.
- გაანალიზეთ მასალა თითოეული ქვეთავის მიხედვით მსგავსებისა და სხვაობის დასაღენად. თუ სამი სხვადასხვა მასალა ერთსა და იმავე აზრს შეიცავს, თქვენ არ დაგჭირდებათ თითოეულის აღწერა; უკეთესია, გააკეთოთ

ერთი შემაჯამებელი განცხადება და მიუთითოთ სამ განსხვავებულ წყაროზე, როგორც ქვემოთ მოყვანილ მაგალითშია:

რამდენიმე კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათემატიკის გაუმჯობესებული სწავლების დროს თეორი ცარცი უფრო ეფექტურია, ვიდრე ყვითელი (სნურდი, 1995; ტრივია, 1994; ზიგი, 1984).

- ნათლად მიმოხილეთ ძევლი კვლევა. არ მოიყვანოთ დიდი რაოდენობით ციტატები ან აღმოჩენების ჩამონათვალი (ჯონსმა აღმოჩინა ა, სმიტმა – ბ, ბრაუნმა – გ). თქვენი ამოცანაა მასალების გასაგებად თავმოყრა და შეჯამება. არ უგულებელყოთ ის მიმართულება, რომლის კვლევების უმტკიცბაშიც ჩამოყალიბებულია თქვენი პირადი აზრის საწინააღმდეგო მოსაზრება. გააანალიზეთ და შეაფასეთ ურთიერთსაწინააღმდეგო ნაშრომებიც და შეეცადეთ იპოვოთ შესაძლო ახსნა. მაგალითად:
- აღნიშნული ნაშრომების საწინააღმდეგოდ, როტენსტუდეს ნაშრომი (1998), ამტკიცებს, რომ ყვითელი ცარცი უფრო ეფექტურია ტრიგონომეტრის სწავლის დროს. თუმცა შესწავლილი ჯგუფების სიდიდესა (ჯგუფში ორი მოსწავლე) და კვლევის ხანგრძლივობას (ერთი სასწავლო წელი) შესაძლოა, კვლევის შედეგებზე გავლენა ჰქონოდა.
- ჰიპოთეზის წამოყენებამდე ჯერ განიხილეთ ის მასალა, რომელიც ნაკლებად არის დაკავშირებული თქვენს პრობლემასთან და შემდეგ ის, რომელიც უშუალო კავშირშია განსახილებულ თემასთან. ითქვეუთ დიდ V-ზე. დიდი V-ს ძირში არის თქვენი ჰიპოთეზა; თქვენი ჰიპოთეზის თავზე არის ის ნაშრომები, რომლებიც ყველაზე მეტადაა დაკავშირებული მასთან და ა.შ. ლიტერატურა ისე უნდა იყოს ორგანიზებული და წარმოდგენილი, რომ ღოგიერულად, ფრთხილად და დამაჯერებლად მიგვიყვანოს დასკვნამდე, ანუ ჰიპოთეზამდე. ხაზი გაუსვით ან შეაჯამეთ თქვენი მიმოხილვის მნიშვნელოვანი ასპექტები, რათა მკითხველისთვის ადგილად აღსაქმელი იყოს. თუ თქვენს პრობლემას ერთზე მეტი მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს, თქვენ, შესაძლოა, გქონდეთ ორი V ან ერთი V, რომელიც ღოგიერულ მიგვიყვანს ორ დამაჯერებელ დასკვნამდე.
- დაასრულეთ მიმოხილვა ლიტერატურის შესახებ მოკლე დასკვნით. დასკვნის სიდიდე დამოკიდებულია მიმოხილვის სიდიდეზე. იგი უნდა იყოს საკმაოდ დეტალური, რათა ნათლად დაგვანაზეოს ღოგიერულ ჯაჭვი, რომელსაც მის-დევლით დასკვნის გაკეთების პროცესში:

## ცერის უნარ-ჩვევები და რჩევები

ლიტერატურის მიმოხილვის დაწერაში დაგეხმარებათ შემდეგი საშუალებები და სტრატეგიები:

### ლიტერატურის მატრიცა

წაკითხული ლიტერატურის შესახებ ჩანაწერების გასაკეთებლად კარგი საშუალებაა მატრიცის შედგენა (იხილეთ 2-4 და 2-5 გრაფები). მატრიცის მეშვეობით შეგიძლიათ თქვენი აზრების თვალისწინება; ამსახის დერნის გასწვრივ ჩამოთვალეთ ავტორთა სახელები და გამოცემის წელი; ორდინატის ლერნის გასწვრივ ჩამოთვალეთ ის ცვლადები/თემები/საკითხები, რომლებიც წამოჭრილია კვლევების დროს. მატრიცა შემოგთავაზებთ თქვენ მიერ წაკითხული ლიტერატურისა და კვლევებისთვის საერთო დამსახუათებელი ელემენტების რუკას.

## თემატური და ქრონოლოგიური მიმოხილვა

მიაქციეთ ყურადღება იმ თემებს, რომლებიც მატრიცის დახმარებით გამოიკვეთა და წერილობითი თხრობის დროს გამოიყენეთ ქვეთავების სახით, რითაც თქვენ მიიღებთ ავტორთა შედარებებსა და სხვაობებს. ამის მსგავსად თითოეულ კატეგორიაში გააკეთოთ ლიტერატურის სისტემატიზაცია, დაიწყეთვ ყველაზე ადრეული გამოცემებით და დაამთავრეთ ბოლო გამოცემებით. ხშირად შემუშავებული სტრატეგია გიჩვენებთ თქვენი კვლევისთვის საინტერესო სფეროში ტენდენციების ცვალებადობას.

### მოკლე მიმოხილვის შემაჯამებელი განცხადება

შემაჯამებელ განცხადებას სხვადასხვა დანიშნულება აქვს. უპირველეს ყოვლისა, იგი გვთავაზობს კვლევის დასაწყებად კარგ მასალას იმ მხრივ, რომ მასში მოცემულია ინფორმაცია წინამორბედ კვლევებზე. შეორე შხრივ კი, იგი ხაზს უსვამს თქვენი კვლევის აუცილებლობას და პოტენციას, წელილი შეიტანოს უკვე არსებულ კვლევებში. თუ თქვენ გსურთ გრანტის მოპოვება, რათა კვლევაში დაგეხმაროთ, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, არსებობდეს კავშირი თქვენს კვლევისა და წინა კვლევებს შორის. გარდა ამისა, შემაჯამებელი განცხადება საშუალებას გაძლიერებს, სხვებს გააცნოთ ინფორმაცია კვლევის შედეგად მიღებული ახალი მიღგომების შესახებ, რასაც ასევე დადებითი გავლენა ექნება თქვენს კვლევაზე.

ლიტერატურის მიმოხილვის სანახავად ეწვიეთ პარტნიორ ვებგვერდს შემდეგ მისამართზე: [www.prenhall.com/mills](http://www.prenhall.com/mills) და წაიკითხეთ ლიტერატურის მიმოხილვა ტესტირების პროგრამის შესახებ (Review of Literature on High Stakes Testing).

ავტორები	წელი	კვლევაში განხილული ცვლადები		

2-4 ბრაზა. ლიტერატურის მატრიცა

აგრძლება	წელი	კილოგრამი გამოსალური ცვლილები						
		აგადები ური მოლუსტი	სამშენებლო ტანსპორტუ რეზი	სოცია- ლური აღაუცევა	წევმოწლო განთ- უბა	ქარანტენის საფუძვლი ჰანტი	დამტესით საგადამზადებელო ორგანიზაცია S.E.S.	I.Q.
კრატერი, გ. და დორნი, ს.	1970	●	●					
ბურგი, ს. ფ. და ნიკლონი, ბ.რ.	1971	●						
ქლინისი, რ.ჯ. და ქულევი, ფ.	1974	●	●					
მაქევი ლ.დ. და საბასინი, ბ.ჯ.	1975	●	●					
ლასები, ს. და ბლური, გ.	1979	●	●	●	●			
პარტიო, ლ.	1979	●	●					
პარტიო, ლ.	1981	●	●	●				
ბელი, გ.პ.	1962	●						
სპოლი, თ.ს., პუსტანდასი, ლ.ტ., და სორითი, გ.	1969	●						
გალენი, თ.ს., და ფრედი, მ.ა..	1973	●						
ბელები, ფ.ს. და გარეგარი, ჩ.რ.	1975	●						
გუამინი, თ.ლ.	1975	●						
სპლიტი, პ., ლა რაბეტენი, ჭ.	1977							
დე წისე, გ.ა. და ველიკ, ჩ.ე.	1981	●						
ალანი, ჭ., და ბარბულები, პ.	1983							
გირი, გ.	1984	●						
თომასი, ბ.დ.	1978	●						
რაჭენანი, ჭ.	1987	●						
მილია, გ.პ.	1989	●	●					

გრაფა 2-5. ლიტერატურის მატრიცის ნიმუში

წყარო: „ბაზესტი გარდამცველ ასაკი“, გ.ი. მილია, 1985, გამოიცემული თეზისა, ფრთი, ასტრალია. დასავლთ აჭარალის ტექნიკური უნივერსიტეტი.

## სამოქმედო კვლევის გეგმა

იდეალურ შემთხვევაში ძიებისა და ლიტერატურის მიმოხილვის ეტაპზე თქვენ მიერ დახარჯული დრო აუცილებლად გამოიღებს შედეგს. ასევე, ეს შეიძლება დაგეხმაროთ პრაქტიკული მიდგომის პოვნაში.

კვლევის ამ ეტაპზე თქვენ უნდა შეიმუშაოთ სამოქმედო გეგმა, რომელიც შეაჯამებს თქვენს ნაფიქრალს და რითაც შემდგომ იხელმძღვანელებთ სამოქმედო კვლევის წერისას. გეგმა უნდა შეიცავდეს ქვემოთ აღწერილ ცხრა საფეხურს (აღაპტირებული, ელიოტი, 1991; ქემისი და მაქთაგარტი, 1988):

1. მოახდინეთ პრიორიტეტული სფეროს ფორმულირება;
2. განსაზღვრეთ ცვლადები;
3. ჩამოაყალიბეთ კვლევის მთავარი შეკითხვა;
4. აღწერეთ ჩარევა ან ინოვაცია;
5. აღწერეთ სამოქმედო კვლევის ჯგუფში მონაწილე პირები;
6. აღწერეთ განსახორციელებელი მოლაპარაკებები;
7. ჩამოაყალიბეთ დროის დიაგრამა;
8. შეადგინეთ საჭირო მასალის ჩამონათვალი;
9. შეიმუშავეთ მონაცემთა შეგროვების იდეები.

## მოახდინეთ პრიორიტეტული სფეროს ფორმულირება

პრიორიტეტული სფერო განსაზღვრავს თქვენი კვლევის მიზნებს. დასაწყისისთვის, ჩამოაყალიბეთ და დაასრულეთ ქვემოთ მითითებული წინადადების აზრი: „კვლევის მიზანია ...“. მაგალითად:

- კვლევის მიზანია შეისწავლოს, თუ რა გავლენას ახდენს ამოცანის ამოხსნის უნარების სწავლება მოსწავლეების მიერ ამ უნარების ცხოვრებაში გამოყენებასა და ძირითადი ფაქტების დამახსოვრებაზე.
- კვლევა სწავლობს, ინტერაქტიულ თეატრში მაურენებლის მონაწილეობა თუ რა გავლენას ახდენს მის უნარზე, ცხოვრებაში მსგავსი პრობლემის არსებობისას გამონახოს მისი მოგვარების გზები.
- კვლევის მიზანია დაადგინოს, თუ რა გავლენას ახდენს მშობელსა და მოსწავლებზე მშობელთა კრებების მოსწავლეების მიერ გაძლოლა.

## განსაზღვრეთ ცვლადები

პრიორიტეტული სფეროს განსაზღვრისას მიუთითეთ, რაზე აპირებთ კონცენტრირებას კვლევის დროს. ასეთ დროს ზუსტად უნდა განსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს თქვენთვის კონკრეტული ფაქტორი, კონტექსტი და ცვლადები. ცვლადი არის თქვენი კვლევის სპეციფიკა, რაც შესაძლოა შეიცვალოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცვლადი არის სწავლების ის მეთოდი, სასწავლო პროგრამა და მოსწავლეების შედეგები, რომელთა შეცვლასაც აპირებთ. განსაზღვრება ასევე შეიძლება ლიტერატურიდანაც გამოიყენოთ, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეთანხმებოდეთ, რასაც განსაზღვრავთ და შეგეძლოთ სხვებისთვის განმარტება. პროცედურების აღწერისას მკვლევრები განმარტავენ, თუ რას გულისხმობენ, როდესაც ამბობენ: პრობლემის მოგვარების რეალურ ცხოვრებაში გადატანას, რთული ამოცნის ამოხსნის სასწავლო პროგრამას და ამოცანის ამოხსნის უნარების გამოყენებას, მათემატიკური ფაქტებისა და ფუნქციების

დამახსოვრებას, მოზარდთა თეატრში ინტერაქტიულ მონაწილეობას, მოსწავლეების მიერ ჩატარებულ კრებებს და მოსწავლეებისა და მშობლების დარწმუნებას. თუ თქვენთვის ბოლომდე გასაგებია, რასაც ეძებთ, მაშინ კვლევის პროცესში მას ადგო-ლად მიაგნებთ. ასეთ შემთხვევაში, მონაცემთა შეგროვებისას უფრო თავისუფალი იქნებით და არ შეიძოჭებით ჯგუფის წევრებთან კვლევის მიზნის განხილვისას.

## ჩამოაყალიბეთ კვლევის მთავარი შეკითხვა

ჩამოაყალიბეთ კვლევის შეკითხვა, რაც სიცოცხლეს შთაბერავს თქვენს პრიორიტეტულ სფეროს და დაგეხმარებათ მონაცემთა შეგროვების გეგმაზე კონცენტრირებაში. შეკითხვები, ასევე, დაგეხმარებათ კვლევის სწორი მიმართულების არჩევაში. მაგალითად:

- რა გავლენას ახდენს მოზარდთა თეატრში მაყურებლის ჩართულობა მათ მიერ საკითხის სწორად გაგებაზე?
- რა გავლენას ახდენს „ძალადობის იმპროვიზაცია“ მაყურებლის მიერ ძალადობის ცნების სწორად აღქმაზე?
- რა გავლენას ახდენს ამოცანის ამოხსნისას მათემატიკური თვალსაჩინოების გამოყენება მოსწავლეების მიერ პასუხის რამდენიმევარიანტიანი ტესტის გამოყენაზე?
- როდის იყენებენ მოსწავლეები ამოცანის ამოხსნის უნარებს?
- როგორ იყენებენ მოსწავლეები ამოცანის ამოხსნის უნარებს სხვა საგნებში?
- როგორ იყენებენ მოსწავლეები ამოცანის ამოხსნის უნარებს სკოლის გარეთ ცხოვრებაში?

## აღნირეთ ჩარევა ან ინოვაცია

აღწერეთ, რის გაკეთებას აპირებთ თქვენ მიერ წარმოდგენილი სიტუაციის გასაუმჯობესებლად. მაგალითად: „მე გამოვიყენებ სტანდარტულ, მათემატიკაში ამოცანის ამოხსნის ზოგად საწავლო გეგმას“, „მოზარდთა თეატრის ფარგლებში მე გამოვიყენებ მაყურებლის იმპროვიზაციას“ და „მე მონაწილეობას მივაღებინებ მოსწავლეებს პედაგოგებთან გამართულ მშობელთა კრებებში“. გახსოვდეთ, აღნიშნული, უბრალოდ, განცხადებაა იმის შესახებ, თუ რის განხორციელებას აპირებთ კლასში ან სკოლაში, რათა წარმოშორავ თქვენ მიერ არჩეული სწავლების/სწავლის კონკრეტული თემა.

## აღნირეთ სამოქმედო კვლევის ჯგუფში მონაცილე პირები

აღწერეთ თქვენი სამოქმედო კვლევის ჯგუფში მონაწილე პირები და განიხილეთ, თუ რატომ არიან მნიშვნელოვანი აღნიშნული პირები. აპირებთ თუ არა ადგილობრივ საბჭოსთან მუშაობას? მშობლების ჯგუფთან? თანხმობის შემთხვევაში, რა ფუნქციები ექნება აღნიშნულ ჯგუფს? მაგალითად:

მე კომუშავებ საშუალო სკოლის შვიდ მათემატიკის მასწავლებელთან ერთად, რომლებიც მათემატიკის კათედრის წევრები არიან. თუმცა კათედრაზე მათი ფუნქციები განსხვავებულია. როგორც ჯგუფმა, პრიორიტეტულ სფეროდ ავირჩიეთ კათედრაზე არსებული პრობლემის მოგვარება. თითოეული ჩვენგანი კონცენტრირებული იქნება სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდების განხორციელებაზე. ეს დაგვეხმარება პრობლემის მოგვარების ახალი სტრატეგიების შექმნაშვებაში და მონაცემთა შეგროვებისთვის ბავშვების არჩევაში, რაც გაგვიადვილებს სწავლების შედეგების შემოწმებას.

კათედრის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი იქნება, შეატყობინოს სკოლის დირექტორს გაწეული სამუშაოს შესახებ და უზრუნველყოს ნებისმიერი მასალით, რაც შესაძლოა, კვლევის დასრულებისთვის დაგვჭირდეს. კათედრის ხელმძღვანელი, ასევე, პასუხისმგებელია ჩატარებული სამუშაოს აღწერაზე, რაც სკოლის საინფორმაციო ბიულეტენში დაიბეჭდება (და სახლში გაეგზავნება ყველა მშობელს) და, ამავდროულად, აღნიშნულით მოხდება ბავშვებისა და მშობლების ინფორმირება წლის პრიორიტეტული თემის შესახებ.

## აღცერეთ განსახორციელებელი მოღაბარაცეპები

აღწერეთ ნებისმიერი სახის მოლაპარაკება, რომელთა ჩატარებაც გჭირდებათ გეგმის განხორციელებამდე. გჭირდებათ თუ არა ადმინისტრატორის ნებართვა? მშობლების? მოსწავლეების? კოლეგების? აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ თქვენ კარგად აკონტროლებთ კვლევის პრიორიტეტულ სფეროს და ატარებთ მოლაპარაკებებს, რათა თავიდან აიცილოთ სამოქმედო კვლევის პროცესში ყველა სავარაუდო წინაღობა. საოცარ იმედგაცრუებას იწვევს, როდესაც კვლევის პროცესში მისი შეწყვეტა გვიხდება კოლეგების ან ადმინისტრატორების მხრიდან თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო.

## ჩამოაყალიბეთ დროის დიაგრამა

დროის დიაგრამის შედეგნისას უნდა განსაზღვროთ, ვინ, რას და როდის გააკეთებს. ასევე, აღნიშნული მეთოდით შეგიძლიათ განსაზღვროთ, სად და როგორ ჩატარებთ გამოკვლევას, თუმცა ეს არ არის დროის დიაგრამის სავალდებულო ნაწილი. მაგალითად:

- **პრევენციული ფაზა (აგვისტო-ოქტომბერი).** პრიორიტეტული სფეროს განსაზღვრა, შესაბამისი ღიტერაციურის მიმოხილვა, კვლევის შეკითხვის ჩამოყალიბება, გამოკვლევა;
- **მეორე ფაზა (ნოემბერ-დეკემბერი).** პირველადი მონაცემების შეგროვება. ვიდეოჩანაწერების, გაკვეთილების ანალიზი, ბავშვებისგან პირველი ინტერვიუს აღება, პრობლემის მოგარების პირველი მცდელობის ხელმძღვანელობა;
- **მესამე ფაზა (იანვარი-მაისი).** საჭიროების შემთხვევაში სასწავლო გეგმისა და სწავლების კორექტირება. მონაცემთა შეგროვების გაგრძელება. მონაცემთა პირველადი ანალიზის განსახილევად ორ ჯგუფთან შეხვედრის დაგეგმვა;
- **მეოთხე ფაზა (მაისი-ივნისი).** შტატის მასშტაბით შეფასებითი ტესტების შედეგად მიღებული მასალის შესწავლა და ანალიზის დასრულება. ფაკულტეტისთვის პრეზენტაციის მომზადება. ჯგუფთან შეხვედრის დაგეგმვა კვლევის შედეგების განხილვისა და შემდგომი ქმედებების განსაზღვრისთვის. დავალების მიცემა, რაც კვლევის მეორე წლის დაწყებამდე უნდა შესრულდეს.

## შეადგინეთ საჭირო მასალის ჩამონათვალი.

მოკლედ მიმოიხილეთ, რა მასალა გჭირდებათ თქვენი გეგმის განსახორციელებლად. ეს იგივეა, რომ გაკვეთილისთვის საჭირო ნივთების სია შეადგინოთ. არაფერია იმაზე უარესი, როდესაც თქვენ იწყებთ გაკვეთილს და შესაბამის პროცესში აღმოჩენთ, რომ არ გაქვთ ყველა ნივთი/საგანი/სათამაშო, რაც მიზნის მისაღწევად გჭირდებათ. მაგალითად, მათემატიკაში ამოცანის ამოხსნის უნარების სწავლებისას ჯგუფი გადაწყვეტს, რომ მასწავლებელს სჭირდება დრო, რათა დაგეგმოს პროექტი, მიმოხილვს ლიტერატურა და ა.შ. სჭირდება შესაბამისი თანხები საკლასო ოთახისთვის თვალსაჩინოების შესაძლებლ; ასევე, მცირე თანხები სასწავლო პროგრამის მასალების დასაბეჭდად. მაგალითად, აზრი არ აქვს ისეთი

კვლევის ჩატარებას, რომლის მიზანია, შესწავლის ამოცანის ამოხსის შესახებ იმ საპრიზო პროგრამის შესწავლა, რომლის შესაძენი თანხებიც არ გაგაჩნიათ.

## შეიცვალეთ მონაცემთა შეგროვების იდენტი

თავიდანვე ჩამოაყალიბეთ, თუ რა სახის მონაცემები გამოგადგებათ თქვენი კვლევის პრიორიტეტული სფეროს გამოკვლევისთვის. მაგალითად, „ბრენსტორმინგი“ ქვეცნობიერი, ბუნებრივი მონაცემების შესახებ, რასაც მოიპოვებთ თქვენს კლასში ან სკოლაში (ტესტირების ნიშნები, დამსწრეთა სია, პორტფოლიო, ცალკეული ჩანაწერები). რაც უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებთ სხვა სახის მონაცემების შეგროვების შესახებ, მით უფრო გააზრდება თქვენი სია. თუმცა კვლევის დაწყების ადრეულ ეტაპზე იფიქრეთ ისეთ მონაცემებზე, რომელთა შეგროვება თქვენთვის ხელმისაწვდომია და, შემდეგ, პრიორიტეტული სფეროს საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნულ მონაცემებს მიუმატებთ ინტერვიუებს, კვლევებს, კითხვარებს, ვიდეოჩანაწერებს, აუდიოჩანაწერებს, რუკებს, ფოტოსურათებსა და მიმოხილვებს.

აღნიშნული აქტივობები შესაძლოა განახორციელოთ როგორც ინდივიდუალურად, ისე პატარა ჯგუფთან მუშაობის დროსაც და, ასევე, მთელი სკოლის მასშტაბით ჩატარებული კვლევის დროს. თქვენ წინაშე მდგარი საკითხების სამოქმედო კვლევის ადრეულ ეტაპზევე მოგვარებით, მიხვდებით, რომ ფუჭად არ დაგიკარგავთ დრო. სამოქმედო კვლევის შემუშავების პროცესი შეჯამებულია 2–3 ცხრილში – კვლევა მოქმედებაში.

## მოიცვალეთ სამოქმედო გეგმა მოქმედებაში

კემისი და მაქთაგარტი (1998) შემდეგნაირად აღწერენ გეგმის განხორციელების პროცესს: გეგმა მოქმედების მიმართულებას გაძლევთ, მაგრამ იგი, ასევე, თქვენი კვლევის ორიენტირია, რომელშიც კორექტირების შეტანა და შემდგომი გეგმების შემუშავებაა შესაძლებელი. იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ დიდი სამუშაო გასწიეთ გეგმის შემუშავებაზე, მისი განხორციელების დაწყებამდე უურადღებით გააკეთოთ გეგმის მონახაზი, ან შეიტანეთ მასში ცვლილებები, რადგან ეს კვლევის ერთი დასრულებული ეტაპია (გვ. 77).

### 2–3 ცხრილი. კვლევა მოქმედებაში

#### სამოქმედო კვლევის შემუშავება

- მოახდინეთ პრიორიტეტული სფეროს ფორმულირება;
- განსაზღვრეთ ცვლადები;
- ჩამოაყალიბეთ კვლევის მთავარი შეკითხვა;
- აღწერეთ ჩარევა ან ინოვაცია;
- აღწერეთ სამოქმედო კვლევის ჯგუფში მონაწილე პირები;
- აღწერეთ განსახორციელებელი მოღაბარაკებები;
- ჩამოაყალიბეთ დროის დიაგრამა;
- შეადგინეთ საჭირო მასალის ჩამონათვალი;
- შეიმუშავეთ მონაცემთა შეგროვების იდენტი.

გეგმის შედგენის შემდეგ თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, რა ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვება გჭირდებათ, რაც გაგიღრმავებთ ცოდნას თქვენი პრაქტიკის შესახებ და მის გავლენაზე. ამის შემდეგ თქვენ შეძლებთ განსაზღვროთ, თუ როგორ შეამოწმოთ იმ ინოვაციის ან ჩარევის შედეგები, რომლის განხორციელებასაც აპირებთ და, ასევე, შეგეძლებათ მონაცემთა შეგროვების მეთოდების შემუშავება.

## დასკვნა

პრიორიტეტული სფეროს განსაზღვრას ან გამოსაკვლევი საკითხის ნათლად ჩამოყალიბებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქმედო კვლევის პროცესში. პრიორიტეტული სფეროს ფორმულირება გულისხმობს გამოკვლევის ჩატარებას (თვითშეფასებას, აღწერას და განმარტებას) და შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვას. სამოქმედო კვლევის სფეროს განსაზღვრის მიზნით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ონლაინმასალა, მაგალითად, ERIC, მოძებნოთ ვებგვერდები, ეწვიოთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, ან მიმოიხილოთ პროფესიული საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული გამოცემები.

მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ პრიორიტეტულ სფეროს, ჩატარებთ გამოკვლევას და ლიტერატურის მიმოხილვას, შემდეგი ეტაპი იქნება სამოქმედო გეგმის დაწერა, რითაც იხელმძღვანელებთ მთელი სამოქმედო კვლევის ჩატარების პროცესში. სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ცხრა საფეხურს: პრიორიტეტული სფეროს ფორმულირებას; ცვლადების განსაზღვრას; კვლევის მთავარი შეკითხვის ჩამოყალიბებას; ჩარევის ან ინოვაციის აღწერას; სამოქმედო კვლევის ჯგუფის მონაწილე პირების აღწერას; განსახორციელებელი მოღაპარაკებების აღწერას; დროის დიაგრამის ჩამოყალიბებას; საჭირო მასალის ჩამონათვალის აღწერას; მონაცემების შეგროვების იდეების შემუშავებას (ადაპტირებულია ელიოტიდან, 1991; კემისი და მაქთაგარტი, 1988).

## საკითხები სამომავლო განხილვისთვის

1. რა ზოგადი იდეები გაქვთ სამოქმედო კვლევის ჩასატარებლად?
2. რა არის თქვენთვის პრიორიტეტული სფერო?
3. დაასრულეთ შემდეგი განცხადება: „ქვლევის მიზანია, რომ ...“
4. ERIC-ონლაინის გამოყენებით მოიძიეთ საჭირო ლიტერატურა.
5. შეადგინეთ სამოქმედო გეგმა, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება პრიორიტეტული სფერო, განსაზღვრებები, კვლევისას წარმოქმნილი შეკითხვები, ჩარევის აღწერილობა, ჩასატარებელი მოღაპარაკებები, დროის გრაფა, პროექტის განსახორციელებლად საჭირო მასალა და მონაცემთა შეგროვების იდეები.



თავი

3

# მონაცემთა შეგროვების მეთოდები

წინამდებარე თავი წარმოგიდგენთ მონაცემთა შეგროვების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, რაც შეგიძლიათ გამოიყენოთ პრიორიტეტული სფეროს სისტემატური გამოკვლევისთვის. ეს მეთოდები გულისხმობს პირდაპირ დაკვირვებას, ინტერვიუს ჩატარებას, კითხვარებს, დამოკიდებულების სკალას, ახალ და არსებულ ანგარიშებს, არტიფიციალურებს, პედაგოგის მიერ შედგენილ ტესტებს, სტანდარტიზებულ ტესტებსა და სკოლის მიერ შემუშავებულ მოსწრების ბარათს.

წინამდებარე თავის წაკითხვის შემდეგ უნდა შეგეძლოთ:

1. მონაცემთა შეგროვების განსხვავებული მეთოდების ერთმანეთისგან გარჩევა, რასაც კვლევის თითოეული შეკითხვისთვის გამოიყენება;
2. შემუშავება კვლევის საშუალებებისა, რაც კვლევის დასაწყებად დაგჭირდებათ.

# სამოქმედო კვლევის განხილვა

## ჯეიმს როკფორდი

ჯეიმს როკფორდი ორეგონის შტატში სოფლის დაწყებითი სკოლის პედაგოგია. იგი პატარა ბავშვებს მუსიკასა და კლავიატურაზე მუშაობას ასწავლის. თავიდან ჯეიმსმა მონაწილეობა მიიღო სამოქმედო კვლევაში, რომელიც შტატის მასშტაბით განხორცილებული სამოქმედო კვლევის ინიციატივის შემადგენელი ნაწილი იყო. სამოქმედო კვლევის განსახორცილებლად თავისი პირველი მცდელობის შედეგად და სურვილის გამო, სამოქმედო კვლევა პედაგოგური მოდგაწერობის განუყოფელ ნაწილად ექცია, ჯეიმსმა მუშაობა დაიწყო რეგიონის პედაგოგთა ხელმძღვანელად (მენტორად). მისი ამბავი ნათელი მაგალითია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან შეგროვება, რაც გვეხმარება, კარგად გაუიგოთ, რა ზეგავლენას ახდენს ჩარევა მოსწრებაზე.

ჩემთვის იდეალური გარემო იყო: მე ვხელმძღვანელობდი ახალ კომპიუტერულ ლაბორატორიას და მქონდა უფლებამოსილება, დამხეცვეწა სწავლების პროგრამა ისე, რომ მას ეპასუხს სასწავლო პროგრამის პრინციპებისთვის და კლასში ერთობლივი სამოქმედო კვლევისათვის, რომელიც 1995 წლის გაზაფხულზე დაიწყო. მჭირდებოდა პრობლემა.

ერთადერთი პროგრამა, რომელიც სკოლის კომპიუტერებს ჰქონდათ, იყო პოპულარული პროგრამა კლავიატურაზე მუშაობის სწავლების შესახებ და Claris Works (კომპიუტერული პროგრამა). აზრი არ ჰქონდა რამდენიმე ათასი დოლარის დახარჯვას კლავიატურაზე მუშაობის სასწავლებლად, და პრობლემაც წარმოიქმნა: „როგორ გაუმჯობესებს კლავიატურაზე მუშაობის სწავლება მოსწავლეების უნარს, შექმნან Word-ში (კომპიუტერული პროგრამა) ელექტრონული დოკუმენტი, მონაცემთა ბაზა, ელექტრონული ცხრილი და გამოიყენონ ხატვის ფუნქციები?“

ლიტერატურის გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ აღნიშნული საკმაოდ სერიოზული პრობლემა იყო, რადგან ამ საკითხზე არ არსებობდა კარგი აკადემიური ლიტერატურა. ადგილობრივი თემის კოლეჯს მხოლოდ ერთი კომპიუტერი ჰქონდა, რომელსაც ინტერნეტი მიეწოდებოდა, და საიდანაც, ბიბლიოთეკარისთვის საძიებო ტერმინთა მიწოდების შემდეგ, ინტერნეტქსელის მეშვეობით ხელმისაწვდომი იყო ERIC (საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრი). ეს ოდნავ დამეტმარა,

თუმცა ჩემთვის უფრო მოსახერხებელი იყო, თავად მომექებნა საჭირო ინფორმაცია. ჩვენს სკოლას ჯერ კიდევ არ მიეწოდებოდა ინტერნეტი, ასე რომ, იძულებული ვიყავი, ჩემი ვაჟიშვილის კომპიუტერი გამომეუწებინა. ლიტერატურის სწრაფი გადათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩატარებული იყო უამრავი კვლევა კლავიატურაზე მუშაობის შესახებ, თუმცა მათგან ცოტა ქსებოდა ბავშვების საკითხს. კვლევებში გამოთქმული აზრები სხვადასხვაგარი იყო, მაგალითად: „რაც შეიძლება ადრეულ ასაკში დაიწყეთ“, რათა „ავიცილოთ მავნე ჩვევები“, „ნუ ინერვიულებთ, რადგან მათ შეუძლიათ ორი თითის (Hunt and Peck) გამოყენებით საკმაოდ სწრაფად ბეჭდვა“.

მჩვენებოდა, რომ პრობლემა ოდნავ დაუძლეველი იყო, რადგანაც მე ახალი დაწყებული მქონდა კლავიატურაზე მუშაობის სწავლების პროგრამა. ასევე, ცხადად დაინიახე, რომ მონაცემთა ბაზის, ელექტრონული ცხრილისა და გამოიყენონ ხატვის ფუნქციების ათვისება იქნებოდა იმაზე რთული, ვიდრე მეგონა. ამის შედეგად გადავწყვიტე, რომ თავდაპირველად გამერკვია, მეოთხიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის კლავიატურაზე მუშაობის სწავლებას რა გავლენა ჰქონდა Word-ში დოკუმენტის შექმნის უნარების გაუმჯობესებაზე.

ეს უნდა ყოფილიყო ერთობლივი საქმიანობა, ამიტომ ჩემი პირველი ამოცანა იყო, დასახმარებლად ჩამერთო მე-4 და მე-6 კლასების მასწავლებლები. ერთ დღეს ჩვენ შევიკრიბეთ სკოლის

შემდეგ და მათ გავაცანი პროექტის მიზანი. ისინი შემპირდნენ, რომ დამებმარებოლნენ მონაცემთა შეგროვებაში, თუმცა მხოლოდ ერთი კლასი იყო, რომელსაც ყოველდღე უტარდებოდა გაკვეთილები კომპიუტერულ ლაბორატორიაში. ამ ფაქტმა ჩემი იმედგაცრუება გამოიწვია, თუმცა ეს დამებმარა პროექტის უკეთ განხორციელებაში, ვინაიდან მონაცემებს სამის ნაცვლად მხოლოდ ერთი კლასიდან მივიღებდი.

რომელ ცვლადებს შეიძლება პქონდეთ ზეგავლენა მოსწავლეების მიერ კლავიატურაზე მუშაობის წარმატებით შესწავლაში? მე გამოვიყვლი პედაგოგების დამოკიდებულება და, ასევე, პქონდათ თუ არა მოსწავლეებს რაიმე ცოდნა, სანამ კლავიატურაზე მუშაობის სწავლას დაიწყებდნენ, რამდენ დროს ხარჯავდნენ კომპიუტერთან სახლსა და სკოლაში, და პქონდათ თუ არა კომპიუტერი სახლში. სკოლაში კომპიუტერთან გატარებულ დროში ითვლებოდა კომპიუტერთან გაკვეთილების დროს და თავისუფალ დროს გატარებული საათები.

თუ კვლევის პროექტი კარგად არის ჩამოყალიბებული, იგი მისი სახელწოდების გამოცხადებისთანავე კონკრეტული მოქმედების მიმართულებას უნდა გვაძლევდეს. ჩემი სამოქმედო კვლევის პროექტის მიზანი იყო, გამერკვია, მე-6 კლასელებისთვის კლავიატურაზე მუშაობის უნარების სწავლებას პქონდათ თუ არა საქამაო ზეგავლენა მათ მიერ Word-ში დოკუმენტის შექმნის უნარებზე, რათა წარმოდგენა მქონდოდა, რამდენად მართებული იყო მასზე თანხებისა და დროის დაზარჯვა. საგულისხმოა, რომ რამდენიმე მოსწავლემ შეიმუშავა ორი თითოთ ბეჭდებს („hunt-and-peck“) საკუთარი უნიკალური მეთოდი და შეძლოთ, ოლქში დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, წუთში 20 სიტუაციაზე დაებეჭდათ. არსებობს ბეჭრი ცვლადი, რომლებსაც შეუძლიათ, ზეგავლენა მოახდინონ Word-ში მუშაობის ტექნიკი, რასაც, თავის მხრივ, შეძლებ შეკითხვამდე მივყვართ:

1. აქვთ თუ არა მოსწავლეებს კომპიუტერის სახლში? რამდენ დროს უთმობენ მას კვირაში?
2. რა იცოდნენ მოსწავლეებმა კომპიუტერის შესახებ?
3. სკოლაში ყოფნის დროს რამდენ დროს ატარებენ მოსწავლეები კომპიუტერთან? რა

გავლენა აქვს აღნიშნულს Word-ში მუშაობის ტექნიკები?

4. რა შედეგი აქვს სკოლის ლაბორატორიაში კლავიატურაზე მუშაობის პროგრამის გამოყენებას?

შეკითხვები მოთავსდა მონაცემთა მატრიცაში და მოხდა ტრიანგულაცია შემდეგნაირად (შენიშვნა: მწ – მონაცემთა წყარო):

შეკითხვა	შვ - 1	შვ - 2	შვ - 3
მანამდე	მოსწავლეების	კომპიუტერის	
არსებული	გამოკვლევა	ცოდნის	
ცოდნა		პრეტესტორება	
ბეჭდების	პრეტესტირება	პოსტტესტირება	პედაგოგის
სიჩქარე			დამარტინება
სათანადო	კომპიუტერული	კომპიუტერული	პედაგოგის
გამოყენება	პროგრამის	მიერ შემუშავ-	
(ტექსტის	ცოდნის	ცოდნის	ვებული
დამუშავება)	პრეტესტირება	პოსტტესტირება	ბეჭდების
კომპიუტერთან	სკოლის	მოსწავლეების	შპობლების
გატარებული	ლაბორატორიის	გამოკვლევა	გამოკვლევა
დრო ?	მონაცემები		

მე შეგავროვე მონაცემები, რისთვისაც გამოიყენე ჩემ მიერ შემუშავებული გამოკვლევის მეთოდი, რაც დამებმარებოდა ისეთი საკითხების შესწავლაში, როგორებიცაა:

- მოსწავლეების მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარები.
- პედაგოგის მიერ შედგენილი ტერმინოლოგიის/ფაქტების პრეტესტირება კომპიუტერის ზოგადი ცოდნის დასადგენად.
- პედაგოგის მიერ შემუშავებული ბეჭდების სიჩქარის განმსაზღვრელი ტესტირება.
- კლასის პედაგოგის კვლევა ტექნოლოგიასთან დამოკიდებულების დასადგენად.
- კომპიუტერულ ლაბორატორიაზე პედაგოგის დაკვირვების მონაცემები.
- მოსწავლეების Word-ში მუშაობის უნარების შესახებ არსებული მონაცემები.

- მონაცემები გამოკვლევა მოსწავლეების მიერ კომპიუტერის სკოლის გარეთ გამოყენების შესახებ.

მონაცემები შემდეგნაირად შეგროვდა:

- სამი ცვლადი – დრო, მანაცდე არსებული ცოდნა და კლავიატურაზე მუშაობის პროგრამის გამოყენება – იქნა გაანალიზებული მონაცემთა განაწილების დიაგრამის გამოყენებით, რათა დაგვედგინა რაიმე კავშირი Word-ში მუშაობის სიჩქარესთან.
- კვლევა გვიჩვენებდა ტენდენციებს.
- ოქტომბერ-მაისში კლავიატურაზე მუშაობის სიჩქარე შეტანილ იქნა დიაგრამაში, რათა გვეჩვენებინა პროგრესი დროის მითითებით.

ზოგადად, მონაცემები გვიჩვენებდა შემდეგს:

- სკოლის გარეთ მოსწავლეების მიერ კომპიუტერთან გატარებულ დროს გავლენა არ ჰქონდა Word-ში მუშაობის სიჩქარეზე. (ისინი ხომ გიყდებიან კომპიუტერულ თამაშებზე!).
- სკოლაში კომპიუტერთან გატარებული დრო იყო გადამწყვეტი.
- მხოლოდ ერთ თვეში კლასის მიერ Word-ში მუშაობის საშუალო სიჩქარე გაიზარდა 300%-ით.

შედეგად, აშეარად გამოიკვეთა, რომ კლავიატურაზე მუშაობის პროგრამის შესწავლა იყო ეფექტური, რომლის საფუძველზე მე გავაგრძელე ამ პროგრამის შემზღვევი გამოყენება. ვინაიდნ დროში ვიყავით შეზღუდული, პედაგოგებს უზდებოდათ, მოსწავლეებისთვის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ჩატარებინათ გაკვეთილები ყოველდღიურ და აკვირდებოდნენ კლავიატურაზე მუშაობის უზარებს. გარდა ამისა, მიმდინარეობდა კლავიატურაზე მუშაობის კომპიუტერულ პროგრამის საკლასო ოთახებში არსებულ კომპიუტერებში ინსტალირება, რათა თითოეულ მოსწავლეს პქონოდა შესაძლებლობა, დღეში, მინიმუმ, 10 წუთი ევარჯვშა კომპიუტერთან. სწრაფი ბეჭდების ტესტები მოითხოვდა განსხვავებულ უნარებს, ვიდრე კლავიატურაზე მუშაობის

უნარებია. მომავალში სწრაფი ბეჭდების ტესტები ყოველკვირეულად ჩაუტარდებათ, რათა მიგდწიოთ რეალურ პროგრესს მოსწავლეებში და დაკვირვების მეთოდით შევამრწმოთ შეძნილი უნარები.

ნებისმიერი ღირებული კვლევა წარმოშობს მეტ შეკითხვას, ვიდრე მასზე პასუხის გაცემა შეუძლია. მაგალითად, პროექტის დასრულების შემდეგ გამჩნდა შეკითხვები: რამდენიდან პქონდა მოსწავლეების სწავლის სტილს რაიმე გავლენა Word-ში მუშაობის უნარებზე? გააუმჯობესებდა თუ არა კლავიატურაზე მუშაობის გაკვეთილები მოსწავლეების მიერ მონაცემთა ბაზის, დიაგრამებისა და ხატვის ფუნქციების უკეთ გამოყენებას? სხვა სახის შეფასების მეთოდებს გამოიყენებინა თუ არა უნარების განვითარების შესაფასებლად? ეს არის ის შეკითხვები, რომელთა გამოკვლევასაც მომავალში გაპირებ.

ჩემმა პროექტში შესაძლებლობა მოგცა, წამოგვჭრა კომპიუტერულ ლაბორატორიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. გამოუგალიტურაციაში ყოფნის ნაცვლად, შესაძლებლობა მომეცა, მეპოვა პრობლემები და მომეცარებინა ისინი. ურთიერთთანამშრომლობა აღნიშნული პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. თუმცა, შესაძლოა, ყველაზე ძლიერი მხარე სამოქმედო კვლევის პროცესისა იყო ის, თუ რამდენად კარგად გავაცნობიერე, რას ვაკეთებდი კომპიუტერულ ლაბორატორიაში. ჩემი სკოლის ლაბორატორიაში დიდი ქება დაიმსახურა სკოლის ხელმძღვანელობის, საბჭოს წევრების, პედაგოგების მხრიდან და დაწმუნებული ვარ, რომ სამოქმედო კვლევის პროცესში მონაწილეობას უშუალო კავშირი აქვს ლაბორატორიის წარმატებასთან.

ახლა უკვე სხვანაირად ვაფასებ კლასში არსებულ პრობლემებს. მაგალითად, მე ასევე ვასტავები საშუალო სკოლის მოძღვანლთა გუნდს და შევნიშნე, რომ იმ კვირას, როდესაც მე-8 კლასელებთან რეპეტიცია გვაქვს ორშაბათობით, როგორც წესი, ძალიან რთულად ან საერთოდ არაპროდუქტულად მუშაობენ. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით და ასევე იმაზე ფიქრით, რატომ იყო ასეთი რთული რეპეტიციის ჩატარება, გადავწყვიტე, მეც მიმეღო მონაწილეობა, რასაც შეეძლო პრობლემის გამოსწორება. ეს შესაძლოა რთულიც ყოფილიყო, თუმცა სამოქმედო კვლევამ ისედაც შეცვლა ჩემი ცხოვრება სკოლაში. მოსწავლის

## მოსწავლეების თვითშეფასების კვლევა

- 1 გაქვთ თუ არა კომპიუტერი, რომელსაც იყენებთ სკოლის გარეთ?  
(ა) კი (ბ) არა
2. რამდენ საათს უთმობთ კომპიუტერთან მუშაობას სკოლის გარეთ?  
(ა) 0 (ბ) 1-ს ან ნაკლებს (გ) 1-2 საათს (დ) 2-3 საათს
3. რამდენ დროს უთმობთ კომპიუტერთან მუშაობას, როდესაც სკოლაში ხართ?  
(ა) 0 (ბ) 15 წუთს (გ) 30 წუთს (დ) 30 წუთზე მეტს
4. როდესაც კლავიატურაზე ბეჭდავთ, უყურებთ თუ არა  
(ა) მონიტორს (ბ) კლავიატურას (გ) ნაწერს (დ) თქვენს მეზობელს
5. ვიყენებ კომპიუტერს, რომ (შემოხაზეთ ყველა შესაბამისი ვარიანტი):  
(ა) ვითამაშო (ბ) დავწერო ამბები და მოხსენებები  
(გ) დაგხატო (დ) შევაგროვო ინფორმაცია და შევინახო  
(ვ) მოვიძიო ინფორმაცია ბიბლიოთეკაში
6. კლავიატურაზე მუშაობის შესწავლით ჩემი დამოკიდებულება კომპიუტერის მიმართ გახდა  
(ა) უფრო მარტივი (ბ) იმედი გამიცრუვდა (გ) არაფერი შეცვლილა
7. რომ მქონოდა შესაძლებლობა, კიდევ რაში გამოვიყენებდი კომპიუტერს

---

8. კლავიატურაზე მუშაობის შესწავლის საუკეთესო ნაწილი არის...

---

9. კლავიატურაზე მუშაობის შესწავლისას ყველაზე რთული იყო...

---

ღეგებმა სწავლა გააუმჯობესეს, მე გუდგები პრობლემებს უფრო გააზრებულად, ვაგროვებ მონაცემებს უფრო ფრთხილად და სიზუსტით, უფრო მეტს ვფიქრობ/ვმსჯელობ ჩემს პრაქტიკულ საქმიანობაზე.

Word-ში მუშაობის შესახებ სამოქმედო კვლევის პროექტიდან ერთი წელი გავიდა. მქონდა შესაძლებლობა, მესელმძლვანელა ბედაგოგებისთვის, ვინც სწავლობდნენ სამოქმედო კვლევის შემსწავლელ კლასში. აღნიშნულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაკვირვების შედეგად, ორი ფაქტორი გამოიკვეთა. პრობლემის ფორმულირება

რთული პროცესია. სამოქმედო კვლევის ციკლის დროს დახარჯული ზედმეტი დრო დაგიცავთ საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისგან, თავის ტკივილისა და პროცესის ბოლოს იმედგაცრუებისგან. როდესაც პედაგოგები აზლენებ პრობლემის იდენტიფიცირებას, ნათლად იკვეთება სხვაობა მოსწავლეებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და უშუალოდ პედაგოგებთან, სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის. ნათელია, რომ მოსწავლეებთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება გამოსწორდეს სწავლების მეთოდის გაუმჯობესების შედეგად.

## პედაგოგების კვლევა

1. მე შემყავს კლასი ლაბორატორიაში
 

(ა) კვირაში ერთხელ	(ბ) კვირაში ორჯერ	(გ) კვირაში სამჯერ
(დ) კვირაში ოთხჯერ	(ე) ყოველ დღე	(ვ) მხოლოდ მაშინ, როდესაც მისტერ როკფორდი არის ლაბორატორიაში
2. ჩემი მოსწავლეებისგან ველოდები, რომ (შეგიძლიათ ერთზე მეტი პასუხი მონიშნოთ)
 

(ა) შეადგინონ მოხსენებები/ამბები	(ბ) შეასწორონ წერილობითი მოხსენებები
(გ) ივარჯიშონ კლავიატურაზე	(დ) სხვა _____
3. შეაფასეთ კომპიუტერის გამოყენების დონე
 

ვიყენებ, 5	როდესაც 4	არ მაინტერესებს 3	1
---------------	--------------	----------------------	---
4. ვაკვირდები ჩემი მოსწავლეების კლავიატურაზე მუშაობის უნარებს
 

(ა) მხოლოდ ლაბორატორიაში მეცადინეობისას	(ბ) ყოველთვის, როდესაც კომპიუტერთან მუშაობენ
(გ) არასდროს	
5. ჩემი მოსწავლეების მიერ კომპიუტერის მოხმარების უნარი გაუმჯობესდა  
კლავიატურაზე მუშაობის შესწავლით
 

ისინი ექსპერტები არიან! 5	4	ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ, როგორ ჩართონ და გამორთონ! 3	2
			1
6. მინდა, რომ ჩემს მოსწავლეებს შეეძლოთ...
   

---

სამოქმედო კვლევის პედაგოგიური მოღვაწეობის ნაწილად ქცევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმატებისთვის. როგორც წესი, პედაგოგები არ არიან მკვლევრები. სკოლაში რუტინული მუშაობა აღარ უტოვებს პედაგოგებს დროსა და შესაძლებლობას, რასაც, როგორც წესი, კვლევის ჩატარება მოითხოვს. ასევე წესად ითვლება, რომ

პედაგოგები მუშაობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც საკლასო ოთახში არიან; მეორე მხრივ, პედაგოგებმა უნდა შეიმუშაონ ისეთი მიღვომები, რაც სწავლების/სწავლის პროცესს გააუმჯობესებს, და რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქმედო კვლევის ფარგლებში მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებას.

**8** ადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა მასალა უნდა შეგროვდეს სამოქმედო კვლევის პრიორიტეტული სფეროსთვის, დამოკიდებულია პრობლემის სპეციფიკაზე. არ არსებობს რაიმე უნივერსალური რეცეპტი იმისა, როგორ უნდა განვახორციელოთ მონაცემთა შეგროვება. სინამდვილეში ერთპიროვნულად ან კოლექტიურად უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება, რა სახის მასალა დაგეხმარებათ საკითხის უკეთ გაგებასა და პრობლემის გადაჭრაში. სამოქმედო კვლევასთან დაკავშირებული მონაცემთა შეგროვება საკმაოდ განსხვავებული საქმიანობაა, რომელსაც საფუძვლად უდევს პრაქტიკის უკეთ გაგება და სათიანადო და ხელმისაწვდომ მონაცემთა შეგროვება.

წინამდებარე თავში ყურადღება გამახვილებულია სარისხობრივ (გამოცდილებაზე დამყარებულ) მონაცემთა შეგროვების მეთოდებზე, რომლებიც შედარებულია რაოდენობრივ (ციფრულზე დაყრდნობით) მონაცემთა შეგროვების მეთოდთან. სარისხობრივი მეთოდი მოიცავს მონაცემთა ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: ჩანაწერები, ურნალები, კვლევები, დამოკიდებულების სკალა, სტანდარტიზებული ტესტები, რუკები, აუდიო-ჩანაწერები და ვიდეოჩანაწერები, ხოლო რაოდენობრივი მეთოდი ორიენტირებულია პედაგოგების მიერ შემუშავებული ტესტების (კრიტერიუმებზე დაყრდნობით) შეგროვებაზე, ასევე, სტანდარტიზებულ ტესტებზე (ნორმაზე დაფუძნებული), სკოლის მიერ წარმოებულ აღრიცხვის წიგნაკებსა და შტატის მასშტაბით ჩატარებული ტესტირების შეფასების შედეგად გამოკვეთილ მოსწავლეთა მიღწევებზე.

არ არსებობს მხოლოდ ერთი სწორი მიდგომა. სამოქმედო კვლევის შესახებ არსებული ლიტერატურა ემსხობა, რომ სარისხობრივი მეთოდები უფრო ეფუძნულია სამოქმედო კვლევის ჩატარებისას, ვიდრე ექსპერიმენტული პრეტესტ-პოსტტესტ საკონტროლო ჯგუფის გამოყენება, როცა მკვლევარი პედაგოგი შემთხვევითობის პრინციპით მიაკუთვნებს ბავშვებს ან საკონტროლო, ან ექსპერიმენტულ ჯგუფს, რათა მიიღოს ინფორმაცია. სარისხობრივი კვლევა არ არის ადვილი გამოსაყალი მკვლევარი პედაგოგისთვის, ვინც სტატისტიკას უფრთხის (ასევე ცნობილი როგორც „სადისტიკა“). როგორც თავად ნახავთ, კარგ სარისხობრივი მეთოდზე დაფუძნებული სამოქმედო კვლევის ჩატარება ისევე რთულია, როგორც კარგ რაოდენობრივ მეთოდზე დაფუძნებული სამოქმედო კვლევისა. თუ თქვენს პრიორიტეტულ სფეროს მეტად სჭირდება რაოდენობრივი, ექსპერიმენტული მიდგომა, მაშინ უკეთ უნდა გაეცნოთ სარისხობრივზე ორიენტირებულ ლიტერატურას, როგორებიცაა: გეის, მილისისა და აირაზიანის (2006, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 თავები), ან ქრესველის (2005) შრომები.

## მონაცემთა შეგროვების სარისხობრივი მეთოდი

ზოგადად, პედაგოგთა და მკვლევარ პედაგოგთა მიერ პრობლემის გამოკვლევის სარისხობრივი (აღწერილობითი) მეთოდის შესახებ მოსაზრებები გადმოცემულია სამოქმედო კვლევაზე არსებულ ლიტერატურაში, სადაც განხილულია მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდები და საშუალებები:

- სკოლაში არსებული საარქივო მასალები
- ყოველდღიური ცხოვრების აღსაბეჭდავად საჭირო საშუალებები
- გამოკითხვის სერჩები
- ტრადიციული მასალები (კვლევები, კითხვარები, ა.შ.)
- გამოგონებასთან დაკავშირებული მასალები (ჩვენებები, პორტფოლიოები, ა.შ.)
- ინტერვიუები
- ზეპირი და თხრობითი ისტორიები

- შეფასების სკალა
- ინვენტარი
- დაკვირვება
- რუკების შედგენა
- ვიზუალური გამოსახულებები
- ფოტოსურათები
- ჟურნალები და დღიურები  
(ანდერსონი, პერი და ნიპლენი, 1994; გალპოუნი, 1994; პენდრიქი, 2006;  
საგორი, 2000; სტრინგერი, 2004; ველსი, 1994)

როგორც ხედავთ, ჩამოთვლილი მაგალითებიდან მონაცემები, რომელსაც შეგროვებთ, იქნება აღწერილობითი, თხრობითი და ზეპირიც კი. ბევრ შემთხვევაში, ეს მონაცემები ბუნებრივად მიიღება და რეგულარულად გროვდება პედაგოგებისა და ადმინისტრატორების მიერ. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ ჩავებით ისეთ საქმიანობაში, რომელიც შემძევ შეკითხვაზე პასუხის გაცემას მოითხოვს: „რა ხდება?“ ეს არის არა იდუმალებით მოსილი კვლევა, არამედ საკამაოდ მარტივი მცდელობა, შევაგროვოთ მასალა, რაც გააუმჯობესებს ჩვენს წარმოდგენას გამოსაკვლევ საკითხზე.

მომდევნო ქვეთავებში განვიხილავთ მასალების შეგროვების მრავალ მეთოდს, რომელთაც შეუძლიათ ნათელი მოპონინონ თქვენს პრიორიტეტულ თემას. კვლევის სფეროში მონაცემთა მრავალი წყაროს გამოყენება ცნობილია როგორც ტრიანგულაცია.

### ტრიანგულაცია

სამოქმედო კვლევის ციკლის დროს ცნობილია, რომ მკვლევრები არ უნდა დაეყრდნონ შხოლოდ ერთ წყაროს – ინტერვიუს, მიმოხილვას ან ინსტრუმენტს. საგორის (2000) აზრით, სამოქმედო კვლევის განმახორციელებელმა პირებმა უნდა შეადგინონ „ტრიანგულაციის მატრიცა – მარტივი ცხრილი“, რომელიც გვჩრენებს მონაცემთა მრავალ წყაროს, რომელთაც გამოიყენებზე კვლევის თითოეულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად“ (გვ. 19-20). ჯეომს როკფორდის მიერ წინამდებარე თავის დასაწყისში მოყვანილი ისტორიის მიხედვით, როკფორდმა ჩამოაყალიბა ტრიანგულაციის მატრიცა ისე, რომ ეჩვენებინა მონაცემთა შეგროვების ტენდენციები (იხილეთ 3-1 გრაფა. ტრიანგულაციის მატრიცის მაგალითი). ჩვენ გამოიყენებთ ნაკლებად ტრადიციულ მიდგომას, თუმცა ვიზიარებთ ტრიანგულაციის პრინციპს. სხვაგარად რომ ვთქვათ, ხარისხს ცნობილივი კვლევის სიძლიერე გამოიხატება ტრიანგულაციაში, მრავალი, და არა მხოლოდ ერთი, საშუალების გამოყენებით ინფორმაციის შეგროვებაში, (ვოლკოტი, 1988). პელტო და პელტომ (1978) აღწერეს აღნიშნული, როგორც „მრავალინსტრუმენტული“ მიდგომა (გვ. 122). ჩვენს შემთხვევაში, სამოქმედო კვლევის ჩატარებისას, ეს ნიშნავს იმას, რომ პედაგოგი არის კვლევის იარაღი, რომელიც მონაცემების შეგროვებისას ხანგრძლივად იყენებს მრავალ მეთოდს, და „კომპლექსურ საკითხებსა თუ მოვლენებს იკვლევს განსხვავებული რაკურსიდან“ (ვოლკოტი, 1988, გვ. 192). მას მერე, რაც შევუდექით მონაცემთა შეგროვებას, ჩვენ უნდა გვახსოვდეს ტრიანგულაციის პრინციპი და გამოიყინოთ მონაცემთა შეგროვების დროს.

საველ სამუშაოს სამი მთავარი მეთოდი, რომელიც წინამდებარე თავში იქნება განხილული, გულისხმობს გამოცდილებას, „გამოძიებას“ და შემოწმებას (ვოლკოტი, 1992, გვ. 19). თითოეული სტრატეგია განხილულ იქნება მკვლევარი პედაგოგების გამოცდილების კონტექსტში.

კვლევის კითხვები	მონაცემთა წყარო		
	1	2	3
1. მანამდე არსებული ცოდნა	მოსწავლეების კვლევა	კომპიუტერის ცოდნის პრეტესტი	
2. კლავიატურაზე მუშაობის სიჩქარე	პრეტესტი	პოსტტესტი	პედაგოგის დახმარება
3. სათანადო გამოყენება (Word- ში მუშაობა)	კომპიუტერული პროგრამის პრეტესტი	კომპიუტერული პროგრამის პოსტ- ტესტი	პედაგოგის მიერ შემუშავებული სწრაფი ბეჭდვა
4. კომპიუტერთან გატარებული დრო	სკოლის ლაბორატორიის მონაცემები	მოსწავლეების კვლევა	მშობლების კვლევა

### 3-1 პრაცე. ტრიანგულაციის მატრიცის მაგალითი

#### გამოცდილების მიღება პირდაპირი დაკვირვებით

პედაგოგებს, რომლებიც ატარებენ სამოქმედო კვლევას, უამრავი შესაძლებლობა ეძლევათ, მოახდინონ დაკვირვება საკუთარ კლასში. ისინი დაკვირვებას ახდენენ როგორც სწავლების, შემოწმებისა და ხელმძღვანელობის პროცესის შემადგენელი ნაწილი, რაც ვერბალური და არავერბალური ურთიერთობით გამოიხატება. ამასთან, პირდაპირი დაკვირვება, როგორც მონაცემთა შეგროვების მეთოდი, არის ნაცნობი და არ მოითხოვს დიდ დროს. როგორც პედაგოგები, ჩვენ მუდამ ვაკვირდებით ჩვენს გარემოს და ვახდენთ ჩვენი სწავლების კორექტორებას ნანახის მიხედვით. სამოქმედო კვლევა გვთავაზობს სისტემატურ და ზუსტ გზას, აღვიქვათ დაკვირვების პროცესი, როგორც სარისხობრივ მონაცემთა შეგროვების მეთოდი.

#### მონაცილეებზე დაკვირვება

წიგნის I, II და III თავებში მოცემული სამოქმედო კვლევის მოკლე ისტორიები გვაჩვენებს, თუ როგორ აღიქვამენ პედაგოგები სწავლებას დაკვირვების მეშვეობით. ჯეომს როგორიც დააკვირდა თავისი მოსწავლეების მიერ ორი თითოთ ბეჭდვას სწავლების დროს; ქეთი მიტრელი დააკვირდა მაყურებელთა რეაქციას ძალადობის იმპროვიზაციაზე და შეიტანა შენიშვნები კუველდლიურ ჟურნალში; დებორა საუთი დააკვირდა უნარების კლასში მყოფ მოსწავლეებთან ურთიერთობას და თავისი დაკვირვების შედეგები შეიტანა ჟურნალში – დაკვირვებებმა სწრაფად დაადასტურა კლასში პრობლემების არსებობა. ყველა აღწერილი გამოცდილება მონაწილეებზე დაკვირვების მაგალითია.

თუ მკვლევარი „გამოკვლეული მოქმედების რეალური მონაწილეა“, მაშინ მას მონაწილე-დამკვირვებელს ეძახიან (მაქმილინი, 1996, გვ. 245). სფრადლის თანახმად (1980), მონაწილეებზე დაკვირვებას ახდენენ ორი ძირითადი მიზეზით:

- დააკვირდნენ მოქმედებებს, ხალხსა და სიტუაციის ფიზიკურ ასპექტებს;
- ჩაებან საქმიანობაში, რაც შექმნილ სიტუაციაში გამართლებულია და რაც მოგვაწვდის სასარგებლო ინფორმაციას.

მონაწილეებზე დაკვირვება შეიძლება მრავალნაირად განხორციელდეს იქიდან გამომდინარე, თუ როგორი სიტუაციის შესწავლა მიმღინარეობს და რისი შესაძლებლობები არსებობს: მონაწილე-დამკვირვებელი შეიძლება მოგვევლინოს: როგორც აქტიური მონაწილე-დამკვირვებელი, პრივილეგირებული, აქტიური დამკვირვებელი, ან პასიური დამკვრვებელი (პელტო და პელტო, 1978; სფრადლი, 1980; კოლქოთი, 1982, 1997). იქიდან გამომდინარე, თუ რა სახის პრიბლემაა, პედაგოგებს ბევრის გაკეთების შესაძლებლობა ეძლევათ; ყოველდღიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას მათ შეუძლიათ, დაკვირვების პროცესში იყვნენ აქტიური მონაწილეები. თუმცა დაკვირვების ხასიათიდან გამომდინარე, მათ უნდა სცადონ დამკვირვებლის ყველა ამპლუაში მონაწილეობა. სასარგებლო რჩევა ასეთი სიტუაციაში იქნება ის, რომ ჯობია, გააკეთოთ ნაკლები, მაგრამ ხარისხიანად. ანუ, როდესაც შეუდგებით მონაწილეზე დაკვირვებას, ზედმეტს გაკეთებას ნუ მოსთხოვთ საკუთარ თავს და ნუ გადაიტვროთებით. ადამიანს არ ძალუს, ყველაფერს შეეჭიდოს. შეეცადეთ, რომ თქვენი პრიორიტეტული სფეროს შესახებ ინფორმაცია მიიღოთ ისეთი დაკვირვებით, რომლის განხორციელებაც რეალისტურია. მოერიდეთ იმაზე მეტის გაკეთებას, ვიდრე შეგიძლიათ და ნახავთ, რომ თქვენ კმაყოფილი იქნებით მიღებული შედეგებით.

### **აქტიური მონაწილე-დამკვირვებელი**

პედაგოგები, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის აქტიური მონაწილე-დამკვირვებები არიან. როდესაც სწავლის პროცესში აქტიურად არიან ჩაბმულნი, ისინი აკვირდებიან თავიანთი სწავლების შედეგებს. ყოველთვის, როდესაც ვასწავლით, ჩვენ ვახდენთ შედეგების შეფასებას და შედეგებიდან გამომდინარე ვახდენთ ჩვენი სწავლის მეთოდის კორექტირებას. როგორც საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის აქტიური მონაწილე-დამკვირვებელი, შესაძლოა, ძალიან ჩაგვითორიოს საკუთარმა საქმიანობამ და დრო არ დაგვრჩეს იმისთვის, რომ ჩვენი დაკვირვების შედეგები ყოველდღიურად სათანადოდ აღვრიცხოთ. მონაცემების ასეთი სახით აღრიცხა აუცილებელი ნაწილია აქტიური მონაწილე-დამკვირვებლისთვის.

I, II და III ნაწილებში მოყვანილი სამოქმედო კვლევს შესახებ მოკლე ისტორიებში ჩვენ გავიცანით პედაგოგები, რომლებიც თავიანთი საქმიანობის აქტიური მონაწილე-დამკვირვებები იყვნენ. დებორა საუთი დააკვირდა უნარების გაკვეთილზე არამოტივირებული მოსწავლეების არასათანადო ქცევას; ქეთი მიტჩელი, მოზარდების ოეატრის ხელმძღვანელობისას, დააკვირდა მაყურებლის ჩართულობის ხასიათს; ჯეიმს როქფორდი მოსწავლეებისთვის კლავიატურაზე მუშაობის სწავლების დროს ორი თითით ბეჭდებს მეთოდს დააკვირდა. როგორც საკუთარი პრაქტიკის მკვლევრებისათვის, აქტიური მონაწილის დაკვირვება არის მონაცემთა შეგროვების კველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდი.

### **პრივილეგირებული, აქტიური დამკვირვებელი**

პედაგოგებს შესაძლოა ჰქონდეთ შანსი, დააკვირდნენ უფრო პრივილეგირებულ, აქტიურ ამპლუაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ შესაძლოა გაუჩნდეთ სურვილი, დააკვირდნენ საკუთარ მოსწავლეებს ისეთ დროს, როდესაც ისინი არ იქნებიან გაკვეთილის ჩატარებაზე პასუხისმგებელი, მაგალითად, სხვა პედაგოგის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე, როგორიც არის მუსიკის გაკვეთილი, ბიბლიოთეკა, ან ფიზიკური

ვარჯიში. ასეთ დროს პედაგოგებს შეუძლიათ იმუშაონ დამხმარე პედაგოგად და ამავდროულად დატოვონ საკლასო ოთახი, შორიახლოდან ადევნონ თვალყური და დააკვირდნენ რომელიმე კონკრეტულ მონაკვეთს ისე, რომ ხან პედაგოგის, ხან დამხმარის, ხანაც დამკვირვებლის როლში იყვნენ.

ბევრმა პედაგოგმა გამოხატა კმაყოფილება იმის გამო, რომ მიეცათ შესაძლებლობა, დაკვირვებოდნენ მოსწავლეების ურთიერთობას და კონკრეტული სწავლების მეთოდის ზეგავლენას მოსწავლეთა ურთიერთობაზე. პრივილეგირებული, აქტიური დამკვირვებლობა მოითხოვს საქმაოდ დიდ დროს, რაც არა უშუალოდ სწავლებას ეთმობა, არამედ დაგეგმვას, გუნდის შეკრებებზე დასწრებას, ღიოტერატურის წაյითხვას, სხვა კლასების მონახულებასა და რელაქსირებას (თუ განრიგი ამის შესაძლებლობას გაძლევთ, მნიშვნელოვანაა, დღის განმავლობაში შეისვენოთ). კლასზე დაკვირვებისთვის დროის დათმობა არის სკოლის გარეთ გატარებული დროის მიზნობრივი გამოყენება, რაც პედაგოგს ეხმარება, გარკვეულწილად, დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გააუმჯობესოს საკუთარი პრაქტიკა.

### პასიური დამკვირვებელი

პედაგოგებს ასევე შესაძლებლობა აქვთ, სკოლაში ან კლასში პასიური დამკვირვებლის როლში გამოვიდნენ. როდესაც პედაგოგები იკავებენ პასიური დამკვირვებლის ადგილს, ამ დროს ისინი სწავლებაზე პასუხისმგებლები აღარ არიან – მხოლოდ მონაცემთა შეგროვებით არიან დაკავებული. პრივილეგირებული, აქტიური დამკვირვებელი შეიძლება გადაიქცეს პასიურ დამკვირვებლად, როდესაც ისინი ნათლად განუმარტავენ საკუთარ მოსწავლეებსა და კოლეგებს, რომ საკლასო ოთახში იმყოფებიან მხოლოდ იმიტომ, რათა „დააკვირდნენ, რა ხდება იქ“. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები სწრაფად აცნობიერებენ, რომ მათი პედაგოგი არ აპირებს ჩვეულ სტილში გაკეთილის ჩატარებას და შათთან ურთიერთობას. პედაგოგს შეუძლია, უბრალოდ გამოაცხადოს, რომ დღეს „მე ვაპირობ გიყუროთ და დანახულით ავიმაღლო ჩემი ცოდნა!“ მასწავლებლის ამპლუადან გამოსვლა შესაძლოა იყოს უჩვეულო გამოცდილება თავად პედაგოგისთვის და ასევე იყოს პედაგოგისთვის უნიკალური საშუალება, დააკვირდეს საკუთარ მოსწავლეებს სხვა რაკურსიდან და უცხო თვალით.

### საველე ჩანაწერები

მონაწილე-დამკვირვებლის მიერ გაკეთებულ წერილობით ჩანაწერებს ხშირად უწოდებენ საველე ჩანაწერებს. იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც საკუთარ კლასში მონაწილე-დამკვირვებლის როლში გამოდინან, საველე ჩანაწერებმა შესაძლოა არაორგანიზებული ჩანაწერების ფორმა მიიღოს, რაც შესრულდება მეთოდური, ავთენტიკური შეფასების ანდა პორტფოლიოს შემუშავების ფარგლებში. ანუ, რა სახის ინფორმაცია შეგაქვთ საველე ჩანაწერებში? – ეს დაკავშირებულია იმაზე, კონკრეტულად რას ეძებთ! მე შემიძლია შემოგთავაზოთ მცირე რჩევები, რაც დაგეხმარებათ საველე ჩანაწერების გაკეთებაში. თუმცა მოდით, ჯერ იმით დავიწყოთ, თუU როგორ არ უნდა გაკეთდეს საველე ჩანაწერები.

როდესაც კაწავლობდი ორეგონის უნივერსიტეტში, მე ავირჩიე „განათლების ეთნოგრაფიული კვლევის“ კურსი, რომლის შემადგენელი ნაწილი სარისხობრივი კვლევის ჩატარება იყო. აღნიშნული კურსის ფარგლებში მე მევალებოდა ისეთი ეთნოგრაფიული კვლევის განხორციელება, რაც დაკავშირებული იყო „კულტურულ სხვაობათან“. როგორც ავსტრალიელი, რომელიც ამერიკის შეკრთებულ შტატებში იღებდა

განათლებას, მე მქონდა შესაძლებლობა, მესწავლა კულტურული სხვაობის ფენომენი და ამავდროულად სიამოვნება მიმეღო პროექტზე მუშაობისგან. მე ავირჩი ქალთა სათვისტომოს საკითხების შეწავლა და აღნიშნული კვლევის ფარგლებში მონაწილეობა მივიღე ერთ-ერთ რეგულარულ ცერემონიაში, რაც ქალთა სათვისტომოს წევრების ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო – ოფიციალური სადილი იმართებოდა ყოველი ორშაბათის ღამეს, რა დროსაც სათვისტომოს წევრების ჩატულობა უნდა ყოფილიყო ფორმალური და სტუმრად მოსულ მამაკაცებს უნდა სცმოდათ პიჯაკი და პეტებოდათ პალსტუხი.

სადილის განმავლობაში ხშირად შევდიოდი ტუალეტში, სადაც შემქონდა ჩემი დღიური და ზედმიწევნით ვიწერდი და აღწერდი სადილის დროს წარმოთმეულ ფრაზებს და, ზოგადად, სადილის მიმდინარეობას, რათა დეტალურად გადმომეცა ნანახი. რა თქმა უნდა, ირონიული იყო ის ფაქტი, რომ ყოველ წუთს ტუალეტში შესვლით, რათა ნანახი წერილობით აღმეტეჭდა, მე გამოგაკლიდი სადილის დიდ ნაწილს. ძალიან სასაცილო სიტუაცია შეიქმნა, როდესაც ერთ-ერთმა მასპინძელმა მცითხა, კარგად თუ ვერძნობდი თავს, ქამოფილი ვიყავი თუ არა საჭმლით, და რატომ გავდიოდი დარბაზიდან ასე ხშირად?!?

მესავი მკვლევარი პედაგოგებისთვის, რომელთაც სურთ, საველე ჩანაწერების მეშვეობით შეაგროვონ მონაცემები, ასეთია: დაკვირვების დროს ფიზიკურად შეუძლებელია ჩანაწერის გაკეთება ყველაფერზე, რაც ირგვლივ ხდება და არც უნდა შეეცადოთ ამას. ქვემოთ მოყვანილია სასარგებლო რჩევები დაკვირვებისა და საველე ჩანაწერების გასაკეთებლად (ადაპტირებულია ვოლკოტიდან, 1994).

#### დააკვირდი და ჩანაწერეთ ყველაფერი შექლებისდაგვარად

თუ დასაწყისში იცოდით, რას უნდა დაკვირვებოდით, შესაძლოა, მონაცემთა შეგროვების პროცესი არაეფექტური მოგეჩვენოთ. პროცესში ჩაბმისთანავე, როდესაც „ყველაფრის შესახებ აკეთებთ ჩანაწერებს“, მალევე გაერკვევით იმაში, თუ რა მონაცემების აღბეჭდვა არის ყველაზე მნიშვნელოვანი. დაკვირვების პროცესში თქვენ შეგიძლიათ, თვალი გადაავლოთ მთელ საკლასო ოთახს და ნელ-ნელა შეავიწროვთ თქვენი ინტერესთა სფერო იმის მიხედვით, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუდებელი კონკრეტულ შემთხვევაში. თქვენ ასევე შეგიძლიათ განსაზღვროთ, რა საშუალებებით აპირებთ დაკვირვების აღნუსხვას. შესაძლოა, აირჩიოთ სტენოგრაფიული ჩანაწერები, რუკები და ილუსტრაციები, ფოტოები, ვიდეოჩანაწერები და აუდიოჩანაწერების აღნუსხვა, ასევე შეგიძლიათ სკოლის დირექტორის ან უნივერსიტეტის პროფესორის სტილში დაწეროთ კონკრეტული საკითხის კრიტიკული შეფასება. აღნიშნული საქმაოდ უნიკალური საქმიანობაა, თუმცა აუცილებლად გათვალისწინეთ ერთი წესი: არასროოს გაიქცეთ ტუალეტში ყოველ 5 წუთში, ასეთ დროს აუცილებლად რაიმე მნიშვნელოვანს გამოტოვებთ! ეცადეთ, ისეთ ფორმაზეში აღნუსხოთ მონაცემები, რომ შემდგომში იგი ადგილად გამოიყენოთ.

მაგალითად, როდესაც ვაკვლევდი საოლქო სკოლის მიერ სხვადასხვა სახის ცვლილების მისაღწევად განხსნორციელებულ მცდელობებს (იხილეთ მილსი, 1988), მაქეენზის საოლქო სკოლაში დაგესწარი ყოველწლიურ, 37-ე, პედაგოგის მიერ თანამდებობის დაკავების დღეს. აღნიშნულზე დაკვირვებისას, ჩემ მიერ გაკეთებული საველე ჩანაწერების ნაწილი შემდეგნაირად გამოიყერებოდა:

<sup>830</sup> – სკოლის რადიოთი გამოაცხადეს, რომ პედაგოგები შეგროველიყვნენ აუდიტორიაში, დაეკავებინათ ადგილები და მომზადებულიყვნენ თანამდებობის დასაკავებლად. აუდიტორიაში შესვლისას ისმოდა პოპულარული სიმღერა „უდიდესი სიყვარული“.

<sup>841</sup> – სკოლის აღმინისტრატორის ასისტენტი მიესალმა პედაგოგებს მასწავლებლად კურთხევის დღეზე და დაარწმუნა, რომ ეს იყო „საუკეთესო ოლქი საუკეთესო პედაგოგებით“. მოკლე მისალმებას მოჰყვა ერთგულების ფიცის დადგება და სკოლის ახალი აღმინისტრატორის ასისტენტის წარდგენა.

<sup>845</sup> – აღმინისტრატორის ასისტენტმა წარადგინა აღმინისტრატორი და დასხასიათა როგორც „ბაგშეგბზე, პედაგოგებსა და ოლქზე მზრუნველი“.

თანამდებობის დაკავების პროცესის მომდევნო საათს მოხდა ოლქის ახალი პედაგოგების წარდგენა (60 ახალდანიშნული პედაგოგი იმყოფებოდა), ინფორმაციის გაცნობა, თუ როგორი იქნებოდა ოლქის ახალი სტრატეგია რისკჯგუფში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით.

<sup>1000</sup> – აღმინისტრატორმა ყურადღება მიაპყრო სიმღერა „უდიდესი სიყვარულის“ ტექსტს და აზრი გამოთქვა, რომ მასში გადმოცემული მესიჯი შესაბამებოდა ოლქის დევიზს: „ყველა ეძებს გმირს. ხალხს სჭირდება ვიღაც, ვისაც პატივს სცემს. მე ვერ ვიპოვე ის, ვინც ჩემს მოღონდინს გაამართლებდა...“. აღმინისტრატორი მოუწოდებს პედაგოგებს, იყვნენ გმირები თავიანთი მოსწავლეებისთვის და თანამდებობის დაკავების ცერემონიის დამთავრებამდე უსურვებს წარმატებულ სასწავლო წელს.

როგორც ამ მოკლე მაგალითიდან დაინახეთ, არაფერია მისტიკური საველე ჩანაწერების წარმოებაში. იგი, უბრალოდ, არის დამკვირვებლის მიერ დანახულის შესახებ გაკეთებული ჩანაწერები, რაც ეხმარება მას შემდგომი დაკვირვების ჩატარებასა და ინტერვიუების აღებაში. ეს იყო მაქენზის საოლქო სკოლაში ჩემი ერთწლიანი საველე სამუშაოს დასაწყისი. ეს პირველადი დაკვირვება დამეხმარა შეკითხვების ჩამოყალიბებაში, რაც, თავის მხრივ, დამტმარა იმის გაეხებაში, თუ როგორ იღებენ და უმკლავდებიან განათლების ფედერალური სამმართველოს თანამშრომლები, სკოლის დირექტორები და პედაგოგები მრავალ სიახლეს.

### დაკვირვება და კონკრეტულად არაფრის ძებნა

შეეცადეთ, შეხედოთ ერთფეროვნო მოვლენებს განსხვავებული კუთხიდან. თუ შეგიძლიათ, შეეცადეთ შეხედოთ „სხვა თვალით“ და მიუდევით საკითხს, თითქოს გარეშე პირი ხართ. ვოლკოტი (1994) სთავაზობს სასარგებლო რჩევას პედაგოგებს, რომლებიც საკლასო ოთახებში დაკვირვებას ახორციელებენ, სადაც მათთვის ცველაფერი ნაცნობი და ერთფეროვანია:

როდესაც საკლასო ოთახის ერთფეროვნება კარგად არის ცნობილი, გამოცდილება დამკვირვებელმა შესაძლოა წამოიწყოს ახალი სახის დაკვირვება, რაც სხვას შესაძლოა, ჩვეულებრივ საშინაობად მოეჩვენოს. დამკვირვებელი ამონტაჟებს რადარებს, რომლებიც სკოლის უკეთებს უკეთებს კლასობრივი სამუშაოების შენობაში აკეთებენ და ეს მოწყობილობა მუშაობს შეუჩერებლად (გვ. 162).

### ეძებეთ „ამობურცულობები“ ან პარადოქსები

ამ სტრატეგიის მიხედვით, თქვენ აღიქვამთ გარემოს, თითქოს იგი იყოს ბრტყელი. არაფერი არ არის გამოკვეთილი. ასეთ დროს დამკვირვებელს აქვს შესაძლებლობა, ეძებოს ამოზნექილი რამ. სამოქმედო კვლევის დროს ასეთი „ამობურცულობები“ შესაძლოა იყოს მოსწავლის მოულოდნელი პასუხის/შეკითხვა ახალ სასწავლო გეგმასთან ან სწავლების მეთოდთან დაკავშირებით, ან მოულოდნელი შეკითხვა კლასის მენეჯმენტის ახალი გეგმის, კლასში დასაჯდომი აღგილების მენეჯმენტის, შემოწმების მეთოდის ან ინოვაციის შესახებ.

მაგალითად, „ამობურცულობები“ რომლებიც პედაგოგმა შეამჩნია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, იყო საქმაოდ მტკივნეული რეალობა, რადგან კლასის წარმატება ემუარებოდა ერთ ან ორ ბიჭს, ანუ ბავშვებისთვის შეკითხვების დასმისა და კითხვაზე პასუხის გაცემის დროს გაირკვა, რომ გაკვეთილის განმავლობაში ერთ ან ორ ბიჭზე იყო მიპყრობილი პედაგოგების უურადღება.

ეს მეთოდი ასევე ურჩევს მკვლევარ პედაგოგებს, საკუთარ კლასებში უურადღება მიაქციონ ურთიერთსაწინააღმდეგო ან პარადოქსულ მოვლენებს, რაც დიდად არ განსხვავდება „ამობურცულობების“ ძიების მეთოდისგან, რადგან პარადოქსი ყოველთვის ადგილად შესამჩნევია პედაგოგისთვის, რომელიც განზე დგას და აკვირდება, თუ რა ხდება საკლასო ოთახში (ეფექტური დაკვირვების შემადგენელი ნაწილების აღწერილობის სანახავად იხილეთ საკანონი კონცეფციის 3–1 გრაფა).

მაგალითად, მკვლევარი პედაგოგები ხშირად საუბრობენ კონკრეტული სწავლების მეთოდის გაუთვალისწინებელ შედეგებზე ან სასწავლო პროგრამის ცვლილებაზე, რაც მათთვის ცხადი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც განზე გადგნენ და დააკვირდნენ საკუთარი მოქმედების შედეგებს. აღნიშვნული შედეგები ხშირად გვევლინება პარადოქსების, ურთიერთსაწინააღმდეგოს სახით. მაგალითად, ერთმა პედაგოგმა, მას მერე, რაც სცადა დაწყებით კლასში თვალსაჩინოებათა მათთვატიკის სასწავლო პროგრამაში ინკორპორირება, განაცხადა: „მიმჩნდა, რომ მათებატიკის სწავლების დროს თვალსაჩინოებების გამოყენება ხელს შეუწყობდა ჯგუფური მუშაობის გაუმჯობესებას. ამის ნაცვლად ჩემმა ბავშვებმა დაიწყეს ჩეუბი იმაზე, თუ ვის რომელი თვალსაჩინოება უნდა გამოეყენებინა და არ უნდოდათ ერთმანეთისთვის გაყოფა“.

## გამოკვლევა: როდესაც მკვლევარი შეკითხვას სვამს

მონაცემთა შეგროვების მეორე მნიშვნელოვანი მეთოდი პედაგოგების მიერ შეკითხვების დასმის გზით მონაცემთა შეგროვებაა. მკვლევარმა პედაგოგებმა შეიძლება დაუსვან შეკითხვები მოსწავლეებს, მშობლებს და სხვა პედაგოგებს, ინტერვიუებისა და კითხვარების შესების გზით.

როგორც აგარი (1980) მიჩნევს, ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას შესაძლოა, „მთავარი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტის“ დანიშვნულება ჰქონდეს და, მეორე მხრივ, დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით უზრუნველვყოთ არაფორმალური ინტერვიუების ჩატარება. აქ იგულისხმება ის, რომ დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემებზე (რომლებიც შეგროვებულია კონკრეტული გამოცდილების შედეგად) დაყრდნობით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შეკითხვები, რომელთაც ინტერვიუს დროს დავუსვამთ ბავშვებს, მშობლებს, პედაგოგებს, ანუ ყველას, ვინც კი შესაძლოა, კვლევაში მოხაწილეობდეს. ინტერვიუს ჩატარების დროს მონაწილემ შეიძლება, რაიმე გამოტოვოს. წყვილებად დაკვირვების განხორციელება და ინტერვიუს ჩატარება კარგი საშუალებაა, რათა შევაგროვოთ სრულყოფილი ინფორმაცია და არაფერი გამოგვრჩეს. მაგალითად, ქეთი მიტჩელის მოზარდთა თეატრის დასმა (იხილეთ II თავი) შეიძუშვავა ინტერვიუს ჯგუფურად ჩატარების მეთოდი, რომელიც ეხებოდა მაყურებლის რეაქციას და ჩართულობაზე დაკვირვებას. ამ მეთოდით თეატრის დასის სამი წევრი ხვდებოდა მაყურებელთა მცირე ჯგუფს, შეხვედრა ტარდებოდა წარმოდგენის შემდეგ, დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში. ამ დროს მათ შეეძლოთ, შეეფასებინათ, თუ როგორი იყო მაყურებლის რეაქცია არასრულწლოვანთა ძალადობის სცნასთან დაკავშირებით. ერთი მსახიობი გამოდიოდა ინტერვიუების როლში, მეორე ყველაფერს იწერდა, ხოლო მესამე ინიშნავდა და აჯამებდა მაყურებლის ყველა შენიშვნასა და შეხედულებას.

### 3-1 გრაფა. საკვანძო კონცეფციები

ეფექტური დაკვირვების შემაღენელი ნაწილები	
მთავარი შემაღენელი ნაწილები	
მონაწილეობის დონე	
მონაწილე დამკვირვებელი	მონაწილეობს მოქმედებაში, აკვირდება მოქმედებას, ხალხსა და ფიზიკურ ასპექტებს
პრივილეგირებული დამკვირვებელი	პედაგოგის დამხმარე, როდესაც სხვა სპეციალისტები ატარებენ გაკვეთილს
პასიური დამკვირვებელი	მხოლოდ აკვირდება იმას, რაც ხდება
საველე ჩანაწერები	
დააკვირდი და ჩაიწერე ყველაფერი	საუბრის სტენოგრაფირებაში, რუკებისა და ილუსტრაციების, ფოტოსურათების, ვიდეო- და აუდიო-ჩანაწერების გაკეთებაში გაწაფვა
დაკვირვება და კონკრეტულად არაფრის ძიება	სცადეთ, შეხედოთ ერთფეროვნებას სხვა თვალით და ახლებურად მიუდგეთ
ეძებეთ პარადოქსები	რა არის მოქმედების გაუთვალისწინებელი შედეგები?

#### არაფორმალური ეთნოგრაფიული ინტერვიუ იმაზე მეტია, ვიდრე შემთხვევითი საუბარი – იგი საშუალებას აძლევს პედაგოგს, საუბრის ფორმატში მიიღოს ისეთი ინფორმაცია, რაც საკუთარი პრაქტიკის უკეთ გააზრებაში დაეხმარება. აგარი (1980) გვთავაზობს ისეთ მეთოდებს, როდესაც პედაგოგებს მოწზადებული ექნებათ მთელი რიგი შეკითხვებისა, რომელთაც ისინი კვლევაში მონაწილე პირებს დაუსვამენ, მაგალითად: ვინ, რა, სად, როდის, რატომ და როგორ? ასეთი სახის შეკითხვების ქრინიტ პედაგოგს არასდროს გამოელება შეკითხვა იმის გასაგებად, თუ რა ხდება მათ საკლასო ოთახში. ვთქვათ, განვიხილავთ მაგალითს, სადაც პედაგოგი იკვლევს თვალსაჩინოებათა გავლენას მათემატიკის სწავლაზე და დაკვირვების შედეგად იღებს მოულოდნელ შედეგს – ბავშვები არ უნაწილებენ თვალსაჩინოებებს ერთმანეთს, ასეთ სიტუაციაში პედაგოგს შეუძლია დასვას შემდეგი შეკითხვები:

- ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი ჯგუფში თვალსაჩინოებების რიგრიგობით გამოყენებისათვის?
- რა იყო პრიბლემის მიზეზი?
- საიდან წარმოიშვა პრობლემა?
- თვალსაჩინოებების ერთმანეთისთვის განაწილების პრობლემა როდის დაიწყო?
- რატომ არ გინდათ, თვალსაჩინოებები გაუნაწილოთ ერთმანეთს?

- ოქვენი აზრით, როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემის მოგვარება?

ამ მაგალითით პედაგოგს შეუძლია, მოკლე ჩანაწერი გააკეთოს იმისა, თუ რა თქვეს მოსწავლეებმა და მოგვიანებით გამოიყენოს აღნიშნული, როგორც მონაცემების წყარო; ანდა მკვლევარ პედაგოგს შეუძლია, გააკეთოს არასისტემატიზებული ჩანაწერები თითოეული მოსწავლის მონათხრობზე და გადაიტანოს ცალ-ცალკე ფაილებზე. მოსწავლეზე უსისტემო ჩანაწერის გაკეთების ნიმუში მოცემულია 3-2 გრაფაში.

### მოსწავლეების შესახებ უსისტემო ჩანაწერების ფორმა

სახელი: ქარი სმიტი

კლასი: K

თარიღი: 10/23

შენიშვნები: საწერი მაგიდა

დაკვირვების შედეგი: ქარი უკმაყოფილო ჩანს საწერ მაგიდასთან გატარებულ დროის მონაკვეთში. მისი ჟანრი „მე არ მაქვს დრო, რომ ვითვიქო ჩემს ისტორიაზე“:

თარიღი: \_\_\_\_\_

შენიშვნები: \_\_\_\_\_

### 3-2 გრაფა. მოსწავლის შესახებ უსისტემო ჩანაწერის ფორმა.

ოფიციალური სისტემური ინფერვიუები

მკვლევარ პედაგოგებს შეიძლება მოუნდეთ, მასალების შეგროვების ფორმაზი, ბავშვებისთვის, მშობლებისა ან კოლეგებისათვის ინტერვიუს იფიციალურად ჩამორთმევა. სისტემური ინტერვიუების ფორმაზი შესაძლებლობას აძლევს პედაგოგებს, ერთი და

იგივე შეკითხვები დაუსვან ყველა მონაწილეს. თუმცა მთავარ სირთულეს ინტერვიუს აღებისას ქმნის ის, რომ შეკითხვები ისეთი ფორმით დასვან, რაც პედაგოგებს მათ-თვის სასურველი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას მისცემს. ეს შეიძლება, ისედაც ცხადი იყოს, მაგრამ პედაგოგები ხშირად იძულებული არიან, დასვან ძალიან ბევრი შეკითხვა, საიდანაც მთლილ ნაწილი ეხება ძირითად საკითხებს. თუ ინტერვიუს აღებას გეგმავთ, მიაქციეთ ყურადღება შემდეგ საკითხებს, რათა თქვენი ოფიციალური სისტემური ინტერვიუ ჩატარდეს ხარისხიანად:

- პილოტური შეკითხვები მსგავსი რესპონდენტების ჯგუფთან. ანუ, თუ ჩამოყალიბებული გაქვთ ინტერვიუს ფორმატი, რაც თქვენი კლასის მოსწავლეებს უნდა ჩაუტაროთ, ჯერ გამოსცადეთ იგი იმავე ასაკის სხვა მოსწავლეებთან (და არა თქვენი კლასის მოსწავლეებთან), რათა დაინახოთ, რამდენად კარგად მუშაობს ასეთი ფორმატის ინტერვიუ. სხვა ჯგუფიდან აღებული ინტერვიუს შედეგები ნათლად დაგანახვებთ, რამდენად სწორად შეარჩიეთ ინტერვიუს ფორმატი. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, გადახედეთ და შეასწორეთ თქვენი კითხვარი, სანამ წარუდეგნდეთ მას თქვენს კლასს.
- გამოიყენეთ თანმხვედრი და არათანმხვედრი ხასიათის შეკითხვები. მაგალითად, სისტემურ ინტერვიუში ან კითხვარში გამოიყენეთ როგორც ღია, ანუ პასუხის რამდენიმევარიანტუანი, ასევე დახურული შეკითხვები. მაგალითად, დახურული (თანმხვედრი) შეკითხვა ითვალისწინებს მოკლე პასუხებს, როგორებიცაა: „კი/არა“. ამის საწინააღმდეგოდ, ღია დაბოლოების (არათანმხვედრი) შეკითხვა შეიძლება დასრულდეს „შენიშვნების“ გრაფაში კამოწარების ჩაწერით, ან შეიძლება, ინტერვიუერს თავისი სურვილისამებრ რამეს დამატება შესთავაზოთ. ღია დაბოლოების მქონე შეკითხვით, ანუ რამდენიმევარიანტუანი პასუხის მქონე შეკითხვით, თქვენ შესაძლებლობას აძლევთ მოსწავლეს, ჩამოაყალიბოს პასუხი ისეთი სახით, რომლის წინასწარ განჭკრეტასაც ვერასდროს შოახერხებდით. თუმცა ინფორმაცია, რომელიც რამდენიმევარიანტუანი პასუხის მქონე შეკითხვებიდან მიიღეთ, გაცილებით უფრო რთული აღსაქმელი და შესაფასებელია. მოუხედავად ამისა, მკელევარ პედაგოგს ეს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვა შემთხვევაში საკითხთან კავშირის არმქონდ ან წინააღმდეგობრივად ჩაითვლება.
- მოთმინებით მოიცადეთ და დაელოდეთ პასუხის მიღებას. გახსოვდეთ, რომ დანტერესებული ხართ, რესპონდენტმა გაგცეთ პასუხი თქვენს შეკითხვაზე.
- შეგიძლიათ, გამოიყენოთ აუდიოჩანაწერი ინტერვიუს დროს მიღებული პასუხების აღსაბეჭდავად. ერთ-ერთი საშუალება, მოახდინოთ თქვენი რესპონდენტის პასუხების სტენოგრაფიერება, არის ხმის ჩამწერი საშუალების გამოყენება. ასეთი მეთოდით ახერხებთ, თქვენი საუბარი სიტყვასიტყვით იყოს აღტეჭდილი და ამავდროულად არ წევეტ კავშირს (ვიზუალურ, ან სხვა) თქვენს რესპონდენტსან. თუმცა იცოდეთ, რომ აუდიოჩანაწერების გაკეთება გაგიზრდით სამუშაოს, რადგან მოგიწევთ ჩაწერილი ინტერვიუს გაშიფრვა. ასეთ დროს თქვენ უსმენთ აუდიოჩანაწერს და პასუხები გადაგაქვთ ფურცელზე. აუდიოჩანაწერი მოწყობილობის გამოყენებისას ხშირად წარმოიქმნება გაუთვალისწინებელი დაბრკოლებები! (მაგალითად, თუ ტექნიკა ფუჭდება ან გამართულად არ მუშაობს, რაც ჩვენს გაღიზიანებას იწვევს!). მე ავიღე ინტერვიუ პედაგოგების, დირექტორებისა და ადმინისტრატორებისგან, რომლებიც, იმის გამო, რომ მათთან ინტერვიუს აუდიოჩანაწერა ხდებოდა, საკმაოდ უხერხულად გრძნობდნენ თავს, მოუხედავად იმისა, რომ თქვენ გარდა

- სხვა არავინ აპირებდა აღნიშნული ჩანაწერის მოსმენას. დააკვირდით თქვენი რესპონდენტების უსტიცულაციას, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს, როდესაც მათი ნათელად აუდიოჩაწერას ახდენთ. თქვენ შესაძლოა შეამჩნოთ, რომ ბევრ რესპონდენტს დაძაბულობა ეხსნება, როდესაც აუდიოჩაწერას წყვეტით.
- შეარჩიეთ მყუდრო ადგილი ინტერვიუს ასაღებად. იმის მიუხედავად, პირისპირ თუ ჯგუფურ ინტერვიუს იღებთ, დარწმუნდით, რომ ამას ახორციელებთ წყნარ გარემოში, სადაც არავინ შეგიშლით ხელს და სადაც გექნებათ ყველა მასალა და საშუალება ინტერვიუს ასაღებად (აუდიოჩაწერი მოწყობილობა და ბლოკნოტი). ასეთი ადგილი შესაძლოა, იყოს საკლასო ოთახი, სხვა პედაგოგის საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკის სამეცადინო ოთახი. ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ადგილი შეიძლება იყოს შესაფერისი ინტერვიუს ასაღებად, თუ იქ რესპონდენტები მყუდროდ და კომფორტულად გრძნობენ თავს. მაგალითად, არაფორმალური ინტერვიუს დროს, პირიქით, თქვენ შეგიძლიათ გაესაუბროთ მოსწავლეებს გარეთ, შესვენების დროს და ითამაშოთ მათთან სხვადასხვა სახის თამაშებიც კი. ზოგიერთი თქვენი კოლეგა შეიძლება კომფორტულად გრძნობდეს თავს, როდესაც ინტერვიუს ართმევთ ფაკულტეტის შენობის პოლში ანდა სასადილოში. აუცილებლად გაითვალისწინეთ თქვენი რესპონდენტების აზრი იმის შესახებ, თუ სად სურთ ინტერვიუს მოცემა.
  - ფრთხილად შეარჩიეთ ის პირები, რომელთაც ინტერვიუს ჩამოართმევთ. მკვლევარ პედაგოგებს შედარებით მარტივად შეუძლიათ გადაწყვიტონ, როგორ აირჩევენ ინტერვიუსთვის რესპონდენტებს. ინტერვიუს რესპონდენტების განსაზღვრა მეტწილად დამოკიდებულია თქვენს შეკითხვებსა და იმაზე, რამდენად ფლობს რესპონდენტი „საჭირო ინფორმაციას“ (პატონი, 1990, გვ. 169). ეს შეიძლება, ისედაც ნათელი იყოს თქვენთვის, თუმცა შეგახსენებთ, რომ აზრი არ აქვს, გამოკითხოთ ის ადამიანები, რომლებმაც არავერო იციან თქვენი პრიორიტეტული სფეროს შესახებ! შესაბამისად, მიღებთ გააზრებულ გადაწყვეტილებას, თუ ვინ უნდა იყოს თქვენი ინტერვიუს რესპონდენტი. გამოკითხვათ თუ არა თქვენი კლასის/სკოლის ყველა ბავშვს? ყველა პედაგოგს? პასუხი, სავარაუდოდ, არის „არა“. და შედეგი ფაქტორების გათვალისწინებით აირჩევთ რესპონდენტს: პრიორიტეტული სფეროს შესახებ ცოდნა და გამოცდილება, საუბრის უნარი, სურვილი, იყოს ინტერვიუს რესპონდენტი. მკვლევარი პედაგოგების უმეტესობას საქმაოდ შეზღუდული არჩევანი ექნება, ანუ მათი კლასის მოსწავლეები იქნებინ ინტერვიუს უშუალო სამიზნები. თქვენს კლასში მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით შესაძლოა გადაწყვიტოთ კომბინირებული, ანუ კოლექტური და ინდივიდუალური, ინტერვიუს ჩატარება იმისათვის, რომ შეგექმნათ სრულყოფილი წარმოდგენა თქვენს პრიორიტეტულ სფეროზე.
  - ინტერვიუს დროს გააკეთეთ ჩანაწერები. მიუხედავად იმისა, ახორციელებთ თუ არა ინტერვიუს აუდიოჩაწერას, აუცილებლად გააკეთეთ ჩანაწერები, საუბრის არსის გადმოცემის მიზნით. იმის მიუხედავად, რამდენად სწრაფად ბეჭდავთ, ვერ შეძლებთ ყველაფრის ჩანიშენას, რასაც ინტერვიუს დროს მოისმენთ. შენიშვნები, რომელთაც ინტერვიუს დროს გააკეთებთ, მიმართულებას მოგცემთ, რის შეგსებასაც ინტერვიუს შეძლებთ. თქვენი რესპონდენტები ასევე მიაქცევენ ყურადღებას, რამდენად შეძლებთ ინტერვიუს მსვლელ-

ობის დროს მათთან კავშირის დამყარებას და არ იქნებით გართული თქვენს ბლოკნოტში ჩანაწერების გაკეთებით, რითაც ასევე ინტერვიუს მიმდინარებას არ დაარღვევთ. ჩანაწერების გაკეთება საკმაოდ უნიკალური რამ არის: რაც ამართლებს და მუშაობს ერთის შემთხვევაში, შესაძლოა არ გაამართლოს მეორის შემთხვევაში. მე ვემხრობი სტრუქტურული წერილის ფორმით, აბრევიატურებისა და ჩანახატების (ისრების გამოყენება იმ კომენტარებზე მითითებით, რომლებიც მეორდება, გალიმებული სახის დახატვა, რომ გადმოვცე რესპონდენტის ჟესტიკულაცია, და ა.შ.) კომბინირებულ ვარიანტის გამოყენებას, რაც მეშმარება ინტერვიუს სრული სახით გადმოცემაში. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი რამ შეიძლება მეტსიერებიდან ამოგვივარდეს, მნიშვნელოვანია, ინტერვიუს დამთავრებიდან რაც შეიძლება სწრაფად, დეტალურად გავშიფროთ საველე ჩანაწერები! (ინტერვიუს აღებისთვის საჭირო ელემენტები ჩამოთვლილია საკვანძო კონცეფციების 3–2 გრაფაში).

## ცოკუსპერიოდი

ასევე მნიშვნელოვანი მეთოდი ინტერვიუს წარმოების დროს არის რამდენიმე პირის-გან შექმნილი ფოკუსჯგუფების გამოყენება, რაც დაგეხმარებათ პრიორიტეტული სფეროს ჟეკო გაგებაში. ერთ-ერთი სახე ფოკუსჯგუფისა შეიძლება იყოს ჯგუფური ინტერვიუ, რა აღრისაც იგებთ „რამდენიმე პირის საერთო აზრს, ისევე, როგორც გარკვეული კატეგორიის ადამიანთა შეხედულებებს“ (ქრესველი, 2005, გვ. 206). ფოკუსჯგუფებთან მუშაობა არის მნიშვნელოვანი მეთოდი, რა დროსაც მკვლევარი პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვის ირგვლივ ინდივიდებს შორის იწყება მსჯელობა, რითაც მონაწილეებს უვითარდებათ საკითხის შესახებ ერთობლივი წარმოდგენა. მაგალითად, ჯემს როგორდს შეუძლო შშობელთა ფოკუსჯგუფის შექმნა Word-ში მუშაობის საკითხთან დაკავშირებით, რათა გაეგო მათი საერთო აზრი კომპიუტერის სახლში გამოყენებასთან დაკავშირებით.

როდესაც ფოკუსჯგუფებთან მუშაობთ, მნიშვნელოვანია, რომ ყველა მონაწილეს პერსონალური პერსონალური აზრის გამოთქმის შესაძლებლობა და აუსტანათ ჯგუფის წევრებს, რიგრიგობით ისაუბრონ, რათა მონაწილეებმა გაიგონ, რომ ფოკუსჯგუფი ნიშნავს ჯგუფურ მოქმედებას და არა ისეთ მოქმედებას, სადაც ერთი ან ორი მონაწილე დომინირებს. სისტემური ან უსისტემი ინტერვიუს ჩამორთმევის ფორმატის გამოყენებით, მკვლევარ პედაგოგს შეუძლია, ჯგუფს დაუსვას შეკითხვა და გაამხნევოს მონაწილეები, რათა ყველამ გასცეს პასუხი. სპორტული მეტაფორა რომ მოვიშველოთ, შეკითხვები გამოიყენეთ კალათბურთისა და პანგ-პონგის სტილში. რაც იმას ნიშნავს, რომ დასვით შეკითხვა, მიიღეთ პასუხი და გადადით შემდეგ მონაწილეზე (კალათბურთი), დაუსვით შეკითხვა, მიიღეთ პასუხი და დასვით მეორე შეკითხვა. თითოეული შეკითხვიდან შეძლებისდაგვარად მიიღეთ ამომწურავი ინფორმაცია და დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილეს ეძლევა შეკითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

იდეალურ შემთხვევაში, მკვლევარი პედაგოგი იყენებს ინტერვიუს, რათა ფოკუსჯგუფიდან მიიღოს პასუხები, რომელთაც შეძლებებით გადაიტანს. ამ პროცესს დიდი დრო მიაქვს, შესაძლოა, იმაზე მეტი, რაც ინტერვიუს დროს იხარჯება. ასე რომ, მზად იყალთ, გამოყოფილ დრო ფოკუსჯგუფის ინტერვიურების დროს გამოკვეთილი ნიუასებისა და საერთო წარმოდგენების აღნუსხვისთვის.

## საკუანძო კონცეფციები. 3–2 გრაფა

ინტერვიუს ჩატარების შემადგენელი ნაწილები	
არაფორმალური ინტერვიუები	ვინ, რა, სად, როდის, რატომ და როგორ?
ოფიციალური სისტემური ინტერვიუ	<p>პილოტური ინტერვიუ გამოიყენეთ შეკითხვის დასმის სხვადასხვა ფორმატი გამოიყენეთ თანხმებელი და არათანხმებელი შეკითხვები მოთმიწებით დაელოდეთ პასუხის მიღებას განიხილეთ აუდიოჩამწერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა ინტერვიუს დროს მიღებული პასუხების აღსაბეჭდავად ინტერვიუ ჩატარეთ მუზიკი ადგილას ფრთხილად შეარჩიეთ ინტერვიუს რესპონდენტები გაკეთეთ ჩანაწერები ინტერვიუს დროს</p>

### ელექტრონული ფოსტის (ელფოსტის) მეშვეობით ინტერვიუს ჩატარება

ერთ-ერთი შედარებით ახალი ფორმა ინტერვიუირებისა, რაც ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ მკვლევარმა პედაგოგებმა, არის ელფოსტის მეშვეობით ინტერვიუს ჩატარება. თუ სკოლა ჩართულია ინტერნეტშესლში, ელფოსტის გამოყენებით კოლეგების (და მოსწავლეების) ინტერვიუირება ძალიან მარტივი იქნება. მაგალითად, დაკავებული პედაგოგებისთვის ეს გაცილებით ეფექტური იქნება, როდესაც ისინი დროს დაზოგავენ და ელფოსტის მეშვეობით ჩაეტმებიან საუბარში. დაკავებულ სპეციალისტებს შეუძლიათ, ელფოსტის მეშვეობით გასცენ პასუხი შეკითხვებზე, როგორც სინქრონულად (ანუ უშუალოდ ჩაერთონ საუბრის პროცესში), ასევე არასინქრონულად (ნებისმიერ სხვა დროს).

ელფოსტის მეშვეობით ინტერვიუს ჩატარებას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, ელფოსტით ჩატარებული ინტერვიუს ერთი დადგებითი მხარე არის ის, რომ ინტერვიუს გაშიფრა არ დაგჭირდებათ, რადგან რესპონდენტმა თავისი პასუხი წერილობით ჩამოაყალიბა! ანუ თქვენ აღარ გჭირდებათ თქვენს კოლეგებთან ან მოსწავლეებთან ერთად ინტერვიუს გაშიფრა. თუმცა, არსებობს ეთიკური მხარეები, რაც დაკავშირებულია თქვენი რესპონდენტის მიერ გამოგზავნილი პასუხის კონფიდენციალურად და ანონიმურად შენახვასთან. თუმცა ტექნიკში კარგად ვერ ვერკვევი, მე მაინც არ ვენდობი მას, რადგან როდესაც ვაგზავნი ელფოსტის, არ ვარ დარწმუნებული, რომ იგი არ აღმოჩენდება რომელიმე სერვერზე და არ იქნება ხელმისაწვდომი სხვა ცნობისმოყვარე პირებისთვის! ეს პარანოია კიდევ უფრო მიმძაფრდება, როდესაც ვიხსენებ, თუ რა რაოდენობით „სპამი“ მომდის ჩემს ელექტრონულ მისამართზე, რომელიც გამოგზავნილია ვიღაცის კომპიუტერიდან.

ელექტრონული ფოსტით ინტერვიუს ჩატარების ტექნიკური და ეთიკური საკითხების მიუხედავდ, ასეთი ფორმით ინტერვიუს ჩატარება თქვენი სკოლისთვის საქმაოდ გამოსადევი საშუალება შეიძლება იყოს. თუ თქვენი კოლეგები, ჩემი კოლეგებივით, დაკავებული არიან, ძალიან რთული იქნება, დღის განმავლობაში გამოძებნოთ დრო, როცა დავსხდებით და პირისპირ გისაუბრებთ. ელექტრონული ფოსტის გამოყენება შესაძლებლობას მისცემს თქვენს კოლეგებსა და მოსწავლეებს, საკუთარი განრიგის

გათვალისწინებით მიღლონ მონაწილება ინტერვიუში, მაგალითად, იგი შეიძლება განახორციელონ სახლიდან, ან საკლასო ოთახიდან, ან სკოლის შემდეგ, ბიბლიოთეკიდან.

### კითხვარები

ყველაზე დიდი სხვაობა სისტემური ინტერვიუს ფორმატსა და კითხვარს შორის შესაძლოა ის არის, რომ მოსწავლეები და მშობლები აესქებენ ფორმას, რომელიც მათ დაურიგდათ. ორივე მეთოდს აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარე: კითხვარის საშუალებით მკვლევარი პედაგოგი შედარებით მცირე დროში აგროვებს დიდი რაოდენობით მასალას (თუ შევადარებთ იმავე რაოდენობის მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ინტერვიუს ჩატარებას), მაშინ, როდესაც ინტერვიუს ჩატარება შესაძლებლობას აძლევს პედაგოგს, მაშინვე გაიგოს თითოეულ მოსწავლის (მშობლის) აზრი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და, დიდი დროის დახარჯვის მიუხედავად, მკვლევარ პედაგოგს მიაჩინა, რომ მიღებული შედეგი ღირდა ამად. გამოსავალი აღნიშნულ სიტუაციაში იქნება კითხვარების გამოყენება (როცა ეს მიზანშეწონილია) და შემდეგ ინტერვიუების ჩატარება იმ მოსწავლეებისთვის, რომელთა მიერ კითხვარების შეგსებამ ინტერვიუს ჩატარების საჭიროება არ აღმოფხვრა. მაგალითად, საუბრის ფორმით, პედაგოგმა მოსწავლეს ჩვეულებრივად შეუძლია პკითხოს: „მერი, შეგსტულ კითხვარში შენ აღიაშნე, რომ შეგიძლია განმიმარტო. რას გულისხმობდი?“ იმავენაირად, მშობელთა კრების დროს პედაგოგს შეუძლია დააკონკრეტებინოს მშობელს, რა იგულისხმა, როდესაც კითხვარში მიუთითა კონკრეტული რამ.

კითხვარის გამოყენებასთან დაკავშირებით, ერთი რამ ცხადია: მოსწავლეს უნდა შეეძლოს მისი წაკითხვა და შეგსება. მხოლოდ ამ მიზეზის გამო, ბევრი მკვლევარი პედაგოგი უარს ამბობს კითხვარის გამოყენებაზე, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მოსწავლის ინტერვიურებაზე მიღის დიდი დრო, კომპრომისი შეიძლება გამოინახოს და მოხდეს კლასის წარმომადგენლობითი ჯგუფის ინტერვიუირება.

მონაცემთა შეკრების ეფექტური მეთოდი დაგეხმარებათ საჭირო პასუხების მიღებაში. მიაქციეთ ყურადღება ქვემოთ მითითებულ რჩევებს, რათა შეიმუშაოთ კითხვარები:

1. **ყურადღებით წაიკითხეთ და შეასწორეთ კითხვარები** (ან უმჯობესია, გყავდეთ კრიტიკულად განწყობილი მეგობარი, რომელიც წაიკითხავს თქვენს კითხვას), სანამ დაურიგებდეთ რესპონდენტებს. არაფერი მიიპყრობს მშობლების ყურადღებას ისე სწრაფად, როგორც მათი შვილების პედაგოგისგან მიღებული შეტყობინება, რომელშიც უამრავი შეცდომაა; ასევე, პედაგოგის ნაწილში აღმიჩნილმა შეცდომებმა შესაძლოა, მოსწავლეებში სენსაცია გამოიწვიოს.
2. **შეეცადეთ, რომ პრეზენტაცია არ იყოს უძილერად წარმოდგენილი.** გახადეთ კვლევა მიზანიდველი, საჭიროებისამებრ გამოიყენეთ დასათაურებები.
3. **ნუ შეაღვენთ უსასრულოდ გრძელ კითხვარს.** მეთოდის პილოტური (საცდელი) გამოყენებით, თქვენ გექნებათ რეალური სურათი იმისა, თუ რამდენი დრო დასჭირდებათ თქვენს მოსწავლეებს (ან მშობლებს) მის შესავსებად. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად დიდია მათი სურვილი, დაგეხმაროთ, თუ კითხვარი ძალის გრძელია, იგი აღმოჩნდება სანაგვეში, იმის ნაცვლად, რომ თქვენ დაგიხსნდეთ.
4. **არ დასვათ არასაჭირო შეკითხვები.** ეს დაემსგავსება პედაგოგების განვითარების ტესტს, რომელიც არ ემთხვევა იმას, რასაც ასწავლიდნენ. ზოგჯერ გვიწევს ბევრი უმნიშვნელო შეკითხვის შეტანა კითხვარში, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ჩვენს მიზანთან.

5. გამოიყენეთ სისტემური შეკითხვები, მრავალი საფარიულო პასუხით. (იხილეთ ლიკეტრის საზომის შესახებ დისკუსია წინამდებარე თავში). განმარტეთ, რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ: „ხშირად“ ან „ჩვეულებრივ“ და რითო განსხვავდება ეს ორი სიტყვა ერთმანეთისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი რესპონდენტებიდან ყველა სხვადასხვანაირად გაიგებს ამ სიტყვების მნიშვნელობას.
6. როცა კი შესაძლებელია, გაითვალისწინეთ „სხვა შენიშვნების“ გრაფა. ეს შესაძლებლობას აძლევს რესპონდენტებს, რომ არ იყვნენ შებოჭილი თავიანთ პასუხებში. ასევე ასეთი სახის შენიშვნები შესაძლებლობას მოგცემთ, გქონდეთ განსხვავებული/წინააღმდებორივი მონაცემები („მე არ ველოდი, რომ ვინმე იტყოდა ამას!“) და ასევე გუქნებათ შესაძლებლობა, მონაცემები შეაფასოთ დამატებითი არაფორმალური ინტერვიურებით, რათა მეტი ინფორმაცია მიიღოთ თქვენი რესპონდენტისგან, რასაკვირველია, თქვენი შესაძლებლობის, დროის, ენერგიისა და ცნობისმოყვარეობის გათვალისწინებით. მაგალითად: „თქვენს პასუხში მესამე შეკითხვაზე თქვენ განაცხადეთ, რომ შეგიძლიათ განმარტოთ, რას გულისხმობით?“
7. გსურთ თუ არა, რომ რესპონდენტებმა თავიანთი სახელები მიაწერონ კითხვარს, თუ, უბრალოდ, გსურთ, რომ დანომრონ. თქვენ უნდა დაარწმუნოთ რესპონდენტები (მოსწავლეები, მშობლები, კოლეგები), რომ მათი კონფიდენციალობა დაცული იქნება მთელი პროცესის განმავლობაში. შეგიძლიათ, დაიცვათ თქვენი რესპონდენტების კონფიდენციალობა მაშინაც, როდესაც ამოწმებთ, თუ ვინ გასცა პასუხი შეკითხვებს და როდესაც ამოწმებთ მათ შენიშვნებს, რაც შემდგომ ინტერვიურებას მოითხოვს. მთავარი ამ შემთხვევაში მოსწავლეების, მშობლეებისა და კოლეგების დარწმუნებაა, რომ ინფორმაციის გაზიარებას არ მოჰყება არავითარი უარყოფითი შედეგი. თუ გვინდა, რომ ჩვენი რესპონდენტები გულწრფელები და პირდაპირები იყენენ პასუხის გაცემისას, უნდა დაგარწმუნოთ ისნი, რომ ამისთვის მათ არაფერი დაუშვდებათ. (ეს საკითხი განხილულია ეთიკის შესახებ მე-4 თავში). კითხვარის შედენასთან დაკავშირებული რჩევები მოცემულია სამოქმედო კვლევის 3–1 სიაში.

### **შემოწმება: ჩანაწერების გამოყენება და გაკეთება.**

მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მესამე კატეგორია მრავლისმომცველია, რაც გულისხმობს ყველაფერს, რისი შეგროვებაც მკვლევარ პედაგოგებს შეუძლიათ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მონაცემთა უშეტესობის შეგროვება შესაძლებელია ბუნებრივიად და მხოლოდ პედაგოგის სკოლაში ყოფნას მოითხოვს.

### **საპრესო მასალები**

საკლასო ოთახის მსგავსად, სკოლებშიც ინახება ყველა სახის ჩანაწერი: მოსწავლის დღიურები, შეხვედრების შესახებ ჩანაწერები (ფაკულტეტის, მშობელთა კავშირის, სკოლის საბჭოს), გაზეთები, სადაც გაშუქებულია მნიშვნელოვანი ღონისძიებები და ა.შ. ნებართვის მიღების შემდეგ მკვლევარ პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული მასალა, რათა ჩაწერდეს ისტორიულ არსს, განსაზღვროს სავარაუდო ტენდენციები, და ასენას, რა ედო საფულეოდად კონკრეტულ მოვლენებს. ცხადია, არსებობს მრავალი საარქივო მასალა, რომელსაც მკვლევარი პედაგოგი შეიძლება გაეცნოს.

ხშირად კანცელარიის თანამშრომელი, სკოლის კონსულტანტი და სტუდენტი მას-წავლებელი სიამოვნებით დაგეხმარებათ საარქივო მასალის აღმოჩენაში და მათ დალაგებაში ისე, რომ მათი გამოყენება შესაძლებელი იყოს პედაგოგისთვის, თუ მათ სჯერათ, რომ კონკრეტული მასალა დაეხმარებათ მწვავე საგანმანათლებლო საკითხების არსში ჩაწვდომაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დახმარებისთვის მიმართვის არ მოგერიდოთ.

ქალბოუნი (1994) მიუთითებს რამდენიმე საარქივო მასალის წყაროზე, რაც სკოლებში არსებობს:

- დასწრების მაჩვენებელი
- შენახვის ხანგრძლივობა
- დისკიპლინური ორგანოსთვის საქმის გადაცემა
- სწავლისთვის თავის დანებების მაჩვენებელი
- დროებითი შეწყვეტის დონე
- მშობელთა კრებაზე დასწრების მაჩვენებელი
- კლასების მიხედვით დაყოფილი მონაცემები, შტატის მასშტაბით მათემატიკაში, კითხვასა და წერაში ჩატარებული ტესტირების შედეგების შესახებ.
- სტანდარტიზებული ტესტების ქულები
- მოსწავლეების ჩართულობის დონე სკოლის გარეთ საქმიანობაში

### კვლევა მოქმედებით. 3–1 სია

#### რჩევები კითხვარის შესამუშავებლად

- ყურადღებით წაიკითხეთ და შეასწორეთ კითხვარი
- მოერიდეთ უდიერად გაკეთებულ პრეზენტაციას.
- მოერიდეთ გრძელი კითხვარების შედგენას
- არ დასვათ არასაჭირო შეკითხვები
- გამოიყენეთ სისტემური კითხვარები, სადაც პასუხის სხვადასხვა ვარიანტია მოცემული
- კითხვარში გამოყავით ადგილი „სხვა შენიშვნებისთვის“
- გადაწყვიტეთ, გამოიყენებთ თუ არა რესპონდენტების სახელებს
- მოახდინეთ კითხვარის პილოტური/საცდელი გამოყენება
- გამოიყენეთ შეკითხვების სხვადასხვა ფორმატი

#### დღიურები

დღიურები, რომელთაც მოსწავლეებიც და პედაგოგებიც იყენებენ, არის ასევე მონაცემთა მნიშვნელოვანი წყარო. როგორც ანდერსონი, ჰერი და ნიკლენი (1994) აღნიშნავენ:

დღიური ასრულებს თხრობით ფუნქციას და მასში აღნუსხულია მოვლენები, აზრები, განცდები, რაც მისი მფლობელისთვის მნიშვნელოვანია. მოსწავლეების მიერ დღიურებში შეტანილი ინფორმაცია საინტერესოა მკვლევარი პედაგოგისთვის იმდენად, რამდენადაც მისი დახმარებით იგი იგებს აზრების ცვლილებას, ახალ იდეებსა და სწავლების პროგრესს. (გვ. 153).

მოსწავლეთა დღიურები შესაძლოა დაეხმაროს პედაგოგს, უკეთ გაიგოს მოსწავლეთა სამყარო (იგივენაირად საშნაო დავალებით მშობელმა შესაძლოა შეიტყოს მათი შვილების მიერ დღის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესახებ). პედაგოგთა მიერ წარმოებული დღიურების მეშვეობით შესაძლებელია, გავიგოთ მათი ხედგა კლასში მიმდინარე მოვლენებისა.

ქოქრან-სმიტმა და ლიტლიმ (1993) პედაგოგების დღიურები გამოიყენეს როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მკვლევარ პედაგოგებთან მუშაობისას და შემუშავეს გავრცელობილი აღწერა იმის შესახებ, თუ რას უნდა შეიცავდეს დღიური:

- დღიური გადამგვცემს კლასის ცხოვრებას, სადაც პედაგოგები წერენ თავიანთი დაკვირვების შესახებ, და განიხილავნ სწავლების მეთოდებს დროთა განმავლობაში.
- დღიურში თავმოყრილია აღწერილობები, ანალიზები და განმარტებები.
- დღიურში დაჭირილია არსი იმისა, თუ რა შემთხვევათ მოსწავლეებს საკლასო ოთახში და რა გავლენას მოახდენს იგი მომავალ სწავლებაზე.
- დღიურის მეშვეობით პედაგოგებს შეუძლიათ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გადახედონ, გააანალიზონ და შეაფასონ თავიანთი გამოცდილება.
- დღიური არის საშუალება, პედაგოგის თვალით დავინახოთ სკოლაში მიმდინარე მოვლენები (გვ. 26-27).

ზემოთ აღწერილის მიხედვით, შედგენილი დღიური ჩვეულებრივ მონაცემთა წყაროზე მეტია. ასეთი დღიურით პედაგოგი სისტემატურად აღწერს და იხილავს თავის პრაქტიკულ საქმიანობას. თქვენი პრიორიტეტული სფეროს სპეციფიკის მიუხედავად, დღიურის წარმოება რეკორდნებულია, რათა აღნუსხოთ არა მარტო დანახული, არამედ გრძნობები და შთაბეჭდილებები, რაც სამოქმედო კვლევასთან არის დაკავშირებული.

### რუკების შედგენა, ვიზო- და აუდიოჩანაცერების წარმოება, ფოტოგრაფირება, ფილმისა და არტიზარატების შექმნა.


ასეთი არაწერილობითი სახის მონაცემები ასევე საქმაოდ გამოსადევია მკვლევარი პედაგოგებისთვის, რომლებიც ცდილობენ, დააკვირდნენ კლასში მიმდინარე მოვლენებს. ეს არის მონაცემები, რომელთა თხრობითი ფორმით გაღმოცემა ყოველთვის ადვილი არ არის.

### რუკების შედგენა

საკლასო ან სასკოლო რუკები საქმაოდ გამოსადევი საშუალება არის მკვლევარი პედაგოგებისთვის სხვადასხვა მიზნის მისაღწევად. ამ რუკებს შეუძლიათ, წარმოდგენა შეუქმნან სკოლის შესახებ იმ ხალხს, რომლებსაც არ მოუნახულებიათ იგი. ასევე რუკა ერთგვარი საშუალებაა მკვლევარი პედაგოგისთვის, ხელსხლა გადახედოს და გთაზროს თავის კლასში მიმდინარე მოვლენები. მაგალითად, რატომ არის საკლასო ოთახის კომპიუტერები დახვაცებული ერთი კედლის გასწვრივ და რა გავლენას ახდენს კომპიუტერთან მოსწავლის ინდივიდუალურდ მუშაობა სხვა სახის საკლასო დავალების შესრულებაზე? რუკებს ასევე შეუძლია, გადმოგვცეს საკლასო ოთახში განხორციელებული ნებისმიერი სახის მოძრაობა, გაკვეთილის ჩატარებისას პედაგოგის მსგავსად.

სკოლის რუკა ასევე გამოსადევია იმ პედაგოგებისათვის, რომლებიც შეწუბებული არიან სხვადასხვა დონის კლასის მოსწავლეების მოძრაობითა და ურთიერთობით და ასევე ნებისმიერი გადაადგილებით გამოწვეული პრობლემით. მარტივად რომ ვთქვათ, რუკები საქმაოდ ადგილად გამოსაყენებელია და საშუალებას აძლევს მკვლევარ პედაგოგებს, როდესაც საკუთარ კვლევას აცნობენ ხალხს, რუკაზე მიუთითონ, თუ

სად ხდება/მიმდინარეობს სწავლების კონკრეტული ეპიზოდი. მკვლევრებს, რომლებიც სარისხობრივ მეთოდზე არიან ორიენტირებულნი, რუკის მეშვეობით მაქსიმალური ინფორმაციის მიღება შეუძლიათ. 3–3 გრაფა გვიჩვენებს საკლასო ოთახის რუკას.



3-3 გრაფა. საკლასო ოთახის რუკის ნიმუში

**ვიდეო-** და **აუდიოჩანაწერების**, **ფოტოსურათებისა** და **ფილმის** **გამოყენება** ვიდეო- და **აუდიოჩანაწერები** მონაცემთა განსხვავებული წყაროა, როდესაც პედაგოგი მთლიანად ჩართულია **სწავლების პროცესში**, მაგრამ მაინც აინტერესებს, აღბეჭდოს საკლასო ოთახში მიმდინარე მოვლენები და ურთიერთობები. ბუნებრივია, აღნიშნული ტექნიკური საშუალების გამოყენებისას წარმოიქმნება დაბრკოლებებიც. მაგალითად, ასეთი ტექნიკური საშუალებების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს გაღიმებული სახეები და არაბუნებრივი შენიშვნები მოსწავლეთა მხრიდან, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც საკლასო ოთახში მსგავსი ტექნიკური საშუალების პირველად გამოყენება ხდება. ერთ-ერთი საშუალება აღნიშნულს თავიდან ასაცილებლად არის ის, რომ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეებს უნდა მიაწოდოთ სამოქმედო კვლევის პროექტის აღრეულ ეტაზევე, რათა წარმოიდგინონ, რომ კამერა მუშაობს, თუმცა მასში არ არის ჩადებული კინოფირი. ამის საწინააღმდეგოდ, მზად იყავით ბევრი ვიდეო- და **აუდიოჩანაწერის** გასაკეთებლად და ასევე აუდიო- თუ კინოფირებზე ინფორმაციის გადასაწერად. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ შედეგზე ორიენტირებული სწავლის შეფასებებსა და „ქაფსთოუნის“ გამოცდილებას, ბავშვებს ხშირად სთხოვენ, თავიათი ცოდნისა და უნარების დე-

მონსტრირება მოახდინონ პრეზენტაციის გზით თანატოლების, მშობლებისა და პედ-აგოგთა კომისიის წინაშე. ვიდეოჩანაწერები საუკეთესო საშუალებაა ასეთი ღონისძიებების აღსაბეჭდავად და ასევე პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის არის საშუალება, გამოხატონ თავიანთი აზრი საკითხზე. უნარებზე, მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე. მე მინახავს მკაფიოვარი პედაგოგები, რომლებიც იმავე წარმატებით იყენებენ ფოტოსურათებს (35- მილიმეტრიან ციფრულ ფოტოებს), რათა მათ კლასში მიმდინარე მოვლენები აღმოჩნდონ, რაც მათი პრიორიტეტული სფეროსთვის მნიშვნელოვანია. მაგალითად, ჯეომს როქფორდს შეეძლო ეფიქრა ფოტოგადაღების მეშვეობით მოსწავლეების მიერ Word-ში მუშაობის სწავლის პროცესის აღმოჩნდაზე.

ჩავთვალოთ, რომ არ არსებობს ტექნიკური პრობლემები (რასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს!), აუდიო- და ვიდეოჩანაწერების წარმოება ასევე დაკავშირებულია საკმაოდ დიდ დროსთან. მაგალითად დრო მიაქვს მის ყურებას, მოსმენასა და დაკვირვებას. აღნიშნულის გასაკეთებლად დროის გამოძრნა საკმაოდ დიდი გამოწვევაა მკვლევარი პედაგოგებისთვის, აუცილებელია ავწონ- დავწონთა ამ მონაცემთა წყაროდან მოსალოდნები სარგებელი და დაბრკოლებებიც. ტექნიკური საშუალებები უფრო მეტ დროს მოითხოვს და გარკვეულწილად სამოქმედო კვლევის განხორციელებას საფრთხეს უქმინის. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ბევრი პედაგოგი იყენებს ასეთ ტექნიკურ საშუალებებს დიდი წარმატებით, რაც მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მონაცემთა შეგროვება საკმაოდ უნიკალური პროცესია და არასდროს არ მიმდინარეობს ერთგვაროვნად!

### არტიფიაქტები


საკლასო ოთახებში დიდი რაოდენობით მოიპოვება არტიფიაქტები, ანუ წერილობითი ან ვიზუალური მასალა, რაც გვეხმარება კლასსა თუ სკოლაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ნათელი სურათის მიღებაში. არტიფიაქტების კატეგორიაში მოიაზრება კველაფერი ის, რაც ჯერ არ განგვიხილავს. მაგალითად, სკოლებში იყო „ავთენტიკური შეფასების“ მეთოდის გამოყენების ტენდენცია, მოსწავლეების პორტფოლიოების გამოყენების ჩათვლით – მოსწავლის ნამუშევრის პრეზენტაცია, სადაც ჩანს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოსწავლის მიერ ინდიკირულური დაგალების შესრულება და პროგრესი. თუმცა პორტფოლიოს რაოდენობრივად გაზიარება შეუძლებელია, იგი პედაგოგს სთავაზობს მონაცემებს მნიშვნელოვან შედეგებზე, რაც ხარისხობრივად განსხვავებული სამუშაოს ნიმუშების საფუძველია. ასეთი არტიფიაქტები მონაცემთა მნიშვნელოვანი წყაროა, რაც პედაგოგებმა შეიძლება გამოიყენონ მოსწავლეებთან საუბრის დასაწყისად. მაგალითად, პედაგოგს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, ახსნან, რა სხვაობა არსებობს პორტფოლიოში მათ მიერ შეტანილ სასწავლო წლის დასწყისსა და ბოლოში განხორციელებულ სამუშაოებს შორის. საკვანძო კონცეფციების 3-3 გრაფა გვიჩვენებს ჩანაწერების გაკეთებისა და გამოყენების კომპონენტებს.

ჩვენ მიმოვიხილეთ სრული ციკლი იმისა, თუ როგორ შეიძლება, პედაგოგმა გამოიყენოს მოსწავლის პორტფოლიო, როგორც მოსწავლეებთან არაფორმალური ინტერვიუს საფუძველი, თუ სურს, გაიგოს მათი სწავლის შედეგები. მაგალითად, პედაგოგმა შეიძლება ჰყითხოს მოსწავლეს, იმსჯელოს რაიმე ლიტერატურულ ნაშრომზე, ხელოვნების ნიმუშზე, ანდა ახსნას მათებატიკაში ღია დაბოლოების ამოცანის გადაჭრის საკითხი. მოსწავლეთა სამუშაოს შესახებ არაფორმალურ საუბარში ჩასართავად აგარის შეკითხვებს (ვინ, რა, სად, როდის, რატომ და როგორ?) თუ გამოიყენებთ, კმაყოფილი დარჩებით შედეგებით და მიხვდებით, რომ დრო ტყუილად არ დაგიხსარჯავთ. საკვანძო კონცეფციების 3-4 გრაფა გვიჩვენებს სამოქმედო კვლევის ხარისხობრივ მონაცემთა შეგროვების მეთოდის სისტემას.

## საკვანძო კონცეფციები. 3–3 გრაფა

ჩანაწერების შექმნისა და გამოყენების კომპონენტები	
საარქივო წყაროები	შეზღუდრების ჩანაწერები დასწრების მაჩვენებელი, შენახვის ხანგრძლივობა, სწავლისთვის თავის დანებების მაჩვენებელი, დროებითი შეწყვეტის დონე. დისკიპლინური ორგანისათვის საქმის გადაცემა შტატის მასშტაბით შეფასების ქულები გაზეთებიდან ამოჭრილი სტატიები
ჟურნალები	ყოველდღიური მიმოხილვა და ანალიზი განხსილვა ჩანაწერების წარმოება
არტიფაქტები	რუკები და ადგილების განლაგების მაჩვენებელი გრაფები

## საკვანძო კონცეფციები. 3–4 გრაფა.



## მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი მეთოდი

სამოქმედო კვლევის დროს შეიძლება გამოვიყენოთ მონაცემთა შეგროვების მრავალნაირი მეთოდი, რაც სკოლებში შეფასების მიღებული პრაქტიკაა. იგი პედაგოგებს აწვდის მონაცემებს, რაც შესაძლოა, გამოიხატოს ციფრებით. სამოქმედო კვლევის გან-

მახორციელებელმა პირებმა არ უნდა აურიონ მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი მეთოდი ხარისხობრივი მეთოდის გამოყენებაში. რაოდენობრივი მეთოდის პრინციპები განსხვავდება იმ პრინციპებისგან, რომლებიც საფუძვლად უდევს ხარისხობრივი კვლევის მოდელს. წინამდებარე თავში ყურადღებას გადამახვილებ მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ მეთოდზე, რაც ფართოდ გამოიყენება სამოქმედო კვლევის დროს. იგი გვაწვდის ისეთ მონაცემებს, რომლებიც შეიძლება გავაანალიზოთ და განვმარტოთ „ა“ დანართში დახასიათებული აღწერილობითი სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით.

## პედაგოგის მიერ შედგენილი ტესტები

შესაძლოა, ყველაზე ფართოდ გავრცელებული მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი მეთოდი, რომელსაც პედაგოგები იყენებენ, რათა შეძლონ სწავლის მეთოდის შემოწმება და კორექტორება, არის პედაგოგის მიერ შემუშავებული ტესტები; ანუ ასეთ შემთხვევაში პედაგოგი არ ენდობა მხოლოდ სახელმძღვანელო წიგნში მოცემულ ტესტებს იმისთვის, რომ დაადგინოს, მიაღწიეს თუ არა მისმა მოსწავლეებმა განსაზღვრულ მიზნებს. ხშირად პედაგოგები ცდილობენ ადაპტირებას და ბრძანდ არ გადმოიკვეთ სასწავლო პროგრამის ფართოდ გამოცემული მასალები; მოსწავლეთა მოსწრების შესამოწმებლად ვერ ეყრდნობიან ტესტებს, რომლებიც ახლაցს სასწავლო პროგრამას. ასევე, პედაგოგები არიან ექსპერტები ინოვაციური სასწავლო პროგრამის შემუშავებისას, საღაც გათვალისწინებული იქნება კონკრეტული პრიორიტეტული სფერო და საკუთარი გამოცდილების მიხედვით თვითონ შექმნიან ტესტებს.

## სტანდარტიზებული ტესტები

ყველა პედაგოგი ძალიან კარგად იცნობს სტანდარტიზებულ ტესტებს, რომლებმაც მოიცვეს მთელი ერი კანონმდებლობის – სასერიდოდებით „არც ერთი ბავშვი არ უნდა ჩამორჩეს“ – წყალობით. ამ სტანდარტიზებული ტესტების მიზანია, პედაგოგებს, დირექტორებს, მშობლებს და შტატისა და ფედერალური საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლებს მიაწოდოს კონკრეტული მოსწავლეების მიღწევათა შესახებ მონაცემები. ასეთი მონაცემები ხშირად წარმოდგენილია პროცენტილების ან 9-ქულიანი შეფასების სკალის სახით (იხილეთ დანართი „ბ“) და პედაგოგებს აწედის ინფორმაციას მათი მოსწავლეების შედარებითი მოსწრების შესახებ; ანუ ამ მონაცემებზე დაყრდნობით პედაგოგები ფლობენ მოკლე ინფორმაციას, სხვა მოსწავლებთან შედარებით როგორია მათი მოსწავლეების მოსწრება კონკრეტულ საგანმი. ეს მონაცემები ასევე შეიცავს ინფორმაციას პოლიტიკის განსაზღვრული პირებისთვის (მაგალითად, დირექტორებისა და ადმინისტრატორებისთვის) იმის შესახებ, რამდენად აღწევენ მოსწავლეთა ჯგუფები და სკოლები ყოველწლიურად შესაბამის პროგრესს. ამერიკის შეერთებულ შტატებში შესაბამისი წლიური პროგრესი არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი კანონმდებლობისა – „არც ერთი ბავშვი არ უნდა ჩამორჩეს“. აღნიშნული კანონმდებლობის თანახმად, ყველა შტატმა უნდა განსაზღვროს მოსწავლეებისთვის მიზნები, რაც ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს ისე, რომ 2013-2014 სასწავლო წლებისთვის შეფასების შედეგად შტატის ყველა მოსწავლე უნდა ფლობდეს სათანადო უნარ-ჩვევებს. სკოლებს, რომლებიც ვერ მიაღწევენ სათანადო წლიურ პროგრესს მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში, დაეკისრებათ შტატისა და ფედერალური სანქციები (როგორც წესი, დაეზიანებასთან დაკავშირებული). ზედმეტიც არის იმის აღნიშვნა, რომ პედაგოგებს რაოდენობრივი მეთოდები

მიაჩნიათ ნებისმიერი სახის სამოქმედო კვლევისას მონაცემთა შეგროვების გეგმის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტად.

## სკოლის მიერ შემუშავებული მოსწრების პარალი

როგორც საშუალო სკოლის მოწაფის მშობელი, ჩემთვის კარგად არის ცნობილი მოსწრების ბარათის შესახებ, რომელსაც ურიგებენ ბავშვებს და მშობლებს, რათა განსაზღვრონ მოსწავლის პროგრესს. ჩემი შეიღი, ჯონათანი, ამაყია, როდესაც ოჯახის სხვა საამაყო ნივთებთან ერთად (მაგალითად: ოჯახური სურათები, მეგობრების სურათები, მოგზაურობიდან ჩამოტანილი მაგნიტები და, რა თქმა უნდა, ოჯახის ძალის, ჯესის, სურათი) მოსწრების ბარათს მაცივრის კარს აკრაგს. პედაგოგის შენიშვნებთან ერთად (მაგალითად, ჯონათანი ბრწყინვალედ წერს. მე ვიტყოდი, სულ მამას დაემსგავსა!) მასში მითითებულია ყველა კრედიტი, რაც ჯონათანმა მიიღო და, რაც მთავარია, ნიშნები! ჯონათანის სკოლაში ნიშნები გამოხატულია ასოების (ა-ფ) სახით, რაც შემდგომ გადატანილია რიცხვებში (0-4), რათა გამოიყვანონ საშუალო ნიშანი. მოსწავლები, რომელიც მიიღებენ 3.5 საშუალო ნიშანს ან მეტს, მნიშვნელოვანი როგორიცაც, საპატიო დაფაზე ხვდებიან და მათი სახელები ადგილობრივ გაზითში მოიხსენიება. ასე რომ, სკოლის მიერ შემუშავებული მოსწრების ბარათები პედაგოგებისთვის მონაცემთა მნიშვნელოვანი წყაროა (რომელსაც შეუძლია რაოდენობრივად შეაფასოს მოსწავლის მიღწევები) და მნიშვნელოვანია ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის (რომელთაც შეუძლიათ მონაცემების გაგება და, შესაბამისად, შემდგომი მიზნების დასახვა).

## დამოკიდებულების სკალა

ბევრ შკვლევარ პედაგოგს აინტერესებს, რა გავლენა აქვს მათ მუშაობას მოსწავლეების დამოკიდებულებაზე. სკალა, რომელიც ხშირად მოსწავლეების დამოკიდებულების საზომად გამოიყენება, როგორიცაა, მაგალითად, ლიკერტის სკალა და სემანტიკური სხვაობები, არის სასარგებლო საშუალება სამოქმედო კვლევის ჩატარების დროს. დამოკიდებულების სკალის გამოყენება მკვლევარ პედაგოგებს საშუალებას აძლევს, განსაზღვრონ, „რისი სწავს კონკრეტულ პირს, როგორია მისი წარმოდგენა, ან გრძნობა“ (გეი, მილსი და აირასიანი, 2006, გვ.130-131). თითქმის ყველა მოკლე ისტორია სამოქმედო კვლევის შესახებ, რომელიც მოცემულია წინამდებარე წიგნში, შეიცავს მაგალითს, თუ როგორ უნდოდათ მკვლევარ პედაგოგებს, გაეგოთ, რას ფიქრობდა ბავშვი კონკრეტული საკითხის შესახებ (კლავიატურაზე მუშაობის კომპიუტერული პროგრამა, მოზარდთა თეატრის დასის მიერ წარმოდგენილი ძალადობის სცენა, სკოლის გაცდენასთან დაკავშირებული პოლიტიკა და შეფასების ქულების კორექტირება). ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი ნაწილი მკვლევარი პედაგოგებისა იყენებდა დამოკიდებულების სკალას, მაშინ, როდესაც დანარჩენები იყენებდნენ ღია დაბოლოებიან კითხვარებს, როგორიც არის: „რას ფიქრობთ გაკვეთილების გაცდენასთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე?“

## ლიკერტის სკალა

ლიკერტის სკალის თანახმად, მოსწავლეებმა თითოეულ განცხადებას შემდეგი ფორმით უნდა გასცენ პასუხი: სრულებით ვეთანხმები, ვეთანხმები, არ ვადამიწყვეტია, არ ვეთანხმები ან ვატევორიულად არ ვეთანხმები. თითოეული პასუხი ფსლდება გარკვეული ქულით და საბოლოო შეფასება ხდება ქულების შეჯამებით. მაგალითად, შემდეგი ქულებით

შეიძლება შეფასდეს დადებითი პასუხები: სრულებით ვეთანხმები =5, ვეთანხმები = 4, არ გადამიწყვეტია=3, არ ვეთანხმები=2, კატეგორიულად არ ვეთანხმები=1. როგორც გერმ და მისმა კოლეგებმა (2006) აღნიშნეს, „მაღალი ქულა პოზიტიურ განცხადებაზე მიუთითებს დადებით დამოკიდებულებას და ტესტის ბოლოს ქულების დაჯამებისას მიღებული მდლალი ქულა მიუთითებს ასევე დადებით დამოკიდებულებას“ (გვ.130).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეთოდი მკვლევარ პედაგოგებს აწვდის რაოდენობრივ მონაცემებს, იგი, ასევე, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აღწერილობითი მეთოდი. ასეთი კვლევის შედეგად მიღებული პასუხები შეიძლება გადავიყვანოთ რიცხვებში (მაგალითად, საშუალო პასუხი იყო 4.2), თუმცა მონაცემები მაინც აღწერილობითად რჩება და ანალიზება აღწერილობითი სტატისტიკის გამოყენებით, როგორიც არის საშუალო და სტანდარტული გადახრა (იხილეთ დანართი „ბ“) და რომელსაც მოჰყვება განმარტება (მაგალითად, „საშუალოდ პასუხი იყო 4.2 და თან ერთვოდა შემდეგი განმარტებები.....“).

რათა დავინახოთ, თუ როგორია მოსწავლეების მიერ მათემატიკის ახალი სასწავლო პროგრამის აღქმა, რომელიც ამოცანის ამოხსნის მეთოდებს ეხება, საჭირო იქნება შემდეგი კითხვარის შევსება:

გთხოვთ შემოხაზოთ შეკითხვის პასუხი, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს ოქვენს აზრს: სრულებით ვეთანხმები (სვ), ვეთანხმები (ვ), არ გადამიწყვეტია (აგ), არ ვეთანხმები (ავ) ან კატეგორიულად არ ვეთანხმები (კავ).

1. მჯერა, რომ კლასში ნასწავლი ამოცანის ამოხსნის უნარები დამტკმარება სკოლის გარეთ პრობლემის სწორად მოგვარებაში.

სვ	ვ	აგ	ავ	კავ
----	---	----	----	-----

პასუხების ქულებით შეფასებით, სვ=5, ვ=4, აგ=3, ავ=2, კავ=1, მკვლევარი პედაგოგი შეძლებს განსაზღვროს, რამდენად პოზიტიურად ან ნეგატიურად არის განწყობილი მოსწავლე, მათემატიკაში ამოცანის ამოხსნის უნარების კლასის გარეთ ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით.

### სემანტიკური სხვაობა

სემანტიკური სხვაობა მოითხოვს მოსწავლისგან (ან მშობლისგან), რაოდენობრივად შეაფასოს საკითხი რო ურთიერთსაწინააღმდეგო ზედსართავ სახელს შორის მოთავსებული შეფასების რიცხვებზე არჩევანის გაკეთებით. მაგალითად, მათემატიკაში ახალი სასწავლო პროგრამის განხორციელებისას მოსწავლეებს შეიძლება სთხოვოთ, შეაფასონ, რამდენად საინტერესო ან მოსწყენია სასწავლო პროგრამა, შესაბამისი ან შეუსაბამოა, სასიამოვნო ან უსიამოვნოა.

თითოეულ პუნქტში ორპოლუსიან (ურთიერთსაწინააღმდეგო) სიტყვებს შორის განლაგებულია ქულები, რომლებიც ყველაზე მეტად პასუხობს რესპონდენტის დამოკიდებულებას:

მოსაწყენი	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	საინტერესო
-----------	---	---	---	---	---	---	---	------------

შეუსაბამო	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	შესაბამისი
-----------	---	---	---	---	---	---	---	------------

უსიამოვნო	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	<hr style="width: 10px; border: none; border-top: 1px solid black; margin-right: 10px;"/>	სასიამოვნო
-----------	---	---	---	---	---	---	---	------------

სემანტიკური სხვაობის ქულების შეჯამებით, მკვლევარმა პედაგოგმა შეიძლება განსაზღვროს, რამდენად არის ბავშვის დამოკიდებულება დადებითი ან უარყოფითი. სემანტიკური სხვაობის სკალას, როგორც წესი, აქვს სუთი ან შვილი ინტერვალი, სადაც განსაზღვრულია ნეიტრალური დამოკიდებულებაც, რომელიც ნული ქულით არის შეფასებული.

ბავშვი, რომელმაც მოხაზა თითოეული შეკითხვის პირველი ინტერვალი, გამოხატავს დადებით დამოკიდებულებას მათემატიკის მიმართ (სემანტიკური სხვაობების შესახებ განხილვა იხილეთ: გეი, მილერი და აირასიანი, 2006; პელტო და პელტო, 1978).

საკვანძო კონცეფციების 3–5 გრაფა გვიჩვენებს მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ მეთოდს.

### საკვანძო კონცეფციების 3–5 გრაფა

#### მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი მეთოდი

- პედაგოგის მიერ შედგენილი ტესტი
- სტანდარტიზებული ტესტი
- სკოლის მიერ შემუშავებული მოსწრების ბარათები
- დამოკიდებულების სკალა
- ლიკერტის სკალა
- სემანტიკური სხვაობები

#### შეცასეპის სხვა მეთოდები

მკვლევარ პედაგოგებს ხშირად სთხოვენ სტანდარტიზებული ტესტების გამოყენებას. შეუძლებელია ყველა სტანდარტიზებული ტესტის ჩამოთვლა. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ სტანდარტიზებული ტესტების ქულები არის სხვა სახის მონაცემთა წყარო, რომელიც გვეხმარება, გავიგოთ, რა გავლენა აქვს სწავლების პრაქტიკას ჩვენს მოსწავლეებზე. პედაგოგებს, რომლებიც იყვლევენ სტანდარტიზებულ ტესტებს, გამოადგებათ ყოველწლიური გამოცემა – ფსიქიური მაჩვენებელი (ental Measurements Yearbook (MMY)). ფსიქიურ მაჩვენებელს გამოსცემს ფსიქოლოგიური მაჩვენებლის ბუნოს ინსტიტუტი (Buros Institute of Mental Measurements) და განათლების სფეროში მომუშავე მკვლევრებისთვის ტესტის შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროა. წლიური გამოცემები, რომელთა ნახვაც შეგიძლიათ თითქმის ყველა დიდ ბიბლიოთეკაში, გვაწვდის ინფორმაციასა და მომთხოვნელის სხვადასხვა სასკოლო საგანში გამოცემული ტესტების (მაგალითად: ინგლისურში, მათემატიკასა და კითხვაში), ასევე პიროვნების, განათლების, მოხერხებულობის, მეტყველების, სმენის შესახებ, და პროფესიულ ტესტებს. ბუნოს ინსტიტუტის ინტერნეტმისამართს და მის კატალოგებს ნახავთ <http://www.unl.edu/buros/> და <http://www.unl.edu/buros/bimm/html/catalog.html>.

#### პრიორიტეტული სფეროსა და სამოქმედო კვლევის გეგმის საჭიროებისამებრ კორექტირება

სამოქმედო კვლევის მოცემულ ეტაპზე მკვლევარმა პედაგოგებმა უკვე განსაზღვრუს მათვების პრიორიტეტული სფერო, განაცხადეს პრობლემის შესახებ და, შესაბამისად, მიმოიხილეს ლიტერატურა. თუმცა, როდესაც მონაცემთა შეგროვებას დაიწყებენ,

ბევრი მკვლევარი პედაგოგი შეიძლება სხვა მიმართულებით წავიდეს, რადგან იგი შესაძლოა, უფრო საინტერესოდ ან უფრო პრობლემატურად მოჩევენოთ. ასეთი რამ დამახასიათებელია სამოქმედო კვლევისთვის; ეს პროცესი ძალიან ღრმაა, პასუხის რამდენიმე ვარიანტი შეიცავს და ასევე დამოკიდებულია გამართლებაზე. კარგად ჩამოყალიბებულ პრობლემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დასაწყისისთვის, თუმცა, როგორც კი მკვლევარი პედაგოგი დაიწყებს მონაცემთა სისტემატურ შეგროვებას, პრიორიტეტული სფერო უფრო ნათელი და ცხადი გახდება მისთვის.

შზად იყავთ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირება შეტანოთ ან შესაბამისობაში მოიყვანოთ სამოქმედო კვლევის პროექტი. მაგალითად, პედაგოგთა ჯგუფმა დაიწყო სამოქმედო კვლევის პროექტი, სადაც პრიორიტეტული სფერო ქება ადრეული წიგნიერების განვითარების გაულენას მათემატიკური ამოცანის ამოხსნის უნარებზე. კვლევის წარმოებისას მონაწილეებისთვის ნათელი გახდა, რომ მათი პრიორიტეტული სფერო ქხებოდა არა წიგნიერების გამოყენებას ამოცანის ამოხსნის დროს, არამედ ფონეტიკური უნარების შესახებ სასწავლო პროგრამის გავლენას ადრეული წიგნიერების განვითარებაზე. როდესაც თავდაპირველად შეგროვებული მასალების შედეგ ეს სფერო გამოიკვეთა, ჯგუფმა გადაწყვეტილა, შეეცვალა კვლევის შეკითხვა და დაეზუსტებინა იგი ისე, რომ ნათლად წარმოჩენილიყო კვლევის საგანი.

არაფერია ცუდი იმაში, რომ თქვენი კვლევის საგნის კორექტირება მოახდინოთ მუშაობის შუა ეტაპზე და გახსოვდეთ, რომ სამოქმედო კვლევა ტარდება იმისათვის, რათა მისი შედეგებით ისარგებლოთ თქვენ, თქვენი კლასის მოსწავლეებთან ერთად. ეს პროცესი სპირალისტურია. თუ თქვენ მიაგნებთ შეკითხვას ან მეთოდს, რომლის გამოყენებაც უფრო ნაყოფიერად გერჩენებათ, ვიდრე ის, რომელსაც მოცემულ მომენტში იყენებთ, უბრალოდ, შეუსაბამეთ, თქვენი სამოქმედო კვლევის გეგმის კორექტირება მოახდინეთ და გააგრძელეთ მუშაობა!

## დასკვნა

წინამდებარე თავში განვიხილეთ მონაცემთა შეგროვების მეთოდების იდენტიფიცირებისა და შემოუშავების საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად შესაბამება სამოქმედო კვლევის პროექტს. ტრიანგულაციის კონცეფცია, ან მიზანი, რომ მკვლევარი პედაგოგი არ დაეყრდნოს მონაცემთა მხოლოდ ერთ წყაროს, წარმოდგენილი იყო როგორც სახელმძღვანელო პრინციპი სისტემატური სამოქმედო კვლევის დროს მრავალი მეთოდის გამოყენებისას.

მკვლევარი პედაგოგები, კლასში ჩართულობის სხვადასხვა დონის გათვალისწინებით, შეიძლება გახდენ მონაწილე დამკვირვებლები და შეაგროვონ საველენიანერები. მათ შეიძლება გამოიყენონ მრავალი საშუალება გამოკვლევისთვის, მაგალითად, ინტერვიუები, კითხვარები, დამოკიდებულების სკალა, რათა შეაგროვონ ინფორმაცია. მკვლევარმა პედაგოგებმა ასევე შეიძლება ისარგებლონ ახალი ან არსებული სასკოლო არქივებით და მოსწავლეების არტიფიციელებით. ყველაზე ხშირად მკვლევარი პედაგოგები მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ მეთოდს მიიჩნევს მონაცემთა მნიშვნელოვან წყაროდ, რითაც მათი კვლევა დაკავშირებული ხდება შტატისა და ფედერალურ მოთხოვნებთან, რაც შესაბამის წლიურ პროგრესში გამოიხატება.

მონაცემთა შეგროვების დროს თქვენ შეიძლება აღმოაჩინოთ გამოკვლევის უფრო საინტერესო და სასარგებლო მიმართულება. არ შეეშინდეთ, გადახედოთ თქვენი სამოქმედო კვლევის გეგმას შუა პროცესში, რათა მოიყვანოთ იგი შესაბამისობაში.

## საკითხები სამომავლო მსჯელობისთვის

1. მონაცემთა შეგროვების რომელ მეთოდებს გამოიყენებთ კვლევის თითოეულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად?
2. მონაცემთა შეგროვების რომელი საშუალებები გჭირდებათ, რათა გამოიყენოთ ან შეიმუშაოთ?
3. შეავსეთ ტრიანგულაციის მატრიცა (3-4 გრაფა) თქვენი სავარაუდო კვლევისთვის. (შეგახსენებთ: თქვენ არ ხართ ვალდებული, გამოიყენოთ მონაცემთა სამი წყარო თითოეული შეკითხვისთვის. ზოგ შემთხვევაში, თქვენი სურვილისამებრ, სამზე მეტი მონაცემთა წყარო შეიძლება გქონდეთ, ზოგიერთ შემთხვევაში კი ერთ წყაროზე მეტი შეიძლება ვერც გამოიყენოთ. მაგალითად, სტანდარტიზებული ტესტის ქულები).

კვლევის შეკითხვები	მონაცემთა წყაროები		
	1	2	3
1			
2			
3			
4			
5			

3-4 გრაფა. ტრიანგულაციის მატრიცის სავარაუდოშო



თავი

4

# მონაცემთა შეგროვების საკითხები: სისწორე, სანდოობა და განზოგადება

წინამდებარე თავი წარმოგიდგენთ მონაცემთა შეგროვების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მე-  
თოლებს, რაც შეგიძლიათ გამოიყენოთ პრიორიტეტული სფეროს სისტემატური გამოკვლევისთვის.  
ეს მეთოლები გულისხმობს პირდაპირ დაკვირვებას, ინტერვიუს ჩატარებას, კითხვარებს, დამოკ-  
იდებულების სკალას, ახალ და არსებულ ანგარიშებს, არტიფაქტებს, პედაგოგის მიერ შედგენილ  
ტესტებს, სტანდარტიზებულ ტესტებსა და სკოლის მიერ შემუშავებულ მოსწრების ბარათს.

წინამდებარე თავის წაკითხვის შემდეგ უნდა შეგეძლოთ:

1. მონაცემთა შეგროვების განსხვავებული მეთოლების ერთმანეთისგან გარჩევა, რასაც კვლევის  
თითოეული შეკითხვისთვის გამოიყენებთ;
2. შემუშავება კვლევის საშუალებებისა, რაც კვლევის დასაწყებად დაგჭირდებათ.

# გამრავლების საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეებში ცოდნისა და მოტივაციის ამაღლება

## ელისონ მარლანდი

ელისონ მარლანდმა, რომელიც მეოთხეკლასელებთან მუშაობდა სტუდენტ პედაგოგად, მონაწილეობა მიიღო სწავლებისას კვლევაში. როგორც დაწყებითი სკოლის პედაგოგისთვის, ელისონისთვისაც როგორც იყო ბაზებებისათვის ძირითადი არითმეტიკული მოქმედებების კარგად სწავლება, თან ისე, რომ მოსწავლეები მოტივირებული ყოფილობების ამბავი ადასტურებს მონაცემთა მრავალი წყაროს გამოყენების აუცილებლობას (ხარისხობრივი და რაოდენობრივი) და იხილავს სისწორისა და სანდოობის საკითხებს, რამაც საშუალება მისცა მას, ჩაეტარებინა ხარისხიანი და დასაბუთებული კვლევა.

კვლევის პროექტი ეხება გამრავლების უკეთ შესასწავლად წახალისებას და მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას (0-9). გამოკვლეულ იქნა მექანიკური დამახსოვრების მეთოდით სწავლების ეფექტურობა, რაც შემდგომ შეუძლარს ამოცანის ამოსსნის სხვა მეთოდებს. ძირითადი მოქმედებების სწავლების დროს კვლევამ აჩვენა ამოცანის ამოსსნის მეთოდის უპირატესობა, ხოლო პრაქტიკული სავარჯიშოების გამოყენება მზანერებრივი და მიზანშეწონილად ჩათვალა მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაეუფლებიან პრობლემის გადაჭრის უნარებს. კვლევაში მონაწილეობდა 25 მეოთხეკლასელი მოსწავლე. ისინი მონაწილეობდნენ გამრავლების თამაშებში, სადაც განიხილა გამოთვლის ეფექტური და არაეფექტური მეთოდები. შეგროვებულ მასალას შორის იყო მოსწავლეთა ძველი ტესტები, მათემატიკის ნიშნები, ინტერვიუები და სავარჯიშო რევიუები. კვლევის შედეგების მიხედვით, სწავლებას დადებითი შედეგი ექნებოდა, თუ დაგაბალანსებდით კონცეპტუალურ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და მოსწავლეთა მიერ ძირითადი მოქმედებების წარმატებით სწავლას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, აგრეთვე, ძირითადი მოქმედებების შესწავლისას მოსწავლეთა სწავლის მოტივაციაზე თამაშების დადებითი გავლენა.

### შესავალი

კვლევის თანახმად, როგორც რაიმეს ვაკეთებთ, ერთი და იგივე საქმე, მინმუშ, 17-ჯერ მაინც უნდა გავაკეთოთ, რომ შევეჩვიოთ კონკრეტული საქმის სწორად

კეთებას. ამაში დაგარწმუნებთ იმ საგარეჯიშოების სიმრავლე, რომლებსაც იყენებენ მოსწავლეებისთვის ძირითადი მათემატიკური მოქმედებების სწავლებისას. ჩემი სამოქმედო კვლევის უპირველესი მიზანი იყო, შემძლებელინა ძირითადი მოქმედებების სწავლების მეთოდების ეფექტურობა და მიზანშეწონილობა, მეორე მიზანდ კი გამრავლების შესასწავლად ეფექტური მეთოდების შემუშავება დაგისახე, რაც მოსწავლეებში სწავლის მოტივაციას გაზრდიდა. როდესაც არ ესმით, რას სწავლობენ, ან სწავლის მოსწავლენ მეთოდებს იყენებენ, ეს მოსწავლეებში ხშირად იმედგაცრუებასა და მობეზრების გრძნობას იწვევს.

### პრეისტორია

ორეგონის შტატის 2004-2005 სასწავლო წლის სტანდარტების მიხედვით, მეოთხე კლასის დასრულებისთვის მოსწავლეებს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეთ გამრავლების ეფექტური მეთოდები. ისინი კარგად უნდა ერკვეოდნენ ამ მეთოდებში, რათა შეეძლოთ სამი წამის განმავლობაში ყველა სახის ძირითადი ამოცანის ზეპირად ამოსსნა. სამწუხაროდ, მკვლევრებმა შემაშფოთებელი რამ აღმოაჩინეს, კერძოდ: მერვეკლასელი ბავშვები კვლავ იყენებდნენ თითებს რიცხვების მისამატებლად ან გამოსაკლებად, ან სხვა სახის არაეფექტურ მეთოდებს მიმართავდნენ, როგორც სჭირდებოდათ მარტივი ამოცანის ამოსსნა (ისააქსი, ქაროლი და ბელი, 2001). ეს მეთოდები საოცრად არაეფექტურია, რადგან აზროვნებისათვის დიდ დროს მოითხოვს.

დადებითი ფაქტორია პრაქტიკული სა-  
ვარჯიშოების გამოყენების შემცირება (ჯონსი,  
1995). აღნიშნული მეთოდები მოიცავს ტესტებს  
სისწრაფის შესამოწმებლად, ნახატიან და ტექს-  
ტიან ბრაზებს და საგარჯიშო ფურცლებს, სადაც  
სკეტში ჩასმულია ძირითადი მონაცემები. ერთ-  
ერთი მიზეზი, რის გამოც ურჩევენ მკვლევრები  
პედაგოგებს პრაქტიკული სავარჯიშოების გამოყენ-  
ებისაგან თავის შეკავებას, ის არის, რომ ამგარი  
ვარჯიში არ ეხმარება მოსწავლეებს გამრავლებ-  
ის არსის გაგებაში, რადგან აღნიშნული მეთოდი  
პროცედურული უნარების, უბრალოდ, გამეორებას  
ასწავლის. ამ მეთოდით სწავლისას მოსწავლეებს  
უძნელდებათ გამრავლების ტაბულის რეალურ ცხ-  
ოვრებაში გამოყენება. ძირითადი მოქმედებების  
სწავლების ეფექტური მეთოდები მოიცავს პრო-  
ცედურული უნარებისა და არსობრივი/კონცეპტუ-  
ალური ცოდნის ბალანსს. დაბალანსურული სწავ-  
ლება გულისხმობს ეკვივალენტურობის პრობლემის,  
დიაგრამებისა და მრავალვარიიანტიანი ამოცანის  
ამოქსნის დავალების გამოყენებას. ისააქსი და სხ-  
ვები (2001) გვირჩევენ გამრავლებაში ვარჯიშს სხ-  
ვადასხვა კონტექსტსა და სიტუაციაში, რაც მო-  
სწავლეებს უნარების/კონცეფციების გამოყენების  
შესაძლებლობას უდივივებს.

ერთი საინტერესო მეთოდის თანახმად, ძირი-  
თადი მონაცემების სწავლების დროს უნდა გამ-  
ოიყენოთ სამი კომპონენტი: პირველი კომპონენტი  
ეხება ცოდნის გაღრმავებას რიცხვების ურთიერთქ-  
მედების შესახებ; მეორე კომპონენტი, არაეფექ-  
ტური მეთოდის ეფექტურ მეთოდად გადაქცევას  
გულისხმობს; მესამე კი მოსწავლეებისათვის სა-  
ვარჯიშოსა და პრაქტიკული დავალების მიცემაა.  
ვან დე ვალე (2003) აღნიშნავს, რომ მესამე კომპო-  
ნენტზე გადასვლა მას შემდეგ უნდა მოხდეს, რაც  
მოსწავლეები აითვისებენ ეფექტურ მიზგომებსა და  
მეთოდებს. თუ თევზენ მათ მისცემთ პრაქტიკულ  
საგარჯიშოს ეფექტური მეთოდის ათვისებამდე,  
პრაქტიკული მუშაობა მხოლოდ გააძლიერებს  
არაეფექტური მეთოდის გამოყენებას. არაეფექტურ  
მეთოდში იგულისხმება: თითებზე დათვლა, გამ-  
რავლების ნაცვლად რიცხვების მიმატება, თვალ-  
საჩინოების გამოყენება, ნახატის დახატვა და ა.შ.  
ეს მეთოდები არაეფექტურია იმის გამო, რომ ამ  
მეთოდით ამოცანის ამოქსნას დიდი დრო სჭირდ-  
ება და ამ პროცესში ადამიანის გონება არ არის

ჩართული. ეფექტური მეთოდი კი დათვლას გეერდს  
უვლის, ამარტივებს პრობლემას და დამახსოვრების  
უნარს აუმჯობესებს.

## ჩარევა

ჩემი ჩარევის მიზანია, გავაუმჯობესო მოს-  
წავლეების ცოდნა და მოტივაცია ძირითადი რიცხ-  
ვების სწავლასთან დაკავშირებით, რაც შემდეგ-  
ნაირად გამოიხატება:

- გაკეთილებით, რომელთა მიზანია, მოსწავ-  
ლები ჩასწავლენ გამრავლების პროცესის  
არსა;
- მოსწავლეებისთვის ამოცანის ამოქსნის ეფექ-  
ტური მეთოდების სწავლებით;
- მოსწავლეებისათვის სახალისო თამაშების  
გაცნობით, რაც სახალისოს გახდის ძირითადი  
რიცხვების შესწავლის პროცესს.

## მონაცემთა შეგროვება

მონაცემთა შეგროვებისას მე ვიყენებდი შემდეგი  
სახის საშუალებებს:

1. შტატის მასშტაბით მათემატიკაში ტესტირე-  
ბის ქულებს;
2. სისწრაფის ტესტის შედეგებს;
3. არაფორმალურ ინტერვიუებს;
4. სტუდენტთა წერილობით ნაშენებრებს.

## მონაცემთა ანალიზი

მონაცემები, რომლებიც ეხებოდა მათემატიკაში  
შტატის ტესტებს, საკმაოდ მოულოდნენ აღმოჩნ-  
და. გავოცდი, როდესაც გავიგე, რომ თერთმეტი  
მოსწავლის ცოდნა (დაახლოებით კლასის 35%) არ  
შეესაბამებოდა მათემატიკაში შტატის მიერ დაგე-  
ნილ სტანდარტებს. მოსწავლეები, რომლებიც ვერ  
პასუხობდნენ შტატის სტანდარტებს მათემატიკაში,  
ასევე ვერ აბარებდნენ ტესტებს სისწრაფეზე. ამ  
გარემოებამ გადამატებულია, მეტი დრო დამტომო  
ამ თერთმეტ მოსწავლესთან მუშაობისათვის.

მონაცემები, რომლებიც მივიღე სისწრაფის ტე-  
სტებიდან, ძალიან დამემარა ჩარევის დაგეგმვაში  
და იმის გაგებაში, თუ რა იყო მოსწავლეებისათ-  
ვის ყველაზე დიდი პრობლემა. სისწრაფის ტესტების  
მონაცემები გვიჩვენებდა, თუ რა ტიპის შეცდომებს  
უშევბდნენ მოსწავლეები. ედელმანი, აბდითი, და  
ვალენტინი (1995) გამრავლების დროს ადამიანის  
მიერ დაშემუშავ თოხი ტიპის შეცდომას აღწერენ.

ქს შეცდომები დაკავშირებულია მოქმედების ობიექტთან/ოპერანდასთან, ტაბულასთან, იპერაციასთან და ტაბულასთან კავშირში არმყოფ შეცდომასთან. მოქმედების ობიექტში შეცდომა გვხვდება მაშინ, როდესაც არასწორი პასუხი სწორია სხვა ამოცნისთვის, რომელსაც საერთო მოქმედების ობიექტი აქვს (მაგალითად,  $4X2=16$ , მაშინ როდესაც 16 სწორი პასუხია  $4X4$ -სთვის). ტაბულასთან დაკავშირებული შეცდომები გვხვდება მაშინ, როდესაც არასწორ პასუხს სწორ პასუხთან საერთო მოქმედების ობიექტი/ოპერანდა არ აქვს, თუმცა პასუხი გვხვდება გამრავლების ტაბულაში (მაგალითად,  $6X9=56$ ). ადამიანები ოპერაციის დროს შეცდომებს უშევებენ მაშინ, როდესაც მათ სხვადასხვა იპერაციის შესრულება უწევთ, მაგალითად: მიმატება და გამოკლება, როდესაც ამრავლებენ (მაგალითად,  $9X0=9$ ). ბოლო შეცდომა არ არის ტაბულასთან დაკავშირებული, იგი გვხვდება, როდესაც არასწორი პასუხი არცერთი ამოცნის პასუხს არ შეესაბამება გამრავლების ტაბულაში (მაგალითად,  $5X6=31$ ). მოქმედების ობიექტში შეცდომა არის სტუდენტებიში ჟველაზე გავრცელებული შეცდომა, რომელიც მთლიანი შეცდომების 55%ს შეადგენს, აღნიშნული მონაცემების მიხედვით, მოსწავლეები აკავშირებდნენ არასწორ პასუხს რომელიმე მოქმედების ობიექტთან/ოპერანდასთან, ხოლო მოსწავლეებისათვის არაქტიკული საგარჯოიშოების მიცემაზე კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი არასწორ პასუხებს. შეცდომებმა, რომლებიც არ უკავშირდება ტაბულას, შეადგინა 23%. დარწმუნებული ვარ, რომ მოსწავლეები უშევებენ დიდი რაოდენობით შეცდომას, რომლებიც არ უკავშირდება ტაბულას, იმიტომ, რომ ისინი არასწორად ითვლიან თითებით. თითებით 6-ის 7-ზე გამრავლება საქმაოდ რთული და მოუხერხებელია, ასე რომ, იმ მოსწავლეებმა, რომლებიც თითებით გამოანგრიშების იმედზე იყენენ, დაუშვეს ჟველაზე მეტი შეცდომა ტაბულაში. შეცდომები ოპერაციაში ჟველაზე მეტად გვხვდება ისეთ ამოცანებში, სადაც ერთ-ერთი მოქმედების ობიექტია ნული ან ერთი. ასეთ დროს მოსწავლეები ხშირად მიმატების მეთოდს მიმართავენ და პრობლემის გადაჭრა ხდება კონკრეტული ციფრისთვის ნულის ან ერთის მიმატებით. ეს შეცდომა არც ისე სისტემატურია, რომ პრობლემად მიმეჩნია, ამიტომ გადავწყვიტე, ჩარევისას მისთვის დიდი კურადღება არ მიმექცა.

მე, ასევე, გამოვყენე ტესტების სისტრაფის გამოსავლენად, რათა გამერკვია, გამრავლების დროს

ჟველაზე მეტად რა უჭირდათ მოსწავლეებს. ჟველაზე დიდ სირთულეს მოსწავლეები ხედავთნენ შემდეგი ციფრების გამრავლების დროს: 6X7, 7X6, 7X4, 7X7, 8X8, 8X7, 6X6, 8X6 და 6X8. ზოგადად რომ ვთქვათ, ჟველა ამოცნა, რომელიც მოიცავდა მოქმედების ობიექტად ექვსს, შვიდს, რეას და/ან ცხრას, მოსწავლეების უმრავლესობამ არასწორად ამოხსნა. ვინაიდან მომეცა შესაძლებლობა, გამომევლინა მოსწავლეებისათვის მეტად პრობლემური საკითხები, აღნიშნული მასალის გამოყენებით შევცადე. ჩემი ჩარევა კვალიფიციური და სასარგებლო ყოფილიყო მათოვს.

არაფორმალური ინტერვიუების დახმარებით მე გავერკვიე, თუ რას ფიქრობდნენ მოსწავლეები სისწრაფის ტესტებზე, რა მეთოდებს იყენებდნენ ამოცნის ამოცასნელად და რამდენად ეფექტურად შეეძლოთ თავიანთი უნარების ცხოვრებაში გამოყენება. მე გაოცებული ვიყავი, როდესაც მოსწავლეებმა დადებითად შეაფასეს სისტრაფის ტესტების სარგებლიანობა. მოსწავლეების უმრავლესობამ განაცხადა, რომ სისწრაფის ტესტები საშუალებას აძლევდა მათ, გამრავლების ტაბულაში ევარჯიშათ. ინტერვიუს საშუალებით, ასევე, აღმოაჩინე, თუ რა მეთოდებს იყენებდა თითოეული მოსწავლე გამრავლებისას.

## განსილვა

სწავლების პროცესში ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო, მომექტნა და გამომეცადა ძირითადი მათემატიკური მოქმედებების სწავლების ეფექტური მეთოდები. სწავლებისას კვლევის პროექტის დასრულებისას მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ნებისმიერი ლონის კლასში (პირველი კლასიდან მეექსეს კლასის ჩათვლით) ძირითადი მათემატიკური მოქმედებების ეფექტურად სწავლებას შევძლებდი. ჩემთვის უკვე ცნობილია ის არასწორი წარმოდგენები, რაც არსებობს მექანიკური დამხსოვრებისა და სისტრაფის ტესტის გაუცნობიერებად გამოყენებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგებმა მიჩვენა, რომ სისტრაფის ტესტი შედეგის მომტანია მაშინ, როდესაც მას იყენებენ საგარჯოიშოს სახით. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ საკუთარი ტესტების შესწორება, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ დაგალების შესრულებისას დაშვებული შეცდომების თაობაზე უკუკავშირი, უნდა განემარტოთ, რა უნდა ყოფილიყო სისტრაფის შედაგოგებმა ასევე ისეთი შესაძლებლობაც უნდა განხილონ, როდესაც ტესტირე-

ბის დროს არ დაწერენ ნიშნებს, ამით მოსწავლეები ნიშნების გამოსწორების ნაცვლად, მეტ უურადღებას უნარების გაუმჯობესებას მიაპორობენ.

ჩემი კვლევიდან, გამოცდილებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, ასევე, შევძელი, გამომეტანა დასკრა, რომ ეფექტური სწავლების მეთოდები ეფუძნება დაბალისტულ კონცეპტუალურ გაგებასა და პრაქტიკულ უნარებს. ასეთი ბალანსის მისაღწევად საჭიროა, პედაგოგებმა ამოცანის ამოხსნის მეთოდებზე უურადღება გაამახვილონ სწავლების აღრულ ასაკშივე, ამოცანის ამოხსნის მეთოდებზე საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სწავლის დროს გამოყენონ მიღებული ცოდნა, როგორც სხვა სახის ამოცანის ამოხსნისას, აგრეთვე პრაქტიკაში. გარდა ამისა, პედაგოგებმა ერთდროულად მხოლოდ ერთი კონცეფცია უნდა შეასწავლონ, რათა ბავშვები კონკრეტულ მეთოდში დახხლოვნდნენ, და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდნენ მასწავლებლები ახალი კონცეფციის სწავლებაზე.

პედაგოგმა, პირველ რიგში, უნდა გაუდრიმავოს მოსწავლეებს გამრავლების საკითხება და მის პროცესზე წარმოდგენა, რაც საკუთარი თავის რწმენას აუმაღლებს, უფრო თავდაჯერებულებსა და, ზოგადად, უფრო მოტივირებულებს გახდის მათ. მოსწავლეებში მოტივაციის გაძლიერების მეორე საფეხური არის ძირითადი მოქმედებების მოსწავლეებისათვის სახალისო ფორმით მიწოდება, რაც მათ შესწავლასა და დამახსოვრებას გაუადვილებს.

ჩემს გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებენ შეჯიბრებით თამაშებს, განსაკუთრებით, როდესაც პედაგოგის წინააღმდეგ თამაშობენ. ჩემი კვლევისას მონაწილეები დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ „გამრავლების თასის“ თამაშს, როდესაც ორი მეოთხეკლასელთა ჯგუფი ერთმანეთს შეჯიბრა გამრავლებაში. მე დაინტერესებული ვარ, გაგაგრძელო აღნიშნული სწავლების მეთოდების გამოცდა სწავლების პროცესში კვლევის მომდევნო ციკლშიც.

## წყაროზე მითითება

ედელმანი, ბ., აბდითი, ჰ., და ვალენტინი, დ. (1995).

რიცხვების გამრავლება.

საიქოლოჯიკა ბელგიკა. 1-23

ისაავსი, ა., ქაროლი, ვ., და ბელი, მ. (2001).

ჩიკაგოს უნივერსიტეტის სასკოლო მათემატიკის პროექტი (UCSMP)

მათემატიკის ყოველდღიური სასწავლო პროგრამა.

ყოველდღიური მათემატიკა. 2-5

ჯონსი, ს. ც. (1995). კოგნიტური კვლევის მიმხილვა.

საგანმანათლებლო მექსიერება. 57-60.

ვან დე ვალე, ჯ.ა. (2003). დაწყებითი და საშუალო სკოლის მათემატიკა: ექსპერიმენტული სწავლება. პირსონი. 156-176.

**ურადღების გამახვილება** სამ ისეთ მნიშვნელოვან კონცეფციაზე, როგორებიც არის: სისწორე, სანდოობა და განზოგადება, მკვლევარ პედაგოგებს შესაძლებლობას მისცემს, სამუშაო ხარისხიანად ჩატარონ. ეს სამი კონცეფცია, ასევე, გამოადგებათ მკვლევარ პედაგოგებს, როდესაც მიმოხილავენ გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებლი კვლევის შედეგებს. სწავლების პროცესში კვლევის ჩატარებისას, ასევე, სამოქმედო კვლევის ხარისხის შეფასებისას თქვენ დაგჭირდებათ სისწორის, სანდოობისა და განზოგადების კონცეფციების კარგად ცოდნა.

ხარისხობრივი კვლევის განმახორციელებელი მეცნიერები, სამოქმედო და რაოდენობრივი კვლევის ჩამტარებელი პირები არ ეთანხმებიან სისწორის, სანდოობისა და განზოგადების კონცეფციების გამოყენების მნიშვნელობას ხარისხობრივზე ორიენტირებული სამოქმედო კვლევის დროს. გარკვეულწილად უთანხმოების მიზეზი იმით არის განპირობებული, რომ აღნიშნული კონცეფციების საფუძველი ტრადიციული რაოდენობრივი კვლევაა, ანუ კვლევა, რომელიც მეტწილად იყენებს რიცხვობრივ მონაცემებს და რომელსაც სამოქმედო კვლევისგან განსხვავებული მიზნები ამოძრავებს (იხილეთ I თავი).

თუმცა მკვლევარი პედაგოგები კარგად უნდა ჩასწორდნენ აღნიშნული ტრადიციების არსს, რათა პროფესიულად შეძლონ კვლევის როგორც გამოყენება, ისე ჩატარება, რაც მას უფრო სანდოსა და დამაჯერებელს გახდის.

## სისწორე

სიტყვა „სისწორე“ არსებობს ჩვენს ყოველდღიურ პროფესიულ ლექსიკონში. მაგალითად, პედაგოგი იყითხავს: „არის თუ არა კალიფორნიის მიღწევების შედეგები სწორი?“, ან ჩემი პედაგოგი ხშირად აღნიშნავდა: „ჩემმა მოსწავლეებმა ცუდად შეასრულეს ჩემ მიერ მიცემული ტესტი ისტორიაში, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ტესტში სწორად არის ასახული მათი ცოდნა“. ცოტა ხნის წინ მეც მოვისმინე პედაგოგების საუბარი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად ასახავდა მათი მოსწავლეების შესაძლებლობებს რამდენიმე ვარინტის მქონე პასუხის შეფასების მეორედი. ყველა აღნიშნული მაგალითი უკავშირდება სისწორის საკითხს, ანუ სიიდან ვიცით, რომ მასალა, რომელსაც ვაგროვებთ (მაგალითად ტესტის ნიშნები), სწორად აფასებს იმ მოვლენებს, რომელთა შეფასებას თუ გაზომვასაც ვცდილობთ (ამ შემთხვევაში, რა იციან ჩვენმა ბავშვებმა ისტორიის შესახებ). ტექნიკს ენაზე „სისწორე და კავშირებულია იმასთან, თუ რა დონეზე ხდება მეცნიერული და კიორვების შედეგად სასურველი მოვლენის/ფაქტის შეფასება თუ აღმოჩენა“ (პელტო და პელტო, 1978, გვ.33).

ისტორიულად, სისწორე და კავშირებული იყო პოზიტივისტურ ტრადიციებზე ჩატარებულ რცხვობრივ კვლევასთან. მაგალითად, ქრონბახმა და შეპლიშ (1955) განავითარეს კრიტერიუმები სისწორის ოთხი განსხვავებული ტიპისთვის. მათი დანიშნულება იყო, დაერწმუნებონა მკვლევარი, რომ კვლევის შედეგები იყო „სწორი“, „ზუსტი“ და გაუძლებდა სხვა მკვლევართა მხრიდან მის დეტალურ შესწავლას.

თუმცა 1970-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდა სკოლებში განსხვავებული ტიპის ხარისხობრივი კვლევის ჩატარება, ასეთი კვლევის განმახორციელებელი პირებისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა კვლევის სისწორის დასაბუთება და დაცვა, იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელიც მანამდე რაოდენობრივ კვლევებში გამოიყენებოდა. მაგალითად, როდესაც უმაღლეს სასწავლებელში ვასრულებდი სამაგისტრო თეზისს წერას თემაზე „მიგრაციის გავლენა დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებზე“, ჩემმა ხელმძღვანელებმა მირჩიეს, რომ დიდი დრო დამტომი ჩემი მოხსენების სისწორისა და სიზუსტის დასაბუთებისთვის. მათ დამისვეს შეკითხვა: „საიდან იციან შენმა მკითხველებმა, რომ კვლევაში მითითებული პრაქტიკული შემთხვევა ზუსტად გადმოსცემს/აღწერს ამ ბავშვების ცხოვრებას?“ (მილსი, 1985).

კარიერის დასაწყისში ეს ზედმეტად მეჩვენებოდა, რადგანაც არ იყო საკმარისი ლიტერატურა, რომელიც კონკრეტულად აღნიშნულ საკითხს ეხებოდა. მას მერე სისწორის ცნების მნიშვნელობა და შინაარსობრივი დატვირთვა დაიხვეწა ისე, რომ იგი გამოიყენება ხარისხობრივი მეთოდის დროსაც. კინჩელოვ (1991) სვამს შეკითხვას: „დამაჯერებლობა უფრო მეტად შესაფერისი სიტყვა ხომ არ არის?“ (გვ.135), მაშინ, როდესაც ვოლკოტი (1994) მსჯელობს: „გუგება თოთქოს კარგად მოიცავს არსა, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ტერმინს“ (გვ. 367). გრინვუდი და ლევინი (2000) კამათობენ, რომ, რადგან სამოქმედო მკვლევრები არ აკეთებენ განაცხადს კონტექსტისგან თავისუფალ ცოდნაზე (ანუ თავისი არსით სამოქმედო კვლევა ეფუძნება ჩვენი კლასისა და სკოლის კონტექსტს), დამაჯერებლობის, სისწორისა და სანდოობის საკითხის შემოწმება სწავლების პროცესში კვლევის დროს დამოკიდებულია მკვლევარი პედაგოგის (და სასწავლო პროცესში დაინტერესებული პირების) ნებაზე, რადგან, „კვლევის შედეგების მიხედვით მოქმედების დასახვით, ისინი რასკავნ, როცა ენდობიან საკუთარი იდეებისა და მოსალოდნენ შედეგების სისწორეს“ (გვ. 98). მოკლედ

რომ ვთქვათ, სწავლების პროცესში კვლევის სისტორე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხდება პრობლემის მოგვარება ჩვენი მოქმედებით (ან ჩარევით)!

მოდით, გადავხედოთ ხარისხობრივი კვლევის ხარისხის შემოწმების ორ საშუალებას, რომელსაც საფუძვლად უდევს დამაჯერებლობა და გასაგებობა.

გუბას პრიტერიუმები სწავლების პროცესში კვლევის სისტორის შეფასების სისტორის შესაფასებლად

გუბას სტატია „ნატურალისტური კვლევის დამაჯერებლობის შეფასების კრიტერიუმები“ (1981) უშუალოდ ეხება ხარისხობრივი კვლევის განმახორციელებელ მკვლევრებს. გუბა ასაბუთებს, რომ ხარისხობრივი კვლევის დამაჯერებლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს კვლევის შემდეგ ნიშან-თვისებებთან: დამაჯერებლობასთან, გამჭვირებულობასთან, სარწმუნობასა და დადასტურებულობასთან.

#### დამაჯერებლობა

კვლევის დამაჯერებლობა დაკავშირებულია მკვლევრის უნართან, გაითვალისწინოს კვლევის დროს არსებული სირთულეები და შეძლოს ისეთ საკითხებზე მუშაობა, რომლებიც მარტივად ახსნადი არ არის. ამისთვის გუბა (1981) გვთავაზობს შემდეგი მეთოდების გამოყენებას:

- რაც შეიძლება მეტი დრო გაატარეთ გამოსაკვლევ ადგილზე, რათა თავიდან აიცილოთ მკვლევრის დასწრებით გამოწვეული ფაქტების დამახინვებულად გადმოცემის შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს, დაინახოს, არსებობს თუ არა მიკერძოებულობა. საკუთარი სკოლის, საკლასო ოთახისა და მოსწავლეების შესწავლისას თქვენ ბოლომდე ხართ ჩართული და უზომოდ დიდ დროს ატარებთ აღნიშნულ დაწესებულებაში, შესაძლოა წლის განმავლობაში 180 დღესაც კა!
- ჩაატარეთ რეგულარული დაკვირვება, რათა შეამჩნიოთ, როგორც დიდი ხნის განმავლობაში არსებული, ასევე არატიპური ნიშან-ჩევები.
- ჩაატარეთ თქვენი კოლეგების გამოკითხვა, რათა მკვლევრებს შესაძლებლობა მისცეთ, კოლეგებთან ურთიერთობით უკეთ ჩასწოდნენ საკითხის არსს. მაგალითად, ბევრი იპოვის კრიტიკულად განწყობილ მეგობრებს, კოლეგებს, ან ვინმე სხვა პირს, ვინც მზად იქნება, კრიტიკულად განიხილოს თქვენი პრობლემა, მოგისმინოთ, წაგასალისოთ, ან ჩაიწეროს თქვენი ნაფიქრალი მთელი პროცესის განმავლობაში.
- იუარჯიშეთ ტრიანგულაციაში (განხილულია მე-3 თავში), რათა ერთმანეთს შეადაროთ მონაცემთა სხვადასხვა წყარო და განსხვავებული მეთოდები, რაც მონაცემთა სისტორის გადამოწმების შესაძლებლობას მოგცემთ.
- შეაგროვეთ დოკუმენტები, ფილმები, ვიდეო და აუდიოჩანაწერები, არტიფაქტები და ცხრილები, ან კვლევისთვის საჭირო სხვა მასალა.
- აწარმოეთ მონაწილეთა აღრიცხვა, რათა შემოწმოთ შემაჯამებელი მოხსენება კვლევის მონაწილეებთან, სანამ მას დასრულებული ფორმის სახით გამოაქვენებთ (გვ. 84-86).
- მოხსენება სტრუქტურულად ჩამოაყალიბეთ ან თანმიმდევრულად შეადგინეთ, რათა დარწმუნდეთ, რომ არ არსებობს შიდა შეუსაბამობა ან ურთიერთწინააღმდეგობა.
- განსაზღვრეთ, რამდენად ადგევატურია, ანუ შეამოწმეთ, რამდენად შეესაბამება კვლევის შედეგად მიღებული ანალიზი და განმარტება დოკუმენტებს, ჩანაწერებსა და ფილმებს.

## გამჭვირვალობა

გამჭვირვალობა. გუბას (1981) მეორე კრიტერიუმი ესება ხარისხობრივ მკვლევართა რწმენას, რომ ყველაფერი, რასაც სწავლობენ, გამომდინარეობს კონტექსტიდან და რომ მათი ნაშრომის მიზანი არ არის „ჰეშმარიტი“ განაცხადის გაკეთება, რომელიც განზოგადებული იქნება ხალხის ფართო ჯგუფებზე. აღწერილობითი კონტექსტიდან გამომდინარე, სწორი განაცხადის გასაცეთებლად გუბა მკვლევრებს სთავაზობს:

- შეაგროვონ დეტალური აღწერილობითი მონაცემები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შევადაროთ მოცემული კონტექსტი (საკლასო ოთახი/სკოლა) სხვა შესაძლო კონტექსტებს, სადაც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება.
- შეიმუშაონ კონტექსტის დეტალური აღწერა, რათა შეაფასონ სხვა კონტექსტებთან შესაბამისობა.

სწავლების პროცესში კვლევის შედეგების გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კავშირშია კვლევის შედეგები იმ გარემოსთან, სადაც იგი უნდა გამოიყენონ. დეტალურობა და დაკონტრიტება შესაძლებლობას მისცემს პირს, რომელიც კვლევას გაეცნობა, დაინახოს ბევრი საერთო და მისვდეს, რომ აღნიშნული მეთოდი მის გარემოშიც იმუშავებს.

## სარწმუნობა

გუბას (1981) თანახმად, სარწმუნობა დაკავშირებულია მონაცემთა სტაბილურობასთან. შეგროვებული მასალის სარწმუნობის შესაფასებლად გუბა შემდეგ საფეხურებს გვთავაზობს:

- მეთოდები, რომლებიც ნაწილობრივ ერთმანეთს ემთხვევა (ფრიანგულაციის პროცესის მსგავსია). გამოიყენეთ ორი ან მეტი მეთოდი ისე, რომ ერთი მეთოდის სისუსტეები შევსებული იყოს მეორე მეთოდის ძლიერი მხარეებით. მაგალითად, მოსწავლეებთან ინტერვიუ შეიძლება გამოიყენოთ, რათა შევაგუსოთ გაკვეთილზე დაკავირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია.
- ჩამოვაყალიბოთ „სარევიზო სასამართლო“. ეს პროცესი შესაძლებლობას აძლევს „გარე რევიზორს“ (შეიძლება იყოს კრიტიკულად განწყობილი მეცნიერი, სკოლის დირექტორი ან უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი), შეამოწმის, გააანალიზოს და განმარტოს მონაცემთა შეგროვების პროცესის სარევიზო სასამართლო შეიძლება გამოიხატოს თითოეული პროცესის წერილობითი აღწერის ფორმით, ან შესაძლოა, პირდაპირ ხელი მოუწევობოდეს რეალურ საკვლე ჩანაწერებზე, არტიფიციელებზე, ვიდეოჩანაწერებზე, სურათებზე, საარქივო მონაცემებზე და ა.შ.

## დადასტურებულობა

ბოლო დამახასიათებელი ნიშანი, რომელსაც გუბა (1981) იხილავს, არის მონაცემების დადასტურებულობა, შეგროვებული მონაცემების ნეიტრალურობა ან ობიექტურობა. გუბა თვლის, რომ ქვემოთ მითითებული ორი საფეხური აღნიშნულ საკითხებს ესება:

- ივარჯიშეთ ტრიანგულაციაში (განხილულია მე-3 თავში), ამ დროს ხდება მონაცემთა წყაროების სიმრავლისა და განსხვავებული მეთოდების ერთმანეთთან შედარება, მათი ობიექტურობის შეფასების მიზნით.
- ივარჯიშეთ მსჯელობაში, მიზანმიმართულად გამოთქვით ვარაუდები, ან გამოაქვლავნეთ ტეხნიკურობა, რაც მკვლევრებს საშუალებას მისცემს, გარკვეული ფორმით ჩამოაყალიბონ რიგი შეკითხვებისა და წარმოადგინონ აღმოჩენები. ამითვის შეგიძლიათ აწარმოოთ ურნალი, სადაც რეგულარულად აღწერთ მსჯელობებს/განხილვებს. საკანონი კონცეფციების №4-1 გრაფაში მოცემულია გუბას კრიტერიუმები ხარისხობრივი კვლევის სისწორის შესახებ.

მაქსიმულის პრიტერიუმები ხარისხობრივი კვლევის სისწორის შესახებ

ცოტა ხნის წინ მაქსიმულმა (1992) შეიმუშავა ვოლკოტთან (1990) შედარებით უფრო მიზანმიმართული პოზიცია, რომლის მიხედვითაც „გაზრდა“ უფრო ფუნქციური კონცეფციაა ხარისხობრივი კვლევისთვის, ვიდრე სისწორე“ (გვ. 281). მაქსიმულის გაზრდებაზე დამყარებული ტიპოლოგია მოიცავს აღწერილობით სისწორეს, ინტერპრეტაციულ სისწორეს, თეორიულ სისწორეს, გაზოგადების შესაძლებლობასა და შეფასებით სისწორეს.

### აღწერილობითი სისწორე

მაქსიმული (1992) გვთავაზობს აღწერილობის სისწორეს, ან ფაქტების სიზუსტეს, რაც ძირითადია ნებისმიერი ხარისხობრივი, აღწერილობითი კვლევისთვის:

ხარისხობრივი მკვლეერები, პირველ რიგში, მათი კვლევის ფაქტობრივ სიზუსტეზე ფიქრობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არ ამახინჯებენ დანახულ და მოსმენილ ფაქტებს. თუ თქვენ განაცხადებთ, რომ ინფორმაციის მომწოდებელმა კონკრეტული განცხადება გააკეთა ინტერვიუში, იქნება თუ არა ეს სწორი? (გვ. 285-286).

### საკვანძო კონცეფციების №4–1 გრაფა

გუბას კრიტერიუმები ხარისხობრივი კვლევის სისწორის შესახებ		
პრიტერიუმი	განსაზღვრება	მეთოდები
დამაჯერებლობა	მკვლეერის უნარი, გაითვალისწინოს სირთულეები, რომლებიც კვლევის დროს გრძელება და იმუშაოს ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ არის მარტივი და ახსნადი.	კვლევის ადგილზე ხანგრძლივი დროის გატარება, სისტემატური დაკვირვება, კოლეგების გამოყითხვა, ტრიანგულაციაში ვარჯიში, რეალური მონაცემების შეგროვება, მონაწილეთა აღრიცხვა, თანმიმდევრულობა, მონაცემებთან შესაბამისობა.
გამჭვირვალობა	მკვლეერებს სჯერათ, რომ ყველაფერი კონტექსტიდან გამომდინარეობს.	შეაგროვეთ დეტალური აღწერილობითი მონაცემები, შეიმუშავეთ კონტექსტის დეტალური აღწერა.
სარწმუნობა	მონაცემთა სტაბილურობა.	მეთოდები, რომლებიც ერთმანეთს აქსებენ, ჩამოაყალიბეთ სარევიზიო სასამართლო.
დადასტურებულობა	მონაცემთა ნეიტრალურობა ან ობიექტურობა.	ივარჯიშეთ ტრიანგულაციაში, ივარჯიშეთ განხილვაში.

წყარო: ადაპტირებულია „ნატურალისტური კვლევის სისწორის შეფასების კრიტერიუმებიდან“, ი.გ. გუბა, 1981, Educational Communication and Technology, 2(1), გვ. 75-91.

მოცემული კრიტერიუმის მიხედვით, ყველაფერი, რაც აღწერილობით სისწორესთან არის დაკავშირებული, შეიძლება გადამოწმდეს ინფორმაციაზე დაყრდნობით, ან მოხდეს ინტერვიუს აუდიო- თუ ვიდეოჩანაწერის მოსმენა, რათა დაეგრწმუნდეთ ციტირების სისწორეში.

მაგალითად, მე ვმონაწილეობდი კვლევაში, რომელიც ეხებოდა მათემატიკის მასწავლებელთა ეროვნული საბჭოს (NCTM) სტანდარტების განხორციელების დაკუმენტირებას. ვასდენდი ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მასშტაბით პედაგოგების, დორექტორების, მოსწავლეებისა და რაიონის ადმინისტრატორების ინტერვიუერებას. ერთ-ერთი ასეთი ინტერვიუს დროს შეიითხვაზე, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო უკეთესობისკენ საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლების მეთოდი, ადმინისტრატორმა შემდეგნაირად მიპასუხა: „მე უფიქრობ, რომ საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლების შეცვლის ერთადერთი გზა არის კველა პედაგოგის მწერივში დაყენება და დახვრეტა!“. „პრაქტიკულ შემთხვევაში“ მე მიუთითე აღნიშნულ ფაქტზე და გამოვიყენ ადმინისტრატორის სიტყვები, რათა მეჩვენებინა მისი იმედგაცრუება, რაც გამოწვეული იყო რაიონის საშუალო სკოლებში მათემატიკის მასწავლებელთა ეროვნული საბჭოს სტანდარტების განხორციელებით. როდესაც ჩემი მოხსენება გაუზიარე დანარჩენ მონაწილეებს, რათა გადამემოწმებინა ამბის სისწორე, ადმინისტრატორის საქმაოდ აგრძისული რეაქცია პქნდა მისი სიტყვების ციტირების გამო. მან უარყო საკუთარი სიტყვები და განაცხადა, რომ ჩემი ანგარიში ჰაგვალებულ უურნალში გამოქვეყნებულ სტატიას.

ჩემი ანგარიშის აღწერილობითა სისწორის დასადგენად მე შევამოწმე ინტერვიუს აუდიოჩანაწერი, გაშიფრული ინტერვიუ და, ასევე, ჩემი და ჩემი პარტნიორი მკვლევრის, რომელიც ინტერვიუს ესწრებოდა, საველე ჩანაწერები. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ციტატა ზუსტად გადმოვიტანეთ და დავმტკიცე, რომ ჩემს ანგარიშში სწორად მიუთითე მისი სიტყვები. თუმცა პროექტის დირექტორი საქმაოდ შეწუხებული იყო ციტირებით გამოწვეული შესაძლო ზიანის გამო და „პრაქტიკული შემთხვევის“ შემდგომ ვარიანტში ჩემი ანგარიშის პერიფრაზირება მოხდა. მიუხედავად ამისა, მე დავრწმუნდი ჩემი ანგარიშის აღწერილობით სისწორეში, როდესაც გადავათვალიერე მონაცემთა წყაროები და შევამოწმე ციტატების სიზუსტე.

### განმარტებითი სისწორე

მაქსველი (1992) აღწერს განმარტებით სისწორეს. როგორც წესი, მკვლევრები აწყდებან სირთულეებს, როდესაც ადამიანთა ქცევების განმარტება უწევთ. აღნიშნულ პრობლემას ხშირად „მონაწილის ხედვას“ უწოდებენ:

განმარტებითი ანგარიში უფუძნება გამოსაკვლევი პრეტის სიტყვებსა და აზრებს. აქ საქითხი ეხება არა იდეების მართებულობას, არამედ ანგარიშში მათი ხედვის ზუსტად გადმოცემას. (გვ. 289).

რომ მივუტრუნდეთ ისტორიას რაიონის ადმინისტრატორისას, რომელიც განაწყენდა მისი სიტყვების – „დახხვრეტ მათემატიკის მასწავლებლებს“ – ციტირების გამო, აქ საკითხი ასევე ეხებოდა განმარტებით სისწორეს, ანუ, როდესაც ნეიტრალური პირი წაიკითხავდა, როგორ აღიქვამდა სიტყვებს: „მწერივში დავაყენებ და დავხვრეტ“? მაგალითად, რაიონის საშუალო სკოლის მათემატიკის პედაგოგს შესაძლებელია სსენტული სიტყვები გაეგო ისე, რომ რაიონის საშუალო სკოლების კველა მათემატიკის მასწავლებელი იქნებოდა სამსახურიდან დათხოვილი, თუმცა ეს არ ყოფილა რაიონის ადმინისტრატორის მიზანი და იმის შემთ, რომ მისი სიტყვები არასწორად არ გაუგოთ, მე მომიწია ანგარიშის შეცვლა და ციტატის გამოყენებაზე უარის თქმა.

## თეორიული სისტორიული

თეორიული სისტორიული გულისხმობს მოხსენებაში გამოკვლეული და აღწერილი ფენომენის ახსნას:

თეორიული სისტორიული უკავშირდება ანგარიშის სისტორიული, როგორც თეორია რომელიმე ფენომენის შესახებ. ნებისმიერი თეორია ორი კომპონენტისაგან შედგება: იდეები ან შეხეძულებები, რომელთაც თეორია ეყრდნობა, და იდეებს შორის არსებული ურთიერთკავშირი. (მაქსველი, 1992, გვ. 291)

მაგალითად, კიდევ ერთხელ რომ დავუბრუნდეთ აღმინისტრატორის ისტორიას, სიტყვები, რომელიც მან საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლებაში ცვლილების განხორციელების სირთულის აღსაწერად გამოიყენა, შეიძლება შეფასდეს როგორც რაიონის სკოლებში ტრადიციულად ძლიერი ურთიერთობის არსებობის მტკიცებულება და, ზოგადად, განათლების რეფორმის შეუძლებლობა. ასეთი განმარტება თეორიულად სწორი რომ იყოს, ანგარიშის მკითხველმა აღწერილობასაც უნდა მიუსადაგოს თეორიული მოსაზრება და სკოლის სხვა ფაქტორებსაც.

## განზოგადება

მაქსველის თანახმად, განზოგადებას ორი მნიშვნელოვანი მხარე აქვს: განზოგადება საზოგადოების (რომელიც გამოკვლეულ იქნა) შიგნით და იმ გარემოში განზოგადება, რომელიც არ ყოფილა გამოკვლეული (გარე განზოგადება). შიდა განზოგადება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გარე განზოგადება, რადგან ხარისხობრივი მკვლევრები (და სწავლების პროცესში კვლევის განმახორციელებელი პირები) იშვიათად აკეთებენ მათი კვლევის გარე განზოგადების შესახებ განაცხადს (მაქსველი, 1992).

მაგალითად, როდესაც აღმინისტრატორის ინტერვიუს შედეგად მიღებულ მონაცემებს დავუკრდენი, მათ შესაძლოა აღწერილობითი და განმარტებითი სისტორიული პერიოდით, თუმცა მე შეიძლებოდა გამომრჩენოდა აღმინისტრატორის ხედვის გარკვეული ასპექტები, რაც არ იყო ცხადი ინტერვიუს დროს. ასეთ შემთხვევაში, ინტერვიუს განმარტება „ურტყამს“ ანგარიშის შიდა განზოგადების შესაძლებლობას. თუმცა, აღმინისტრატორისთვის ანგარიშთან დაკავშირებით აზრის გამოთქმის შეთავაზებით, მე საშუალება მომეცა, აღმინისტრატორის ხედვა შემცველ მისივე სიტყვების დახმარებით და ამით გამეზარდა ანგარიშის შიდა განზოგადების შესაძლებლობა.

განზოგადების მნიშვნელობა დეტალურად იქნება განხილული ამ თავში.

## შეფასებითი სისტორიული

შეფასებითი სისტორიული დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად ობიექტური იყო მკვლევარი მონაცემების გადმოცემისას, და არ არის დაკავშირებული აღნიშნული მონაცემების შეფასებასთან. არც ერთი ნაშრომი არ არის დაზღვეული შეკითხვისგან, თუ რამდენად იყო მკვლევარი პედაგოგი შეფასებაზე ორიენტირებული, იმის ნაცვლად, რომ ყურადღება მიექცია შესწავლილი ფენომენის აღწერილობისა და განმარტებისთვის. ცხადია, აღმინისტრატორმა ჩათვალა, რომ მე მოვიგონე ციტატა – „დაგვჭრეთ მათ“, რათა რაიონისა და აღმინისტრატორის შესახებ გამეცეთებინა შეფასებითი დასკვნა. მეორე მხრივ, მე კვლავ დაუინებით ვაცხადებ, რომ ჩემი კვლევის მიზანი იყო საკვლევ საგანზე ცოდნის გაუმჯობესება და არა რაიონში მათემატიკის პროგრამების შეფასება. საკვანძო კონცეფციების №4-2 გრაფა გვიჩვენებს მაქსველის სარისხობრივი კვლევის სისტორიის შესაფასებელ კრიტერიუმებს.

## საკუანძო კონცეფციების №4–2 გრაფა

სარისხობრივი კვლევის სისტორის შეფასების მაქსველის კრიტერიუმები	
კრიტერიუმები	განსაზღვრება
აღწერილობითი სისტორე	ფაქტების სიზუსტე
განმარტებითი სისტორე	მონაწილის ხედგასთან დაკავშირებული პრობლემა
თეორიული სისტორე	მკვლევრის უნარი, ახსნას შესწავლილი და აღწერილი ფენომენი
განზოგადება	შიდა განზოგადება – გამოკვლეული საზოგადოების შიგნით განზოგადება; გარე განზოგადება – იმ გარემოში განზოგადება, რომელიც მკვლევრის მიერ შესწავლილი არ ყოფილა.
შეფასებითი სისტორე	რამდენად შეძლო მკვლევარმა, შეფასებისა და დასაბუთების გარეშე, მონაცემების წარმოდგენა

წყარო: ადაპტირებულია „გაგება და შეფასება სარისხობრივ კვლევაში“, ჯ.ა. მაქსველი, 1992, ჰარგარდის საგანმანათლებლო მიმოხილვა, 62 (3), გვ. 279-300.

სამოძმედო კვლევის სისტორის შემოწმების ანდერსონის, ჰერისა და ნიკლენის კრიტერიუმები

სარისხობრივ მკვლევართა უმეტესობას სიტყვების – **დამაჯერებლობა და სიცხადე** – გამოყენება დაქმარება კვლევის სისტორის ხაზებასმაში. აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენება შესაძლებელს ხდის (და გამოწვევაც არის), უზრუნველყოთ კვლევის პროცესულ სტანდარტებთან შესაბამისობა. ანდერსონი, ჰერი და ნიკლენი აცხადებდნენ, რომ სამოძმედო მკვლევრებს სჭირდებოდათ გარკვეული სისტემა კვლევის სარისხის შესაფასებლად, რაც გამოძალებოდათ კლასში კვლევის განხორციელების დროს.

თუ პრაქტიკოსი მკვლევრები განათლების შესახებ ფართო განხილვებში მიიღებენ მონაწილეობას, მათ დასჭირდებათ გარკვეული კვლევის კრიტერიუმების შემუშავება საუთარი კვლევისათვის. ეს ნიშანებს არა კვლევის დროს ისეთი კრიტერიუმების გამოყენებას, რომელთაც აკადემიური კვლევების დროს იყენებენ, არამედ სისტორის შესაფასებლად განსხვავებული მეთოდის შემუშავებას. იგი უნდა შესაბამებოდეს პრაქტიკული კვლევის მიზნებსა და გარემოებებს და თავისი უნიკალურობით ღირებული უნდა იყოს.

შესაბამისად, ანდერსონმა და მისმა კოლეგებმა (1994) შემოგვთავაზეს სამოძმედო კვლევის სისტორის შეფასების შემდეგი კრიტერიუმები: **დემოკრატიული სისტორე, შედეგის სისტორე, პროცესის სისტორე, კატალიტური სისტორე, და დიალოგური სისტორე.**

### დემოკრატიული სისტორე

დემოკრატიული სისტორის თანახმად, კვლევაში მონაწილეთა (პედაგოგები, დირექტორები, მშობლები და მოსწავლეები) განსხვავებული ხედები ზუსტად უნდა იყოს

გადმოცემული. მკვლევარი პედაგოგის ამოცანა იქნება მონაწილეთა განსხვავებული ხედვების აღბეჭდვა. სამოქმედო კვლევის დემოკრატიული სისწორის უზრუნველსაყოფად შეიძლება ჩავრთოთ პედაგოგები და ადმინისტრატორები საკვლევი ჯგუფის წევრებთან ერთობლივ საქმიანობაში. დარწმუნდით, რომ „პრობლემა წარმოიშვა კონკრეტული კონცექსტიდან და მისი მოგვარება ხდება ამ კონცექსტის შესაბამისად.“ (ქანინგჰემი, 1983, გვ. 30).

### **შედეგის სისწორე**

შედეგის სისწორე გულისხმობს, რომ კვლევის შედეგად დაგეგმილი მოქმედებით მოხდეს პრობლემის წარმატებით მოგვარება, ანუ თქვენი კვლევა შეიძლება ჩაითვალოს სწორად, თუ აღმოჩენა ისეთ რამეს, რაც კვლევის შემდგომი ციკლის დროს გამოვადგება. მაგალითად, ჯეკ რესტონის კვლევამ, რომელიც გაცდენებთან დაკავშირებულ პოლიტიკას ეხებოდა (იხილეთ VII თავი), მიუვიყენა აღმოჩენათა მთელ რიგამდე, რამაც გავლენა მოახდინა ახალი პოლიტიკის შემუშავებაზე. ეს აღმოჩენები შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

- მოსწავლეთა მხრიდან პატივისცემას;
- საკითხებს, რომელიც სკოლაში დაცულობის განცდას ეხებოდა;
- კონფლიქტის მართვის უნარების თავიდან სწავლებას;
- მაღალკლასელი ბავშვების აზრს, რომლის მიხედვით, სკოლის წესები უსამართლო იყო;
- მოსწავლეთა შეხედულებას, რომ გაცდენები ცუდი ტიპის იმიჯს ამჟარებს;
- სკოლის მოსწავლეთა 75%-ს გაცდენების მაღალი მაჩვნებელი პქნდა 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

ამ შედეგებმა გვიპიგა მოქმედებისკენ, რომელიც დაგვეხმარა სკოლაში გაცდენების პრობლემა წამოგვეწია.

### **პროცესის სისწორე**

პროცესის სისწორე კვლევის სარწმუნოდ და კომპეტენტურად ჩატარებას მოითხოვს. ნებისმიერი კვლევის დროს შესაძლებელია ნებისმიერი რეალური ხედვის გამყარება, თუმცა კვლევა გვეხმარება, შევებრძოლოთ ტენდენციას, რომელიც ჩვენს კვლევას წარმოადგენს ისე, თითქოს იგი არსებული პრაქტიკის სისწორის დასადასტურებლად იყოს მიმართული. იმისათვის, რომ წამოჭრათ აღნიშნული საკითხი, საჭიროა მონაცემთა შეგროვების მეთოდების შერჩევაში სიფრთხილე გამოიჩინოთ და შეცვალოთ მეთოდები, თუ შეგროვებული მონაცემები არ პასუხობენ თქვენს შეკითხვას.

### **კატალიტური სისწორე**

კატალიტური სისწორის კრიტერიუმი კვლევის მონაწილეებისგან მოითხოვს მოქმედებას, რადგან იგულისხმება, რომ მათ კვლევის საგნის შესახებ ღრმა ცოდნა აქვთ. თქვენი კვლევის შედეგები უნდა ასრულებდნენ მოქმედების კატალისტის ფუნქციას! ამ სქემის მიხედვით, თქვენი სამოქმედო კვლევის ძალისხმევა გამართლებულია, თუ იგი თქვენ და კვლევაში ჩართულ სხვა პირებს აიძულებს, იმოქმედონ (იხილეთ VII თავი, საგანმანათლებლო ცვლილებისთვის მოქმედების დაგეგმვა).

### **დიალოგური სისწორე**

„დიალოგური“ მოძინარეობს სიტყვიდან „დიალოგი“ – საუბრის გამართვა. დიალოგური სისწორე გულისხმობს თქვენი კვლევის აღმოჩენებისა და პრაქტიკის შესახებ

კრიტიკული საუბრის გამართვას სხვა პირებთან. დიალოგური სისწორე მოითხოვს, რომ თქვენი კვლევის სიკარგე დადგინდეს კოლეგებთან განხილვის პროცესის შე-დეგად (იმის მსგავსი, რაც უკვე არსებობს ტრადიციული გამოცემების (ცილკში). მაგალითად, მკვლევარი პედაგოგები, ვისთანაც მე ვმუშაობ, იყენებენ კიბერსივრცეს, რათა კვლევა მეცნიერთა ფართო საზოგადოებას გააცნონ.

იხილეთ საკანძო კონცეფციების №4–3 გრაფა, სადაც მოცემულია სწავლების პროცესში კვლევის სისწორის შეფასების ანდერსონის კრიტერიუმები.

### საკვანძო კონცეფციების №4–3 გრაფა

სწავლების პროცესში კვლევის სისწორის შეფასების შესახებ ანდერსონის კრიტერიუმები	
კრიტერიუმი	ტესტის შეკითხვა
დემოკრატიული სისწორე	გადმოსცემთ თუ არა კვლევაში მონაწილე ყველა პირის განსხვავებულ ხედვას?
შედეგის სისწორე	კვლევის შედეგად განხორციელებული მოქმედება იწვევს თუ არა პრობლემის წარმატებით მოგვარებას?
პროცესის სისწორე	ჩატარდა თუ არა კვლევა დამაჯერებლად და კომპეტენტურად?
კატალიტური სისწორე	არის თუ არა კვლევის შედეგები მოქმედების კატალისტი?
დიალოგური სისწორე	განიხილეს თუ არა კვლევა კოლეგებმა?

### ვოლკონის მეთოდები სწავლების პროცესში კვლევის სისწორის უზრუნველსაყოფად

იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე წიგნი ორიენტირებულია სწავლების პროცესში ხარისხობრივ კვლევაზე, მკვლევარი პედაგოგების დიდ ყურადღებას მიიპყრობს ქვემოთ ჩამოთვლილი შეთოდები. წიგნში წარმოდგენილი სისწორის კრიტერიუმების განხილვასთან ერთად, ეს მეთოდები ხარისხობრივზე ორიენტირებულ მკვლევარ პედაგოგებს მიაწოდებს პრაქტიკულ რჩევებს, რათა კვლევის ხარისხინად ჩატარება უზრუნველყონ. (ადაპტირებულია ვოლკონიდან, 1994).

#### ილაპარაკეთ ცოტა, მოისმინეთ ბევრი

ეს მეთოდი გულისხმობს, რომ მკვლევარი პედაგოგი, რომელიც ინტერვიუს იღებს, კითხვებს სევამს, ან ბავშვებს, მშობლებსა და კოლეგებს იწვევს საკვლევი პრობლემის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში, რათა მოსმენისა და საუბრის თანაფარდობას მიაჰყიოს ყურადღება. მაგალითად, ბავშვის ინტერვიურება შესაძლოა საქმაოდ რთული ამოცანა იყოს. ჩვენს კარგად შემუშავებულ შეკითხვაზე ვიღებთ არასასურველ მოქლე პასუხებს და, ფაქტობრივად, არ ვიცით, როგორ გამოვასწოროთ მდგომარეობა. პედაგოგის ყოველდღიური სამუშაო სწორედ საუბარია, და ჩვენთვის აბსოლუტურად ბუნებრივია, რომ, როდესაც ბავშვი არ პასუხობს, ჩვენ თვითონვე შევთავაზოთ საკუთარი პასუხი. მაგრამ ჩვენი კვლევის სანდოობა გაიზრდებოდა, თუ მოთმინებით

დავუცდიდით მოსწავლის პასუხს, შეკითხვის სხვა ფორმით დასმას მოგაინჯავდით და შემდეგ მოთმინებით დაველოდებოდით (ათასი .... ორი ათასი.... სამი ათასი...!). როგორც პედაგოგი, ვერასადროს ვიგრძნობდი თავს კომფორტულად, თუკი კლასში სიჩქმე იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვფიქრობდი, რომ დასმულ შეკითხვას კლასის ინტერესი და ჩართულობა უნდა გამოვწვია. ჩემი რჩევა იქნება, იქნიოთ მოთმინება და რესპონდენტებს პასუხის გასაცემად მისცეთ დრო. თავი შეიკავეთ საკუთარ შეკითხვებზე პასუხის გაცემისაგან.

### **ჩაიწერეთ დაკვირვებები ზუსტად**

როდესაც კლასში ატარებთ კვლევას, შეუძლებელია სწავლების პროცესში დაკვირვების ჩანაწერების გაკეთება. თუმცა თქვენ უნდა მოახდინოთ დაკვირვების ჩაწერა სამუშაოს დასრულების შემდეგ რაც შეიძლება მაღვე, რათა ზუსტად გაღმოსცეთ მომხდარის არსი. მოვლენების ზუსტად აღსაბეჭდავად შეიძლება გამოვიყენოთ აუდიო- და ვიდეოჩანაწერებიც, ასევე გექნებათ ბერი შემთხვევა, როდესაც, როგორც მონაწილე დამკვირვებელი, უნდა დაეყრდნოთ თქვენს საველე ჩანაწერებს, თქვენს ჟურნალებს ან მეხსიერებას. თუმცა ჩემთვის საკუთარ მეხსიერებაზე დაყრდნობა საკმაოდ სარისკოა!

### **დროულად დაიწყეთ წერა**

სამუშაო დღის განმავლობაში, როდესაც დროის უკმარისობას განვიცდით, უურნალში ჩანაწერების გასაკეთებლად დროის გამონახვა საკმაოდ რთულია. თუმცა, თუ ჩვენი მეხსიერების იმედად ვაქნებით და ვიფიქრებთ, რომ მოგვიანებით აღვიდგენთ, რა ხდებოდა საკლასო ოთახში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, დავასრულებთ იმით, რომ დაწეროთ სკოლისა და კლასის ცხოვრების იდეალიზებულ ნაშრომს. აუცილებლად გამონახეთ დრო დანახულის აღსაბეჭდავად. როდესაც სწავლების კონკრეტული ეპიზოდისა თუ დაკვირვების მოგონებების ჩაწერას მოახდენთ, თქვენ ნათლად დაინახავთ, სად არის სიცარიელე, რომლის შევსებაც საჭიროა, მაგალითად, შემდგომში რა შეკითხვის დასმა იქნება თქვენთვის საინტერესო, ან რას უნდა დააკვირდეთ უფრო ყურადღებით.

მიეცით მკითხველს შესაძლებლობა, ამოკითხოს მისთვის სასარგებლო ინფორმაცია ნებისმიერ ანგარიშში შეიტანეთ თავდაპირველი მასალები, რათა სწავლების პროცესის კვლევის ანგარიშის მკითხველმა (კოლეგებმა, დირექტორებმა, უნივერსიტეტის პროფესორებმა) მისთვის გამოსადევი მასალა ამოიკითხოს. როგორც ვოლკოტი (1994) აღნიშნავს, „როდესაც ვცდილობ, დავიცვა ბალნის ზედმეტად დეტალურსა და ნაკლებად დეტალურს შორის, მე უფრო ზედმეტად დეტალურისკენ გადავისრებოდი; ამის საპირისპიროდ, ზედმეტად გაანალიზებულსა და არასაკმარისად გაანალიზებულ მასალას შორის მე უფრო ცოტას ვიტყოდი“ (გვ. 350). ეს, განსაკუთრებით, სკოლის მასშტაბით განხორციელებულ სასწავლო პროცესში კვლევას ეხება, როდესაც თქვენ ცდილობთ, დაასაბუთოთ ცვლილება პროგოკაციულ და დამაჯერებელ მონაცემებზე დაყრდნობით და ამას წარუდგენთ თქვენს კოლეგებს, რომლებიც, შესაძლოა, კვლევის განხორციელებაში მნიშვნელოვან ფუნქციას არც ასრულებდნენ. როდესაც კოლეგებს უზიარებთ თქვენი კვლევის შესახებ ინფორმაციას, აუცილებლად წარუდგინეთ მასალა. იგულისხმება ცხრილები, გრაფები, ფოტოსურათები, ფილტები, ანუ უველავერი, რაც შეაგროვეთ. მასალის ჩვენებით თქვენ საშუალებას აძლევთ მათ, ნათლად დაინახონ კვლევის მთელი პროცესი და ამით შესაძლოა, მოახერხოთ

მათი სწავლების პროცესის კვლევის შემდგომ ეტაპში ჩართვა. როდესაც მასალების დემონსტრირებას ახდენთ, ეს უფრო დამაჯერებელია, ვიდრე, როდესაც იმავეს, უბრალოდ, უყვებით.

### სრულყოფილად აღნუსხეთ

პასუხებისა და პრობლემების მოგვარების ძიებისას ხშირად ხდება, რომ თვალთახედ-ვიდან გამოგრჩებათ წინააღმდეგობრივი მონაცემები. ხშირია შემთხვევა, როდესაც გვგონია, რომ პასუხი უკვე ზრდა გვაქს, მაგრამ ასეთ დროს შეიძლება წავაწყდეთ ისეთ მასალას, რომელიც შეარყევს ჩვენს იღუზის, თითქოს პრობლემა მოგვარებულია. არ უნდა გვეშინოდეს წინააღმდეგობრივი მასალისა. ყველაფერს რომ თავი დავინებოთ, ეს მხოლოდ მასალაა, რაც კვლევის პროცესში უნდა დავამუშაოთ, და თუმცა არ არის საგალდებულო, კვლევაში ყველა სახის მასალა აღვნუსხოთ, საქმოდ გამოსადეგია, თუ თვალყურს მივაღევნებთ წინააღმდეგობრივ მასალას და შევეცდებით, ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე – რა ხდება ჩვენს კლასსა თუ სკოლაში.

### იყვით მიუკერძოებელი

მუშაობის პროცესში მკვლევარი პედაგოგები მიუკერძოებლები უნდა იყვნენ და თუ სურთ საკუთარი მონათხრიბის გამოქვეყნება ან ფართო აუდიტორიისათვის გაცნობა, ნათლად უნდა დაინახონ ნებისმიერი სახის ტენდენციურობა, რაც შეიძლება წარმოიშვას კვლევის დროს. ასევე, მკვლევარმა პედაგოგებმა მკაფიოდ უნდა გამიჯნოთ მოვლენები, რომლებსაც აფასებენ, რათა თხრობა კონკრეტული პირის მოსაზრების დადასტურებად არ გადაიქცეს. როდესაც ხართ მიუკერძოებელი, ეს გაძლევთ შანსს, ცხადად დაინახოთ კვლევის დროს მომხდარი ის მოვლენები, რომელთაც შეიძლებოდა, გავლენა მოეხდინა შედეგებზე. მაგალითად, მოსწავლეების მიერ კლასის ხშირად შეცვლის მაღალი მაჩვენებლით შეიძლება ავტონათ ტესტირების დროს არასტაბილური ნიშნების მიღება.

### მოითხოვეთ უკუკაგშირი

ყოველთვის სასარგებლოა თქვენს ნაშრომთან დაკავშირებით კოლეგებისგან უკუკაგ-შირის მიღება (და არა მარტო კოლეგებისგან, – მოსწავლეებისაგან, მშობლეებისაგან, მოხალისეებისა თუ ადმინისტრატორებისაგან). გარეშე მკითხველი აღმოაჩენს ისეთ შეკითხვას ისეთ მოვლენაზე, რაც თქვენ, როგორც პროექტის ავტორს, დადგენილ ფაქტად მიგაჩნდათ. ისინი მიაქცევენ ურადღებას ანგარიშის სიზუსტეს და გაძულებენ, დაბრუნდეთ საკლასო ოთახში და სიზუსტით აღწეროთ მოვლენები (ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც გამოასწოროთ თქვენი ნაშრომი).

### წერეთ ზუსტად

სამოქმედო კვლევის აღწერილობის დაწერის შემდეგ სასარგებლო იქნება, თუ ანგარიშს ხმამაღლა წაიკითხავთ ან დახმარებისათვის ნაცნობ კოლეგას მიმართავთ, რათა ყურადღებით წაიკითხოს ანგარიში მასში წინააღმდეგობების აღმოსაჩენად. ხშირად იმდენად ვართ ჩართული ჩვენს კვლევაში, რომ გვჭირს წინააღმდეგობების დანახვა, რაც შესაძლოა, უცხო თვალისთვის აღვილად შესამჩნევი იყოს. მე-7 თავში ჩვენ გავეცნობით სწავლების პროცესის კვლევის გაზიარების სხვა აღტერნატიულ ფორმებსაც. თუმცა ანგარიშის სიზუსტეს (იქნება იგი წერილობითი თუ სხვა სახის) გადამზუველი მნიშვნელობა აქვს კვლევის სისწორის შეფასებისას. (აღნიშნული თემის დეტალური განხილვა, ასევე საკითხის – „როდის აქვს მნიშვნელობა სისწორეს?“ გან-

ხილვა იხილეთ: ვოლეკოტი, 1994, გვ. 348-370). იხილეთ კვლევა მოქმედებაში, №4-1 ჩამონათვალი, ვოლეკოტის მეთოდების სწავლების პროცესში ხარისხობრივი კვლევის სისწორის უზრუნველსყოფად.

## სანდოობა

ყოველდღიურ საუბარში სანდოობა ნიშნავს საიმედოს ან სარწმუნოს. აღნიშნულ ტერმინს, ძირითადად, იმავე მნიშვნელობით ვიყენებთ, როდესაც შეფასებას ვახდეთ. სანდოობა არის ხარისხი, რომელიც ტესტით ფასდება. რაც უფრო სანდოა ტესტი, მით უფრო იზრდება ჩვენი რწმენა, რომ ტესტის შედეგად მიღებული ნიშნები იგივე იქნებოდა ტესტის ხელახლა ჩატარების შემთხვევაში. არასანდო ტესტი, როგორც წესი, გამოუსადეგარია; ტესტის არასანდოობის შემთხვევაში, ნიშნები, რომელთაც მივიღებთ, ყოველი ტესტირებისას იქნება განსხვავებული. თუ მოსწავლის გონიერი კოეფიციენტის შესამოწმებელი ტესტი არასამედოა, მაშინ დღეს შეიძლება იგი იყოს 120, ხოლო ხვალ თუ შევამოწმებთ, იქნება 140, ხვალის მერე კი 95. ტესტის სანდოობის შემთხვევაში, მოსწავლის გონიერი კოეფიციენტის ნიშანი თუ იქნებოდა 110, მაშინ ხელახლა შემოწმებისას მისი ნიშანი რადიკალურად არ შეიცვლებოდა; ასეთ შემთხვევაში, ხელახლი შემოწმებისას თუ მივიღებდით 105-ს, ეს ნორმის ფარგლებში ჯდება, თუმცა 145 ქულის მიღების შესაძლებლობა, ტესტის სანდოობის შემთხვევაში გამორიცხული იქნებოდა. თუ ოდესტე მოსწავლისთვის სტანდარტიზებული ტესტირება ჩაგიტარებიათ, კარგად გეცოდინებათ, როგორია სანდოობის კოეფიციენტი ტესტირების დროს. ასეთ დროს მოსწავლები დარწმუნებული არიან, ტესტის გამეორების შემთხვევაში, ქულები დაახლოებით იგივე იქნება.

სანდოობა გამოხატულია ციფრულით, როგორც წესი, კოეფიციენტის სახით; მაღალი კოეფიციენტი მაღალი სანდოობის მაჩვენებელია. თუ ტესტი სანდოა, კოეფიციენტი იქნება 100. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლის ქულა ნათლად გვაჩვენებს მის რეალურ მდგომარეობას, შეფასებული ცვლადების გათვალისწინებით. თუმცა არ არსებობს ასოლუტურად სანდო ტესტი. ქულებზე გამუდმებით მოქმედებს შეფასების დროს დაშვებული შეცდომები, რაც გამოწვეულია მრავალი მიზეზით. მაღალი სანდოობა მიუთითებს შეცდომის დაშვების მინიმალურობაზე; თუ ტესტი მაღალსანდოა, ეს იმას ნიშნავს, რომ შეფასების დროს დაშვებული შეცდომები არის მინიმალური. შეფასების დროს შეცდომის დაშვება გავლენას აზდენს ქულებზე შემთხვევითობის პრინციპით; ზოგიერთი ქულა შეიძლება გაზრდილი იყოს, ზოგი კი შემცირებული. შეფასების დროს შეცდომის დაშვება შეიძლება გამოწვეული იყოს: თავად ტესტის თავისებურებებით (ტესტში გაუგებარი შეკითხვა, რომელიც ზოგმა მოსწავლე შემთხვევით სწორად გაიგო), ტესტირების პირობებით (ინსტრუქციები სათანადოდ არ იყო მიწოდებული), ტესტირების დროს კონკრეტული პირის მდგომარეობით (ზოგი შეიძლება იყოს დაღლილი, ზოგი არამოტივირებული), ან ზემოთ მოყვანილი ფაქტორების კომბინაციით. მაღალი სანდოობა მიუთითებს იმაზე, რომ შეცდომის გამოწვევი მიზეზები მაქსიმალურად აღმოფხვრილია.

შეფასების დროს დაშვებული შეცდომები, რაც გავლენას აზდენს სანდოობაზე, არის შემთხვევითი/უნდღლივ შეცდომები; სისტემატური შეცდომები გავლენას აზდენს სანდოობაზე. თუ მოსწრების ტესტი მოსწავლეთა ჯგუფისათვის ზედმეტად რთული იყო, მაშინ ყველას ქულა თანაბრად შეცირდებოდა და ტესტი ნაკლებად სანდო იქნებოდა ჯგუფისათვის (გახსოვდეთ „სანდო ვისთვის“). თუმცა ტესტს შეუძლია მოგვცეს სტაბილური ქულები (აზუ შეიძლება სარწმუნო იყოს); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქულები შეიძლება თანაბრად შემცირდეს ყოველ ჯერზე. მაგალი-

თად, მოსწავლე, რომლის მოსწრების რეალური ქულა იყო 80 და რომელმაც ამ ტესტირების (არასანდონბა) შემდეგაც მიიღო 60, მიიღოს 60 ქულას, რამდენვერაც არ უნდა ჩააბაროს ეს ტესტი (სარწმუნობა). აღნიშნული გვიჩვენებს საინტერესო დამოკიდებულებას სანდონბასა და სარწმუნობას შორის; სანდო ტესტი ყოველთვის სარწმუნოა, თუმცა სარწმუნო ტესტი არ არის აუცილებელი, რომ იყოს სანდო. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, თუ ტესტი აფასებს იმას, რაც უნდა შეაფასოს, ის იქნება სარწმუნო და ასეთი იქნება ყოველთვის, თუმცა სარწმუნო ტესტს ასევე შეუძლია შეაფასოს შემთხვევით ფაქტები და იყოს არსანდო!

სარისხობრივზე ორიენტირებული სწავლების პროცესის მკვლევრებისთვის აზრი გასაგებია: როდესაც ფიქრობთ თქვენი კვლევის შედეგებზე, დაფიქრდით იმაზეც, რამდენად სწორად შეაგროვებთ მონაცემებს, თუ ყოველთვის გამოიყენებთ ერთსა და იმავე მეთოდს; ან თუ თქვენ ხართ ჯგუფის წევრი, რომელიც მასალას აგროვებს, იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ მოაგარებთ დამკვირვებლებს შორის არსებულ სხვაობებს, რათა შემდეგ პრობლემა არ შეგექმნათ ანგარიშის აღწერილობის სიზუსტესთან დაკავშირებით.

## სარწმუნობასა და სანდობას შორის არსებული სხვაობები

სარწმუნობა „არის ხარისხი, რომლითაც ტესტი ერთგვაროვნად აფასებს ნებისმიერ ფაქტს“ (გეო და სხვები, 2006, გვ. 139). ხოლო სანდონბა არის „ხარისხი, რომლითაც ტესტი აფასებს ფაქტს, რომელიც უნდა შეეფახებინა“ (გეო და სხვები, 2006, გვ. 134). სარწმუნობა არ არის იგივე, რაც სანდონბა. გახსოვდეთ, რომ სანდო ტესტის მეშვეობით განსაზღვრული ფაქტის შეფასება ხდება ყოველთვის ერთგვაროვნად, სარწმუნო ტესტს კი შეუძლია, ერთგვაროვნად შეაფასოს არასწორი ფაქტიც!

## განზოგადება

ისტორიულად განათლების სფეროში კვლევის ჩატარება დაკავშირებულია განზოგადების შესაძლებლობასთან, რაც გულისხმობს კვლევის შედეგების გამოყენების შესაძლებლობას განსხვავებულ გარემოსა ან კონტექსტში. კვლევის აღმოჩენები ეფუძნება პირთა მცირე ჯგუფის ქცევას, რისი მეშვეობითაც მკვლევრები ცდილობენ, ახსნან ხალხის ფართო ჯგუფების ქცევა. მაგრამ განზოგადების ეს იდეა პირდაპირ არ გამოიყენება სწავლების პროცესში კვლევის დროს, თუმცა პედაგოგებს, აღმინისტრატორებსა და პოლიტიკის განმსაზღვრულ პირებს შორის გაბატონებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სწავლების პროცესში კვლევის აღმოჩენების გამოყენება და გადატანა უნდა შეიძლებოდეს. ბევრ მათგანს სჯერა, რომ ჩვენ უნდა შეგვეძლოს ერთი კლასის, ერთი სკოლისა და ერთი რაიონის კვლევის შედეგების განზოგადება შეტატის ან ქვეყნის ყველა მსგავს კლასზე. ეს არ არის ჩვენი კვლევის მიზანი.

სწავლების პროცესში კვლევის მიზანია, გაიგოთ, რა ხდება თქვენს კლასში ან სკოლაში და განსაზღვროთ, რისი გამოსწორება შეგიძლიათ (საგორი, 1992). შესაბამისად, სწავლების პროცესში მკვლევრებს არ სჭირდებათ მონაცემთა განზოგადების შესაძლებლობაზე ნერვიულობა, რადგან მათი მიზანი არ არის საბოლოო ჭეშმარიტების აღმოჩენა. თუმცა წინამდებარე წიგნის ერთ-ერთ მიმომზილველს განზოგადებისგან გათავისუფლებაზე შემდეგნაირი რეაქცია ჰქონდა:

მე ვმიშობ, ასეთი მიღებით ჩემს კოლეგებს გაუწინდებათ განცდა, რომ სწავლების პროცესში კვლევა არის არამეცნიერული, მიკერძოებული და განზოგადების

შესაძლებლობას არ გვაძლევს. ზოგიერთი ასეთ კვლევაზე ნაშრომს „მაკულატურას-აც“ უწოდებს. არგუმენტი, რომელსაც ისინი ხშირად იშველიერი, ასეთია: – როგორ შეიძლება კვლევა იყოს კარგი, თუ მისი განზოგადება შეუძლებელია? (ანონიმური მიმომშილველი).

მართლაც, სწავლების პროცესში კვლევა ნდობის პრობლემას წააწყდა აკადემიურ წრებში, სადაც კითხვის ნიშნის ქვეშ აუკრიბები კვლევის „მეცნიერულ“ ღირებულებას. მსგავსი არგუმენტის გამოყენებით, სტრინგერმა (1996) შემდეგნაირად უპასუხა:

სწავლების პროცესში კვლევის მეცნიერულად აღიარება-არალიარების საკითხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვმარტავთ თავად მეცნიერებას: ერთი მხრივ, იგი არის მკაცრად ემპირიული, იმდენად, რამდენადაც მოითხოვს საკვლევი ფენომენის ნათლად განსაზღვრას და დაკვირვებას. ასევე ცხადია ის, რომ სწავლების პროცესში კვლევა არ მისდევს ზუსტად განსაზღვრულ პროცედურებს, რომლებიც მეცნიერულ მეთოდებად არის აღიარებული. (გვ. 145).

სტრინგერი განაგრძობს დასაბუთებას: იმის ნაცვლად, რომ მეცნიერულ მეთოდს გაეუმჯობესებინა ჩვენი ცოდნა „ზუსტ მეცნიერებებში“, ადამიანის ქცევის შესწავლისას ამ მეთოდის გამოყენებამ მცირე წარმატებას მიაღწია, რაც გამოიხატა ადამიანთა ქცევის წინასწარი განჭერების შესაძლებლობის გაზრდით. საგანმანათლებლო კვლევის შესახებ ერთ-ერთი სახელმძღვანელო ეთანხმება, რომ სწავლების პროცესში კვლევა არის მთლიანად განსხვავებული ტიპის კვლევა და, შესაბამისად, არ უნდა იყოს განზოგადებაზე ორიენტირებული. მაგალითად, ვოკელი და აშერი (1996) აცხადება:

სწავლების პროცესში კვლევა ეხება მეცნიერული მეთოდების ან კვლევის სხვა მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას ყოველდღიურ პრობლემებთან გასამკლავებლად. იგი მიმართულია პედაგოგებსა და საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე სხვა პირებზე, რომლებიც ჩართული არიან სწავლების პროცესში კვლევაში, რათა მათი პედაგოგიური საქმიანობა უფრო პროდუქტული გახადონ. სწავლების პროცესში კვლევა ორიენტირებულია კონკრეტულ კლასებზე და ნაკლებად აინტერესებს განზოგადებული დასკრინები სხვა კლასების ან პროგრამების შესახებ. (გვ. 10).

სწავლების პროცესში კვლევა საკლასო ოთახის/სკოლის დონეზე არ არის „მაკულატურა“. როგორც მკვლევარი პედაგოგები, ჩვენ კითხვის ნიშნის ქვეშ ვაკრიბო ექსპრიმენტული მეცნიერების შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ ერთადერთი სანდო კვლევა არის ის, რომლის ფართო მასებზე განზოგადებაც შეიძლება. მკვლევარი პედაგოგის ბევრი მაგალითი შეიძლება განვაზოგადოთ სხვა კლასის ფონზეც, თუმცა სწავლების პროცესში კვლევის სიძლიერე გამოიხატება არა მისი განზოგადების შესაძლებლობით, არამედ მკვლევრისთვის ან მკვლევრის აუდიტორიისთვის კვლევის აქტუალურობითა და საჭიროებით.

## ტენდენციურობა სწავლების პროცესში კვლევის ჩატარებისას

კვლევის განზოგადებასთან კავშირშია ტენდენციურობის საკითხი. თუ ჩვენ კვლევას გატარებთ სისტემურად და მოწესრიგებულად, მაშინ კვლევის შედეგების მიმართ ტენდენციურობის შესაძლებლობას შევამცირებთ. თუმცა ისეთ საქმიანობაში, როგორიც სწავლების პროცესში კვლევის ჩატარებაა, ობიექტურად დარჩენა, რთული ამოცანაა. შედარებით მარტივია, კვლევის დროს შევაგროვოთ ისეთი მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ ისედაც დადგენილ წესებს, რათა შევინარჩუნოთ სტატუს-კვრ, საკუთარი თავი შევაქოთ (მხარზე ხელი შემოვიკრათ, შექების ნიშნად) და იგ-

ნორირება გავუკეთოთ წინააღმდეგობრივ მასალებს, ან უარყყოთ კვლევების შედეგები. იგივე შეიძლება ითქვას საჭირო ლიტერატურის მიმოხილვის შესახებ, ანუ შეგვიძლია მიმოვისილოთ მხოლოდ ის ლიტერატურა, რომელიც ამყარებს ჩვენს პიპოთეზას, რომლის წამოწევაც გასურს. არცერთი ზემოთ ჩამოთვლილთაგან არ არის მისაღები მიდგომა მონაცემთა შეგროვებისას.

### თეორია

ტენდენციურობის თავიდან ასაცილებლად შეიძლება ჩამოაყალიბოთ თეორიების სია იმის შესახებ, თუ რის აღმოჩენას აპირებთ კვლევის დროს. ეს თეორიები დაკავშირებულია თქვენს რწმენასა და მიერრძოებულობასთან, რასაც შეუძლია ავნოს თქვენს კვლევას. ეს თეორიები ასევე კარგი საწყისია იმისათვის, რომ მკვლევარმა პედაგოგებმა დაიწყონ სწავლებისა და სწავლის შესახებ, ასევე მათი წარმოშობის თაობაზე თეორიების შემოწმება. მაგალითად, პედაგოგს, რომელსაც სურს გამოიკვლიოს, რა ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების მიღწევებზე თვალსაჩინოებები მათემატიკაში, შეუძლია, შემდეგი სახის თეორია წამოაყენოს:

1. მათემატიკის სწავლებისას თვალსაჩინოების გამოყენება გააუმჯობესებს მოსწავლებში მათემატიკის კონცეპტუალურ ცოდნას.
2. თვალსაჩინოების გამოყენება დაგვეხმარება, დაგძლიოთ მათემატიკის მიმართ შიშის გრძნობა, რადგან ბავშვები უფრო გაერთობიან ამ საგნის სწავლის დროს.
3. თვალსაჩინოების გამოყენება გააუმჯობესებს მოსწავლეებში ძირითად არითმეტიკულ უნარებს.

ამ თეორიების უკეთ შესწავლა სასარგებლო საქმიანობაა იმის დასადგენად, თუ რისი აღმოჩენის სჯერათ მკვლევარ პედაგოგებს კვლევის დაწყებამდე და რას გააკეთებენ იმისთვის, რომ ბოლომდე უურადღებით იყვნენ მონაცემების შეგროვების პროცესში (მკვლევრის ტენდენციურობის საკითხი). ეს საქმიანობა მკვლევარი პედაგოგის საკლევი საგნის კონცეპტუალურ საფუძველს ნათელს ჰქონის, რასაც ახორციელებს იმ თეორიის, რომელიც გავლენას ახდენს მის კვლევამდელ, კვლევისდროინდელ და კვლევისშემდგომ მოქმედებაზე, ცხადად გამოკვეთით.

### დასკვნა

წინამდებარე თავში მიმოვისილეთ სისწორე, სანდოობა, განზოგადება და მათი გავლენა სწავლების პროცესში კვლევის ჩატარებაზე. სისწორე არის ტესტი ჩვენ მიერ შეგროვებული მონაცემების სიზუსტის შესაფასებლად. სისწორის შესაფასებლად ანდერსონისა და სხვების (1994), გუბას (1981), მაქსველისა (1992) და ვოლკოტის (1994) მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმების მიმოხილვა დაგვეხმარება, უზრუნველვყოთ სწორი კვლევა.

სანდოობა არის „ხარისხი, რომლითაც ტესტი აფასებს ფაქტს, რომელიც უნდა შეეფასებინა“. განზოგადება ეხება კვლევის შედეგების სხვა გარემოსა და კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობას. განზოგადების პირდაპირი დანიშნულება არ არის მისი სწავლების პროცესში კვლევაში გამოყენება, მისი ზედმეტად კონტექსტუალიზებული სასიათის გამო.

## **საკითხები სამომავლო მსჯელობისთვის**

1. სწავლების პროცესში თქვენს კვლევაში როგორ განიხილავდით სისწორის, სანდოობისა და განზოგადების საკითხებს?
2. რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ მიერ დაგეგმილი ჩარევა რეალურად მოაგვარებს პრობლემას?
3. როგორ მიაწოდებდით ინფორმაციას თქვენს კოლეგებს?



თავი

5

ეთიკა

წინამდებარე თავში განხილულია ეთიკის საკითხები, რომელთაც პედაგოგები კვლევის დროს აწყდებიან, და შემოთავაზებულია რჩევები კვლევის ეთიკური ნორმების მიხედვით ჩასატარებლად.

წინამდებარე თავის წაკითხვის შემდეგ ნათლად უნდა გვესმოდეს ის ეთიკური საკითხები, რომებიც სამოქმედო კვლევის განხორციელებას აზლავს.

# ტექნიკის გამოყენება მათემატიკაში მიღწევების გასაუმჯობესებლად

## ქლემ ანისი

ბავშვები ადრეული ასაკიდან სწავლობენ სინათლის სხივის გარდატეხის საკითხს. როდესაც აკვარიუმს უყურებენ, ისინი ხდავენ, რომ თევზები, ქვები, მცენარეები და სათამაშოები უფრო დიდად ჩანან, ვიდრე რეალურად არიან; მათი მოძრაობა, ფორმა, ზომა დამახონჯებულია შექტების გამო. ჩეენ ყველას გვერნია ცხოვრების განმავლობაში ისეთი მოქმედი, როდესაც ცვდილობდით, ამოგვეხსნა ეს მოვლენა და გაგვეგო, რატომ გვეჩვენებოდა აკვარიუმის მობინადრეები სხვანაირად, თუ მოვინდომებდით მათთან შეხებას ან ხელის მოკიდებას, აღმოჩნდებოდა, რომ ისინი სულ სხვანაირად გამოიყურებოდნენ. შეიძლება თუ არა, იგივე ვთქვთ მათემატიკის რეფორმაში ტექნოლოგიის გამოყენებაზე? სწორად აღიგვემათ თუ არა საკლასო ოთახში მიმდინარე მოვლენებს? დანიშნულებისამებრ იყენებენ თუ არა მოსწავლეები და პედაგოგები ტექნიკას, თუ, უბრალოდ, კომპიუტერთან თამაშობენ? უკავშირებენ თუ არა ერთმანეთს მოსწავლეები და პედაგოგები კომპიუტერის გამოყენებით მოდელის წარმოდგენას და ცნებებს, რაც მოდელის არსს გამოხატავს? რა ზეგავლენას ახდენს მათემატიკის სასწავლო პროგრამისა და სწავლების მეთოდის გაუმჯობესების მაზრით ტექნოლოგიების გამოყენება მოსწავლეების მიერ მათემატიკის სწავლის შედეგებზე? ამ უკანასკნელმა შეკითხვამ განაპირობა ბილაბონგის დაწყებითი სკოლის მასშტაბით სამოქმედო კვლევის პროექტის განხორციელება.

ბილაბონგის დაწყებითი სკოლა არის საკმაოდ დიდი დაწესებულება, სადაც სწავლება მიმდინარეობს მე-7 კლასის ჩათვლით. სკოლაში ფართოდ გამოიყენება ტექნოლოგიები, როგორც მათემატიკის სწავლების რეფორმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. სკოლის ვიზიტორებს, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, სთავაზობენ სკოლის დასათვალიერებელ ტურებს. ბილაბონგის დაწყებითი სკოლის პედაგოგები მიიჩნევენ, რომ ისინი „ასწავლიან აკვარიუმში“ და მათი დანახვა გარე თვალისოვნის ნებისმიერ დროს შეიძლება. ბევრი ფაქტორის გამო სკოლა განსხვავდება სხვა ტრადიციული სკოლებისაგან. სკოლის ვიზიტორებს სთავაზობენ, შეიხდონ საკლასო ოთახებში ფართო ფანჯრებიდან და დაინახონ საკლასო ოთახებში მიმდინარე მოვლენები.

ბილაბონგის დაწყებითი სკოლის დირექტორს პედაგოგები ახასიათებენ როგორც „ბრძენ სელმძღვანელს“. სკოლას აპარატურისა და კომპიუტერული პროგრამების დიდი კოლექცია აქვს, რაც დირექტორის მიერ გრანტების მოპოვების შედეგია. დირექტორის შორს მჭიდრეტელობის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულება სკოლისოვნის ტექნოლოგიების წარდგენა იყო. ტექნიკით სკოლის აღჭურვა შესაძლებელი გახდა სკოლის ბიზნესპარტნიორების დახმარებით,

რასაც სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობდა. იგი დაინტერესებულია ბილაბონგის სკოლაში ტექნოლოგიების გამოყენებით, რადგან ფიქრობს, რომ ამით რეალურ ცხოვრებასა და სკოლის ცხოვრებას შორის არსებული ხარვეზის ამოესებას შეძლებს; იგი მიიჩნევს, რომ ხარვეზების შევსების ერთ-ერთი საშუალება არის ტექნოლოგიების კარგად ათვისება, ისე, რომ ბავშვები მოამზადოს 21-ე საუკუნისთვის.

როგორც ადგილობრივმა მრჩეველმა, რომელიც პასუხისმგებელია, უხელმძღვანელოს მომზადე პერსონალს სკოლის განვითარების საქმიანობაში, მკვლევართა ჯგუფთან ერთად გადავწყვიტე, გამომექვლია, თუ რა გავლენა პერიოდა ტექნოლოგიებში ინგენიერებას მოსწავლეების მათემატიკაში მოსწრებაზე. კერძოდ, გვაინტერესებდა:

1. ჩეენ მიერ ტექნოლოგიების გამოყენება რამდენად შესაბამებოდა მათემატიკის მასწავლებლთა ეროვნული საბჭოს სტანდარტებს (შეს);
2. აღნიშნული სტანდარტები როგორ იყო ასახული სწავლების პრაქტიკასა და მოსწავლეთა შედეგებზე.

ჩეენმა მკვლევართა ჯგუფმა გადაწყვიტა, შეგვეგროვებინა მონაცემები ერთმანეთის კლასში დაკვირვების, პედაგოგებისა და ბავშვების ინტერვი-

უირების გზით, მათემატიკაში ტესტირების მონაცემების ანალიზირებით; ასევე, შეგვედარებინა მათემატიკის სასწავლო პროგრამა სხვა სკოლების მათემატიკის პროგრამებთან, რომლებიც შექსის სტანდარტების შესაბამისად იყო შედგენილი. როდესაც ფაკულტეტს წარვუდინეთ ჩვენი პროექტი, აღმოჩნდა, რომ ყველა პედაგოგის, დირექტორის ჩათვლით, სურვილი ჰქონდა, დაგვეხმარებოდა და საშუალება მოეცათ, შეესულიყავით მათ კლასებში, ცდილობდნენ, მოწოდებინათ სასწავლო პროგრამის მასალები და ა.შ. ჩვენ იმედი გვქონდა, მოვიპოვებდით ტექნოლოგიების ჩარევის შესახებ ინფორმაციას და ფაკულტეტის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით დავსახავდით გეგმებს.

როდესაც გავლით ბილაბონგის დერეფენტში, საკმაოდ ბევრ საზოგადოებრივ რამეს დანიასავთ, საკლასო ოთახები ღიაა ცნობისმოყვარე თვალისოფას. დაწყებით კლასებში, მესამე კლასის ჩათვლით, დგას ექსი კომპიუტერი და სკანერები. კომპიუტერები სკოლის ბიბლიოთეკის ქსელთან არის შეერთებული (რითაც CD-ROM-ის ფართო კოლექციაზე მიუწვდებათ ხელი). მე-4 – მე-7 კლასელთათვის საკლასო ოთახებში მოთავსებულია ყველა სახის საჭირო ტექნიკა, თითოეული კლასისათვის ექს-ექსი კომპიუტერის ჩათვლით. ყველა ბავშვს ინდივიდუალურად ეძლევა ლექტოპი, რათა წლის განმავლობაში გამოიყენოს. კომპიუტერი ბავშვებისთვის საკლასო სამუშაოს ყოველდღიური შემადგენელი ნაწილია, რა დროსაც ისანი დაკავებული არიან HyperCard-ის კომპიუტერულ პროგრამაში დოკუმენტის შექმნით, მათემატიკური თამაშებით და ასე შემდეგ. ოქვებ შეგიძლიათ ეწვიოთ მათემატიკის სწავლების ცენტრებს, სადაც თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს სხვადასხვა სახს მათემატიკური თვალსაჩინოებები. მათგან მხოლოდ ცირკულარი რომ ჩამოვთვალოთ, ესენია: ათწილადი კუბები, რაოდნობის თანმიმდევრულად გამომზატველი ცხრილები, ასაწყობი მასალა, ფერადი სათამაშო კოჭები, თანგრამები (ჩინური გეომეტრიული თავსატეხი) და გეომეტრიული დაფები.

თუმცა ერთმანეთის საკლასო ოთახებში ყოფის დროს რაც დავინახეთ, განსხვავდებოდა იმისგან, რაც გვერდიდან, ერთი შეხედვით, ჩანდა. მაგალითად, როდესაც გარედან ვაკირდებოდით, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნებოდა, რომ კლასებში ბავშვები ძალიან დაკავებული იყვნენ კომპიუტერში მათემატიკური თავსატეხების გამოყვანით, თუმცა მათი უმეტესობა უფრო ნაკლებად აქციური იყო და ამოცანის მიზანიც იყარგებოდა. ბევრი ბავშვი

ჩართული იყო თამაშში drill-and-kill (რაც კონკრეტულ სფეროში საგნების სახელწოდების დამახსოვრებას გულისხმობს) და არავითარი კავშირი არ ჰქონდა მათემატიკის სწავლასთან. კომპიუტერები ელექტრონული სამუშაო ფურცლის დანიშნულებას ასრულებდნენ, რაც საშუალებას იძლეოდა, ბავშვები უსაქმერად არ მსხდარიყვნენ მას მერე, რაც მათემატიკურ დაგალებას შეასრულებდნენ.

ბავშვებთან ინტერვიუები საკმაოდ მრავლისთვის აღმოჩნდა. როდესაც ბავშვების ინტერვიურება მოვახდინეთ, ჩვენ გარანტია მივეცით, რომ მათი პასუხები კონფიდენციალური იქნებოდა და ვთხოვთ, ყოფილიყვნენ გულწრფელი ჩვენთან საუბარში, რადგან ჩვენი მიზანი იყო, მათემატიკის სწავლისთვის საუკეთესო გარემო შეგვეჩნა. ზოგიერთი ბავშვი უკიდურესად გულწრფელი იყო: დეტალურად გვიძებეს, რა სახის კომპიუტერულ თამაშებს იყენებდნენ მათი მათემატიკის პედაგოგები. ზოგიერთი თამაში ბავშვებმა გამოკვეთილად დაახასიათეს როგორც დროის ფუჭად კარგვა, ბავშვების ერთმა ნაწილმა კი პედაგოგები დაახასიათა როგორც პირები, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ კომპიუტერის დანიშნულებასა და გამოყენებაზე. ბავშვების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ზოგი რამ ჩვენ მიერ საკლასო ოთახებზე დაკირვების შედეგებითაც დადასტურდა, როდესაც ბავშვები კომპიუტერში თაგუნიასა და გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ოსტატურად ჯდაბიდნენ, ხოლო როგორც პედაგოგი უახლოვდებოდათ, ეკრანზე სწრაფად ხსნიდნენ drill-and-kill-ის გერედს (სიტყვების დამახსოვრების პროგრამა).

მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერებს აქციურად იყენებდნენ, მათი დანიშნულებისამტბრ გამოყენების საკითხი ეჭვის იწვევდა. ეს ყველაზე ცხადად გამოჩნდა ერთ კლასში, სადაც კომპიუტერებიდან გამოთვლის/კალკულატორის ფუნქცია ამოიღეს. და როგორც ერთმა პედაგოგმა განმარტა, „ბავშვებს არ აქვთ უნარი, გონიერი გამოთვალინ/დათავლონ, მათი ძირითადი უნარები გაუარესდა... ასე რომ, ვერ მივცემთ კალკულატორს გამოყენების უფლებას, ვიღრე არ გაიუწეობესებენ ძირითად უნარებს!“ როგორც აღმოჩნდა, ბედაგოგები ერთსულოვნად აღიარებდნენ, რომ ბავშვებისთვის კომპიუტერთან მუშაობის შესაძლებლობის მიცემასა და მათში ძირითადი მათემატიკური მოქმედებების გახსენების უნარის დაქვეითებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობდა.

პედაგოგების ინტერვიურებით კი სხვა პრობლემა გამოიკვეთა. ბევრი პედაგოგისთვის უცნობი იყო

**შექაის** სტანდარტების შესახებ და, შესაბამისად, ისინი განაგრძობდნენ ძველი, უკვე „ნაცადი და დამტკიცებული“ მეთოდებს გამოყენებას, მიუხდავად იმისა, რომ სკოლის დირექტორი ახალი სახელმძღვანელოების შემოღებას უწევდა აგიტაციას. სინამდვილეში ზოგიერთი პედაგოგი უქმაყოფილო იყო ახალი სახელმძღვანელოს შემოღებით, რადგან ამ წიგნის სახელმძღვანელოდ შერჩევის პროცესში დირექტორს, რომელიც წიგნის ავტორის მეცნიერი იყო, არცერთი პედაგოგისთვის არ უკითხავს აზრი, სამაგიეროდ მან სკოლა სასწავლო მასალების გამოსაცდელად სახელმძღვანელოს ასლებით უფასოდ მოამარადა.

რაიონის სხვა სკოლებთან შედარებით, ჩვენი ბავშვები საშუალოზე დაბალ დონეზე არიან შტატის მასშტაბით ჩატარებული შეფასებით. ამნ საკმაოდ გააკვირვა ზოგიერთი პედაგოგი, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ მათი ბავშვები კარგად სწავლობდნენ მათემატიკის სტანდარტების მხრივ; გამონაკლისი მხოლოდ პასუხის რამდენიმევარიანტიაზე ამოცანის ამოხსნა და აღგებრული ამოცანები იყო. პედაგოგების აზრით, პრობლემას ქმნიდა არასათანადო ტესტები და ტექნოლოგიების გამოუყენებლობა.

სკოლის მასშტაბით ჩატარებულმა სამოქმედო კვლევამ კვლევის ჯგუფი საკმაოდ რთული ეთიკური დილემის წინაშე დააყენა:

1. რა ვუყოთ იმ მონაცემებს, რომლებმაც სკოლის კონკრეტული პედაგოგების შესახებ უკითხოებით სურათი მოგვაწოდა? გაუზ-

იარებთ თუ არა მონაცემებს პირადად პედაგოგებს, რომლებიც მოსწავლეებმა საუბრისას გამოყენებს? რა სახის რისკის მატარებელია ასეთი ინფორმაციის გაზიარება? როგორ შეიძლება პროფესიულ განვითარებას შევუწყოთ ხელი ისე, რომ არავის ვაწყენიონო?

2. რა ვუყოთ იმ მონაცემებს, რომლებიც სკოლის დირექტორის მიერ სასწავლო მასალის შერჩევით გამოწვეულ უქმაყოფილებას ეხება? ხომ არ გამოიწვევს ეს პედაგოგებსა და დირექტიას შორის გაუცხოებას? შეიძლება, რომ რომელიმე პედაგოგს მიადგეს ზიანი სკოლის დირექტორის შესაძლო მოქმედებით?
3. როგორ შეიძლება მოსწავლეების მოსწრების გაუმჯობესება ტექნოლოგიის გამოყენებით ისე, რომ ამ პროცესში ზიანი არ მივაყენოთ პედაგოგებს (და დირექტორს).

სამოქმედო კვლევის ჯგუფმა, გადაუწყვიტეთ, გვემოქმედა ისეთი ტაქტიკით, რომ ზიანი არავისთვის მიგვეყნებინა და ისე გადაგვჭრა კვლევის შედეგებთან დაკავშირებული საკითხები. ფაკულტეტის სხდომაზე პედაგოგებს გაუზიარეთ კვლევის ზოგადი აღმოჩენები და შეგთავაზეთ, სურვილის შემთხვევაში შეგბრვედროდნენ, რათა განგვეხილა მათი კლასის შესახებ მიღებული ინფორმაცია. ასევე, მოვიწვიეთ სკოლის დირექტორი კვლევის შედეგების განსახილებაზე, რაც სამომავლო პროფესიული განვითარების საშუალებას მოგვცემდა.

**ე**ს მოქლე ისტორია მშვენიერი მაგალითია იმისა, რომ საგანმანათლებლო კვლევის ჩატარების დროს შეიძლება სრულიად მოულოდნელი ფაქტები და მოვლენები აღმოგაჩინოთ. აღნიშნული ამბის მიზანია არა მკვლევრების დაშინება, არამედ მაგალითია იმისა, თუ რამდენი სახის გამოწვევას შეიძლება წარწედეს მკვლევარი პედაგოგი საკუთარ კლასში ან სკოლაში კვლევის განხორციელების დროს. წინამდებარე თავი დაქმარება მკვლევარ პედაგოგებს, შემოუშაონ საკუთარი ეთიკური ნორმები, რაც საშუალებას მისცემს, სათანადოდ იმოქმედონ იმ შემთხვევაში, თუ ეთიკური დილემის პირისპირ აღმოჩინდებიან.

## კვლევის ეთიკა

ეთიკური მოსაზრებები ყველა სამეცნიერო კვლევაშია გათვალისწინებული. შესაბამისად, ყველა მკვლევარმა უნდა იცოდეს და ყურადღება მიაქციოს მათ კვლევასთან დაკავშირებულ ეთიკურ საკითხებს. კვლევაში მიზანი არ ამართლებს საშუალებას, ამიტომ მკვლევრები პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ კვლევის ჩატარებას, რათა უზრუნველყონ მასში მონაწილე პირთა კეთილდღეობა. სამეცნიერო კვლევა დამყარებულია მკვლევარსა და მონაწილეს შორის ურთიერთნდობის პრინციპზე, და მკვლევართა ვალდებულებაა აღნიშნული ნდობის შენარჩუნება, თუ სურთ, რომ მონაწილე მონაცემები მიაწოდოს.

**ა) პრინციპი – კეთილგანუყობა და არა მავნებლობა**  
 ფსიქოლოგები იღვწიან იმ პირების კეთილდღეობისთვის, ვისთანაც ისინი მუშაობენ და სიფრთხილით ეკიდებიან, რომ ზიანი არ მიაყენონ; ცდილობენ, უზრუნველყონ იმ პირთა კეთილდღეობა და უფლებები, ვისთანაც პროფესიულად ურთიერთობენ; იმათოც, ვისაც რაიმე აწესებს, ასევე იზრუნონ საცდელი ცხოველების კეთილდღეობაზე. როდესაც ფსიქოლოგებში ინტერესთა კონფლიქტი წარმოშობა, ისინი აგვარებენ კონფლიქტს პასუხისმგებლობის გრძნობით და ისე, რომ ზიანი თავიდან აიცილონ ან მინიმალიზება მოახდინონ. იმის გამო, რომ ფსიქოლოგთა მეცნიერულ და პროფესიულ შეფასებას შეუძლია სხვების ცხოვრებაზე იმოქმედოს, ისინი სიფრთხილით ეკადებიან მას და დაცულები არიან პირადი, ფინანსური, სოციალური, ორგანიზაციული ან პოლიტიკური ფაქტორებისაც, რამაც შეიძლება მათი გავლენის ბოროტად გამოყენება გამოიწვიოს. ფსიქოლოგებმა კარგად უნდა იცოდნენ საკუთარი შესაძლებლობები, ანუ რამდენად შეუძლიათ დაეხმარონ იმ ხალხს, ვისთანაც მუშაობენ.

**ბ) პრინციპი – ერთგულება და პასუხისმგებლობის გრძნობა**

ფსიქოლოგები პირებთან, ვისთანაც მუშაობენ, ურთიერთობას აგებენ ნდობაზე, მათ კარგად იციან საზოგადოებისა და კონკრეტული საზოგადოებრივი წრის მიმართ საკუთარი პროფესიული და მეცნიერული ვალდებულებების შესახებ. ფსიქოლოგები ერთგული არიან ქცევის პროფესიული სტანდარტებისა, კარგად აცნობიერების თავის პროფესიულ როლს და ვალდებულებას და პასუხს აგებენ საკუთარ ქცევაზე, ყოველ ღრესს ხმარობენ, მოაგვარონ ინტერესთა კონფლიქტი, რასაც ზიანის გამოწვევა შეუძლია. ფსიქოლოგები კინსულტაციის გადას, მიმართავთ თხოვნით თანამშრომლობენ სხვა პროფესიონალებთან და ინსტიტუტებთან იმ ოდენობით, რამდენსაც მათი კლიენტების კეთილდღეობა მოითხოვს. ისინი დაინტერესებულნი არიან, თავიანთი კოლეგების მეცნიერული და პროფესიული ქცევის ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობით.

ფსიქოლოგები ძალა-ღინეს არ იშურებენ, რათა წვლილი შეიტანონ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში, მცირე ან კომპენსაციის გარეშე, ან პირადი კეთილდღეობის სანაცვლოდ.

**გ) პრინციპი – პატიოსნება**

ფსიქოლოგები ხელს უწყობენ სიზუსტეს, გულწრფელობასა და სანდომისა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, სწავლებასა და პრაქტიკაში. ამ საქმიანობის

დროს ფსიქოლოგები არ იძარავენ, არ ატყუებენ, ან ებრძებიან თაღლითურ გარიგებებსა და სრიკებში, არ ამახინჯებენ ფაქტებს გამიზნულად. ფსიქოლოგები მისწრაფებიან, შესარულონ დაპირებები და თავი აარიდონ უძასუსისმგებლი ან ბუნდოვან ვალდებულებებს. ისეთ სიტუაციაში, სადაც მოტუება შეიძლება ეთიკურად გამართებული იყოს, უნდა მოხდეს სარგებლის მაქსიმალურად გაზრდა და ზიანის მინიმუმმდე დაკავნა. ფსიქოლოგები კონფლიქტი პასუხისმგებლი არიან, გათვალისწინონ საჭიროება, შესაძლო შედეგები და მათი პასუხისმგებლობა, გამოასწორონ ნებისმიერი უნდობლობა ან სხვა ზიანი, გამოწვეული ასეთი მეთოდების (მოტყუების) გამოყენებით.

**დ) პრინციპი – სამართლიანობა**

ფსიქოლოგები აღიარებენ, რომ სამართლიანობა და სამართლი ნებას აძლევს ყველა ადამიანს, გამოიყენონ ფსიქოლოგიური მიღწევები და სარგებელი მიიღონ მისგან. განხორციელებული ფსიქოლოგიური მომსახურება უნდა იყოს თანაბარი ხარისხის, პროცედურისა და მომსახურების. ფსიქოლოგები საღად აფასებენ და არიან ფრთხილინი, რათა აიცილონ თავიანთი საგარაუდო მიკრობა, დაიცვან კომპეტენციის ფარგლები და საექსპერტო შეფასების ლიმიტები, რაც არ გადაიზრდება ან არ გამოიწვევს უსამართლო პრაქტიკას.

**ე) პრინციპი – პატივი ეცით ხალხის უფლებებსა და ღირსებას**

ფსიქოლოგები პატივს სცემენ ყველა ხალხის ღირსებას და პირადი ცხოვრების, კონფიდენციალურობისა და თვითგამორკვევის უფლებას. ფსიქოლოგებისთვის ცნობილია, რომ სპეციალური გარანტიები შესაძლო საჭირო იყოს ხალხისა და საზოგადოების უფლებებისა და კეთილდღეობის დასაცავად, რომელთა მოწყვდალიაც ასუსტებს მათ დამოუკიდებლობას გადაწყვეტილების მიღების დროს. ფსიქოლოგებისთვის ცნობილია და პატივს სცემენ კულტურულ, ინდივიდუალურ და როლების სხვაობებს, ასაკის, სქესის, გენდერული იდენტიტების, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, კულტურული, ნაციონალური, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციის, უნარშესულებლობის, ენის, სოციალურობის კულტურის ჩათვლით და ითვალისწინებენ ამ ფაქტორებს, როდესაც აღნიშვნული ჯგუფების წარმომადგენლებთან მუშაობენ. ფსიქოლოგები ცდილობენ, აღმოფხვრან მიკერძოების გავლენა სამუშაოზე, რომელიც დაფუძნებულია ზემოთ ჩამოვლილ ფაქტორებზე, ისინი შეგნებულად არასიდეს მონაწილეობები ცრურწენებზე დაფუძნებულ საქმიანობაში და არ ურიგდებიან მათ.

## №5-1 გრაცება. ზოგადი ეთიკური პრინციპები

წყარო: „ფსიქოლოგების ეთიკური პრინციპები და ქცევის კოდექსი“, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია, 2002, ამერიკელი ფსიქოლოგები, 57, გვ. 1060-1073. საავტორო უფლებები დაცულია ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ, კ 2002, ხელახლა გამოცემულია ნებართვით.

ბევრმა პროფესიულმა ორგანიზაციამ საკუთარი წევრებისთვის ეთიკური ქცევის კოდექსები ჩამოაყალიბა. №5-1 გრაფა გვიჩვენებს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის მკვლევრებისთვის შედგენილ ეთიკის კოდექსის ზოგად პრინციპებს. ყურადღება მიაქციეთ, რომ დამატებითი და უფრო დაკონკრეტებული ეთიკური სტანდარტები დაჯგუფებულია ქვემოთ მოყვანილ რვა კატეგორიად: (1) ზოგადი სტანდარტები; (2) შეფასება, შემოწმება ან ჩარევა; (3) ინფორმირება და სხვა საჯარო განცხადებები; (4) თერაპია; (5) საიდუმლობა და კონფიდენციალურობა; (6) სწავლება, ტრენინგი, ხელმძღვანელობა და გამოქვეყნება; (7) სასამართლო საქმიანობა და (8) ეთიკური საკითხების მოგვარება. თქვენ შეგიძლიათ სრულ ტექსტს გაუცნოთ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ვებგვერდზე (<http://apa.org/ethics/code.html>). სხვა პროფესიული ორგანიზაციების უმეტესობას, როგორიც, მაგალითად, ამერიკის საგანმანათლებლო კვლევის ასოციაცია და ამერიკის სოციოლოგთა საზოგადოებაა, აქვთ კვლევისთვის მსგავსი ეთიკური კოდექსები.

1974 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა კანონის ძალა მიანიჭა კვლევის ეთიკურ კოდექსებს. სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის საჭიროება გრაფიკულად არის ნაჩვენები მრავალი კვლევის მიხედვით: მკვლევრები, საკუთარი კვლევის ჩატარების გამო, ატყუებდნენ ან საფრთხის ქვეშ აყენებდნენ კვლევაში მონაწილე პირებს. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ განხორციელებული ჯგუფური ზეწოლას კვლევისას მკვლევრები ატყუებდნენ მონაწილე პირებს და აკვირდებოდნენ, თუ რას ფიქრობდნენ ისინი სხვა მონაწილეებზე მათზე რეალური ელექტროშოკით ზემოქმედების შესახებ (მილგრამი, 1964); მეორე კვლევის დროს ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ, რომ სიფილისით იყვნენ დაავადებული, არ იღებდნენ მკურნალობას, რადგან შედარებითი კვლევის დროს იყვნენ საკონტროლო ჯგუფის წევრები (ჯონსი, 1998). მსგავსმა კვლევებმა გამოიწვია სახელმწიფო ნორმების დაწესება სამეცნიერო კვლევებთან მიმართებით.

## ინფორმირებული თანხმობა და ზიანისაგან დაცვა

შესაძლოა, კვლევის დროს ყველაზე ძირითადი და მნიშვნელოვანი ეთიკური საკითხი დაკავშირებულია მონაწილეთა ინფორმირებულ თანხმობასა და ზიანისგან დაცვის უფლებასთან. ინფორმირებული თანხმობა უზრუნველყოფს კვლევის მონაწილეების კვლევაში ნებაყოფლობით მონაწილეობას, ასევე უზრუნველყოფს მონაწილეთა ინფორმირებას კვლევის შესახებ და ნებისმიერ შესაძლო საფრთხეზე, რაც შესაძლოა წარმოიშვას. ინფორმირებული თანხმობა ამცირებს იმის აღბათობას, რომ მკვლევარი გამოიყენებს მონაწილეებს, დაარწმუნებს, მონაწილეობა მიღლო კვლევაში სუ, რომ არ შეატყობინებს კვლევის მოთხოვნებს; ზიანისგან დაცვა ესება მოსწავლეების რისკის წინაშე დაყენებისაგან დაცვას. იგი შეიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის კონფიდენციალურობა (მოსწავლეების დაცვა უზრუნველობისა ან დაცინვისაგან) და პირადი ცხოვრება. მონაწილეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება ან მათზე დაკირვება ისუ, რომ მათ ამის შესახებ არ იციან, ან თანხმობა არ მოუციათ, არაეთიკურია. გარდა ამისა, ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან მონაცემები, რომლებიც მიღებულია კონკრეტული პირისგან ან პირის შესახებ, უნდა იყოს მკაცრად გასაიდუმლოებული, განსაკუთრებით, თუ პირად ცხოვრებას ეხება. მონაცემების ხელმისაწვდომობა უნდა იყოს ლიმიტირებული და მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ კვლევას. ინდივიდუალური მონაწილის ჩვენება არ უნდა იყოს გამჟღავნებული ან საჯაროდ გამოყენებული მონაწილის სახელის მითითებით, მაშინაც კი, როდე-

საც ეს ინფორმაცია უწყინარ ფაქტებს შეიცავს, ისეთს, როგორიც არითმეტიკული ტესტია. მაგალითად, ჯგუფის წევრები, რომლებსაც გამოსაკვლევ საგანში დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ, შეიძლება გადაიქცნენ დაცინვის, მშობლების გაკიცხვის ან პედაგოგების არაკეთილგანწყობის ობიექტებად.

კონფიდენციალურობის ან ანონიმურობის დაცვა, რათა თავიდან ავიცილოთ პირად ცხოვრებაში ჩარევა და ზიანის მიყენება, საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა. ანონიმურობა ნიშავს იმას, რომ მკვლევრისთვის არ არის ცნობილი კვლევაში მონაწილეთა ვინაობა. ეს არ ნიშავს, როგორც ბევრს პერნა, რომ მკვლევრისთვის ცნობილია მონაწილეთა ვინაობა, თუმცა პირობას დებს, რომ არ გაამხელს. თუ მკვლევრისთვის ცნობილია მონაწილეთა ვინაობის შესახებ, მაშინ შეიძლება იყოს კონფიდენციალურობა და არა ანონიმურობა. სახელების მოშორება ან მონაცემებისთვის კოდების მინიჭება არის საკმაოდ ფართოდ გაფრცელებული საშუალება ანონიმურობის შესანარჩუნებლად. როდესაც კვლევას გეგმვთ, თქვენ უნდა აუსწნათ მონაწილეებს, რომ უზრუნველყოფთ კონფიდენციალურობას (გეცოდინებათ, მაგრამ არ გაამჟღავნებთ) ან ანონიმურობას (თქვენ არ გეცოდინებათ მონაწილეთა ვინაობა) და დარწმუნდით, რომ მათ ესმით, რა განსხვავებაა კონფიდენციალურობასა და ანონიმურობას შორის. ზოგჯერ მკვლევრებს სურთ მოიპოვონ მონაცემები წინა კვლევიდან, რათა ახალი საკითხები ძეველ მასალაზე დაყრდნობით გამოიკვლიონ. ასეთ შემთხვევებში წინა კვლევის განმახორციელებელი პირი პასუხისმგებელია, დაიცვას კვლევაში მონაწილე პირთათვის შეპირებული კონფიდენციალურობის ან ანონიმურობის გარანტია.

ორი ძირითადი საკნონმდებლო ნორმა, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო კვლევას, არის 1974 წლის „ეროვნული კვლევის აქტი“ და 1974 წლის „ოჯახის განათლების უფლებები და „საიდუმლოდ შენახვის აქტი“. „ეროვნული კვლევის აქტი“ მოითხოვს მონაწილეთა დაცვის გარანტიას; კვლევა, რომელიც ითვალისწინებს ადამიანთა მონაწილეობას, კვლევის დაწყებამდე უნდა იყოს განხილული და დამტკიცებული საამისოდ პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ. მონაწილეთა უფლებები ფართოდ არის განსაზღვრული, დაცულია ზიანისგან (ფიზიკური თუ ფიქტური) და გარანტირებულია მხოლოდ ნებაყოფლობითი მონაწილეობა (ინფორმირებული თანხმობა). თუ მონაწილეები არასრულწლოვნები არიან, ინფორმირებული თანხმობა უნდა მიიღონ მშობლების ან კანონიერი მეურვისაგან.

კოდეჯებისა და უნივერსიტეტების უმრავლესობას ჰყავს შემსწავლელი ჯგუფები, რომლებსაც ხშირად ადამიანთა საკითხების შემსწავლელ საბჭოს ან ინსტიტუტის შემსწავლელ საბჭოს უწყოდებენ. კანონის თანახმად, ეს საბჭო უნდა შედგებოდეს, სულ მცირე, ხუთი წევრისგან, და დაცული იყოს გენდერული ბალანსი. საბჭოს ერთი წევრი არ უნდა იყოს მეცნიერი და ერთ (ან მეტ) წევრს უშუალოდ უნდა ექციდეს კვლევაში მონაწილე პირთა კეთილდღეობაზე ზრუნვა. პირები, ვისაც შესაძლოა კონფლიქტთა ინტერესი წარმოეშვათ, საბჭოდან გაირიცხებიან.

როგორც წესი, მკვლევარი წარუდგენს პროექტს საბჭოს ხელმძღვანელს, რომელიც პროექტის ასლებს მიაწვდის საბჭოს ყველა წევრს. ისინი განიხილავენ პროექტს, სადაც პირთა მონაწილეობის და მათთან მოპყრობის საკითხია აღწერილი. თუ არსებობს ეჭვი, რომ მონაწილეებს შეიძლება ზიანი მიადგეთ, მკვლევარს სთხოვენ საბჭოს წევრებთან შეხვედრას, რათა უპასუხონ შეკითხებს და განმარტონ დაგეგმილი პროცედურები. თუ საბჭო დარწმუნდება, რომ მონაწილეებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ (ან თუ საგარაულო ზიანი მინიმალურია კვლევის საგარაულო სარგებელთან შედარებით), მაშინ საბჭოს წევრები დამტკიცებენ პროექტს. დამტკიცების

საბუთზე საბჭოს წევრების ხელმოწერა იმის მაჩვენებელია, რომ პროექტი მისაღებია მონაწილეთა უფლებების დაცვის საკითხის თვალსაზრისით.

1974 წლის „საიდუმლოდ შენახვის აქტი“, რომელიც ხშირად მოიხსენიება როგორც ბაქლის შესწორებები, შეაქმნა მოსწავლეთა მოსწრების შედეგების საიდუმლოების დასაცავად. ამ აქტის მუხლებში მითითებულია, რომ მონაცემები, საიდანაც მოსწავლის გინაობას ვიგებთ, არ შეიძლება გამჟღავნდეს მოსწავლისგან წერილბითი თანხმობის გარეშე (თუ სრულწლოვანია), ან მშობლისა თუ კანონიერი მეურვის თანხმობის გარეშე. თანხმობაში მითითებული უნდა იყოს, რა მონაცემები შეიძლება გამჟღავნდეს, რა მიზნით და საიდან. თუ თქვენი კვლევის ნაწილი მოითხოვს დაწყებითი სკოლის მოსწავლეების მოსწრების ამსახველი მონაცემების შეგროვებას, თქვენ დაგჭირდებათ თითოეული მოსწავლის მშობლის ან კანონიერ მეურვის წერილობითი ნებართვა და არა სკოლის დირექტორის ან კლასის დამრიგებლის ზოგადი ნებართვა. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ, თუ თქვენ გაინტერესებთ კლასის საშუალო მაჩვენებლის გამოყენება (სადაც არ არის კონკრეტული მოსწავლის ვინაობა მითითებული), დირექტორის ნებართვა საკმარისი იქნება. თუმცა, თუ თქვენ ითვლით კლასის საშუალო მაჩვენებელს თითოეული მოსწავლის მონაცემებზე დაყრდნობით, მაშინ მათი პირადი თანხმობა აუცილებელი იქნება, რადგან თქვენ ასეთ შემთხვევაში ხელი მიგიწვდებათ პირად მონაცემებთან.

არსებობს გამონაკლისები, როდესაც წერილობითი ნებართვა არ არის საჭირო. მაგალითად, სკოლაში მომუშავე პერსონალს, რომელსაც მოსწავლის მიმართ „ღეგმითმური საგანმანათლებლო ინტერესი“ აქვს, არ სჭირდება წერილობითი ნებართვა მოსწავლეების მონაცემების შესამოწმებლად. სხვა შემთხვევებში, მკვლევარს შეუძლია, პედაგოგს ან კონსულტანტს მოსთხოვოს მოსწავლეთა ბარათებიდან სახელების სრულად მოცილება ან მათი კოდებით თუ ასოებით შეცვლა. ასეთ შემთხვევაში, მკვლევარი გამოიყენებს მასალას ისე, რომ არ ეცოდინება კონკრეტული მოსწავლეების სახელები.

## მოტყუება

განსხვავებული სახის ეთიკური დილემის წინაშე ვდგებით, როდესაც მკვლევარი წარმოადგენს საკითხს, რომლის შესახებაც კვლევის მონაწილისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენს ან შეცვლის მათ პასუხებს. მაგალითად, კვლევა, რომელიც ეხება მონაწილის რასობრივ, სქესობრივ, კულტურულ ან საექიმო ორიენტაციის ან დამოკიდებულების, განსაკუთრებით აღვილად ექცევა ასეთი ზეგავლენის ქვეშ, რის გამოც მეცნიერები ხშირად უბრავენ საკვლევი საგნის რეალურ არსს; ან შეიძლება იყოს ისეთი სიტუაცია, როდესაც მკვლევარს სურდეს შეისწავლის პედაგოგის ურთიერთობა მაღალი და დაბალი მოსწავლეების მოსწავლეებთან. ასეთ დროს, თუ მკვლევარი პედაგოგებს გაანდობს კვლევის რეალურ მიზანს, სავარაუდოდ, ისინი ეცდებიან, განსხვავებულად მოიქცნენ, ვიდრე თუ ეცოდინებათ, რომ კვლევის საგანი მაღალი და დაბალი მოსწავლეების მიერ ზეპირ შეკითხვებზე პასუხების გაცემაზე დაკვირვებაა. კვლევის რეალურ საგანზე ტყუილის თქმა მიზნად ისახავს კვლევის მონაწილეთა შეცდომაში შეყვანას. კვლევა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მონაწილეთა მოტყუება, ძალიან სერიოზულად უნდა აწინ-დაიწონოს და არ უნდა განხორციელდეს. სამოქმედო კვლევის ჩატარებისას რეკომენდებულია, არ შექმნოთ ისეთ საკითხს, რომელიც ადამიანების მოტყუებას მოითხოვს. თქვენი ინსტიტუტის მრჩეველი და ადამიანთა საკითხების შემსწავლელი

ან ინსტიტუტის შემცწავლელი საბჭო მოგაწვდით რჩევებს კვლევის გეგმის ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. გახსოვდეთ, რომ სამოქმედო კვლევის ჩატარებისას თქვენ, როგორც მკვლევარ ჰედაგოგს, ეთიკური სტანდარტების დაცვის პასუხისმგებლობა გეკისრებათ.

წინამდებარე თავში მოყვანილი წყაროები და რჩევები დაგეხმარებათ, კვლევა ეთიკური ნორმების შესაბამისად ჩატაროთ. თავში მოყვანილი ეთიკური საკითხები, რასაც შეიძლება კვლევის დროს წააწყდეთ, არ არის ამომწურავი. შესაძლოა, ძირითადი ეთიკური ნორმა ის იყოს, რომ მეცნიერების სახელით არცერთ შემთხვევაში მონაწილეებს არ უნდა მიადგეთ ზიანი, იქნება ეს რეალური თუ სავარაუდო. საკუთარი და მონაწილეთა ღირსებისა და კეთილდღეობის პატივისცემა ეთიკური კვლევის განმსაზღვრული ფაქტორია.

## სწორი გადაწყვეტილების მიღება: ეთიკის მნიშვნელობა სამოქმედო კვლევის დროს

სამოქმედო კვლევის დროს ეთიკის მნიშვნელობა დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ ვეპყრობთი იმ პირებს, რომლებთნაც გვიწევს ურთიერთობა: მოსწავლეები, მშობლები, მოხალისეები, ადმინისტრატორები და კოლეგა პედაგოგები. როგორც სმიტი (1990) აცხადებდა, „მზრუნველობა, სამართლიანობა, გახსნილობა და სიმართლე არის მნიშვნელოვანი ფასეულობები, რაც საფუძვლად უდევს ურთიერთობების ჩამოყალიბებას და კვლევის ჩატარებას“ (გვ. 260). თუმცა ჩამოთვლილ ფასეულობებს ხალხი, რომლებთანაც ვურთიერთობთ, სხვადასხვანაირად განმარტავს. მიუხედავად ამისა, თქვენი სამოქმედო კვლევის პროექტის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად გაქვთ გააზრებული კვლევის პროცესის არსი და ის, რომ კვლევის მიზნების მისაღწევად არ შეიძლება მონაწილეთათვის ზიანის მიყენება.

ბილაბონგის დაწყებითი სკოლის მოკლე ისტორიამ, რომელიც წინამდებარე თავის დასაწყისშია მოცემული, ნათლად გვიჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია განვითილოთ და ვიმსჯელოთ ეთიკურ პრობლემებზე, სანამ მას რეალურად წავაწყდებით. და თუმცა მე მინახავს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეთიკურ საკითხებს საფრთხის ქვეშ დაუყენებია ერთობლივი სამოქმედო კვლევის განხორციელება. ნებისმიერ ინიციატივას ახასიათებს პოტენციური კონფლიქტის ან ზიანის გამოწვევა. სამუშაოს დაწყებამდე სამოქმედო კვლევაში ეთიკური საკითხების განხილვით თქვენ წინასწარ ემზადებით იმისთვის, რომ რთული სიტუაციების წამოჭრის შემთხვევაში საკითხი ეთიკური ნორმების შესაბამისად გადაჭრათ.

სარისხობრივი და მოქმედებაზე ორიენტირებული კვლევების შემთხვევაში ეთიკურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში (ქრისტიანი, 2000, ქრესველი, 2002; ეიზნერი, 1991; ფლინდერსი, 1992; გეი, მილსი და აირასიანი, 2006; სმიტი, 1990, სოლთისი, 1990, კოლკოტი, 1990). ამ ღიტერატურის უმეტესობა აღწერს იმ შეცდომებს, რაც კვლევის პროცესში იქნა დაშვებული და კონკრეტულ შემთხვევებში როგორ გადაიჭრა ეთიკური საკითხები. სამოქმედო კვლევის ძალიან პირადული და მრავლისმომცველი ხასიათის გამო, ეთიკური საკითხები განსაკუთრებით დიდ ძალისმენის მოითხოვს მკვლევარი პედაგოგებსგან.

სამოქმედო კვლევა პირადულია, რადგან მკვლევარ პედაგოგსა და გამოსაკვლევ საგანს, სკოლის ან კლასის მოსწავლეებს შორის მცირე დისტანცია არსებობს. სარისხობრივზე ორიენტირებული სამოქმედო კვლევა მრავლისმომცველია, რადგან სამოქმედო კვლევის მიმართულება ხმირად ცხადი სდება კვლევის მიმდინარეობის პროცესში. აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვნად ართულებს მკვლევარი პედაგო-

გის შესაძლებლობას, მოიპოვოს მონაწილეთა „ინფორმირებული თანხმობა“ კვლევაში მონაწილეობისათვის. ინფორმირებული თანხმობა გადამწყვეტია ეთიკური კვლევის დროს. ეს პრინციპი უზრუნველყოფს კველა გამოსაკვლევი ადამიანის დამოუკიდებლობას და შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტონ, ღირს თუ არა გარისკვა მეცნიერული ცოდნის გასაუმჯობესებლად.

სამოქმედო კვლევაში, როგორც წესი, ძირითადი მონაწილე პირები არიან ჩვენი კლასის მოსწავლეები. როგორ ეხება ინფორმირებული თანხმობის პრინციპი ამ პირებს? გვჭირდება თუ არა წერილობითი ნებართვის აღება მშობლების/მეურვეებისგან, სანამ დაგწყვებდეთ ბუნებრივად მოპოვებადი მასალების შეგროვებას, როგორიც, მაგალითად, ტესტების ნიშნებია, დაკვირვებები, შესრულებული სამუშაოს ნიმუშები და ა.შ.? – შესაძლოა არა. თუმცა, როგორც კვემოთ მოყვანილ მსჯელობაში ნახავთ, მნიშვნელოვანია ეთიკური ქცევის საკუთარი კრიტერიუმების შემუშავება.

## ეთიკური რჩევები

შემდეგი ეთიკური რჩევები შესაძლოა დაეხმაროს მკვლევარ პედაგოგებს ეთიკური საკითხების სათანადოდ გადაწყვეტიაში სამოქმედო კვლევის დაწყებამდე, მისი მსვლელობის პროცესში და დასრულების შემდეგ (ადაპტირებული ქრისტიანისაგან, 2000, სმიტი, 1990).

### ეთიკური ხედვა

მკვლევრებს უნდა ჰქონდეთ ეთიკური ხედვა, რაც საქმაოდ ახლოს დგას მათ პირად ეთიკურ კოდექსთან. ეს შეიძლება ისედაც ცხადი იყოს თქვენთვის, თუმცა უნდა გაითვალისწინოთ ერთი რამ: როგორც მკვლევარი პედაგოგები, ჩვენ შეიძლება აღმოჩნდეთ ჩვენთვის უცხო სიტუაციაში. მაგალითად, ერთობლივ სამოქმედო კვლევის პროექტში, რომელიც ეხება მათემატიკაში ამოცანის ამოქსნის ახალი პროგრამის გავლენას მოსწავლეების მოსწრებასა და დამოკიდებულებაზე, პედაგოგებს სთხოვონ, ჩაატარონ კვლევა მოსწავლეების დამოკიდებულების გასაგებად. შემდეგ კვლევა უნდა გაანალიზდეს იმ პედაგოგთა ჯგუფის მიერ, რომლებიც სკოლაში სხვადასხვა კლასში ასწავლიან. ანალიზის ჩატარების დროს ცხადი ხდება, რომ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი უკმაყოფილოა მათემატიკის სწავლებით და უარყოფითად აფასებს პედაგოგს. როგორ მოიქცევით ასეთი მონაცემების მიღების შემთხვევაში? მასალის კორექტირების გარეშე გაუზიარებთ თუ არა მას პედაგოგს? ვის შეიძლება მიადგეს ზიანი ამ სიტუაციაში? სავარაუდოდ, რა სახის დაღებითი შედეგი შეიძლება მივიღოთ აღნიშნული მასალის გაზიარებით? ან შესაძლოა, დირექტორი გაიგებს, რომ არსებობს კონკრეტულ პედაგოგთან დაკავშირებით პრობლემა და მოითხოვს მიღებული მასალის გაცნობას, რის შედეგადაც პედაგოგი შეიძლება შეიყვანონ „დახმარების გეგმაში“. რას უპასუხებს ამაზე კვლევის ჯგუფი? რა სახის გარანტიები მიეცით მონაწილეებს კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით მონაცემთა შეგროვების დაწყებამდე? რას უპასუხებდით დირექტორს, როდესაც გაგაჩერებთ და თქვენს აზრს იყითხავს?

ჩვენი მიზანი არ არის, აღნიშნული მაგალითის მოყვანით თქვენ სამოქმედო კვლევის ჩატარების სურვილი დაგეკარგოთ. მიუხედავად ამისა, არსებობს გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რასაც დროდადრო აწყდებიან მკვლევარი პედაგოგები, რომლებმაც საიდუმლოდ გაგვანდეს საკუთარი და თავიანთი კოლეგების პედაგოგიური გამოცდილების შესახებ ინფორმაცია. სმიტის (1990) გაკვეთილი საქმაოდ მნიშვნელოვანია: თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, თავიდან აიცილოთ უხერხული სიტ-

უაციები, თუ დასაწყისშივე თქვენთვის ჩამოაყალიბებთ საკუთარ ეთიკურ ნორმებს. ეს შეიძლება ფასეულობათა განსაზღვრის სახით გაკეთდეს, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტურად. აზრი ასეთია: მზად იყავით, იმოქმედოთ თქვენთვის კომფორტულ და წვეულ სტილში. როდესაც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებით, სავარაულოდ, გექნებათ დრო რაციონალური პასუხის მოსაფიქრებლად. სიტუაციას განმუხტავთ, თუ თქვენ პირადად უპასუხებთ.

### ინფორმირებული თანხმობა

ინფორმირებული თანხმობა დიალოგის ფორმით უნდა წარიმართოს, რაც თანაბრად შეეხება როგორც კვლევას, ისე მის შედეგებს. წინასწარ გაარკვიეთ, დაგჭირდებათ თუ არა კალებაში მონაწილე პირების ნებართვა. ამის გარკვევა შეიძლება ადმინისტრატორთან ან სათავო ოფისის წარმომადგენელთან სამოქმედო კვლევის პროექტის განხილვისას, რომელთაც შეუძლიათ განგიმარტონ, რა შემთხვევაში გჭირდებათ წერილობითი ნებართვის აღება. მაგალითად, თუ თქვენ იყენებთ ფოტოსურატებს ან ვიდეოჩანაწერებს, როგორც მონაცემთა შეგროვების საშუალებას, და განზრახული გაქვთ აღნიშნული არტიფიაქტების საჯაროდ გამოტანა, მაგალითად, კონფერენციაზე პრეზენტაციის სახით, ასეთ შემთხვევაში წინასწარ უნდა გაარკვიოთ, გჭირდებათ თუ არა წერილობითი ნებართვა. სხვადასხვა რაიონში განსხვავებულად უდგებიან წერილობითი ნებართვების საჭიროების საკითხს, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმით აპირებთ მასალის გამოყენებას.

ასევე, წინასწარ მოიფიქრეთ, რა ფორმით შეატყობინებთ მოსწავლეებს, რომ ისინი კვლევის ობიექტები არიან. მაგალითად, თქვენ შეიძლება გადაწყვიტოთ მოსწავლეთა მცირე ჯგუფის ინტერესიურება იმის დასადგნად, როგორ განხორციელდა ცალკეულ კლასში ამოცანის ამოხსნის შესახებ სასწავლო პროგრამა, რაც კვლევის ან დაკვირვების შემდგომი ეტაპია; როგორ უზრუნველყოფთ რესპონდენტებს ანონიმურობას მათი პირადი ცხოვრების დასაცავად? როგორ დაიცავთ მონაწილეთა კონფიდენციალურობას? ფლინდერსის (1992) თანახმად, კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

- კონფიდენციალურობის მიზანია, დაიცვას კვლევის მონაწილეები ზეწოლისგან, უხერხულობის ან ინფორმაციის არასასურველი გამედავნებისგან.
- კონფიდენციალურობა იცავს მონაწილეებს ისეთი სიტუაციისგან, როდესაც მათ მიერ მკვლევრისთვის განდობილი ინფორმაცია შეიძლება სხვა პირებმა მათ საწინააღმდეგოდ გამოიყენონ.

კონფიდენციალურობაში, ასევე, იგულისხმება ვინაობის დამალვის მიზნით ფსევდონიმის გამოყენება. ზოგჯერ კონფიდენციალურობის დაცვა ხარისხობრივზე ორიენტირებული სამოქმედო კვლევის დროს გაცდებით რთულია, ვიდრე, უბრალოდ, ფსევდონიმების მინიჭება. მაგალითად, მკვლევარ პედაგოგთა გუნდს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სკოლის მასშტაბით სამოქმედო კვლევის ჩატარებაზე, სავარაუდოდ, თავიანთი კოლეგები განდობენ საიდუმლო დეტალებს სკოლის ცხოვრების შესახებ. ამ პედაგოგებისთვის იქნება გამოწვევა, უზრუნველყონ თავიანთი კოლეგების ზეწოლისგან, უხერხულობისგან და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გახმაურებისგან დაცვა. და, რა თქმა უნდა, ყოველივე აღნიშნული დაბალანსებული უნდა იყოს პედაგოგების მიერ აღეტული ვალდებულებით, გააუმჯობესონ თავიანთი სკოლის მოსწავლეების სწავლის პრაქტიკა.

№5-2 გრაფაში წარმოდგენილია დირექტორის თანდართული წერილი, რომელიც მხარს უჭერს სადოქტორ ხარისხის მაძიებელი სტუდენტების მიერ წარმოდგენილ კვლევის პროექტს. მიაქციეთ ყურადღება, რომ სტუდენტებმა, კვლევის მოსალოდნელი სარგებლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, მოიპოვეს არა მარტო დირექტორის ნებართვა, არამედ მისი მხარდაჭერა და მზადყოფნა თანამშრომლობისთვის. №5-3 გრაფაში წარმოდგენილია მშობლის ნებართვის ფორმა, რომელიც ახლავს დართულ წერილს. ხსენებული ეხება წინამდებარე თავში განხილულ მრავალ ეთიკურ და სამართლებრივ საკითხს.

ნათელია, რომ ადამიანური ურთიერთობები მნიშვნელოვანი ფაქტორია კვლევის განხორციელების დროს. თუმცა უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენ ურთიერთობა გაქვთ გულწრფელ, საკითხით დაინტერესებულ პედაგოგებთან, რომლებსაც შესაძლოა, არ გააჩნდეთ კვლევის ჩატარების თქვენნაირი გამოცდილება. შესაბამისად, უნდა ეცადოთ, რომ კვლევის განხილვის დროს გამოიყენოთ მარტივი და გასაგები ენა და არ შეუქმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ზემოდან უყურებდეთ მათ. ასევე, კვლევის დაწყების შემდეგ არ უნდა მოღუნდეთ. კვლევაში ჩართული პირების დამოკიდებულება უნდა შეამოწმოთ და რეაგირებაც მოახდინოთ მთელი კვლევის პროცესის განმავლობაში, რათა შეინარჩუნოთ ისეთივე დონის ჩართულობა, როგორიც კვლევის დასაწყისში არსებობდა.

### სოციალური პრინციპები

თქვენ უნდა შეგეძლოთ ფართო სოციალური პრინციპების განსაზღვრა, რაც თქვენი, როგორც პედაგოგის, რაობის განუყოფელი ნაწილია და, ასევე, საზოგადოების, რომელშიც ცხოვრობთ, დამხმარე ნაწილია.

ფართო სოციალური პრინციპები უნდა განაპირობებდნენ თქვენს ეთიკურ ნორმებს. მაგალითად: დემოკრატიული პროცესები, სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და ემანსიპაცია შეიძლება იყოს ის პრინციპები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში თქვენს ეთიკურ ქცევას განაპირობებენ.

### მოტყუება

სამოქმედო კვლევას საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს მოტყუებასთან (ან ნებისმიერ სხვა სახის კვლევას). მაგალითად, თუ ინტერვიუს დროს კოლეგა, მშობელი ან მოსწავლე არასაოქმოდ რაიმეს გაგიმზელო, მაშინ საუბრის შინაარსი იქმში არ უნდა შეიტანოთ. მიუხედავად იმისა, რამდენად მნიშვნელოვნია მოწოდებული ინფორმაცია, თქვენ პასუხისმგებელი ხართ, პატივი სცეფა ინტერვიუერის თხოვნას კონფიდენციალურობაზე. აღნიშნულის მსგავსად, არ შეიძლება ფარული მიკროფონის დაყრენება, რათა აღეჭვილოთ ინტერვიუერის საუბარი. თუ თქვენ საუბრის ჩაწერა გსურთ, მოიპოვეთ ზეპირი ან წერილობითი თანხმობა.

### სიზუსტე

თქვენი მონაცემების სიზუსტის უზრუნველყოფას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქმედო კვლევისთვის. არაეთიკური და არამეცნიერულია მონაცემების გაყალბება, რათა გაამყაროთ საკუთარი აზრი, ან მნიშვნელობა შესძინოთ მას. მაგალითად, თქვენი კვლევა შეიძლება ეხებოდეს ახალიმიღებული კითხვის პროგრამის ეფექტურობას. მიუხედავად იმისა, რომ პირადად თქვენ მოგწონთ პროგრამა, მონაცემები მიუთითებს მის არაეფექტურობაზე, ტესტირების ნიშნების გაუმჯობესების თვალსაზრისით. თქვენ უნდა შეგწევდეთ უნარი, აღიაროთ კვლევის შედეგები კითხვის

# საგანმანათლებლო სკოლა

## ბოსტონის კოლეჯი

17 იანვარი, 2005

მისტერ დენის იაკუბიანი

დირექტორის მოადგილე

ვესტსაილის საშუალო სკოლა  
ვესტსაილი, ბასაჩუსეტსი 00001

ძვირფასო მისტერ იაკუბიან,

ბოსტონის კოლეჯის გაზომვებისა და შეფასების კათედრა დაინტერესებულია განისაზღვროს, რა სახის ტესტირებას, შეფასებას, კვლევასა და სტატისტიკას საჭიროებენ მასაჩუსეტსის საშუალო სკოლის აღმინისტრატორები. ჩვენი მიზანია, შევიმუშაოთ სამაგისტრო პროგრამა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულ პირებს საშუალო სკოლის აღმინისტრატორებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად მოამზადებს. თანდართული კითხვარის დაწინულებაა ტესტირების, შეფასებისა და სტატისტიკის სფეროში თქვენი მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. თქვენი პასუხები ანონიმური იქნება და სერიოზულად განიხილება პროგრამის დაგეგმვის პროცესში. ჩვენ ასევე მოგაწოდებთ კვლევის შედეგების შესახებ დასკვნას, რითაც საშუალება გექნებათ, გაეცნოთ სხვა საშუალო სკოლების აღმინისტრატორთა პასუხებს. აღნიშნული კვლევა დამტკიცებულია უნივერსიტეტის ადამიანთა საკითხების შემსწავლელი კომიტეტის მიერ.

ჩვენ მაღლიერი დავრჩებით, თუ თქვენ შეძლებთ კითხვარების 31 იანვრამდე შევსებას. გიგზავნით ბეჭდიან კონვერტს, სადაც მითითებულია მისამართი, რომელზეც უნდა გამოგვიგზავნოთ შევსებული კითხვარები. არ გჭირდებათ თქვენი სახელის კითხვარზე მითითება, თუმცა გთხოვთ, ხელისმოწერით დაადასტუროთ თანდართული ბარათი და გამოგვიგზავნოთ ცალკე. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გვეცოდინება, რომ თქვენ გვიპასუხეთ და აღარ შეგაწუხებთ დამატებითი წერილებით.

ჩვენ კარგად გაცნობიერებთ, რომ საკითხოები ბრძანდებით და ვუფრთხილდებით თქვენს ძვირფას დროს, თუმცა იმედს ვიტოვებთ, 15 წუთი. რაც კითხვარის შესახებად გჭირდებათ, დაგვეხმარება სკოლის აღმინისტრატორებისთვის საჭირო პროგრამის შემუშავებაში.

მონაწილეობისთვის წინასწარ გიხდით მადლობას. თუ დაგებადებათ შეკითხვები კვლევის შესახებ, შეგიძლიათ დამიკავშირდეთ ტელეფონზე 555-555-4444

პატივისცემით,  
ჯეიმს ჯონსი,  
კათედრის გამგე

№5-2 გრაფი. თანდართული წერილის ნიმუში

## მშობლის ნებართვის ფორმა

ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია წინამდებარე ფორმასა და თანდართულ წერილში, თქვენ წარმოგედგინათ ჩრდილო-დასავლეთის იტონ-კოლეჯის (ინსტიტუტი, რომელიც აფინანსებს კვლევებს საღორვალო დისერტაციისათვის) კანონისა და ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად; ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების დეპარტამენტის ადამიანთა, როგორც კვლევის საგნის, დაცვის შესახებ დადგენილებების (შესწორებები შესულია 1989 წლის 26 მარტს) შესაბამისად. წინამდებარე ფორმაში მოყვანილი ფორმულირება თანაბრად ეხება კვლევას და არ უნდა იყოს არასწორად გაგებული რომელიმე კონკრეტული კვლევის დროს.

ჩრდილოეთის უნივერსიტეტის სადისერტაციო კომისიამ და ქნოქს ქანტრის საშუალო სკოლის კვლევის შემსწავლელისა კომისიამ თანხმობა მოგვცა წინამდებარე კვლევის – „ურთიერთკავშირი დაწყებითი სკოლის მოსწავლების აღქმად სწავლებასა და საზოგადოებათა ასოციაციის ინსტიტუტის მიერ (CAI) შერჩეულ სწავლების სტილს შორის, რაც ფაქტების ვერბალურ შესწავლას უწყობს ხელს“ – ჩასატარებლად. ამ კვლევის მიზანია, დაადგინოს, რა ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების ნიშნებზე ის ფაქტი, როდესაც დაწყებით კლასებში, მე-3-იდან მე-5 კლასის ჩათვლით, განსაზღვრული სწავლების სტილი (ვიზუალური, აუდიო-, შეხებითი/შესაგრძნობი) შეესაბამება ან არ შეესაბამება კომპიუტერის დახმარებით სპეციალურად შერჩეულ სწავლების მეთოდებს.

თქვენი შეიძლი კვლევაში იქნება ჩართული შემდეგი სახით:

1. ცხოველთა სამყაროს შესახებ პრეტესტი
2. ცხოველთა სამყაროს შესახებ პოსტტესტი
3. სწავლების სტილის შესახებ ტესტი
4. ურთიერთკავშირი კომპიუტერულ სასწავლო პროგრამასა (CAI კომპიუტერული პროგრამა) და CAI-ის შესაბამის, მოსწავლეების საკუთარ ვიზუალურ, აუდიო- და შეხებით სტილის სტილს შორის.

ყველა ჩამოთვლილი აქტივობა მოსწავლეს ორ საათზე მეტ დროს არ წაართმევს. ამით მოსწავლეებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, მშობელს ან მკვლევარს შეუძლია, მოსწავლე კვლევას ჩამოაშოროს ნებისმიერ დროს. კონკრეტული მოსწავლეების შესახებ საეციფიკური ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა გარანტირებულია და სურვილის შემთხვევაში მასი მიღება შესაძლებელი იქნება სკოლის დირექტორის შეშვეობით. კვლევის შედეგები, რომლებიც საჯაროდ გამოქვეყნდება, არ შეიცავს რომელიმე კონკრეტული მოსწავლის შესახებ ინფორმაციას, რადგანაც კვლევა მხოლოდ მონაცემთა ურთიერთკავშირს სწავლობს.

წარმოდგენილი ფორმის მიზანია, თქვენს შეიძლი მიეცეს კვლევაში მონაწილეობის ნებართვა და ასევე ნება დაერთოს მკვლევარს, გამოიყენოს ის ინფორმაცია, რომელიც უკვე არსებობს სკოლაში და რომელსაც მიიღებს კვლევის შედეგად, რათა მოხდეს სწავლის შედეგების გაანალიზება. მშობლის ნებართვა აღნიშნული კვლევისთვის არის ნებაყოფლობითი და არ მოახდენს არავითარ გავლენას, არ გამოიწვევს სანქციას. ფორმის ბოლოში მშობლის ხელმოწერა ასევე გულისხმობს იმას, რომ ბავშვი აცნობიერებს და თანახმა მონაწილეობის მიღებაზე.

თუ თქვენ დამატებითი შეკითხვები გაგიჩნდებათ კვლევასთან დაკავშირებით, მონაწილეთა უფლებებზე ან მოსალოდნელ პრობლემებზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ სკოლის დირექტორს, მისტერ გვენ გრეგორის, ან მკვლევარს, მისტერ ჯოლინ ლევის (კომპიუტერული სწავლების დირექტორი, ჩრდილოეთის უნივერსიტეტი, 555-5554).

მოსწავლის სახელი

მშობლის/მეურვის ხელმოწერა

თარიღი

№5-3 გრაფა. კვლევის პროექტისთვის მშობლის ნებართვის ფორმა

პროგრამის მიმართ თქვენი პირადი სიმპათიის მიუხედავად. პირადი შეხედულების გასამყარებლად მონაცემთა გაყალბების ნებისმიერი მცდელობა არაეთიკურია.

სარისხოპრივ პოლიციაში ფლინდერსის ეთიპური პონცონის საფუძვლის მიზნები

ფლინდერსი (1992) გვთავაზობს ხარისხობრივი კვლევის განხორციელებისას ეთიპური ქადაგის სასარგებლო კონცეტრაციურ საფუძვლებს, რომლებიც ღირებულია მკაფიოდ უვარი პედაგოგებისთვის, ესენია: **უტილიტარული, დეონტოლოგიური, შედარწმუნითი, და კოორდინაციური ეთიკა.** თქვენი მცდელობისას, განსაზღვროთ ღირებულებები, განიხილეთ საკითხები ზემოთ ჩამოთვლილი ხედვებიდან გამომდინარე და იფიქრეთ იმაზე, რას შესძენს თქვენს პირად/პროფესიულ ეთიპურ შეხედულებებს ამ საკითხების მოგვარება.

### **უტილიტარული ეთიკა**

უტილიტარული ეთიკის მთავარი პრინციპი დაკავშირებულია ისეთ ცნებასთან, როგორიც არის „ბევრი სიკეთე რაც შეიძლება მეტისთვის“; ან „ეს გადაწყვეტილება რას უფრო უწყობს ხელს, მეტი სიკეთის მიღებას თუ ზიანის გამოწვევას“. უტილიტარული პრინციპი მკვლევარმა პედაგოგმა შეიძლება გამოიყენოს მამნ, როდესაც დილექტის წინაშე დგას: ერთი მხრივ, კვლევის შედეგად გაკეთებული აღმოჩენები საგრძნობლად გააუმჯობესონ ბავშვების სასწავლო გარემოს, ხოლო მეორე მხარეს დგას ისეთი საკითხები, როგორიც არის **ინფორმირებული თანხმობა, კონფიდენციალურობა და ზიანის თავიდან აცილება.** ჩვენ უკვე განვიხილეთ ინფორმირებული თანხმობისა და კონფიდენციალურობის არსი, თუმცა ბოლო საკითხის განხილვა საჭაოდ საინტერესო უნდა იყოს.

ზიანის თავიდან აცილება მორალურად ავალდებულებს მკვლევარ პედაგოგს, კვლევა ჩაატაროს ისეთ სტილში, რომ მასში მონაწილე პირთათვის (მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები, ადმინისტრატორები და მოხალისეები) ზიანის მიყენების შესაძლებლობა მინიმუმადე დაიყვანოს. ეს კონცეფცია საკმაოდ ნაცნობია მედიცინის მუშაობისთვის, როდესაც მონაწილის ფიზიკური კეთილდღეობა შეიძლება რისკის ქვეშ დადგეს იმის გამო, რომ ექსპერიმენტული კვლევის ობიექტებად გვევლინებიან და იღებენ რადიკალურ მკურნალობას (მაგალითად, HIV/AIDS-გაქცინაცია). აღნიშნული კონცეფცია ნაკლებად ცნობილია საგანმანათლებლო სიკრცეში. მისი ფართო გაგების მიხედვით, მკვლევარმა პედაგოგებმა სამოქმედო კვლევის მონაწილეები უნდა დაარწმუნონ, რომ კვლევაში მონაწილეობის გამო მათ არავთარი ზიანი არ მიადგებათ.

მკვლევარი პედაგოგები გულისყურით უნდა მოეკიდონ თავიანთი კოლეგების შესქვევაში მონაწილეობის გამო და იყენენ ყურადღებით, რათა დაიცვინ მონაწილენი ნებისმიერი სახის ზიანისგან, ასევე, უნდა დაარწმუნონ მშობლები, რომ მათ შვილებს არ იყენებენ როგორც საცდელ ვირთხებს, რამაც შეიძლება რაიმე ზიანი მიაყენოთ. როგორც პედაგოგები, ჩვენ, როგორც წესი, არ ვატარებთ ექსპერიმენტულ „ჩარცებს“ ბავშვებზე. თუმცა, როდესაც კონკრეტული პრობლემის შესწავლას ვახდენთ და ვეცნობით ჩვენთვის საინტერესო ლიტერატურას, შეიძლება განვიზრახოთ ან სასწავლო პროგრამით ჩარცება, რაც აუცილებლობით არსი გამოწვეული.

### **დეონტოლოგიური ეთიკა**

დეონტოლოგიური ეთიკა შეიძლება ვუწოდოთ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ ეთიკას. კვლევამ შეიძლება მოიტანოს კარგი შედეგები, თუმცა იგი არ იქნება დეონტოლოგიურად გამართული, თუ მასში არ იქნა გათვალისწინებული ეთიპური

სტანდარტები, როგორიც პატიოსნება და სამართლიანობაა. ეთიკურად მოქმედება ნიშნავს, „სხვას მოექცე ისე, როგორც გინდა, ის მოგექცეს შენ“. მაგალითად, არაეთიკური იქნება სამოქმედო კვლევის მონაწილის მოტყუება, ან ისე მოპრობა, თითქოს ის კვლევის მქევალი იყოს, ან მიზნის მიღწევებისთვის საჭირო იარაღი.

როდესაც დაიწყებთ საკუთარი ეთიკური ხედვის ჩამოყალიბებას, თქვენ უნდა იმ-სჯელოთ, როგორ მოპყრობას ისურვებდით, კვლევის მონაწილე რომ ყოფილიყავით. რას იგრძნობდით, თუ აღმოაჩინდით, რომ მკვლევარმა მოგატყუათ? რას მოიმოქმედებდით? როგორ შეგიძლია კვლევაში მონაწილე პირების დაცვა, რომ თავი არ იგრძნონ გამოყენებულად? ბუნებრივია, ასეთ ეთიკურ შეკითხვებზე მარტივი პასუხები არ არსებობს.

### ურთიერთობითი ეთიკა

ფლინდერსი (1992) წერს: „ურთიერთობითი ეთიკის დამცველი უმაღ დაეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ მორალური ქცევა აგებულია უტილიტარულ სტანდარტებზე, რადგან იგი კონკრეტული პირებისთვის, პირთა წრისა თუ საზოგადოებისთვის დადგებით შედეგზე არის ორიენტირებული“ (გვ. 106). ამ თვალსაზრისით, სამოქმედო კვლევის დროს თანამშრომლობა მოითხოვს, რომ გუნდის წევრებმა კვლევაში მონაწილე ყველა პირისთვის შეიძუშაონ ორმხრივად ხელსაყრელი ხელშეკრულებები. აღნიშნულში იგულისხმება ერთობლივი მუშაობა, საუბარი და მსჯელობა, რათა ერთმანეთს დაქმარინ ინდივიდუალური და კოლექტიური მიზნის მიღწევაში. თუმცა სამოქმედო კვლევის წევრებმა არ უნდა მიიღონ კონკრეტული წევრების მიერ წარმოდგენილი წაწალების მაგალითები როგორც „საუკეთესო გამოცდილება“. თქვენ შეიძლება წააწყდეთ კოლეგების წაწალების მეთოდების ყოველგვარი შეფასების გარეშე მიღების ფაქტებს, ასევე ისეთ შემთხვევებს, როდესაც მეგობრები და კოლეგები არ ეთანხმებიან ტესტის შედეგების განმარტებას, კვლევებს, ინტერვიუებსა და მონაცემთა მიმოხილვებს.

### ეკოლოგიური ეთიკა

ეკოლოგიური ეთიკის მომხრეები კულტურულად სენსიტიურები არიან ჩვენი სოციალური და პროფესიული ცხოვრების დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტების მიმართ. აქედან გამომდინარე, მკვლევარი პედაგოგი ყურადღებით უნდა იყოს კვლევასა და მონაწილეებს შორის ურთიერთობის მიმართ, რომელიც განპირობებულია „როლებით, სტატუსებით, ენით და კულტურული ნორმებით“ (ფლინდერსი, 1992, გვ.108). ეკოლოგიური ეთიკის მომხრე მკვლევარ პედაგოგებს ვურჩევდი, ყურადღება მიაქციონ კვლევის პროცესში ინფორმაციის მიწოდებას, ურთიერთთანამშრომლობას, თანამშრომლობას და დააკვირდნენ, თუ როგორ უყურებენ ამ პროცესს სამოქმედო კვლევის ციკლში მონაწილე სხვა პირები. ეკოლოგიურ ეთიკა ჩვენგან ითხოვს, რომ სამოქმედო კვლევის ჩატარებისას გავითვალისწინოთ სოციალურად აქტუალური საკითხები, როგორიც არის დემოკრატიულობა, ობიექტურობა, სოციალური შეზღუდვებისგან გათავისუფლება და ცხოვრების გაუმჯობესებისკენ სწრაფვა.

სამოქმედო კვლევაში ეთიკური საკითხების განხილვის მიზანია, დაგაფიქროთ მრავალ საკითხზე, რასაც ყოველი მკვლევარი აწყდება. იმსჯელეთ იმაზე, როგორ უპასუხებთ კოლეგის, მშობლის, მოსწავლის ან ადმინისტრატორის მიერ დასმულ რთულ შეკითხვებს. დაუთმეთ დრო თქვენი ფასეულობებისა და ეთიკური ხედვების ნათლად ჩამოყალიბებას, რაც დაგეხმარებათ, უპასუხოთ პროფესიონალური, ადამიანური და ყურადღებიანი ფორმით.

სამოქმედო კვლევისა და მონაცემთა შეგროვების პროცესში გახსოვდეთ, რომ თქვენ უკიდურესად შეზღუდული ხართ, როდესაც ეთიკურ საკითხებთან გაქვთ

შეხება (ერზნერი, 1991). სრულყოფილი ხალხი არ არსებობს. როდესაც კოლეგიტან მოგიხდებათ ისეთ საკითხებზე მუშაობა, რაც ეთიკურ საკითხებში კონფიდენციალურობას, ანონიმურობას, ინფორმირებულ თანხმობას და რაციონალურ შეფასებას ეხება, ეცადეთ, თავიდან აიცილოთ მოსალოდნელი რთული სიტუაციები, რაც კვლევის განხორციელების შედეგად შეიძლება წამოიჭრას. გვი, მიღს, და აირასიანი (2006) შემდეგნაირ დასკვნას აკეთებენ ეთიკურ საკითხებზე:

შესაძლოა, ძირითადი ეთიკური ნორმა იყოს ის, რომ მეცნიერების სახელით არცერთ შემთხვევაში მონაწილეებს არ უნდა მიადგეთ ზიანი, იქნება ეს რეალური თუ სავარაუდო. საკუთარი და მონაწილეთა ღირსებისა თუ კეთილდღეობის პატივისცემა ეთიკური კვლევის განმსაზღვრელი ფაქტორია. (გვ. 100-101).

გასოვდეთ, რომ კვლევის ჩატარება მოგრძევთ საკუთარ კლასსა და სკოლაში. ეს არის ადგილი, სადაც ოქენე გააგრძელებთ თქვენს პროფესიულ და პირად ცხოვრებას პრიორიტეტული სფეროს შეცვლის შემდეგ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში. წინამდებარე თავში მოცემული ძირითადი ეთიკური რჩევები, მიუხედავად იმისა, თუ რომელია თქვენი პრიორიტეტული სფერო, დაგეხმარებათ, დარწმუნდეთ, რომ სრულყოფილების ძირიაში თქვენ სკოლის ცხოვრება უარესობისკენ არ შევიცვლიათ. (იხილეთ კვლევა მოქმედებაში, მკვლევარი პედაგოგებისთვის ეთიკური რჩევების №5-1 ცხრილი).

### კვლევა მოქმედებაში. №5-1 ცხრილი

#### მკვლევარი პედაგოგებისთვის ეთიკური რჩევები

- ჩამოაყალიბეთ ისეთი ეთიკური ხედვა, რომელიც ახლოს დგას თქვენს პირად ეთიკურ კოდექსთან.
- მოიპოვეთ სამოქმედო კვლევის მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობა.
- ჩამოაყალიბეთ ფართო სოციალური პრინციპები. რაც ეთიკური ხედვის ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ.
- განიხილეთ უტილიტარული, დეონტოლოგიური, ურთიერთობითი და ეკოლოგიური ეთიკის საკითხები.
- გაითვალისწინეთ კონფიდენციალურობა და ანონიმურობა და თავიდან აიცილეთ ზიანი.
- მოტყუება დაუშვებელია!
- დარწმუნდით, რომ მონაცემებს სიზუსტით აღრიცხავთ.

#### დასკვნა

მკვლევარი პედაგოგები უნდა შეეცადონ, აღიარონ პირადი ტენდენციურობა და შეიმუშაონ ეთიკური ხედვა, რაც საშუალებას მისცემს მათ, მიიღონ სწორი გადაწყვეტილება, როდესაც რთული ეთიკური დილემის პირისპირ აღმოჩნდებიან.

#### საკითხები სამომავლო მსჯელობისთვის

1. გადახედეთ წინამდებარე თავის დასაწყისში მოთხოვილ ბილაბონგის დაწყებითი სკოლის ისტორიას. განიხილეთ შეკითხვები, რომლებზეც სამოქმედო კვლევის

ჯგუფს უნდა ეპასუხა, შემდეგი შეკითხვების ჩათვლით:

- ა) როგორ გამოვიყენებთ მონაცემებს, რომლებიც სკოლის კონკრეტულ პედა-  
გოგზე წევატიურ ინფორმაციას გვაწვდის? გაუზიარებთ თუ არა აღნიშნულ  
მასალას პირადად პედაგოგს, რომელიც მოსწავლეებმა გააკრიტიკეს? მიღე-  
ბული ინფორმაციის გაზიარებით რა საფრთხე შეიძლება წარმოშვას? როგორ  
შეგვიძლია პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ისე, რომ ამით ზიანი  
არავის მიადგეს?
- ბ) როგორ გამოვიყენებთ მონაცემებს, რომლებიც ექება დირექტორის მიერ სას-  
წავლო პროგრამის არჩევით გამოწვეულ უკმაყოფილებას? პედაგოგებსა და  
ადმინისტრაციას შორის გაუცხოების საფრთხეს ხომ არ ვქმნით? შეიძლება,  
დირექტორის მოქმედებით რომელიმე პედაგოგს ზიანი მიადგეს?
- გ) როგორ შეგვიძლია, ტექნოლოგიის გამოყენებით გავაუმჯობესოთ მოსწავლეე-  
ბის მოსწრება ისე, რომ ამ პროცესში ზიანი არ მივაყენოთ პედაგოგებს (და  
დირექტორს)? მზად იყავით, რომ დაასაბუთოთ და დაიცვათ თქვენი ეთიკური  
პოზიცია წინამდებარე თავში წარმოდგენილი ეთიკური რჩევებისა (ეთიკური  
ხედვა, ინფორმირებული თანხმობა, სოციალური პრინციპები) და კონცეპტუ-  
ალური საფუძვლების (უტილიტარული, დეონტოლოგიური, ურთიერთობითი  
და ეკოლოგიური) გათვალისწინებით.
2. როგორ დაახასიათებდით თქვენს ეთიკურ პოზიციას? როგორია თქვენი ეთიკური  
ხედვა, დამოკიდებულება ინფორმირებული თანხმობისა და ფართო სოციალური  
პრინციპების მიმართ, რაც განაპირობებს თქვენს ქცევას?

## მონაცემთა ანალიზი და განმარტება

მონაცემთა შეგროვების შემდეგ სამოქმედო კვლევის შემდგომი ეტაპი თქვენ მიერ შეგროვებული ინფორმაციის მიმოხილვა და მისი მნიშვნელობის გააზრებაა. წინამდებარე თავი გთავაზობთ რჩევებსა და მეთოდებს, რაც მონაცემთა ანალიზსა (შეგროვებული მასალის სრულ და ზუსტ შეფასებას, ასევე მის ასახვას გულისხმობს) და განმარტებაში (მონაცემთა მნიშვნელობის გაგებას და შეკითხვაზე – „და ამით რა?“, პასუხის გაცემას გულისხმობს) დაგეხმარებათ.

წინამდებარე თავის წაკითხვის შემდეგ უნდა შეგეძლოთ:

1. მონაცემთა ანალიზისა და მონაცემთა განმარტების განსაზღვრა.
2. თქვენი სამოქმედო კვლევის პროექტისთვის მონაცემთა ანალიზის შესაფერისი მეთოდის შერჩევა.
3. თქვენი სამოქმედო კვლევის პროექტისთვის მონაცემთა განმარტების შესაფერისი მეთოდის შერჩევა.

# ნიშნებზე ყურადღების შემცირებით სწავლებაზე მეტი ყურადღების გამახვილება

ლორენ ფაგელი, პოლ სვანსონი, ჯონ გორლესკი და ჯო სენესი,  
ჰაილენდ-პარკის საშუალო სკოლა

ლორენ ფაგელი, პოლ სვანსონი, ჯონ გორლესკი და ჯო სენესი ილინოის შტატში, ჩიკაგოს მახლობლად მდებარე პაილენდ-პარკის საშუალო სკოლაში (პსს) არსებული სამოქმედო კვლევის ლაბორატორიის (სკლ) თანამშრომლები არიან. ეს პროექტი სამოქმედო კვლევაზე ჯგუფურად მუშაობის კარგი მაგალითია და ასევე გვიჩვენებს, თუ როგორ შეძლება ინფორმაციის გაანალიზება და განხარტება მონაცემთა სხვადასხვა წყაროს გამოყენებით.

პედაგოგებისთვის ნაცნობი სცენა: პედაგოგის მიერ შემოწმებული წერილობითი ნაშრომი დაუბრუნდათ მოსწავლებს, რომლებმაც დაუყოვნებლივ შეხედეს მიღებულ ნიშანს, ამოსუნთქეს, ამოილეს კალკულატორები და დაიწყეს მეოთხედი სემესტრის ნიშნების შეჯამება. შემდეგ კი მიღებული ნიშნების თანაკლასელების ნიშნებთან შედარება! როგორც წესი, პედაგოგის მიერ მოსწავლეების წერილობით დავაღებაზე გაკეთებული დეტალური შენიშვნები და უკუკავშირი მოსწავლეებისთვის შეუმჩნეველი რჩება, რადგან მათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანია!

კვლევა ჩატარდა ჰაილენდ-პარკის საშუალო სკოლაში, რომელიც 133 მუნიციპალიტეტის ერთერთი უდიდესი საჯარო სკოლაა. ჩვენი მოსწავლეების რაოდნობა არის 1509, საიდანაც 3 აზიური წარმოშობის ამერიკელია, 2 აზ - აფროამერიკელი, 13 აზ - ლათინოამერიკელი და 82 აზ - თეთრკანიანი. მოსწავლეების 92 უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას აპირებს, და, შესაბამისად, მშობელთა კავშირი განსაკუთრებით დაინტერესებულია მოსწავლეთა მაღალი მოსწრების საკითხით. ბევრი მოსწავლე სწავლობს გაძლიერებული სწავლების კლასებში (გსკ), რომელთა წარმატებულად დასრულების შემთხვევაში, ისინი უმაღლესში ჩასაბარებელ კრედიტებს იღებენ, ცდილობენ, ჰაილენდ-პარკის საპატიო საზოგადოების წევრები გახდნენ, და ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა სკოლა სხვებზე მაღალ ქულებზე დამთავრონ და სკოლის დამთავრების ცერემონიაზე გამოსაშვიდობებელი ან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვან. სკოლის ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ინგლისური ენის, ჯანმრთე-

ლობის საკითხებისა და ისტორიის მასწავლებლები, შესფოთებული იყვნენ მაღალი ნიშნების მისაღებად მოსწავლეებზე განხორციელებული დიდი ზეწოლის ფაქტით. გამოვყითხეთ იმ პედაგოგებს, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ მოსწავლეების შეფასებაზე. რადგან გვაინტერესებდა, რამდენად ასახავდა ნიშნები მოსწავლეების ცოდნას. ჩვენ ადვინიშნეობედან გოგონის, როგორც შემთასებლის, მნიშვნელოვანი როლი და მივმართეთ მათ, რათა გაგვეგო, რეალურად აფასებდნენ თუ არა მოსწავლეების ცოდნას, თუ, უბრალოდ, მათი „გადამხარისხებლის“ როლში გამოიიდნენ. წუხილი გამოვთქვით იმის გამო, რომ ნიშნები ჰქონის სასწავლო გარემოზე ძალიან დიდ გავლენას ახდენდა და გადავწყვიტეთ ამ სფეროში კვლევის ჩატარება, რათა გაგვეგო, როგორ შეიძლებოდა ნიშნებზე ყურადღების შემცირებით სწავლებაზე მეტი ყურადღების გადატანა. კვლევის შეკითხვები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

1. რა ზეგავლენას მოახდენს წლის განმავლობაში რიცხვებით და ასოებით შეფასების სისტემის გაუქმება (ნახევარსემესტრისა და სემესტრის ნიშნების გამოკლებით) სწავლის მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე?
2. წლის განმავლობაში რიცხვებით და ასოებით შეფასების სისტემის გაუქმება (ნახევარსემესტრისა და სემესტრის ნიშნების გამოკლებით) რა გავლენას მოახდენს ჩვენი სწავლების სტილზე, შეფასების მეთოდებსა და სასწავლო პროგრამის მასალების შერჩევაზე?
3. მოსწავლეების მიერ თვითშეფასების მეთოდის ფართოდ გამოყენება როგორ იმო-

ქმედებს სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა ზრდაზე, მიღწევებსა და წარმატებებზე?

4. ნიშნებისათვის ნაკლები ყურადღების მიქცევა რამდენად დაგვეხმარება სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებაში?

სამოქმედო კვლევის ლაბორატორიაში ჩვენი საქმიანობის შესახებ მოსწავლეებს ინფორმაცია მიგაწოდეთ სასწავლო წლის დასაწყისშივე და გავაცანით ნიშნებზე ყურადღების შემცირებისა და სწავლაზე მეტი ყურადღების გადატანის მიზეზები. თუმცა პედაგოგებს მანც ევალებოდათ ყოველი მეოთხედის ბოლოს ნიშნების წერა და მოსწავლეებს ძალიან აინტერესებდათ, რის მიხედვით განისაზღვრებოდა მათი საბოლოო ნიშანი. ჩვენ ავუსტანით, როგორი იყო ნიშნის წერის სისტემა და შევთავაზეთ მოსწავლეებს, წერილობით მოეწოდებინათ თავიანთი შეხედულებები აღნიშნული სისტემის დადებითი და უარყოფითი ასპექტების შესახებ, ასევე, გამოიტვეათ საკუთარი მოსაზრებები, დაქვათ შეკითხვები, თუ მათთვის გაუგებარი იყო შეფასების სისტემა. გარდა ამისა, მშობლებსაც წერილობით შევატყობინეთ შეფასების ახალი სისტემის შესახებ და შევთავაზეთ, რომ შეკითხვების, პრეტენზიების ან შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მოემართათ ჩვენთვის.

ჩვენი გუნდი დაახლოებით თვეში ერთხელ აწყობდა შეხვედრებს და მთელი დღის განმავლობაში ვმსჯელობდით, განვიხილავდით, ვსახავდით სამომავლო გეგმებს. მაღვევე გავერკვევთ, რომ ახალი შეფასების სისტემის ზოგიერთი მხარე კარგად მუშაობდა, ზოგს სჭირდებოდა დახვეწა, ზოგი კი საერთოდ უნდა ამოგვეღო ან ჩაგვენაცვლებინა.

მესამე სემესტრში, ერთი მნიშვნელოვანი პროექტის გამოკლებით, ჩვენ მოსწავლეებს უუბრუნებდით წერილობით ნამუშევრებს, ნიშნების გარეშე. ამის ნაცვლად, კონკრეტული დავალების შესაფასებლად, განსხვავებული ტაბის შენიშვნებს უუთიერდით წერილობით ნაშრომზე. საშინაო დავალებებზე, ისევე როგორც უურნალში, ჩვენ ვწერდით შენიშვნებს და ვანიჭებდით ასოებს: უ, უ1 ან უ2. ისეთ პროექტებზე, რომელთა შესრულებაც მოსწავლეებისგან დიდ დროს მოითხოვდა, 1-იდან 5 ქულით ვაფასებდით ნაშრომის სხვადასხვა ნაწილს და შენიშვნების ერთორ წინადაღებას ვწერდით, ან საერთოდ არ ვიუნებდით ქულებს და ამის ნაცვლად ვწერდით დე-

ტალურ შენიშვნებს. ტესტებისა და საგარჯოშოების შემთხვევაში ჩვენ არასწორ პასუხთან ვუთითებდით: „შეცდომა“, და მოკლე პასუხებსა და სხვა სუბიექტური ტიპის შეკითხვებს ვთავსებდით ასოებით: უ, უ1 ან უ2 და ტესტის ან საგარჯოშოს ბოლოში ვწერდით ზოგადი ხასიათის შენიშვნებს. ასე რომ, მოსწავლეების უმეტესობას შეეძლო გაერჩია და მიზვდარიყო, როგორ შეასრულეს კინკრეტული დაგლება და მხოლოდ რამდენიმე მოსწავლე მოითხოვდა აუგვესნა, რა ნიშნის ეკვივალენტური იყო ჩვენი შენიშვნები. ამ შემთხვევებში ჩვენ შევნიშნეთ, რომ მოსწავლეებით (ჩვენ მიერ ნიშნებზე ყურადღების შემცირებამდე). იმ წელს, როდესაც შეფასების ახალი სისტემა შემოვიდეთ, შევატყვეთ, რომ უფრო უმტკივნეულოდ ვიღებდით ტესტების შეკითხვებთან და გამოცდის ფორმატთან დაკავშირებულ კრიტიკს, რადგან მოსწავლეებიც უფრო გულწრფელი ჩანდნენ კითხვების დასმის დროს. ისინა არ გვეამათხოდნენ ნიშნების გამო, რადგან ნიშნები არ დაგვიწერია! ამან უფრო მეგობრული ატმოსფერო შექმნა კლასში, სადაც ყველას ერთი მიზანი ამოძრავებდა – სწავლა!

## თვითშეფასების ფურცელი

პირველ სემესტრში განხორციელებული ზოგიერთი შესწორების შემდეგ ჩვენ შევიმუშავეთ თვითშეფასების ფურცელი, სადაც მოსწავლეს შეეძლო წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესის ასახვა. თვითშეფასების ფურცელი შემდეგ პუნქტებს შეიცავდა: არსობრივად ათვისება, უნარების ათვისება, სამუშაოს შესრულება და კლასში აქტივობა. ყოველი მეოთხედის ბოლოს თვითშეფასების ფურცელში მითითებული იყო შეკითხვა, მოსწავლეების აზრით, რა ნიშანს იმსახურებდნენ. თავიანთი პასუხი მოსწავლეებს უნდა დაქსაბუთებინათ კონკრეტულ შესრულებულ დაგალებაზე, საგარჯოშოსა და პროექტზე მითითებით. სასწავლო წლის ბოლოს ჩვენ ვიყენებდით ყოველი მეოთხედის ბოლოს შევსებულ შეფასების ფურცელს, სადაც მითითებული იყო მოსწავლეების შუა მეოთხედის ქულები და საშინაო დაგალებაზე მიწერილი შენიშვნები, რაც მათ შეასრულეს მშობელთა და მოსწავლეთა წინა კრების შემდეგ, და ზოგადი კომენტარები თითოეული ძროითადი ტესტისთვის, საგარჯოშოსა და პროექტისთვის, რაც შეასრულეს შუა მეოთხე-

დილან. შემდეგ მოსწავლეთა ნიშნები დაწერა მეოთხედის ბოლოს კრების ჩატარების გარეშე.

ამ პროექტის ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ის, რომ მოსწავლეებმა საკუთარ თავზე აიღეს ნიშნების დაწერის პასუხისმგებლობა და ჩამოაყალიბეს კრიტერიუმები საკუთარი ნაშრომის ხარისხის შესაფასებლად. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეების ჩართვის შედეგად შემდეგი კრიტერიუმები გამოიკვეთა:

#### „ა“ კრიტერიუმი

კლასში მიმდინარე პროცესებში აქტიურად მონაწილეობს  
ძალიან მონდომებულია  
ასრულებს ყველა საშინაო დავალებას  
კარგად ასრულებს ტესტებს  
გაკვეთილებზე არ იგვიანებს  
თანაცოლებს პატივისცემით ეპყრობა და კარგად მუშაობს მათთან  
ყოველთვის მომზადებულია

#### „ბ“ კრიტერიუმი

კლასში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობს არ ასრულებს 1 ან 2 დავალებას  
ერთხელ ან ორჯერ დაიგვიახა  
მასალა კარგად იცის  
არ აქვს არასაპატიო გაცდენები  
უფრო მონდომებულია  
თანაცოლებს პატივს სცემს

#### „გ“ კრიტერიუმი

მასალა გარკვეულ დონეზე იცის და აბარებს ყველა ტესტს  
დავალების შესრულებას ხშირად აგვიანებს, ან არ აბარებს  
კლასში მიმდინარე პროცესებში იშვიათად მონაწილეობს  
არ არის მონდომებული  
აქვს რამდენიმე დაგვიანება  
აქვს არასაპატიო გაცდენები  
ხშირად მოუმზადებელია

#### „დ“ კრიტერიუმი

არ იცის მასალა და ტესტებს ცუდად აბარებს ბევრი დავალება არ ჩაუბარებია  
არ არის მონდომებული და ჩართული სკოლაში

მიმდინარე პროცესებში

გარშემოყოფთ პატივს არ სცემს

აქვს რამდენიმე არასაპატიო გაცდენა

გაკვეთილების დროს არადისციალინებულია

ხშირად აგვიანებს

აღნიშნული განსაზღვრებების გამოყენებით მოსწავლეებს შეეძლოთ, ზუსტად შეეფასებნათ თვალითი ნამუშევარი. საკუთარი ნიშნების დასაბუთების ვალდებულება დაეკისრათ მოსწავლეებს და არა პედაგოგებს. ზომოთ მოყვანილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, თუ მოსწავლეს შეეძლო თვითშეფასების გზით დაწერილი ნიშნის დასაბუთება, მაშინ ეს ნიშანი ითვლებოდა ოფიციალურ ნიშნად. ამ გზით ჩვენ მიგვაღწიეთ მოსწავლეთა მხრიდან ნაკლებ პრეტენზიებს ნიშნების სამართლიანად მიღებასთან დაკავშირებით.

### მოსწავლეთა და პედაგოგთა კრებები

მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის გამართულ კრებებზე აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს უჭირდათ საკუთარი თავისთვის ნიშნის დაწერა და მისი დასაბუთება. მრავალი წლის განმავლობაში მოსწავლეები შეჩვეული იყვნენ, უაპელაციონ მიეღოთ პედაგოგის მიერ დაწერილი ნიშანი, მათ იშვიათად სთხოვდნენ საკუთარი თავისთვის ნიშნის დაწერას. ამ კრებების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ის იყო, რომ შესაძლებელი გახდა მოსწავლეებთან საუბარი და კლასისადმი მათი დამოკიდებულების გაგება. ხშირად ნიშნების განხილვა კრების მხოლოდ ბოლო ნაწილში ხდებოდა და საკმაოდ მცირე დრო ეთმობოდა. მოსწავლეებს სთხოვდნენ, თავად შემოეთავაზებინათ ნიშანი (სანაც ამას პედაგოგი გააკეთებდა). ეს იდეა მიზნად ისახავდა, ნიშნის გამოცნობის თამაშით დაგვებალანსებინა პედაგოგებისა და მოსწავლეების მოლოდინი.

კვლევების, დაკირვებებისა და ბავშვების ინტერვიურების შედეგად მიღებული ინტორმაციის თანახმად, მოსწავლეთა უმეტესობა კმაყოფილი ან ნეიტრალური იყო შეფასების ახალი სისტემის მიმართ. მოსწავლეთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ შეფასების აღტერნატიულმა სისტემამ დადებითი გავლენა მოახდინა კლასში მათ აკადემიურ მოსწრებაზე და რომ მათ გაუჩნდათ უფრო პოზიტიური დამოკიდებულება კლასის მიმართ.

## ნიშნები

შეფასების ახალ სისტემასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის წინა წლებთან შედარებით აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც მაღალ ქულებს იღებდნენ, გაიზარდა (მოსწავლეების 55% მიმდინარე წელს, წინა წელს მოსწავლეების 27%). შეუძლებელია იმის ზუსტად დადგენა, კონკრეტულად რამ გამოიწვია მოსწავლეთა მიერ მაღალი ქულების მიღება; თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ მოსწავლეების ჩართვა საკუთარი თავის შეფასების პროცესში და ნიშნის წერის ნაკლებად ობიექტური მიღებობა (რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასება არ იყო მთლიანად ტესტების ნიშნების პროცენტზე დაუუძნებული) გარკვეულწილად გავლენას ახდენდა შედეგებზე. დარწმუნებული ვართ, რომ პირად სწავლაზე, ზრდასა და გაუმჯობესებაზე ყურადღების გადატანაშ, რაც ნიშნებზე ყურადღების შემცირების შედეგად მოხდა, დაგალების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ჩაჭრის შესაძლებლობა შეამცირა და მოსწავლეებს მისცა შესაძლებლობა, საკუთარ თავზე აეღოთ სწავლისა და საკუთარი ცოდნის დასაბუთების პასუხისმგებლობა.

წლის ბოლოს ჩატარებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ მოსწავლეების 71% ეთანხმებოდა შემდეგ განცხადებას: „მე ვთვლი, რომ კურსზე შემოღებული ნიშნის წერის სისტემა დამემარა, მეტი ყურადღება მიმექცია სწავლისთვის, ვიდრე ნიშნებისთვის.“ 77% დაუთანხმა, რომ „ისინი ურჩევდნენ პედაგოგს, გაეგრძელებინა შეფასების აღნიშნული სისტემის გამოყენება, რადგან იგი ეხმარება მოსწავლეებს უკეთ სწავლაში.“ ჩვენ ვთვლით, რომ ასეთი სახის განცხადები მხარს უჭერს ნიშნის წერის პრაქტიკაზე ყურადღების შემცირებას და რომ სწავლა შეიძლება მაშინაც, როდესაც კარგი ნიშნის მიღებაზე ზეწოლა შემცირებულია. მოსწავლეებმა გააკეთეს შემდეგნაირი მხარდაშეკრიბაციაზე:

„მე მჯერა, რომ შემიძლია სწავლაზე კონცენტრირება,“

„აღნიშნული დამეტმარა საკუთარი თავის გაუმჯობესებაში,“

„აღნიშნული გეხმარებათ, მეტი ყურადღება მიაქციოთ ინფორმაციას და ნაკლები იმას, თუ რა უნდა მასწავლებელს,“

„აღნიშნულმა ბევრი სტრესი მომიტხსნა და შესაძლებლობა მომცა, ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე მემუშავა და არ მეფიქრა ნიშნის მიღებაზე,“

„ტრადიციული შეფასების სისტემასთან შედარებით, აღნიშნული სისტემა ჩემი ცოდნის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.“

„ეს მეთოდი მეტარება, საუკეთესოდ წარმოვაჩინო საკუთარი თავი, რადგან ეს ჩემს ინტერესებში შედის.“

მოსწავლეებში სიამაყის განცდამ და შეფასების ახალი სისტემის მნიშვნელობის შესახებ გამოთქმულმა განცხადებებმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი რწმენა. ქვემოთ მოყვანილი ორი კომენტარი გვიჩვენებს, როგორი პასუხისმგებლობით მიუდგნენ მოსწავლეები დაკისრებულ ვალდებულებას:

„მე ვიცოდი, რომ საკუთარ თავთან მართალი უნდა კვოფილიყოვა.“

„პატიოსნება შენი განმსაზღვრელია, და თუ სვალ აღარ იქნები, ხალხს არ ემახსოვრება შენი ნიშნები; მათ ემახსოვრებათ, რამდენად მართალი და გულწრფელი იყავი საკუთარ თავთან.“

ამ კვლევამ უდიდესი გამოცდილება შეგვძინა, თუმცა, როგორც ნებისმიერი კვლევის დროს, მისი დასრულების შემდეგ დარჩა უარჩავი პასუხისმებლი შეკითხვა. მაგალითად:

- არის თუ არა რიცხვებით ან ასოებით შეფასების სისტემის სრული გაუქმება (მეოთხედისა და სემსტრის ნიშნების გამოკლებით) ნიშნებზე ყურადღების შემცირების გზა?

- არსებობს თუ არა ნიშნებზე ყურადღების შემცირების ისეთი მეთოდი, რომელიც ნაკლებად არის დაკავშირებული საბუთების შექსებასთან? (აღნიშნული ჩარევის მაგალითზე ჩვენ გავიგეთ, რომ ნიშნების წერია მისაღები და მოსახერხებელია მუშაობისგან გადაღლილი და გამოფიტული პედაგოგებისთვის!)

- რა როლი უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა საკუთარი თავისთვის ნიშნების წერის პრაცესში?

- როგორ შეგვიძლია ნიშნებზე ყურადღების შემცირება და, ამავე დროს, მოსწავლეების შედეგების შეფასების რაიმე კონკრეტული კრიტერიუმის შენარჩუნება?

სამოქმედო კვლევის ჯგუფის სამუშაოს ყველაზე მეტად ღირებული ნაწილი იყო ის, რომ შესაძლებლობა მოგვეცა, კოლეგა პედაგოგების პატარა ჯგუფთან ერთად შეგვეძინა ცოდნა და გავზრდილიყავით. ერთობლივი მუშაობის გამოცდილებამ თანამშრომელთა განვითარების შესანიშნავი საშუალება მოგვცა; მთელი წლის განმავლობაში კოლეგებთან შეიძლო თანამშრომელობით ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა, მიგვენო ახალი იდეებისთვის და გაკეთილებზე ყოველთვის გვქონდა ჩვენი კოლეგის დახმარების იმედი. აღნიშნულის გამო და იმიტომ, რომ სურვილი გვაქცი, შევისწავლოთ ახალი საკითხები და კვლევის დროს აღმოჩენილი პრობლემები, ჩვენ ვაპირებთ სწავლების ეფექტურობასა და შეფასების სისტემაზე სამოქმედო კვლევის გაგრძელებას.

**ტ**ესაძლოა, სამოქმედო კვლევის ცვლაზე როსული ნაწილი კვლევის პერიოდში აურცხული რაოდნობით შეგროვებული მასალიდან მნიშვნელოვანი და მთავარი აზრის გამოტანა იყოს. ეს პროცესი ბევრ სამოქმედო მკვლევარს აშინებს, როდესაც ისინი მონაცემთა უშესალოდ შეგროვების დროს აღმოაჩენენ, რომ უნდა შეიცვალონ პრიორიტეტული სფერო და უნდა იყენენ მეტად ანალიტიკურები. ისინი ღრმად უნდა ჩასწორდნენ იმ ფენომენის რაობას, რომელსაც იკვლევენ და აზრი გამოიტანონ ნასწავლიდან.

ჰაილენდ-პარკის საშუალო სკოლის მაგალითი კარგად წარმოაჩენს პედაგოგთა ჯგუფის ერთობლივ მუშაობას, რათა გაიგონ, როგორ დაგვეხმარება ნიშნების წერაზე უურადღების შემცირება მოსწავლეების სწავლაზე უურადღების გაზრდაში. ამით პედაგოგებს მიეცათ შესაძლებლობა, საკუთარი აღმოჩენები გაეზიარებინათ სხვა პედაგოგებისა და მონაწილეებისთვის.

იმაზე მსჯელობა, თუ როგორ ჯობია მონაცემთა ანალიზი და განმარტება, არის გადამწყვეტი სამოქმედო კვლევის ჩატარებამდე, ჩატარების პროცესში და მისი ჩატარების შემდეგ. უმნიშვნელო ან გაუგებარი მასალის შეგროვებისგან თავის დაზღვევის მიზნით, კვლევის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, საკუთარ თავს დავუსკათ შეკითხვა: „როგორ ვაპირებთ აღნიშნული მასალის არსის გაღმოცემას?“ ამის მსგავსად, კვლევის დროს მკვლევარმა პედაგოგებმა უნდა იმსჯელონ საკუთარ აღმოჩენებზე და იფიქრონ, როგორ დაეხმარებათ ეს ინფორმაცია მონაცემთა შეგროვების პროცესში. და ბოლოს, მონაცემთა სისტემატური შეგროვებით მკვლევარმა პედაგოგებმა უნდა განსაზღვრონ, რისი საზეიმოდ აღნიშვნა სურთ და ასახონ აღნიშნული საკუთარ აღმოჩენებში.

## მიმდინარე ანალიზი და განხილვა

სამოქმედო კვლევების მეშვეობით მკვლევარი პედაგოგები მოიპოვებენ მონაცემებს, რომელთა გამოყენება შეიძლება როგორც სარისხობრივად, ისე რაოდნობრივად. კვლევის შედეგად მიღებული ხარისხი მონაცემების უმეტესობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთელი კვლევის პერიოდში, სწავლებაზე დადებითი ზეგავლების მოსახლენად. მაგალითად, პედაგოგები ხშირად მსჯელობენ საკუთარი პედაგოგიური

ნიშნის დაწერის პრაქტიკის გაუქმება და წლების განმავლობაში არსებულ შეხედულებებზე უარის თქმა საკმაოდ სახიფათო წამოწყებაა. ყოველთვის მარტივი არ არის რამეს შეცვლა. შესაძლოა, ჩვენი პირველი სამოქმედო კვლევა „ახალფეხადგმული ბავშვის ნაბიჯებს“ უფრო ჰგავს. ამ სამოქმედო კვლევის პროექტმა გაგვათავისუფლა ნიშნის წერის სისტემისგან და შემოგვთავაზა შეფასების ახალი სისტემები, რამაც საშუალება მოგვცა, ნაკლები დრო დაგვეხარჯა წერითი და გამოთვლით სამუშაოსთვის და მეტი დრო დაგვეთმო ჩვენი სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილისთვის: დაგეხმარებოდნებო მოსწავლეებს თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამომჟღადებაში, ასევე დაგვეხმარა იგი ჩვენ, როგორც პედაგოგებს, ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმის ჩვენებაში.

პრაქტიკის კონკრეტულ ეპიზოდზე, როგორც მის დაწყებამდე, ასევე მის პროცესში და შემდეგ, რაც ჩვენი პროფესიული ნიშან-თვისებაა! სამოქმედო კვლევა, ამ შემთხვევაში, გამონაკლისი არ არის. ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ, კვლევისას დრო დავუთმოთ მონაცემთა გაანალიზებას, რათა გავიგოთ, იმას ვსწავლობთ თუ არა, რისი შესწავლაც გვინდოლა. მაგალითად, პაილენდ-პარკის საშუალო სკოლის გუნდმა კვლევის დასაწყისშივე აღმოაჩინა, რომ ნიშანბზე ურადღების შემცირების სისტემის ზოგიერთი ასპექტი კარგად მუშაობდა, ზოგიერთი კი უნდა შეცვლილიყო ან გაუქმდებულიყო საერთოდ. სამოქმედო კვლევის პროცესში ანალიზი და განხილვა არის უმნიშვნელოვანესი.

ანდერსონი და მისი კოლეგები (1994) ამტკიცებდნენ, რომ „მნიშვნელოვანია, კვლევის დროს, რაღაც მომენტში, შეაჩერო მონაცემთა შეგროვება და დრო დაუთმო უკვე არსებული მონაცემების გაანალიზებას“ (გვ. 155). ეს ავტორები მკვლევარ პედ-აგოგებს ურჩევენ, მაგალითად, პასუხი გასცენ რო შეკითხვაზე, რაც მათ სამუშაოსა და მსჯელობას სწორ მიმართულებას მისცემს:

1. შესაძლებელია თუ არა თქვენი კვლევის შეკითხვაზე პასუხის გაცემა და ლირს თუ არა მასზე პასუხის გაცემა?
2. მონაცემთა შეგროვების მეთოდი გაძლიერებული თუ არა შესაძლებლობას, მიიღოთ სასურველი მასალა და გაფილტროთ ის მონაცემები, რომელიც არ გჭირდებათ?

ამის მსგავსად, ჰენდრიქსი (2006) მსჯელობს წინასწარი ანალიზის აუცილებლობაზე, რაც საშუალებას აძლევს მკვლევრებს, კვლევის დროს მონაცემთა ანალიზის პროცესში წამოჭრილი შეკითხვებისა და საკითხების საფუძველზე შეცვალონ მონაცემთა შეგროვების მეთოდები. კვლევის დროს პაუზის გაკეთება საშუალებას მოგცემთ, განიხილოთ ის, რაც გაინტერესებთ, არასაჭირო ინფორმაცია კი გამოტოვოთ. ასეთი ტიპის განხილვები მიმართულებას მოგცემთ კვლევის მთელი პროცესის განმავლობაში, საწყის ეტაპზევე განსაზღვროთ, რამდენად გამოსადევია მოპოვებული მასალა. ანდერსონი და მისი კოლეგები (1994) გვირჩევენ:

მონაცემთა შეგროვების პროცესში პერიოდული შესვენება საჭიროა იმისთვის, რომ მიხვდეთ, რამე ხომ არ გამოგრჩათ და დამატებით რა სახის მასალის შეგროვება გჭირდებათ ხარვეზის შესავსებად, რათა თქვენი კვლევის შეკითხვა ამოხსნათ. კვლევის აღრიცხულ ეტაპზე ამაზე დაფიქრება კვლევის განსახორციელებლად სწორი მეთოდების არჩევას გაგრიადვილებთ. (გვ. 156).

ლევინის ორგინალური სამოქმედო კვლევის მაგალითის მიხედვით, მნიშვნელოვანია სამოქმედო კვლევის მთელ პროცესში ხელახლა გადატედვა და გააზრება, განხილვა, დისკუსია, ხელახლა დაგეგმვა, გააზრება და სწავლა.

## გაუცნობიერებელი მოქმედებისგან თავის შეკავება

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ანალიზი და განხილვა სამოქმედო კვლევის პროცესში აბსოლუტურად ბუნებრივი ნაწილია, თქვენ თავი უნდა შეიკავოთ მონაცემთა ნაადრევი ანალიზითა და განმარტებით გამოწვეული, გაუცნობიერებელი ქმედებისგან. სამოქმედო მკვლევრები და, განსაკუთრებით, გამოუცდელნი, ხშირად იღებენ ნაჩერევ ან იმპულსურ გადაწყვეტილებას შეზღუდული რაოდენობის მონაცემებზე დაყრდნობით. ახალბედა მკვლევრი პედაგოგები, რომელიც პირველად მონაწილეობენ საკუთარი სწავლების შესახებ სისტემატურ კვლევაში, საოცრად მონდომებულნი არიან, რაც შეიძლება სწრაფად შეაგროვონ, გაანალიზონ და განმარტონ

მონაცემები. დიდი ალბათობაა, კვლევაშ მიიღოს არასწორი მიმართულება იმის გამო, რომ ისინი საკუთარ თავს მიიჩნევენ ინფორმაციის საუკეთესო წყაროდ, ნაჩქარევ დასკვნებს აკეთებენ და იმპულსურად მოქმედებენ.

სამოქმედო კვლევა არ შეიძლება ნაჩქარევად გაყეთდეს. მკვლევარი პედაგოგები სიფრთხილით უნდა მოეკიდონ, სწრაფი შედეგის მომტანი მეთოდების ცდუნებას არ უნდა აჰყონონ და მოთმინება იქნიონ, რათა ნაჩქარევი ანალიზის ხაფთნები არ გაებან. ძალიან იშვიათად ხდება, რომ რამდენიმე დღის დაკვირვების შედეგად ღრმად ჩავწედეთ საკითხს და სწრაფად მივაღწიოთ სასურველ შედეგს! მიუხდედვად იმისა, რომ გაცილებით მარტივია, კვლევა დაიწყოთ წინასწარ შექმნილი რწმენით, რომ რასაც ექვებო იმას აღმოაჩენთ, და გაცილებით რთულია, იყოთ მომთმენი, გამძლე და მიზანმიმართული, რათა კვლევა წარმართოთ ნელა, ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში.

## ანალიზისა და განმარტების მნიშვნელობა

კვლევის დროს დადგება ეტაპი, როდესაც მოგინდებათ პროცესის შედეგად ნასწარისა და თქვენი მოსწავლებისთვის ღირებული ინფორმაციის შეჯამება. თქვენ მონაცემებთ, გაუზიაროთ მხოლოდ აღმოჩენები, ყველა მონაცემის გაზიარების გარეშე, და შემდეგ გამოიყენოთ ეს აღმოჩენები სამოქმედო კვლევის შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრის მიზნით. აღწერილ მნიშვნელოვან პროცესს სამოქმედო კვლევაში ეწოდება მონაცემთა ანალიზი და განმარტება, რომლის განხორციელების დროსაც სიფრთხილე გმართებთ.

მონაცემთა ანალიზი არის პედაგოგი მკვლევრის მცდელობა, სიზუსტით და სარწმუნოდ შეაჯამოს შეგროვებული მასალა. შეგროვებულ მონაცემთა ტიპის მიხედვით გადაწყვეტი, რა სახის მონაცემთა ანალიზის მეთოდს გამოიყენებთ. მაგალითად, თუ თქვენ შეაგროვებთ თხრობით, აღწერილობით და არარიცხობრივ მონაცემებს, როგორებიცაა: დაკვირვებასთან ან ინტერვიუსთან, კითხვარებთან ან სურათებთან დაკავშირებით გაკეთებული საველე ჩანაწერები, მაშინ ყველაზე შეტად მონაცემთა ხარისხსობრივი ანალიზი გამოვადგებათ. მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზი იქნება ყველაზე მისაღები ფორმა თქვენი აღმოჩენების შესაჯამებლად, მაშინ, როდესაც საჭიროა ტესტების ნიშნების შეჯამება. სამოქმედო კვლევის დროს შეგროვებულ მონაცემთა უმეტესობა იქნება ნარაციული და არარიცხობრივი, აქედან გამომდინარე, წინამდებარე თავში ჩვენ განვიხილავთ მონაცემთა ხარისხსობრივი ანალიზს. მონაცემთა ხარისხსობრივი ანალიზი და განმარტება უფრო დეტალურად განხილულია „ბ“ დაართში.

მონაცემების ანალიზის შემდეგ თქვენ, ასევე, აღნიშნულის კარგად გააზრებაც მოგიწევთ. მონაცემთა განმარტება არის მკვლევრის მცდელობა, გაიგოს მონაცემთა მნიშვნელობა და, გაკეთებული აღმოჩენების შედეგის თვალსაზრისით, პასუხი გასცეს შეკითხვას „და ამით რა?“. მარტივად რომ ვთქვათ, ანალიზში იგულისხმება მონაცემებში არსებული ინფორმაციის შეჯამება, ხოლო განმარტებაში მონაცემთა არსში გარკვევა და მათი მნიშვნელობის გაგება.

მონაცემთა ანალიზსა და განმარტებას სამოქმედო კვლევის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც მკვლევარი პედაგოგისგან მონაცემების ცოდნას და გაეცებას მოითხოვს. მონაცემთა ანალიზისა და განმარტების დროს მიზნად დაისახეთ, განიხილოთ ყველა შესაძლო ასპექტი/მსარე, ეცადეთ, იპოვოთ მაგალითი და მონაცემების დასმარებით ახლებურად გაიაზრით. გასხვდეთ პირველ თავში მოყვანილი ისტორია/დებორა საუთის შესახებ: „როგორ დავანტერექსოთ არამოტივირებული

მოსწავლეები?“ მკელევარი პედაგოგი თავდაპირველად დარწმუნებული იყო, რომ მის მონაცემებს ერთადერთი ახსნა ჰქონდა – მოსწავლეთა ნიშნების რადიკალური გაუარესების მიზეზს მის კლასში სწავლების მეთოდი განაპირობებდა. რწმნას ისიც უშედგებდა, რომ ამ სემესტრში საერთო გამოცდილება ყველა 18 ბავშვისთვის სწორედ მის კლასში სწავლა იყო! თუმცა მას მერე, რაც დებორამ ხელახლა გადახედა შეგროვებულ მონაცემებს და მას მერე, რაც მისმა მკვლევარმა კოლეგებმა აიძულეს, მონაცემთა სხვაგვარად განხარტება ეცადა, აღმოჩნდა, რომ დაბალი მოსწავებისა და არამოტივირებული ბავშვებისგან კლასის ერთგვაროვნად დაკომპლექტება ხელი შეუწყო კლასში ნეგატიური მუხტის გადამწყვეტი რაოდენობით დაგროვებას. მონაცემთა სარისხობრივი ანალიზისა და განმარტების შედეგად დებორას შესაძლებლობა მიეცა, სამოქმედო კვლევის აღმოჩენები გამოიყენებინა სკოლის დირექტორის დასარწმუნებლად, რათა მას არამოტივირებული მოსწავლეების პრობლემის უფრო ეფექტურად გადაჭრის მიზნით სხვა სახის „ჩარევები“ გამოეკვლია.

## მონაცემთა ანალიზის მეთოდები

შეეცადეთ, წრმოიდგინოთ, რომ სხვადასხვა მონაცემის შეგროვების მეთოდის (დაკვირვებები, ინტერვიუები, კვლევები, აუდიოჩანაწერები და სხვ) კვირების (თვეების, წლების) განმავლობაში გამოიყენების შემდეგ თქვენ სხედხართ თქვენს მისაღებ ოთახში (საკლასო ოთახში, კათედრის მისაღებში) კოლეგებთან ერთად (ან მარტო), გარშემო მონაცემებით საკისე (ყველა სახის ფორმისა და ზომის) უამრავი საქაღალდე (ყუთები) დეებს! მკვლევარი პედაგოგის ეს ნაკლებად რომანტიკული სურათი საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა. პრობლემის სისტემატურ კვლევაში ჩატანულებს, პედაგოგებს (ინდივიდუალურად და კოლექტიურად) უწევთ მონაცემთა არცუუ ისე მარტივი ანალიზის შესრულება; ანალიზი გულასხმობს აურაცხელ აღწერილობით მონაცემთა გადმოცემას სათანადო, ზუსტი, სანდო და სწორი ფორმით. ბუნებრივია, ამის გაეკთება არ არის მარტივი – საქამაოდ რთულია, დიდ დროსა და ძალისხმევას ითხოვს. და მაინც, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია სამოქმედო კვლევაში, ვინაიდან ამ დროს ვცდილობთ გავიგოთ, რა შევიძინეთ და ვისწავლეთ ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად.

შემდეგ ქვეთავებში განხილული მეთოდები მიმართულებასა და ბიძგს მოგცემთ, რათა მაქსიმალურად ეფექტურად განახორციელოთ თქვენი ანალიზი. შეუძლებელია მონაცემთა შესწავლის გარეშე შედეგის მიღება. პირდაპირი გაგებით, თქვენ მთლიანად უნდა ჩაეფლოთ თქვენს მონაცემებში. წაიყითხეთ და შემდეგ ხელახლა წაიკითხეთ, მოუსმინეთ და განმეორებით მოუსმინეთ, უურეთ და შემდეგ ისევ უურეთ. სიღრმისეულად შეისწავლეთ შეგროვილი მასალა. ჩაეძიროთ თითოეულ ნიუნისა და დეტალს, ეცადეთ, იყოთ ზედმიწევნით ზუსტი, დამაჯერებელი და დაწყებული ბოლომდე მიიყვანოთ. თავი შეიკავეთ ნაჩრავები დასკვნებისა და ქმედებისგან; თქვენ ზუსტად უნდა იცოდეთ, რა გააუმჯობესდებს თქვენი ზორუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების ცხოვრებას. მართალია, ძალიან ამაღლებული მიზნებია, თუმცა ჩვენ სწორედ მათ მისაღწევად მივისწრაფვით.

## საკითხის განსაზღვრა

დასაწყისისთვის გამოიყენეთ მონაცემთა ინდუქციური ანალიზი: დაიწყეთ თემების ჩამოთვლა, რაც ლიტერატურის მიმხრილვისა და მონაცემთა შეგროვების დროს ამოტივტივდა. მაგალითად, არის თუ არა რამე ნიმუში, ანუ ისეთი მოვლენა, რომელიც ძალიან ხშირად გხვდებათ და მეორდება, საკვანძო სიტყვები, რომლებსაც

მონაწილეები იუნიტების საკუთარი გრინბების გამოსახატავად, ან კვლევის შედეგად მიღებული პასუხები, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა. იმსჯელეთ პაილენდ-პარკის საშუალო სკოლის სამოქმედო კვლევის ჯგუფის შესახებ წინამდებარე თავში წარმოდგენილი ამბის ირგვლივ. მასალის შეგროვების შემდეგ მათ გააცნობიერეს, რომ ნიშნების წერაზე ყურადღების შემცირების პროცესში საქმე ჰქონდათ მოვლენებთან, რომლებიც მეორდებოდა, მაგალითად: ნიშნების მიღებით გამოწვეული სტრუსი, სწავლაზე ახლებურად ორიენტირებით გამოწვეული კმაყოფილება, ის დრო, რაც პედაგოგებს დასჭირდათ ნიშნის წერის სისტემის გამოყენების გარეშე მოწავლეების ნამუშევართა შესაფასებლად, პატიოსნებასა და სიმართლესთან დაკავშირებული საკითხები.

### კვლევების, ინტერვიუებისა და კითხვების ინდენსირება

მონაცემთა ანალიზისას საკმაოდ ხშირად გვიწევს ინდექსირება, რაშიც იგულისხმება მონაცემთა შეგროვების პროცესში კვლევების, ინტერვიუებისა და კითხვარების გამოყენების გზით პრინციპისა და მნიშვნელობის გაგება. აღწერილი ტიპის მასალის დამუშავება საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა, ვინაიდან კვლევები, ინტერვიუები და კითხვარები საყოველთაოდ არის მიღებული სასკოლო პრაქტიკაში, და მათი მეშვეობით საკმაოდ დიდი რაოდენობით ინფორმაციას ვიღებთ შედარებით ნაკლებ დროში.

მასალის ანალიზისას თქვენ შესაძლოა, მონაცემთა რაოდენობის შემცირება დაგჭირდეთ, რათა მათი დამუშავება შესაძლებელი გახდეს. საველე ჩანაწერებზე, ინტერვიუს, აუდიოჩანაწერის გაშიფრულ ვარიანტზე, სურათებზე, რუკებსა და ცხრილებზე მუშაობის ერთ-ერთი საშუალებაა, რომ მონაცემები შეიტანოთ 3X5 ზომის სააღრიცხვო ბარათებზე ისე, რომ თქვენს მონაცემებს დახარისხებული და ორგანიზებული სახე მიეცეს. როდესაც წაიითხავთ მასალას და შემდეგ ხელახლა გადაიკითხავთ (რომელიც უკვე ბარათების სახით გაქვთ წარმოდგენილი), შეეცადეთ, დაყორთ იგი კატეგორიებისა და თემების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესში არაფერია ზებუნებრივი, დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს იმის შემოწმება, თუ რამდენად სწორად, ზუსტად, სარწმუნოდ და შესაბამისად გაუკეთდა ანალიზი აღწერილობით მონაცემებს.

წარმოიდგინეთ, რომ ბანქოს თამაშობთ და არ იცით მის ბარათებზე ასახული სიმბოლოების მნიშვნელობა. შემდეგი სახის ანალოგია შეიძლება დაგეხმაროთ: თქვენ გიჭირავთ ბანქოს ბარათების ერთი დასტა, რომელშიც თითოეული შეიცავს მონაცემებს. მისი თანმიმდევრობა შემთხვევითია. როდესაც გადაათვალიერებთ თქვენს ბანქოს, ინტუიციურად ხვდებით, რომ მონაცემები ზოგირით ბარათზე ჰგავს სხვა ბარათზე არსებულ მონაცემებს. თქვენ ბანქოს უკელა ბარათს ყურადღებით შეისწავლით და შეცვლით მათ წყობას. კვლავ შეედავთ დასტას, თუმცა ამ შემთხვევაში აჯგუფებთ მათ, რომლებიც ერთნირად გამოიყერება. საბოლოოდ, თქვენ ოთხოთხად დააჯგუფებთ 13 განსხვავებულ თემას, რომელთაც რაღაც საერთო აქვთ ერთმანეთთან (ბანქოს ბარათების რიცხვი ან გამოსახულება – ვალეტები/ქალები/მეფეები). თქვენ ხელახლა გადააჯგუფებთ ბარათებს. ამჯერად, შეამჩნევთ, რომ არსებობს განსხვავებული ტიპის ბარათები და მიიღებთ 4 რიგად დაჯგუფებულ 13-13 ბარათს. ეს საკმაოდ ამრევ-დამრევი საქმიანობაა. რომ არ შეცდეთ, თქვენ ისევ გადააწყობთ ბანქოს დასტას, საერთო დამასახიათებელი ნიშნების მიხედვით, და გჯერათ, რომ მონაცემების ანალიზისას ზედმიწევნით ზუსტი იყავთ. თუმცა არის ერთი პრობლემა: სად უნდა წაიღოთ ჯოკერი, რომელიც ბანქოს დასტაში ამოგივი-

დათ?! და სად უნდა წაიღოთ ბანქოს ბარათი, რომელსაც ჩანაცვლებითი დანიშნულება აქვს?! საიდან გაჩნდა იგი და რომელ რიგში შეიძლება მოუქებნოთ მათ ადგილი?! მაშინ, როდესაც გეგონათ, ყველა დახარისხებული გქონდათ, უცებ აღმოჩნდება, რომ არასწორად დაახარისხეთ და წარმოადგინეთ შეგროვებული მონაცემები... და თქვენ კვლავ აგრძელებთ გადაჯგუფებასა და დახარისხებას.

რამდენიმე ზოგადი რჩევა შეიძლება დაგეხმაროთ დიდი მოცულობის მასალის უფრო ორგანიზებულად ინდექსირებაში:

1. გადაკითხეთ მონაცემები და ტექსტებს მანიჭეთ გარკვეული კატეგორიის აღმნიშვნელი იარლიყები. ეს იარლიყები არის პირობითი ნიშნები, რომლებიც რაღაცას აღნიშნავს, და როდესაც მასალას ხელახლა მიუბრუნდებით, თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რა იგულისხმეთ ამ ნიშანში.
2. 3X5 ზომის ბარათებზე გადაიტანეთ ტექსტიდან ამონარიდები (ბანქოს თამაშის ანალოგიურად) და მიეცით თქვენს მონაცემებს ორგანიზებული სახე. მიუთითეთ თარიღები, რაც გაგიადგილებთ ტექსტების კონტექსტთა მიხედვით პონას. მაგალითად, მიუთითეთ თარიღი და დრო (1/26/02 10:15), რაც თქვენს ურნალში ან საველე ჩანაწერებში მონაცემების მოძებნაში დაგეხმარებათ. გახსოვდეთ: კონტექსტს მნიშვნელობა აქვს, რადგან თქვენ მოისურვებთ დარწმუნდეთ, რომ სწორი იარლიყი მიაკარით ტექსტს, რომლის დამატებაც გსურთ მსგავსი კატეგორიის ტექსტთან. დიდი რაოდენობით ფურცლების გადაჯგუფება შეიძლება საკმაოდ რთული საქმიანობა აღმოჩნდეს, ასე რომ, მათი ბარათებით შეცვლა თქვენთვის მოსახერხებელი უნდა იყოს.
3. შემდეგ დაიწყეთ ერთნაირი ან მსგავსი იარლიყების მქონე ბარათების ერთად დაჯგუფება.
4. შემდეგ კვლავ მიუბრუნდით აღნიშვნულ ბარათებს და შეამოწმეთ, რამდენად სწორად გაქვთ დაჯგუფებული იარლიყები, ან თუ საჭიროებენ ახალ კატეგორიაში გადატანას. აღნიშვნული პროცესი ჰგავს გონიერივ შტურმს (ბრეინ-სტორმინგისაგან) და მსგავსი იდეებისა და აზრების მქონე კატეგორიების ძიებას.

მაგალითად, **სასკოლო ოლქის** ცვლილების შესახებ კვლევაში (მილსი, 1988) მექონდა დიდი რაოდენობით 3X5 ზომის ბარათი, რომლებიც შეიცავდნენ შემდეგი სახის პირობით აღნიშვნებს:

**ბარათი №1.** მმართველის ასისტენტი მოუწოდებს დირექტორებს, რომ ველოსიპედი თავიდან კი არ გამოიგონონ, არამედ ერთმანეთს გაუზიარონ იდეები, როდესაც ცდილობებს განსაზღვრული პრობლემის გადაჭრას. (ამ შემთხვევაში პრობლემა ეხებოდა კალიფორნიის მიღწევების ტესტებში მიღებულ დაბალ ნიშნებს). მმართველის ასისტენტმა დირექტორებს განუცხადა: „მე არ მინდა, რომელიმე თქვენგანმა იფიქროს, რომ მარტო ხართ თქვენს საქმიანობაში.“

**ბარათი №2.** კრებაზე ერთ-ერთი დირექტორი აცხადებს: „სრულიად ნათელია, რომ კალიფორნიის მიღწევების ტესტი არ ამოწმებს იმას, რასაც ვასწავლით ჩვენს სკოლებში. ტესტი გათვლილი იყო კალიფორნიაზე და არა ორეგონზე.“

**ბარათი №3.** კალიფორნიის მიღწევათა ტესტების ნიშნების განცხადების შემდეგ მოეწყო დირექტორების კრება. მმართველის მითითებაში ნათქვამია, რომ „ყველა

სკოლა შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, ტესტირების შედეგად მიღებული დაბალი ნიშნებით გამოწვეული პრობლემის განხილვის მიზნით“; მითითება არ შეიცავდა რაიმე სახის განხილვას სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ.

**ბარათი №4.** დირექტორი აჯამებს თავის მოსაზრებებს სტანდარტიზებული ტესტირების შესახებ: „ოლქი გვაიძულებს, განვახორციელოთ არასაჭირო აქტივობები, რომელთაც არავითარი შედეგი არ მოაქვთ პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის.“

**ბარათი №5.** ტესტირების ნიშნებისა და სამოქმედო გეგმის გამოქვეყნებიდან 3 თვის შეძლებ გაიმართა დირექტორთა კრება. სასწავლო პროგრამის დირექტორისთვის სამოქმედო გეგმების ჩაბარების ვადა 7 კვირის წინ იწურებოდა. დირექტორებს განემარტათ, რომ შეეძლოთ აელოთ დამატებით 2 კვირა გეგმების დასრულებისთვის.

**ბარათი №6.** მმართველის თანაშემწე აცხადებს, რომ იგი შეხვდება დირექტორებს პირადად, რათა განიხილონ სკოლის გაუმჯობესების შესახებ სამოქმედო გეგმების განხორციელების საკითხის. სასწავლო წლის დასრულებამდე 4 კვირა რჩება, ხოლო 16 კვირა გავიდა მას შეძლებ, რაც პირველად მივიღეთ სკოლის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ დირექტივა.

**ბარათი №7.** ერთმა დირექტორმა სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ აღნიშნა: „მარტო იმისთვის ვწერ გაუმჯობესების გეგმებს, რომ სათავო ოფისში გაიგონ ამის შესახებ და დაწენარდნენ, ხოლო ის, თუ გეგმაში რა წერია, მათ საერთოდ არ აინტერესებთ. ვალიარებ, რომ დაწერილი მაქეს გეგმები, თუმცა არასდროს შემისრულებია ისინი, რადგან მე ზედმეტად დაკავებული ვარ სკოლაში რეალური პედაგოგიური საქმიანობით.“

ზემოთ წარმოდგენილი ოთხი რჩევა რომ გავითვალისწინოთ, პირველი ნაბიჯი არის ტექსტებზე „იარლიყების მიკვრა“. ტექსტების შინაარსის განმსაზღვრელი სათაურები „გადატანილია ბარათებზე“ და დახარისხებულია შეძლებ ჯგუფებად: ბარათები №1, №3 და №5 არის „სასკოლო ოლქის მიდგომა სკოლაში ცვლილებასთან დაკავშირებით“; ბარათებს – №2-სა და №4-ს აქეს შეძლევი იარლიყი: „დირექტორი ეჭვის თვალით უყურებს სასკოლო ოლქის მიდგომას“; და ბარათებს – №6-სა და №7-ს შეძლევი სახის იარლიყი მიკარი: „სასკოლო ოლქის უმოქმედობა.“

ეს ბარათები ასახავს დირექტორებთან ინტერვიუს დროს დაფიქსირებულ კომენტარებსა და დირექტორთა კრებაზე დაკირვებებს, რაც ერთობლიობაში გვაძლევს ინფორმაციას კონტექსტისა და არსის შესახებ, რომლის ანალიზის შედეგად მივიღეთ შეძლევი სახელწოდების თემა: „უმოქმედობა“. მაქენზის სასკოლო ოლქის ცვლილების შესახებ ნაშრომში მონაცემთა ანალიზი მოიცავდა „საგანმანათლებლო ცვლილების მოსახდენად ორგანიზებისა და ინდექსაციის მეთოდებს“, სადაც მოცემული იყო ისეთი თემები, როგორიც არის „უმოქმედობა“, რომელიც აღმოცენდა ცვლილების პროცესის აღსაწერად; ანუ ეს იყო ერთ-ერთი საშუალება, რომელზეც მაქენზის სასკოლო ოლქის თანამშრომლები მუშაობდნენ და რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო საგანმანათლებლო ცვლილებასთან! მოუხედავად იმისა, რომ ცვლილების პროცესი საკმაოდ მომხიბვლელი იყო, ეს მაგალითი იმის საჩვენებლად მოვიყ-

ვანე, თუ როგორ წარმოქმნება თქვენ მიერ შეეროვებული მონაცემებიდან თქმა. მე ავირჩიე ტერმინი „უმოქმედობა“, როგორც თქმა, იმის გამო, რომ იგი აღწერდა იმას, თუ რა ხდებოდა ოლქში. ხოლო, როდესაც თქვენ ახდენთ თქვენი მონაცემების ინდექსირებასა და ბარათებზე გადატანას, ისეთი იარლიყო აღმოცენდება, რომელიც აღწერს თქვენთვის საინტერესო ქცევას.

## 06ტერვიუს ანალიზი

სარისხობრივი კვლევის დროს ანალიზდება ასევე ისეთი მასალა, როგორიც არის ინტერვიუები, როგორც წესი, ინტერვიუს აუდიოჩანაწერის გაშიფვრის ფორმით. ამას მოსდევს მკვლევარსა და ორქოუან პედაგოგს შორის ჩატარებული ინტერვიუს ანოტირება, რაც ინტერვიუს შედეგად წამოჭრილი თემების ანალიზის სახით არის წარმოდგენილი.

როგორც ეს მაგალითი გვიჩვენებს, გაშიფრული ინტერვიუს ანალიზის პროცესი გულისხმობს გაშიფრული ჩანაწერის ყურადღებით წაკითხვას, რათა განსაზღვროთ მონაცემებში არსებულ მრავალი თქმა, რაც დაგეხმარებათ, პასუხი გასცეო კვლევის შეკითხვას. მონაცემთა სიღრმისეული შესწავლა საშუალებას მისცემს მკვლევარ პედაგოგებს, თემები და იდეები კატეგორიებად დაყონ, რაც საკვლევი ფენომენის არსში გარკვევას უწყობს ხელს. როგორც ორქოუანი პედაგოგის მაგალითით ირკვევა, ცვლილებისადმი შემი ძალიან ძლიერია, ეს მოვლენა გამუდმებით მეორდება, რაც ესმარება მკვლევარს, უკეთ გაიგოს ფენომენი და, შესაძლოა, კვლევის შეკითხვაზე პასუხსაც გვთავაზობს.

## საპანძო შეკითხვების დასმა

მონაცემთა ანალიზის შემდეგი ფორმა მოიცავს საკვანძო შეკითხვების გამოყენებას. სტრანგერის (1996) თანახმად, ზოგიერთი შეკითხვის გამოყენება საშუალებას აძლევს სამოქმედო მკვლევრებს, გამოისაკვლევი „პრობლემისა და კონტექსტის შესახებ გაიფართონ ცოდნა“ (გვ.87). ასეთი საკვანძო შეკითხვები შეიძლება მრავალნაირი იყოს. თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ სამოქმედო კვლევა იმ შეკითხვებით, რომლებიც მე-2 თავში იყო მოყვანილი: ვინ, რა, სად, როდის, რატომ და როგორ? მაგალითად: ვინ არის მთავარი მოქმედი პირი? ვინ აქვს მასალა? რა სახის? რა ძირითადი აქტივობები, მოვლენები ან საკითხები უკავშირდება აღნიშნულ პრობლემას? როგორ ეწყობა აქტივობები და ღონისძიებები? როდის აღმოცენდა აღნიშნული პრობლემა?.. და ასე შემდეგ. მართალია, არ არის აუცილებელი, ყველა ჩამოთვლილი შეკითხვის გამოყენება დაგჭირდეთ, თუმცა ეს შეკითხვები დაქმარება მკვლევარ პედაგოგებს, რომლებიც, ინდივიდუალურად თუ კოლექტურად, ჩართული არიან ანალიზის პროცესში.

საილუსტრაციოდ გთავაზობთ ჰაილენდ-პარკის საშუალო სკოლის ჯგუფის მიერ წამოყენებულ შეკითხვებს, როგორებიცაა: რა სახით უნდა მიიღონ მონაწილეობა მოსწავლეებმა საკუთარი ნიშნების განსაზღვრის პროცესში? როგორ შეიძლება ნიშნების დაწერაზე ყურადღების შემცირება მაშინ, როდესაც პედაგოგები ინარჩუნებენ მოსწავლეების შეფასების გარკვეულ კრიტერიუმებს? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაგვეხმარება, უკეთ გავიგოთ პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ნიშნების წერაზე ყურადღების შემცირებისა და სწავლაზე ყურადღების გამახვილების საკითხთან.

## ინტერვიუს გაშიფვრის ნიმუში, ინდექსირება

ინდექსები

კულტურა

ნატივისტური  
(ემიგრაციის  
მოწინააღმდეგ)  
მოძრაობა  
პატრიოტული

**შეკითხვა:** რატომ ფიქრობთ, რომ ინგლისურნოვან პედა-  
გოგებს ეშინათ ორენოვანი განათლების სისტემის?

**პასუხი:** ვფიქრობ, შიშის ფაქტორი არსებობს ინსტინქტურ  
და პიროვნულ დონეზე. პედაგოგებს, რომლებიც მხოლოდ  
ინგლისურნოვან პროგრამებში არიან ჩართულნი, აქვთ სერიო-  
ზული შიში იმისა, რომ მათი სამსახური და საარსებო წყარო  
რისკის ქვეშ არის. მათ კულტურას, საზოგადოებას და მათი  
თვალით აღქმულ სამყაროს რომ აღარ შევეხოთ, ყველაფერი  
რისკის ქვეშ ექცევა, როდესაც სკოლებში იწყებენ ახალი  
ენის შემოღებასა და დამკვიდრებას. პედაგოგმა შეიძლება  
თქვას: „ნუ, იმიტომ, რომ არ ვიცი ესპანური, სამსახურიდან  
გამაგდებენ, ჩამანაცვლებენ ვინმე ორენოვანი პედაგოგით?  
თუ ასეთი პროგრამა გაქვთ ჩვენს სკოლაში, ეს ნიშნავს, რომ  
დაგჭირდებათ ორენოვანი პედაგოგები. მე არ ვარ ორენოვანი,  
ასე რომ, ჩემი სამსახური რისკის ქვეშ არის.“

**შეკითხვა:** ფიქრობთ თუ არა, რომ ზოგი ეწინააღმდეგება  
იდეის – ყველა ბავშვმა ისწავლის ინგლისური?

**პასუხი:** ვფიქრობ, ეს ინტერპრეტაციაა, რომელიც მომდინარე-  
ობს 90/10-ზე მაღალითიდან, როდესაც ბავშვი მიდის პირველ  
კლასში და 90%-ით ფლობს ესპანურს, 10%-ით ინგლისურს;  
ასეთ შემთხვევაში მარტივი სათქმელია, რომ ჩვენ უარს ვაძ-  
ბობთ ინგლისურზე. ეს, უძრალოდ, ფაქტის არასწორი აღქმაა.  
50/50%-ზე მოდელი უფრო მეტად ახსნადია, რადგან ცხადია,  
რომ დარის 50%-ით ბავშვს ინგლისურთან შეხვა არ უწევს.

**შეკითხვა:** ძველი გამონათქვამია, რომ პედაგოგები, რომ-  
ლებიც ეწინააღმდეგებიან ორენოვან განათლებას, ამბობენ:  
„ჩემს წინაპრებს არ მიუღიათ ორენოვანი განათლება საჯარო  
სკოლებში და მის გარეშეც მშვენივრად გრძობდნენ თავს.“  
როგორ უპასუხებდით ორენოვანი განათლების მიმართ ასეთი  
სახის დამოკიდებულებას?

**პასუხი:** მე ვიტყონი, რომ მოძველებული აზროვნებაა. რაც  
თქვენს მშობლებს ან მშობლების მშობლებს უნდა გაეკეთე-  
ბინათ, როდესაც ნორვეგიიდან ჩამოვიდნენ, ან საიდანაც  
ჩამოვიდნენ, არის ის, რომ უნდა ესწავლათ სხვა ენაც. ენის  
სწავლის მოთხოვნილება მაშინ ნაკლები იყო, ვითრე ეს დღეს  
არის, მოდით, ასე ვთქვათ: ასი წლის წინ სამუშაოს შოვნა  
უფრო მარტივი იყო. ასე რომ, ადამიანი შეიძლება ჩამოსუ-  
ლიყო და სცოდნოდა 80% შოტლანდიური და 20% ინგლისური  
და მაინც პქნიდა შესაძლებლობა, ეშვა სამსახური. რადგან  
შეეძლო მუშად ემუშავა, სადაც ინგლისურის მწირი ცოდნაც  
დამაკმაყოფილებელი იყო. ანუ ამ ადამიანს არ სჭირდებოდა  
ინგლისურის აკადემიურ დონეზე ცოდნა, არც ჩემს ბაბუას  
სჭირდებოდა, როდესაც აქ ნორვეგიიდან ჩამოდიოდა.

თემები  
(სხვა იდეები)  
შიში

ცვლილების შიში  
სამსახურის  
სტაბილურობა  
ასალი სამსახურის  
შიში

**შეკითხვა:** რას იტყვით შემდეგი სახის დამოკიდებულებაზე: „ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან და ჩვენ ინგლისურად ვლაპარაკობთ აქ, ასე რომ, კეთილი ინებონ და ინგლისური ისტავლონ. სულ ეს არის.“ როგორ უპასუხებდით ასეთ დამოკიდებულებას?

**პასუხი:** დიახ, ეს სერიოზული საკითხია. მე მგონია, რომ ეს კულტურული საკითხია. იცით, ეს ისევ შიშის ეფუძნება. ეფუძნება იმ ფაქტს, რომ შეერთებული შტატები საკმაოდ იზოლირებული „კუნძულია“, რადგან ორივე მხრიდან ოქეანე არტყია და არასდროს გვქონია ჩვევაში, საზღვრებს მიღმა, მეზობლადაც, გაგვეხედა, ან დაგვეფასებინა ის, რაც საზღვრებს გარეთ არის. ამ მხრივ ქსენოფონები ვართ. ტრადიციულად არ ვსწავლობდით სხვა ენებს და არც გვაინტერესებდა ისინი. „რატომ შევიწუხო თავი, ჩვენ ხომ ამერიკა ვართ, უდიდესი, უძლიერესი, და რაში გვჭირდება, ვინმეს კულტურას ან ენას ვცეთ პატივი?“ და მე მიმაჩნია, რომ ესეც მოძველებული ტიპის აზროვნება და ძველი ჩვევაა.

შიში

შიში

### ნატივისტური მოძრაობა პატრიოტული

**შეკითხვა:** ფიქრობთ, რომ ასეთი მიღგომა იცვლება?

**პასუხი:** დარწმუნებული არ ვარ. 11 სექტემბერი, უსაფრთხოება და მსგავსი რამები..., ვთიქრობ, დიდი უცუსვლა განვიცადეთ. გვანდობა, გლობალურად შეგვეხედა საკითხისათვის და ჩვენი მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიხატებოდა: „კი, ეს სანტერესოა. აუ, რა მაგარია..., ნახეთ, რას ვიღებთ სამხრეთ ამერიკიდან; ნახეთ, რას ვსწავლობთ ბერძნებისგან; ნახეთ, რამდენს გსწავლობთ ხალხისგან, რომლებმაც იმოგზაურეს აფრიკაში ან აზიაში..., ჩვენ იმდენ რამეს ვითვისებთ..., ეს ისეთი მაგარია...“ და შემდეგ 11 სექტემბერი მოხდა და ეს ყველაფერი შეაჩერა, თითქოს უკან დაგვხია და უფრო მეტად გააძლიერა ჩვენში შიში. გარდა ამისა, მეორე ფენომენი ისაა, და მე მამაჩემის პოზიციიდან გამომდინარე შემიძლია ვისაუმროვის, კარგი, ძველი აიდაპოელი ბიჭი, ხომ იცით: „თუ ეს ხალხი ჩვენს კულტურაში შემოდის და არ სწავლობენ ინგლისურს, არ იციან არაფერი მადლიერების დღეზე და 4 ივლისზე, არ იციან, როგორ აღვნიშნავთ წმინდა ვალენტინის დღეს და ისევ არ იქცევიან, როგორც ჩვენ, მაშინ, სავარაუდოდ, ისინი ჩვენს კულტურას შეცვლიან, ჩემს კულტურას... და თუ ჩემს კულტურას შეცვლიან, მე არ მეცოდინება, როგორ მოვიქცე. პირველ ადგილზე ჩემი კულტურა დგას, ასე რომ, თუ აქ ყოფნა სურთ, მათ უნდა მიიღონ იგი.“

შიში

შიში

**შეკითხვა:** ჩემს კლასში გამუდმებით მესმის: „მექსიკაში თუ წავალ, ისინი ინგლისურად არ ლაპარაკობენ. ისინი ელიან, რომ მე დაველაპარაკები ესპანურად და გავიზიარებ მათ კულტურას.“ რატომ განვსხვავდებით? რატომ უნდა ვიყოთ უფრო გახსნილები?

**პასუხი:** რატომ უნდა ვიყოთ? დიდი განსხვავებაა ტურისტია, რომელიც მექსიკაში მიდის და იმ პირს შორის, რომელიც აქ ჩამოდის ორი კვირით, ან ვიღაცას, რომელიც ჩამოდის აქ, რომ დარჩეს მთელი ცხოვრება და გაზარდოს ბავშვები. ეს მართლაც ორი განსხვავებული რამ არის. ამერიკის შეერთებულ შტატებს რაც შეეხება, ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენ პლურალისტური კულტურა გვაქვს. შენ შეგიძლია ჩამოხვიდე, დაფუძნდე, გაზარდო შეიღები, თან წამოიღო სილარიბე, მორცხვობა, სისუსტე, და ჩვენ მაინც ერთ ვიქნებით. ასე რომ, ეს იწყება იდეით, სასალათის იდეით, სადაც ყველა ვრჩებით პიროვნებებად, ხოლო ერთად კი კოლექტიურ ერს ვქმნით. ამის საწინააღმდეგო კი არის ის, რომ ჩვენ გვინდა, ყველა ერთ მხარეს იყოს, რადგან გვინდა, ერთიანი ვიყოთ. ვფიქრობ, შიში იმისა, რომ არ ვართ ერთიანი, საზოგადოებაში აღვივებს შეხედულებას, თითქოს სიტყვა „მრავალკულტუროვანი“ სახიფათო ცნებაა. ეს ნიშანებს, რომ ჩვენ ვიკეტებით ჩვენს პატარა გეტოებში, ჩვენს პატარა კულტურებში და სან-ფრანცისკოში უკვე გვყაქს ლათინოსები და რუსები, ასევე ავღანელებიც, ვიეტნამელებიც, და ისინი ცალ-ცალკე არიან, არ არიან ერთად შეკავშირებული შეერთებულ შტატებში. ეს დაკავშირებულია არჩევნებთან, სოციალურ უსაფრთხოებასთან და ფედერალურ დონეზე უზრუნველყოფილ რესურსებსა და მომსახურებასთან, მაგალითად სკოლებთან. შეიძლებოდა გვთქვა: „რაში გვჭირდება ყველა ეს განსხვავებულად მოაზროვნე ხალხი? ძალიან ბევრია ისეთი, ვინც ისლამს მისდევს, მათ უნდათ საჯარო სკოლებში სიარული და ჩვენ მათ განათლება უნდა მივცეთ? ისლამი ხომ ამერიკის შეერთებული შტატების ანგლოპორტუგუსტული ცხოვრების წესს ეწინააღმდეგება? რატომ უნდა მივცეთ ჩვენი მომსახურებით სარგებლობის ნება?“ ანუ ეს მამაჩემის ხედვაა და არა ჩემი, თუმცა ეს ასახავს ჩვენი ქვეყნის კონსერვატიულად განწყობილი უფროსი თაობის აზრს.

## შიში

### ორგანიზაციის შესწავლა

მორიგი მიღებომა, რომელსაც სტრინგერი (1996) გვთავაზობს, არის ორგანიზაციის შეწავლა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ორგანიზაციის შემდეგი სახის ნიშანთვისებებზე (ამ შემთხვევაში, სკოლა): ხედვა და ამოცანა, მიზანი და მისწრაფება, ორგანიზაციის სტრუქტურა, საქმიანობა და პრობლემები, საკითხები და ინტერესები (გვ. 90). სტრინგერი აღნიშნავს: „როდესაც მონაწილეები ამ საკითხებზე მუშაობენ, ამით ისინი იფართოებენ ორგანიზაციის შესახებ და მისი საქმიანობის ასპექტებზე ცოდნას, რაც მათ პრობლემასთან, საკითხთან ან ინტერესთან არის დაკავშირებული“ (გვ. 90-91). სკოლის საქმიანობის მიმოხილვამ, ამ ნიშან-თვისებების გათვალისწინებით, შეიძლება შეგროვებული მონაცემების არსში გარკვევის შესაძლებლობა მოგცეთ.

ამ თავში მოცემულ პაილენდ-პარკის საშუალო სკოლის მაგალითზე, ნიშნების დაწერაში სკოლის პოლიტიკის, მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციის შესწავლა შეიძლება შემდეგ შეკითხვებზე პასუხის გაცემის გზით:

რა არის სკოლის დანიშნულება და ხედვა?

როგორია სკოლის პოლიტიკა ნიშნის წერასთან დაკავშირებით?

როგორ არის სკოლა ორგანიზებული მოსწავლეებთან და მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის თვალსაზრისით?

რა საკითხები წარმოიშვა, როდესაც ნიშნის დაწერის შეცვლილი პოლიტიკა ამოქმედდა?


ამ შეკითხვებზე პასუხი დაეხმარება პაილენდ-პარკის საშუალო სკოლის მკვლევარ პედაგოგს, ღრმად ჩასწოდეს შეგროვებული მონაცემების არსს. თუმცა შეკითხვები, რომელსაც მკვლევარი პედაგოგები დასვამენ, როგორც ორგანიზაციის შესწავლის შემადგენლი ნაწილი, დამოკიდებული იქნება ორგანიზაციასა და პრიორიტეტულ სფეროზე.

### კონცეპტუალური რუპის შემუშავება

სტრინგერი (1996) მიიჩნევს, რომ კონცეპტუალური რუკა არის კიდევ ერთი საჭირო მეთოდი, რომელიც ეხმარება სამოქმედო კვლევაში მონაწილე პირებს, ვიზუალურად გამოხატოს ძირითადი მოვლენები, რომელმაც გავლენა მოახდინა კვლევაზე. მაგალითად, როგორი იყო მოსწავლეების ხედვა? მშობლეების? პედაგოგების? ადმინისტრატორების? კონცეპტუალური რუკა მონაწილეებს პრობლემის ანალიზის გადმოცმის, ასევე განსხვავებულ ჯგუფებს შორის არსებული ლოგიკური კავშირის ან, პირიქით, კავშირის არარსებობის განსაზღვრის შესაძლებლობას აძლევს. კონცეპტუალური რუკის შექმნა შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

1. ჩამოთვალეთ ძირითადი მოვლენები, რამაც გავლენა მოახდინა თქვენი პრიორიტეტული სფეროს შესწავლაზე;
2. ჩამოთვალიბეთ ძირითადი მოვლენების (ფაქტორების) ვიზუალური გამოსახულება და მიუთითეთ არსებული კავშირები (კავშირი მთლიანი ხაზებით გამოხატეთ), ასევე მიუთითეთ ის მოვლენებიც, რომელშიც დარწმუნებული არ ხართ (გამოიყენეთ წყვეტილი ხაზები);
3. მიმოიხილეთ კონცეპტუალური რუკა და განსაზღვრეთ ნებისმიერი თანმიმდევრულობა/ლოგიკური კავშირი ან კავშირის არარსებობა, რაც არსებობს გავლენის მქონე მოვლენებს (ფაქტორებს) შორის. ეს გაიძულებთ, დაუბრუნდეთ მონაცემებს და შეამოწმოთ. რა გამოგრჩათ.

მაგალითად, ჯეკ რესტონი, ისთვიუს დაწყებითი სკოლიდან (იხილეთ მე-7 თავი), ასკენის, რომ სკოლის გაცდენების შესახებ პოლიტიკის წარმატებაზე გავლენა მოახდინა შემდეგმა ფაქტორებმა: პატივისცემამ, დაცულობამ, კონფლიქტის მოგვარებამ, დისკიპლინამ, სკოლის წესებმა, ყოფაქცევამ, კარგად შეწყობამ, საკუთარმა ღირსების გრძნობამ, გაკეთილებმა. ჯეკს სკოლიდა, რომ ზოგიერთი კავშირი (რეალური და აღქმითი) არსებობდა ამ ფაქტორებს შორის (იხილეთ №6–1 გრაფა).



№6-1 გრაფიკ. ისთვიუს კონცეპტუალური რუკა გაცდენებზე გავლენის მქონე ფაქტორების შესახებ

ცინაპირობისა და შედეგების განვითარება

სტრინგერი (1996) ასევე გვთავაზობს წინაპირობებისა და შედეგების (ეფექტის) გამოსახულების შედგენის პროცესს, რაც სამოქმედო მკვლევრებს თავიანთი ანალიზის ძირითადი ელემენტების განსაზღვრაში ქმნარებათ. ასეთი მეთოდის გამოყენებით იღებთ მიზეზობრივი კავშირების ვიზუალურ გამოსახულებას, რის არსებობაშიც, როგორც მკვლევარი პედაგოგი, დარწმუნებული ხართ. ეს, აგრეთვე, გეხმარებათ, ხელახლა დაუბუნდეთ იმ მიზეზობრივ კავშირებს, რაც არ იყო განხილული ლიტერატურის მიმოხილვის დროს და რაც დაგეხმარებათ თქვენი ანალიზისა და განმარტებისთვის სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებაში.

წინაპირობებისა და შედეგების ანალიზი შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

1. ჩამოთვალეთ ზეგავლენის მქონე ფაქტორები, რომლებიც ანალიზის დროს აღმოაჩინეთ და მიუთითეთ მათი მიზეზობრივი კავშირების შესახებ.
2. ხელახლა მიუბრუნდით ლიტერატურის მიმოხილვას, რათა განსაზღვროთ, რამდენად უჭირს მხარს ან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კვლევის ანალიზი წინამორბედი კვლევების დროს გაკეთებულ აღმოჩენებს.
3. ხელახლა მიუბრუნდით თქვენს მასალას, რათა შემომწმოთ, რამე ხომ არ გამოგრჩათ, და გადაწყვიტოთ, რა გავლენას მოახდენს თქვენი აღმოჩენები სამოქმედო კვლევის შემდგომ ციკლზე.

ისთვიუს დაწყებითი სკოლის მაგალითზე კონცეპტუალური რუკა (იხილეთ №6-1 გრაფიკ) შეიძლება გაფართოვდეს და ანალიზის შედეგად შეიძლება მოიცავს წინაპირობებისა და შედეგების (ეფექტების) ვიზუალური გამოსახულებაც. ამ მაგალითში ჯეკ

რესტონშია ცხადად განსაზღვრა (ანალიზზე დაყრდნობით), რომ მიზეზობრივი კავშირი არსებობდა გაცდებებსა და გაკვეთილებს (მოსწავლეების მოსწრებას), გაცდენებსა და დისკიპლინას (მოსწავლეების ყოფაქცევა) შორის. ამ კავშირზე დაყრდნობით, ჯეპ რესტონი ხელახლა მიუბრუნდა ლიტერატურის მიმრიცხვას, რათა განესაზღვრა, რამდენად ეწინააღმდეგებოდა ან მხარს უჭრდა მისი მონაცემთა ანალიზი წინამორბედი კვლევების აღმოჩების. გარდა ამისა, რესტონს შექმლოვნებინა ეს მსჯელობები შემდგომ სამოქმედო კვლევის ციკლის ფორმულირებისთვის, რომელიც ისთვიუს დაწყებით სკოლაში გაცდენებთან დაკავშირებულ სხვა სახის დაგეგმილ ჩარევას ეხებოდა.

### აღმოჩენების ნარმოდგენი

თქვენ მიერ შეეროვებული ინფორმაცია უნდა შეჯამდეს შესაფერისი და გასაგები ფორმით, რისი წარდგნაც შეგეძლებათ დაინტერესებული კოლეგებისთვის. ამისათვის მკვლევარმა პედაგოგებმა უნდა განსაზღვრონ, რა ფორმით აპირებენ აღმოჩენების წარდგენას დანატერისებული კოლეგებისთვის. თქვენ შეიძლება გამოიყენოთ მატრიცა, ცხრილები, კონცეპტუალური რუკები, გრაფები და გამოსახულებები, ნებისმიერი საშუალება, რაც შესაძლებლობას მოგცემთ, სრულყოფილად წარმოაჩინოთ თქვენი კვლევის აღმოჩენები. მე, ასევე, მინახავს მკვლევარი პედაგოგების მიერ შექმნილი სხვა სახის აუდიოვიზუალური გამოსახულებები, როგორებიცაა ვიდეოჩანაწერები და კომპიუტერის მეშვეობით მათი აღმოჩენების მულტიმედიური პრეზენტაცია (რომელიც მოიცავს ტექსტებს, ცხრილებს, მატრიცებს, აუდიო- და ვიდეოჩანაწერებს). მონაცემთა ვიზუალურად წარმოდგენას მნიშვნელოვნი დატვირთვა აქვს პედაგოგებისთვის, რომელთაც სურთ, გაუზიარონ აღმოჩენები და იზეიმონ საკითხის არსში გარკვევის ფაქტი (ეს საკითხი განხილულია მე-7 თავში). თქვენი მონაცემებისთვის ვიზუალური გამოსახულების მიცემი ასევე დაგეხმარებათ, ახლებურად და სხვა კუთხიდან შეხედოთ თქვენს მონაცემებს! (მონაცემთა ვიზუალური გამოსახულების მაგალითები იჩილეთ „გ“ დანართში).

### რა გამოგვრჩა

და ბოლოს, თქვენ უნდა შეამოწმოთ, კვლევის რომელი ნაწილი გამოგრჩათ და განსაზღვროთ, რომელ შეკითხვებს ვერ გაუციოთ პასუხი. ხშირად შეიძლება აღმოჩნდეთ ისეთ სიტუაციაში, როდესაც ძალიან გვინდა პასუხის გაცემა და ამას მასალისთვის გვერდის ავლით, დაუსაბუთებელი მტკიცებულებით ვაკეთებთ; ასეთმა საქციელმა შეიძლება უხერხულ შეკითხვები მიგვიყვანოს – საერთოდ რა გავაკეთოთ?! ნაჩქარევი შეფასების შესახებ შემოთავაზებული მსჯელობის (როდესაც პრობლემას ვხსნით უოველგვარი სისტემატური კვლევის ჩატარების გარეშე) გათვალისწინებით, მონაცემთა ანალიზის მეთოდს – რა გამოგრჩა – შეუძლია მიგაცვედროთ, რისი გაკეთება შეიძლება თქვენს კვლევაში, რათა უკეთ გაიაზროთ კვლევის აღმოჩენები. (ისილეთ კვლევა მოქმედებაში, მონაცემთა ანალიზის მეთოდების №6–1 სია).

**მონაცემთა ანალიზში დაგეხმარებათ კომპიუტერული პროგრამების გამოყენება**

სულ უფრო მეტი კომპიუტერული პროგრამა იქმნება ხარისხობრივი, ნარატიული მასალის ანალიზში დასახმარებლად. ამ წინადაღებაში საკვანძო სიტყვა არის „დასახმარებლად“. კომპიუტერულ პროგრამას არ შეუძლია ანალიზის გაკეთება თქვენიაცვლად! ახალბედა მკვლევრებს უნდა ახსოვდეთ, რომ კომპიუტერს დამოუკიდე-

ბლად არ შეუძლია არც ანალიზის წარმოება და არც მასალის ინდექსირება. მათი დანიშნულებაა, დაგეხმაროთ და ხელი შეუწყოს მკვლევარს დიდი რაოდენობით ტესტების დამუშავებაში ან მასალასთან სხვა სახით მუშაობაში. ინდექსირება, ერთსა და იმავე საკითხზე გამუდმებით მსჯელობა და მონაცემებიდან აზრის გამოტანა დაძმული და შრომატევადი პროცესია, რომელსაც მკვლევარი თავიდან ბოლომდე აკონტროლებს. მაშინაც კი, როდესაც კომპიუტერს იყენებს, მკვლევარს მაინც უწევს ყველა ამ ეტაპის გავლა, კომპიუტერის მეშვეობით, მონაცემებისთვის ინდექსების მინიჭება, მას მერე, რაც გაეცნობა ყველა ინტერვიუს, საველე ჩანაწერს, აუდიო-და ვიდეოჩანაწერს. კომპიუტერი ძალიან გვეხმარება და საგრძნობლად აჩქარებს იარღიყების მიკერასა და წაკითხულ მასალასთან ხელახლა დაბრუნების შესაძლებლობას. მკვლევრებს ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ მათ თავად შეუძლიათ ბრძანების მიცემა და კომპიუტერის დაპროგრამება, რათა ხელახლა დაუბრუნდნენ მონაცემებს და დათვალინ მათთვის მოსახრხებელი მეთოდით; მანქანა თქვენგან დამოუკიდებლად ვერ გააკეთებს ამ სამუშაოს. კომპიუტერის დახმარებით თქვენ შეგიძლიათ გააუმჯობესოთ და გააფართოოთ ხარისხობრივი კვლევის ანალიზი, და თუ თქვენ არ ხართ დაკავშირებული კვლევით უნივერსიტეტთან, მაშინ, შესაძლოა, თქვენ ხელი მიგიწვდებოდეთ კომპიუტერული პროგრამასთან და გამოიყენოთ ვინმეს დახმარება, რომ აგხსნათ კომპიუტერული პროგრამის გამოყენების წესები.

ხარისხობრივი ანალიზის კომპიუტერული პროგრამის კომპლექტში რომ გაერკვეთ, მოლით, გადააჭედოთ ზოგიერთ ფაქტორს, რამაც შეიძლება თქვენს გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს:

- აკეთებთ თუ არა დიდი რაოდენობით მასალის ანალიზს (მაგალითად, 500 გვერდზე მეტ საველე ჩანაწერებს და გაშიფრულ ინტერვიუებს)?

### კვლევა მოქმედებაში, № 6–1 სია

#### მონაცემთა ანალიზის მეთოდები

- ჩამოაყალიბეთ თემები.
- მოახდინეთ კვლევების, ინტერვიუებისა და კითხვარების ინდექსირება.
- გააანალიზეთ ინტერვიუ.
- დასვით საკვანძო შეკითხვები: ვინ, რა, სად, როდის, რატომ და როგორ?
- მოახდინეთ სკოლის ორგანიზაციული შესწავლა.
- გააანალიზეთ წინაპირობები და შედეგები.
- წარმოადგინეთ აღმოჩენები.
- განსაზღვრეთ, რა გამოგრჩათ.

- გაქვთ თუ არა პროგრამის და, ზოგადად, კომპიუტერის გამოსაყენებლად შესაბამისი ცოდნა?
- გაქვთ თუ არა პროგრამის შეძენის შესაძლებლობა, ან იცნობთ თუ არა ვინ-მეს, ვისაც ეს პროგრამა აქვს?
- დაგჭირდებათ თუ არა კონკრეტული ციტატების გამოყენება დიდი რაოდენობით მონაცემებიდან? (ადაპტირებულია ქრესველიდან, 2005, გვ. 234).

თოხი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ხარისხობრივი ანალიზის კომპიუტერული პროგრამის კომპლექტი არის: NVivo 2.0, The Ethnograph, HyperRESEARCH, და NUD\*IST 6.

- NVivo 2.0 შექმნილია ხარისხობრივი მკვლევრებისთვის, რომელიც ამუშავებენ კომპლექსურ მონაცემებს (განსაკუთრებით მულტიმედიურ მონაცემებს). NVivo 2.0-ს შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იპოვოთ QSR International-ის ვებგვერდზე – <http://www.datasense.org>.
- The Ethnograph არის პროგრამა, რომელიც ეხმარება ხარისხობრივ მკვლევრებს ტექსტების საქაღალდებთან მუშაობაში (ნებისმიერი ფორმატის), ასევე ეძებს, ინდექსირებას უკეთებს, აცალკევებს მკვლევრისთვის საინტერესო მასალას. The Ethnograph-ის შესახებ სრული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ Qualis Research-ის ვებგვერდზე – <http://www.qualisresearch.com>
- HyperRESEARCH არის გაუმჯობესებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ხარისხობრივ მკვლევრებს შესაძლებლობას აძლევს, იმუშაონ ტექსტებზე, გრაფიკულ გამოსახულებებზე, აუდიო- და ვიდეომასალაზე, და მოახდინონ ინდექსირება და მონაცემთა მოძებნა. HyperRESEARCH-ის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ResearchWare-ის ვებგვერდზე – <http://www.researchware.com>
- **NUD\*IST 6 (N6)** არის NUD\*IST-ის ყველაზე ახალი ვერსია და საქმაოდ გამოსადევი პროგრამაა მკვლევარი პედაგოგების ჯგუფისთვის, რომელიც დიდი რაოდენობით მონაცემებს ამუშავებს. N6-ის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლია იხილოთ QSR International-ის ვებგვერდზე – <http://www.qsrecommerce.com/us/acatalog/> და DataSense-ის გვერდზე – <http://www.datasense.org>.

• მოდით, უფრო დეტალურად დავათვალიეროთ აქედან ერთ-ერთი პროგრამა, N6, რათა ვნახოთ, როგორ შეუძლია ამ პროგრამას, დაგეხმაროთ მონაცემთა ანალიზში. NUD\*IST-ის (არანუმერიკული, არაორგანიზებული მონაცემების ინდექსის ძიება და თეორიული მსჯელობა) გამოშვებები მოიცავს N6-ს, რომელიც ხარისხობრივ მკვლევრებს აწვდის დაზარისხების, ინდექსირებისა და დიდი რაოდენობით მონაცემების (საველ ჩანაწერები, ინტერვიუები, ლია დაბოლოების პასუხები) ძიების სისტემას. №6-1 (ცხრილი გვაწვდის მონაცემთა ანალიზის მრავალ ელემენტს, მათ დანიშნულებას (მიზნის დაწერა), თანმხლებ პროცედურებს, რაც შეიძლება განხორციელდეს NUD\*IST-ის გამოყენებით.

მას მერე, რაც ტექსტი ინდექსირებულია, N6 საშუალებას გვაძლევს, დავსვათ შეკითხვა, რომელიც მოიცავს ერთი ან მეტი კატეგორიის პასუხის მოძებნას. კომპიუტერული პროგრამა ამოწმებს ტექსტების ინდექსებს, თუმცა ამ შემთხვევაში ხარისხობრივმა მკვლევარმა თავად უჩდა გამოიტანოს აზრი ძიების შედეგად მიღებული მასალიდან, მოძებნოს მაგალითები და წინააღმდეგობები და გადაწყვიტოს, როგორ გააგრძელოს ანალიზი. ამ ეტაპზე ხარისხობრივი მკვლევრები ხშირად ახლებურად იაზრებენ თავდაპირველ მიკროძოებულ შეცედულებებს ან საკვლევ შეკითხვებს და შეიძლება თავიდან გადახედონ მონაცემებს, ან ხელახლა მოახდინონ მათი ინდექსირება. ასევე, სწორედ ამ ეტაპზე უჩნდება მკვლევარს კმაყოფილების შეგრძება, რომ დიდი მოცულობის მონაცემები უკვე დალაგებულია, მარტივად გამოყენებადია და ახალ შეკითხვებზე პასუხის გასაცემადაც გამოდგება.

მოდით, განვიხილოთ პავაიში მოზარდთა ეთნიკურ იდენტობაზე (გრინი, 2002), უილიამ გრინის კვლევის მაგალითით, მონაცემების ინდექსირების დროს მკვლეერის მსჯელობის პროცესი. კვლევა მოიცავდა 40 გაშიფრულ ინტერვიუს და დაახლოებით 400-გვერდიან ტექსტს. თითოეული გაშიფრული ინტერვიუ თავი-დანვე ინდექსირებულ იქნა თემატიკის მიხედვით. თუ მოსწავლის პასუხი ერთზე მეტ თემას ეხებოდა, ყველა პასუხს შესაბამისი კატეგორიის ინდექსი ენიჭებოდა. მაგალითად, ხშირად მოსწავლეებს უსვამდნენ შეკითხვას, როგორ აღიქვამდნენ თავინონ სკოლაში ეთნიკურ საკითხებს, და პასუხები ზოგჯერ ერთდროულად სხვადასხვა საკითხს შეიცავდა. ასეთ შემთხვევაში ყველა აბზაცა შესაბამისი ინდექსი ენიჭებოდა.

თავდაპირველად ეს თემა დაყოფილი იყო ოჯახის, თანატოლების, სკოლის/საზოგადოების მასშტაბით განზოგადების, ეთნიკური ინდენტობის, ფასეულობების, პირადი ცვლილების, ჯგუფებს შორის ურთიერთობის, ეთნიკური ჯგუფების სტატუსის, შერეული ეთნიკურობის, განსხვავებული მოპყრობისა და სამომავლო გეგმების კატეგორიებად. თავდაპირველი კატეგორიების დახვეწასთან ერთად ახალი კატეგორიები აღმოცენდა მას შემდეგ, რაც გაშიფრული ინტერვიუების წაკითხვა და ინდექსირება მოხდა. ანალიზის დროს ცვლილებების შეტანისა და ხელახალი ინდექსირების პროცესში მკვლევარი უწყვეტად ავითარებდა და აფარ-თოებდა აღმოჩენების შესახებ თეორიულ შეხედულებებს. ასეთი მაგალითი შეგვეძა პირადი ფასეულობების შესახებ გამონათქვამების ინდექსირების დროს. ცხადი გახდა, რომ რესპონდენტების მიერ გაკეთებული შეკითხვები თემატურად ხშირად იყოფოდა რამდენიმე ქვეჯგუფად, მაგალითად: განათლების, ოჯახის, რელიგიის, სოციალურ, ეთნიკურ და პრინციპების კატეგორიებად. მონაცემთა თავდაპირველი წაკითხვისა და ინდექსირებილან ორი კვირის შემდეგ მკვლევარმა თითოეული გაშიფრული ინტერვიუ შეორენდ წაკითხა, რათა თავდაპირველი ინდექსირების თანმიმდევრულობაში/ლოგიკურობაში დარწმუნებულიყო და ინდექსები განეხახლებინა, ან მოხედინა კატეგორიების გაერთიანება. უფრო კონკრეტული კატეგორიებისთვის ინდექსების მინიჭებით შესაძლებელი გახდა მონაცემთა უფრო სრულყოფილი ანალიზის ჩატარება.

კატეგორიების მიხედვით მონაცემთა ინდექსირებამ შესაძლებელი გახდა მოსწავლეების ინტერვიუთა ქვეჯგუფებს შორის შედარებების განხორციელება. დემოგრაფიული ცვლადები მოიცავდა შემდეგ ნიშნებს: სქესს, სკოლას, შერეულ ეთნიკურობას, დაბადების ადგილს, ქალაქში ან სოფელში გატარებულ წლებს, ოჯახს (მშობლებს, ერთ მშობელს, ან სხვა). მაგალითად, ეთნიკური კუთვნილების შესახებ ინდექსირებული ყველა განცხადება დაიყო ქვეკატეგორიებად სკოლის, ასაკის, სქესის, შერეული ეთნიკურობისა და პავაიზე გატარებული წლების მიხედვით. ქვეჯგუფებს შორის არსებული მსგავსებებისა და სხვაობების საფუძველზე განისაზღვრა მოდელი.

როგორც ეს მაგალითი გვიჩვენებს, კომპიუტერული პროგრამა თქვენ მაგივრად მონაცემთა ანალიზს ვერ გააკეთებს, თუმცა იგი დაგეხმარებათ, დიდი რაოდენობით ნარატიული ტექსტიდან (მასალიდან) ამოკრიფოთ კატეგორიები. და ამის შემდეგ თქვენ მაინც ბევრნაირი გადაწყვეტილების მიღება მოგიზდებათ, მაგალითად, როგორ მოახდინოთ მონაცემთა ინდექსირება; თქვენ ასევე მოგინდებათ, ხელახლა დაუბრუნდეთ მონაცემებს და დარწმუნდეთ, რომ კომპიუტერს „შეცდომა არ დაუშვია!“ (ეს დაახლოებით იმას ჰგავს, როდესაც კალკულატორის მიერ გამოყენილი ამოცანის შედეგის გადამოწმებას ახდენთ. საჭიროა კი შედეგის გადამოწმება?).

**№6-1 ცხრილი.** მონაცემთა ანალიზის შემადგენელი ნაწილები, მიზნების დაწერა და NUD\*IST-ის მუშაობის პროცესი.

მონაცემთა ანალიზის შემადგენელი ნაწილები:	მიზნის დაწერა	NUD*IST-ის მუშაობის პროცესი
ანალიზისთვის შექმენით ნიმუში.	ჩამოაყალიბეთ მონაცემთა ანალიზის გეგმის ვიზუალური გამოსახულება.	შექმენით ანალიზის საფეხურებიანი ხე და მასზე მოათავსეთ მონაცემები.
დაასათაურეთ ხელნაწერი მთავარი თემების მიხედვით.	მონაწილეთა სიტყვებით ჩამოაყალიბეთ კვლევის ოთხი ან ხუთი ძირითადი თემა.	შექმენით საკვანძო გრაფა თითოეული სათაურისთვის და მასში ჩასვით შესაბამისი ტექსტი.
დაასათაურეთ ხელნაწერი.	მონაწილეთა სიტყვებით გადმოეცით სათაური, რათა მოხსენება ნამდვილი იყოს და მეკითხველის ყურადღება მიზიდოს.	შექმენით საკვანძო გრაფები ტექსტში აღმოჩენილი მოკლე ფრაზებისთვის; ტექსტის ანალიზისთვის აღნიშნულ გრაფები შეიყვანეთ აღტერნატიული სათაურები.
ხელნაწერში შეიყვანეთ ციტატები.	განსაზღვრეთ კარგი ციტატები, რომლებიც თემას კარგად აღწერს, განმარტეს და ა.შ.	შექმენით ერთი მთავარი საკვანძო გრაფა და ყველა სანტერესო ციტატა მოათავსეთ მასში; შექმენით ციტატებისთვის საკვანძო გრაფები თითოეული თემის ან ინცორმაციის ქვემოთ.
კლევა გადმოეცით მონაწილეთა სიტყვებით.	იპოვეთ ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები და ფრაზები და მათ მიხედვით ჩამოაყალიბეთ თემები.	გამოიყენეთ სიტყვის, სიმბოლოს ან მოდელის ძიება და მოათავსეთ შინაარსი საკვანძო გრაფები; მოათავსეთ ტექსტი სიტყვის (ან ფრაზის) ირგვლივ; რათა სიტყვის (ან ფრაზის) კონტექსტი დაინახოთ.
შექმენით შედარების ცხრილი.	შეადარეთ ინფორმაციის კატეგორიები.	გამოიყენეთ პროგრამის გამოსახულებითი მატრიცა.
ანალიზში აჩვენეთ აბსტრაქტის დონეები.	წარმოადგინეთ ანალიზში კატეგორიების ვიზუალური გამოსახულება.	წარმოადგინეთ ხის დიაგრამა.
განიხილეთ შეტაფორები.	იპოვეთ ტექსტი, სადაც მეტაფორებია და დააჯგუფეთ კატეგორიებად.	შექმენით ერთი საკვანძო გრაფა შეტაფორებისთვის; გრაფებში ჩასვით ტექსტები სხვადასხვა ტიპის მეტაფორების მიხედვით.

წყარო: ჯ. ქრესველი, ხარისხობრივი გამოძიებისა და კვლევის მოდელი: ხუთ ტრადიციას შორის არჩევა, გვ.162, სააკტორო უფლებები დაცულია Sage Publications, Inc.-ის მიერ, წ 1998. ხელახლა გამოიკა Sage Publications, Inc.-ის მიერ

## მონაცემთა განმარტების მეთოდები

თქვენ შეიძლება ფიქრობდეთ, რა საჭიროა განმარტება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი მოიცავს რისკს და ვარაუდების გაკეთებას, რაშიც შეიძლება შეც-დეთ კიდეც. ვოლკოტის (1994) თანახმად, ხარისხობრივ (სამოქმედო) კვლევას უნდა შეეძლოს „განმარტებითი მეთოდის რისკებისა და გამოწვევების“ მიღება, რადგან მხოლოდ ასე შეგვიძლია, „სხვებს დავანახვოთ (და საკუთარი თავიც დავარწმუნოთ), რომ მიუხედავად გაურკვეველი წარმოშობისა, ჩვენი სამუშაო და შედეგები არის სოციალურად ღირებული“ (გვ. 258). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვოლკოტი ამტკიცებს განმარტების საჭიროებას, რადგან მკვლევარი პედაგოგის განმარტებას მნიშვნელობა აქვს მოსწავლეების ცხოვრიტისთვის. გარდა ამისა, განმარტების პროცესი მნიშვნელოვანია, რადგან მას შეუძლია ეჭვის ქვეშ დააყენოს ფაქტების მიმართ პედაგოგის წარმოდგენა და რწმენა.

მონაცემთა განმარტების მეთოდების სია, რომელიც ქვემოთ არის მოცემული, ადაპტირებულია ვოლკოტიდან (1994, გვ. 39-46) და სტრინგერიდან (1996, გვ. 87-96), თუმცა გადაჯგუფდა სპეციალურად მკვლევარი პედაგოგებისთვის.

### გაავაროთოთ ანალიზი

მონაცემთა განმარტების ყველაზე ნაკლებად სარისკო მეთოდი მონაცემთა ანალიზის გაფართოებას ითვალისწინებს, რაც კვლევის ირგვლივ შეკითხვების დასმასა და ისეთი დასკვნებისთვის ურადღების მიქცევას გულისხმობს, რასაც დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. როგორც ვოლკოტი (1994) აღნიშნავს, „ეს არის საშუალებაზე უურადღების მიქცევის, ვიდრე ასეთი საშუალების გამოძებნის, მეთოდი“ (გვ. 40, კურსივები გამოყენებულია). მაგალითად, „სანამ გაირკვევა, რომ მოზარდთა თეატრის იმპროვიზაცია დადგებით გავლენას ახდენს მაყურებელთა ჩართულობაზე, ეს მიდგომა მრავალ შეკითხვას წარმოშობს.“ ქეთი მითხველის მოზარდთა თეატრის დასის მიერ იმპროვიზაციის გამოყენების მაგალითთ (იხილეთ მე-2 თავი), მონაცემთა ანალიზი შეიძლება გაფართოვდეს ჩარევის შესახებ კითხვების წამოყენების გზით, რაც კვლევაში თავიდან არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ შეიძლება საფუძველი დაუდოს სამოქმედო კვლევის შემდგომ ციკლს.

ამის მსგავსად, ჰაილენდ-პარკის საშუალო სკოლის მოკლე ისტორიაში კვლევის დროს წამოიჭრა შემდეგი შეკითხვები: ასოებით და რიცხვებით შეფასების სისტემის სრული გაუქმება არის თუ არა ნიშნების წერაზე უურადღების შემცირების საუკეთესო საშუალება? არსებობს თუ არა ნიშნების წერაზე უურადღების შემცირების ისეთი მეთოდი, რომელიც პედაგოგისან ნაკლები წერილობითი სამუშაოს შესრულებას მოითხოვს? რა როლი უნდა შესარულონ მოსწავლეებმა საკუთარი თავისთვის ნიშნების დაწერის პროცესში? როგორ შეიძლება ნიშნებზე ნაკლები უურადღება გავამახვილოთ, მაშინ როდესაც პედაგოგები კვლავ ინარჩუნებენ მოსწავლეების შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებს?

### აღმოჩენები დაპავშირები პირად გამოცდილებასთან

სამოქმედო კვლევა პირადი საქმეა და ამიტომ მართებულია, მოვახდინოთ ჩვენი განმარტების პერსონიფიცირება. მაგალითად, აღმოჩენების წარმოდგენისას შემდეგი სახის შესავლის გაკეთება შეგვიძლიათ: „კვლევა ვაწარმოე ჩემს გამოცდილებაზე

დაყრდნობით, შემდეგნაირად გადავწულოთ: “გახსოვდეთ, თქვენ კველაზე უკეთ იცნობთ თქვენს კვლევას; კველაფერს რომ თავი დაგანებოთ, კვლევა თქვენს კლასში ან სკოლაში ჩატარდა და ყურადღება გამახვილებული იყო თქვენს მოსწავლეებზე. თქვენ კველანაირ სიტუაციაში მოხვდრილხართ ამ პროცესის განმარტობაში, ცდილობდით, ამოგებესნათ წინააღმდეგობები, რომლებიც წარმოიქმნებოდა მაშინ, როდესაც გეგონათ, რომ კველაფერი ცხადზე ცხადი იყო. გაუზიარეთ თქვენი განმარტებები კლასის, სკოლის, სწავლების შესახებ შეძნილ ცოდნაზე დაყრდნობით. მაგალითად, დებორა საუთი (I თავი) იმედგაცრუებული იყო არამოტივირებულ მოსწავლეებთან მუშაობისა და უნარების სწავლების უშედეგობის გამო. როდესაც დადგა შეკითხვის – „და ამით რა?“ – წინაშე, მან საკუთარი განმარტება დააფუძნა არა მხოლოდ მონაცემთა ანალიზზე (ტესტების ნიშნები, კვლევები, ინტერვიუები და დაკვირვებები), არამედ მოზარდთა არასათანადო ქცევის შესახებ საკუთარ მოგონებებსა და ემოციებზე, რაც განმარტების საკმაოდ ძლიერი საშუალებაა.

### რჩევისტვის მიმართეთ „პრიტიკულად“ განცყობილ მეგობრებს

თუ თქვენ გიძნელდებათ განმარტების გაკეთება, ენდეთ თქვენს ერთგულ კოლეგებს, რადგან მათ შეუძლიათ, თვალი აგისილინ ისეთ დეტალებზე, რომლებიც თქვენთვის შეუმჩნეველი დარჩა იმის გამო, რომ ღრმად ჩაფლული იყავით სამუშაოში. შესთავაზეთ თქვენი ანგარიში კოლეგებს და სთხოვეთ მათ, გაგიზიარონ თავიანთი განმარტებები. მაგალითად, ჰაილენდ-პარკის საშუალო სკოლის მასწავლებელთა ჯგუფი აღმოაჩენს, რომ მათი განმარტება შეიგვი მრავალი მოსაზრებით, რაც თანამშრომლობის შედეგად მიიღეს. გახსოვდეთ, რომ ეს კოლეგები შეიძლება იყვნენ აღამიანები, რომელთაც შეიძლება არასდროს შეხვედრისართ პირისპირ, მაგრამ რომლებთანაც სამოქმედო კვლევის შესახებ ინტერნეტის საშუალებით გისაუბრიათ. ასევე, თქვენ შეგიძლიათ სთხოვოთ იმ პირებს, რომლებიც ინფორმაციას გაწევდიან (მოსწავლეებს, მშობლებს, პედაგოგებს და ადმინისტრატორებს), გაგიზიარონ თავიანთი აზრი.

თუმცა ფრთხოლად იყავით! რაც უფრო მეტი აზრისა და შეხედულების მიღებას მოინდომებთ, მით უფრო მეტს მიიღებთ, ვიდრე ელოდით და ხშირად ის პირები, რომლებიც საკუთარ შეხედულებებს გთავაზობენ, ელიან, რომ მათი რჩევა აუცილებლად გაზიარებული იქნება! დროთა განმარტობაში თქვენ შეგეძლებათ იმ პირთა განსაზღვრა, რომელთაც შეიძლება ენდოთ, ესენი იქნებიან მოაზროვნე კოლეგები, რომლებიც უანგაროდ იტკირთებენ კრიტიკული მეგობრის როლს. დაუთმეთ დრო ასეთი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და მიიღეთ მისგან სარგებელი. მაგალითად, როდესაც დებორა საუთმა მონაცემთა ანალიზიდან და განმარტებიდან დაასკვნა, რომ მისი უნარების გაკვეთილები იყო დაბალი მოტივაციის გამომწვევი „მიზეზი“, მის სამოქმედო კვლევის კლასში კრიტიკულად განწყობილმა მეგობრებმა შესთავაზეს აღტერნატიული განმარტებები. დებორასთვის კრიტიკულად განწყობილი მეგობრების მიერ შემოთავაზებული უკუკავშირით მიღებული სარგებელი „ჩარევეს“ შეცვლის გადაწყვეტილებით გამოიხატებოდა, რაც მიჩნეული იყო „არამოტივირებული მოსწავლეების“ პრობლემის „მოგვარების“ გზად.

### აღმოჩენების კონტექსტუალიზება ლიტერატურაში

ლიტერატურის მიმოხილვის დროს გარე წყაროების აღმოჩენა დაეხმარება მეცნიერა პედაგოგს, გაამყაროს თავისი აღმოჩენები. ვოლკოტი (1994) სთავაზობს ხარისხობრივ

(სამოქმედო) მკვლევრებს „გამოყენონ გარე ავტორიტეტული წყაროები. ხშირად ამის გაკეთება შეიძლება რომელიმე სფეროში ცნობილ თეორიებზე, ან გადაჯგუფებულ კლასიურ ნაშრომებზე მითითებით“ (გვ. 34). ამით მკვლევარ პედაგოგს შესაძლებლობა ეძლევა, კოლეგებს გაუზიაროს გარკვეული პრიორიტეტული სფეროს შესახებ არსებული ინფორმაცია და აღიარებულ იქნეს მკვლევარი პედაგოგის უნიკალური ღვაწლი საკითხის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში.

## მივუპროცესი თეორიას

თავდაპირველად მინდა წარმოგიდგინოთ თეორიის მოქრძალებული განსაზღვრება: „ანალიტიკურ და განმარტებით შეხედულებათა სისტემა, რაც მკვლევარს ეხმარება გაიგოს, რა ხდება იმ სოციალურ გარემოში, რომელსაც სწავლობს“ (მილსი, 1993, გვ. 103). თეორიას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს მკვლევარი პედაგოგისთვის. პირველ რიგში, თეორია მკვლევარ პედაგოგებს აძლევს საშუალებას, დააკავშირონ მათი ნაშრომი უფრო ფართო მოვლენებთან. ვოლკოტის (1994) აზრით, „განმარტების ერთ-ერთი დანიშნულება არის საკითხის შემოწმება კონკურენცი თეორიების გამოყენებით და გამარჯვებულის გამოცხადება, ან, რაც უფრო ხშირად ხდება, ეკლექტიკური მიღეობის არჩევა“ (გვ.43); მეორე მხრივ, „თეორია საშუალებას აძლევს მკვლევარს, ეძებოს აბსტრაქციის სანტერესო დონეები და გასცდეს მხოლოდ აღწერილობით ანგარიშს“ (მილსი, 1993, გვ.115). აბსტრაქციის ასეთი დონე „საშუალებას გვაძლევს, მივწვდინოთ ჩვენი აღწერილობითა სამუშაოს არსი ჩვენს კოლეგებს კვლევით შეკრებებზე“ (მილსი, 1993, გვ. 115). და ბოლოს, თეორიის წყალობით, ჩვენ ვიგებთ ახსნას ან არსს და მნიშვნელობას იმ სამუშაოსას, რომელსაც ვასრულებთ. როგორც პედაგოგებზე, ჩვენზე გავლენა მოუხდენია თეორიების შეწავლას, რაც მუშაობაში გვიწყობს ხელს. თეორიების გაზიარება დაგეხმარებათ, ჩასწავლეთ მონაცემთა არსს.

მაგალითად, ბილაბონგის დაწყებით სკოლაში მოსწავლეების მიერ მათემატიკის სწავლის გასაუმჯობესებლად ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ ქლემ ანისის ისტორიაზე (მე-5 თავი) გავლენა მოახდინა თეორიამ – „როგორ სწავლობენ მოსწავლეები მათემატიკას უფრო უკეთესად“. ზოგიერთი თეორიიდან ჩანს, როგორ იყენებდნენ მოსწავლეები მათემატიკურ თამაშებს და როგორ იყო კალკულატორის გამოყენება შეზღუდული, კომპიუტერიდან კალკულატორის ფუნქციის ამოღებით. მოკლე ისტორიის თანახმად, სხვა თეორიებში ახსნილია, როგორ სწავლობენ მოსწავლეები მათემატიკას უკეთ, ბილაბონგის დაწყებით სკოლაში დამკვიდრებული მექანიკური დაზეპრენების თეორიის ეფექტურობის ეჭვებეშ დაყენებით.

## იცოდეთ, როდის თქვეთ „როდის“!

დასასრულს, თუ თავს არ გრძნობთ კომფორტულად თქვენი განმარტებების გაზიარებისას, მაშინ არც გაუზიაროთ. დაკმაყოფილდით შემოთავაზებებით იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს შემდეგ ეტაპზე და ეს გამოიყენოთ სამოქმედო კვლევის შემდეგი ციკლის დასაწყებად. ახლებურად ჩამოიყალბეთ პრობლემა და ახსენით, რისკენ მიმართავთ თქვენს ძალისხმევას, რათა გააუმჯობესოთ საკვლევი საგნის შესახებ ცოდნა. ვოლკოტი (1994) გვაფრთხილებს, რომ „მარტივი განმარტების ძიებაში წყალში არ ჩაყაროთ თქვენ მიერ შესრულებული სამუშაო,“ (გვ. 41). (იხილეთ კვლევა მოქმედებაში, №6–2 სია, მონაცემთა განმარტების მეთოდების სია).

## თქვენი განმარტებები გაუზიარეთ ჰქონიანურად

როგორც პედაგოგები, ჩვენ ყველა როდესმე მოვქმედეულვართ „ახირებების“, „მიმდინარეობების“, „მოდის“ და ასე შემძეგ გავლენის ქვეშ. ბევრმა ჩვენგანმა შეიძლება თავი შეიკავოს სიახლის, ცვლილების მიღებისაგან, რაც სკოლაში გახვდება. ამ დროს ჩვენ საკუთარ თავს გაცვეთილი სიტყვებით ვაწყნარებთ: „ესეც ჩაივლის!“ თუ, როგორც პროფესიონალი პედაგოგები, შევცდებით, სამოქმედო კვლევის აღმოჩენები გამოვიყენოთ მხოლოდ და მხოლოდ იმსთვის, რომ ჩვენი შეხედულებები კიდევ უფრო განვაძლიეროთ, მაშინ ძალიან ვრისკავთ – შეიძლება კოლეგებთან გაუცხოება გამოვიწვიოთ. შეეცადეთ, არ იყოთ ფანატიკოსი თქვენს განმარტებებში, რაც შეიძლება შეიძლოდ დააკავშირეთ განმარტებები თქვენს მასალასა და ანალიზთან და გაუზიარეთ ახალადმოჩენილი იდეები კოლეგებს, სათანადო ფორმით.

### კვლევა მოქმედებაში, №6–2 სია

#### მონაცემთა განმარტების მეთოდები

- გააფართოეთ ანალიზი კითხვების წამოჭრით.
- დაუკავშირეთ აღმოჩენები პირად გამოცდილებას.
- მიმართეთ კრიტიკულად განწყობილ მეგობრებს რჩევისთვის.
- მოახდინეთ აღმოჩენების ლიტერატურაში კონტექსტუალიზება.
- მიუბრუნდით თეორიას.

### დასკვნა

წინამდებარე თავში შემოთავაზებულია კონცეფციების განმარტება და მონაცემთა ანალიზისა და განმარტების მეთოდები. მონაცემთა ანალიზი ტარდება მაშინ, როდესაც მკვლევარს სურს, შეაჯამოს და წარმოადგინოს მონაცემები, რომლებიც შეაგროვა სარწმუნო, ზუსტი, სანდო, სწორი და მართალი გზით. მკვლევრები განმარტავენ მონაცემებს, რათა გაიგონ კვლევის აღმოჩენების მნიშვნელობა და უპასუხონ შეკითხვას: „და ამით რა?“

მონაცემთა ანალიზის მეთოდები მოიცავს თემების იდენტიფიცირებას; კვლევების, ინტერვიუებისა და კითხვარების ინდექსირებას; საკვანძო შეკითხვების დასმას; ორგანიზაციის მიმოხილვას; კონცეპტუალური რუკის შემუშავებას; წინაპირობებისა და შედეგის ანალიზს; და აღმოჩენების წარმოდგენას.

მონაცემთა განმარტების მეთოდი მოიცავს ანალიზის გაფართოებას კითხვების წამოჭრის გზით, აღმოჩენების პირად გამოცდილებასთან დაკავშირებას, კრიტიკულად განწყობილი მეგობრებისგან რჩევის მიღებას, აღმოჩენების ლიტერატურაში კონტექსტუალიზებასა და თეორიასთან მიბრუნებას.

### სამომავლო მსჯელობისთვის

1. როგორ მოახდენთ იმ თითოეული წყაროს ანალიზს, რომლებიც მონაცემთა შეეროვნების გეგმაში მიუთითეთ? გახსოვდეთ: არ შეაგროვოთ მონაცემები, როდესაც არ იცით, რაში გამოიყენებთ მათ.
2. რა სხვაობაა მონაცემთა ანალიზსა და მონაცემთა განმარტებას შორის?



# მოქმედების დაგეგმვა საგანმანათლებლო ცვლილებისთვის

წინამდებარე თავში განხილულია მოქმედების დაგეგმვის სხვადასხვა საფეხური, რაც მკვლევარ პედაგოგს, სამოქმედო კვლევის შედეგად შეძენილ ცოდნაზე დაყრდნობით, დადებითი საგანმანათლებლო ცვლილების გატარების შესაძლებლობას აძლევს. მოქმედების დაგეგმვის ძირითადი მიზანია, პასუხი გასცეს შეკითხვას – „რას ეფუძნება ცოდნა, რომელიც კვლევის შედეგად მივიღე და ახლა როგორ უნდა მოვიქცე?“

წარმოდგენილი მოქმედების საფეხურების ცხრილი მკვლევარ პედაგოგს მოქმედების დაგეგმვის პროცესში მიმართულებას მისცემს. ცხრილში მოცემულია: კვლევის აღმოჩენები, რეკომენდაციული მოქმედება, რაც მიმართულია აღმოჩენებზე, ვინ არის პასუხისმგებელი კონკრეტული მოქმედებისთვის, კვლევის აღმოჩენების შესახებ ვისი ინფორმირება ან ვისთან კონსულტაციაა საჭირო და თანმდევი მოქმედება, თუ როგორ განვახორციელოთ მონაცემთა შეგროვებისას თქვენი მოქმედების შედეგების მონიტორინგი, მოქმედებისა და მონიტორინგის გრაფიკი, და ნებისმიერი რესურსი, რაც დაგჭირდებათ მოქმედების განსახორციელებლად. მოქმედების ცხრილში თავსუფალი ადგილები დატოვებულია, რათა პირადი შეხედულებისამებრ შეასოთ.

და ბოლოს, წინამდებარე თავში განხილულია გამოწვევებისა და სირთულეების ფონზე მოქმედების დაგეგმვა და ის გარემოებები, რომელთა ფონზეც სამოქმედო კვლევა და შემდეგ საგანმანათლებლო ცვლილება მიმდინარეობს.

წინამდებარე თავის წაკითხვის შემდეგ უნდა შეგეძლოთ:

1. მოქმედების ცხრილის საფეხურების მიხედვით სამოქმედო გეგმის დასრულება.
2. წარმოდგენა გქონდეთ იმ გამოწვევების შესახებ, რასაც მკვლევარი მოქმედების დაგეგმვის პროცესში აწყდება.
3. იცოდეთ, რა გარემოებები უწყობს ხელს სკოლაში საგანმანათლებლო ცვლილების გატარებას.

# დაშვების კრიტერიუმების განხილვა

## ჯეპ რესტორნი

ეს მოქლე ამბავი მოგვითხრობს დაწყებითი სკოლის დირექტორზე, რომელმაც თავისი სკოლის პედაგოგებისთვის სამოქმედო კვლევის მოდელი შეიძუბავა. იმ დროისთვის ბევრი პედაგოგი ისედაც ჩართული იყო საკუთარი სამოქმედო კვლევის პროექტის განხორციელებაში. ჯეპის ისტორია იმით არის საინტერესო, რომ მასში ნაჩვენებია სკოლის დირექტორის დიდი სურვილი თავის მიერ შემუშავებული პოლიტიკის შედეგების გამოკვლევისა. თავში ასევე ნაჩვენებია ჯეპის მცდელობა, გადაეწყვიტა ბევრი პედაგოგისა და დირექტორისათვის კარგად ნაცნობი პრობლემები, როგორებიც არის ბავშვების სკოლაში შენარჩუნება და განათლების მიღების საჭიროება. გამოკვლევის შედეგად შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანი ოლქის მასშტაბით გაცდებული პოლიტიკის შეცვლა იყო.

მე ამირჩიეს ადმინისტრატორების კომიტეტში, რათა მოსწავლეთა გაცდენებთან დაკავშირებით უკვე არსებული პოლიტიკა შემეტავდა. კომიტეტის მიზანი იყო, შეგვემუშავებინა გაცდენებთან დაკავშირებით ახალი პოლიტიკა, რის შემდგომაც მოხდა ახალი პოლიტიკისა და პროცედურის მიღება. პროცესის მიმღინარეობისას მე დაგნახე გაცდენების პრობლემის უფრო ღრმად შესწავლის საჭიროება და ამ მიზნით ჩემი სამოქმედო კვლევის საგნად შევარჩიე მოსწავლეებში გაცდენების საკითხი.

სამოქმედო კვლევას ვაწარმოებდი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. იგი დავიწყე სკოლაში დასწრების ხარისხის შესწავლით. მონაცემებმა დასწრების ხარისხში მცირე ან საერთოდ ცვლილების არარსებობა მიჩვენა. მე შევშფოთდი, რადგან მონაცემები შევადარე იმ ფულად სახსრებთან, რაც დახარჯული იყო დასწრების სტიმულირებისა და მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდისთვის და ნათლად დავინახე, რომ დასწრების სტიმულირებისთვის დახარჯული ფული არავითარ გავლენას არ ახდენდა დასწრების ხარისხზე. მე ვიჯერი ჩემს სამუშაო მაგიდასთან და ვუკიქრობდი კველა ჩემს წარსულ და მიმღინარე კვლელობებზე. ნათელი იყო, რომ გაცდენების საკითხით აღფრთოვანებული არ ვიყავი. და მივხვდა, რომ სერიოზულად არასდროს დავფიქრებულგარ მიზეზებზე და არ გამომიკვლევია, რა იყო გაცდენების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებები. ერთი რამ ზუსტად ვიცოდი: ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად საჭირო იყო სერიოზული განათლება და ცოდნა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ თითოეული გაცდენა მოსწავლისთვის საზიანო იყო. ასევე დარწმუნებული ვიყავი, რომ გაცდენები სკოლაში მოსწავლის წარუმატებლობასთან იყო დაკავშირებული.

დასაწყისისთვის სამი კითხვა დავსვი:

1. მოსწავლეების რომელი ნიშან-თვისებები ასოცირდება გაცდენებთან?
2. როგორ აისახება მოსწავლეების გაცდენები მომავალზე?
3. რა ეფექტური მეთოდები არსებობს მოსწავლეებში გაცდენების თავიდან ასაცილებლად?

შევისწავლე მიმღინარე კვლევები, ლიტერატურა და ადგილობრივი და ეროვნული მონაცემები, ჩატარებული გამოკითხვები და ინტერვიუები. აღმოგაჩინე, რომ გაცდენები მჭიდრო კავშირში იყო სკოლისთვის თავის დანებებასთან, სწავლაში წარუმატებლობასთან და სამართლდარღვევებთან. მე გავეცანი ჩეგნი სკოლის მოსწავლეებისა და მშობლების მოსაზრებას სკოლისა და გაცდენების ურთიერთკავშირის შესახებ და გულწრფელად ვერ გავიგე იმ ოჯახების აზროვნების ლოგიკა, ვისი შეიღებიც ხშირად აცდენდნენ სკოლას. შესაბამისად, ჩატარე მოსწავლეებისა და მშობლების მასობრივი გამოკითხვა 4 დღის განმავლობაში. გამოკითხვის შედეგად მივიღე მასალა, რომელიც მაძლევდა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: პატივისცემა მოსწავლეების მხრიდან, სკოლაში დაცულობის საკითხი, კონფლიქტის მოგვარება, დისკიპლინა, სკოლის წესები, ღირსების გრძნობა და

გაკვეთილები. გარდა ამისა, გამოყითხვის შედეგად მოვიძოვე მასალა ცვალებადობის ხარისხზე, მოხალისეობასა და მშობლების განათლების დონეზე ოჯახთა ვინაობა ანონიმურად დავტოვეთ. ამის ნაცვლად მონაცემებს მიენიჭეთ „რისკის ქვეშ მყოფი“ ან „რისკის ქვეშ არყოფთი“ კოდები.

გამოყითხვის შედეგად მასალის შეგროვება სამ საფეხურად დავუკავი. პირველ რიგში, სკოლის მოსწავლეთა თითოეულ ოჯახს გაეგზავნა ელექტრონული შეტყობინება. გამოყითხვა განხორციელდა მოსწავლეთა სახლებში კვრა დღეს. შევსებული კითხვარები სკოლაში დაბრუნდა ორშაბათს, დღის 9:00 საათზე; მეორე საფეხური – სკოლაში თითოეული მოსწავლე გამოიითხული იყო თავის საკრასო ოთახში ორშაბათს, დღის 9:00 საათზე; მესამე საფეხური – შერჩეულ მშობლებსა და მოსწავლეებს ჩაუტარდათ ინტერვიუ ორშაბათსა და სამშებათს, რათა მიგვეღო საჭირო მონაცემები.

მეზობელი უნივერსიტეტიდან სტუდენტმა პედაგოგმა და ადგილობრივმა პედაგოგებმა, რომელთაც სამოქმედო კვლევის გამოცდილება პქონდათ, ინტერვიუირება ჩაუტარეს შერჩეულ მოსწავლეებსა და მშობლებს. ინტერვიუს ჩამორთმევა ტელეფონის მეშვეობით ან პირისპირ შესვედრის დროს ხდებოდა. შევაგროვე ყველა მასალა და შევეცადე, ჩემს სკოლაში რისკჯგუფებში მყოფი მოსწავლეებისა და მათი მშობლების უკეთ გაგებას. აღმოვაჩინე, რომ ამ ადამიანებს შემდეგი შეხედულება პქონდათ:

- სხვა მოსწავლეები მათ პატივს არ სცემენ.
- ისინი არ იყენებენ კონფლიქტის მოგვარების უნარებს.
- სკოლაში მოზარდები არ არიან დისციპლინირებულები.
- სკოლის წესები უსამართლოა.
- არის ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელი ყოფაცევის პროცესი.
- რისკჯგუფში მყოფი მოსწავლეები ცუდად სწავლობენ.
- რისკჯგუფში მყოფი მოსწავლეები არ არიან მოტივირებულები პრიზის ან სერტიფიკატის გადაცემით.

წარმოდგენილმა ინფორმაციამ სკოლაში დასწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ჩვენი მიღების

შეცვლა გამოიწვია. პირველ ყოვლისა, ჩვენ შევწევით დიდი რაოდენობით ფინანსების ჯილდოებსა და ნახატებზე ხარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან სასიამოვნო საჩუქრია მოსწავლეებისთვის, მათ არ შეუძლიათ გაცდების სიტუაციის გაუმჯობესება; მეორე მხრივ, ჩვენ გავაცნობიეროთ, რომ დასჯითი ღონისძიებები არავითარ შედეგს არ გაძლიერდა დასწრების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამის საფუძველზე დაგსკვენით, რომ ის მოსწავლეები, რომელებიც სწავლაში წარმატებული იყვნენ, საუკარაუდოდ, გაკეთილებსაც რეგულარულად ესწრებოდნენ.

ჩვენ ყურადღება გადავიტანეთ სკოლაში მოსწავლეების წარმატებაზე, როგორც სწავლაში, ისე ეძოციური თვალსაზრისით. ამაში იგულისხმება: მოსწავლის/მშობლის/პედაგოგის/დირექტორის კონტრაქტის გამოყენება, ყოველდღიური პროგრამები მოსწავლეებისთვის, მოსწავლეების ინდივიდუალური შეხვედრები დირექტორთან ყოველ 14 დღეში ნიშნებისა და ქცევის განსახილებად, სწავლის პრობლემის მქონე მოსწავლეების შეფასება, სწავლის მეთოდების გაუმჯობესება და სასწავლო პროგრამის გადახალისება, მეტი ყურადღების დათმობა მოსწავლეებში საკუთარი თავის პატივისცემის გაძლიერებისათვის.

დასასრულს, აღმოვაჩინე, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებები იმოქმედებდა მოსწავლეებში გაცდენების საკითხის მოგვარებაზე:

1. მოსწავლეები სკოლაში წარმატებული უნდა იყენებონ.
2. მოსწავლეს სკოლასთან კავშირი უნდა ჰქონდეს.
3. მოსწავლეებს სჭირდებათ სკოლაში თანატოლებსა და მოზარდებთან მეგობრული ურთიერთობები.
4. მოსწავლეებს სჭირდებათ ისეთი უნარების განვითარება, რაც დაეხმარებათ ყოველდღიური პრობლემების დაძლევაში.
5. სკოლამ ოჯახებთან უნდა დაამყაროს მჭიდრო ურთიერთობა.

ამ აღმოჩენებზე დაყრდნობით, პედაგოგებთან და მშობლებთან ვიმუშავე, რათა მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები და საზოგადოება გაერთიანებულიყო გაცდენებთან ბრძოლის საქმეში.

**ქ**ურთ ლეგინის წინასწარმეტყველურ გამონათქვამს – „არ არის მოქმედება კვლევის გარეშე, არ არის კვლევა მოქმედების გარეშე“ (ციტირებულია ადელ-მანში, 1993, გვ. 8) – რომ დავესესხოთ, წინამდებარე თავში განხილულია, თუ როგორ შეუძლია მკვლევარ პედაგოგს, დარწმუნდეს, რომ მოქმედება მისი სა-მოქმედო კვლევის ბუნებრივი შედეგია. მოქმედების გარეშე ჩვენ მხოლოდ იმის გაკეთება შეგვიძლია, რომ არაფერი არ გავაკეთოთ; რა შეიძლება ვუწოდოთ საკუთარი კეთილდღეობისთვის ვრნებზე კვლევის ჩატარებას. თუმცა ჩვენი ჯილდო ამ პროცესში იქნება ჩვენი ბავშვების განათლების გაუმჯობესებისთვის ჩვენ მიერ განხორციელებული მოქმედება; სწორედ მოქმედებისკენ არის მიმართული სამოქ-მედო კვლევა.

ჯევ რესტონის ისტორიაში ჩვენ ვნახეთ დირექტორი და სკოლის საზოგადოების წარმომადგენლები (ბავშვები, მშობლები, პედაგოგები, სტუდენტი პედაგოგები), რომ-ლებიც დაუინიბით ცდილობდნენ, ბევრი სკოლისთვის ნაცნობი, მნიშვნელოვანი პრობლე-მის მოგვარებას – როგორ შეენარჩუნებინათ ბავშვები სკოლაში. რესტორის სამოქმედო გეგმამ განსაზღვრა კვლევის აღმოჩენების სამზადეები: მოსწავლეებში ცხოვრებისუელი სირთულეების გამკლავებისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესება, მოსწავლეების წარ-მატების უზრუნველსაყოფად მეთოდების შემუშავება, ოჯახებთან მჭიდრო ურთიერ-თობების ჩამოყალიბება, სწავლის მეთოდების გაუმჯობესება და სასწავლო პროგრამის გადახარისხება, ისეთი მიდგომის გამოყენება, რაც ოჯახებთან მჭიდრო ურთიერთობის/პარტნიორობის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება, და ასე შემდეგ. მოქმედების დაგეგმვის პროცესში რესტორმა განიხილა კვლევის შედეგად გაკეთებული აღმოჩენები და ის, თუ როგორ ესმოდა გაცდენების პრობლემა. ასეთი განხილვის შედეგად მას უკეთ შეძლო სამოქმედო კვლევის შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა.

სამოქმედო კვლევის პროცესში მოქმედების დაგეგმვა არის მისი ბუნებრივი შემად-გენელი ნაწილი. წინამდებარე თავში წარმოდგენილი რჩევების გამოყენებით, თქვენ შეძ-ლებთ დარწმუნდეთ, რომ ყველა საჭირო საფეხური გაიარეთ, რათა შედეგი მიგეღოთ.

## სამოქმედო გეგმის შემუშავება

სამოქმედო კვლევის ამ ეტაპზე მკვლევარი პედაგოგი ძირითადად ცდილობს, პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: „რას ეფუძნება კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა, ახლა რა უნდა გავაკეთო?“ და უნდა განიხილოს ისეთი შეხედულებები, რომლებიც, მისი აზრით, დადასტურებულია და რითაც თავდაპირველად ხელმძღვანელობდა კვლევის დროს, ასევე გადაწყვიტოს, რა მოქმედებების განხორციელება დასჭირდება შემდეგში. ასეთი განხილვა საშუალებას აძლევს როგორც პედაგოგებს, ისე ადმინისტრატორებს, გააცნობირონ, რა შეიძინეს კვლევისა და პროფესიული ლიტერატურის შედეგად და გადაწყვეტილება მიიღონ შემდგომი მოქმედებების შესახებ.

ამ პროცესში გამოგადგებათ მოქმედების ცხრილის გამოყენება, რომელიც №7–1 და №7–2 ცხრილების მსგავსია. (№7–1 ცხრილი გვიჩვენებს მოქმედების სქემის ზოგად საფეხურებს; №7–2 ცხრილში წარმოდგენილია მოსწავლეთა გაცდენებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევისთვის ჯევ რესტონის მიერ შექმნილი მოქმედების სქემის საფეხურები). ცხრილში მითითებულ საფეხურებზე მუშაობის დროს მკვლევარ პედაგოგებს ექნებათ სია:

- რა ისწავლეს (აღმოჩენები).
- რეკომენდებული მოქმედება, რომელიც ამ აღმოჩენაზეა მიმართული.

**7-1 ცხრილი. მოქმედების საფუძვლების სკორა.**

	აღმოჩენის შეზღუდვები მიმღებითური რეგულინგური მოქმედებების პლატფორმის შესახებ აღმოჩენის შესახებ გვივარის შესახებ	კინ არას მატერიულიაზუ ასაკისციტიფიკაზუ?	ვის სტრუქტურა კონსულტაცია და ანგარიშირება	ვინ ჩაატარობს მონიტორინგს/ მონაცემთა შეგროვებას?	გრაფიკი	აუსაფრაგი
1.0	კვლევის შეგითხვა №1				როლის განკორცია- ლიდება მოქმედება/ მონიტორინგი?	რა გარემობათ მოქმედებას გამოიყორცე- ლაშისთვის?
1.1.	აღმოჩენი №1	• პედაგოგი • გუნდი	• პედაგოგი • გუნდი			
1.2.	აღმოჩენი №2					
2.0	კვლევის შეგითხვა №2		• კათედრის გამზე • დარცესტორი • ჰილადები • მსაწავლებელი	• კათედრის გამზე • დარცესტორი • ჰილადები • მსაწავლებელი	• კათედრის გამზე • დარცესტორი • ჰილადები • მსაწავლებელი	
2.1	აღმოჩენი №1					
2.2.	აღმოჩენი №2					
2.3.	ა.შ.					

- ვინ უნდა განახორციელოს კონკრეტული მოქმედება (პასუხისმგებლობა).
- ვის სჭირდება კონსულტაცია, ან ვის უნდა შეატყობინოთ კვლევის შედეგად მიღებულ აღმოჩენებზე და მასთან დაკავშირებულ მოქმედებებზე.
- ვინ ჩატარებს მოქმედების მონიტორინგს.
- მოქმედებისა და მონიტორინგის განხორციელების თარიღები.
- ნებისმიერი რესურსი, რაც საჭიროა მოქმედების განხორციელებისთვის.

ამ ცხრილის შემადგენელი ნაწილები თქვენთვის აღბათ ნაცნობა. მონიტორინგი და მონაცემთა შეგროვება სამოქმედო კვლევის პროცესში თქვენს მონაწილეობას გულისხმობს. ყოველ ჯერზე თქვენ ახალ პრობლემას განიხილავთ, როგორიც არის: „რა გავლენას ახდენს ეს მოქმედება მოსწავლეების მოსწრებაზე?“, და იმისათვის, რომ შეკითხვაზე უბასუხოთ, თქვენ შეიმუშავებთ მონაცემთა შეგროვების ან მონიტორინგის კონკრეტულ მეთოდებს. მონიტორინგის/მონაცემთა შეგროვების მეთოდები (იხილეთ მე-3 თავი) დაგეხმარებათ მონაცემთა ანალიზსა და განმარტებაში (იხილეთ მე-6 თავი), სამომავლო მოქმედებების დასახვაში. და ციკლი ხელახლა განმეორდება. შეიძლება, თქვენ სრულებით კმაყოფილი იყოთ თქვენი ჩარევით და გააგრძელოთ დაგეგმილი მოქმედების განხორციელება. სწავლის ასეთი „რუტინიზების“ დროს მანც დაგჭირდებათ, როგორც პედაგოგს, რომელიც მუდამ მსჯელობს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის შესახებ, გააგრძელოთ მონაცემთა შეგროვება, რათა შეამოწმოთ თქვენი სწავლის მეთოდის გავლენა მოსწავლეების მოსწრებასა და დამოკიდებულებაზე. ამ ეტაპზე, როგორც თვითგანახლების იდეით შეპყრობილი სკოლის კათედრა ან როგორც ინდივიდუალური პედაგოგი, რომელიც მუდამ მზად არის საკუთარი პროფესიული პრაქტიკა გააანალიზოს, თქვენ გააგრძელებთ თქვენი პრაქტიკის სხვა ასპექტების შესწავლას. (იხილეთ კვლევა მოქმედებაში, მოქმედების საფეხურების №7-1 ცხრილი).

## მოქმედების სხვადასხვა დონეზე დაგეგმვა

სკოლაში მოქმედების დაგეგმვა შეიძლება მოგიხდეთ სხვადასხვა დონეზე: ინდივიდუალურად, ჯგუფურად და სკოლის მასშტაბით, იმის მიხედვით, რა არის თქვენი სამოქმედო კვლევის არეალი. ამ დონეზე მოქმედების დაგეგმვა შეიძლება მოგიხდეთ ასევე ერთადიროვნულად ჩატარებული გამოძიების დროსაც. მაგალითად, პრობლემა, რომელსაც იკვლევთ, შეიძლება იყოს სკოლის მასშტაბით საინტერესო, მაგალითად, კითხვის ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავება (რომელიც ორიენტირებულია შინაარსობრივი დატვირთვის მიცემისკენ) მოსწავლეებისთვის (რაც შტატის მასშტაბით შეფასებული ქულებით და ყოველთვიური შეფასების კრიტერიუმის ტესტებით განისაზღვრა). სკოლის მასშტაბით წამოწებულ საქმეში მონაწილეობა პედაგოგებისგან მოითხოვდა პედაგოგების ჯგუფებთან შეხვედრას შესაბამისი ჩარევების შემუშავებისთვის და რეგულარულად შეგროვებული მონაცემების ანალიზს. ბოლოს, ცალკეულ პედაგოგს მოსწავლეების მოთხოვნებიდან გამომდინარე უნდა შეემუშავებინა ჩარევები. ამ შემთხვევაში, მოქმედების დაგეგმვა განხორციელდა სკოლის ყველა დონეზე.

## ინდივიდუალურად მუშაობა

ჩვეულებრივ, მოქმედების ინდივიდუალურად დაგეგმვა ხდება მაშინ, როდესაც მკვლევარი პედაგოგი მუშაობს სამოქმედო კვლევის ციკლში, როგორც კვლევის

პროცესის შემადგენელ ნაწილში, ან პროფესიული ღიცენზის მიღებისთვის, ან როგორც გრანტის ერთ-ერთი პირობის თანახმად, ან როდესაც მკვლევარი პედაგოგი სამოქმედო კვლევას ახორციელებს როგორც მისი პრაქტიკის ჩევეულებრივ შემადგენელ ნაწილს. პედაგოგებს, როდესაც ისინი ინდივიდუალურად მუშაობენ, მაინც შეუძლიათ განახორციელონ მოქმედების ცხრილში მოცემული საფეხურები (იხილეთ №7-1 ცხრილი) და ამით საკუთარ თავს შეახსნონ მოქმედების განხორციელებისთვის საჭირო საფეხურებზე და შეამოწმონ მოქმედების შედეგები.

ყველაზე მეტად მოსალოდნელია, რომ ინდივიდუალურად მომუშავე პედაგოგი, სამოქმედო კვლევის პროექტისა და ჩარევის სფეროდ აირჩევს სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებს, სწავლების მეთოდს, შეფასებას, კლასის მართვას, ან საზოგადოების ჩართულობას. ჩამოთვლილ სფეროებში ნაყოფიერი სამოქმედო გეგმა ურადღებას მიაქცევს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- **სასწავლო პროგრამის განვითარება.** სასწავლო პროგრამის განვითარებასთან (და განხორციელებასთან) დაკავშირებული კვლევის აღმოჩენები მკვლევარ პედაგოგს უბიძებს სასწავლო პროგრამის განვითარების შემდგომი ციკლისთვის მოქმედებების დაგეგმვისკენ (მაგალითად, ახალი/ან გადახალისებული გაკვეთილების შემოლება), დამატებითი სასწავლო არტიფაქტები (რესურსები და მასალა) და ასე შემდეგ. მოქმედების ცხრილში მოყვანილ ნაბიჯებს თუ გაყვევებით, ინდივიდუალურად მომუშავე მკვლევარი პედაგოგი პასუხისმგებელი იქნება არა მხოლოდ ყველა მოქმედებაზე, არამედ ასევე პედაგოგებთან, კათედრის გამგებებთან, ოლქის მასშტაბით სასწავლო პროგრამის სპეციალისტებთან, მშობლებთან და სკოლის დირექტორთან კონსულტაციაზეც.
- **სწავლების მეთოდები.** კვლევის აღმოჩენები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი სწავლების მეთოდების განხორციელებასთან (მაგალითად, ერთობლივი სწავლა, კარგად შემუშავებული გამოკითხვის მეთოდები, მოლოდინის გაზრდა, პროგრამის მიხედვით კითხვის სწავლება და ასე შემდეგ), მკვლევარ პედაგოგს მიაწვდის კონკრეტული მოქმედების იდენტს ახალი სასწავლო მეთოდების განვითარებისა და განხორციელების შესახებ მომდევნო კვლევის ციკლისთვის. მოქმედების ცხრილში მოყვანილი საფეხურების მიხედვით, ინდივიდუალურად მომუშავე მკვლევარი პედაგოგი ყველა მოქმედებაზე იქნება პასუხისმგებელი, კოლეგა პედაგოგებთან, კათედრის გამგებებთან, ოლქის დონეზე სწავლების სპეციალისტთან, მშობელთან და სკოლის დირექტორთან კონსულტაციების გამართვის ჩათვლით. პედაგოგს შეუძლია განსაზღვროს პროფესიული განვითარებისთვის დამატებითი აქტივობები, რისი განხორციელებაც საჭიროა შემდგომი სამოქმედო კვლევის ციკლის დაწყებამდე.
- **შეფასების მეთოდები.** კვლევის აღმოჩენები, რაც დაკავშირებულია შეფასების ახალ მეთოდებთან (მაგალითად, პაილენდ-პარკის საშუალო სკოლის მეთოდის – „სწავლაზე ურადღების გამახვილება ნიშნებზე ურადღების შემცირებით“ – მაგალითი მოცემულია მე-6 თავში), აჩვენებს მკვლევარ პედაგოგს, რა კონკრეტული მოქმედების განხორციელება შეიძლება შეფასების ახალი მეთოდების განხორციელების შემდგომ ციკლში. მოქმედების ცხრილის საფეხურებს თუ გავყვებით, ინდივიდუალურად მომუშავე მკვლევარი პედაგოგი პასუხისმგებელი იქნება ყველა მოქმედებისთვის, კოლეგა პედაგოგებთან, კათედრის გამგებებთან, ოლქის დონეზე სასწავლო პროგრამისა და მეთოდების სპეციალისტთან, მშობლებთან და სკოლის დირექტორთან კონსულტაციების

გამართვის ჩათვლით.

- კლასის მართვის მეთოდები/გეგმები. დაწყები პედაგოგებისთვის, როგორც წესი, ინტერესთა სფერო (პრაქტიკის დაწყებამდე (სტაურება) და დაწყების დროს) კლასის მართვით შემოიფარგლება. კვლევის აღმოჩენები, დაკავშირებული კლასის მართვის ახალი გეგმის განხორციელებასთან, მკვლევარ პედაგოგს დაეხმარება სწავლების შემდეგი ციკლისთვის კონკრეტული მოქმედებების განსაზღვრაში. მოქმედების ცხრილში მოყვანილი საფეხურების მიხედვით, ინდივიდუალურად მომუშავე პედაგოგი პასუხისმგებელი იქნება არა მხოლოდ მოქმედებაზე, არამედ კოლეგა პედაგოგებთან, კათედრის გამგებთან, ოლქის დონეზე სასწავლო პროგრამისა და მეთოდების სპეციალისტთან, მშობლებთან და კოლის დირექტორთან კონსულტაციის გამართვისთვის.
- საზოგადოების ჩართულობა. კვლევის აღმოჩენები, დაკავშირებული საზოგადოების ჩართულობასთან (მაგალითად, წინამდებარე თავის დასაწყისში წარმოდგენილი ჯეკ რესტონის მოკლე ისტორია), დაეხმარება მკვლევარ პედაგოგებს ადგილობრივი სკოლის პრობლემების მოვარებაში საზოგადოების ჩართულობის გასაუმჯობესებლად განხორციელებულ შემდგომი ციკლისთვის მოქმედებების განსაზღვრაში. მოქმედების ცხრილის საფეხურების თანახმად, ინდივიდუალურად მომუშავე პედაგოგი პასუხისმგებელი იქნება არა მხოლოდ ყველა მოქმედებისთვის, არამედ კოლეგა პედაგოგებთან, კათედრის გამგებთან, ოლქის დონეზე სასწავლო პროგრამის სპეციალისტთან, მშობლებთან, კოლის დირექტორთან, და შეიძლება ოლქის მმართველთანაც კი, კონსულტაციის გამართვისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევების აღმოჩენები, პირველ რიგში, თავად ინდივიდუალურად მომუშავე მკვლევარი პედაგოგისთვის გახდება ცნობილი, მისთვის აუცილებელია, საუნივერსიტეტო წრეებში მოიპოვოს თანადგომა. როგორც ელიოტი (1991) გვირჩევს:

იზოლირებულად მომუშავე პედაგოგთა მცირე ჯვაფს შეუძლია ეძებოს საპირისპირო შეხედულებები და მსჯელობები სამოქმედო კვლევის სფეროში მომუშავე წრეებში, რითაც ისინი გასცდებიან სკოლის ფარგლებს და გაეცნობიან სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებს. ასეთ წრეებში გაწევრიანებით, პედაგოგები გაიმდიდრებენ კულტურულ რესურსებს, რაც გააძლიერებს მათ შესაძლებლობას, გაუმჯლავდნენ სკოლის ტემპიდან გამომდინარე დროის უკმარისობით გამოწვეულ პრობლემებს. (გვ. 66-67).

როგორც მე-8 თავში განხილული, წრის გაფართოებით თქვენ გასცდებით არა მარტო სკოლის საზღვრებს, არამედ სამოქმედო კვლევის შესახებ ონლაინსაუბრებში მონაწილეობით გლობალურ საზღვრებსაც გასცდებით. ამ კიბერსიგრცის ქსელს შეუძლია დაეხმაროს პედაგოგებს, რომლებიც იზოლირებულად მუშაობენ, მოქმედების დაგეგმვის პროცესის გაგრძელებასა და შემდგომ ციკლშიც.

№7-2 ԵՐԱԾՈՂԱՆ. Առաջնական պատճենը հայտնաբերվել է 1972 թ.

3.0 გაცემწას პრეცენტის რა კულტური მოთლები ანსუმში?	3.1 მასწავლებელის/მოთლების/კულტურის/არაკულტურის/ კუნძულობების/ კუნძულობების/ კულტურული დაზიანება	3.1. განახორციელეთ კონტრაქტები. 3.2. შეასრულოთ და გამოიყენოთ დაუსახის პროცესის პროცესი.	3.1. პირი,, გ, ჸ, ღ. 3.2. ღ 3.3. ღ	3.1. პირი,, გ. 3.2. ღ ღ ღ განვითარებაში პროცესის პროცესის თვის
3.1 კულტურული მოთლების/კუნძულობების/ კულტურული დაზიანება	3.2 კულტურული დაზიანება 3.3 სული მათის გამოსჯებად	3.3. მოუწევთ ილუს იფისთვის სულით მათის გამოსჯებად გამსაზღვრული ტექსტების ჩატარებისთვის.	3.3. სალექტო მოვიკ	3.3. სალექტო მოვიკ 4. ტექსტირების შეჯიბრი
3.2 კუნძულობების/ კულტურული დაზიანება	3.4 საკუთარი ლარსების შეჯიბრის მუნიციპალიტეტი	3.4. განახორციელოთ საკუთარი ლარსების შეჯიბრის მუნიციპალიტეტისთვის.	3.4. გ.	3.4. გ.
3.3 საკუთარი ლარსების შეჯიბრის მუნიციპალიტეტი	3.5 გაუმჯობესებული სწავლება და სასწავლო პროცესის	3.5. ხელი შეუწევთ სასწავლებლის მიზანისთვის. პროცესის განვითარებაში მასში მოვიკ	3.5. გ.	3.5. გ ღ განვითარებაში პროცესის პროცესის თვის

**მარტინის სექტან უკავშირელი საფეხურები**

აღმოჩენების შეჯამის, ფილტრის უკითხებები	აღმოჩენების მდგრადი რეაქციების ეფექტები	შენ არის მოწილებაზე პასუხისმგებელი?	შეს სჭრდება ქამალურადა ან ანთორიზირდება?	გინ განახორციელებს განიტოლინებუ/ მონაცემების შემოკლებას?	რესურსები (ფინანსურ სამსახური)

## მოქმედების საფეხურები

- კვლევის აღმოჩენები
- რეკორდებული მოქმედება
- პასუხისმგებლობები
- აღმოჩენების კოლეგებისთვის გაზიარება
- მიმდინარე მონიტორინგი (მონაცემთა შეგროვება)
- მოქმედების გრაფიკი
- რესურსები

### გუნდი

შესაფერისი სასწავლო პროგრამისა და სწავლების მეთოდის შერჩევის უფლების სკოლისათვის მინიჭების დროს ხშირად შევდებით სამოქმედო კვლევის პროექტზე ერთობლივად მომუშავე პედაგოგთა გუნდს, აღმინისტრატორებსა და, ზოგჯერ, შშობლებსაც. ხშირად ასეთი გუნდები იქმნება საერთო ინტერესების მქონე სამოქმედო კვლევაზე მომუშავე პედაგოგთა ინტერნეტქსელიდან. ზოგიერთ შემთხვევაში გუნდების შეკრება გამოწვეული გრანტის პირობებით, რომ პედაგოგებმა ითანამშრომლონ სკოლის გაუმჯობესების მიზნით. მიუხედავად პროფესიონალთა ქსელის წარმოქმნის მიზეზისა, ამ გუნდებს სამოქმედო კვლევის პროცესში აქვთ საერთო ინტერესთა სფერო, ანუ ხდება მათი ენერგიის მობილიზება მოქმედების განხორციელებისთვის. ეს პროცესი შეიძლება გაადვილდეს, თუ პედაგოგები გაითვალისწინებენ მოქმედების სქემაში მოყვანილ საფეხურებსა და ერთობლივად განსაზღვრავენ თითოეული წევრის დეტალურ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას. ამ ეტაპზე წამოჭრილი წებისმიერი საყითხის გადაწყვეტას ძირითადი მნიშვნელობა აქვს სამოქმედო კვლევის ჯგუფის წარმატებულად და ხანგრძლივად მუშაობისთვის. მოცულულ ეტაპზე სამოქმედო გეგმის უშუალო შემფასებლები თავად გუნდის წევრები არიან. თუმცა სამოქმედო კვლევის გუნდს მართებს ისეთი გზების ძიება, რომელთა მეშვეობითაც იგი გასცდება ტრადიციულად დადგენილ პედაგოგთა მცირე გუნდის საზღვრებს და შეძლებს უკუქმედებისა და დახმარების მიღებას იმ გარემოდან, რომელშიც მუშაობს.

### სამოქმედო კვლევა სკოლის მასშტაბით

სკოლის მასშტაბით სამოქმედო კვლევა გულისხმობს სკოლის საზოგადოების უველა წევრის საერთო მაზნისთვის ერთობლივად მუშაობას, მაგალითად, სკოლის მასშტაბით კითხვის, წერის ან მათემატიკის სწავლების გაუმჯობესება, რაც დაწყებითი სკოლისთვის საერთო მიზანია. სამწუხაროდ, ხშირად ხდება, რომ საშუალო სკოლა უურადღებას ამახვილებს, რა გავლენა აქვს მოსწავლეების დამოკიდებულებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებაზე ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით სასწავლო პროგრამას. თუმცა მოყვანილი მაგალითები იმით განსხვავდება, რომ მთელი სკოლის მასშტაბით ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება, სამოქმედო კვლევის აღმოჩენების საფუძველზე ძალისხმეულის მიმართავდნენ სკოლის გაუმჯობესებისკენ. დახმარება, თანამშრომლობა და კომუნიკაცია მოქმედების დაგეგმვის პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ამის გაკეთება კვლევის სხვა ეტაპებზე.

სკოლის ამოცანაა, თუ როგორ ჩავაბათ მონაწილეობი მიზნის მიღწევისაც სწრაფვის პროცესში, რაც მოქმედების დაგეგმვის პროცესის განუყოფელი ელემენტია.

უკველთვის იქნება ისეთი შემთხვევა, რომ ვინმე უარს იტყვის, და გამოცდილ ფასილიტატორს თუ სურს შედეგის მიღწევა, მოუწევს ძალისხმევის მიმართვა იქითკენ, რომ სკოლაშ გაიაროს მოქმედების სქემის საფეხურები. სერიოზულად მოექიდეთ სასკოლო საზოგადოების მოქმედების დაგეგმვაში ჩართულობის საკითხს. ეს, მართლაც, მნიშვნელოვანია, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ რისკავთ, რომ სამუდამოდ იზოლაციაში მოქცევით და ვერ შეძლებთ მოქმედების გაკონტროლებას.

## მოქმედება უცდა იყოს მუდივიად გიმართული პროცესი

მოქმედების დაგეგმვის შესახებ შემოთავაზებული განხილვით თქვენ არ უნდა შეგუქმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მოქმედებას მხოლოდ სამოქმედო კვლევის პროცესის ბოლოს ვახორციელებთ. სწავლების დინამიკურობა პედაგოგისგან მოითხოვს, სასწავლო პროცესის შესახებ შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სწავლების მეთოდებში მრავალი ცვლილების შეტანას. მაგალითად, სტაჟიორ პედაგოგებს ხშირად მოეთხოვებათ, გაკვეთილების გეგმაში შეიტანონ „შეფასება“, რათა უპასუხონ შეკითხვას – „საინდან იცით, რომ მოსწავლეებმა თქვენი სწავლების მეთოდით განსაზღვრულ მიზნებს მიაღწიეს?“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა მონაცემებს შეაგროვებთ, რომ გაიგოთ, სასწავლო დღის ბოლოს როგორ დაგეგმოთ შემდგომი გაკვეთილი? ხშირად ასეთი მონაცემები ინტუიციურად და არაფორმალურად გროვდება, ყოველგვარი ჩარევის გარეშე. როგორც პედაგოგებს, ჩვენ გვასწავლეს, რომ შეგვეგროვებინა, გაგვანალიზებინა და განგვევმარტა მონაცემები სწრაფად და ეფექტურად, ისე, რომ შეგვეძლოს გამოვკვეთოთ „აღმოჩენები“ და განვახორციელოთ „მოქმედებები“ (სწავლების კორექტირება, ხელახლა სწავლება, შესაბამისი ლიტერატურა, აქტივობების გაფართოება), რაც შესაძლებლობას იძლევა, სწავლების პროცესი მუდაშ დაკავშირებული იყოს აღმოჩენებებთან და მოქმედებებთან.

## განხილვის აუცილებლობა

მოქმედების დაგეგმვა ასევე კარგი მომენტია განხილვისთვის, ანუ იმის განსახილველად, თუ რითა დაიწყეთ, რა ისწავლეთ და რა მიმართულებით აგრძელებთ სამუშაოს. მოქმედების დაგეგმვა და განხილვა შესაძლებლობას გაძლევთ განსაზღვროთ, რა გესაჭიროებათ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური პროფესიული განვითარებისთვის. განხილვაში დაგეხმარებათ როგორც თქვენი აღმოჩენები, ისე შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც სამოქმედო კვლევის აღრეულ ეტაპზე შეაგროვეთ. ქვემოთ მოყვანილი შეკითხვები ასევე დაგეხმარებათ განხილვაში:

- რა იყო თქვენი მოქმედების დაგეგმილი და მოულოდნელი შედეგები?
- რა საგანმანათლებლო საკითხები წარმოიქმნა საკუთარი პრაქტიკის შესწავლის შედეგად?

ცხადია, ეს შეკითხვები არ მოგცემთ დაუყოვნებლივ და მარტივ პასუხებს, არამედ ისინი გაიძულებენ, თვალი გადაავლოთ თქვენს წარსულ პრაქტიკას უფრო გამოცდილი თავლით. ასეთი განხილვისას თქვენ საკუთარი აღმოჩენებიდან გამომდინარე გეგმავთ საკუთარ მოქმედებებს. წინამდებარე თავის შემდეგი თავები დაგეხმარებათ, განსაზღვროთ და ამოიცნოთ ის სირთულეები, რომელთაც სამოქმედო კვლევის პროცესში ცვლილების გატარებისას შეიძლება წააწყდეთ, ასევე დაგეხმარებათ, მომზადებული შეხვდეთ ასეთ სირთულეებს, რათა ეფექტურად განსახორციელოთ ცვლილებები სკოლაში.

## ზოგიერთი სირთულე, რომელთაც მკვლევარი პედაგოგები აწყდებიან

როდესაც მოქმედების მნიშვნელოვან საფეხურებს იხილავთ, ასევე გაითვალისწინეთ ის სირთულეები, რომელთაც კველა მკვლევარი პედაგოგი აწყდება სამოქმედო კვლევისა და საგანმანათლებლო ცვლილების განხორციელებისას. თუ ჩვენ არ ვაპირებთ შევურიგდეთ სარასონის (1990) წინასწარმეტყველურ გამონათქვას: „რაც უფრო მეტს ვცვლით, მით უფრო იგივე რჩება“ (გვ. 5), მაშინ მზად უნდა ვიყოთ ამ დაბრკოლებების გადასალაბავად. ასეთ ბარიერებში იგულისხმება: რესურსების ნაკლებობა, ცვლილებისადმი წინააღმდეგობა, ჩარევისგან თავის შეკავება, სირთულეების აღიარებისგან თავის არიდება, აღმოჩენების შედეგად წარმოქმნილი გამოწვევების გაზიარება და სამოქმედო კელების ჩასატარებლად დროის გამოძებნით გამოწვეული სირთულე.

### რესურსების არასაკმარისობა

რესურსების ნაკლებობა შესაძლოა, ყველაზე დიდი წინაღობა იყოს მოქმედების დაგეგმვის დროს. ბევრი შესანიშნავი სამოქმედო კვლევა და ცვლილების მოხდების სურვილი ვერ განხორციელებულა რესურსებისა და მასალის უქონლობის გამო. მაგრამ თუ თქვენ საკუთარი პრაქტიკის შედეგად შეძენილი ცოდნის წყალობით ნოვატორული იდეები დაგებადათ და ენერგიული დარჩით, მაშინ აუცილებლად იპოვით გზებს, რომ ცვლილება მოახდინოთ. შეიძლება კრეატიულად მიუდგეთ საჭირო მასალის გამოძებნის გზებს. არ დაუღოდოთ ადმინისტრატორს, პირს სათავო ოფისიდან, ან რომელიმე ფილანტროპს, რომ დაგეხმარებათ. სცადეთ გრანტის მოპოვება, მცირეც რომ იყოს, რათა საჭირო რესურსები მოიძიოთ თქვენი ჩარევის წარმატებით განხორციელებისთვის. (იხილეთ მე-8 თავი, სადაც მოცემულია მკვლევარი პედაგოგებისთვის გრანტის მოპოვების საკითხები). გამოიყენეთ მონაცემები, რომელიც შეაგროვეთ, გააანალიზეთ და განმარტეთ, იმისათვის, რომ მოიძიოთ რესურსები, რაც შეიძლება წარუდგინოთ შშობელთა და პედაგოგთა ასოციაციას, საოლქო კომიტეტებს, სკოლის საბჭოს, გრანტების მომზიდველ სააგრძნელებს და ასე შემდეგ.

სამოქმედო მკვლევრებს სჭირდებათ როგორც პროფესიული, ასევე მატერიალური რესურსები. თუ სამოქმედო კვლევა თქვენი პროფესიული ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება და გაგრძელდება დროთა განმავლობაში, მან შედეგი უნდა გამოიინოს როგორც თქვენი პროფესიული ზრდის, ასევე მოსწავლეთა შედეგების თვალსაზრისითაც. წარმატებული პრაქტიკის განსაზღვრა პროფესიული განვითარების შესაძლებლობას მოგცემთ, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტურად. თუ ადგილობრივ უნივერსიტეტს ან სასკოლო ოლქს არ შეუძლია თქვენი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა, გამოიყენეთ ინტერნეტი, რათა გაიგოთ, ვის შეუძლია პროფესიულ განვითარებაში თქვენი დახმარება. და კიდევ ერთხელ, თქვენი აღმოჩენების დახმარებით განვითარდით პროფესიულად და გაუცანით იმას, რაც თქვენ გაინტერესებთ და სტიმულს გაძლევთ, და იმასაც, რაც სხვისი აზრით არის თქვენთვის საინტერესო.

### ნინებალებების ცვლილებისადმი

ცვლილების სიმცირის მიუხედავად, იგი შეიძლება საშიშროების შემცველად აღიქვან. ბევრს მიაჩნია, რომ შეუჩეველ ჭირს შეჩევული ჯობიაო და ამიტომ სკეპტიკურად უუყრებს ცვლილებას. თუმცა ის დრო, როდესაც სკოლები უარს ამბობდნენ სიახლეებზე, წარსულს ჩაბარდა. სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური

და სოციალური გარემო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, პედაგოგებისგან მოითხოვს, გახდნენ დახვეწილი ლიდერი პედაგოგები და გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომლებსაც ექნებათ უნარები, გააძლიერონ მოსწავლეები და მათ გარშემო მყოფი სხვა პირები. სამოქმედო კვლევაში მონაწილეობა ან მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც სკოლა ერთი კულტურიდან მეორეზე გადადის და ხდება თვითგანახლების ტრადიციების მიმღევარი. სკოლის დინამიკურობის მხარდაჭერა თავისთავად გამოიწვევს ინდივიდუალურობის წინა პლანზე წამოწევას, რაც ბევრი პოზიტური ცვლილების მომტანია.

მაგალითად, გაცდებებზე სკოლის/ოლქის პოლიტიკის გავლენის შესახებ ჯეკ რესტონის კვლევამ გვჩინება, რომ დაწერების დონე იგივე დარჩა, მიუხედავად მოსწავლეთა მასტიმულირებელი ძირიადლირებული პროგრამებისა, რომლებიც გაცდებების პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებოდა. მას მერე, რაც მან გააცნობიერა, რომ ამ ჩარჩვას არავითარი შედეგი არ ჰქონდა, ჯემა სისტემის შეცვლის ვალდებულება საკუთარ თავზე აიღო. მას სურდა, ისთვიუს დაწყებითი სკოლის გარემო ისე შეეცვალა, რომ ყველა ბავშვს (განსაკუთრებით გაცდებების რისკჯგუფში მყოფ ბავშვებს) გასჩენოდა სკოლაში სიარულის სურვილი. ეს საქმაოდ ძირეულ ცვლილებებს გულისხმობდა, მაგალითად, ადმინისტრაციონური ბავშვებთან ურთიერთობას და ბავშვებისთვის დროის დიდი ნაწილის დათმობას. ამ პროცესში მას ზევრი წინაღობის გადალაზვა მოუწია, ცვლილების მიმართ ინსტიტუციური წინააღმდეგობის ჩათვლით.

### სსვათია პროცესიულ პრაქტიკაში ჩარევისგან თავის შეცვავება

სამწუხაროდ, სკოლებში არსებობს ისეთი კულტურული ღირებულებები, რომელთაც პირველ ადგილზე აყენებენ და რაც შეიძლება შემდეგი ფრაზით გადმოვცეთ: „ნუ ჩაერევით სხვის პროფესიულ საქმიანობაში“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას არავინ გთხოვთ. ასეთ ვითარებაში მკლევარი პედაგოგი არჩევანის წინაშე დგება – ან დაარწმუნოს კოლეგები ახალი პრატიკის ექსპერიმენტირებისა თუ შემოღების თაობაზე, რაც პოზიტურ ცვლილებებს გამოიწვევს, ან „პატივი სკეს კოლეგების პროფესიონალიზმსა და მათ უფლებას, თავად გადაწყვიტონ, როგორ იმოქმედებენ საკუთარ საკლასო ოთახში“ (ელოტი, 1991, გვ. 59).

ხშირად მკვლევარი პედაგოგები კვლევისა და ცვლილებების განხორციელების პროცესში აწყდებიან ისეთ პრობლემას, რაც დაკავშირებულია კოლეგებს შორის „მშენებელის ურთიერთობის შენარჩუნებასთან“. თუმცა, თუ გვსურს საკუთარ და სხვათა პროფესიულ გამოცდილებაზე ვისწავლოთ, ისიც უნდა შეგვეძლოს, რომ უარი ვთქვათ ერთმანეთის კლასში ჩარევისგან თავის შეკავების ტრადიციაზე და, როგორც სწავლას მოწადნებულმა საზოგადოებამ, მთლიანად მიეროოთ შემოთავაზებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ჩვენივე კვლევიდან აღმოცენდა.

როგორ უნდა დაამყაროთ დანარჩენ პედაგოგებთან პროფესიული თანამშრომლობა სკოლაში? თქვენი სამოქმედო კვლევისა და ცვლილების მცდელობისთვის გადამწევეტია, არ გამოეყოთ დანარჩენ კოლეგებს მხოლოდ იმიტომ, რომ „წევრი გახდით განათლებული ელიტარული ჯგუფისა“, რომელსაც პასუხი აქვს მოსწავლის სწავლის შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე. თქვენ პროფესიული განვითარების საკმარის დიდი გზა გაიარეთ, თუ შეძელით, რომ პრობლემის შესახებ საკუთარი და თქვენი კოლეგების ხედება გესწავლათ და თუ ამის შემდეგ ჯგუფურად აიღეთ პასუხისმგებლობა, განგერირციელებინათ აღმოჩენებზე დაფუძნებული მოქმედება, ერთობლივი მუშაობა გეხმარებათ ძლიერი პროფესიული ბარიერების ნგრევაში.

## სირთულის აღიარებისგან თავის არიდება

თუ ჩვენ სამოქმედო კვლევასა და მოქმედების დაგეგმვას ვუყურებთ როგორც პედაგოგების გაძლიერების საშუალებას, მაშინ ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ ეს მოქმედება მკვლევარი პედაგოგისგან დიდ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს. თუ გასურს ცვლილების მოხდენა, რომელიც ჩვენი სამოქმედო კვლევის აღმოჩენებზეა დაფუძნებული, მაშინ მზად უნდა ვიყოთ, რეალურად შევხედოთ არსებულ სიტუაციას. თუ თითოეულ ჩვენგანს სკოლაში ცეკვებზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების (რასაც მოსწავლეზე უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია) მიღების უფლებამოსილება აქვს, მაშინ ჩვენს პასუხისმგებლობაზე უარი არც მაშინ უნდა ვთქვათ, როდესაც სასურველ შედეგს გერ მიგაღწევთ. თუ ჩვენი საუკეთესო სურვილებისა და მცდელობის მიუჟედავად, ჩვენი ჩარევა შედეგს არ გამოიღებს, მზად უნდა ვიყოთ, მდგომარეობა ობიექტურად შევაფასოთ და შევიმუშაოთ ცვლილებათა ახალი რეკომენდაციები მოსწავლებისთვის საუკეთესო განათლების მიცემის მიზნით.

მაგალითად, დებორა საუთი (I თავში) იმედოვნებდა, რომ უნარების კლასში „არამოტივირებულ“ მოსწავლეებს დადებითი დამკიდებულება ექნებოდათ მისი სწავლების მეთოდის მიმართ. ამის ნაცვლად, მან შეამჩნია შემაშთოთებელი ტენდენცია: მოსწავლეების ნიშნები უარესდებოდა. დებორას თვალებში უნდა შეექცედა ამ სამწუხარო რეალობისთვის და ვიდრე „არამოტივირებული“ მოსწავლეების სასარგებლოდ ცვლილების განხორციელების დასკრინას მიღებდა, მან უურადღებით განიხილა საკუთარი პასუხისმგებლობის საკითხი მოსწავლეების დაბალი მოსწრების საკითხში.

## ფორუმის პოვნა საპუთარი ცოდნის გასაზიარებლად

სამოქმედო კვლევის შესახებ მრავალი პროფესიონალური აზრის გაგება შეიძლება. ელიოტი (1991) თვლის, რომ ასეთი სახით მონაცემთა გაზიარება „ხელს უწყობს განხილვებს/საუბრებს და პროფესიონალური კულტურის ცვლილებას“ (გვ. 60). თუმცა ლია საუბრები იმის შესახებ, თუ რას გვთავაზობს კვლევის მონაცემები (ანალიზი და განმარტება) და როგორ მოხდა აღმოჩენების სამოქმედო გეგმაში ასახვა, არ არის ყოველთვის მარტივი საქმე.

ფორუმში (ადგილობრივ, ეროვნულ ან გლობალურ!) საჭიროა, რომ პედაგოგებმა სხვებს გაუზიარონ თავიანთი ანგარიში და აღიარონ, რომ ცვლილებაზე ორიენტირებული სამოქმედო კვლევა არის მათი პროფესიული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, სტაუიორ პედაგოგთა მომზადების პროგრამები ითვალისწინებს სამოქმედო კვლევას. კონკრეტული სკოლები პედაგოგებს სამოქმედო კვლევის უნარების გამომუდავნების შესაძლებლობას აძლევს, როგორც პედაგოგის წლიური შეფასების ციკლის ნაწილისას; შტატისა და ფედერალური გრანტები ითვალისწინებენ სამოქმედო კვლევას, როგორც სწავლის მეთოდის გაუმჯობესების ციკლის ნაწილს; სკოლის დოხოვზე გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფები იზიარებენ სამოქმედო კვლევის მოდელს სკოლის გაუმჯობესების მცდელობისას; შტატის პედაგოგთა ლიცენზირების სააგენტოები ითვალისწინებენ სამოქმედო კვლევას, როგორც ლიცენზიის განახლების ერთ-ერთ პირობას.

იმის გამო, რომ მკვლევარი პედაგოგები, როგორც წესი, არ აქვეყნებენ თავიანთ აღმოჩენებს, მათი ისტორიების ერთმანეთისთვის გაზიარებას ხელს უწყობს სამოქმედო კვლევების შესახებ არსებული ინტერნეტსაიტები. პედაგოგებს უკვე ხელეწიფებათ გლობალურ ფორუმებში მონაწილეობა, სადაც მათ შეუძლიათ საკუთარი ისტორიებისა

და იმ მოქმედებების გაზიარება, რაც კვლევის შედეგად განახორციელეს, ასევე იმისა, თუ რა ისწავლეს ბოლო სამოქმედო კვლევის ციკლის მეშვეობით. (არსებობს შემდეგი სახის ინტერნეტ-ჰიპერნეტი: Educational Action Research, Networks, Action Research International და Action Research Electronic Reader). სამოქმედო გაგმებისა და პედაგოგების მიერ კვლევის შედეგად შეძენილი ცოდნის გაზიარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პედაგოგის მკვლევრად ჩამოყალიბების პროცესში. (იხილეთ მე-8 თავი, პრაქტიკული რჩევები „როგორ გავაგებინოთ მთელს ქვეყანას.“)

### გამოვნასოთ დრო სამოქმედო პროექტისთვის

ჩვენ უკვე განვიხილეთ, რამდენად როულია თქვენს საკმაოდ დაკავებულ ყოველდღიურ გრაფიკში სამოქმედო კვლევისთვის დროის გამოძებნა. მაშინ როდესაც ფიქრობდით, რომ სამოქმედო კვლევის ციკლი დასრულდა და ემზადებით, რომ სწავლების ჩვეულ რიტმს მიუბრუნდეთ, თქვენ ისევ ექცევით პროცესში, როდესაც უნდა განიხილოთ თქვენი კვლევის აღმოჩენებით გამოწვეული მოქმედებები და შემდეგი ციკლისთვის ისევ დასვათ კითხვები: ვნენ, რა და როგორ?

„მიგაჩნიათ თუ არა, რომ კიდევ გჭირდებათ მოქმედების განხორციელება და შემდეგ მისი შედეგების შემოწმება? მაგრამ მე, უბრალოდ, დრო არ მაქვს, რომ კიდევ ერთი კვლევა ჩავატარო!“ გალიზიანება იმის გამო, რომ პროცესი უნდა შეწყვიტოთ, არ არის უწვევულო ან აზრს მოკლებული. მოქმედების დაგეგმვისას თქვენ შესაძლოა, კმაყოფილი იყოთ, რომ სტატუს-კვო კარგად მუშაობს. თუ თქვენ ამ კატეგორიის პედაგოგი ხართ, მე გირჩევდით, თქვენს ინსტინქტებს დაუჯეროთ. მიეცით საკუთარ თავს დრო, რომ იმსჯელოთ და დაგეგმოთ თქვენთვის მისაღები ტემპებით. თქვენ მოსწავლებს არ გამოადგინოთ, თუ მუშაობისგან გადაღლილი იქნებით. (როგორც მერვეელასელი მოწაფის მშობელი, ყველაზე ნაკლებად მინდა, რომ ჩემი შვილის პედაგოგი იყოს დაქანცული, იმიტომ, რომ მთელი წლის განმავლობაში სამოქმედო კვლევას ატარებდა!) კვლევის მიზანია, განვითარდეთ, ისე, რომ მოქმედება და კვლევა თქვენი პროფესიული ცხოვრების ნაწილად აქციოთ, თუმცა არა იმ ენერგიის ხარჯზე, რომელიც ყოველდღიური სწავლების პროცესში ხალისიანად და კრეატიულად დარჩენისთვის გჭირდებათ. ყველაფრის მიუხედავად, თუ სამოქმედო კვლევა არ შეიძლება ნორმატიული იყოს და თუ იგი უარყოფით ზეგავლენას ახდენს თქვენს უპირველეს ვალდებულებაზე, ასწავლოთ ბავშვებს, მაშინ მისი განხორციელებაც არ ღირს.

მეორე მხრივ, თუ უკვე მიაღწიეთ მოქმედების დაგეგმვის ფაზამდე განახლებული ენერგიითა და ენთუზიაზმით და თუ გადაწყვეტილი გაქვთ ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანი ინიციატივის განხორციელება, რაც, თქვენი რწმენით, დაქმარება თქვენი ზრუნვის ქვეშ მყოფი მოსწავლების კეთილდღეობას, და თუ თქვენ ცხადად ხედავთ მიმართულებას, მიზანსა და დანიშნულებას, მაშინ არ შეჩერდეთ და გაუზიარეთ თქვენი ისტორია ყველას, ვისთანაც კი მიგიწვდებათ ხმა! ეს იქნება თქვენი წარმატების ისტორია და დაგეხმარებათ სწავლის კულტურის შეცვლაში. ეს ცვლილებები შიგნიდან მოდის და მათი გარედან მოხვევა არავის შეუძლია, ცვლილებების მოთხოვნილება ჩვენ თვითონ უნდა გაგვიჩნდეს.

საერთაშორისო, ეროვნული, შტატის თუ ადგილობრივი მიმდინარეობებისა და ინიციატივების მიუხედავად, ინდივიდუალური მკვლევარი პედაგოგის უნარი, სწორად გადაანაწილოს დრო, მნიშვნელოვანია, რათა სამოქმედო კვლევაზე კლასში რუტინული ხასიათი არ მიიღოს. თუმცა, თუ ჩვენ, როგორც პროფესიონალებს, არ შეგვიძლია

გამოვნახოთ დრო კვლევასთან დაკავშირებული სამუშაოს ჩასატარებლად, მაშინ სამოქმედო კვლევა გადასროლილი იქნება არასაჭირო ნივთების ყუთში, როგორც ბევრი სხვა იმედისმომცემი საგანმანათლებლო ინიციატივა.

## საგანმანათლებლო ცვლილების ხელშეწყობა

სამოქმედო კვლევის მიზანია, პოზიტიური საგანმანათლებლო ცვლილების საშუალებით გააუმჯობესოს მოსწავლეთა და პედაგოგთა ცხოვრება. ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე წინალობა, რომელთაც პედაგოგები საქმაოდ ხშირად ხვდებიან, როდესაც, სამოქმედო კვლევის აღმოჩენებზე დაყრდნობით, საგანმანათლებლო ცვლილების გატარებას ცდილობენ. ამ სირთულეების შესახვედრად მომზადებას თუ დაიწყებთ, თქვენ დაეხმარებით ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც მომზადებული იქნება ცვლილებისთვის. ქვემოთ მოყვანილია რვა საფუძველი, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო ცვლილებას (ადაპტირებულია ფულანიდან, 1993; მიღერი და ლიბერმანი, 1998; სარასონი, 1990).

პედაგოგებმა და ადამიტოსტრატორებმა ქალაუფლებისა და ავტორიტეტის რესტრუქტურირებაა უნდა მოიცვა 1993 წლის მარტის 1 დღის შემთხვევაში არ გამოიყენება დამამცირებელი მნიშვნელობით; მკვლევარ პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა, თავიათი კოლეგების, ადმინისტრატორების ჩათვლით, ერთობლივი ძალაუფლება გამოიყენონ, რათა განახორციელონ სასარგებლო ცვლილება, დემოკრატიული, გამათავისუფლებელი და გამამხნევებელი პროცესის მეშვეობით. ამისათვის საჭიროა, რომ სამოქმედო კვლევის მონაწილეები მოემზადონ რთულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, რაც დაკავშირებულია კვლევის შედეგად მიღებულ აღმოჩენებზე დაყრდნობით მოქმედების განხორციელებასთან: რა არის რეკომენდებული მოქმედება? ვის რა მოვალეობა აკისრია? ვის სჭირდება კონსულტაცია ან ინფორმირება? როგორ ჩავატარებთ შედეგების მონიტორინგს? როდის შევასრულებთ ამოცანას? რა რესურსები გვჭირდება?

ასეთი შეკითხვების დასმი აუცილებლად გამოიწვევს დისკუსიას იმის შესახებ, თუ ვის აქეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება სკოლაში. როდესაც სკოლის დონეზე გადაწყვეტილების მიღებასთან გვაქვს საქმე, საკრაუდოა, რომ პედაგოგების ჯვაფს, მშობლებს, მოსწავლეებსა და ადმინისტრატორებს ჰქონდეთ სამოქმედო გეგმის შეკითხვებზე პასუხის გაცემის უფლებამოსილება და მიიღონ გადაწყვეტილებები. თუმცა იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის სკოლა არის, არსებობს თუ არა გადაწყვეტილების მიღების პროფესიული თუ ბიუროკრატიული მოდელი, შეიძლება განსაზღვროს თქვენი გავლენის დონეც, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. ქონლეის (1991) თანახმად, ბიუროკრატიული მოდელი უურადღებას აქცევს იმას, რომ ადმინისტრატორებმა მიანიჭონ გარკვეული უფლებამოსილება თავიათ დაქვემდებარებაში მომუშავე პირებს, შეიმუშაონ ქვეშვერდომთა მართვის წესები და მოახდინონ ცენტრალურებული მართვა, დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება. ამის საპირისპიროდ, პროფესიული მოდელი ორიენტირებულია პროფესიონალებისთვის

დისკურსული უფლების მინიჭებისკენ და ხდება პედაგოგების იმ უფლებამოსილებით აღჭურვა, რაც საჭიროა მოსწავლეთა მოთხოვნილებების განსაზღვრისა და წამოყენებისთვის; ასევე, პედაგოგებს ანიჭებს ისეთ უფლებებს, რაც მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის სჭირდებათ.

ძალაუფლება დანახული უნდა იყოს როგორც ინვესტიცია, და არა როგორც სალხის კონტროლის საშუალება. მიღერისა და ლიბერმანის (1988) თანახმად, „თუ ძალაუფლებას ასე შექმნავთ, პედაგოგებსა და დირექტორებს შეეძლებათ ლიდერის ფუნქცია იტვირთონ, და ერთობლივი მუშაობით მათ შეეძლებათ დაეხმარონ სკოლას პროფესიონალური კულტურის ჩამოყალიბებაში“ (გვ. 653). ეს შეხედულება ეხება პრაქტიკული მსჯელობის კულტურას, რომელიც პედაგოგს უფრო ეხმარება, ვიდრე ხელს უშლის.

მაგალითად, დებორა საუთს ძალიან დაქმარა სამოქმედო კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა არამოტივირებული მოსწავლეებისთვის უნარების გაკვეთილებზე ცვლილებების მოხდენაში; ჯეპ რესტონს სკოლაში გაცდენების პოლიტიკაში ცვლილებების განხორციელებასა და ოლქის გაცდენების პოლიტიკაში ცვლილებების რეკომენდირებაში დაეხმარა თავისი ცოდნა იმის შესახებ, თუ რა იყო ეფექტური და რა არა ბავშვების სკოლაში ყოფნის დროს. ამ კუთხით რომ შევხედოთ, ძალაუფლება იყო ბევრი ბავშვის სარისხიან სასწავლო გამოცდილებაში ინვესტიცია.

## ცვლილების განხორციელების დამავალი და აღმავალი სტრატეგიები

საგანმანათლებლო ცვლილების დროს ეფექტურია როგორც დამავალი, ისე აღმავალი სტრატეგია (პორდი, ჰულინგ-ოსტინი და პოლი, 1987). დამავალი სტრატეგიის განხორციელება გულისხმობს ცვლილებებს, რომელთა განხორციელების უფლებამოსილება სკოლის/ოლქის/შტატის ადმინისტრატორებს აქვთ ისე. რომ პედაგოგებს არ ეძლევათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანაბრად მონაწილეობის უფლება (ბიუროკრატიული მოდელი). ამის საპირისპიროდ, აღმავალი სტრატეგია გულისხმობს ცვლილებას, რომლის განხორციელება შეუძლიათ პედაგოგებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით (პროფესიონალური მოდელი). კამათი იმის შესახებ, რომელი მოდელი უფრო ეფექტურია ცვლილების განხორციელების თვალსაზრისით, დამავალი თუ აღმავალი, მრავალი წლის განმავლობაში საკმაოდ აქტუალურია. ფულანი (1993) ასკვნის, რომ „ორი სახის ზემოქმედების განხორციელებაა საჭირო – მხარდაჭერა და უწყვეტი მოლაპარაკებები“ (გვ. 38), როგორიც, მაგალითად, ერთობლივი სამოქმედო კვლევის პროექტში მონაწილე ადმინისტრატორსა და პედაგოგს შორის უწყვეტი განხილვების წარმოებაა.

მაგალითად, პაილენდ-პარკის საშუალო სკოლის პედაგოგები ერთობლივად მუშაობდნენ სკოლის დირექტორის მრჩეველთან, რომელიც პედაგოგთა გუნდის მიერ განხორციელებულ სამოქმედო კვლევაში ჩართეს. ამ თვალსაზრისით, აშენა იყო სკოლის ადმინისტრატორის მხრიდან სამოქმედო კვლევის მსარდაჭერა. ამის საწინააღმდეგოდ, ბილაბონგის დაწყებით სკოლაში (მე-5 თავი) პედაგოგები საკმაოდ განაწყენებულები იყვნენ იმის გამო, რომ დირექტორმა მათემატიკაში სახელმძღვანელოს არჩევის გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო, ისე, რომ არ უკითხავს პედაგოგების აზრი.

## პედაგოგებს მხარდაჭერა სტილებათ

სამოქმედო კვლევით გამოწვეული ცვლილების განხორციელებისას პედაგოგებს სჭირდებათ მხარდაჭერა. პედაგოგების მხარდაჭერა შეიძლება მრავალნაირად: მოსწავლების, სხვა პედაგოგების, სკოლის აღმინისტრაციის, მოსწავლეთა ოჯახების, მთავრობის წარმომადგენლებისა და სხვათა მხრიდან. მაგალითად, ჯეკ რესტონის გაცდენებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევა ვერ განხორციელდებოდა, რომ არა მშობლების, პედაგოგების, სტუდენტი პედაგოგების (რომელებიც ინტერვიუს ჩატარებაში დაეხმარენ) დახმარება. დებორა საუთი ბოლომდე დაუყრდნო სამოქმედო კვლევის კლასში კრიტიკულად განწყობილ მეცნობრებს, როდესაც მან არამოტივირებული მოსწავლების შესახებ კვლევის ანალიზი და განმარტება გაუზიარა მათ.

## ცვლილების მოხდენა შეუძლია თითოვაულ ჩვენგანს

სასიკეთო ცვლილებისთვის როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტური მცდელობა არის მნიშვნელოვანი, და ყველა ადამიანს შესწევს უნარი, მოახდინოს ცვლილება. წინამდებარე წიგნში მოცემული სამოქმედო კვლევის შესახებ მოკლე ისტორიები გვაჩვენებს ინდივიდუალურ, ჯგუფურ დონეზე და სკოლის მასშტაბით ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას. თუმცა, შესაძლოა, ამ მაგალითებში მთავარი მაინც არის ცალკეული პედაგოგის ან დირექტორის სამოქმედო კვლევის პროცესის წამოწყებისა და აღმოჩენებზე დაყრდნობით დადებითი საგანმანათლებლო ცვლილებების მოხდენის სურვილი. როგორც ფულანი (1993) გვასხვნებს, „თითოვაული პედაგოგი პასუხისმგებელია, დაეხმაროს ისეთი ორგანიზაციის შექმნაში, რომელსაც ექნება ინდივიდუალური და კოლექტური კვლევის ჩატარებისა და სიახლეების შემოღების უნარი, ამის გარეშე შეუძლებელია ცვლილების განხორციელება“ (გვ. 39).

## ცვლილებას არ ახასიათებს დასვენილობა, თანხმიდევრულობა და რაციონალურობა

მნიშვნელოვანია, სამოქმედო კვლევაში ჩართული პირები აცნობიერებდნენ, რომ ცვლილებას არ ახასიათებს დაზვეწილიბა, თანმიმდევრულობა და რაციონალურობა. გაიხსენეთ, მაგალითად, ქეთი მითჩელისა და „დაქთ თაიპ თეატრის“ ამბავი (მე-2 თავი). ქეთის გადაწყვეტილი ჰქონდა მოზარდთა თეატრის გამოცდილება მეტად აზრიანი გახეადა, იგი ასევე აღიარებდა, რომ ინტერაქტურამა იმპროვიზაციამ არ გამოიღო სასურველი შედეგები. მისი მოლოდინის მიუხედავად, მაყურებელს არ ჰქონდა რეაქცია ძალადობის იმპროვიზაციის სცენაზე და, შესაბამისად, სამოქმედო კვლევის შედეგად მან ვერ მიიღო პრობლემის გადაჭრის სასურველი შედეგი. თუმცა ქეთის მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიზნის მიღწევა და ამის გამო იგი განაგრძობს მოზარდთა თეატრთან მუშაობას, რათა იგი უფრო აზრიანი გახადოს. ქეთისთვის, სამოქმედო კვლევის პროცესი და ცვლილება იქნება განმეორებადი (რეკურსიული) და ციკლური.

## მკვლევარება პედაგოგებმა ყურადღება უნდა მიაკციონ სკოლის კულტურას

მექენე პირობა – ესაა, მკვლევარმა პედაგოგებმა ყურადღება მიაქციონ სკოლის კულტურას. ცვლილების მცდელობა ყოველთვის განხილული უნდა იყოს სკოლისა

და კლასის კულტურის კონცექსტში, საღაც სამოქმედო კვლევა განხორციელდა. მაგალითად, ჯეპ რესტორნმა გამოიკვლია თავისი სკოლის პოლიტიკა გაცდენებით და კავშირებით: სკოლაში მიჩნევდნენ, რომ ნახატებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოების არსებული სისტემა ეფექტური იყო. ამის ნაცვლად, მან აღმოაჩინა, რომ დაჯილდოების სისტემა არავითარ გავლენას არ ახდენდა რისკებულები მყოფ მოსწავლეებზე. ამის შედეგად იგი შეეცადა, გამოეკვეთა, რა სახის ცვლილება მოახდენდა ამ ბავშვებზე გავლენას. მან ჩაატარა გამოკითხვები და აიღო ინტერვიუები, რათა ღრმად ჩასწავლომდა გაცდენების რისკებულები მყოფ ბავშვთა ოჯახების კულტურას, ღირებულებებსა და შეხედულებებს. მიღებულ აღმოჩენებზე დაყრდნობით, მან შეძლო, აზრიანი და საჭირო რჩევები მიეცა სკოლის გაცდენების პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც უშუალოდ პასუხობდა შესწავლილი ჯგუფის მოთხოვნილებებს, განსაკუთრებით კი მოთხოვნილებას, მჭიდრო კაგშირი ჰქონდათ სკოლასთან.

## ნებისმიერი ცვლილება უნდა აისახოს მოსწავლეთა კეთილდღეობაზე

თუ სამოქმედო კვლევისა და საგანმანათლებლო ცვლილების გაგრძელება გსურთ, მაშინ ცვლილების ნებისმიერ მცდელობას საფუძვლად მოსწავლის კეთილდღეობა უნდა ედოს. სამოქმედო კვლევი შეიძლება მოგაწოდოთ პედაგოგიური პრაქტიკის ან ჩარევის შედეგების აღნუსხვის, შეფასებისა და ანალიზის მეთოდი. მაგალითად, ჯეომს როკორდის მიერ კლავიატურაზე მუშაობის ეფექტურობის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგად შეგროვებულმა მონაცემებმა მოგვცა ამომწურავი სურათი იმის შესახებ, რომ კლავიატურაზე მუშაობის კომპიუტერული პროგრამა იყო ძალიან ეფექტური და რომ სკოლაში კომპიუტერებთან გატარებულ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სარწმუნო მონაცემებმა ჯეომს გაუმჯორა რწმენა, რომ პედაგოგიურ ჩარევას ჰქონდა შედეგი და დაეხმარა საკუთარი რჩევის დასაბუთებაში, რათა პედაგოგებს მოსწავლეებისთვის კომპიუტერის გაყვეოს კოველ დღე ჩატარებინათ, შეემოწმებინათ ბეჭდვის უნარები და უზრუნველეყოთ, თითოეულ ბავშვს დღეში მინიმუმ 10 წუთი მაინც ემეცადინა კომპიუტერთან.

## იმედი ცველაზე ძლიერი რესურსი

ენთუზიაზმს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პედაგოგისთვის, თუ მას გადამწყვეტილი აქვს სამოქმედო კვლევისა და ცვლილების განხორციელება. გაახსენეთ ქეთი მითებულის სიტყვები, რომლის მოზარდთა თეატრის შესახებ სამოქმედო პროექტიც მე-2 თავში იყო აღწერილი:

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროექტში ის არის, რომ ახლა მე განახლებული ენერგიით შეუდგები სამუშაოს. შეარჩენ ამ ღროს ინტენსიურად ვეძებდი ჩემს შემცვლელს და ვაცხადებდი, რომ აღარ ვაპირებდი მეხელმძღვანელა მოზარდებისთვის. და აზრადაც არ მომსვლა, შემესწავლა და განმექილა პრობლემა და შემდგომ გამომესწორებინა იყო. ძალიან კარგი შეგრძნებაა, როდესაც ელოდები, რომ შენ მიერ ჩატარებული კვლევის წყალობით რაღაც შეიცვლება.

თავისი სამოქმედო კვლევის შედეგად ქვეთი საკუთარ თავში მნიშვნელოვანი რესურსი გამოძებნა, რაც არის იმედი, რომ იგი აღმოაჩინს ახალ საშუალებებს, რათა მოზარდებისთვის მის სამუშაოს მნიშვნელობა ჰქონდეს. მართალია, ერთხელ

უკვე აპირებდა, დაენებებინა ამ ყველაფრისთვის თავი, ახლა იგი წერს, რომ ეს ახალი იმედი იმდენად ძლიერია, ძალას აძლევს სამომავლოდ ცვლილებების განსახორციელებლად.

საგანმანათლებლო ცვლილების წარმატებისთვის საჭიროა, რომ მასში მონაწილე ყველა პირი ოპტიმისტურად იყოს განწყობილი ცვლილების შედეგების მიმართ. (ბუნებრივია, ისინი რეალისტებიც უნდა იყვნენ: იმედიანად ყოფნა არ ნიშანავს, იყო მიამიტი). რეფორმებს ზოგჯერ ნეგატიური ემოციებიც მოაქვს და უიმედობის განცდაც, იმის გამო, რომ კვლევაში მონაწილე პირებს ხშირად თავდაცვა უხდებათ გარე შემოტევებისგან, ან რეფორმაში მონაწილე რომელიმე ჯგუფი შეიძლება მუშაობის გამო გამოიფიტოს/გადაიწვას (ფულანი, 1997). თუმცა, თუ ჩვენ გადაწყვეტილი გაქვს, რეფორმამ შედეგი გამოიღოს, უნდა გაუძლოთ ნეგატიურ ემოციებსაც, რათა საბოლოოდ წარმატებას მივაღწიოთ.

სამოქმედო კვლევის მოქმედების დაგეგმვის ეტაპზე შესაძლოა პროცესში მონაწილე სხვა პირებისგან წამოსულ ნეგატიურ ემოციებთან შეჯახება მოგიხდეთ. ამას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს სამოქმედო კვლევის პროცესში: თქვენ შეიძლება ხელი ჩაიწიოთ და ბედს შეეგუოთ, ან დაეყრდნოთ ყველაზე საჭირო რესურსს – იმედს. ჩვენ ყველამ ინდივიდუალურად უნდა გავიაზროთ, მართლაც გავაკეთოთ თუ არა აღმოჩენები კვლევის დროს, რაც მოქმედებას მოითხოვს. თუ ჩვენი საქმე კარგად შევასრულეთ, მაშინ აუცილებლად მივიღებდით აღმოჩენებსაც, რაც სანდო და ზუსტია. გაიხსენეთ თქვენი იმედები, როდესაც პროექტს იწყებდით და შემდეგ დაეყრდნით ამ იმედს, რაც ძალას მოგცემთ მთელი სამოქმედო გეგმის პროცესში. „იყო იმედიანად და მოქმედებდე მაშინაც, როცა მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდი, ემოციურად ნაკლებად დამთრგუნველია, ვიდრე როდესაც გამუდმებით უიმედო მდგომარეობაში იმყოფებით“ (ფულანი, 1997, გვ. 231-32).

ვალიაროთ, რომ კოლეგის აზროვნების, მოქმედებისა და გრძნობების რეალურად შეცვლა ჩვენს შესაძლებლობას აღემატება; ჩვენ საკუთარ ქმედებაზე ვაგებთ პასუხს და საკუთარი თავის დახვეწის ძიებაში ვართ, რაც პროფესიონალი პედაგოგის დამახასიათებელი თვისებაა. თუ რომელიმე ჩვენგანი პროფესიულ კარიერაში ისეთ წერტილამდე მივა, როდესაც აღარ შეეძლება ცვლილების მოხდენა და აღარ მოინდომებს შეებრძოლოს სირთულეებს (მაგალითად, დროის ან რესურსების სიმცირის გამო), მაშინ უმჯობესია, სხვა პროფესიაში სცადოთ ბედი. განათლების სფეროში, მაშინ როდესაც არ არის საქმარისი ცარცი, ფურცელი ან კომპიუტერის ოპერატიული მქსისერება, არასდროს წარგვიღებია ანგარიში დროისა და რესურსების დაფინანსების მიზნით. სხვა პროფესიონალებისგან ჩვენ განვსხვავდებით იმით, რომ გვჯერა, შეგვიძლია ბავშვების ცხოვრებაში ცვლილების მოხდენა, მიუხედავად იმისა, გვაქვს თუ არა საქმარისი რესურსი.

სკოლა რთული სოციალური გარემოა და ის ხალხი, ვინც სხვადასხვა სკოლაში ასწავლის, იცის, როგორ განსხვავდება სკოლები ერთმანეთისგან, იმისდა მიხედვით, თუ რომელ საზოგადოებაში ვიმყოფებით. თქვენ ყველაზე უკეთ განსაზღვრავთ, საგანმანათლებლო ცვლილების შესახებ გამართული ფართო განხილვიდან კონკრეტულად რა გამოგადგებათ თქვენს საკუთარ პრაქტიკაში. თუმცა ჩვენ ყველას შეგვიძლია, საკუთარი ისტორიების გაზიარებით, ერთმანეთის გამოცდილებაზე ვისწავლოთ. როცა კი შესაძლებელია, გაუზიარეთ სამოქმედო კვლევის შესახებ თქვენი ისტორია სხვებს. ამით თქვენ ხელს შეუწყობთ პედაგოგში პროფესიული თვისებების გაღვივებას.

## რას იძენს პედაგოგი?

შედეგით განისაზღვრება თქვენი, როგორც პროფესიონალის, მიერ გატარებული სამუშაო; თქვენ შეიძენთ საკუთარ ძალებში რწმენას. რომ დავუბრუნდეთ ჩვენ მიერ ადრე განხილულ სამოქმედო კვლევის კრიტიკულ/პოსტმოდერნისტულ ხედვებს, თქვენ გაგახსენდებათ მსჯელობა იმის შესახებ, თუ რისი გვჯერა, როგორც პროფესიონალებს, და რა ვისწავლეთ მოცემული საქმიანობიდან, რაც, როგორც ინდივიდუალურ მკვლევარ პედაგოგს, მოქმედების პროცესში გვაძლევდა მიმართულებას.

თქვენს ცხოვრებაში დადგენილად მიჩნეული ურთიერთკავშირებისა და პრაქტიკის შესასწავლად დიდი რაოდგომით ენერგიისა და დროის ინვესტირებით, თქვენ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს მიუახლოვდით. მართლაც, წამოიწყებთ თუ არა მოქმედებას და განაგრძობთ პროცესს? თუ თქვენი პასუხი დადგებითია, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ დიდი გზა გაიარეთ, რათა გაგეთავისებინათ კვლევაში სოციალურად აქტუალური დოქტრინები: თქვენ ჩაებით დემოკრატიულ პროცესში, რომელმაც წაახალისა თქვენი კოლეგების მონაწილეობაც. პროცესი იყო სამართლიანი, სადაც ყველა მონაწილეს თანაბარი ხმის უფლება ჰქონდა. ეს იყო გათავისუფლების გამოცდილება, რომელმაც გაგათავისუფლათ საკითხის ბრძან მიღებისგან, რომელიც შესაძლოა თავის დროზე თავს მოგატევის. ბოლოს, გამოცდილება, რომელიც თქვენ მიიღეთ, წმიახალისებელია როგორც თქვენთვის, ისე თქვენი მოსწავლეებისთვის, რომლებმაც სარგებელი მიიღეს თქვენი სწავლებით.

ჩემი აზრით, ყველაზე დიდი სარგებელი, რაც მკვლევარი პედაგოგების საქმიანობამ შეიძლება გამოიღოს, არის მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბაგშვების კეთილდღეობა. არ არსებობს უფრო ძლიერი და უანგარო მიზანი, ვიდრე მოსწავლეების კეთილდღეობა.

## დასკვნა

მოქმედების დაგეგმვის პროცესის მიზანია, პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვას: „რას ეფუძნება ცოდნა, რომელიც კვლევის შედეგად მივიღე და ახლა როგორ უნდა მოვიქმეო?“, წინამდებარე თავში წარმოდგენილია მოქმედების სქემის საფეხურები. იგი ეხება ისეთ საკითხებს, როგორუბიცა: რა ისწავლეთ, როგორც მკვლევარმა პედაგოგმა (აღმოჩენები)? აღმოჩენებმა რა სამიზნები გამოკვეთა? ვინ არის პასუხისმგებელი კონკრეტული მოქმედებისთვის (პასუხისმგებლობა)? ვის სჭირდება კონსულტაცია და ინფორმირება კვლევის აღმოჩენებისა და შემდგომი ნაბიჯების შესახებ? როგორ განახორციელებთ მოქმედების შედეგების მონიტორინგს? როგორი იქნება მოქმედებისა და მონიტორინგის გრაფიკი? და რა რესურსები დაგჭირდებათ მოქმედების განხორციელებისთვის?

წინამდებარე თავში ასევე განვიხილეთ მკვლევარი პედაგოგების მიერ, რომელთაც პოზიტიური საგანმანათლებლო ცვლილების მოხდენა სურთ, სირთულეების გადაღახვის საკითხები: რესურსების ნაკლებობა, ცვლილებისადმი წინააღმდეგობა, სხვის პროფესიულ პრაქტიკაში ჩარევისგან თავის შეკავება, სირთულეების არაღიარება, ნასწავლის გასაზიარებლად ფორუმის პოვნის სირთულე და სამოქმედო კვლევის ჩასატარებლად დროის უქმდისობა.

წინამდებარე თავში ასევე განვიხილეთ სკოლაში ცვლილების გატარების ხელშემწყობი რვა საფუძველი: (1) პედაგოგებმა და აღმინისტრატორებმა ძალაუფლებისა და ავტორიტეტის რესტრუქტურირება უნდა მოახდინონ; (2)

ცვლილების განხორციელებისთვის გამოსაღებია როგორც დამაგალი ისე აღმავალი სტრატეგიები; (3) პედაგოგების, რომლებიც ცვლილების გატარებას ცდილობენ, სჭირდებათ მხარდაჭერა; (4) ცვლილების გატარება შეუძლია თითოეულ ჩვენგანს; (5) სამოქმედო კვლევაში ჩართულმა პირებმა უნდა იცოდნენ, რომ ცვლილებას არ ახასიათებს დახვეწილობა, თანმიმდევრულობა და რაციონალურობა; (6) მკვლევარმა პედაგოგებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სკოლის კულტურას; (7) ნებისმიერი ცვლილება უნდა აისახოს მოსწავლეთა კეთილდღეობაზე; და (8) იმედი ყველაზე ძლიერი რესურსია.

## სამომავლო განხილვისთვის

1. შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა სამოქმედო კვლევის აღმოჩენებზე დაყრდნობით და წარმოადგინეთ მოქმედების სქემის საფეხურების გამოყენებით.
2. როგორ გამოიყენებთ საგანანათლებლო ცვლილების განხორციელებისას არსებული სირთულეების შესახებ შეძენილ ცოდნას, რათა გადალახოთ ის წინაღობები, რომელთაც შესაძლოა, მოქმედების განხორციელებისას წააწყდეთ?

# როგორ დაწეროთ მოქმედების კვლევა

კვლევის დაწერას აზრი ეკარგება, თუკი მის დასკვნებს ვერავის წავაკითხებთ, ხოლო ანგარიშის გარეშე თვით კვლევის ჩატარებას ეკარგება აზრი. (ვილუოტი, 2001, გვ. 7)

სავარაუდოდ, ყველაზე დიდი ამოცანა, რომელიც მასწავლებელი მკვლევრების წინაშე დგას, დროისა და ინტერესის უკმარისობაა, რათა ფურცლებზე აღბეჭდონ ის, რისი აღმოჩენაც მათ თავიანთი საქმინობის სფეროში შეძლეს. თუ უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე მკვლევრებისათვის, რომელთა რეალობას განსაზღვრავს პრინციპი: „გამოაქვეყნე, თორუე დაიღუპები“, მასწავლებლებისათვის მოტივაცია იმისა, რომ თავიანთი კვლევა დაწერონ და აუცილებლად გამოაქვეყნონ, ცალმხრივად გარედან თავსმოხვეულია. მასწავლებელ მკვლევრებს უფრო ყოველდღიური საკლასო პრობლემები და საკითხები აწუხებთ – სხვა თუ არაფერი, მათი პრიორიტეტი იმის დაგეტვა, განხორციელება და შეფსებაა, თუ როგორ ხდება ბავშვების სწავლების პროცესში ჩართვა მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების დროს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელი მკვლევრების მიერ განსაზღვრული წესით, ანუ ორგანიზებული ანგარიშის სახით, დაწერილი სამოქმედო კვლევა მათვე და მათსავე კოლეგებს მნიშვნელოვნად დაეხმარებათ. ეს იმ სიცარიიელის დასაძლევად გადადგმული ნაბიჯი იქნება, რომელიც ისტორიულად კვლევასა და პრაქტიკას შორის არსებობს (მოსაზრება, რომელმაც პირველ თავში მერი კენედის ნაშრომთან მიმართებით გაიღდერა). მნიშვნელოვანია, ნაშრომი დაიწეროს ისე, რომ უურნალში გამოქვეყნებისათვის მისაღები იყოს და ტრადიციული საუნივერსიტეტო კურსის მოთხოვნები დააქმაყოფილოს.

ორი ძირითადი მოტივაცია, რომლებიც სამოქმედო კვლევის დაწერაში დაგეხმარებათ, შემდეგია:

1. წერის პროცესი გეგმარება, რომ უკეთ გავიაზროთ ის, რისი თქმაც გესურს;
2. ის, რაც დაწერილია, მუდმივი და იოლად ხელმისაწვდომი მასალაა, როგორც პროფესიული, ისე პირადი გამოყენებისათვის.

ჩემი მოსწავლების უმრავლესობა იძულების გამო წერს და არა იმიტომ, რომ ეს მათი არჩევანია (თქვენც ახლა შეიძლება, მსგავს მდგომარეობაში იმყოფებით!). ზოგიერთი თქვენგანისათვის იმის დაწერა, რასაც სწავლობთ, ალბათ, საკმაოდ არასასიამოვნო პროცესია... ეს იგივეა, რაც კიდევ ერთი დასამთავრებელი საკურსო ნაშრომი, კიდევ ერთი გადასალახავი სირთულე; მეორე მხრივ, თქვენ, ზოგადად, წერის წინააღმდეგნი შეიძლება არ იყოთ, მაგრამ წერასა და მკითხველის მოძიებასთან დაკავშირებული დეტალები დიდ უსიამოვნებას განიჭებდეთ. თუმცა ყურადღებით! მართალია, მე ვერ დაგპირდებით, რომ ჩვენი თანამშრომლობის შედეგად თქვენი პუბლიკაცია პრესტიულ უურნალსა თუ გაზეთში დაიბეჭდება, მაგრამ იმის გარანტიას გაძლიერ, რომ, თუეკი თქვენი კვლევის დასაწერად დროსა და ენერგიას გამონახავთ, ამით, სულ ცოტა, თქვენს მოსწავლებსა და საკუთარ თავს დიდ დახმარებას გაუწევთ, რადგან თქვენს თანამოაზრებს თქვენი ნაშრომის წაკითხვის საშუალება მიეცემათ. რა უნდა იყოს იმაზე მეტად ალტრუისტული, ვიდრე ის, რომ თქვენს კვლებებს ხელი შეუწყოთ, თავიანთ მოსწავლეებს დახმარების ხელი გაუწოდონ. როგორც ნათქვამია, თუკი ტყეში მოჭრილი ხის ხმა ვერავინ გაიგო, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს ხმა არც ყოფილა. შესაბამისად, თუკი თქვენს აღმოჩენებს სხვებს არ გაუზიარებთ, საერთო ცოდნის მარაგში თქვენ მიერ შეტანილი წვლილის შესახებ ვერავინ გაიგება.

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ უნდა შეძლოთ:

1. დაწეროთ თქვენი სამოქმედო კვლევის შესახებ
2. მიზნად დაისახოთ პროფესიული პუბლიკაციის გამოქვეყნება
3. ჩააბაროთ პუბლიკაცია დასაბეჭდად
4. მიაგნოთ სამოქმედო კვლევის წარმატებულად დაწერის გასაღებს

სანამ უშუალოდ თქვენი სამოქმედო კვლევის ფორმალურად დაწერის შესახებ ვიმსჯელებდეთ, საჭიროა განვიხილოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამოქმედო კვლევის გამოცდილებისა და მისი მიგნებების წერილობით აღწერას.

## რატომ არის მნიშვნელოვანი სამოქმედო კვლევის დაწერა?

ვფიქრობ, კველაზე რთული, რაშიც მასწავლებელი მკვლევრები უნდა დაგარწმუნო, მათ მიერ გაკეთებული კვლევის „ფურცელზე გადატანის“ მნიშვნელობაა; როგორც წესი, ისინი ამ უკანასკნელს არ აღიარებენ. მასწავლებლისათვის მთავარია იმის გაგება, თუ რამდენად წარმატებულია მის მიერ ჩატარებული გაკვეთილები და რას ან როგორ სწავლობენ მისი მოსწავლეები. მოკლედ რომ ვოქმთ, პროფესიონალი მასწავლებლები კველაფერს აკეთებენ, რათა სწავლების პრაქტიკა უკეთესი გახდონ, მაგრამ აუცილებლობას ვერ ხედავნ იმაში, რომ ის, რაც თვითონ ისწავლეს, ფართო საზოგადოებას გაუზიარონ. ხშირად მასწავლებელ მკვლევრებს ჩემთვის უთქვამთ:

მე ჩემს სამოქმედო გეგმას იმაზე დაყრდნობით ვავითარებ, რაც ვისწავლე... მე რეალური ცვლილებები შემაქვს ჩემს გაკვეთილებზე ჩემი მოსწავლეებისათვის. რა აუცილებელია, სხვამაც წაიკითხოს იმის შესახებ, მე რა გავაკეთე და რა ვისწავლე?

ჩემ მიერ გაკეთებული კვლევის დაწერა და შემდგომ გამოქვეყნება ჩემი სკოლისათვის მნიშვნელოვანი არ არის და, შესაბამისად, არც ვცდილობ მის გამოქვეყნებას. რატომ უნდა ვიზრუნო იმაზე, რაც არავის ანტერესებს?

რთულია მათთან კამათი, განსაკუთრებით იმ არგუმენტით, რომ მნიშვნელოვანია, შენს პროფესიასა და ცოდნის საერთო მარაგს რაღაც ახალი შემატო და ა.შ., მაგრამ მაინც ჩვენ, როგორც ჩვენი პროფესიის წარმომადგენლებმა, უნდა შევიცვალოთ შეხედულება, რომ კვლევებს მხოლოდ მაღალ აკადემიურ წრებში წერენ.

კვლევის დაწერის უპირველესი ღირებულება ისაა, რომ წერის პროცესი ავტორისაგან ითხოვს შინაარსის დაზუსტებას, კერძოდ კი სიტყვების ფრთხილად შერჩევას, იმს ზუსტ აღწერასა და გაანალიზებას, რაც გამოცდილ ან დანაბულ იქნა, სიტყვების ფურცელზე გადატანისას წინადადებების დასხვეწას. კვლევის წერის პროცესში შესაძლებელია თქვენი მოსწავლეებისა და სწავლების პროცესის შესახებ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი გაიგოთ – ისეთი რამ, რასაც ყურადღებას არ მიაქცევდით, რომ არა წერის პროცესი. უფრო მეტიც, თქვენი კოლეგებისათვის ინფორმაციის ფურცელზე გადატანა თქვენგან გულაბდილობას, სიზუსტეს, სიცხადეს და დაფიქრებას ითხოვს. ეს ყოველივე თქვენ მოტივაციას გმატებთ, რათა შექმნათ უკეთესი პროდუქტი, ვიდრე ამას გააკეთებდით თქვენი სამოქმედო კვლევა თქვენსავე გონიერებაში რომ შეგენახათ. ასე რომ, როცა დაიწყებთ კვლევის წერას, შეგიძლიათ, მოტივაცია შემდეგი არგუმენტებით აიმაღლოთ:

სიცხადე – კვლევის დაწერა აზრის გამოხატვის სიცხადესა და სიზუსტეს ითხოვს. თქვენი კვლევის გამოცდილების შესახებ წერა გიბიძგებთ, დაფიქრდეთ და გაანალიზოთ. სავარაუდოდ, ეს პროცესი ახალ შეკითხვებსაც წარმოშობს, რომელთა ახსნა თქვენს კვლევას სრულყოფილსა და დასრულებულს გახდის.

სხვა არგუმენტები კვლევის დაწერის სასარგებლოდ შემდეგია:

- აღიარება – თქვენი კვლევის გამოქვეყნება, ასევე რედაქტორებისა და მკითხველებისაგან უკუკავშირის მიღება მოიტანს თქვენი საქმიანობისა და თქვენს, როგორც პროფესიონალის, აღიარებას.
- გაძლიერება – წერის დროს თქვენი პრაქტიკული საქმიანობის გაანალიზება ძალას შეგმატებთ, რათა არსებული მდგომარეობის შეცვლას შეცადოთ.

- შექმნა – წერა არის პროცესი, რომლის შედეგად გარკვეული პროდუქტი იქმნება. ეს უკანასკნელი კონკრეტული და ხელშესახები რამა, რომელიც შეგიძლიათ, თქვენს კოლეგებს, ხელმძღვანელებსა და მშობლებს გაუზიაროთ.
- წარმატების მიღწევა – კვლევის დაწერა იმის განცდას გაგიჩნოთ, რომ წარმატებას მიაღწიეთ. ის, რომ თქვენი კოლეგები თქვენს ნაშრომს კითხულობენ და თქვენს მიღწევებს აღიარებენ, გარკვეულწილად უხერხულობას გიქმნით, მაგრამ ამავე დროს სიამოვნებასაც განიჭიბოთ.

## ფორმატი და სტილი

ფორმატი კვლევის შესახებ ანგარიშის დაწერისა და ორგანიზების ზოგად წესს გულისხმობს. სათაურებისა და ქვესათაურების რაოდნობა და ტიპი სწორედ ანგარიშის ფორმატის მიხედვით განისაზღვრება. სტილი კი ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულ გრამატიკას, მართლწერას, პუნქტუაციასა და ა.შ. გულისხმობს. დოკუმენტის ფორმატი შეიძლება თავების მიხედვით განსხვავდებოდეს და, როგორც წესი, კვლევის ანგარიშის ფორმატი იმ კონკრეტულ ნაბიჯებს ითვალისწინებს, რომლებიც კვლევის პროცესში გადაიდგა. მაგალითად, გარკვეულ შემთხვევაში ტექსტის ფორმატი შეიძლება დასკუსის ნაწილს ან დასკუნებისა და რეკომენდაციების მოკლე მიმოხილვას მოითხოვდეს, მაგრამ ნებისმიერი სახის ფორმატი გულისხმობს მონაკვეთს, რომელშიც კვლევის შედეგები განხილული და ახსნილი იქნება. ნებისმიერი კვლევის ანგარიში ასევე კვლევის აღწერილობას გულისხმობს, იქნება ეს დისერტაციის მოკლე მიმოხილვა თუ უურნალის სტატიის რეზიუმე.

კოლეჯების, უნივერსიტეტებისა და პროფესიული უურნალების უმრავლესობას წერის სტილის შესახებ საკუთარი სახელმძღვანელო აქვს შემუშავებული ან შერჩეული აქვს ერთი კონკრეტული სახელმძღვნელო, რომლის პრინციპებსაც იზიარებს. აუცილებელია, თქვენს ხელმძღვანელთან გადამოწმოთ, წერის რა სტილი გამოიყენება თქვენს სამუშაო ადგილის. სასურველია, ეს წერის დაწყებამდე გააკეთოთ, რადგან ფორმატირების შეცვლა საკმაოდ შრომიალებია და ბერი დროს მოითხოვს.

თეზისებისა და დისერტაციების შემთხვევაში, ერთ-ერთი სახელმძღვანელო, რომელზეც მოთხოვნა თანდათან იზრდება, გამოქვეყნების შესახებ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის სახელმძღვანელო გახდავთ, რომელიც აფა-ის სახელმძღვანელოს სახელითაც არის ცნობილი (ამჟამად მისი მეხუთე გამოცემაა გამოსული). თუკი თქვენ გაღდებული არ ხართ რომელიმე კონკრეტული ფორმატი და სტილი გამოიყენოთ, რეკომენდებულია, აფა-ის სახელმძღვანელოთი ისარგებლოთ, რადგან იგი კოლეჯების, უნივერსიტეტებისა და უურნალების მიერ ყველაზე ფართოდ აღიარებული აკადემიური ფორმატისა და სტილის სისტემას გულისხმობს. სახელმძღვანელოს საფუძვლიანად შესწავლის გარდა, სასურველია, გაეცნოთ ამ სახელმძღვანელოს მიხედვით დაწერილ ანგარიშებს. მაგალითად, თვალი გადავდეთ უკვე დაწერილ სამოქმედო კვლევებს, რომ ფორმატსა და სხვა მოთხოვნებზე ნათელი წარმოდგენა შეგეებნათ. ტექსტი, რომელსაც ახლა თქვენ კითხულობთ და ქვემოთ გაშლილი მსჯელობაც, შეძლებისდაგარად, აფა-ის მოთხოვნებს ასახავს (მაგ.: ცხრილებთან, გამოყენებულ ლიტერატურასა და ამოცანების მაგალითებთან დაკავშირებით). 8-1 ცხრილი გამოყენებული ლიტერატურის აფა-ის ფორმატის რამდენიმე მაგალითს გვთავაზობს. დარწმუნდით, რომ კვლევის ფურცელზე გადატანა მნიშვნელოვანია? თუკი ასე, მაშინ განვაგრძოთ და სამოქმედო კვლევის სტატიის კონკრეტული მაგალითის განხილვაზე გადავიდეთ.

ქვემოთ რეფერინგბისათვის გამოსადეგი ლიტერატურის ტიპებია ჩამოთვლილი, რომლებიც შეიძლება, თქვენი კვლევის წერისას გამოიყენოთ. მაგალითები აფა-ის (ამერიკის ფილოლოგთა ასოციაცია) მიერ დადგენილ მოთხოვნებს ითვალისწინებს, რომლებიც ჩამოთვლილია გამოქვეყნების შესახებ ამერიკის ფილოლოგთა ასოციაციის სახელმძღვანელოში.

წიგნი

ბანდურა, ა.ჯ., (1977), სოციალური სწავლების თეორია, ენგლიუდ ქლიფსი,  
ნუ: პრენტის პოლ.

წიგნი, რედაქტირებული

გიბსი, ჯ.ტ., პუანგი, ლ.ნ. (რედაქტ.), (1991), ფერადეკიანი ბაგშეგები:  
ფილოლოგური წლერვენციები უცირესობების ახალგაზრდა  
წარმომადგნლებთან, სან-ფრანცისკი: ჯონს-ბაი.

წიგნი, თავი

ო,,ნილი ჯ.მ., ეგანი, ჯ., (1992), მამაკაცთა და ქალთა გენდერული როლების  
მოგზურიბა: განკურნების, ერთი მდგრამარეობის მეორეში გადასცლისა  
და ტრანსფორმაციის მეტაფორა: ვაინტი ბ.რ. (რედაქტ.), ცხოვრებისული  
ციკლის გენდერული საკითხები (გვ. 107-123), ნიუ-იორკი: სპრინგერი.

წიგნის რეცენზია

შაცი, ბ.რ., (2000). სწავლა ტექსტით თუ კონტექსტით? (რეცენზია წიგნზე  
„ინფორმაციის სოციალური ცხოვრება“), საინტს, 290, 1304.

ჟურნალის სტატია

კლიმისკა, რ., პალმერი, ს. (1993), კანონი უნარშეზღუდული ამერიკელი  
მოქალაქეების შესახებ და ორგანიზაციების მიერ მათი დაქირავების პროცესი,  
საკინასულტაციო ფილოლოგიის ჟურნალი: პრაქტიკა და კვლევა, 45(2), 10-  
36.

ელექტრონული წყაროები, მოძიებული  
ინფორმაცია

ეიდი, მ., ლანგებენი, რ. (1999), ლატენტურ საკლასო მოდელებთან მიმართებით  
თანმიმდევრულობისა და სპეციფიკურობის გაზომება: ახალი მოდელი და მისი  
გამოყენება შედეგის შეფასებისათვის. ფილოლოგური მეთოდები, 4, 100-  
116. მოპოვებულია 19 ნოემბერს, 2000 წელი, PsycARTICLES-ის მონაცემთა  
ბაზიდან.

რეზიუმე

ნააზატო, კ., შიმონაკა, ო., პომა, ა. (1992). 100 წელს მიღწეული ადამიანების  
კონტრური ფუნქციები, ტოკიოს მუნიციპალტეტის კვლევა. განვითარების  
ფილოლოგიის იაპონური ჟურნალი, 3, 9-16, რეზიუმე მოპოვებულია PsycS-  
CAN-იდან: ნეკროსისტოლოგია, 1003, 2, რეზიუმე № 604.

საგანმანათლებლო წყაროების რესურსცენტრის  
ლიტერატურა

მილი, ჯ.გ. (1992). ძეგლი ფილოების დათვლილება: ახლად მოსული  
მასწავლებლების მონათხრობების კვლევა (ანგარში № NCRTL-RR-92-4).  
აღმოსავლეთ ლანინგი, მო: მასწავლებლთა სწავლების კვლევის ნაციონალური  
ცენტრი. (საგანმანათლებლო წყაროების რესურსცენტრის დოკუმენტების  
აღგენის სერიის № ED346082).

დისერტაცია (გამოუქვეყნებელი)

ვიფლი, დ.ე. (1989). ბულეტინის ინტერესონალური ანალიზი: ნორმალური  
და ჭარბი წინა, გამოუქვეყნებელი სადოქტორო დისერტაცია, მისურის  
უნივერსიტეტი, კოლუმბია.

8-1 ცხრილი. აფა-ის მიერ აღიარებული რეფერინგბის ფორმატი

წყარო: კველა მაგალითი აღებულია გამოქვეყნების შესახებ ამერიკის ფილოლოგთა ასოციაციის სახელმძღვანელოდან (მე-  
5 გამოცემა, გვ. 215-281), 2001, ვაშინგტონი, დს. კ 2001, ამერიკის ფილოლოგთა ასოციაცია. დაბეჭდილია ხელმეორედ  
დაბეჭდილის ნებართვით. გამომცემლის ნებართვის გარეშე ორიგინალური და ხელმეორედ დაბეჭდილი კრისია არ  
შეიძლება დაბეჭდილს და რაიმე სახით გავრცელდეს ან შენაზულ იქნეს მონაცემთა ბაზაში ან სამძებრო მექანიზმებში.

## სამოქმედო კვლევის ანოტირებული სტატიის მაგალითი

ქვემოთ მოცემულია სამოქმედო კვლევის სტატიის მაგალითი, რომლის მიხედვით დაწერილი სამოქმედო კვლევის ზოგადი სტრუქტურისა და შემადგენელი ნაწილების გაცნობას შეძლებთ. ვიმედოვნებ, ამ მაგალითს ხშირად გამოიყენებთ, როცა ოქვენი სამოქმედო კვლევის პირველი ანგარიშის წერას შეუდგებით. თქვენ მოსწავლეებზე დაკავირვებაში ხართ დახელოვნებული, ამჯერად კი ქვემოთ მოცემული სტატია ყურადღებით წაიკითხეთ და დაწერილი ანგარიშის ძირითადი კომპონენტები მოინიშნეთ: ქვესათაურები, კონკრეტულ ნაწილებში გამოიყენებული ფრაზები და თითოეული ნაწილის მნიშვნელობა. თქვენ მაღლ მიხვდებით (ან შეიძლება უკვე გაქვთ ეს გაცნობიერებული), რომ სამოქმედო კვლევის დაწერა არც ისე რთულია. თუ კარგად დააკვირდებით, სტატიის ქვემოთ ჩამოთვლილი შემადგენელი ნაწილები წინამდებარე წიგნის ძირითადი ნაწილებისაგან და სამოქმედო გეგმის საფეხურებისაგან დიდად არ განსხვავდება. ეს ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: საკვლევი თემა, საკვლევი კითხვა, ლიტერატურის მიმოხილვა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ანალიზი და სამოქმედო გეგმა. (გადახედეთ ამ წიგნის შინაარსს – ხომ არ გეცნობათ?)

სათაური,  
რომელიც  
ყურადღებას  
იძყრობს

„ეწვიე ჩემს ვებგვერდს – უთხრა ობობამ ბუზს: ფიქრები  
ვირტუალური პროფესორის ცხოვრების შესახებ..“

ჯეფ მილსი

ეს ნაშრომი მასწავლებელთა თვითგანათლების ჯგუფის რიგით მესამე კონფერენციაზე იყო წარმოდგენილი, რომელიც პოსმენზუს სასახლეში, აღმოსავლეთი სასექტში, ინგლისში, 2000 წლის ივლისში ჩატარდა და კონფერენციის მასალებშია ჩართული.

### რეზიუმე

ნაშრომის მიზანია იმ ორწლიანი კვლევის შედეგების გაცნობა, რომელიც ინტერნეტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამოქმედო კვლევის სწავლების შედეგიანობას სწავლობდა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელშიც ფუნქციონირება ბევრ უწივერსიტეტს უწევს, ინტერნეტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლება პოპულარობას ისვეჭს. ეს ნაშრომი საშუალებას მოგვცემს, იმ კვლევის შედეგებს გავეცნოთ, რომლის ფარგლებში ინტერნეტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სწავლების სამოქმედო კვლევის გამოცდილებაზე დაკირვება ჩატარდა.

სიახლე

### შესავალი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ორეგონში არსებულმა უნივერსიტეტებმა დისტანციური სწავლებისათვის გამოყოფილი ე.წ. „სატელიტური“, დრო შეამცირეს, სამაგიეროდ მოსწავლეებისათვის „ონლაინმარატექნიკა“ გაზარდეს. ორეგონის უნივერსიტეტის სისტემის პროექტის – „სწავლა ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს“,


## კონტექსტი



— ფარგლებში სამრეთ ორეგონის „უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტი“  
მა წამოიწყო და ხორციელდება „ონლაინგაკვეთილები“ განათლების სფეროში.  
ეს ნაშრომი ეფუძნება სამოქმედო კვლევის „ონლაინსწავლების“ ჩემს 2-წლიან  
გამოცდილებას, რომელიც მოიცავდა ორ სემესტრს ორი წლის განმავლობაში.

სამოქმედო კვლევის კურს მოიცავს სწავლების პროცესში კვლევის შე-  
მუშავების, განხორციელებისა და შეფასების შესახებ 10-კვირიან შესავალ სამაგ-  
ისტრო პროგრამას. „ონლაინგაკვეთილის“ ერთ-ერთი მიზანი მასწავლებელსა და  
მოსწავლებს შორის, ასევე მოსწავლეებს შორის ინტერაქციის ხელშეწყობაა. ამ  
უკანასკნელის მაქსიმალურად წახალისების მიზნით, მოსწავლეები „ონლაინრე-  
ჟიმში“ ყოველკვირეულ დავალებებს ასრულებენ და სხვა მოსწავლეების კომენ-  
ტარებს პასუხობენ. გარდა ამისა, ჯგუფი ელექტრონულ ფოსტასა და ე.წ. „ჩათს“  
(სადისკუსიო დაფას) იყენებს. მოსწავლეებს კურსი დამთავრებულად ჩაეთვლებათ,  
თუკი გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვას დაწერენ, ყოველკვირეულ დაგა-  
ლებებს შეასრულებენ, ელექტრონულ გზანილებს უბასუსებენ და სამოქმედო  
კვლევის პროექტს დაასრულებენ. რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც უფასო  
სატელეფონო ნომერზე დარეკვით, ისე „ონლაინრეჟიმში“. კურსის სწავლებისას  
გამოიყენება სახელმძღვანელო „სამოქმედო კვლევა: გზამკვლევი მასწავლებელი  
მკვლევრებისათვის“ (მილსი, 2000) და ასევე, ელექტრონული პრეზენტაციები,  
რომელთა ჩამოტკირთვა კურსის ვებგვერდიდან არის შესაძლებელი. კურსის  
ზოგადი მიმოხილვის შეფასება შესაძლებელია შემდეგ ვებგვერდზე: <http://collegecourse.com/sou/ed/ed519/> პაროლის – „research“ – გამოყენებით.

მასწავლებელი მკვლევრებისათვის სამოქმედო კვლევა ითხსაფეხურიან  
პროცესს გულისხმობს: კვლევის მიზნის განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვება,  
მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია, და ბოლოს, სამოქმედო გეგმა. სამო-  
ქმედო კვლევის დროს მასწავლებელი მკვლევრები მათ წინაშე მდგარი პრობლე-  
მების მოგვარებას ახერხებენ და, შესაბამისად, კონკრეტულ სფეროში გარკვეულ  
პოპულარობას იძენენ. ამით ისინი, როგორც პროფესიონალები, თავის პოზიციასა  
და სურვილს აფიქსირებენ, რათა იმ საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულე-  
ბებს წინააღმდეგობა გაუწიონ, რომლებიც გავლენას მათ ყოველდღიურ საქმიან-



1 ცხრილი. სამოქმედო კვლევის დიალექტიკური სპირალი (მილსი, 2000, გვ. 20)

ობაზე ახდენს. ვიმედოვნებ, რომ ჩემი მოსწავლეებისათვის სამოქმედო კვლევის მოდელირებით მასწავლებელი მკვლევრების პროფესიული პოზიციის დაცვას და, გარკვეულწილად, პროცესის დემისტიფიკაციას შევძლებ. ჩემს მოსწავლეებს საშუალება აქვთ, სამოქმედო კვლევის პროექტის შემუშავების უშუალო მომსწრენი გახდნენ, რაც, თავის მხრივ, მონაცემთა შეგროვების პროცესში მათ ჩართულობას უზრუნველყოფს. ამავე დროს, მათთვის ეს არის შესაძლებლობა, დააკირდნენ მასწავლებელს, რომელიც სამოქმედო კვლევის მოდელის გამოყენებით სწავლების პროცესის გაუმჯობესებას თავდაუზოგავად ცდილობს.

### საკვლევი თემა

წინამდებარე კვლევის მიზანი იმის აღწერა იყო, დისტანციური სწავლების სამოქმედო კვლევის გაცემითილზე ინტერნეტტექნოლოგიზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეთა შედეგებსა და დამოკიდებულებაზე რა გავლენას ახდენს. კვლევის მიზნის ამგვარი ჩამოყალიბება სრულად აქმაყოფილებს სამოქმედო კვლევის ჩემთვის კველაზე მნიშვნელოვან პრინციპებს, ვნაიდან ის გულისხმობს როგორც სწავლების, ისე სწავლის პროცესებს და არის საკითხი, რომლის მიმართ გულგრილი არ ვარ და სურვილი მაქვს, რაიმე შევმატო ან უკეთესობისაკენ შევცვალო (მილსი, 2000, გვ. 27).

### საკვლევი კითხვა

1. რა გავლენა აქვს ონლაინსწავლებას მოსწავლეებს შორის და ინსტრუქტორთან (ანუ იგივე მასწავლებელთან) კომუნიკაციაზე?
2. ონლაინსწავლებისას მოსწავლეების სწავლის სტილი რა გავლენას ახდენს მათ წარმატებაზე?
3. როგორ აქმაყოფილებს არსებული ელექტრონული რესურსები მოსწავლეების საჭიროებას, ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა საკურსო მასალებთან?

### ლიტერატურის მიმოხილვა

მე, როგორც ავტორალიელი ექსპატრიატი, დისტანციურ სწავლების მიმართ კეთილგანწყობილი ვარ. როდესაც ჯერ კიდევ ავსტრალიის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში დამწყები მასწავლებელი ვიყავი, ერთადერთი გზა, განათლების მიღება გამეგრძელებინა, სწორედ კორესპონდენციული საშუალება. კორესპონდენციული განათლება, როგორც განათლების მისაღები ფორმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბევრი უნივერსიტეტის მიერ არ არის აღიარებული, საინტერესოა, რატომ სდება ეს, რადგან სხვა განვითარებად ქვეყნებში (როგორიც ავსტრალია) კორესპონდენციის გზით დისტანციური სწავლება ფართოდ მიღებული და აღიარებულია. ჩემი აზრით, ეს ფაქტი პირდაპირ იმ ვარაუდებს უკავშირდება, რომლებიც ეფექტური პედაგოგიკის შესახებ გვაქვს, იქნება ეს ცოცხლად თუ ონლაინით განხორციელებული სწავლება და რომლებიც შესაბამისი ლიტერატურის განხილვისას შესაბამის ჩარჩოებში გვსამს.

სახეზეა იმ ლიტერატურის ნაკლებობა, რომელიც აუდიტორიაში მიმდინარე სწავლებასთან დაკავშირებულ ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან

საკვლევი  
თემა



საკვლევი  
კითხვა



ლიტერატურის  
მიმოხილვა



საკითხს განიხილავს – ესაა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, ასევე მოსწავლეებს შორის ინტერაქციის სახე და ხარისხი. ეს პედაგოგიური წუხოლი შესაძლებელია უფრო ფართო გაგებით განვიხილოთ და მასში ვიგულისხმოთ „სწავლის მიზნების განსაზღვრა, სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული ფილოსოფიური ცვლილებები, მასწავლებლის როლის გადაზრება, მოსწავლისა და ინსტრუქტორის შეფასება და ინტერაქციის სტიმულაცია“ (შრუმი, 1998, გვ. 56). იმისათვის, რომ ვირტუალური გაკვეთილების დროს ეფექტურ ინტერაქციას შეეწყოს ხელი, ბერგი (1999) დასძენს, რომ მასწავლებლებმა სინქრონიული (კომუნიკაცია რეალურ დროში) და ასინქრონიული (ტექნოლოგიურად დროში გაშუალებული) ტიპის ინტერაქციები უნდა გამოიყენონ. სამოქმედო კვლევის კურსი ასინქრონიული მოდელის მიხედვით ჩავატარე: მოსწავლეებს, რომლებიც კურსზე დარეგისტრირდნენ, შეეძლოთ პროცესში ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს ჩართულიყვნენ, თუმცა რეაქმენდებული იყო, დავალებებისა და აქტივობების 10-კვირიან პროგრამას გაჰყოლოდნენ. შესაბამისად, კურსი ას-ინქრონიული კომუნიკაციით ხასიათდებოდა – არასდროს იყო იმის მოლოდინი, რომ კლასი „რეალურ დროში“ ან პირისპირ შეხვდებოდა ერთმანეთს. მაგრამ, როგორც ჩემს ნაშრომში მოვიანებით განვიხილავ, მსგავსმა კომუნიკაციამ გარკვეული სირთულე შემიქმნა ჩემს მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობის დამყარების პროცესში. ლევინი (1997) ამ სირთულეს შემდეგნაირად ახასი-ათებს:

„მე ვერ ვხედავ ვერც დაბნეულობას და ვერც თანხმობის ნიშანს მოსწავლის თვალებში, თუკი იგი იმის გაგებას ახერხებს, რასაც მე ვხსნი. ადასინქრონიული, კომპიუტერით გაშუალებული, კომუნიკაციის მომხიბვლელობას სირთულეც ახლავს თან: პროცესი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, მაგრამ მარტო ყოფნის დროს. თუკი თქვენც ფიქრობთ, რომ სწავლა მნიშვნელობისა და ცოდნის სოციალური კონსტრუქციაა, მაშინ დამეთანებებით, მარტო ყოფნა სწავლების პროცესს სირთულეს უქმნის. ონლაინსწავლა ძირითადად ტექსტის ფარგლებში ხორციელდება. (გვ. 6)

ჩემი მოსწავლეების გამომეტყველებას რომ ვერ ვხედავ, ეს ხელს მიშლის, მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობა დაგმყარო და ვეზიარო იმ აზრთა სხვადასხვაობას, რაც მათ სწავლების პროცესში შემოაქვთ. თუმცა ლიტერატურაში ძალიან ცოტა დამატეკიცებელი საბუთი მოიძებნება იმისა, რომ „ონლაინმოსწავლეების“ აკადემიური მოსწრება ტრადიციული მოსწავლეების აკადემიური მოსწრებისაგან რაიმეთი განსხვავდება.“

ონლაინით სწავლებაში გამოცდილი მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოსაზრებები დისტანციური სწავლების შესახებ იმდენად განსხვავებულია, რომ რთულია მათი შეჯერება. მაგალითად, მასწავლებლები მუდმივად წუხან სწავლების/სწავლისა და ინტერაქტიურობის ხარისხთან დაკავშირებით. მათგან განსხვავებით, მოსწავლეები, როგორც წესი, კმაყოფილებას გამოთქვამენ და აცხადებენ, რომ სწავლების ეს ფორმა პასუხობს არატრადიციული მოსწავლის საჭიროებებს, რომელთაც სამსახურის, ოჯახის საქმეებისა და სწავლის შეჯერება უწევთ (დოგერტი და ფუნქცი, 1998). ამავე კვლევის მიხედვით, ონლაინით სწავლების შესახებ მასწავლებლების შეხედულებები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

ტექნიკური დახმარების სიმწირე, პროგრამული უზრუნველყოფის/შესაბამისი აღჭურვილობის ნაკლებობა, ფაქულტატიური/ადმინისტრაციული მხარდაჭერის ნაკლებობა, დაგალებების მოსამზადებლად და შესაფასებლად გამოყოფილი დროის რაოდენობა, და ბოლოს, მოსწავლეებში ტექნოლოგიების ცოდნისა და მათი გამოყენების სურვილის ნაკლებობა. ოუმცა, ამავე დროს, მოსწავლეების აღიარებენ, რომ ინტერნეტით სარგებლობა შედეგიანია, ინტერნეტრესურსების გამოყენებით განხორციელებული სწავლის პროცესი კი „აღმოჩენებით“ აღსავს; დოგერტისა და ფუნქს (1998) მიხედვით, მოსწავლეები „ქსელში არსებული სასწავლი მასალის მრავალფეროვნებისა და ხარისხის გამო, მართლაც შთაბეჭდილების ქვეშ არიან“ (გვ. 30). თავის კვლევაში პარასიმიძ (1987) ონლაინით სწავლების ძლიერი მხარეების უფრო გრძელი ჩამონათვალი გადმოსცა – დაწყებული უფრო ინტენსიური და მოცულობითი ინტერაქციით და დამთავრებული ტექსტზე დაფუძნებულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული მოტივაციით (გვ. 214). მოსწავლეები კომუნიკაციას, რომელიც ტექსტს ფარგლებში, და არა ტრადიციულ საკლასო ვითარებაში, ხორციელდება, უფრო მეტად აფასებენ – ესა აღმოჩენა, რომელიც ჩემს კვლევაშიც მტკიცდება და რომლის შესახებ ამ ნაშრომში მოგვიანებით ვისაუბრებ.

### მონაცემთა შეგროვება

წინამდებარე კვლევის ფარგლებში კვლევის ძირითად მეთოდად თვისებრივ მონაცემთა შეგროვება იქნა გამოყენებული. „მონაწილე დამკვირვებლის“ ტრადიციული ეთნოგრაფიული მეთოდი მხოლოდ წერილობითი კომუნიკაციებითა და ელექტრონული გზავნილებით შემოიფარგლებოდა. მოსწავლეებთან პირიპირ შეხვედრა მიწვევდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსწავლეები ჩემთან სასაუბროდ საკუთარი ინიციატივით მოდიოდნენ უნივერსიტეტში ან როდესაც მათ გასაუბრება უტარდებოდათ სასწავლო კურსის დამთავრებისას. არასდროს მქონია შესაძლებლობა, უშუალოდ დაკვერცხებოდი იმ პროცესს, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ცოდნას ეუფლებიან (ანუ, როდესაც ისინი გაკვეთილს ესწრებიან).

### მონაცემთა მოპოვების სხვადასხვა წყარო

- გამოკითხვები – სასწავლო კურსის მსვლელობისას მოსწავლეები კითხვარს ავსებდნენ, სადაც სემესტრის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას აღწერდნენ; მათ ასევე იმ გამოკითხვაში მიღებულ მონაწილეობა, რომლის ფარგლებში საშუალება მიეცათ, კურსზე მიღებული გამოცდილება და ზოგადსაგანმანათლებლო გარემოსთან მიმართება შეეფასებინათ.
- ინტერვიუები – გამოკითხვის შემდეგ მოსწავლეებს ჩემთან სასაუბროდ იმ მიზნით ვიწვევდი, რომ კურსის განმავლობაში მათ მიერ მიღებული გამოცდილების შესახებ უფრო მეტი გვიშველა. აგარის (1980) მიხედვით, ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც „მეთოდოლოგიური ბირთვი“, რომელსაც შეგვიძლია, დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია დაუუბირისპიროთ; ეს ყოველივე, თავის მხრივ, არაფორმალური ინტერვიუების დროს დაგვეხმარება.

მონაცემთა  
შეგროვება



ინტერვიუები შესაძლებელია დახასიათდეს როგორც არაფორმალური ეთნოგრაფიული ინტერვიუები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ონლაინ-კურსის ფარგლებში მოსწავლეების მიერ მიღებულ გამოცდილებას და გამოკითხვების დროს მათ მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებს უფრო მეტად ჩაუღრმავდეთ.

- მატრიცა – კურსის ელექტრონული ბაზის ფარგლებში გაკეთებული ყველა გზავნილი მათი რაოდენობისა და ფორმის მიხედვით იქნა გაანალიზებული. ქსელზე მუდმივი დაკვირვება ინფორმაციის ფასეული წყაროა.
- არტიფაქტები – მოსწავლეებმა სამოქმედო კვლევის საბოლოო პროექტები „გამომსახველობით“ ფორმატში ჩააბარეს – მულტიმედიური პრეზენტაციებიდან დაწყებული, აუდიო- და ვიდეოპრეზენტაციებით დასრულებული. პრეზენტაციები კურსის გეტავერზე დაიდო.

### **მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია**

ჩატარებული გამოკითხვების, ინტერვიუების, დაკვირვებებისა და მოსწავლეთა პროექტების ანალიზის საფუძველზე შემდეგი საკითხები წამოიჭრა:

#### **კომუნიკაციის ტიპი და სიხშირე**

კურსის განმავლობაში კომუნიკაციის სხვადასხვა ტიპი განსხვავებული სიხშირით გამოიყენებოდა. ხშირად მოსწავლეები აცხადებდნენ, რომ ყოველკვირკეული ელექტრონული წერილების რაოდენობით საკმაოდ გადატვირთულები იყვნენ. თუმცა მასწავლებლის მხრიდან ყოველ წერილზე პასუხის გაცემის მოთხოვნა არ იყო, მეც მოსწავლეების მსგავსად აღმოვაჩინე, რომ წერილებზე ყოველდღიურად პასუხის გაცემა საკმაოდ დამღლელი შეიძლება იყოს.

#### **ჯგუფური ქსელური კომუნიკაციის ძლიერი და სუსტი მხარეები**

მოსწავლეები ჯგუფური ქსელური კომუნიკაციის ძლიერ მხარეებად შემდეგ ფაქტორებს მიიჩნევდნენ:

- მოხარულებულობა, რომელიც უკუკავშირის ონლაინრეკიმში მიღებასთან არის დაკავშირებული. ბევრმა მოსწავლემ კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ კლასში „საუბრის“ იძულების გარეშე უკუკავშირის მიღებისა და გაცემის შესაძლებლობა პქონდათ.
- თითოეული მოსწავლის მიერ გაცემული პასუხს რაოდენობა მათ მიერ შერჩეული მთავარი თემის ქვეშ და ასევე მათ მიერ სხვა მოსწავლეებისათვის „მიცემულ“ უკუკავშირთან შესაბამისობაში ჯგუფდებოდა. ანუ, თუკი პროექტის შინაარსი მოსწავლეების გარკვეული ჯგუფისათვის საინტერესო იყო, მათი უკუკავშირები ჯგუფდებოდა. სიხშირის მატრიცა და გაცემული პასუხების შინაარსი მიანიშნებდა, რომ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი მათ პროექტებთან დაკავშირებით ნაკლებ უკუკავშირს იღებდა.

მოსწავლეები, ჯგუფური ქსელური კომუნიკაციის სუსტ მხარეებად შემდეგ ფაქტორებს მიიჩნევდნენ:

- მიღებული ელექტრონული წერილების ძალიან დიდი რაოდენობა. ეს პრობლემა როგორც 10-ისე 20-კაციანმა ჯგუფმა დააფიქსირა; ელექტრონული წერილების რაოდენობა ყველასათვის „დამტანცველი“ აღმოჩნდა.
- უკუკავშირის დაგვიანებულად მიღება. ზოგიერთი მოსწავლისათვის პრობლემა ის იყო, რომ ისინი მასწავლებლის და/ან სხვა მოსწავლეების უკუკავშირს მაშინვე არ იღებდნენ.
- არავერბალური ნიშნების ნაკლებობა. მოსწავლეების გარკვეულმა რაოდენობამ ციფრული ფოტოების დამატება მოითხოვა იმ მიზნით, რომ სახელთან კონკრეტული სახის დაკავშირება შესძლებოდათ. გაჩნდა სურვილი ერთმანეთის გაცნობისა, თუმცა ვირტუალური საკლასო ოთახის გარემო ამისათვის საუკეთესო პირობებს ნამდვილად არ ქმნის.

მეორე მოწვევის კლასში ჯგუფურ და ინდივიდუალურ ელექტრონულ წერილებთან ერთად ე.წ. სადისკუსიო დაფა („ჩათი“) გამოიყენებოდა. ჩემი ჩანაფიქრი სწორედ ელექტრონული წერილების სისტემისა და რაოდენობის შემცირება იყო. თუმცა, ტექნიკური პრობლემების გამო, ყოველივე ამან სიტუაცია უფრო გაართულა. მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, კომუნიკაციის ან ერთი, ან მეორე ფორმა აერჩიათ, რამაც ჯგუფის გაყოფა გამოიწვია და ეფექტური კომუნიკაცია საფრთხის წინაშე დააყენა.

### ინტერნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების ტიპები და წარმატების ნიშნები

**თემები**

პირველი მოწვევის მოსწავლეების 50%-მა, ხოლო მეორე მოწვევის 63%-მა შეძლო სწავლის დასრულება. ვთქიქონბ, ეს მონაცემები სწავლების გამოყენებულ მეთოდებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, სამოქმედო კვლევის კლასში ჩემს მიერ გამოყენებული ტრადიციული, „ცოცხლად“ განხორციელებული სწავლება კურსდამთავრებულების 85%-ს უკავშირდება. მოსწავლეების უმრავლესობამ (70%) აღნიშნა, რომ მათ „ცოცხალი“ კლასის იდეა უფრო ხიბლავთ, ვიდრე უნივერსიტეტის შენობამდე ფიზიკურად მისვლის ბარიერი.

**ონლაინრესურსები**

მოსწავლეებმა ინტერნეტში არსებული ონლაინრესურსების ხელმისწვდომობისა და ხარისხის თაობაზე ქმაყოფილება გამოიტევეს. თუმცა, ზოგიერთი მოსწავლის აზრით, ქსელში მასალების მოძიებისას ბევრი დრო უშედეგოდ იხარჯება. მათ მსგავსად, მოსწავლეებმა, რომლებიც ადრე ინტერნეტტექნოლოგიებს ნაკლებად იყენებდნენ, გამოიტევეს უკმაყოფილება, რომ მათი ინტერნეტში მოძიებისათვის საჭირო ეფექტური უნარ-ჩვევების შეძნასა და განვითარებას ბევრი დრო მოანდომეს.

## სამოქმედო გეგმა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხილულ საკითხებზე დაყრდნობით, ინტერ-ნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებული დისტანციური სწავლების სამოქმედო კვლე-ვაში შემდეგ ცვლილებებს გთავაზობთ:

- საკლასო დავალებების სტრუქტურის შეცვლა ისე, რომ ინტერაქცია მოსწავ-ლებს, ასევე მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის იოლად განხორციე-ლებადი იყოს. სადისკუსიო დაფის („ჩათის“) მომავალში გამოყენების შემთხ-ვევაში, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ყველა მოსწავლისათვის ეს რესურსი ხელმისაწვდომი იყოს. ეს ეფექტური კომუნიკაციის ხელშემწყობი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია – მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ ინტერ-ნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლება წარმატებით განხორციელდეს;
- სწავლის სხვადასხვაგარი მეთოდი - ინტერნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებუ-ლი სწავლების დროს მოსწავლეების მიერ გამოყენებული სწავლის სხვადასხვა მეთოდი არ არის საქმარისად შესწავლილი. ვფიქრობ, რომ აუცილებელია მოსწავლეებზე დაკვირვება იმ მიზნით, რომ განვისაზღვროთ, რამდენად წარ-მატებულნი შეიძლება იყვნენ ვირტუალურ საკლასო ოთახში. მაგალითად, მომავალში ყველა მოსწავლეს აუცილებლად გასაუბრებას ჩავუტარებ მა-ნამ, სანამ კურსზე დარეგისტრირების ნებართვას მივცემ. ამას გავაკეთებ იმ მიზნით, რომ განვისაზღვრო: ა) კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენებას რამდენად თავისუფლად შეძლებენ და ბ) რამდენად დამოუკიდებელი არიან მოსწავლეები, რომელთაც დავალებების შესასრულებლად საქუთარი მეთოდით მუშაობა მოუწევთ. შევეცდები, განვისაზღვრო ის ინსტრუმენტი, რომელიც ყოველივე ზემოთ ხსნებულის შეფასების საშუალებას მომცემს და რომელიც გარკვეული ნდობით სარგებლობს;
- ონლაინრესურსები. ონლაინრესურსების მოძიებას გავაგრძელებ, რათა მას-წავლებელთა დამოუკიდებელ კვლევას ხელი შეუწყო, რაც, თავის მხრივ, მაგალითად, ხელს შეუწყობს მოსწავლეების მცდელობას, იმ უურნალის სტა-ტიები მოიპოვონ, რომლებიც, როგორც წესი, ძირია;
- ურთიერთობების დამყარება. იმ მიზნით, რომ ჩემსა და მოსწავლეებს, ასევე მოსწავლეებს შორის კარგი ურთიერთობები დამყარდეს, სწავლების პროცესში ინტერაქტიულ, პირისპირ კომუნიკაციას ჩაგრთავ, რომელიც დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების საშუალებით იქნება ფასილიტირებული. სავარაუ-დოდ, კომპიუტერზე დამონტაჟებული ვიდეოთვალიც ამ პროცესს ხელს შეუ-წყობს. მოწყობა ტელეკონფერენციაც, რომლის დროს მოსწავლეები საკურსო ნაშრომების პრეზენტაციას შეძლებენ. მაგალითად, მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, საკუთარი პროექტები ქსელში განათავსონ, რომელთა ჩამოტვირთვის საშუალებაც მათ შესაბამისი ლექციის დაწყებამდე მიეცემათ. უფასო სატელე-ფონო პროგრამის საშუალებით, მოსწავლეები ტელეკონფერენციაში მონაწი-ლების მიღებასა და პრეზენტაციის მსგლელობისას ერთმანეთის პროექტების დათვალიერებას შეძლებენ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ურთიერთობების დამყარებას და განმარტოებულად ყოფნის განცდას შეამცირებს.

## დასკვნები

როგორც უკვე აღვნიშნე, დისტანციური სწავლების მეთოდების მიმართ დადებითად ვარ განწყობილი. ჩემი აზრით, მათი გამოყენებით ყველას თანაბრად ეძლევა განათლების მიღების საშუალება. ეს განსაკუთრებით ეხება ჩემს უნივერსიტეტს, რომელიც სოფლებში მომუშავე მასწავლებლებს საჭირო მომსახურებით უზრუნველყოფს.

თუმცა, სწავლის მზარდი საფასურის გამო, ბერი მასწავლებელი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს: დისტანციური სწავლებისთვის გადახდილი საფასურის მიღება რამდენად სრულად ხდება? კარგი პედაგოგიკა მხოლოდ განათლებასთან თანაბარ ხელმისაწვდომობას ნიშნავს? როგორ ხდება, რომ ონლაინსწავლებისას უმაღლესი განათლების დონეა შენარჩუნებული? რა თვისებებით განსხვავდება ონლაინურსები კორსპონდენციული კურსებისაგან? – წინამდებარე კვლევით უფრო მეტი შეკითხვა დამიტოვა, ვიდრე ჟასტი. ერთი მხრივ, არსებობს ის შესაძლებლობები, რომელთაც დისტანციური სწავლება იძლევა და, მეორე მხრივ, არსებობს საჭიროება, განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და ხარისხი დაბალისადეს. საბოლოო ჯამში, თვითონ მოსწავლის არჩევანია, სწორედ დისტანციური სწავლის მეთოდით განათლების მიღება გადაწყვიტოს, ხოლო მასწავლებლის პასუხისმგებლობის ქვეშ რჩება ის, რომ ონლაინსწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარდეს. სამოქმედო კვლევის მიდგომის გამოყენებით შევეცადე, ის შეზღუდვები გამომეაშკარავებინა, რომლებიც ინტერნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სწავლებას ახლავს თან და სამომავლოდ ამ შეზღუდვების გადალაზე ის მზაობა გამომეთქვა.

## გამოყენებული ლიტერატურა

- აგარი, მ., (1980), პროფესიონალი უცნობი: არაფორმალური შესავალი ეთნოგრაფიაში. ორლანდო, ფლ: აკადემიური.
- ბერგე, ზ., (1999), ინტერაქტუა ინტერნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლის დროს. საგანმანათლებლო ტექნოლოგია, 39(1), 5-11.
- დაუერტი, მ., ფუნქცი, ბ.ლ., (1998), უნივერსიტეტის მასწავლებლებისა და მოსწავლების მოსაზრებები ინტერნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების შესახებ. დისტანციური სწავლების ურნალი, 13 (1), 21-39.
- პარასიმი, ლ.. (1987), Օონლაინსწავლება და სწავლა: დისტანციური კურსების საკითხები, CJCE, 16(2), 117-135.
- ლევინი, დ., (1997), ინსტიტუციური საკითხები: ინტერნეტდისკუსიის ჯგუფების მხარდაჭერა, ED 416481.
- მილსი, ჯ.ე., (2000), სამოქმედო კვლევა: გზამქვლევი მასწავლებელი მკვლევარებისათვის. აფერ სედერ რივერი, ნჯ: მერილი
- შრუმ, ლ., (1998). ონლაინგანათლება: ახალი პედაგოგიკის კვლევა. მოზარდთა და პროფესიული განათლების ახალი მიმართულებები, 78, 53-61.

გამოყენებული  
ლიტერატურა

ახლა კი, როცა ვნახეთ მაგალითი იმისა, რისი დაწერაც თქვენვე შეიძლება მოგიწიოთ, ერთად განვიხილოთ სამოქმედო კვლევის დაწერის ძირითადი პრინციპები.

## რიტუალები და წერის პროცესი

პოვარდ ბეკერის „წერა სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებისათვის: როგორ უნდა დაიწყოთ და დაასრულოთ თქვენი თეზისის, წიგნისა თუ სტატიის წერა“ (1986) წერის პროცესის შესახებ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი წიგნია. როგორც ბეკერი აღნიშნავს, ბევრ ადამიანს წერის დაწყებამდე უამრავი გამაღიზიანებელი რიტუალის ჩატარება აქვს წესად:

ერთი მხრივ, (წერის შესახებ სემინარის) მონაწილეები რასაც აღწერდნენ, უფრო ნევროტულ სიმპტომებს ჰყავდა. სოციოლოგიური თვალსაზრისით კი, იგივე სიმპტომები მაგიური რიტუალებია. მაღანიოსკების მიხედვით (1948, გვ.25-36), ადამიანები მსგავს რიტუალებს ატარებენ მაშინ, როდესაც მათ იმ პროცესებზე გავლენის მოხდენა სურთ, რომელთაც, მათივე რწმენით, რაციონალური ხერხებით ვერ გააკონტროლებენ.

მეგობრებსა და კოლეგებს შორის ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი მაგიური რიტუალები წერის წარმატებულად განხორციელების წინასწარმეტყველებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. შეგვიძლიათ შეადაროთ თქვენს რიტუალებს?

- წერის პროცესი დილის 7 საათიდან დღის 12 საათამდე ხორციელდება;
- კომპიუტერის გეერდით, სულ ცოტა, 6 გათლილი ფანქარი და ჩასანიშნი ბლოკნოტი დევს;
- წერა მხოლოდ ხელით, ლურჯი ფერის საწერისა და თეთრი ფურცლების გამოყენებით ხორციელდება;
- წერის დაწყებამდე სახლის წესრიგში მოყვანა აუცილებელია;
- წერის დაწყებამდე ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს (მასალები, განათება, მუსიკა და სხვ.).

## რეგულარულად წერის პრაგმატულად გამოყენება – წერა დროს მოითხოვს და, როგორც წესი, ჩვენ საქმარისი დრო არასდროს გვაქვს, რომ, როგორც პროფესიულ, ისე პირად ცხოვრებაში, ყველაფერი გავაკეთოთ, რისი გაკეთებაც გვსურს. მხოლოდ შემდეგი რჩევის მოცემა შემიძლია – წერა თქვენი პროფესიული ცხოვრების განუყრელი ნაწილი და მოვალეობა გახადეთ. დაიმასოვრეთ ყველა ის წუთი და საათი, როდესაც თქვენ ამ უკანასკნელით ხართ დაკავებული – სკოლამდე, სკოლის შემდეგ, მოსამზადებელ პერიოდში, ფაკულტეტის გაუქმებული შეხედრებისა თუ კონფერენციების დროს და პროფესიული განვითარების დღეებში. ჩათვალეთ, რომ წერა ამ ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების განუყოფელი ნაწილია... და იყვით მზად, რომ თქვენი ძალისხმევის შედეგები სხვებსაც გაუზიაროთ.

როგორც წესი, წერის დასრულება ჩემი პირადი, ოჯახური ცხოვრების ხარჯზე მიწევს. ჩვენს ახლობლებს ჩვენგან შემდეგი შინაარსის განცხადებებთან შეგუება მოუწევთ: „სახლში უნდა დაგრჩე და წერა (ან შეფასება, გაკვეთილის დაგეგმვა ან ამოცანების გადამოწმება) დაგასრულო. თქვენ წადით და კინოში (სადილზე, პინკიზე, ექსკურსიაზე, ჯომარდობისას, თხილამურებით სრიალისას) კარგი დრო გაა-

ტარეთ.“ როგორც მასწავლებლები, ჩვენ ყოველთვის გახერხებთ საქმის გამოძებნას და თავისუფალი დროის შევსებას.

მე მჯერა, რომ თქვენ ამას აუცილებლად შეძლებთ – მოვა დრო და დასხდებით კლავატურის წინ ან ცარიელი ბლოკნორით ხელში და თქვენი სამოქმედო კვლევის წერას დაიწყებთ. ცხადად წარმოდგენაც კი შემიძლია, თუ როგორ ემზადებით, ფანქარმომარჯვებული, კლავიატურასთან მჯდომი, რათა თქვენი კვლევა ფურცელზე გადაიტანოთ. მაში, მოემზადეთ წერისათვის.

წარმატებული წერისათვის მოცემული რჩევების პარალელურად გაეცანით 8-2 ცხრილს, სადაც ჩამოთვლილია ის, თუ რა არ უნდა გააკეთოთ.

აქვე შემოგთავაზებთ წერისა და რედაქტირების რამდენიმე პრინციპს:

- ყოველდღე ერთსა და იმავე დროს წერეთ, როდესაც იცით, რომ არავინ შეგაწუხებთ;
- თქვენი ამბავი დაწერეთ ისე, თითქოს თქვენს მეგობარს ელექტრონულ წერილს უგზავნით. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს მეგობარს ყველაფრის მარტივ ტერმინებში ახსნა ესაჭიროება.

- სკოლაში იმაზე ფიქრი, რისი გაკეთებაც ხვალამდე უნდა მოვასწრო;
- გავარკვიო – შეხვედრაზე, ვარჯიშზე, დაბადების დღეზე ახლა ხომ არ ვარ წასასვლელი;
- ჩემი ხმოვანი შეტყობინება შევამოწმო;
- ჩემი ელექტრონული ფოსტა შევამოწმო;
- ჩემი საბანკო წიგნაკი შევამოწმო, რათა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი წესრიგშია;
- ჩემს მეუღლეს/შვილს/კოლეგას/ მეგობარს/მტერს დაგურუეკო და გავარკვიო, როგორ არის;
- ჰოლში ჩავიარო და ვინმე სალაპარაკოდ გამოვიჭირო;
- ლატარიაში მოგებაზე ვიოცნები;
- ჩემს სტომატოლოგთან ჩავეწერო.

## 8-2 ცხრილი. ჯეფის რჩევები, თუ როგორ უნდა ავიცილოთ წერა თავიდან

- წერის დროს რაიმე გვიამბეთ. მასწავლებელთა უმრავლესობა კარგი მთხოობელია. მათ მოსწავლეების წარმოსახვის უნარის დატყვევება შეუძლიათ, როცა პყვებიან კოლუმბის მოგზაურობაზე, ინუბატორში წიწილის გამოჩეკასა თუ თავიანთ ახალგაზრდობისდოროინდელ სასკოლო თავიადასავლებზე. ეს უნარი სამოქმედო კვლევის წერის დროსაც შეგვიძლია გამოვიყენოთ. როცა ვამბობ „მთხოობელი“, ვგულისხმობ, რომ ნაამბობში გარკვეული ფორმალობა აუცილებლად დაცულია.
- თუეკი წერის დაწყება გიჭირო, „დაწერეთ ისე, როგორც საუბრობთ“. რედაქტირების გაკეთება მოგვიანებითაც შეიძლება. ამბის თხრობის დროს თქვენს აუდიტორიად თქვენი კოლეგა მასწავლებლები წარმოიდგინეთ და სიტყვები ბუნებრივად გაგახსენდებათ. თუკი გამუდმებით იფიქრებთ იმაზე, რომ ფართო „აკადემიური“ საზოგადოებისათვის წერო, წერა გაგიჭირდებათ და

- თქვენი წინადაღებები მაღალფარდოვანი და ფორმალური იქნება. არც იმის აუკილებლობაა, რომ საკუთარი მოსაზრება რთული სიტყვებით გამოთქვათ.
- თქვენი აზრები არსებული მონახაზის ფარგლებში განავითარეთ და თხრობაც ისე ააგეთ, რომ არსებულ ფაქტებს არ ეწინააღმდეგებოდეს. თქვენი ნაწერი უნდა იყოს თანმიმდევრული და დინამიკური.
  - წერის პირველ ეტაზზე თუ ტექსტი იოლად არ იკითხება, ან გრამატიკული შეცდომებით საესეა, ნუ ინერვიულებთ. წერეთ გრამატიკის, სინტაქსისა თუ პუნქტუაციის წესების გათვალისწინების გარეშე, – უბრალოდ, წერეთ. კონცენტრირდით იმაზე, რომ თქვენი ამბის გარეთ გამოტანა შეძლოთ. შეეცადეთ, უკეთესობას მიაღწიოთ და არა სრულყოფილებას.
  - დაწერეთ ყველაფერი, რაც თავში მოგივათ. შემდეგ დაუბრუნდით და იმაზე დაფიქრდით და მოიძიეთ, რის თქმასაც სინამდვილეში ცდილობდით – აუცილებლად მიაგნებთ.
  - ოდესმე გიფიქრიათ, „ნეტა სხვანაირად გამექეთებინა?“. წერაც სწორედ ეს არის. მოგვიიჩებით თქვენ შეგიძლიათ, სხვანაირად გააკეთოთ – საკუთარი ნაშრომის რედაქტირება ხომერთი სიამოგნებაა. თამამად წერეთ და მოგვიანებით იგივე უკეთესად გამოთქვით.
  - წერა, შემდეგ რედაქტირება, ხელმიორედ დაწერა და კიდევ ერთხელ რედაქტირება აზრებს უფრო ნათელს და თანმიმდევრულს ხდის. ძვირფასი ქვაც კი ჯერ უნდა მოიპოვოთ, შემდეგ დაანაწევროთ და ბოლოს დაამუშაოთ.
  - არავინ იცის ჩემი ნაშრომი ჩემზე უკეთესად. წერა საკუთარი ნაშრომის გაცნობის ვარჯიშია. ყოველი ახალი განხილვის შემდეგ ყოველთვის გაკირვებული ვარ, მის შესახებ რამდენად უფრო ბევრი რამ ვიცი.
  - რედაქტირება მხოლოდ მას შემდეგ გააკეთოთ, როცა ყველა მოსაზრებას ფურცელზე გადაითანთ. შეიძლება, მე ცუდად ვწერ, მაგრამ, სამაგიიროდ, ვწერ სწრაფად! სიტყვების მოფიქრება ისე სხარტად შემიძლია, რომ ვერც კი წარმოიდგენთ. საქმე ისაა, რომ მათ მრავალჯერად რედაქტირება, დასვეწა, განახლება, თავიდან მოფიქრება და ჩაბაცელება სჭირდებათ. რასაც ახლა თქვენ ხედავთ, არც პირველი მონახაზია და არც უკანასკნელი. მის დახვეწაში წვლილი როგორც კოლექტიურმა საბრძნევმ, ისე რედაქტორებმა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის დოქტორებმა და მეგობრებმა შეიტანეს, რომელთაც წერა საკმაოდ კარგად ექრჩებათ. როგორც კვლევის მყითხველებს, საკუთარ თავს გრანდიოზულობის პრეტენზია არ უნდა წაუყენოთ. კარგად წერა ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია, თუკი საკმარისი დრო, ძალისხმევა და დახმარება გვექნება. საკუთარ თავს რეალური მოთხოვნები წაუყენოთ – არც ის უნდა იფიქროთ, რომ „პირველივე მონახაზი საბოლოო ვერსიაა“ და არც ის, რომ „ამის გაუმჯობესება შეუძლებელია, ამიტომ კიდევ რამდენიმე წელიწადს არაფერს შევცვლა!“.
  - თუკი თქვენ აღიარებთ იმას, რომ თქვენი პირველი მონახაზი საბოლოო ვერსია არ არის, შუალედურ ტექსტთან მუშაობა გაცილებით იოლი იქნება. ანუ:

სანამ რაიმის საბოლოო სახით დაწერას მოვახერხებ, მანამდე საშინელ პირველად მონახაზებს ვწერ ... ამას ნებისმიერი კარგი მწერალი აქეთებს. სწორედ ამ გზით ისინი კარგ მეორე და არაჩვეულებრივ მესამე ვარიანტებს ქმნიან (ლამონტი, 1994, ციტირებულია ვოლკოტან, 2001, გვ. 55).

დარწმუნებული გარ, რომ ზემოთ მოყვანილ სიას თქვენს წესებსა და რჩევებს დაუმატებთ. ჩემი რჩევა იქნება, იმ რეკომენდაციას მისდიოთ, რომელიც მე ერთ-ერთ ჩემს მესამეკურსელ მოსწავლეს მივეცი, როცა ჩამწერის გამოყენებას ვას-წავლიდი: „შემდეგი 2 წუთის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი იხმაურეთ. როდესაც დრო მოვა, ჩვენ მხოლოდ მუსიკის დაკვრაზე ვკონცენტრირდებით!“. შესაბამისად, ჩემი შემოთავაზება იქნება: გააკეთეთ წერის თავიდან აცილების სია და ჩამოკიდეთ იქ, სადაც მუშაობთ და წერთ. ეს სია პერიოდულად შეამოწმეთ, მაგრამ ის აუცილებლად თქვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით შეადგნეთ. ჩათვალეთ, რომ ამ ყოველივეს თერაპიის ფუნქცია აქვს და შეეცადეთ, „კარგად“ მოიქცეთ, ანუ წეროთ. შესრულებული სამუშაოსათვის საკუთარი თავი დააჯილდოვთ (თუკი წახალისება გჭირდებათ, როგორც ეს ჩემს შემთხვევაშია). მე ჩემს თავს შემდეგი „ჯილდოებით“ განებივრებ: სირბილი, და ცოლ-შვილთან თამაში, ტკბილი (როგორც იცით, ტკბილი დაღლილობას შველის) სასმელი, საჭმელი, ძილი. ან ყველაფერი ერთად.

მას შემდეგ, რაც გაარკვით, რა მეთოდებით ახერხებთ წერის თავიდან აცილებას და რა არის ამისგან თავის დაღწევის საშუალება, შეგვიძლია უშუალოდ წერის პროცესის განხილვაზე გადავიდეთ: სტრუქტურა, დაწერილი ნაშრომის უურნალის რედაქტიაში ჩაბარება, თანმიმდევრული სტილის დაცვა, შინაარსის შეფასება. მოგვიანებით ჩვენ სტატიის მოცულობის, სათაურის შერჩევის, უკუკავშირის მიღებისა და საბოლოო რედაქტირების საკითხებს განვიხილავთ.

## მონახაზი სამოქმედო კვლევის ანგარიშისათვის

ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალს გაეცანით. თქვენთვის ნაცნობი ხომ არ არის?

- საკვლევი თემა (ამ კვლევის მიზანია, რომ...)
- განხილული ლიტერატურა
- ცვლადების განმარტება
- საკვლევი კითხვა
- სიახლე, რომელიც კვლევამ უნდა მოიტანოს
- მონაცემთა შეგროვება
- მონაცემთა განხილვა (მათი ვალიდურობა, სანდოობა და ეთიკა)
- მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია
- სამოქმედო გეგმა (მაგ. „სამოქმედო ცხრილის საფეხურები“)

ეს არის ის მონახაზი, რომელსაც წლების განმავლობაში მკვლევარ მასწავლებლებთან ვიყენებდი და რომელიც საყმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. თქვენი აუდიტორიიდან გამომდინარე, შეიძლება სტრუქტურის მცირედი ადაპტირება მოგიწიოთ. ეს მონახაზი არ არის უნიკარსალური, რომელსაც თქვენი პროფესორი (თუკი სწავლობთ), სკოლა (თუკი სამოქმედო კვლევას, როგორც შეფასების მოდელის ნაწილს, წერთ) ან უურნალის რედაქტორი (თუკი თქვენი ნაშრომის უურნალში გამოქვეყნებას აპირებთ) ყოველგარი ჭოჭმანის გარეშე დასთანხმდება. მმიუხედავად ამისა, ეს მონახაზი თქვენი მოსაზრებების ორგანიზებაში უნდა დაგეხმაროთ. ამავე თავში მოგვიანებით საშუალება გექნებათ, თქვენი ანგარიშისათვის აუცილებელ შემადგენელ ნაწილებსა და თითოეული ელემენტის შეფასებისათვის ქულებს გაეცნოთ.

## სამოქმედო კვლევის ანგარიშის განსხვავებული სტრუქტურა

ზემოთ წარმოდგენილი მონახაზის ნაცვლად, თქვენ შეგიძლიათ, იმ კვლევით ურნალებში ჩაიხედოთ, სადაც საკუთარი კვლევის გამოქვეყნებას გეგმავთ. ქვემოთ მომავალი ავტორებისათვის მოცემულია მითითებები იმასთან დაკავშირებით, უურნალის რედაქტორთან ან საბჭოსთან სტატიის გაგზავნამდე რისი გათვალისწინება არის საჭირო. მაგალითად, უურნალი „Networks“, რომელიც სამოქმედო კვლევის შესახებ ონლაინურნალია და ამ წიგნის მე-7 თავშია განხილული, სტატიის შერჩევისას შემდეგი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობას:

უურნალი არ ითხოვს, რომ ჩაბარებული სტატია რომელიმე კონკრეტულ ფორმატში ან ჟანრში იყოს დაწერილი; პირიქით, ხდება ავტორების წახალისება, რომ მათ ისეთ ექსპერიმენტულ ფორმებს მიმართონ, რომლებიც მათი თემისა და მიზნის შესაბამისი იქნება. თუმცა, ამავე დროს, სტატიები, სადაც ამის აუცილებლობაა, შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- იმ საკითხებს უნდა ეხებოდეს, რომელიც სხვა მასწავლებლებისა და მასწავლებელი მკვლევრებისათვის მნიშვნელოვანია;
- იმის შესახებ გვაწვდიდეს ინფორმაციას, თუ როგორ მოხდა ფაქტების შეგროვება და ანალიზი, რაც სხვა მასწავლებელი მკვლევრებისათვის იქნება სასარგებლოვანი;
- გააწვდიდეს ინფორმაციას ინსტიტუციური/საგანმანათლებლო კონტექსტის შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ ტექსტს საერთაშორისო მკითხველი ეყოლება;
- წარმოგვიდგინოს გასაგები და თანმიმდევრული ანგარიში, რომელსაც ბოლოში დასკვნები ექნება;
- იმ საგარაულო შედეგებსა და საკითხებზე გამოთქვას მოსაზრება, რომლებიც კვლევის შედეგად წამოიჭრება და რომელთაც მიმდინარე დებატებში წვლილის შეტანა შეუძლია;
- სხვა ავტორთა ნაწერები საჭიროებისამებრ გაითვალისწინოს;
- ტექსტი მკითხველისათვის საინტერესო სტილით იყოს დაწერილი.

(<http://www.oise.utoronto.ca/ctd/networks/contributorNotes.html>)

საგანმანათლებლო სამოქმედო კვლევა მოქმედი მკვლევრების ნაშრომებითაც ინტერესდება (ნებისმიერ სფეროში, დაწყებული მედიცინიდან, სხვა სოციალური საკითხებით დასრულებული) და მათგანს შემდეგ მიმართულებებს განსაზღვრავს:

კონკრეტულად შემდეგი 2 ტიპის ნაშრომები მიიღება: 1) სამოქმედო კვლევისა და განვითარების მეცნიერების ანგარიშები და 2) სამოქმედო კვლევის და შესაბამისი მეთოდოლოგიების თეორიისა და პრაქტიკის შესახებ მსჯელობა. ნაშრომი წაკითხვადი უნდა იყოს და, ამავე დროს, უნდა ჩანდეს, რომ ავტორი ნაშრომში განხილული საკითხებით გულახდილადაა დაინტერესებული. შეიძლება ჩაითვალოს, რომ უურნალი ეფექტური ანგარიშის შესახებ ჩატარებული სამოქმედო კვლევაა, რომელიც ნაშრომთა ავტორებისა და რედაქტორების მიერ კეთდება და, შესაბამისად, კვლევის სახით წარმოდგენილი პრეზენტაციები მიიღება (რჩევები ავტორებისათვის).

ამ მოთხოვნების კითხვისას თქვენ, როგორც მასწავლებელი მკვლევარი, აღმართ, დელავთ. კონკრეტულად რა იგულისხმება იმაში, რომ „ავტორი ნაშრომში განხილული საკითხებით გულახდილად დაინტერესებული უნდა იყოს“? როგორ მოხდება ამის შეფასება? რა კრიტერიუმებით? წინ რომ წავწიოთ, მოდით, იმ ადამიანებს გადავხედოთ, რომელთა ნაშრომებიც უურნალებში ხშირად იძებებდება. ჩემი აზრით, რეფერირებად უურნალებში (რომელთა შემთხვევაში იგულისხმება ის, რომ დასახელდად ჩაბარებულ სტატიას ერთზე მეტი „კვალიფიციური“ ადამიანი კითხულობს) გამოქვეყნებული (და, აღმართ, დასახელდად ჩაბარებული) სტატიების 99% იმ მასწავლებლების მიერ არის დაწერილი, რომელიც უმაღლესი განათლების დაწესებულებებში ასწავლით ან კვლევას ატარებენ. თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ეს ასე დარჩეს. მე მომეწონა ის ფაქტი, რომ „Networks“-ში მასწავლებელ მკვლევართა სტატიები დაიბეჭდა, რადგან ეს არის უურნალი, რომელიც მასწავლებლების მიერ და მასწავლებლებისათვის კეთდება. (თუ გსურთ, რომ გაეცნოთ იმ სამოქმედო კვლევის უურნალებს, სადაც თქვენი სტატიის გამოქვეყნება გსურთ, იხილეთ 8-3 ცხრილი.)

უურნალის სათაური	გამომცემ- ლობა	მისამართი	ელფოსტა ან ვებგვერდი	ტელ./ ფაქსი	აღწერა
„წეტილება“, ონლაინურნალი მასწავლებელი მკვლევარებისათ- ვის	ტორონ- ტოს უნივერსი- ტეტი	უცნობია	http://www. oise. utoronto.ca/ ctd/networks/	უცნობია	ონლაინურნალი, რომელიც პრაქტიკოს მასწავლებლებს (სკოლა-უნივერსიტეტი) საშუალებას აძლევს, ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ და ერთმანეთისაგან ისწავლონ. აქვე იძებელება წიგნების რეცენზიები და მასწავლებელთა კვლევების შესახებ დისკუსიები.
ქმედება, რომელიც რეფლექსის საშუალებას იძლევა	ქართვაქისი	ქართვაქისის გამოცემლობა შპს ტეილორი და ფრანცისი, 325, ჩესტნათ სტრიტი, მე-8 სართული, ფილადელფია, პე, 19106, აშშ	http://www. tandf.co.uk enquiry@ tandf.co.uk		რეფერირებადი უურნალი, რომელიც „რეფლექსის გზით ქმედების ეფექტურიბის გაზრდას ეძლვება და, ამავე დროს, ხელს უწყობს მას“. სტატიები რეფლექსის, ცოდნის გენერირებას, საქმიანობასა და პოლიტიკას ეთმობა.
საგანმანათ- ლებლო სამოქმედო კვლევა	ტრაი- გრეალ ჯურ- ნალი	შპს ტრაინერელ ჯურნალი, პ.ო. ბოქისი, 65, ველინგტონიდი, ოქსფორდი, OX10 04G, დიდი ბრიტანეთი	journals@ triangle.co.uk http://www. triangle.co.uk	უცნობია	რეფერირებადი უურნალი, რომელშიც განათლებისა და მასთან დაკავშირებული პროფესიების შესახებ სამოქმედო გეგმების ანგარიშები იძებელება. მსევე არის ფორუმი მიმდინარე სამოქმედო კვლევის საკითხების განსახილებულად.
საერთაშორისო სამოქმედო კვლევა	სამხრეთ კროსის უნივერსი- ტეტი	უცნობია	http://www. scu.edu.au/ schools/gcm/ ar/ari/ari- home.htm	უცნობია	სამოქმედო კვლევის შესახებ რეფერირებადი უურნალი, რომელიც დაინტერესებულია, დაბეჭდოს სტატიები სამოქმედო კვლევის ინტეგრირებული თეორიის შესახებ. ნაშრომები შეიძლება იყოს როგორც მიმდინარე, ისე დასრულებული, ასევე თეორიული, ან იყოს წიგნის მიმოხილვა.

### 8-3 ცხრილი. სამოქმედო კვლევის უურნალები

რა საერთო აქტი „რჩევებს ავტორებისათვის“ და ჩემ მიერ გაკეთებულ მონაცემს? რის მიხედვით უნდა გადავწყვიტოთ, ვასუქობთ თუ არა პუბლიკაციის ძირითად მოთხოვნას? სამწუხაროდ, ამ თავსატეხზე იოლი პასუხი არ არსებობს. ჩემი უჯრა სავსეა უურნალების რედაქტორიდან მოსული წერილებით, რომლებიც იმ სტატიების დაბეჭდვაზე მატყობინებენ უარს, რომლებიც მკითხველისათვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხზე დაწერილი მეგონა! ასევე ვიცი, რომ ბევრი პროფესორ-მასწავლებელი, რომლებიც ხშირად „იბეჭდებიან“, ხშირ შემთხვევაში უარს იდებს, მიუხედავად მათი რეპუტაციის და გამოცდილებისა. რა თქმა უნდა, ეს ბრმა განხილვის პროცესის შედეგია, რომლის დროს დასაბეჭდად ჩაბარებული სტატიები რეცენზიტებს ავტორის სახელისა და რომელიმე ინსტიტუტთან კავშირის შესახებ ინფორმაციის გარეშე მიეწოდებათ, რათა სუბიექტურობა თავიდან იქნეს აცილებული. სარედაცუიო საბჭოს სურს, რომ სტატიები იმის მიხედვით შეიჩინას, თუ რამდენად ღირებული არიან ისინი, და არა მათი ავტორების რეპუტაციის გამო. შესაბამისად, საშუალება მომეცით, ავტორებისათვის გაკეთებულ შენიშვნებთან დაკავშირებით შემდეგი რჩევა შემოგთავაზოთ:

### **უურნალში დასაბეჭდად სტატიის ჩაბარების ზოგადი წესები**

- ყურადღება მიაქციეთ თქვენი კვლევის კონტექსტს. შექმნით ის ნარატივი, რომელიც თქვენს მკითხველს საშუალებას მისცემს, ნათლად წარმოიდგინოს, თუ რითი დაიწყო თქვენი კვლევა. მაგალითად, ჩემს მიერ განხილული სტატიის – „ეწვე ჩემს ვებგვერდს – უთხრა ობობამ ბუზს“ – მაგალითზე განვიხილოთ წარმატებული და წარუმატებელი ნარატივი.

**წარმატებული ნარატივი:** P.,ორეგონის საუნივერსიტეტო სისტემის პროექტის – „სწავლა ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს“ – ფარგლებში სამხრეთ ორეგონის უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტის მიერ განათლების დარგში წამოწყებულია და ხორციელდება ონლაინგაკვეთილები. წინამდებარე ნაშრომი სამოქმედო კვლევაში ეფუძნება ჩემს 2-წლიან ანლაინსწავლების გამოცდილებას, რომელიც ორ წელიწადს, ორი სემესტრის განმავლობაში გრძელდებოდა.“

**წარუმატებელი მაგალითი:** „წინამდებარე კვლევა ჩემს იმ გამოცდილებას ეფუძნება, რომელიც სამოქმედო კვლევის შესახებ ინტერნეტექსლოგიებზე დაფუძნებული ლექციების ჩატარებისა მივიღე“.

წარმატებული მაგალითის შემთხვევაში მკითხველს ინფორმაცია მიეწოდება კვლევის ადგილის (უნივერსიტეტი), აუდიტორიის (განათლების სფეროში სამაგისტრო კურსის სტუდენტები), ხანგრძლივობის (ორი სემესტრი ორი წლის განმავლობაში) შესახებ; ცნობილი ხდება ისიც, რომ კურსი შემუშავდა და განხორციელდა საგრანტო დაფინანსებით (საპროექტო გრანტი „სწავლა ყველა გან და ყოველთვის“). ამ მოკლე აღწერით მკითხველი იმ ინფორმაციით არის უზრუნველყოფილი, რომელიც სხვა შემთხვევაში ყურადღების გარეშე დარჩებოდა (როგორც ეს წარუმატებელ მაგალითში).

- გამოიყენეთ მკითხველისათვის ილად წასაკითხი წერის სტილი. ნუ შეეცდებით, რომ თქვენც დაწერით ისე, როგორც პრესტიულ უურნალებში თქვენ მიერ წაკითხული სტატიებია დაწერილი. რეალური მიზანი დაისახეთ და ისე

- წერეთ, თითქოს იმავე ამბავს თქვენს კოლეგებს უცვებოდეთ (იხილეთ წერის შესახებ ზემოთ ჩამოთვლილი რჩევები).
- კარგად შეისწავლეთ ის უურნალები, სადაც ნაშრომის ჩაბარებას აპირებთ და დააკვირდით, როგორი სტრუქტურა და წერის სტილი აქვთ გამოყენებული იმ ავტორებს, რომელთა ნაშრომები უურნალში მიიღეს და დაბეჭდეს.
  - ჩართეთ მოკლე აღწერილობა იმისა, რაც გააკეთოთ. ყურადღება გაამახვილეთ ნებისმიერ საკითხზე, რომელიც რაღაც სახით მაინც მონაცემების შეგროვებასთან, ანალიზთან, ასენასთან (მაგ. მონაცემთა ვალიდობა, სანდოობა, ეთიკა) არის დაკავშირებული.
  - წერეთ გულახდილად და გახსნილად. შეეცადეთ, ჟარგონს არ ამოეფაროთ და ისეთი განცხადებები არ გააკეთოთ, რომელთა დაცვასაც შემდეგ ვერ შეძლებთ. თქვენს მონაცემებს საშუალება მიეცით, რომ „თავად ისაუბრონ“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის უმთავრესი აჩვენეთ, რისი დემონსტრირებაც თქვენ მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შეუძლია. გაიხსენეთ კენედის (1997) მოსაზრება (1-ლი თავი) იმ მასწავლებლების შესახებ, რომლებიც კვლევას არ კითხულობენ, რადგან ეს უკანასკნელი მათოვის ხელმისაწვდომი არ არის. ახლა თქვენ საშუალება გეძლევათ, ეს ყოველივე ახსნათ ისე, თითქოს თქვენს მეგობარს ან ბიძია ფრედს, რომელსაც კვლევის არაფერი გაეგება, ფინჯან ყავაზე ესაუბრებოდეთ. თქვენი ნაშრომი გახსადეთ გასაგებია.
  - შეინარჩუნეთ მკითხველების უურადღება. შეიძლება, ჩემ მსგავსად, „დაბეჭდილ“ ნაშრომს კითხულობთ და მას შემდეგნაირად აფასებთ: „ცუდი არ არის“, „ძალიან ცუდია“, ან „კიდევ რამდენიმე გვერდს წავიკითხავ, სანამ ნაგვის ყუთში მოვისწრი“. მიზეზი არ არის ცნობილი, მაგრამ ინტუიციით ვხვდებით, თუ რას შეუძლია ჩვენი უურადღების დატყვევება. მაგალითად, სიამოვნებისთვის მე შხატრულ ლიტერატურას ვკითხულობ და არა სახელმძღვანელოებს. ეს ორი განსხვავებული უანრია და არ არის გასაკვირი, რომ ჩვენ უფრო მეტი ხალისით ბესტსელერებს, და არა აკადემიურ ნაშრომებს, ვკითხულობთ. (ჩემს მეგობრებს ვებუმრები, რომ უძილობის საუკეთესო წამალი ვიცი – მისი სახელია „სამოქმედო კვლევა“!), მაგრამ აუცილებელია, რომ სახალისო და სასიამოვნო კითხვა (და შესაბამისად, წერა) და აკადემიური ნაშრომი ურთიერთგამომრიცხავი იყოს? შეეცადეთ, თქვენი, როგორც მასწავლებელი მკვლევრის, კვლევებიც ისე დაწეროთ, რომ თქვენთვისაც და თქვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იყოს.
  - დაიცავით სტილი (მაგ., ამერიკის ფილოლოგთა ასოციაციის (აფა) სტილი), რომელიც სამოქმედო კვლევის უურნალებშია გამოყენებული.

სურნალის სტილის შერჩევა  
მასწავლებელი მკვლევრები ხშირად მეკითხებიან, ნაშრომის წერისას ან სამოქმედო კვლევის დასაბეჭდად მომზადებისას რა „წესებს“, უნდა მისდიონ. ამ შეკითხვაზე ერთი მარტივი პასუხი არ არსებობს. როგორც წესი, მე შემდეგ ვერსიებს ვთავაზობ:

### სურნალის სტილის შერჩევა

მასწავლებელი მკვლევრები ხშირად მეკითხებიან, ნაშრომის წერისას ან სამოქმედო კვლევის დასაბეჭდად მომზადებისას რა „წესებს“, უნდა მისდიონ. ამ შეკითხვაზე ერთი მარტივი პასუხი არ არსებობს. როგორც წესი, მე შემდეგ ვერსიებს ვთავაზობ:

- შეარჩიეთ უურნალი, სადაც თქვენ მიერ დაწერილი ნაშრომის გამოქვეყნებას გეგმავთ და იქ დაცულ წესებს მიყევით. ლოგიკა შემდეგია: თუკი უურნალმა მსგავსი წესებით დაწერილი სტატია გამოაქვეყნა, მაშინ, სავარაუდოდ, მიბაძვით შექმნილ თქვენს ვერსიასაც გამოაქვეყნება!
- გამოიყენეთ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის სახელმძღვანელო გამოქვეყნებისათვის (მე-5 გამოცემა), იმავე აფა-ის სტილის სახელმძღვანელო. ჩვენთვის, ვინც ვცდილობთ, ნაშრომები განათლების საკითხებისადმი მიძღვნილ უურნალებში გამოვაქვეყნოთ, აფა-ის სტილი ვყელაზე ფართოდ მიღებული და აღიარებულია.

მიუხედავად იმ საშიშროებისა, რომ შეიძლება, 412-გვერდიანი სახელმძღვანელოს ზედმეტად გამარტივება მოხდეს, ქვემოთ იმ ძირითად წესებს ჩამოვთვლი, რომ-ლებიც თქვენი ნაშრომის წერისას უნდა გამოიყენოთ. თუკი რაიმეში ეჭვი შეგეპარათ, სახელმძღვანელოს მიმართეთ. მე მხოლოდ იმ წესებს შეგახსენებთ, რომლებიც ჩვენს კოლეგა მასწავლებელ მკლევრებს ვყელაზე მეტად აწუხებთ.

## აფა-ის სახელმძღვანელოს წესები

### პუნქტუაცია

- წერტილი: გამოიყენება ყოველი დასრულებული წინადადების ბოლოს;
- მძიმე: გამოიყენება სამ ან უფრო მეტ, ერთმანეთის მიყოლებით მოცემულ ელემენტებს შორის;
- წერტილ-მძიმე: გამოიყენეთ მაშინ, როდესაც გსურთ, ორი დამოუკიდებელი წინადადება, რომლებიც კავშირით არ არიან დაკავშირებულნი, დაა-ცალკევოთ.
- ორწერტილი: გამოიყენება შესავალი წინადადების ან ამხსნელი ფრაზისა თუ წინადადების ბოლოს;
- ტირე: გამოიყენება წინადადების უცაბედად გაწყვეტის შემთხვევაში;
- ბრჭყალები: გამოიყენება, როდესაც სიტყვა ან ფრაზა გადატანითი მნიშვნელობით გაქვთ მოყვანილი, გსურთ, სტატიის სათაური და ქვესათაური გამოყოთ, ან 25-სიტყვიანზე ნაკლები ტექსტის პირდაპირი ციტირება გსურთ;
- ფრჩხილები: გამოიყენება სტრუქტურულად დამოუკიდებელი ელემენტის გა-მოსაყოფად, ციტირების მიზნით და აბრევიატურებისათვის.

### მართლწერა

- აფა-ის უურნალებისა და წიგნების შემთხვევაში, მარიამ ვებსტერის საუნივერსიტეტო ლექსიკონი გამოიყენეთ, როგორც მართლწერისათვის სტანდარტული რესურსი;
- შემოწმეთ მეტყველების ნაწილები: წერა, როგორც ზმნა და წერა, როგორც არსებითი სახელი;
- დეფისის გამოყენება: მიმართეთ ლექსიკონს, რომ მიხვდეთ, დეფისის გამოყენება გჭირდებათ თუ არა. მაგალითად, რომელია სწორი ფორმა – follow-up თუ followup?

### აბრევიატურები

- აფა უპირატესობას ანიჭებს, თუკი ავტორების მიერ აბრევიატურები იშვიათად გამოიყენება

## **გამოყენებული ლიტერატურის მითითების სტილი**

- პერიოდული გამოცემა: მილსი, გ.ი., (1999). მასწავლებელთა კვლევა და სწავლების პროცესიული დისპოზიცია. ნიუ-ინგლუენდის მათემატიკური ჟურნალი, 31(2), 5-17.
- წიგნი: მილსი, გ.ი., (2000). სამოქმედო კვლევა: გ ზამკვლევი მასწავლებელი მკვლევრებისათვის. აფერ სედალ რივერი, ნუ: მერილ პრენტის პოლი.
- ონლაინრესურსი: პანსინი, ლ., (2000). სწავლის თანდაყოლილი სურვილი: პირველკლასების მოწაფეების მოტივირება, Networks, 4(2). 15 იანვარი, 2002. <http://www.oise.utoronto.ca/nctd/networks>
- ექსი ან მეტი ავტორის ერთდროულად მითითების დროს გამოიყენეთ “et al.”

სარედაქციო სტილზე ეს მოკლე ჩამონათვალი 138-გვერდიან თავს სრულად ვერ გადმოსცემს! მას შემდეგ, რაც გადაწყვეტო, თქვენს ნაშრომს თუ რომელ ჟურნალში დატეჭდავთ, გაარკიეთ, რომელია თქვენი სტატიისათვის ყველაზე შესაფერისი სტილი. სპეციფიკური დეტალებისათვის აფა-ის სტილის სახელმძღვანელოს სრულ ვერსიას მიძართეთ. თუმცა იმ მასწავლებელი მკვლევრების უმრავლესობა, ვისთანაც მუშაობა მიწევს, ისეთ მარტივ პრობლემებს აწყდებიან, როგორებიცაა: პუნქტუაცია, მართლწერა და გამოყენებული ლიტერატურის მითითება. ამ საკითხებთან დაკავშირებით, მე ზემოთ მოცემულ ჩამონათვალს გთავაზობთ, დანარჩენი დეტალებისათვის კი თავდაპირველ წყაროს მიძართეთ.

## **თქვენი ნაწერის თქვენეული შეფასება**

შემდეგი 8-4 ცხრილი შეგიძლიათ გამოიყენოთ იმისათვის, რომ თქვენი ნაწერი თქვენზე შეფასოთ და გაიგოთ, მზად არის თუ არა ურნალში გასაზარნად. თუკი მე-3 გრაფის მოთხოვნების ყველა კატეგორია დააკმაყოფილეთ, მაშინ თქვენი სტატია პუბლიკისათვის, სავარაუდო, მზად არის. ახლა განვიხილოთ იმის მაგალითი, ზემოთ ნახსენები ცხრილი თუ როგორ იქნა გამოყენებული სტატიაში: „ეწვეეთ ჩემს ვებგვერდს – უთხრა ობობამ ბუზს“.

**სტატიის შეფასება ცხრილში გამოყენებული კრიტერიუმების გამოყენებით**  
ქვემოთ, ცხრილში მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით, ამ თავში წარმოდგენილი სტატიის შეფასებას შემოგთავაზებთ.

- ა. სტრუქტურა და წესების გამოყენება – 3. სტატიაში მისაღები ფორმატია გამოყენებული და გრამატიკული, მართლწერისა და პუნქტუაციის წესები დაცულია.
- ბ. კვლევის მიზანი – 3. სტატიაში კვლევის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული: „წინამდებარე კვლევის მიზანი დისტანციური სწავლების სამოქმედო კვლევის კლასში მოსწავლეების შედეგებსა და განწყობაზე ინტერნეტ-ტენილოგიებზე დაფუძნებული სწავლების გავლენის აღწერა იყო.“
- გ. მონაცემთა შეგროვება – 3. სტატიაში კარგად ჩანს კვლევაში გამოყენებული მონაცემთა წყაროები: გამოკითხვები, ინტერვიუები, მატრიცა და არტიფაქტები. ამ თავის გაუმჯობესება, მონაცემთა შეგროვების მატრიცის ჩართვით, შეიძლება (იხილეთ III თავი).

კატეგორია	1	2	3
ა. წესების დაცვა	<ul style="list-style-type: none"> <li>ნაშრომში არანაირი ფორმატი არ არის დაცული</li> <li>ბევრი გრამატიკული, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომაა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ნაშრომში ნაწილობრივ დაცულია ფორმატი</li> <li>გრამატიკული, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური წესები ზოგადად დაცულია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ნაშრომში ფორმატი დაცულია</li> <li>არ არის დაშეგებული გრამატიკული, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები</li> </ul>
ბ. კვლევის ძირითადი მიზანი	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევის ძირითადი მიზანი ნათლად არ ჩანს</li> <li>კვლევის საგანი ძალიან ზოგადია (მაგ., ონლაინსწავლა კარგია?)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევის მიზანი ან ძალიან ზოგადი, ან ძალიან უმიზვენელოა</li> <li>კვლევის საგანი კარგად არ არის ჩამოყალიბებული (მაგ., რა შედეგი აქვს ონლაინ-სწავლას?)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული ("კვლევის მიზანი, რომ...")</li> <li>კვლევის საგანი ცხადი და ადეკვატურია (მაგ., ინტერნეტ-ტექნილოგიებზე დაფუძნებულ სწავლებას მოსწავლეების შედეგებზე რა გავლენა აქვს?)</li> </ul>
გ. მონაცემთა შეგროვება	<ul style="list-style-type: none"> <li>მონაცემთა წყაროები არ არის ნახელი</li> <li>მონაცემთა წყაროები კვლევის საგანს არ შეესაბამება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მრავალფეროვანი მონაცემების მოპოვების წყაროები ნათლად არის მითითებული</li> <li>მონაცემთა წყაროები კვლევის საგანს დაახლოებით შეესაბამება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მრავალფეროვან მონაცემთა წყაროები ნათლად არის მითითებული და სახეზეა მონაცემთა ტრიანგულაციის მცდელობა</li> <li>მონაცემთა სხვადასხვა წყაროა გამოიყენებული</li> <li>მონაცემთა წყაროები კვლევის საგანს დაახლოებით შეესაბამება</li> </ul>
დ. ლიტერატურის მიმოხილვა (იხილეთ II თავი „როგორ დავწეროთ ლიტერატურის მიმოხილვა“, რომ მიიღოთ ამ ნაწილის დაწერასთან დაკავშირებული რჩევები	<ul style="list-style-type: none"> <li>არ არის მცდელობა, რომ ნაშრომი არსებულ კვლევებთან დაკავშირებული იყოს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ციტირებულია ხუთი უახლესი წყარო (ბოლო 3 წლის განმავლობაში)</li> <li>ციტირებულია ერთი ან ორი წყარო, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება კვლევას</li> <li>ერთი ან ორი წყარო შეცდომით არის ციტირებული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ხუთი ან მეტი უახლესი წყაროა ციტირებული</li> <li>არარეგულანტური წყაროები არაა ციტირებული</li> <li>ციტირება წესების დაცვით არის გაკეთებული, აფა-ის ან სრგა სტილის მოთხოვნების დაკმაყოფილებით</li> </ul>
ე. კონტექსტი	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევა კონტექსტში არ არის ჩასმული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევა კონტექსტში ჩასმულია, მაგრამ ბუნდოვნად</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კონტექსტი კარგად დაწერილია და მეოთხეველს ინფორმაციას აწევდის იმის შესახებ, თუ კვლევა სად განხორციელდა</li> </ul>
ვ. წერის სტილი	<ul style="list-style-type: none"> <li>ნარატივი რთულად წასაკითხია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ნარატივში ქვესათაურებია გამოიყენებული, რომელიც მკითხველს ეთხვაში ექმარება</li> <li>ავტორის მიერ უარგონია გამოიყენებული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ნარატივი ცხადი, თანმიმდევრული და მეოთხეველსათვის იოლად წასაკითხია</li> <li>თითოეული განცხადება ფაქტებით არის გამჟღვებული (მაგ. წინამდებარე თავში გამოიყენებული სტატია)</li> </ul>

ზ. სამოქმედო გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>არ ჩანს ქმედება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამოქმედო გეგმის კომპინენტები გამოტოვებულია ან შეცდომით არის ჩამოყალიბებული</li> <li>• მონაცემთა ანალიზსა და სამოქმედო გეგმას შორის კავშირი ბუნდოვანია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კავშირი კვლევის შედეგებსა და შემოთავაზებულ ქმედებებს შორის ნათელია (მაგ., სამოქმედო გეგმა შემდეგნაირად უნდა იწყებოდეს: „კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შემდეგი ცვლილებები უნდა განხორციელდეს...“)</li> </ul>
-----------------------	---	--	---

### 8-3 ცხრილი. სამოქმედო კვლევის დაწერის კრიტერიუმები

- დ. გამოყენებული ლიტერატურის მიმთხოვა – 3. სტატიას იმ ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა ერთვის თან, რომელიც კვლევის მიზანთან უშუალო კავშირშია. კერძოდ, მიმოხილვაში ონლაინკურსების სინქრონიულ და ასინქრონიულ კომპონენტებსა და მათთან დაკავშირებულ სირთულეებზეა ყურადღება გამახვილებული. ეს ნაწილი ქვეთავებად შეიძლება დაიყოს ან ლიტერატურის მატრიცა დაემატოს, რათა მკითხველის დაკვალიანება უფრო კარგად შევძლოთ (იხილეთ II თავი).
- ე. კონტექსტი – 3. სტატიაში კვლევის ზოგადი კონტექსტია მოცემული და ახსნილია ის, თუ პროექტთან – „სწავლა ყველგან და ყოველთვის“ – როგორ არის დაკავშირებული.
- ვ. წერის სტილი – 3. ნარატივი მკითხველისათვის იოლად წასკითხი და აღსაქმელია.
- ზ. სამოქმედო გეგმა – 3. სტატია სამოქმედო გეგმას გვთავაზობს, რომელიც ონლაინსწავლებისა და სწავლის დასკვერისადმი მიძღვნილი კვლევის მომდევნო ნაბიჯების კონკრეტულ მონახაზს გულისხმობს. ნაჩვენებია ის კავშირი, რომელიც მონაცემებსა და სავარაუდო სამომავლო ცვლილებებს შორის არსებობს.

მას შემდეგ, რაც თქვენი ნაწერის მეორე სამუშაო ვერსიას დაასრულებთ, ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით შეამოწმეთ, ხართ თუ არა მზად, თქვენი ნაშრომი სხვებსაც გააცნოთ.

### სრულების, კვლევისა და ცერის ინტეგრირება

პრაქტიკაში მასწავლებლები ყოველდღიურად რთული ამოცანის წინაშე დგანან – მათ თავიანთი მოსწავლეები 8-საათიანი სწავლებისათვის უნდა განაწყონ. ყველაფერი ამით არ მთავრდება – ყოველივე ამას თან ახლავს დაგეგმვა, შეფასება, საკლასო ოთახის მოწერიება, ორგანიზება, პროფესიული განვითარება და მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მონაწილეობით კონფერენციების მოწყობა. შესაბამისად, გასაკვირი არ არის მასწავლებლ მკვლევართა წუხილი, რომ წერისათვის საქმარისი დრო არ რჩებათ.

თუ წერა მასწავლებლი მკვლევრების ცხოვრების ნაწილს არ შეადგენს, რითი შეგვიძლია მათი წახალისება და გამხნევება? ცოტა ხნით წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ რაღაც ამბის მოყოლა გსურთ; ამისათვის საჭიროა გამონახოთ დრო, რათა ეს ამბავი

დაინტერესებულ აუდიტორიას მოუთხროთ და ასევე, შეძლოთ, რომ ეს ყველაფერი სიამოვნებით გააკეთოთ. მაშ ასე, როგორ უნდა შევეცადოთ, დრო იმის დასაწერად გამოვნახოთ, რისი გაზიარებაც თანამოაზრებისათვის გვინდა?

ჩემი აზრით, საიდუმლო სწავლების, კვლევისა და წერის ინტეგრირებაშია. ჩემი ნაცნობი მასწავლებელი მკვლევრების შემთხვევაში მათ ეს სირთულე გადალახეს იმით, რომ წერა ყოველდღიურობის ნაწილად გადააქციეს. აქ არ იგულისხმება ის, რომ ისინი წერას ბევრ დროს უთმობენ. პირიქით, ისინი წერენ ცოტ-ცოტას, მაგრამ ყოველდღე. მოდით, ის შემოქმედებითი სტრატეგიები ჩამოვთვალოთ, რომელთაც მასწავლებელი მკვლევრები იყენებენ, რათა წერისათვის საჭირო დრო გამოყო.

- უურნალის შევსების დრო – ბევრი მასწავლებელი მოსწავლეებს ე.წ. უურნალის შევსების დროს ყოველდღიურად უყოფს. ხშირად მასწავლებელი მკვლევრები ამ დროს იმისათვის იყენებენ, რომ საკუთარი კვლევა დაწერონ. გარდა ამისა, ის მასწავლებლები, რომლებიც ამ ხერხს ხშირად მიმართავენ, აცხადებენ, რომ, თუკი „უურნალის შევსების დროს“ ისინი თავიანთ მოსწავლეებს წერის მაგალითს აძლევენ, მაშინ ეს უკანასკნელიც წერას უფრო მეტ დროს უთმობენ. უურნალი ან ჩასანიშნი იოლად ხელმისაწვდომ ადგილას იქნიეთ. კარგია, თუკი თქვენს მოსაზრებებს სკოლაში ყოფნის დროსვე გააკეთებთ, როდესაც საუბრისაგან თუ დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ ახალია.
- „შესვენების დრო“ სკოლაში – იშვიათად მასწავლებელი მკვლევრები წერისათვის დროის დათმობას ახერხებენ მაშინ, როდესაც მოსწავლეებთან ან კოლეგებთან უშუალო შეხება არ აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს ამის ხშირად გაკეთებას არ ვურჩევ, სამუშაო დღის განმავლობაში წერისათვის ამ გზით დროის დათმობა შეიძლება ეფუძლური აღმოჩნდეს.
- პროფესიული განვითარების დღეები – ბევრ სკოლაში იმის პრაქტიკა არსებობს, რომ სკოლებში ერთი დღე მასწავლებელს პროფესიული განვითარებისათვისაა გამოყოფილი. მასწავლებელ მკვლევრებს შეუძლიათ, თავიანთი სკოლის ადმინისტრაციას მოელაპარაკონ, რომ ამ დღის გარკვეულ ნაწილს სწორედ წერას დაუთმობენ. მათი ეს მოთხოვნა, შესაძლებელია, იმ შემთხვევაში უფრო გამყარდეს, თუკი მასწავლებელი მკვლევრები სამოქმედო კვლევას მათი წლიური შეფასების ნაწილად გადააქციებენ.
- დასკვნების დღეები – სასკოლო დასვენების დღეებში წერისათვის თუნდაც ერთი დღის გამოყოფა ამოცანის შესრულებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ჩემი ბევრი ნაცნობი მასწავლებელი დასკვნების ერთ დღეს საკლასო ოთახის მოწესრიგებას უთმობს. შეგიძლიათ, მსგავს პრიორიტეტია სწორედ წერა გადააქციოთ.
- დრო, რომელიც გრანტის წერისათვის არის გამოყოფილი – ისეთი პროფესიული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტები, როგორებიც კითხვის საერთაშორისო ორგანიზაცია და მათგატიკის მასწავლებელთა ეროვნული საბჭოა, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს იმ მიზნით, რომ მასწავლებლებმა კვლევის წერასა და გამოქვეყნებას მეტი დრო დაუთმონ. კითხვის საერთაშორისო ორგანიზაციის გრანტი „მასწავლებელი, როგორც მკვლევარი“ ([http://www.reading.org/association/awards/research\\_teacher\\_as\\_researcher.html](http://www.reading.org/association/awards/research_teacher_as_researcher.html)) პრაქტიკოსი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას

უწყობს ხელს. გრანტი შეიძლება გაიცეს (აშშ) \$5000-იანი პროექტებისათვის, თუმცა პრიორიტეტი მცირე პროექტებს ენიჭება (\$1000-\$2000), რათა რაც შეიძლება მეტ მასწავლებელ მკლევარს გაეწიოს დახმარება. შევსებული სააპლიკაციო ფორმები ყოველი წლის 15 იანვრამდე უნდა გაიგზავნოს. ამის მსგავსად მათემატიკური განათლების ფონდის მხარდაჭერით მათემატიკის მასწავლებელთა ეროვნული საბჭოს მიერ გაიცემა ედუარდ ჯ. ბეგელის გრანტი. იგი კლასში განხორციელებული ერთობლივი კვლევისათვის \$8000-ს გასცემს. კვლევა დაწყებით კლასებში მათემატიკურ განათლებას უნდა ეხებოდეს. საგრანტო განაცხადები მათემატიკის სწავლების შემოქმედებით და ინოვაციურ გზებს უნდა იხილავდეს. ერთ-ერთი მოთხოვნა გახლავთ ის, რომ პროექტი მათემატიკაში უნივერსიტეტის დაქტორისა და სკოლის მასწავლებლის მიერ ერთობლივად უნდა განხორციელდეს (<http://www.nctm.org/about/net/begle.html>).

## რა მოცულობის უნდა იყოს ნაშრომი ?

ეს შეკითხვა აქტუალურია იმ მასწავლებელი მკვლევრებისათვის, რომელთაც აკადემიური კრედიტის მისაპოვებლად თავიანთი სამოქმედო კვლევის დაწერა მოეთხოვებათ. ჩემი პასუხი „გააჩნია შემთხვევას“, როგორც წესი, არცთუ ისე გამოსადევგია. მაგრამ მაინც, ნაშრომის მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მასშტაბისა და ტიპისაა კვლევა, როგორია აუდიტორია, დასაწერად რა დროა გამოყოფილი, რას მოითხოვს პროფესორი სილაბუსში და რა არის რეკომენდებული იმ ჟურნალის მიერ, რომელშიც თქვენი ნაშრომის გამოქვეყნებას გეგმავთ.

## ნაშრომის ჟურნალის რედაქციაში ჩაბარება

წარმოგიდგინოთ, რომ უკვე შერჩეული გაქვთ ის ჟურნალი, რომელშიც თქვენი ნაშრომის დაბეჭდვას გეგმავთ. ჟურნალის სტატიის საშუალო მოცულობა, როგორც წესი, 2500-იდან 3500 სიტყვამდე, რაც, სავარაუდოდ, 2-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე საშუალო „საექსიო ნაშრომი“ (დაახლოებით 6-იდან 10 გვერდამდე, ხაზებს შორის ორმაგი ინტერვალი, 8 1/2 X 11). ნაწერის მოცულობაზე ბევრს ნუ იფიქრებთ. მახსოვეს, როგორ შევშფოთდი, როდესაც ამ წიგნის პირველი გამოცემის გასაკეთებლად კონტრაქტი მივიღე, სადაც ეწერა, რომ წიგნი დაახლოებით 90000 სიტყვიანი უნდა ყოფილიყო. ვერაფრით წარმომედგინა, რომ ერთ თემაზე 90000 სიტყვის დაწერას შევძლებდი, მაგრამ, როგორც უკელა მასწავლებლისათვის, ჩემივე კვლევის შესახებ საუბრი (და, შესაბამისად, წერაც) არცთუ ისე რთული აღმოჩნდა. თუკი თქვენ თქვენს ამოცანას მცირე ნაწილებად დაყიფთ (მონახაზის ან შინაარსის მიხედვით), ეს უკანასკნელი უფრო იოლად შესასრულებელი გახდება.

## ნაშრომის გავრცელება ადგილობრივ კოლეგებში

თქვენი ნაშრომის მოცულობა თქვენს აუდიტორიაზეც არის დამოკიდებული. მაგალითად, თუკი გინდათ, რომ თქვენი ნაშრომი სკოლაში თქვენს კოლეგებს გაუზიაროთ, მაშინ ერთ- ან ორგენერდიანი რეზიუმე საკმარისი იქნება. ასევე, თუკი თქვენს ნაშრომს სკოლის საბჭო, დირექტორი ან მშობელთა და მასწავლებელთა საბჭო უნდა გაეცნოს, მაშინ მოკლე შინაარსი საკმარისი უნდა იყოს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ნაშრომს წარადგენთ პროფესიული განვითარების სემინარზე ან კონფერენციაზე, მაშინ მოცულობა შეიძლება 1000-იდან 2000 სიტყვამდეც კი

იყოს. საბოლოოდ, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, მოხდა თუ არა ნაშრომით საკმარისი ინფორმაციის, კონტექსტისა და დეტალების მიწოდება იმისათვის, რომ თვითონ ნაშრომის შინაარსი გასაგები გახდეს. თუკი ამ სიცავადეში ეჭვი გეპარებათ, მაშინ, ჯობია, ნაკლები დეტალები ჩართოთ და სანაცვლოდ მკითხველს მთლიანი სურათი მიაწოდოთ.

### უკუკავშირის ძიებაში

ჩემი რჩევა იქნება, უკუკავშირი თქვენი მეგობრებისა და კოლეგებისაგან მოიძიოთ, თუმცა გახსოვდეთ ერთი რამ: როცა მათგან უკუკავშირს ითხოვთ, ეს ნიშნავს, რომ მას აუცილებლად მიიღებთ! როგორც წესი, ადამიანები თხოვნის შემთხვევაში უკუკავშირს იძლევინ, მაგრამ თქვენ შეიძლება სულაც არ მოგეწონოთ ის, რასაც ისინი გეტყვიან და ვერც ის მოისაზროთ, შემდგომში რა უნდა მოიმოქმედოთ! უკუკავშირი, რომელსაც, როგორც წესი, ჩემი ოჯახისა და მეგობრებისგან ვიღებ, შემდეგია: „მთელ შენს თავისუფალ დროს რატომ ატარებ წერაში ჩვენთან ერთად ყოფნის ნაცვლად? მე მყავს კოლეგები, რომელთაც ვენდობი. ისინი ჩემთან ერთად მუშაობენ და ჩემს მსგავსდ სამოქმედო კვლევას ასწავლიან. მე ვიცი, რომ, როდესაც მათ უკუკავშირს ვთხოვ, ისინი თავიანთ შეფასებაში ძალიან გულაზდილები არიან. უკუკავშირს ჩემს მოსწავლეებსაც ვთხოვ (ანონიმურად, უსაფრთხოდ რომ იგრძნონ თვი) – ისინი ხომ ჩემი აუდიტორია, რომელზეც ნაშრომის წარმატება თუ წარუმატებლობაა დამოკიდებული.

იდეა მარტივია: სხვადასხვა აუდიტორია განსხვავებულ უკუკავშირს მოგცემთ, რამაც უკეთესი პროდუქტის შექმნას შეიძლება შეუწყოს ხელი. ეს პროცესი ყველაზე კარგად ისეთი კომერციული სახელმძღვანელოების შექმნისას მუღავნდება, როგორიც წინამდებარე წიგნია. გამომცემლები იმ ექსპერტებს ქირაობენ, რომლებიც ტესტს გრამატიკულად და შინაარსობრივად ამოწმებენ. მაგრამ მასწავლებელი მკვლევრებისათვის უკუკავშირის მოძიება უფრო პრაგმატული საქმიანობა უნდა იყოს. თქვენი ნაშრომი თქვენზე უკეთ არავის ეცოდინება, შესაბამისად, შინაარსის მართებულობის შესწორება თქვენი პრეროგატივაა. უკუკავშირი კი შემდეგ დეტალებთან დაკავშირებით უნდა მოიძიოთ:

- იძლევა თუ არა ნაშრომი კვლევის საერთო სურათს?
- არის თუ არა ტექსტი მკითხველისათვის იოლად წასკითხი?
- არის თუ არა ნაშრომი საინტერესო?
- ამ ნაწერის წაკითხვის სურვილი ვინმეს (გარდა ახლობელი ადამიანებისა) გაუჩინდება?

და ბოლოს: ნუ გექნებათ მოლოდინი, რომ თქვენი მეგობრები და კოლეგები (ასევე, პროფესიონერები) ტექსტს რედაქტირებას გაუკეთებენ. სანამ მათ სამუშაო ვერსიას გადაუგზავნიდეთ, დარწმუნდით, რომ ტექსტში ელემენტარული გრამატიკული და პუნქტუაციური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, არის იმის შესაძლებლობა, რომ მათი ყურადღება უფრო ნარატივის სტრუქტურას დაეთმოს, ვიდრე თვითონ ამბავს.

როგორი სამაური უნდა შევარჩიოთ?

ჩემი რჩევა იქნება, რომ სათაურის შერჩევას შემოქმედებითად მიუდგეთ. სავარ-

აუდოდ, თითოეული ჩვენგანი სათაურის მნიშვნელობას, მკითხველების მოზიდვის თვალსაზრისით, სათანადოდ არ ვაფასებთ. თუკი მკითხველი სათაურით ვერ და-გაინტერესეთ, აღბათ, ნაკლები შანსია იმისა, რომ მას ამბის წაკითხვის სურვილი გაუჩნდეს. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები სათაურის მნიშვნელობისა და როლის ილუსტრაციას ახდენენ:

### ის ოღად დასამახსოვრებელია!

ჩემი ერთ-ერთი მეგობრის საქმიანობა საგრანტო აპლიკაციების კითხვას გულისხ-მობს. გრანტის წარმატებულად დასაწერად მან შემდეგი რჩევა მომცა: ეცადე, რომ სათაური ან აქრონიმი მკითხველისათვის იოლად დასამახსოვრებელი იყოს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მკითხველი ზედაპირულია და მხოლოდ სათაურის მიხედვით აკეთებს არჩევანს; თუმცა მათ ყურადღებას, პირველ რიგში, ეფექტური სათაური იძყრობს და, შესაბამისად, უფრო დიდი აღბათობაა, წასაკითხად სწორედ ასეთი სათაურის მქონე სტატია შეარჩიოს. ამასთან დაკავშირებით, თქვენ შეიძლება შემდეგი რამ გაიფიქროთ: „ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ ტექსტის ავტორს ხომ არაფერი გაეგება. მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ თავის წიგნს შთამბეჭდავი სათაური შეურჩია!“ მასის როგორ განვიხილავი ჩემი წიგნის სათაურს ჩემს მეგობარსა და მენტორთან, პარი ვოლკოლთან. მან მირჩია, რომ წიგნის შინაარ-სის მოკლე აღწერის რამდენიმე ვერსია გამეცემულინა და ბოლოს ეფექტურად გამერთიანებინა. სახელმძღვანელოს ან ურნალის სტატიის შემთხვევაში, ისეთი სათაურის შერჩევა მოგიწევთ, რომლის მოძიება ერთი საკვანძო სიტყვით იქნება შესაძლებელი. წიგნის სათაურთან დაკავშირებით ჩემი მეგობრებისაგან შემდეგი ტიპის შემოთავაზებებს ვიღებდი: „შუქი, კამერა: სამოქმედო კვლევა!“ ბევრი ჩემ მიერ დაწერილი საკონფერენციო ნაშრომისათვის თვალის დამატებელებელი სათაური გამოვიყენე, მაგალითად როგორიცაა: „ეწვიე ჩემს ვებგვერდს – უთხრა ობობამ ბუზს: ვირტუალური პროფესორის განაზრებანი ცხოვრებაზე“, „მოლაპარ-აკე თავები და ტექნოგვერდები: მოსაზრებები დისტანციური სწავლების სამაგ-ისტრო პროგრამის განვითარების შესახებ“, და „კატების მწყემსა და უელატინის კედელზე დამაგრება: რას ნიშნავს, იყო განათლების ფაულურტეტის ხელმძღვანელი“. თქვენ ასევე შემჩნევდით, რომ სათაურში ხშირად ორწერტილს ვიყენებ. სათაუ-რი იწყება ეფექტური წინადადებით და მოსდევს ორწერტილი ქვესათაურებით, რომელთა საშუალებით უფრო ნათელი ხდება ის, თუ რის შესახებ არის ნაშრომი. ჩემთვის სათაურის შერჩევა სახალისო პროცესია და ვიმედოვნებ, რომ მათი კითხვა მკითხველსაც ახარებს, იმ დონეზე მაინც, რომ ისინი ჩემი ნაშრომის წაკითხვას პრველ რიგში გადაწყვეტინ.

### ძირითად იდეაზე ფოკუსირება

სათაურის უფრო პრაქტიკული დატვირთვა ისაა, რომ მან შესაძლებელია, თქვენი ნაწერი ძირითადი იდეით უზრუნველყოს. მაგალითად, ჩემი სტატიის სათაური იყო იოლად დასამახსოვრებელი და, ამავე დროს, ჩემი ნაწერის ძირითადი ფოკუსი. კერ-ძოდ, ქვესათაურის – „ვირტუალური პროფესორის განაზრებანი ცხოვრების შესახებ“ – წყალობით წერის პროცესში მთავარ იდეაზე ფოკუსირებას ვახერხებდი. ეს ქვესა-თაური მუდმივად მახსენებდა, რომ ვწერდი იმაზე, თუ როგორია იყო „ვირტუალური პროფესორი“. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სათაური წერის პროცესში იც-ლება – რაც იმს ნიშანია, რომ ავტორი სწორედ წერის პროცესში იაზრებს უკე-ქსად კვლევის მთავარ იდეას.

## ტექსტის დახვეწის

წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ უკვე მზად ხართ, თქვენი ნაშრომი დასაბეჭდად ან პრეზენტაციისათვის ჩააბაროთ; შესაბამისად, გსურთ, რომ ტექსტის საბოლოოდ გადაავლოთ თვალი და რაც შეიძლება კომპაქტური გახადოთ იგი. ვოლკოტი (2001) საინტერესო ანალოგიას გვთავაზობს, იმ მიზნით, რომ პროცესი უფრო იოლად წარიმართოს:

ერთ-ერთი საუკეთესო რჩევა მათთვის, ვინც წერს, ანალოგიურია შეზღუდული უნარ-შესაძლებლობების მქონე ადამიანთა საგარდლის აწყობის ინსტრუქციისა: დარწმუნდეთ, რომ ყველა ნაწილი თვის ადგილზეა, სანამ საგარენელს მთლიანად შეკრავთ. (გვ.109)

მე საგარენელი არასდროს ამიწყვია, მაგრამ მსგავსი ანალოგია შეიძლება გაკეთდეს ხორცის შესაწვავი მოწყობილობის (ბარბექიუს გრილის) აწყობის ინსტრუქციასთან: უნდა დარწმუნდეთ, რომ გრილი სრულადაა აწყობილი და მხოლოდ ამის შემდეგ აანთეთ იგი“.

თუკი საგარდლისა და გრილის აწყობის მეტაფორას ტექსტის დასვეწის ამოცანას მივუსადაგებთ, გამოვა, რომ ნარატივის (ინსტრუქციების!) წაკითხვას საკმარისი დრო უნდა დავუთმოთ და ყველა დეტალს მივაქციოთ ყურადღება. ნარატივზე მუშაობასა და ნაშრომის დასაბეჭდად გამზადებას სიჩქარე არ უყვარს. თქვენ უამრავი დღე, კვირა თუ თვე დახარჯეთ სამოქმედო კვლევის წერაში და უკვე ძალიან ახლოს ხართ პიროვნულ და პროფესიულ მიზანთან. შესაბამისად, ერთი სული გაქვთ, გარეთ როდის გაიტანთ თქვენს ნაშრომს. ამიტომ ახლა იმის დრო არ არის, რომ დაუფიქრებლად მოიქცეთ და ბარბექიუ აანთოთ მაშინ, როდესაც თვითონ გრილი ბოლომდე აწყობილი და გამართული არა! საკმარისი დრო დაუთმეთ იმას, რომ ტექსტი სიტყვასიტყვით შეამოწმოთ და ყველაფერი, რაც ზედმეტია, წაშალოთ (ვოლკოტი, 2001, გვ. 116). წინამდებარე თავში შევეცადე, მარტივი რჩევები შემომეთავაზებინა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ვწეროთ. ვერაფერი ჩაენაცვლება შეუდრევებულ შრომას, როდესაც საქმე წერას ხეება. თქვენი თავდადება, რომ თქვენი მოსაზრებები სხვებისთვისაც ხელმისაწვდომი გახადოთ და ის დადებითი გავლენა, რომელსაც თქვენს მოსწავლეებსა და კოლეგებზე მოახდენთ, თქვენთვის საბოლოო ჯილდო იქნება.

## მოკლე შეჯამება

წინამდებარე თავში მასწავლებელი მკვლევრების შესაძლო მოტივირების საკითხი განვიხილავ; ასევე იდენტიფიცირებულ იქნა ის გამოცემები (ტრადიციული და ელექტრონული ურნალები), სადაც სამოქმედო კვლევები იჩენდება. აქვე თახდართულია სამოქმედო გეგმის ანოტირებული მაგალითი და თვითშეფასების ცხრილი, რათა შესაძლებელი გახდეს მასწავლებელი მკვლევრების ნაშრომთა უურნალის ძირითად მოთხოვნებთან შედარება. მაგალითად, უურნალის რედაქტირაში სტატიის დასაბეჭდად ჩაბარებისას მასწავლებელმა მკვლევრებმა შემდეგ საკითხებს უნდა მიაქციონ ყურადღება: კვლევის კონტექსტს; გასაგებ, ოღალდ აღსაშემლ წერის სტილს; მოკლედ აღწერას იმისას, კონკრეტულად თუ რა გაკეთდა მთ მიერ; გულახდილ ნაწერს; „უურნალის“ სტილის დაცვას; წერის ისეთ სტილს, რომელიც მოსწავლეების ყურადღებას დაატყვევებს.

ამავე თავში იმ ძირითადი პუნქტების ჩამონათვალია მოცემული, რომელიც სამოქმედო კვლევის ანგარიშის აუცილებელი ნაწილებია:

- საკვლევი თემა
- ლიტერატურის მიმოხილვა
- ცვლადების განმარტება
- საკვლევი კითხვა
- სიახლე, რომელიც კვლევაშ უნდა მოიტანოს
- მონაცემთა შეგროვება
- მონაცემთა განხილვა ( მათი ვალიდურობა, სანდოობა და ეთიკა)
- მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია
- სამოქმედო გეგმა

თავში მოცემულია „საუურნალო“ წერის სტილის მიმოხილვა, რომელიც წერის სხვადასხვა, უკვე აღიარებულ ფორმატს ეფუძნება; ამ უკანასკნელთა წარდგენას ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის სახელმძღვანელო გამოსაქვეყნებლად (მე-5 გამოცემა) აკეთებს.

და ბოლოს, თავში მოცემულია რჩევები, მასწავლებელმა მკვლეერებმა სწავლების, კვლევისა და წერის ინტეგრირება მათსავე პროფესიულ ცხოვრებასთან თუ როგორ უნდა მოახდინონ. მაგალითად, ხდება მათი წარხალისება, რათა უურნალის შეგსებისა და შესვენებების დროს, პროფესიული განვითარებისა და დასვენების დღეებში, ასევე გრანტით ანაზღაურებულ საათებში ყველანაირი შესაძლებლობა გამოიყენონ, დაძაბული პროფესიული ცხოვრების გარკვეული დრო წერას დაუთმონ.

## შემდგომი განსჯისთვის

1. ჩამოთვალეთ „რიტუალები“, რომელიც თქვენ მიერ განხორციელებულ წერის პროცესს ახლავს თან; ჩამოაყალიბეთ, როგორ გეხმარებათ (ან პირიქით, ხელს გიშლით) ეს რიტუალები წერაში.
2. დაწერეთ თქვენი სამოქმედო კვლევის მონახაზი; ჩართეთ ამ თავში განხილული პუნქტები და თან დაურთეთ მოკლე აღწერა იმისა, თუ რაზე ისაუბრებთ თითოეულ ნაწილში.
3. შეისწავლეთ შემდეგ უურნალებში მოცემული რჩევები ავტორებისათვის და გადაწყვიტეთ, რომელ უურნალში გსურთ თქვენი ნაშრომის გამოქვეყნება: Netvorqs-ი: ონლაინურნალი მასწავლებელი მკვლევრებისათვის, ქმედება, რომელიც რეფლექსის საშუალებას იძლევა, საგანმანათლებლო სამოქმედო კვლევა, საერთაშორისო სამოქმედო კვლევა.
4. წერის პროცესი დროში გაწერეთ და მისდიეთ მას!

# მოქმედების კვლევის ონლაინგაზიარება, კრიტიკა და აღიარება

მასწავლებელი მკვლევრებისათვის მე-7 თავში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა მოხდეს მოქმედების დაგეგმვა ისე, რომ სფეროში არსებული კველა მიგნება და ცვლილების განხორციელების კველა შესაძლო წინააღმდეგობა გათვალისწინებულ იქნეს. წინამდებარე თავში კი განხილულია: ის გზები, რომელთა საშუალებით უნდა მოხდეს სამოქმედო კვლევის სხვებისათვის გაზიარება; კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით სამოქმედო კვლევის შეფასება უნდა განხორციელდეს; ასევე ჩვენი პროფესიული ზრდის აღიარების მნიშვნელობა და სამოქმედო კვლევის შესახებ არსებული ონლაინ რესურსების გამოყენების წესები.

ამავე თავშია განხილული ის დადებითი მხარეები, რომლებიც სამოქმედო გეგმის სხვებისათვის გაზიარებას ახლავს თან. საუბარია ტრადიციულ, რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების აღტერნატივაზეც – ტექსტის ელექტრონული ფორმატით პუბლიკაციაზე. ეს უკანასკნელი სამოქმედო გეგმის სხვა მასწავლებლებისა და კოლეგებისათვის გაზიარების განსხვავებულ შესაძლებლობას გულისხმობს.

მასწავლებელმა მკვლევრებმა თავიანთი საქმიანობა უნდა დააფასონ და სამოქმედო კვლევა პროფესიული ზრდის განუყოფელ ნაწილად აქციონ. მათ ასევე მოვუწოდებთ, რომ ინტერნეტში არსებული რესურსები, სამოქმედო კვლევის ვებგვერდების, ელექტრონული და ბეჭდვითი ჟურნალების ჩათვლით, კარგად შეისწავლონ.

სამოქმედო გეგმის ანგარიშის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით განხორციელდება: შემოტანილი სიახლის მნიშვნელობა, მეითხველი, ფორმატი, წინასწარი შეხედულებები, პროფესიული დისპოზიციები, რეფლექსური მიდგომა, განხორციელებული ქმედება, ქმედებისა და მონაცემების ურთიერთყავშირი, მოქმედების მუდმივი მონიტორინგი, შეთავაზებული ცვლილებები და სამოქმედო კვლევასთან დაკავშირებით კოლეგების გამოძახილი.

წინამდებარე თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ უნდა შეძლოთ:

1. იმ სტრატეგიების განსაზღვრა, რომელთა გამოყენებას შეძლებთ თქვენი სამოქმედო კვლევის გაზიარებისას;
2. იმის განხილვა, თუ როგორ უნდა შეძლოთ თქვენი პროფესიული ზრდისა და სფეროში შეტანილი წვლილის აღიარება;
3. არსებული ონლაინრესურსების მოძიება, როგორებიცაა: ვებგვერდები, ჯგუფური ელექტრონული გზაგნილები და უურნალები;
4. სამოქმედო კვლევის შესახებ ონლაინსაუბრებში მონაწილეობა ელექტრონული გზაგნილების ჯგუფებში გაწევრიანების გზით;
5. სამოქმედო კვლევის ხარისხის შესაფასებლად კრიტერიუმების განსაზღვრა.

## განაზრებები რეფლექსური სწავლების შესახებ მერი კურტის-გრამლეი

ეს გახლავთ ისტორია უნივერსიტეტის პროფესორისა, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ დაწყებით სკოლაში მუშაობდა კადრების განვითარების კოორდინატორად. ეს ისტორია საშუალებას გვაძლევს, იმ ადამიანის მოსაზრებებს გავეცნოთ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უწევდა კონსულტაციას მასწავლებლებს, რომელთაც თავიათ გაკვეთილებზე სამოქმედო გეგმის/მოაზროვნე პრაქტიკოსის მეთოდის გამოყენების საკითხი აიხტერესებდათ. ეს ისტორია ასევე საშუალებას იძლევა, დავინახოთ, რამდენად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სამოქმედო კვლევის ნებისმიერ ეტაპზე – დაგეგმვის, გაზიარების, კრიტიკისა თუ შედეგების აღიარების დროს!

1996-1997 სასწავლო წელს დაწყებით სკოლაში, სადაც 310 მე-5 კლასები მოსწავლე სწავლობდა, ნებ-ნებად სამოქმედო კვლევის პრაქტიკის განხორციელება დაიწყო, რამაც საშუალება მოგვცა, საკუთარი თავი უკუთ გაგვეცნო, როგორც მკვლევრებს, და, ამავე დროს, პრაქტიკოსებს, რომელთაც ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გვესწავლა. გარდა ამისა, მიღებულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ სამოქმედო კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების წარდგენის

დროს ძალიან მნიშვნელოვანია ერთმანეთთან თანამშრომლობა. რამდენიმე ეპიზოდი ჩვენი გამოცდილებიდან დაგვეხმარება, მის მნიშვნელობას გაფუსვათ ხაზი.

მე, როგორც კადრების განვითარების საინიციატივო ჯგუფის წევრი, მონაწილეობას პროექტების დიზაინსა და განხორციელებაში ვიღებდი. მასწავლებელთა გარკვეული ჯგუფისათვის სამოქმედო კვლევის განხორციელების დროს ერთ-ერთი მთავარი სირთულე პირველი ეტაპის

გადალახვა იყო: საკვლევი კითხვისა და პრობლემის განსაზღვრა. ამ მნიშვნელოვან მომენტში ფასილიტატორის როლი იმით გამოიხატებოდა, რომ მასწავლებლებს დამარტინდა მათთვის საინტერესო შეკითხვების ჩამოყალიბებაში, ისე, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი კითხვებში ყოფილიყო ასახული. თუკი გვინდა, რომ სამოქმედო გეგმა სასარგებლო და საინტერესო იყოს, მაშინ დასმული საკვლევი კითხვები იმ ძირითად საკითხებზე უნდა ფოკუსირდებოდეს, რომლებიც მოსწავლეების წარმატებასთან უშუალო კავშირშია.

საკვლევი კითხვის ჩამოყალიბების პროცესი ერთ-ერთმა მასწავლებლებმა საკმაოდ ზოგადი საკითხების წინ წამოწევით დაიწყო, კერძოდ, მის კლასში არსებული დარღვეული გრნდერული ბალანსით. მან თავიდანვე შეატყო, რომ ჯგუფის შემადგენლობა – 14 გოგონა და 7 ბიჭი – მოსწავლეებს შორის ინტერაქციასა და, ზოგადად, კლასში არსებულ განწყობაზე გავლენას ახდენდა. მაგრამ აღნიშნული საკითხი კარგად ფორმულირებული არ იყო და მისი კონკრეტულ საკვლევ კითხვად გადაქცევა გართულდა. „რაღაც ნამდვილად არ არის წესრიგში“ – განაცხადა მან, „მაგრამ ზუსტად ვერ ვსვდები, პრობლემა რა არის და, შესაბამისად, მიჭირს კითხვის ჩამოყალიბება.“ უფრო მეტიც, საკმაოდ რთული აღმოჩნდა იმის განსაზღვრა, პრობლემა ნამდვილად არსებობდა თუ არა, და მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე მართლა უარყოფითად მოქმედებდა თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ თავიდან გაურკვეველი იყო, ეს საკითხი მასწავლებელს აშკარად აწესებდა და აფიქრებდა, ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ, მოსწავლეების კონკრეტულ ქცევებს დაგვაირვებოდით. მასწავლებლების მიერ წარმოებული დაკვირვებების განხილვის შედეგად აღმოჩნდა იმის, რომელიც მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ჯგუფური განხილვებისა თუ სხვა ტიპის საქმიანობის დროს გამოიყენებოდა. ჩვენი განხილვის შედეგად, კომუნიკაციის ფორმის შესახებ საკითხი გამოიკვეთა და ის მასწავლებელი, რომელსაც თავიდან კონკრეტული საკვლევი კითხვის ჩამოყალიბება გაუჭირდა, პროექტში დიდი ენთუზიაზმითა და თავდადებით ჩაერთო. საწყის ეტაპზე თანამშრომლობამ შედეგად ის გამოიღო, რომ საკვლევი კითხვის განსაზღვრა

მოხერხდა, რამაც თავის მხრივ კვლევის დაწყებას და სტრუქტურის ფორმირებას შეუწყო ხელი.

საკვლევი კითხვის ჩამოყალიბებაზე დროის დასარჯვები ნამდვილად ღირდა და ეს იმანაც დაადასტურა, რომ დაწყებითი კლასის მასწავლებლებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, მოსწავლეების მიერ შერჩეულ აქტივობებში ჩართულობის შედეგები გამოეკვლიათ. პრალელური პირველი და მეორე კლასების მასწავლებლებმა ერთობლივად შეიმუშავეს დამოუკიდებლად სწავლის აქტივობები და დილით მოსულ მოსწავლეებს დაახვედრეს. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები აღნიშნულ აქტივობებში დიდი სიამოვნებით ჩაერთნენ, ბოლომდე ცხადი არ იყო, რა სახით ხდებოდა ავთენტიტური სწავლის პროცესისათვის ხელშეწყობა. გარდა ამისა, მასწავლებლებს აწუხებთ ის, რომ ზოგიერთი მოსწავლე მუდმივად ერთსა და იმავე აქტივობას ირჩევდა.

იმ მასწავლებლის მსგავსად, რომელიც თავის კლასში გენდერის პრობლემას იკვლევდა, ამ შემთხვევაშიც, მასწავლებლებს გაუჭირდათ ბუნდოვანი პრობლემის ერთ, კონკრეტულ საკვლევ კითხვად ჩამოყალიბება. იმ მიზნით, რომ მათ კითხვის უფრო ცხადად განსაზღვრაში დავხმარებოდი, დამიუკიდებლად სწავლის აქტივობების დროს განხორციელებულ დაკვირვებებში მივიღე მონაწილეობა. ამ დაკვირვებებმა და მოსწავლეების მიერ გაკეთებული არჩევანისა და მათი აქტივობებში მონაწილეობის შესახებ მასწავლებლებთან გამართულმა დისკუსიებმა მთავარი კითხვა გამოავლინა: „დამოუკიდებლად სწავლის დროს არჩეული აქტივობები იყო თუ არა რაიმეთი ფასეული და თუ იყო, მათი ფასეულობა როგორ გამოიხატებოდა?“ მიუხედავად იმისა, რომ ეს ზოგადად დასტური შეკითხვა იყო, ჩვენ გადავწყვიტეთ, გაგვეანალიზებინა ის პრობლემები, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლის აქტივობების სკოლის კურიულუმზთან მიმართებას ეხებოდა. კურიულუმი საკვლევი კითხვის ჩამოყალიბების ჩარჩოდ გამოიყენეთ, რამაც კითხვას გარკვეული სტრუქტურა შესძინა: „დამოუკიდებლად სწავლის აქტივობების რა ელემენტები უწყობს ხელს ინტელექტუალურ ჩართულობას და ცოდნის სილრმეს?“

ამ შემთხვევაშიც, ამ საკითხის განხილვაზე დახარჯული დრო მასწავლებლებს დაეხმარა

როგორც კითხვის ჩამოყალიბებაში, ისე საკითხის უფრო ღრმად გაანალიზებაში. მსგავს დიალოგში შესაძლებელია ჩაერთონ ის მასწავლებლები, რომელთაც მსგავსი საკითხების განხილვა სურთ ან მასწავლებლები, რომელთაც განსხვავებული პრობლემები აწესებთ. საწყის ეტაპზე დიალოგი უაღრესად სასარგებლოა, განსაკუთრებით კი იმ მასწავლებლებისათვის, რომელთაც აღრე სამოქმედო კვლევის გამოცდილება საერთოდ არ ჰქონიათ, ან მხოლოდ მცირე დოზით ფლობდნენ მას.

კვლევის დაწყებისას და მისი დასრულებისას განხორციელებული განხილვები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა, მაგრამ სკოლის თითქმის ყველა თანამშრომელმა გარკვეული სარგებელი მიიღო კვლევის შედეგების გაზიარებით, რაც წლის ბოლოს გამართულ შემაჯამებელ შეხვედრაზე განხორციელდა. ამ ღონისძიებაზე ყველა მასწავლებელმა ან მასწავლებლთა ჯგუფმა თავიანთი პროექტები და კვლევის ფარგლებში მიღწეული შედეგები წარადგინეს. იმ მასწავლებლის გამოსვლა, რომელიც გენდერულ საკითხებს იკვლევდა, ღია და გულახდილი იყო. როგორც მან განაცხადა, თავიდან გაუჭირდა იმის აღიარება, რომ ერთ-ერთი მოსწავლე გოგონას დაუნებულ მოთხოვნას – მისთვის შეტი უურადღება დაეთმო – უურადღებას არ აქცევდა. გარდა ამისა, მოხდა სხვა მნიშვნელოვანი და დასაფიქრებელი ფაქტის აღმოჩენა – იგი ორ მოსწავლეს გაცილებით ხშირად იძახებდა, ვიდრე ყველა დანარჩენს. ამ მასწავლებლის სურვილმა, თავისი გამოცდილება სხვებისთვისაც გაეზიარებინა და, რაც მთავრია, უკეთესობისკენ კონკრეტული ნაბიჯები გადაედგა, სხვა მასწავლებლებიც წაახალისა, რათა ისინი უფრო გულახდილნი ყოფილიყვნენ და მათ მიერვე განხორციელებული სწავლების მიმართ

კონსტრუქციულად კრიტიკული გამხდარიყვნენ. წლის ბოლოს გამართულ ღონისძიებაზე მასწავლებლებმა, რომელთაც დამოუკიდებლად სწავლის აქტივობებში მოსწავლეების ჩართულობა შესწავლეს, ძალიან საინტერესო პრეზენტაცია გამართეს, რომლის ფარგლებში რამდენიმე ბავშვის 3-თვეანი საქმიანობა აღწერეს. ბავშვების ეს საქმიანობა კურიკულუმის ჩარჩოს შეადარეს, რამაც პროექტისთვის გარკვეული დეფინიციები შემოიტანა. მასწავლებლებმა შეძლეს, რომ სწავლის პროცესსა და კურიკულუმის დიზაინს შორის კაუშირი დაწარათ, რაც, თავის მხრივ, უაღრესად სასარგებლო იყო, ვინაიდან მასწავლებლები სწორედ ამ ჩარჩოს განხორციელებისათვის მუშაობდნენ. ამ პროექტის დასრულების შემდეგ დამოუკიდებლად სწავლის გამოცდილების ანალიზი სხვა კლასებშიც განხორციელდა.

მიუხედავად იმისა, რომ წლის ბოლოს თითქმის ყველა მასწავლებლის განწყობა სამოქმედო კვლევის მიმართ დადგებითი იყო, თითოეულ მათგანს აზროვნების ეს სტილი გათავისებული მაინც არ ჰქონდა. ზოგიერთი მასწავლებლისათვის კვლევა არარელეგანტურ, თავზე გარედან მოვცეულ საქმიანობას ნიშნავდა, რომლის შედეგად უმნიშვნელო შედეგების მოპოვება ხდებოდა და ნამდგილად არ ლირდა იმად, რომ ისინი „სწავლების რეალურ პროცესს“ მოსწყდომოდნენ. პროექტის დაწყების წინ თანამშრომლობა და დისკუსიები, ასევე პროექტის დასრულებისას შედეგების პრეზენტაციები იმას უწყობდა ხელს, რომ გამოცდილება რაც შეიძლება შედეგიანი და პოზიტიური გამხდარიყო. ყველა მასწავლებელი ისხარულით ელოდა სამოქმედო კვლევის პროექტების განხორციელების გზით პროფესიული განვითარების გაგრძელებას.

**თუ** უკი წიგნის ამ ნაწილამდე მოხვედით, საგარაუდო, სამოქმედო კვლევის მთლიანი ციკლი ჯერ სრულად არ გაქვთ გავლილი და, შესაბამისად, არც იმისთვის ხართ მზად, რომ შემდეგ ეტაპზე გადახვიდეთ. ამ ეტაპზე თქვენ პროცესში უნდა იყოთ ჩართული – ალბათ მონაცემებს აგროვებთ, თავდაპირველ ანალიზს ახორციელებთ, თქვენ მიერ მონაცემთა შეგროვების სისტორეს აფასებთ და ა.შ. როგორც სათაურიდან ჩანს, ამ თავში სამოქმედო კვლევის პროცესში განხორციელებული მიგნებები და ონლაინრესურსების გამოყენება იქნება განხილული. თუმცა ამ ეტაპზე შესაძლებელია, ნააღრევე იყოს კრიტიკული შეფასებისა და „საზოგადოებრივი დებიუტის“ განხილვა, მაგრამ მაინც შეიძლება ამ საკითხებზე დაფიქრება.

## სამოქმედო კვლევის გაზიარება

ერთ-ერთი ეფექტური გზა, რომ მასწავლებელმა მკვლევრებმა თავიანთი სამოქმედო კვლევა უფრო შედეგიანი და დამაკმაყოფილებელი გახადონ, კოლეგებთან თავიანთი ნაშრომის გაზიარებაა. სამოქმედო კვლევის მიგნებების გაზიარება და აღიარება სწავლების პროფესიული დისპოზიციის ის კრიტიკული კომპონენტია, რომელიც სწავლების კულტურას მთლიანად გადაახალისებს და ხელობის ნაცვლად მოაზროვნებრაჟტიკისას პროფესიას შემოგვთავაზებს.

როგორც ადრე აღნიშვნებთ, კვლევასა და პრაქტიკას შორის კავშირს ართულებს ის საკითხიც, რომ მასწავლებლები იშვიათად თუ უზიარებებს თავიანთ კვლევას ფართო საზოგადოებას. სწორებ ამ სირთულის გათვალისწინებით, გთავაზობთ გაზიარებასა და გამოქვეყნებას ელექტრონული გზით, როგორც მასწავლებელთა კვლევის ანგარიშების წარმოდგენის აღტერნატივას, და ასევე ეფექტურ საშუალებას იმისათვის, რომ პროცესში კოლეგები ჩართოთ და თქვენივე მიგნებების ახლებური ინტერაქტუაცია მოახდინოთ.

ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც სამოქმედო კვლევის გაზიარებისათვის საკმაოდ ხშირად გამოიყენება, ინტერაქტიული მულტიმედიური პროგრამაა, როგორც ტექსტის კოლეგებთან გაზიარებისა და მათი ტექსტში ჩართვის საშუალება. მეტ მინახავს, მასწავლებლები როგორ იყენებენ პროგრამებს: PPოწერ წონიტ-ს, ცყვერსტუდიო-სა და Dირეცტორ-ს, რათა თავიანთ პრეზენტაციებს ხმოვანი, ფოტო- და ვიდეოგაფორმება დაურთონ. მაგალითად, PPოწერ წონიტ-ის პრეზენტაცია შემდეგი ტიპის ათეულობით სლაიდს შეიძლება მოიცავდეს: სლაიდი №1 – საკვლევი თემა; სლაიდი №2 – საკვლევი კითხვა; სლაიდი №3 – მონაცემთა შეგროვების მატრიცა; სლაიდი №№4-8 – მონაცემთა შეჯამება; სლაიდი №№9-11 – მონაცემთა ანალიზი და ინტერაქტუაცია; სლაიდი №12 – სამოქმედო ცხრილის საფეხურები.

მულტიმედიური პრეზენტაციების კეთებისას მასწავლებელი მკვლევრები თავიანთ აუდიტორიისა და მათ ჩართულობაზე ფიქრობენ. შესაძლებელია, ჩვენ შორს აღარ ვართ ისეთი ტიპის ინტერაქტიული პრეზენტაციებისაგან, რომლებიც მონაწილეს საშუალებას აძლევს, თვითონვე აირჩიოს პროცესის „ბედნიერი დასასრული“ (როგორც ეს 13 წლის ბავშვებისათვის განკუთვნილი ინტერაქტამაშების შემთხვევაშია). საბოლოო ჯამში, ეს გამოცდილება მასწავლებელ მკვლევრებს და მათ კოლეგებს საშუალებას აძლევს, ჩატიდონ ფუნდამენტურ შეკითხვას: „სად არის პრობლემა?“ და ეს უკანასკნელი თავიანთი საქმიანობის სფეროს დაუკავშირონ. მარ იქნება ურიგო, თქვენი პრეზენტაცია შესამოწმებლად თქვენს თანამოაზრებს გადაუეცავნოთ. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ თქვენს მეგობარსა თუ კოლეგას ელექტრონული ფოსტით გაუეცავნოთ თქვენი Power Point-ის პრეზენტაცია (ან სხვა მულტიმედია) და კონსტრუქციული უკუკავშირი სთხოვოთ.

ახლა დრო არ არის იმისთვის, რომ თქვენ დაიმორცხეთ. იყავით გაბედულნი. მეტს ეცადეთ და მეტს მიიღებთ (რაც, სავარაუდოდ, უფრო მეტი ტკივილისა და უხრისულობის განცდას გულისხმობს). გააცნობიერეთ ის, რომ თქვენში მოცემულია პოტენციალი, რომელიც თქვენს კოლეგებს მოტივაციას აუმაღლებს, რათა თავიანთ გამოცდილებას მნიშვნელობა შესძინონ.

## სამოქმედო კვლევის გაზიარების ელექტრონული საშუალებები

სწავლისა და სწავლების პროცესში ტექნოლოგიების მზარდი გამოყენების ხანაში, რასაც სკოლებსა და სახლებში კომპიუტერების მომრავლებაც ცხადყოფს, ჩვენ მუდმივად ელექტრონულ მედიასთან ურთიერთობა გვიწევს – ინტერნეტი, ვებგვერდები, ონლაინ-

შესყიდვები და, რა თქმა უნდა, პროფესიული ლიტერატურის მონაცემთა ბაზები! თუმცა ინტერნეტის საშუალებით სიტყვის თავისუფლების ისეთ სოციალურად მიუღებელ ფორმებსაც ეძღვებათ არსებობის საშუალება, როგორებიცაა: ძალადობის ამსახველი ვებგვერდები, საბავშვო პორნოგრაფია და ასე შემდეგ. სიტუაციის სხვადასხვა სახეობის კომპიუტერული ვირუსი ამძიმებს. ერთი სიტყვით, ვისაც კომპიუტერი და ელემენტარული კომპიუტერული ცოდნა აქვს, თავისუფლად შეუძლია, საკუთარი ვებგვერდი შექმნას.

თუმცა, ჩემი ვარაუდით, ბევრ ჩვენგანს ამის არც საქმარისი ცოდნა და არც დრო (I) არ აქვს. უფრო მეტიც, თუკი ჩვენ არ გავცენობით სამოქმედო კვლევის შესახებ უკვე არსებულ ვებგვერდებს, ამით იმ მასწავლებელ მკვლევრებთან საუბრის შესაძლებლობას მოვიყლებთ, რომლებიც ცდილობენ, ინტერნეტით კვლევის ახალი ვებგვერდები აღმოაჩინონ.

ელექტრონული საშუალებებით კვლევის გაზიარება მკვლევრებს საშუალებას აძლევს, მსოფლიო მასშტაბით საუბარში პროფესიონალები გამოიწვიონ, რომლებიც მსგავს საკითხებს იკვლევენ. ეს შესაძლებლობაა მასწავლებელი მკვლევრებისათვის, რომ ერთმანეთისაგან ისწავლონ და არსებულ ცოდნის ბაზას რაღაც აზალი შექმნა.

### ცოტა რამ ინტერნეტში ხარისხის კონტროლის შესახებ

ელექტრონულად სამოქმედო კვლევის გაზიარებას, რა თქმა უნდა, თავისი სირთულეები ახლავს თან. ხარისხი და ის, თუ რა უნდა დაიდოს ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ დომენებზე, ყველა მასწავლებელსა და მშობელს აწუხებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ უნდა დავაკინონოთ ის პოტენციალი, რომელიც ინტერნეტს, როგორც პროფესიონალების გლობალურ დამაკავშირებელს, აქვს. ხარისხი მათი პროფესიონალური და პირადი პასუხისმგებლობის საკითხი ხდება, ვინც ინტერნეტში ინფორმაციას დებს ან ირჩევს. ხარისხის საკითხთან აგრძელებულია კონტროლის საკითხიც; ეს იგივეა, რაც ხარისხის კონტროლი. ვინ აგებს პასუხს ინტერნეტში გამოქვეყნებული სამოქმედო კვლევის ხარისხზე? შეიძლება ეს თავისთავად ცხადია (ეს საკითხი ჩვენ მოკლედ მეორე თავშიც განვიხილოთ), მაგრამ არ გვიჩნოთ, რომ ყველაფერი, რასაც თქვენ ინტერნეტის საშუალებით კითხულობთ, ხედავთ ან გესმით, ექსპერტების მიერ საგულდაგულოდ არის შემოწმებული. რაც თქვენს კერანზე ჩანს, შეიძლება გაზიარებული იყოს ნებისმიერი ადამიანის მიერ, ნებისმიერ ადგილს და სიზუსტის ყველანარი დაცვის გარეშე. თქვენ აუცილებლად დაინტერესდებით ვალიდურობისა და სანდოობისა საკითხით, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს მასშტაბით დადგებულ გზავნილებს წაიკითხავთ. ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი, რასაც ონლაინში პოულობთ უგარებისა და გადასაგდებია (საინტერესოა, ტერმინ „სივრცით ნაგავს“ თუ იყენებენ კიბერსივრცეში?!). უბრალოდ, არ ჩათვალით რომ ყველაფერი, რაც კი თქვენს კერანზე ჩინდება მისაღებია, როგორც „გამოქვეყნებული“ ან „რეფერირებული“. შერჩევის ის მეთოდი გამოიყენეთ, რომელსაც ნებისმიერ სხვა დროს იყენებთ და თქვენი საღი აუცილებლად სწორ არჩევას გაგაკეთებინებთ. გახდით ონლაინით ხელმისაწვდომი ინფორმაციის კრიტიკული მომხმარებელი.

### ინტერნეტის გამოყენება კავშირის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად

აქსტრალიის დაწყებით სკოლასა (j-7) და აქსტრალიისა და შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში ჩემი პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინებით (ასევე სკოლაში ჩემი 13 წლის გაუზე დაკირვების შედეგად) შემიძლია ვთქვა, რომ სწავლებას ბაგა-ბალებისა და საბავშვო ბალების თამაშებთან ბევრი საერთო მასასიათებელი აქვს

– ჩვენთვის, ანუ მასწავლებლებისთვის, განმარტოებულად მუშაობაა დამახასიათებელი, ანუ „სიღაში განმარტოებულად თამაში“. არსებობს მოსაზრება, რომ ერთ-ერთი კველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მასწავლებლების პროფესიულ გამოფიტვას უწყობს სელს, სწორედ ამ პროფესიის განმარტოებული ბუნებაა. მასწავლებლები სიმარტოვეში ცოტა მხარდაჭერას თუ პოულობენ. სამოქმედო კვლევის ერთ-ერთი მახასიათებელი კი ისაა, რომ ის „თანამშრომლობით“ და „თანამონაწილეობითაც“. მართალია, ჩვენ ვიმედოვნებთ, მასწავლებლობა, რომ სამოქმედო კვლევის რაღაც ეტაპზე თქვენ მარტო იგრძნოთ თავი. იმისგან დამოუკიდებლად, თუ საერთო საქმიანობაში რა დოზით ხართ ჩართული, ინტერნეტით სხვებთან ურთიერთობა და კავშირი თქვენთვის მხარდაჭერის გარკვეულ სისტემაა, რადგან ეს არის საშუალება, იმ ადამიანებთან იყოთ დაკავშირებული, რომელთაც მსგავსი მიზნები და ინტერესები აძლიერდებოთ.

ინტერნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სამოქმედო კვლევებთან ხელმისაწვდომობას შეუძლია, მასწავლებლებს იმის განცდა შეუქმნას, რომ მსოფლიო უფრო პატარაა და მასთან კონტაქტი სახლიდან, სკოლიდან ან ოფისის კომპიუტერიდან იოლად შესაძლებელია. ის ფაქტი, რომ მსოფლიო თანდათან „პატარავდება“, მაშინაც გამასქნდა, როდესაც ჩემი 90 წლის მამის სახახავად ჩავედი აქსტრალიაში. მამა უფრო პატარა და სუსტი მომწერვაა. არა მარტო მსოფლიო, არამედ ის არტიფიაქტებიც დაპატარავდა, რომელთაც მე ორიენტირად ვიყენებდა – მათ შორის, მამაჩემიც. ყოველთვის, როდესაც მასთან ჩავდივარ (ეს ყოველ წელიწადს ხდება), იგი თავისი არაჩვეულებრივი ღიმილით და შემდეგი ფრაზით მხვდება: „საიდან მოდითარ!“ ეს ხდება არა იმიტომ, რომ მას არ ახსოვს, ვინ ვარ და სად ვცხოვრობ, უბრალოდ, მისი ორიენტირი სხვა დროა, ვიდრე ჩემი; დრო, როდესაც ხმალდებით საბრძოლებელად მიღიოდნენ – გამოცდილება, რომელიც მე არასდროს მექნება. რა თქმა უნდა, მასში გაოცება გამოიწვია, როდესაც ვუთხარო, რომ შემეძლო, მისთვის წერილი ან ელექტრონული ფოსტით (და არა ტრადიციული „ზოზინა“ ფოსტით), ან სულაც ფაქსით გამეგზავნა. მისთვის ამ ცნებების გაგება რთული აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ გაგების სურვილი შეიძლება ჰქონდა კიდეც.

ჩვენთვის, ვინც თავს სილაში მარტო მოთამაშებად ვრცხნიბოთ, რომელთაც მსგავსად მოაზროვნე მასწავლებლები არ ეთამაშებიან, ინტერნეტი არაჩვეულებრივი საშუალებაა, რათა სხვა მასწავლებელ მკვლევრებთან გამარტულ დიალოგში მუდმივად მონაწილეობა მივიღოთ.

## რა სახის ონლაინრესურსები შეგვიძლია გამოვიყენოთ?

სხვადასხვა ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ონლაინრესურსები შემდეგ საშირითად კატეგორიად იყოფა: სამოქმედო კვლევის ვებგვერდები, ჯგუფური გზავნილების სიები და ონლაინურნალები.

### სამოქმედო კვლევის ვებგვერდები

ბევრი სამოქმედო კვლევის ვებგვერდი ერთმანეთის მსგავსია და ასევე სხვა საინტერესო ვებგვერდის „ლინკებსაც“ გვთავაზობს. მოკლედ მიმოვიზოლოთ რამდენიმე მათგანი, ესენია: თანამონაწილეობითი სამოქმედო კვლევის ქსელი, რომელიც კორნელის უნივერსიტეტის (აშშ) ბაზაზეა შექმნილი, აღმოსავლეთი ინგლისის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობითი სამოქმედო გეგმის ქსელი, ბათის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესიული პრაქტიკის სამოქმედო კვლევის ცენტრი, პაილენდ-პარკის კო-

ლეგის სამოქმედო კვლევის ღაბორატორია (აშშ) და ქვინის უნივერსიტეტის სამოქმედო კვლევის ვებგვერდი, რომელიც ქვინის უნივერსიტეტის (კანადა) ბაზაზე არსებობს.

### თანამონაწილეობითი სამოქმედო კვლევის ქსელი

საიტის პირველი გვერდი (<http://parnet.org>) შემდეგ ინფორმაციას გვთავაზობს:

კეთილ იყოს თქვენი მობილური ცოდნის კარიბჭესთან, რომელიც მოელი მსოფლიოს მასშტაბით სამოქმედო კვლევაში ჩართული პრაქტიკოსებისა და მეცნიერებისათვისაა განკუთვნილი. ვებგვერდი დაარსდა 1993 წელს და ინტერნეტში არსებულ სამოქმედო გეგმის ვებგვერდებს შორის ყველაზე უფრო ძველია. იგი დამოუკიდებელი ინსტიტუციური სტატუსის მქონეა და მისი მისიაა, ფასილიტაცია გაუწიოს ცოდნის ერთიანი ძალებით მართვას, რამაც მას ინტერნეტში არსებულ სამოქმედო კვლევის ვებგვერდებს შორის უნიკალური როლი შესძინა. (თანამონაწილეობითი სამოქმედო კვლევის ქსელი, <http://parnet.org>).

ვებგვერდზე თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ შემდეგი:

- არქივი
- კალენდარი
- ვებგვერდები
- დიალოგი
- სად ვისწავლოთ

თითოეულ ამ ქვედანაყოფში თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ ისეთი „ლიქნები“, როგორებიცაა: ჯგუფური გზაწილების არქივი (გაწევრიანების შემოთავაზებითა და სხვა მსგავს ჯგუფებთან, არქივებთან და ინფორმაციასთან კავშირებით), სამოქმედო გეგმის ობლანდურიკაციები და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ის ადგილები, სადაც სამოქმედო კვლევა შეგიძლიათ ისწავლოთ! აქ საჭარისი ინფორმაციაა საიმსოდ, რომ ბევრი დრო დაგტარჯოთ, მაგრამ მაინც ლირს ვებგვერდების შეთვალიერება მანამდე, სანამ გადაწყვეტით, სადმე გაწევრიანდეთ ან სამოქმედო კვლევის შესასწავლად სადმე წახვიდეთ.

### თანამშრომლობითი სამოქმედო კვლევის ქსელი

თანამშრომლობითი სამოქმედო კვლევის ქსელი (<http://www.did.stu.mmu.ac.uk/carn/whatis.shtml>) ექვსი წევრისგან შემდგარი ჯგუფის მიერ იმართება, რომელთაგანაც პირველი 3 მაჩქესტერის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტისა და დანარჩენი 3 კი სენტ-მარტინის კოლეჯის ბაზაზე არსებობს. ქსელი 1976 წელს დაარსდა და შემდეგ მიზნებს ემსახურება: „სამოქმედო კვლევის (პერსონალური, ადგილობრივი, ნაციონალური და საერთაშორისო) წახალისება და მთარდაჭრა, სამოქმედო კვლევის პროექტების ანგარიშების ხელმისაწვდომობა და სამოქმედო კვლევის თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარებაში წვლილის შეტანა“ (ქსელის ვებგვერდი).

თანამონაწილეობითი სამოქმედო კვლევის ქსელის მსგავსად, თანამშრომლობითი სამოქმედო კვლევის ქსელი იმ მასწავლებელი მკვლევრებისათვის არაჩვეულებრივი საშუალებაა, რომელთაც სურთ ისწავლონ და, ამავე დროს, წვლილი შეიტანონ მათ მიერ განხორციელებულ სამოქმედო კვლევებთან დაკავშირებულ დისკუსიებში, ქსელი წევრობას სთავაზობს მათ, ვისაც სურს, ხელი მიუწვდებოდეს ქსელის სასწავლო დღეების

შესახებ ინფორმაციაზე, პუბლიკაციებსა და წლიურ კონფერენციებზე. ამავე გვერდიდან შესაძლებელია სხვა სამოქმედო კვლევის ვებგვერდებზე გადასვლა, ასევე ქსელის დაინტერესებული წევრებისათვის გამართულ დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

### **პროფესიული პრაქტიკის სამოქმედო კვლევის ცენტრი**

პროფესიული პრაქტიკის სამოქმედო კვლევის ცენტრი (<http://www.bath.ac.uk/carpp>) ბათოს უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) ბაზაზე არსებობს. ცენტრი დაბმარებას იმ მასწავლებელ მეცნიერებს უწევს, რომლებიც თავიან საქმიანობაზე დაკვირვებას ახორციელებენ. ვებგვერდზე განთავსებულია მისამართები და ინფორმაცია ბასის უნივერსიტეტის სამაგისტრო კურსების, კონფერენციების, ნაშრომების სრული ცენტრებისა (ცენტრის თანამშრომლების მიერ დაწერილი) და სხვა ონლაინუბლიკაციების შესახებ, მათ შორის ჯერ გამოუქვეყნებელი სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესახებ.

### **პალენდ-პარკის კოლეჯის სამოქმედო კვლევის ლაბორატორია**

თუკი სურვილი გაქვთ, სამოქმედო კვლევის ლაბორატორიის შესახებ უფრო მეტი წაიკითხოთ, ვიდრე ეს წერია მე-ნ თავის ჩანართში – „სწავლაზე უურადლების გამახვილება ნიშნებისათვის ნაკლები ყურადღების მიქცევის გზით“ .–: მე გირჩევდით, რომ ლაბორატორიის ვებგვერდს <http://www.dist113.org> ეწვიოთ. ლაბორატორია ჯო სენტსისა და მისი კოლეჯის კოლეგების საქმიანობის შედეგად დაასრულა და შეძლევ მზნებს ემსაზურება:

- მასწავლებლების საკმარისი დროით უზრუნველყოფა, რათა მათ შესძლონ თავიანთ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაკვირვება და დაფიქრება; თავიანთი გამოცდილების სხვა პროფესიონალებისათვის გაზიარება და მათი მოსაზრების გაერება (თანამშრომლობა);
- მასწავლებლების იმ ახალი მეთოდებით უზრუნველყოფა, რომელთა საშუალებით ისინი სწავლების, კურიკულუმის შემუშავების და შეფასების შესახებ თავიანთ ახალ იდეებს განახორციელებენ (ექსპერიმენტირება);
- მასწავლებლების დახმარება, რათა მათ შეძლონ, პრაქტიკაში დანერგონ ის, რაც საგანმანათლებლო კვლევის მიხედვით მოსწავლეებს სწავლაში დაეხმარება (კვლევაზე დაფუძნებული საქმიანობა);
- მასწავლებლებისათვის, ასევე დეპარტამენტისა და ფაკულტეტის სხვა წევრებისათვის მოქმედი ლაბორატორიის დაარსება, რაც იმის დასტური იქნება, რომ საუკეთესო პრაქტიკას შეუძლია, „წარმატებული“ კოლეჯი უკეთესი გახადოს და რომ ეს ასეც იქნება (მასწავლებლების გაძლიერება/საკოლო რეფორმა).

ლაბორატორია 1995 წლიდან არსებობს და მასში გაერთიანებული მასწავლებლების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ვებგვერდი ლაბორატორიის თანამშრომლების პუბლიკაციებს ხელმისაწვდომის ხდის და მართლაც მნიშვნელოვანია იმ მასწავლებელი მკვლევრებისათვის, რომელთაც სურთ ნახონ, თუ როგორ შეიძლება სამოქმედო კვლევის მოდელის გამოყენება მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.

### **ქუინსის უნივერსიტეტის სამოქმედო კვლევის ვებგვერდი**

კიდევ ერთი საჭირო რესურსი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ, არის ტომ რასელის მიერ შექმნილი ქუინსის უნივერსიტეტის სამოქმედო კვლევის ვებგვერდი (<http://>

educ.queensu.ca/~ar/). იგი ეკუთვნის ქუნისის უნივერსიტეტს, რომელიც მდებარეობს ონტარიოში (კანადა).

ეს ვებგვერდი შეიცავს ქუნისის უნივერსიტეტში ჩატარებული სამოქმედო კვლევების, აგრძელებული სხვა მნიშვნელოვანი რესურსების ლინკებს: ამერიკის საგანმანათლებლო კვლევითი ასოციაციის წლიურ შეხვედრებზე წარმოდგენილ სამოქმედო კვლევების ჩანაწერებს/დოკუმენტებს, ქუნისის უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის და კურს-დამთვრებული სტუდენტების მიერ შესრულებულ სამოქმედო კვლევებს და ბევრ სხვა ლინკს, რომელიც განხილული იქნება ამ თავში.

### ჯგუფური გზავნილების სია

ჯგუფური გზავნილების სია არის ონლაინ განხილვების ფორუმი, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის კომპიუტერულ ქსელში. სხვადასხვა ჯგუფი გვთავაზობს სხვა-დასხვა ჯგუფური გზავნილების სიას, ისინი წარმოადგენს მოწვევას მსოფლიოს სხვა-დასხვა მოქმედების მყვლევარებთან ერთობლივ განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე. ქველაზე მრავალრიცხოვანი სამოქმედო კვლევის ჯგუფური გზავნილების სია არის Arlist-L-ი, რომელზეც დარეგისტრირება შეიძლება Arlist-L-ის ვებგვერდზე მითითებული მეთოდით:

Arlist-ის წევრობისათვის საჭიროა ელექტრონული ფოსტის (e-mail) გაგზავნა [list-proc@scu.edu.au](mailto:list-proc@scu.edu.au) მისამართზე, არათორერს ჩაწერით „თემის ხაზში“; წერილში უნდა ეწეროს მხოლოდ ხელმომწერის სახელი. ელექტრონული ფოსტის გაგზავნა უნდა მოხდეს პიროვნების საკუთარი ელექტრონული ფოსტიდან. ხელმოწერის შემდეგ მიიღებთ Arlist-ის გამოყენების ინსტრუქციებს. (<http://www.scu.edu.au/schools/gcm/ar/arr/arlist.html>)

გაფრთხილება ჯგუფური გზავნილების სიების ახალ წევრებისათვის: ხელმოწერის შემდეგ მზად იყავით დიდი რაოდენობის მოცულობის წერილების მისაღებად (დაახლოებით 5-10 წერილი დღეში). თუ ყოველდღე არ შეამოწმებთ ოქვენს ელექტრონულ ფოსტას, რამდენიმე დღეში უამრავი წერილი დაგიგროვდებათ. მიუხედავად ამისა, ასეთ საქმიანობაში მონაწილეობა სარგებლის მომტანია. დარეგისტრირების შემდეგ, მე მხოლოდ წერილებს ვკითხულობდი და აქტიურად არ ვმონაწილეობდი განხილვებში. ამის მიუხედავად, გამაოცა საუკეთესო საზრიანმა მსჯელობამ და მონაწილეების მზადყოფნამ, შეეთავაზებინათ საჭირო და დეტალური მითითებები ერთმანეთისათვის. ამ საიტზე გაიცემა რჩევები პედაგოგი მკვლევარებისათვის, თუ როგორ გაუქმდავდნენ ამა თუ იმ პრიბლებას, მონაცემების შეგროვებისას რა სახის ტექნიკის გამოყენება შესაბამისი, როგორ ხდება მონაცემების ანალიზი, ინტერპრეტაცია და ა.შ. ზემოთ სხენებული მიზეზების გამო აუცილებელია, რომ პედაგოგი მკვლევარები გახდნენ ამ უფასო რესურსის მომზარებლები.

### ონლაინურნალები

მკვლევარი პედაგოგებისათვის სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება სრულტექსტოვანი ონლაინურნალები. ხუთი ასეთი უურნალია: საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა, ქსელები, საერთაშორისო მოქმედების კვლევა, მოქმედების კვლევის ელექტრონული მითხველი და მოქმედების კვლევის ექსპედიცია.

## საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა

ამ ჟურნალის სანახავად შეგიძლიათ გამოიყენოთ თანამშრომლობითი სამოქმედო კვლევის ქსელის ვებგვერდი ან/და პირდაპირ შეხვიდეთ ამ ვებგვერდზე <http://www.tandf.co.uk/journals/titles/09650792.asp> იხილეთ ცხრილი (9-1). წარმოდგენილი ვებგვერდის სურათზე მოცემულია საჭირო ინფორმაცია ჟურნალის შესახებ და ხელმოწერის ინსტრუქცია.

ჟურნალი „საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა“ შეიცავს საგანმანათლებლო კვლევის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილსაც. ბოლო წლებში მოქმედების გეგმისადმი გაზრდილი ინტერესის გამო შემუშავებული იყო სხვადასხვა მეთოდი, ესენაა, მაგალითად: ამსახველობითი პრაქტიკის პოპულარზარიზაცია; ძალაუფლებითი აღჭურვა; პროფესიული ცოდნის გაგება/გააზრება; სასწავლი გეგმის განვითარება; პროფესიული განვითარება; ინსტიტუციური ცენტრ და დემოკრატიული მართვისა და ადმინისტრირების განვითარება. ამ იდეის ავტორების საერთო მიზანია კვლევის პრაქტიკისაგან განცალებების ტენდენციის შეწყვეტა. აღნიშვნული ინიციატივა მჭიდროდ აკავშირებს მათ პრაქტიკის და მოქმედების მცვლევრებთან.

## საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა

ჟურნალის შესახებ	• ჟურნალი	• გამომცემელი
<ul style="list-style-type: none"><li>• ჟურნალის შესახებ</li><li>• სარჩევი</li><li>• სარეალქციო საბჭო</li><li>• წვლილის შეტანა</li><li>• თემატური კონფერენციები</li><li>• თემატური ინტერნეტ გვერდები</li><li>• გამოწერის და საცდელი ვერსიის განაცხადის ფორმა</li><li>• გამოწერის ტარიფები</li><li>• სამკუთხა ჟურნალის ვებგვერდი და ჟურნალების სია</li></ul>	<p>ჟურნალი „საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა“ შეიცავს საგანმანათლებლო კვლევის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილსაც. ბოლო წლებში მოქმედების გეგმისადმი გაზრდილი ინტერესის გამო შემუშავებული იყო სხვადასხვა მეთოდი, ესენაა, მაგალითად: ამსახველობითი პრაქტიკის პოპულარზარიზაცია; ძალაუფლებითი აღჭურვა; პროფესიული ცოდნის გაგება/გააზრება; სასწავლი გეგმის განვითარება; პროფესიული განვითარება; ინსტიტუციური ცენტრ და დემოკრატიული მართვისა და ადმინისტრირების განვითარება. ამ იდეის ავტორების საერთო მიზანია კვლევის პრაქტიკისაგან განცალებების ტენდენციის შეწყვეტა. აღნიშვნული ინიციატივა მჭიდროდ აკავშირებს მათ პრაქტიკის და მოქმედების მცვლევრებთან.</p>	<p>ჟურნალი გამოსცემს მრავალი სახის მოქმედების კვლევას და სხვა თემატურ ნაშრომებს (განათლებისა და მსათან დაკავშირებულ პროფესიებზე), იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მოქმედების კვლევის შედეგების ფურთით ხელმისაწვდომობას და სახაგარშო მოსხენების მეთოდების მრავალი მაგალითის გაცნობას. იგი აგრეთვე წარმოადგენს მეთოდოლოგიური და ეპისტემოლოგიური საკითხების განხილვის (სადაც კუსიონ) აღდილს. იგი შეიცავს სხვადასხვა კრიტიკულ შექმნულებასა და ანალიზს.</p>
	<p>საგანმანათლებლო მოქმედების კვლევის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს თანამშრომლობითი სამოქმედო კვლევის ქსელი. ამ ჟურნალის მთავარ მისიას წარმოადგენს ამ საერთაშორისო ქსელის გაფართოება და გაძლიერება.</p>	<p>საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა ეს ჟურნალი წელიწადში სამჯერ გამოდის (სამივე დაახლოებით ხუთას გვერდისგან) და წარმოადგენს ერთ მთლიან გამოცემას. წლის კვებელი ბოლო გამოცემა შეიცავს მთლიანი გამოცემის ინდექსს და გარეკანს. ISSN 0965-0792</p>

### ცხრილი 9-1. საგანმანათლებლო მოქმედების კვლევის ვებგვერდი

წყარო: საგანმანათლებლო მოქმედების კვლევის მთავარი ვებგვერდი <http://www.tandf.co.uk/journals/titles/09650792.asp>

ბოლო წლებში მოქმედების გეგმისადმი გაზრდილი ინტერესის გამო შემუშავებული იყო სხვადასხვა მეთოდი. ესენია, მაგალითად: დაკვირვების და განსჯის პრაქტიკის პოპულარიზაცია; პროფესიული განვითარება; ძალაუფლებით აღჭურვა; პროფესიული ცოდნის გაგება/გაზრება; სასწავლო გეგმის განვითარება; ინსტიტუციური ცვლა და დემოკრატიული მართვისა და ადმინისტრირების განვითარება. ამ იდეის ავტორების საერთო მიზანია კვლევის პრაქტიკისაგან განცალკევების ტენდენციის შეწყვეტა. აღნიშნული ინიციატივა მჭიდროდ აკავშირებს მათ პრაქტიკოს და მოქმედების მკვლევრებთან (<http://www.tandf.co.uk/journals/titles/09650792.asp>).

ვებგვერდზე, სარჩევის ღილაკზე დაჭრით, შეგიძლიათ მთლიანად იხილოთ ურნალის სარჩევი (გამოცემებისა და რიგითობის მხედვით) და რამდნიმე სრულტექსტოვანი სტატია. ავტორებს წარმოდგენილი აქვთ აგრეთვე თავიანთი ნაშრომების მოკლე მიმოხილვა, რომელთა ელექტრონული ასლის ნახვაც შესაძლებელია. ზოგიერთ შემთხვევაში, ავტორის ელექტრონული მისამართიც არის მითითებული რისი მეშვეობითაც მეითხველებს შეუძლიათ პირდაპირ მათთან დაკავშირება. ეს განსაკუთრებით სასარგებლობა პედაგოგი მკვლევარებისათვის, რომელსაც სურთ „იზოლაციის“ გარღვევა და თავიანთ სასკოლო სამოქმედო კვლევაზე უკუგების მიღება.

საგნომანათლებლო სამოქმედო კვლევის ონლაინ მასალაზე ხელმისაწვდომობით, გამომცემელმა მნიშვნელოვნი წვლილი შეიტანა იმ თავისუფალი ადგილის ამოსავსებად, რომელიც არსებობდა კვლევასა და პრაქტიკას შორის (პრობლემა, რომელიც კენედუს ნაშრომში იყო მიმოხილული (1997)), რითაც პედაგოგებისათვის გაამარტივა კვლევის განხორციელება/ჩატარება. ელექტრონული მასალის მიმოხილვით პედაგოგი მკვლევრებისათვის ხელმისაწვდომი გახდა უურნალის სტატიები და ავტორთან უშუალო კონტაქტიც კი. ეს შესაძლებლობას აძლევს პედაგოგ მკვლევრებს გაეცნონ ელექტრონულ მასალას და თუ საჭიროა ავტორისგან მიიღონ რჩევა. ეს ვირტუალური ბიბლიოთეკა და ავტორთან უშუალო ურთიერთობა წინ გადადგმული ნაბიჯია ძველი თაობის წარმომადგენელთაობის, რომელთაც და ბიბლიოთეკებში საათობით უწევდათ კატალოგებთან და წიგნის საცავებში მუშაობა.

## კავშირები/ქსელები

პედაგოგი მკვლევრებისათვის კავშირები/ქსელები არის პირველი ელექტრონული უურნალი, სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ სრულტექსტოვან სტატიებს (<http://education.ucsc.edu/faculty/gwells/networks/>) (იხ. სურათი 9-2). აღნიშნულ უურნალს განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია მოქმედების კვლევის საქმეში; პედაგოგებს საშუალება ეძლევათ ამ უურნალში გამოაქვეყნონ თავიანთი მოქმედების კვლევის ანგარიშები.

უურნალის ვებგვერდზე შესაძლებლობა გაქვთ იხილოთ სასარგებლობ ბმულები, როგორიცაა, შენიშვნები სტატიის ავტორთათვის, ბმულები და სიახლეები კვლევის დარღვები. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, უურნალი ხელს უწყობს პედაგოგებს გაუზიარონ თავიანთი პედაგოგიური, საკლასო კვლევა კოლეგებს მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში. იმ პედაგოგ მკვლევრებს, რომელთაც სურთ მიმდინარე ან დასრულებული კვლევების შედეგების გაზიარება ამ უურნალის ოთხი განყოფილებიდან შეუძლიათ აირჩიონ სასურველი კატეგორია. ესენია:

- სრულტექსტოვანი სტატიები (2,000-3,000 სიტყვა) – დასრულებული მოქმედების კვლევის შესახებ

# კავშირები/ქსელები

ონლაინ ჟურნალი  
პედაგოგი მკვლევრებისათვის

## საწყისი გვერდი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქსელებში: პირველი ონლაინ ჟურნალი პედაგოგ მკვლევართათვის.

თქვენნაირი მკითხველების და სტატიათა ავტორებისათვის ეს ჟურნალი წარმოადგენს ადგილს, სადაც ხდება პედაგოგებს (სკოლამდელი პედაგოგებიდან დაწყებული, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებით დამთავრებული) შორის მოსაზრებების, დამოკიდებულების და გამოცდილების გაზიარება. შემოგვიერთდით ამ ახალ წარმყებაში და გაუზიარეთ თქვენი საკლასო პედაგოგიური კვლევა მსოფლიოში თქვენ მიღიონობით კოლეგას.

ყოველი თემა შეიცავს როგორც სრულტექსტოვან, აგრეთვე მიმდინარე ნაშრომების, წიგნების მოკლე მიმოხილვას და მიმდინარე საკითხებზე პედაგოგი მკვლევრების დისკუსიებს. ჩვენ მივესალმებით ფართო სპექტრის საკითხების წარმოდგენას, რომელიც უკავშირდება საკლასო პედაგოგიურ კვლევას, მათ შორის: სასწავლო გეგმას, მეთოდოლოგიას, ეთიკას, თანამშრომლობასა და საზოგადოებას.

ახლა:

გადაავლეთ თვალი მიმდინარე საკითხს (2001 წლის სექტემბერი) ან იხილეთ ჩვენი წინა საკითხების ნუსხა.

შედით სადისკუსიო ფორუმის გვედზე ან კვლევის სიახლეების გვერდზე, რომ მიიღოთ უახლესი ინფორმაცია მოქმედების კვლევის შესახებ. უმჯობესი იქნება, თუ ამის უშუალო მონაწილე გახდებით. ამისათვის არის საეციალური განყოფილება, სადაც გაეცნობით, თუ რა არის ამისათვის საჭირო.

მადლობას გიხდით ჩვენი ვებგვერდით სარგებლობისათვის.

საწყისი გვერდი

ბმულები

სადისკუსიო ფორუმი

სიახლეები კვლევის სფეროში

- შედარებით მცირე ზომის სტატიგბი (300-750 სიტყვა) მიმღინარე საქმიანობის (კვლევის) აღწერა და მასთან დაკავშირებული საკითხების წამოწევა
- წიგნების მიმოხილვა (750-1,000 სიტყვა)
- კავლენდარი პედაგოგი მკვლევრებისთვის, სადაც ასახულია მომავალი კვლევის მოვლენათა ნუსხა

კავშირები/ქსელები-ის განყოფილებაში აქტივობა შესაძლებელია შემდეგი ოთხი საშუალებით:

- ელექტორონული წერილის გაგზავნით შემდეგ მისამართზე: networks-j@oise.utoronto.ca
- პერსონალური ვებგვერდი (URL), სადაც შესაძლებელია მთელი ტექსტის წაკითხვა
- ხელნაწერი, დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსიის თანმხლებით ან მის გარეშე (იხ. კავშირები/ქსელები-ის ვებგვერდი)

(კავშირები/ქსელები-ის და სხვა ელექტრონული და ბეჭდური უურნალების მიმოხილვა შეგიძლიათ იხილოთ მე-8 თავში „მოქმედების კვლევის დაწერა“)

### **საერთაშორისო მოქმედების კვლევა**

ამ უურნალის სანახავად მიმართეთ თანამონაწილეობითი სამოქმედო კვლევის ქსელის ვებგვერდს <http://www.scu.edu.au/schools/gcm/ar/arihome.html> (იხ. სურათი 9-3). უურნალის ვებგვერდის თანახმად:

საერთაშორისო მოქმედების კვლევა არის ელექტრონული მოქმედების კვლევის უურნალი გამორჩეული სარედაქციო ჯგუფით. იგი დაფინანსებულია სამოქმედო კვლევის სამსრეფ ჯვრის უნივერსიტეტის, სამსრეფ ჯვრის უნივერსიტეტის მენეჯმენტის, უმაღლესი განათლების კოლეჯის და სამსრეფ ჯვრის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ (<http://www.scu.edu.au/schools/gcm/ar/arihome.html>).


უურნალი შეიცავს აგრეთვე სხვა ვებგვერდების ბმულებს, ხელმოწერის და მასალების ჩაბარების ინსტრუქციებს.

### **სამოქმედო კვლევის ელექტრონული მეთოდები**

ამ უურნალის სანახავად მიმართეთ შემდეგ ვებმისამართს <http://www.scu.edu.au/schools/gcm/ar/arr/arow/default.html>. სხვა უურნალების მსგავსად, სამოქმედო კვლევის ელექტრონული მკითხველის მეშვეობით თქვენ შეძლებთ ახალი და ძველი უურნალების სტატიების გადმოწერას. აგრეთვე, მისი საშუალებით პედაგოგ მკვლევარებს შეუძლია გამოაქვეყნონ თავიანთი ნამუშევრები.

### **მოქმედების კვლევის ექსპედიცია**

მოქმედების კვლევის ექსპედიცია (<http://arexpeditions.montana.edu/index.php>) არის ერთ-ერთი უახლესი ელექტრონული სამოქმედო კვლევის უურნალი, რომელიც



# საერთაშორისო მოქმედების კვლევა

## ელექტრონული მოქმედების კვლევის ჟურნალი

საერთაშორისო მოქმედების კვლევა არის ელექტრონული მოქმედების კვლევის ჟურნალი გამორჩეული სარედაქციო ჯგუფით. იგი დაფინანსებულია სამხრეთ ჯვრის უნივერსიტეტის მენეჯმენტის, უმაღლესი განათლების კოლეჯის და სამხრეთ ჯვრის უნივერსიტეტის გამომცემლობის ბაზაზე არსებული სამუშაო ადგილის კვლევის შესწავლის და განვითარების ინსტიტუტის (WoRLD) მიერ.

ჟურნალი შეიცავს ელექტრონული სადისკუსიო თემების ჩამონათვალს, სადაც შესაძლებელია ნაშრომების წარდგენა კომენტირებისათვის. ასევე არის სხვა ჩამონათვალიც, რომლის მიხედვითაც ხდება ნაშრომების მიღება. თქვენ შეგიძლიათ წარადგინოთ თქვენი ნაშრომები ან გაზდეთ ჟურნალის ხელმომწერით.

### ■ ჟურნალის საკითხები

#### საერთაშორისო მოქმედების კვლევის სხვა ასპექტები

- ჟურნალის საჭირობა
- რედაქტორთა გუნდი
- რჩევები მომავალ ავტორებს
- ჟურნალის გამოწერა
- ჟურნალის ისტორია

სურათი 9-3. საერთაშორისო მოქმედების კვლევის ჟურნალის ვებგვერდი  
საავტორო უფლებები ეკუთვნის © Bob Dick 2000

ელექტრონული მისამრთი (URL) <http://www.scu.edu.au/schools/gcm/ar/ari/arihome.html>  
ამ გვერდს ელექტრონულ მომსახურებას უწევს Bob Dick-n

განკუთვნილია პედაგოგ მკვლევართათვის. სამოქმედო კვლევის ექსპედიციის ვებგვერდი გთავაზობთ ჟურნალის შემდეგ შესავალს:

მოქმედების კვლევის ექსპედიცია არის ელექტრონული პროფესიული ჟურნალი, რომელიც ხელს უწყობს სამოქმედო კვლევის წევრებს, პედაგოგებს, საზოგადოების წევრებს, უნივერსიტეტის დეკანატს, პლატფორმებსა და საჯარო მოხელეებს შორის შემოქმედებითი და საქმიანი დიალოგის განვითარებას.

მოქმედების კვლევის ექსპედიცია შეიცავს სამოქმედო კვლევის პროექტებს და სტატიებს სამოქმედო კვლევის ჩასატარებელ მეთოდებზე. ჟურნალში წარმოებს სამოქმედო კვლევის საკითხების ელექტრონული დისკუსია და სტატიების განხილვა ჟურნალის აუტორებთან და რედაქტორებთან.

მოქმედების კვლევის ექსპედიცია შემუშავებულია იმისათვის, რომ შექმნას სანდო, კოლეგიური და პროფესიული ერთობა, სადაც მოქმედების მკვლევრები ათვითცნობიერებები/აღიარებენ თავიანთ ინდივიდუალურ ექსპერტულ ცოდნას, თავიანთ მიღწევებს და იზიარებენ პასუხისმგებლობას, ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებას და ახალი იდეების ჩართვას მოქმედების კვლევის პროცესში. (<http://arexpeditions.montana.edu/index.php>)

სარედაქციო განხილვის „დიალოგის“ მსგავსი პროცესი განასხვავებს მოქმედების კვლევის ექსპედიციას სხვა ელექტრონული ჟურნალებისაგან. ეს პროცესი მოიცავს შემდეგს:

- აღმასრულებელი რედაქტორი იღებს სტატიას და უგზავნის ავტორს შეტყობინებას, რომ სტატია მიღებულია. სტატია იღება განხილვისათვის ექსპედიციის ვებგვერდის სარედაქციო ნაწილში/სექციაში და მას ენიშნება სარედაქციო განხილვის სადისკუსიო ჯგუფი.
- სტატიის განსახილველად ინიშნება ორი რედაქტორი. ისინი სტატიაზე გაკეთებულ თავიანთ კომენტარებს ელექტრონულად უგზავნიან სარედაქციო განხილვის სადისკუსიო ჯგუფს, რომლებიც, თავისი მხრივ, აღმასრულებელ რედაქტორს ატყობინებენ თავიან საბოლოო გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნებასა თუ არგამოქვეყნებაზე.
- თუ სტატია აქმაყოფილებს ჟურნალის სტანდარტებს, ავტორს იწვევენ სარედაქციო განხილვის სადისკუსიო ჯგუფში სტატიის განსახილველად და მათი მხრიდან წარმოდგენილი იყოს რეკომენდაციები შესატანი ცვლილებების შესახებ. სადისკუსიო ჯგუფის ვებგვერდზე იდება შესატანი ცვლილებების პროექტები და იგი სწორდება, სანამ სტატია მზად არ იქნება გამოსაქვეყნებლად.
- სტატია ქვეყნდება ვებგვერდზე და სარედაქციო განხილვის სადისკუსიო ჯგუფი უკვე მზადაა ფართო აუდიტორია ჩატაროს სატატის შემდგომ განხილვაში (<http://arexpeditions.montana.edu/docs/submissions.html>).

(იხ. ძირითად კონცეფციათა ცხრილი 9-1, სადაც მოცემულია ელექტრონული მისამართების ჩამონათვალი)

## საკუანძო კონცეფციების ცხრილი 9-1

<b>ძირითადი ელექტრონული მისამართები</b>	
თანამონაწილეობითი სამოქმედო კვლევის ქსელი (PARnet)	<a href="http://parnet.org">http://parnet.org</a>
თანამშრომლობითი სამოქმედო კვლევის ქსელი (CARN)	<a href="http://www.did.stu.mmu.ac.uk/carn/whatis.shtml">http://www.did.stu.mmu.ac.uk/carn/whatis.shtml</a>
პროფესიული პრაქტიკის სამოქმედო კვლევის ცენტრი (CARPP)	<a href="http://www.bath.ac.uk/carpp">http://www.bath.ac.uk/carpp</a>
არტისტი	<a href="http://elmo.scu.edu.au/schools/sawd/ari/artist.html">http://elmo.scu.edu.au/schools/sawd/ari/artist.html</a> ან ელექტრონული ფოსტის მისამართი: <a href="mailto:listproc@scu.edu.au">listproc@scu.edu.au</a>
სამოქმედო კვლევის ელექტრონული მკითხველი	<a href="http://www.scu.edu.au/schools/gcm/ar/arr/arow/default.html">http://www.scu.edu.au/schools/gcm/ar/arr/arow/default.html</a>
საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა	<a href="http://www.tandf.co.uk/journals/titles/09650792.asp">http://www.tandf.co.uk/journals/titles/09650792.asp</a>
ჟურნალი ქსელები	<a href="http://education.ucsc.edu/faculty/gwells/networks/">http://education.ucsc.edu/faculty/gwells/networks/</a>
საერთაშორისო მოქმედების კვლევა	<a href="http://www.scu.edu.au/schools/gcm/ar/ari/arihome.html">http://www.scu.edu.au/schools/gcm/ar/ari/arihome.html</a>
ჰაილენდ-პარკის კოლეჯის სამოქმედო კვლევის ლაბორატორია	<a href="http://www.dist113.org">http://www.dist113.org</a>
ქუინსის უნივერსიტეტის სამოქმედო კვლევის ვებგვერდი	<a href="http://educ.queensu.ca/~ar/">http://educ.queensu.ca/~ar/</a> ,
მოქმედების კვლევის ექსპედიცია	<a href="http://arexpeditions.montana.edu/index.php">http://arexpeditions.montana.edu/index.php</a>

### ელექტორნული მოქმედების კვლევა: რისკი და საფრთხილო საკითხები

ზოგიერთი ჩვენგანისათვის შესაძლოა მოსახერხებელი იყოს ინტერნეტით სარგებლობა და პირისპირ შეხვედრებზე მეტად წარმოადგინდეს სასურველ საკომუნიკაციო საშუალებასაც, მაგრამ არსებობს საშიშროება და რისკი, რომლებიც აუცილებელია ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ.

#### ტექნოლოგია

ინტერნეტის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ შეუზღუდავი რაოდენობის ინფორმაცია და რესურსი მოიძიოთ. მაგრამ ვისაც ყველაფერი მექანიკურის, ელექტრონულის ან ციფრულის მიმართ შიში (ტექნოფობია) აქვს, ინტერნეტით სარგებლობას ვერ

შეძლებს. ეს თავი ითვალისწინებს, რომ თქვენ გაქვთ სურვილი და უნარიც შეგწევთ ისარგებლოთ ინტერნეთთ შემოთავაზებული უპირატესობებით. ბოლო წლებში სულ უფრო მეტი პედაგოგიური სასწავლო პროგრამების, მათ შორის, პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების კურსამთაცერებულებს მოეთხოვებათ კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევების ცოდნა. ბევრ ჩვენგანს კიდევ კარგად ახსოვს დრო, როდესაც არ არსებობდა ბანკომატები, მანქანები კომპიუტერული ჩიპებით, და კოსმოსში ხშირი/რეგულარული ფრენა. 21-ე საუკუნის ტექნოლოგიების ათვისების საქმე, კოსმოსური ხომალდის, აპოლოს ასტრონავტის, ნილ არმსტრონგის სიტყვების პერეფრაზი რომ მოვაძინოთ, დიდი წინსვლაა კაცობრიობისათვის.

ბევრი ჩვენგანისათვის შესაძლოა შედარებით მარტივი საქმე, როგორიც კომპიუტერის ჩართვა, რთულად გვაჩვენებოდეს. თქვენ იცნობთ ალბათ მოზრდილ, მოწიფულ ადამიანს (შესაძლოა ეს თქვენც იყოთ), რომელსაც აშინებს კომპიუტერული ტექნოლოგიები და სურვილის მიუხედავად მარტივი ოპერაციებიც (კომპიუტერის ჩართვა) კი ეძნელებათ. მიეცით თქვენ თავს დრო, მიეცით შეცდომების დაშვების თავისუფლება საკუთარ თავს და ისწავლეთ თქვენი მოსწავლეებისაგან/სტუდენტებისაგან, რადგანაც მათი ამ სფეროში არსებული უნარ-ჩვევები და ცოდნა, მნიშვნელოვნად აღემატება ჩვენსას. მაგალითად, ჩემი ვაჟიშვილისათვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს კომპიუტერისა და სასურველი კომპიუტერული თამაშის კომპაკტისკის ჩართვა. მას ასევე მარტივად შეუძლია „კლავატურის კითხვა“ საჭირო ღილაკებზე დაჭირის მეშვეობით. მაუსის გამოყენებით კი ადვილად ხურავს პროგრამას და თიშვას კომპიუტერს; შედის სასურველ ვებგვერდებზე (საბედნიეროდ, ის ჯერ პატარა იმისათვის, რომ შეძლოს ელექტრონულად ჩემს საკრედიტო ბარათზე მიუწვდებოდეს ხელი). იგი ასევე ადვილად ახდენს სურათების სკანირებას და კომპიუტერში სასურველი ფორმატებით შენახვას, რომ შემდეგ ისინი სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებისათვის გამოიყენოს. მას ასევე შეუძლია დისკებზე ჩაწეროს როგორც ოჯახური არდადგების ამსახველი მასალა (ფოტოები), ასევე მისი საყვარელი სიმღერები (რომლებიც დროის მიხედვით იცვლება).

თუკი ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი თქვენთვის მიმზიდველია, მაგრამ კომპიუტერთან არ მიგიწვდებათ ხელი არც სახლში და არც სამსახურში, ან პირიქით, ხელმისაწვდომობის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ არ იცით კომპიუტერით სარგებლობა, გირჩევთ მიმართოთ ადგილობრივ უნივერსიტეტს, კათედრას, საჯარო ან სასკოლო ბიბლიოთეკას ან თუნდაც თქვენსავე სტუდენტებს. აუცილებლად გამოჩნდებიან დახმარების მსურველები.

## შიში გუდოვად განვითარებადი ინტერნეტის ნინაშე

როგორც მე-2 თავში იქნა ნახსენები, ელექტრულული რესურსის – საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრის (ERIC) ძიების დროს მნიშვნელოვანია აღინიშნოს ინტერნეტრესურსების ცვალებადობა. დიდი ალბათობა, რომ ამ წიგნში მოცემული ვებგვერდების მისამართები შეიცვლება იმ დროისათვის, როდესაც თქვენ მათ გამოყენებას დააპირებთ. მაგრამ, თუკი გეცოდინებათ ისეთი საძიებო სისტემების გამოყენება როგორიცაა, მაგალითად, Google, Yahoo, Lycos და ა.შ., თქვენ შეცვლილი ელექტრონული მისამართების მიუხედავად შეგეძლებათ აქ ნახსენები ყველა რესურსის მოძიება. ხშირად მოცემულ მისამართზე შესვლის შემდეგ, მიიღებთ ბმულს ან ახალ მისამართს (ისევე როგორც საფოსტო სამსახური შეცვლი-

ლი მისამართის დროს გზავნილს გაგზავნის ახალ მისამართზე). განაახლეთ თქვენი საძიებო ბმული (bookmark) იმისათვის, რომ სწორ მისამართზე შეძლოთ დაბრუნება. არსებობს ალტერნატიული გზაც – თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ მერილის საგანმანათლებლო ვებგერაფზე, სადაც მოცემულია განახლებული ვებმისამართები და ბმულები.

## საცრთხილო საკითხი: აკონტროლეთ ინტერნეტით სარგებლობის დრო

ინტერნეტით სარგებლობა მეტად აზარტული და მიზიდველია, თუმცა დროის ფაქტორის დავიწყება არ ღირს. ელექტრონული რესურსების ეს მიმოხილვა გამიზნულია თქვენი მოქმედების კვლევის ძალისხმევის გაძლიერებისა და არა იმისაკენ, რომ თქვენ დრო უყარათოდ ხარჯოთ. თუ ინტერნეტზე ხელი მიგიწვდებათ და მისი გამოყენებაც იცით, თქვენ უკვე გეცოდინებათ როგორ გამოიყენოთ ეს დრო მაქსიმალურად ეფექტურად. თუ ზემოთქმული თქვენთვის გაუგებრად ჟღერს, გონივრული იქნება თუკი ინტერნეტით ზომიერად და ფრთხილად ისარგებლებთ. შესაძლებელია თავად ან სკოლის კომიტეტის სპეციალისტის დახმარებით შეძლოთ ჩვენ მიერ ამ თავში შემოთავაზებული ვებგვერდის ნახვა და შესწავლა (ყოველ სკოლას პყავს კომპიუტერის „გურუ“). თუნდაც საკუთარ კლასში გეყოლებათ მოსწავლეები, რომლებსაც საკუთარი ვებგვერდი და ბლოგები გააჩნიათ). კიბერსივრცეში აკონტროლეთ თქვენი სამოქმედო კვლევისათვის განკუთხილი დრო, წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქმედო მოქმედების კვლევის ეს ინიციატივაც წარუმატებელ საგანმანათლებლო ინოვაციათა რიგს შეუერთდება.

## არის თუ არა ეს ნამდვილად კვლევა? — მოძრაობის კვლევის შეცასების კრიტერიუმები

თქვენ უკვე გეცოდინებათ, რომ მოქმედების კვლევა და ტრადიციული საგანმანათლებლო კვლევა ერთმანეთისაგან ბევრი რამით განსხვავდება. განმარტების თანახმად, მოქმედების კვლევა არის – „საქმინობა, რომელიც მიმართულია პედაგოგებსა და სტუდენტებზე და განხორციელებულია თავად მათ მიერ. იგი არ წარმოადგენს მათზე გაკეთებულ კვლევას“. მოქმედების კვლევის ჩატარების და კვლევის შედეგების გაზიარების მეთოდები საკმაოდ ორგანულად შეესატყვისება დასარულ მიზნებს. მოცემულ პირობებში, რას წარმოადგენს მოქმედების გეგმის შეფასების კრიტერიუმები? როგორი უნდა იყოს ეს კრიტერიუმები და შეიძლება თუ არ იმავე კრიტერიუმების გამოყენება რაც საგანმანათლებლო კვლევისას არის გამოყენებული (ურნალებში მოცემული)?

ჯეკ უაითჰედი (ბათის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი), დარგი ექსპერტი, ამ მოსაზრებას არ იზიარებს, რადგან მოქმედების საგანმანათლებლო კვლევის შედეგებისაგან განსხვავებით გეგმის შედეგები სხვაგვარად არის წარმოდგენილი და ფორმირებული. მისა აზრით, „საგანმანათლებლო კვლევის ბუნება, ესთეტური და ეთიკური განსჯის სტანდარტები საჭიროებს მულტიმედიური საშუალებების გამოყენებას, რაც, შედეგად ვერ იქნება გადმოცემული მხოლოდ ურნალების ფურცლების მეშვეობით“ (ჯეკ უაითჰედი, 1998 წელი).

უურნალ სამოქმედო კვლევის ელექტრონული მეთაველის რედაქტორის იან პიუსის განცხადებით, გამოქვეყნების გადაწყვეტილების მიღებისას იგი ამბობს: „არ

ვცდილობ ვეძებო შესაბამისი სტრანდარტი, რომელიც შესატყვისი იქნებოდა იმისა, რასაც ექსპერტული (ექსპერტების მიერ რეცენზირებული) უურნალები იყენებენ“, და „არ ვაწესებს მეტისმეტად მაღალ სტანდარტებს“, რადგანაც „არ ვცდილობ აკადემიურ უურნალებს შევეჯიბრონ და კონკურენცია გავუწიო მათ“ (იან ჰიუსი, 1998 წელი). მისი რწმენით, „სამოქმედო კვლევის ელექტრონული მკითხველის გამოყენების მეთოდების დანიშნულება სულ სხვა რამ არის“. ამდენად, კვლევაზე სტატიის გამოქვეყნების (ელექტრონულ უურნალში) გადაწყვეტილების მიღების დროს, იგი არაფორმალურ კრიტერიუმებს იყენებს. ესენია:

- შეუძლია თუ არა (ჩემი მოქრძალებული შეფასებით) წარმოდგენილ ნაშრომს (მასალას) პოტენციური სარგებელი მოუტანოს მიზნობრივ აუდიტორიას?
- არიან თუ არა მიზნობრივი აუდიტორიის წევრები ყველა სფეროში (მათ შორის ჯანდაცვის და საზოგადოებრივი განვითარების) ჩართულნი?
- ზოგადად, აქმაყოფილებს თუ არა სტატია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროს სტანდარტებს; დაცულია თუ არა ციტირებების და გამოყენებული ლიტერატურის აღნიშვნის სტანდარტები (თითოეული სტატიის შესატყვისი ფორმატით)?
- წარმოადგენს თუ არა სტატია ახალ კვლევას ან ანალიზს (თუ მხოლოდ ადრე გამოქვეყნებული ნაშრომების პერიოდია)? შეიცავს თუ არა ის პლაგიატის ნიშნებს?
- არის თუ არა სტატია მოკლე და (შეძლებისდაგვარად) მარტივად წასაკითხი? (იან ჰიუსი, 1998 წელი)

მოქმედების კვლევის ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების შესახებ არსებობს აგრეთვე რედაქტორთა რჩევები. ტიკლის (1993) მოსაზრებით, პედაგოგმა მკვლევრებმა, ქვემოთ მოცემული მახასიათებლების საფუძველზე, უნდა მოახდინონ როგორც თავიანთი, ასევე სხვათა ნაშრომების (მოქმედების კვლევის) ხარისხის შეფასება. ეს მახასიათებლებია:

- **ანგარიშიანობა** – სტატიის პრაქტიკული ღირებულება და მოქმედების კვლევის შეფასების ყველაზე მომგებიანი საშუალება.
- **ლიაობა** – ჩანაწერები, მოქმედების წარდგენა, საფუძვლად დადებული თეორიების მიმოხილვა, გამოთქმული შეფასებების მიმართ ყურადღების გამოჩენა, მონაცემთა განხილვა.
- **საზოგადოებრივი თვითშეფასება** – არსებული ცრუწმენების (პრაქტიკოსთა და მკვლევართა მიერ) სააშკარაოზე გამოტანა და მათი საჯარო განხილვა.
- **გამშედაობა** – სასწავლო გეგმებისა და პრაქტიკული გზების შეთავაზებაში; გამშედაობა კვლევის წარმოებაში.
- **განვითარებისკენ სვლა** – რეალობის შეცვლის სურვილი და ცვლილების შეფასება.
- **შეხედულება** – განვითარების გზების ძიებისას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არსებული აზრთასხვადასხვაობა (განსაკუთრებით თეორია-პრაქტიკის ურთიერთკავშირზე).
- **მიმოხილვა** – ფერმენათა ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა.
- **კონფიგურაცია** – კონფიგურაციის ინფორმაციის აღქმადი სახით წარმოდგენა (გვ. 235).

კრესველი (2005) პედადოგ მკვლევრებს სთავაზობს შემდეგ კითხვებს, რის საფუძველზეც მათ შეუძლიათ მოქმედების კვლევის შეფასება: ეს კნია:

- არის თუ არა ნაშრომში პრაქტიკულად გაანალიზებული პრობლემა ან საკითხი, რომელიც გადაჭრას საჭიროებს?
- იყო თუ არა შეგროვილი საკმარისი რაოდენობის მასალა მკვლევრის მიერ (რომელიც პრობლემას უკავშირდება)?
- კვლევის დროს თანამშრომლობდა თუ არა მკვლევარი სხვებთან? იყო თუ არა გამოვლენილი პატივისცემა თანამშრომელთა მიმართ?
- ლოგიკურად გამომდინარეობს/ეფუძნება თუ არა მასალას მკვლევრების მოქმედების გეგმა?
- ჩანს თუ არა, რომ მოქმედების გეგმამ გავლენა იქნია მკვლევრის, როგორც პროფესიონალის, განვითარებაზე?
- მოხდა თუ არა კვლევის მონაწილეთა ცხოვრების შეცვლა – მათი ახალი უფლებებით აღჭურვის ან ახალი ცოდნის შეძენის მხრივ?
- გამოიწვია თუ არა მოქმედების კვლევამ ცვლილებები? ან რამე შედეგი თუ გამოიღო პრობლემის მოგვარების შემოთავაზებულდა გზამ?
- იყო თუ არა მოქმედების კვლევა მიზნობრივი საზოგადოებისათვის წარდგენილი (რომლებმაც იგი უნდა გამოიყენონ)? (გვ. 565)

არსებობს ასევე მოქმედების კვლევის ხარისხის შეფასების სხვა გზაც. კვლევის პროცესის და შედეგების წერილობითი მოსხენების შედარება პირველ თავში განხილულ მოქმედების კვლევის მახასიათებლებთან. უნდა დაისვას კითხვა: გათვალისწინებულია თუ არა თანამონაწილეობის პრინციპით და დემოკრატიულობა? მოქმედების კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა ასხვავებს თუ არა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს? აქვთ თუ არა პედაგოგ მკვლევრებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება? მოწოდებულნი არიან თუ არა პედაგოგი მკვლევრები პროფესიული განვითარების და სკოლის გარემოს გაუმჯობესებისათვის?

ტიკლის (1993) მოსაზრებით, მოქმედების კვლევის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებზე დიდი ყურადღების და ენერგიის დაზარჯვამ შესაძლოა გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიღოს, როგორიცაა მოქმედების პრეტენდენტი მკვლევართა ერთ ადგილზე „გაყინვა“. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს კრიტერიუმები გვეხმარება საკუთარი ნაშრომის ხარისხის შეფასებაში, და იმის განსაზღვრაში, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი კვლევის ძალისხმევა. თითოეული ჩვენგანმა, რომელსაც პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია, უნდა გამოიყენოს ზემოხსენებული კრიტერიუმები (ან მათი ნაწილი) იმისათვის, რომ მოახდინოს საკუთარი მოქმედების კვლევის ხარისხის შეფასება, რომელსაც ჩვენ ვკითხულობთ ან სხვა ფორმით/სახით გვაქვს მასთან შეხება.

შეფასების სხვადასხვა სქემაზე დაყრდნობით, ზემოჩამოთვლილის გათვალისწინებით, გთავაზობთ 9-1 მოქმედების კვლევის კითხვების ჩამონათვალს, რისი მეშვეობითაც თქვენ შეგიძლიათ საკუთარი და სხვათა ნაშრომების ხარისხის შეფასება.

## 9-1 მოქმედების კვლევის კითხვების ჩამონათვალი

მოქმედების კვლევის შეფასების კრიტერიუმები	
—	რეფორმის განხორციელების სირთულე – იწვევს თუ არა თქვენი კვლევა შემდგომ ქმედებებს?
—	მიზნობრივი ჯგუფი/აუდიტორია – ვისთვის არის გამიზნული თქვენი ნაშრომი?
—	ფორმატი – მიღებულ ფორმატში გაქვთ თუ არა წარმოდგენილი თქვენი ნაშრომი?
—	ცრურწმენები – მოქმედებით თუ არა რაიმე ცრურწმენით, რასაც შესაძლოა გავლენა მოქადაცია კვლევის შედეგებზე?
—	პროფესიული დისპოზიცია – როგორ იმოქმედა მოქმედების კვლევის ძალისხმევამ თქვენს პროფესიულ დისპოზიციაზე
—	პროფესიული განვითარება – როგორ იმოქმედა მოქმედების კვლევის ძალისხმევამ თქვენს პროფესიულ განვითარებაზე (როგორ აღიქმამთ სწავლის პროცესს)?
—	გავლენის მქონე – როგორ შეცვალა კვლევამ თქვენი მოსწავლეების ცხოვრება?
—	მოქმედება – რა საქმიანობა გასწიეთ?
—	მოქმედებისა და მონაცემების ურთიერთკავშირი – რა კავშირშია თქვენ მიერ შემოთავაზებული მოქმედება მონაცემთა ანალიზთან და ინტერპრეტაციასთან?
—	გავლენა – როგორ აკონტროლებთ (როგორ მონიტორინგს გაუწევთ) თქვენი პრაქტიკული საქმიანობის შედეგებს?
—	ცვლილებები – რას შეცვლილით სხვა დროს?
—	გამოხმაურება – კოლეგების მხრიდან – როგორი დამოკიდებულება აქვთ თქვენს კოლეგებს თქვენი მოქმედების კვლევის შედეგებთან და შემოთავაზებულ მოქმედებასთან?

### პირადი გამოცდილება

ყველა ეს საუბარი კიბერსივრცეზე და ვირტუალურ უნივერსიტეტზე, ისევ მახსენებს თხომოცდაათი წლის მამაჩრდებელს და იმას, თუ რას იყყოლა იგი ამ ყველაფერზე. ვეჭვობ, რომ ეს გამოიწვევდა არასასიამოვნო ლიმილს მის სახეზე, მის ცბიერ გამოხდებას და შემდეგნაირ შენიშვნას: „შეიღო ჩემო, შენ მეგობრებთან საუბრით და ლუდისანაში ჯდომით ვერ მიაღწევ წარმატებას“. შესაძლებელია ხანდაზმული ადამიანისაგან ეს შენიშვნა არსებითად ჰგავდეს ელექტრონული სამოქმედო კვლევის რესურსების გზავნილს – ზომიერად გამოიყენეთ ეს ვირტუალური გარემო, რათა კავშირი გქონდეთ თქვენს მეგობარ პედაგოგ მკვლევრებთან და ისიამოვნეთ მათთან ურთიერთობით და საქმის შესწავლის პროცესით (მე ვერ მოვუძებნე გამოსავალი ამბავი „ლუდისანის“ ნაწილს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ მომენტში კიბერსიკრის დილეტანტი მომზადებელი ცდილობს ამ გლობალური პრობლემის დაძლევის გზების ძიებას).

## ზეიმი – გართობის დროა!

ათწლეულების განმავლობაში განათლება და პედაგოგიური პროფესია საზოგადოებაში არსებული ყველა პრობლემის სათავედ მიიჩნეოდა. დილის მოსაზრების თანახმად (1987 წელი):

საგანმანათლებლო სფეროს ორი ათწლეულის კრიტიკამ, დესეგრეგაციამ და იძედგაცრუებაში სკოლებში ნდობის და რწმენის ფაქტორები წაშალა. ამ ათწლეულების განმავლობაში სკოლებს იაფი მეთოდებით საზოგადოების ამ ეჭვების გაქარწყლება დაევალათ. შემდეგ კი სკოლებს ხმამაღლა აკრიტიკებინან, რომ ვერ მიაღწიეს მიზანს, რომელიც საზოგადოების შესაძლებლობებსაც სცილდებოდა. ეს იყო არამდგრადი/პრობლემატური პერიოდი პედაგოგებისათვის და შესაძლებელია მომავალშიც განმეორდეს (გვ. 9).

დილისაგან განსხვავებით, ვერ გავიზიარებ იმ ოპტიმიზმს, რომ პედაგოგებისათვის ეს რთული პერიოდი წარსულს ჩაბარდა. ჩვენ კვლავაც მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე ვდგავართ: ეროვნული დეფიციტი, შიდსის გავრცელების საზროთხე, ტერორიზმი, დაპირისპირება რასობრივ ნიადაგზე და საერთაშორისო ტესტირებებში ჩვენი ბაგშვების წარუმატებლობა. ეს რამდენიმე ჩამოთვლილი პრობლემაა, რომელიც მოხსენიებულია მათემატიკის და მეცნიერებათა საერთაშორისო კვლევის მიმართულებების კვლევის შედეგებში, ამერიკის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 1996 წელი. რა პრობლემაც არ უნდა იყოს, ყველა შემთხვევაში, პედაგოგიური პროფესია არის დადანაშაულებული.

იმის მიუხედავად, რომ ეს ბრალდებები უსაფუძვლოა, დროთა განმავლობაში ამ და სხვა მსგავსმა ბრალდებებმა პედაგოგებს თვითშეფასების, წარმატების შეგრძნება დააკარგინა. ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი შესაძლოა პედაგოგიური კვლევის საქმიანობა არ იყოს, მაგრამ ამან შესაძლოა დიდი წვლილი შეიტანოს როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური თვითშეფასების, წარმატების შეგრძნების ხელახალი ფორმირების საქმეში. პედაგოგიური კვლევითი საქმიანობა (მსწავლელ საზოგადოებას) გვაძლევს იმის შეცნობის საშუალებას, თუ რა ვისწავლეთ როგორც პედაგოგმა მკვლევრებმა და როგორ დადებით გავლენას იქონიებს ეს ცოდნა მოსწავლებზე. დილის მოსაზრების თანახმად (1987 წელი), ეს წარმოადგენს სკოლის მიმართ საზოგადოების მხრიდან ნდობის და რწმენის დაბრუნების შესაძლებლობას.

პედაგოგ მკვლევრებს შესწევთ ძალა გამოიწვიონ ეს დადებითი პროცესები თავიანთი კვლევის შედეგების გაზიარებით სკოლათა საზოგადოებისათვის ისეთი ფორმით/სახით, რაც ხაზს უსვამს პროფესიონალის, როგორც ინდივიდის მნიშვნელობას, პრაქტიკული საქმიანობის მუდმივ შესწავლას/კვლევას და მისი შედეგების დადებით გავლენას მოსწავლეებზე/სტუდენტებზე. ამის განხორციელების ერთ-ერთი გზაა პედაგოგი მკვლევრების მიღწევათა აღნიშვნა, რომლის მხარდაჭერაც შესაძლებელია მოხდეს სასკოლო პერსონალის განვითარების დაფინანსებით, მშობელ-პედაგოგთა ორგანიზაციის, მშობელ-პედაგოგთა ასოციაციის დაფინანსებით ან/და სხვა შესაბამისი წყაროებიდან. სხვაგვარად, პედაგოგებს და სასკოლო გაერთიანების წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათ მიერვე მოწყობილ წვეულებებში ან დაამთხვიონ თავიანთი დღესასწაული მასწავლებლის ეროვნულ დღესასწაულს, რაც კიდევ

ერთხელ მისცემს პედაგოგ მკლევრებს თავიანთი სამოქმედო კვლევის მიღწევების აღნიშვნის შესაძლებლობას. სტრინგერის მოსაზრების თანახმად (1996 წელი):

ზეიმის გამართვა ერთიანი მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი არა მხოლოდ აკმაყოფილების აღამინის ემოციურ ელემენტებს, არამედ აუმჯობესებს მონაწილეობას სოლიდარულობის გრძნობებს, კომპეტენტურობას და ზოგად კეთილდღეობას. ეს გახლავთ საშუალება, რითაც შეიძლება იმ ემოციური ენერგიის აღდგნა, რომელიც მუშაობის პერიოდში დაიბარვა. ის აგრეთვე პროექტზე მუშაობის პერიოდში გამოვლენილი ანტაგონისტური ელემენტების განხლების და დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაცაა.

ზეიმის გამართვა შეიძლება მრავალი ფორმით. წლების განმავლობაში ჩვენ საზემოდ აღვინიშნეთ მოქმედების კვლევის კურსები, სადაც პედაგოგმა მკვლევრებმა არაფორმალურად წარმოადგინეს თავიანთი ნაშრომები მათ მიერვე არჩეული პრეზენტაციის მეთოდით, რომელსაც თან ახლდა საკეთების, სასმელის და მუსიკის ელემენტები, რაც საზს უსვამდა ზეიმის სადღესასწაული განწყობას.

არ არსებობს წარმატებული წვეულების გამართვის მარტივი რეცეპტი. ჩვენ ყველანი დავსწრებივართ წვეულებებს რომლიდანაც წასვლა გვინატრია – სტომატოლოგის სკამზე ჯდომა უფრო მიმზიდველად მოგეჩენებოდათ! წარმატებული ზეიმის მოწყობის „რეცეპტის“ შემოთავაზების ნაცვლად გეტყვით, რომ, თუ თქვენ და ოქვენი კოლეგები კმაყოფილები ხართ შედეგებით და გსურთ აღნიშნოთ თქვენი მოქმედების კვლევის მიღწევა, უბრალოდ აღნიშნეთ. ზეიმის გამართვა არის შესანიშნავი საშუალება აღიდგინოთ დაკარგული ძალები რომელიც შემდგომში მოქმედების კვლევის ჩასატარებლად დაგეჭირდებათ. მეორე მხრივ, თუ ამ პროცესში მხოლოდ განამტკიცა შეცედულება/მოსაზრება, რომ თქვენ კოლეგებს არ შეუტანიათ წვლილი პედაგოგიური პროფესიის განვითარებაში, მაშინ თქვენი მხრიდნ გონივრული ნაბიჯი იქნება, თუ მაღლობას გადაუხდით მათ ჩატარებული კვლევისათვის და მხოლოდ შეძლებ წაზვალთ თქვენს საქმეზე – სტომატოლოგთან.

## ეს მხოლოდ დასაწყისია!

არ უნდა იყოს გასაკირი, რომ მხოლოდ წიგნის დასასრულს გეუბნებით – თქვენი მუშაობა მხოლოდ ახლა იწყება. აქამდე, თქვენ დიდი დრო და ენერგია დახარჯეთ იმის გასაგებად, თუ რა არის მოქმედების კვლევა, ისწავლეთ თუ როგორ უნდა ჩაატაროთ იგი, ისწავლეთ მოქმედების კვლევის აღგიღმდებარების განსაზღვრა საზოგადოებრივად საპასუხო კვლევის ფართო სპეცირში. ისწავლეთ აგრეთვე თქვენი საკუთარი მოქმედების კვლევის ძალისხმევის განვითარება, მიზნობრივი სფეროს განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, მონაცემთა ანალიზი და განმარტება და სამოქმედო გეგმის შემუშავება მოქმედების საფეხურების სქემის გამოყენებით. მოკლედ რომ ვთქვა, შედარებით ნაკლებ დროში თქვენ დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარეთ.

მხოლოდ ახლა იწყება ნებისმიერი საგანმანათლებლო ინოვაციის ნამდვილი გამოცდა. შეუძლია მას განვდეს კრიტიკული კომპონენტი თქვენი მუდმივი და მიმდინარე სწავლების პრაქტიკისა? თუ მოქმედების კვლევის პრაქტიკაში დანერგვის გზა გამონახეთ, თქვენ ნამდვილად მკვლევარი პედაგოგის ცხოვრებით ცხოვრობთ. იმ პრო-

ფესიული ცხოვრებით ცხოვრებას, რომელიც ამ წიგნშია აღწერილი, გააჩნია სკოლის გარემოს შეცვლის პოტენციალი. ჩვენ, პროფესიულ გაერთიანებას/საზოგადოებას, შესაძლებლობა გვექნება საზოგადოების მხრიდან აღვადგინოთ სკოლისადმი და პედაგოგის პროფესიის მიმართ ნდობა და რწმენა.

ჩვენ შესაძლოა გაგვაჩნდეს მიზეზები, თუ რატომ არ უნდა მოვახდინოთ მოქმედების კვლევის ჩართვა ჩვენს პროფესიულ საქმინობაში. ამის ყველაზე აშკარა მიზეზი შეიძლება იყოს დროისა და რესურსების სიმწირე. თუმცა, თუ გაქვთ რწმენა იმისა, რას აკეთებთ, თქვენ აუცილებლად გამონახავთ მისი კეთების გზასაც. შეგიძლიათ იდეალისტი მიწოდოთ, მაგრამ მოხიბლული ვარ იმ პედაგოგთა საქმიანობით, რომლებიც სირთულეების და წინაღობების მიუხედავად, მოსწავლეთა ყოფას დადგებითისაკენ ცვლის. მოქმედების კვლევის ეს ექსკურსი გამიზნულია იმისათვის, რომ შეცდომები არ დაუშვათ.

უკვე აღიტურვეთ ცოდნით, უნარებით, ფასეულობებით და მოქმედების კვლევის მეთოდებით, სამუშაო ახლა იწყება. თქვენ განაგრძობთ პრაქტიკულ საქმიანობას და თქვენი მხრიდან შეტანილი სიახლეების შედეგების გავლენის შესწავლას მოსწავლეთა სწავლის პროცესზე პროფესიული საქმიანობის კრედიტს სრული გაზიარებით და მუდმივად (ცხოვრების განმავლობაში) სწავლის პროცესში ყოფნით. რასაც თქვენ პრაქტიკულ საქმიანობაზე სწავლობთ, გეხმარებათ მოსწავლეების/სტუდენტების ყოფის გაუმჯობესებაში. თუ ახლა მოტივირებულნი ხართ მოქმედების კვლევის პროცესის დასაწყებად, შემდეგ ლოგიკურ ნაბიჯს წარმოადგენს საუბრიდან უშუალოდ მოქმედებზე გადასვლა!

## დასკვნა

ამ თავში განხილული იყო ნაშრომების გაზიარების, შეფასების და მოქმედების კვლევის დასრულების შემდგომ წევულების გამართვის საშუალებები. მოქმედების კვლევის ნაშრომების გამოქვეყნება (ელექტრონულ ჟურნალებში) მისი სხვა კოლეგებთან გაზიარების საშუალებას იძლევა. ეს ტრადიციული დაბეჭდილი ჟურნალის სტატიების (რომლებიც იშვიათად თუ იმეტდება და, შესაბამისად, იშვიათად გამოიყენება პედაგოგის დასწავლისას შემდეგ ლოგიკურ ნაბიჯს წარმოადგენს საუბრიდან უშუალოდ მოქმედებზე გადასვლა)

მოქმედების კვლევის ელექტრონული რესურსების მეშვეობით, პედაგოგ მკვლევრებს შეუძლიათ დისკუსიაში ჩაერთონ მსოფლიოს სხვა პედაგოგ მკვლევრებთან. ეს ვებგვერდები წარმოადგენს საწყის ეტაპს, რისი მეშვეობითაც ხდება ინტერნეტის შეცნობა. ჯგუფური გზავნილების სია და ელექტრონული ჟურნალები წარმოადგენს საჭირო რესურსებს, რომლის მეშვეობითაც პედაგოგ მკვლევრებს შეუძლიათ განვითარონ არსებული ლიტერატურის აღმნის/გაგების უნარი და ფართო მკვლევარი საზოგადოების მიერ ჩატარებული მოქმედების კვლევის თეორიული და პრაქტიკული დისკუსიების/დებატების თანამნაწილენი გახდნენ. დაბოლოს, გაეცნონ ინტერნეტის მოხმარებასთან დაკავშირებულ სირთულეებს; მასალის მონიტორინგისა და გაანალიზებისათვის ინტერნეტში დახარჯული დროის განაწილებას.

მოქმედების კვლევის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები შეიცავს კითხვებს რეფორმის განხორციელების სირთულეზე, სამიზნე ჯგუფზე, ფორმატზე, ცრურწმენებზე,

პროფესიული შემეცნების უნარზე, პროფესიულ განვითარებაზე, განხორციელებულ მოქმედებაზე, მოქმედებისა და მონაცემების ურთიერთკავშირზე, მიმდინარე პრაქტიკის მონიტორინგზე, შეთავაზებულ ცვლილებებზე და კოლეგების გამოხმაურებას ჩატარებულ მოქმედების კვლევაზე.

## განსჯისათვის

1. რა აღტერნატიული ტექნიკის გამოყენება შეგიძლიათ თქვენი მოქმედების კვლევის გაზიარებისათვის?
2. როგორ აქმაყოფილებს თქვენი მოქმედების კვლევის ნაშრომი მოქმედების კვლევის შეფასების კრიტერიუმებს?
3. რომელი ვებგვერდიდან მიიღეთ მეტი სასარგებლო ინფორმაცია? და რატომ?
4. დარეგისტრირდით ჯგუფური გზავნილების სიის ვებგვერდზე. რა ისწავლეთ და რა წვლილი შეიტანეთ დისკუსიებში?
5. ეწვიეთ ამ თავში მოცემულ ელექტონული ურნალების ვებგვერდებს. რა არის საჭირო თქვენი ნაშრომების გამოსაქვეყნებლად?
6. რა პრობლემებს წააწყდით ელექტრონული რესურსების გამოყენებისას? როგორ გაუშენდავდით მათ?
7. ინტერნეტის გამოყენების რა რჩევებს მისცემთ თქვენს კოლეგებს?



## დანართი „ა“

### მოქმედების კვლევა მოქმედებაში: კურტისის დაწყებითი სკოლის მაგალითი და ნაშრომის კრიტიკა

ეს დანართი შეიცავს კურტისის დაწყებითი სკოლის მეზუთე კლასის პედაგოგის, ჯონათან სტუარდის სიტუაციური მაგალითის შესწავლას. ჯონათანის ეს მოხსენება ეხება „შეცვლილი სასწავლო პროგრამის“ ეფექტის შესწავლას მოსწავლების მოსწრებაზე კითხვაში. მასში ასევე მოცემულია მოქმედების კვლევის ჩარჩო და მისი ანალიზი/კრიტიკა მოქმედების კვლევის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით (რომელიც შე-9 თავში იყო მოცემული). ეს მაგალითი (დეტალურად მოცემული) არ წარმოადგენს მოქმედების კვლევის საუკეთესო ნიმუშს, თუმცა ასახავს მოქმედების კვლევას პრაქტიკაში. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება იყოს ჩართული მოქმედების კვლევა პროფესიული განვითარების სკოლის (PDS) საქმიანობაში საჯარო სკოლების და უნივერსიტეტების ფაკულტეტების თანამშრომლობის გზით.

ამ დანართის წაკითხვის შემდეგ თქვენ შეგეძლებათ:

1. წარმოდგენა გქონდეთ, თუ როგორ გამოიყურება მოქმედების კვლევა პრაქტიკაში.
2. გამოიყენოთ სტუარდის სიტუაციურ მაგალითში მოყვანილი მოქმედების კვლევის შეფასების კრიტერიუმები.
3. განსაზღვროთ, როგორ წარმოდგინოთ/წარმოაჩინოთ თქვენი საკუთარი კვლევის პროექტები.

ვითარების აღწერა: კურტისის დაწყებითი – პროფესიული განვითარების სკოლა

1949 წელს აშენებული კურტისის დაწყებითი სკოლა წარმოადგენს პატარა, ურბანულ დაწყებით სკოლას (საბავშვო ბალიდან მეზუთე კლასის ჩათვლით; ამერიკული

კლასიფიკაციით **K-5**) 256 ბაგშეითა და 12 პედაგოგით. იგი მდებარეობს ქალაქ კედარუულში 18,000 მოსახლეობით. მას შემდეგ რაც ყოველი საკლასო ოთახის კომპიუტერებით აღჭურვისათვის სკოლაშ გრანტი მიიღო, შენობა-ნაგებობის კონსტრუქციის ნაკლოვანების გამო საჭირო გახდა სკოლის მთელი გაყვანილობის შეცვლა (აღსანიშნავია, რომ კედარუულის დანარჩენ სკოლებშიც მსგავსმა პრობლემებმა იჩინა თავი). შენობა აგრეთვე იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და მას რეგულარულად უტარდება კონსტრუქციულ შემოწმება. სკოლას აქვს ფართო სათამაშო მოედანი, რომელიც მთელი სასწავლო დღის განმავლობაში აქტიურად დაკავებულია და საფეხბურთო მოედანი, რომელიც საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ სკოლის შემდგომი სპორტული ღონისძიებებისათვის გამოიყენება.

პედაგოგთა უმეტესობა (სკოლის დირექტორის ჩათვლით) 10 წელზე მეტია რაც ამ სკოლაში მუშაობს და ამ პერიოდის განმავლობაში კმაყოფილებას გამოხატავს სწავლების პროცესის და ზოგადად გარემოს მიმართ. სკოლა ამაყობს სასკოლო ღონისძიებებში მშობელთა მაღლალი აქტივობით; აქტივობით გამოიჩინება ასევე მშობელ-პედაგოგთა ასოციაციაც. ეს აქტივობა გამოიხატება ექსკურსიების მოწყობაში, სასკოლო სწავლის პროცესის გაძლიერებისათვის მასალების უზრუნველყოფაში (განსაკუთრებით კომპიუტერებით აღჭურვაში) და პედაგოგთა პატივსაცემად მოწყობილ შეკრებებზე.

სკოლაში 256 მოსწავლე, 12 პედაგოგი და 10 სერთიფიცირებული დამხმარეა. მოსწავლეების ეთნიკური წარმომავლობა შემდეგნაირია: ადგილობრივი ამერიკელი – 2%, ესპანელ-ამერიკელები – 4%, აფრო-ამერიკელები – 5%, აზიელი-ამერიკელები – 5% და თეთრი რასის წარმომადგენლები – 84%. ყველა პედაგოგი მიეკუთვნება თეთრ რასას და ყველანი კედარუულის მეცნიერნი არიან. ზოგიერთი პედაგოგის შვილებიც ამ სკოლაში სწავლობენ. სკოლის მოსწავლეების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი დადგინდა იმ ფაქტით, რომ მოსწავლეების 27% იღებს „მთლიან ან შემცირებული“ საუზმის პორციას, რაც სკოლას ფედერალური დაფინანსების მიღების უფლებას ანიჭებს.

სკოლის დირექტორი, რომელიც სკოლაში 15 წელია მუშაობს, დიდ პატივისცემას იმსახურებს პედაგოგების, მოსწავლეების და მოსწავლეების მშობლებისაგან კარგი ხელმძღვანელობისათვის და განსაკუთრებით სკოლაში განხორციელებული სისტემური ცვლილებებისათვის, რომელიც მიმართულია პედაგოგების პროდუქტიულობის ზრდასა და სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებაზე. პედაგოგები დირექტორს ახასიათებენ როგორც „მზრუნველ, მართლებულ და განათლებულ ლიდერს“. დირექტორი აქტიურად და წარმატებით მინაწილეობს სასწავლო პროგრამის გაუმჯობესების საკითხებში კონსენსუს მიღწევაში. სკოლის დირექტორი ადგილობრივი უნივერსიტეტის დეკანატთან მუშაობს ისეთი მიმართულებებით როგორიცაა: სასწავლო პროგრამის განვითარება, სტუდენტების/მომავალი პედაგოგების შერჩევა და მათ განთავსება რეგიონის საჯარო სკოლებში.

კურტისის დაწყებითი სკოლა არის **პროფესიული განვითარების სკოლა (PDS)** ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილობრივი უნივერსიტეტების პარტნიორი სკოლა. **პროფესიული განვითარების სკოლები** (სამედიცინო სფეროში სასწავლო საავადმყოფოების მსგავსი) შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

- **ურთიერთქმედება** – კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობას შორის კავშირი და აქტიურ სარგებლის მიღება.

- ექსპერიმენტების ჩატარება – პრაქტიკული საქმიანობისა და სტუქტურის ახალი ფორმის ძიებისათვის მზადყოფნა.
- კვლევების სისტემატიური ჩატარება – ახალი იდეების/წამოწევების ზედმიწევნითი შესწავლის და მათი დამტკიცების აუცილებლობა.
- მოსწავლეების მრავალფეროვნება – სასწავლო სტრატეგიების შემუშავება განსხვავებული შესაძლებლობების, სწავლის პროცესის განსხვავებულად ათვისების მქონე ბავშვებისათვის.

**პროფესიული განვითარების სკოლები**, როგორც კურტისის დაწყებითი სკოლაა, „წარმოადგენს ადგილს, სადაც პროფესიონალი პედაგოგები ამოწმებენ მრავალ სასწავლო მეთოდს და გასატარებელ ღონისძიებებს; დამწუები პედაგოგების და პედაგოგი მკვლევრებისათვის იგია ადგილი, სადაც მათ შეუძლიათ გამოცდილი პრაქტიკოსების მეთვალყურეობის და ზედამხედველობის ქვეშ მუშაობა; სადაც ხდება საუნივერსიტეტო ფაკულტეტებს და პრაქტიკოსებს შორის ცოდნის გაზიარება; დაბოლოს, ადგილი, სადაც მუშავდება ახალი სტრუქტურები ახალი მოთხოვნადი პროფესიებზე“ (პილმსის ჯგუფი, 1986 წელი. გვ. 67). **პროფესიული განვითარების სკოლებში** გამოცდილი პედაგოგები ახალბედა პედაგოგებს პროფესიის ათვისებასა და შეცნობაში ეხმარებიან. ამ გზით ისინი თავიანთ პროფესიულ განვითარებასაც უწყობენ ხელს.

კურტისის დაწყებითი სკოლა იყენებს თავის პროფესიული განვითარების სკოლის კავშირს უნივერსიტეტთან იმისათვის, რომ გააუმჯობესოს სკოლის ძალისხმევა მოქმედების კვლევის სფეროში. ასეთმა თანამშრომლობამ ხელი შეუწყო საჯარო სკოლის მასწავლებლებს, მომავალ პედაგოგებს და უნივერსიტეტის პროფესიონერებს შორის სინერგიული თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, რაც ერთმანეთის უნარ-ჩვევების შეფასებას და დაფასების საშუალებას იძლევა. ეს არ წარმოადგენს პროფესიონების მიერ შემუშავებულ კვლევით პროექტებს (რომლებიც პედაგოგებსა და მოსწავლეებს შეისწავლიან). ისინი სწავლებისა და სწავლის მეთოდების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული გაერთიანებული, სისტემური და გრძელვადიანი ძალისხმევებია. ასეთი საქმიანობით შესაძლებელია მოსწავლეებისათვის სწავლების პროცესის გამარტივება. შემდგომ ნაწილში თქვენ გაეცნობით კურტისის დაწყებით სკოლაში ერთი-ერთი პედაგოგის მიერ ჩატარებულ მოქმედების კვლევის პროცესს.

ინტერესის სფერო: ნაცერიდან აზრის გამოტანის სწავლება/ ფორმირება

კურტისის დაწყებითი სკოლის აღმზრდელები ერთობლივად შეთანხმდნენ კითხვის პროცესი ყოფილიყო პრიორიტეტული. კურტისის დაწყებითი სკოლის მოქმედების კვლევა დაეთმობოდა იმას, თუ როგორ ახდენს ბავშვი ნაწერიდან აზრის გამოტანას და როგორ უნდა გააუმჯობესონ პედაგოგებმა სწავლის პროცესი ამ მიმართულებით. მრავალი ერთობლივი განხილვის და გაცნობითი ღონისძიებების შემდეგ მოქმედების კვლევის ჯგუფებმა გადაწყვიტეს, რომ სკოლის მთავარ შესწავლის საგანს წარმოადგენს: რა შედეგს იღებს „შეცვლილი სასკოლო პროგრამა“ მოსწავლეთა მოსწრებაზე? პედაგოგების მხრიდან ინდივიდუალურად განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მათ დაადგინეს ახალი სასწავლო გეგმა, რომელიც ექცევის კითხვის სწავლების მეთოდების ცვლილებებს და ეფუძნებოდა წაგითხულიდან აზრის გამოტანის ფორმირების მიზნით პროფესიული განვითარების საქმიანობას.

ეს მიღებული გადაწყვეტილები (და სხვა მათი მსგავსი გადაწყვეტილები) იმ დასაბუთებული, არგუმენტირებული საუბრების შედეგია, რომელიც იმართებოდა კოლექტივის შიგნით. ერთ-ერთი ამის მაგალითი მოყვანილია ქვემოთ.

წლის დასაწყისში მასწავლებელთა შემადგენლობის ყოველკვირეულ დილის შეკრებაზე არსებული დისკუსია:

**დირექტორი:**

როგორც მოგეხსენებათ, წინა რამდენიმე კვირა მე-3, მე-4 და მე-5 კლასის მოსაწავლებისთვის ინტერვიუს კითხვარს ვადგენდი. ამ ინტერვიუბის შედეგებიდან ნათელი გახდა, რომ ბავშვები წაკითხული მასალიდან აზრის გამოტანის განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ.

**პირველი მასწავლებელი:**

ახლა იმ საკითხზე ვფიქრობ, თუ რა განსხვავებას ხედავენ და რა დამოკიდებულება აქვთ ჩვენს მოსწავლეებს გამოგონილი და რეალური ისტორიების მიმართ?

**დირექტორი:**

გეთანხმები. მაინტერესებს, როგორ აისახება ეს ნაწერიდან აზრის გამოტანის სწავლების მეთოდში?

**მეორე მასწავლებელი:**

ერთი კვლევის თანახმად, რომელიც ახლახანს წავიკითხე, ბავშვებში წაკითხულიდან აზრის გამოტანა ეყრდნობა უკვე ნასწავლა და შეცნობილ ინფორმაციას.

**მესამე მასწავლებელი:**

ეს იმ პროცესის მსგავსია, როდესაც ბავშვები მათემატიკას სწავლობენ. ისინი ახალ ცოდნას არსებულ ცოდნას ამატებენ და უკავშირებენ.

**დირექტორი:**

მინდა გაგიზიაროთ ერთი შესამეცნიერებლის ისტორია. მან ვერ შეძლო უნარის ჩართვა, რომ მიმხდარიყო, თუ რა ხდებოდა ამ მოთხოვნაში; თუმცა ნათლად წარმოაჩინა თავისი წარმოსახვის უნარი აზრის გამოტანის დროს. ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება ბავშვების მხრიდან ძირითადი/არსებული ცოდნის გამოყენება აზრის გამოტანისას.

**მეოთხე მასწავლებელი:**

ეს იმაზე დაფიქრების საფუძველს იძლევა, თუ როგორ ვახდენთ სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით, ბავშვებში აზრის გამოტანის სწავლება/ფორმირებას. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, თქვენი ჩატარებული ინტერვიუდან მიღებული ინფორმაცია მართალია მრავლისმეტყველია, თუმცა არარეალურად მეჩვენება ჩვენი მხრიდან ყველა ჩვენი მოსწავლის გამოკითხვა.

**დირექტორი:**

ვფიქრობ, მართალი ბრძანდებით. მონაცემთა შეგროვების პროცესში საჭიროა მომავალი მასწავლებლების (სტუდენტების) ჩართვა. ეს მათაც წაადგებათ, რადგანაც მოხდება ერთ-ერთი საუნივერსიტეტო კურსის მოთხოვნის დაკმაყოფილება. მიმაჩინა, რომ ჩემს მიერ მოპოვებული ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია და დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ ხდება ჩვენი მოსწავლეების მიერ აზრის გამოტანის ფორმირება და რა გავლენას

ახდენს ამ მიმართულებით არსებული სტრატეგიები ჩვენი მოსწავლეების მიერ აზრის გამოტანის ფორმირების პროცესის განვითარება/გაუმჯობესებაზე.

### ვებგვერდები

- საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრი (ERIC), კოთხვაზე, ინგლისურზე და ქომუნიკაციაზე  
[http://www.indiana.edu/~eric\\_rec](http://www.indiana.edu/~eric_rec)
- კოთხვა გაგებისათვის  
[http://www.sasked.gov.sk.ca/docs/ela\\_mean.html](http://www.sasked.gov.sk.ca/docs/ela_mean.html)
- ლექსიკონის გამოყენების წესები და წაკითხულის გაგება/გააზრება  
[http://www.indiana.edu/~eric\\_rec/ieo/digests/d126.html](http://www.indiana.edu/~eric_rec/ieo/digests/d126.html)
- წაკითხულის გაგება/გააზრების ინსტრუქციული სტრატეგიები  
[http://www.indiana.edu/~eric\\_rec/ieo/bibs/rdcompel.html](http://www.indiana.edu/~eric_rec/ieo/bibs/rdcompel.html)
- როგორ გავაუმჯობესოთ წაკითხულის გაგება/გააზრების უნარი  
<http://www.marin.cc.ca.us/~don/Study/7read.html>

### საკითხავი მასალა

- ბარეტინი, შელბი და სხვები (et al.) 1995 წელი. მინი- გაკვეთილების კითხვა: ინსტრუქციული პრაქტიკა განკუთვნილი ცენტრირებულ საკითხავ პროგრამებზე. გრანდ ფონსი, ჩრდილოეთ დაკონტა: სწავლის და სწავლების ცენტრი, ჩრდილოეთ დაკონტა: უნივერსიტეტი.
  - კოტი, ნატალი და სხვები (et al.) 1995 წელი. უკვე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, ბაგჟვების მსრიდან ინფორმაციული ტექსტების აღქმა. ნაშრომი, რომლიც წარმოდგენილი იყო ამერიკის საგანმანათლებლო კვლევითი ასოციაციის წლიურ შეხვედრაზე; სან-ფრანცისკო, კალიფორნია, 1995 წლის 18-22 პრილი.
  - კოტერნი, ნენსი ბი და სხვები (et al.) 1990 წელი. მკითხველის მიერ ნაწარმოების მხატვრული გმირის წარმოდგენით, ტექსტის აზრის გამოტანის შესწავლა. კოთხვის კვლევა და ინსტრუქცია 30 (1), 15-29.
  - დეგან, ჯორჰ რუბინ, ბინი და რიტა მ. (1997 წელი). მასალის ეტაპობრივი კითხვა: ეწ. ლიტერატურის განხილვით აზრის გამოტანა Scaffolding-ის მეთოდის დამარტინი (ტექნიკა, რომელიც გულისხმობს ვიზუალიზაციის, მოტივაციის და სხვა ტექნიკის ერთობლიობას). ნაშრომი, რომელიც წარმოდგენილი იყო ამერიკის საგანმანათლებლო კვლევითი ასოციაციის წლიურ შეხვედრაზე; ჩიკაგო, ილინოისი, 1997 წლის 24 – 28 მარტი.
  - პასი, კრისტინა, ფლორენსი და ლინდა (1988 წელი). რიტორიკული კითხვითი სტრატეგიები და აზრის გამოტანის ფორმირება. კოდექსის სტრუქტურა და კომუნიკაცია, 39 (2), 167 – 183.
  - კინი, ელიონ ლივერი, ზიმერმანი და სუზანა (1997 წელი). მოხაივები აზროვნება. წაკითხულის გაგება კოთხვის ინსტრუქციული მოდელით. პორტსტური, ნუჟ პემპშირი: პაინგმანი.
  - კუცერი, სტეფან ლ. (1985 წელი). წაკითხულიდან აზრის გამოტანა. კითხვა და წერა, როგორც პარალელური პროცესი. წერილობითი კომუნიკაცია, 2 (3), 317 – 336.
  - ლანგერი, ჯუდით ა. (1986 წელი). წერა, კითხვა და გაგება: წაკითხულიდან აზრის გამოტანის ანალიზი. წერილობითი კომუნიკაცია, 3 (2), 219 – 267.
  - მოზენტალი, პეტერ ბ. (1987 წელი). კვლევის მიმოხილვა: წაკითხულიდან აზრის გამოტანა. მკითხველი აქცივობითი, 41 (2), 206 – 209.
  - ოდენი, ბრენდა, სტეფანსი და ანატი (1994 წელი). წაკითხულიდან აზრის გამოტანაზე არასწორი სქემის ევალების აქცივაცია. სტეფენი, 22 (4), 497 – 507.
  - როუელია, ჯემი და სხვები (et al.) (1990 წელი). წაკითხული ტექსტიდან აზრის გამოტანა. სხვადასხვა საკითხავი მეთოდების შესაძლო ეფექტები. საგანმანათლებლო ფინანსობრივი უქსეულობები: უქსეულობების საგანმანათლებლო ფინანსობრივი საკრატისო უკრნალი, 10 (1), 39 – 55.
  - ტირნი, რობერტ უმცროსი. (1990 წელი). წაკითხულის გაგება/გააზრების ხელახალი განსაზღვრა. საგანმანათლებლო ხელმძღვანელობა, 47 (6), 37 – 42.
- უანგერი, ლაიინ ჯ. (1983 წელი). წაკითხულის გაგება/გააზრების მეთოდის განხორციელების ინსტრუქციული სტრატეგიები. კითხვის თვალსაწიფერი, 23 (4), 259 – 262.

**ცხრილი ა-1 წყაროები მოწოდებულია საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრის (ERIC) მიერ, კურტისის დაწყებითი სკოლის პედაგოგისათვის**

## ლიტერატურის მიმოხილვა

მასწავლებელთა ჩაატარა ქვეკომიტეტმა ლიტერატურის მიმოხილვა. მათ იხელმძღვანელეს სკოლაში არსებული რესურსებით. ესენია: პროფესიული უწყნალები, კითხვაში უმაღლესი მომზადების მქონე პედაგოგები და უნივერსიტეტის პედაგოგთა შემადგენლობა, გამოიყენეს ელექტრონული ლიტერატურა საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრის (ERIC) ორი რესურსიდან; AskERIC სამსახური პედაგოგებისათვის და AskERIC კითხვა-პასუხის სერვისი (askeric@askeric.org). საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრის (ERIC) მიერ მიწოდებული წყაროების ჩამონათვალი კურტისის დაწყებითი სკოლის პედაგოგებისათვის მოცემულია ცხრილ ა-1-ში.

## სამოქადო გეგმის შემუშავება

ერთწლიანი კვლევითი პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის, სკოლის დირექტორთან ერთად, პედაგოგებმა შემუშავეს სამოქმედო გეგმები. ეს სამოქმედო გეგმები გამოიყენებოდა პედაგოგთა მოქმედების კვლევის პროექტების ხელმძღვანელობისა და დოკუმენტირებისათვის. მეხუთე კლასის პედაგოგის, ჯონათან სტიუარტის სამოქმედო გეგმა შემდეგნაირად გამოიყერებოდა:

# წაკითხულიდან აზრის გამოტანის ფორმირება ჯონათან სტიუარტი

## ინტერესის სფეროს განსაზღვრა

მე მაწუხებს ის, თუ როგორ ახდენენ ჩვენი მოსწავლეები წაკითხულიდან აზრის გამოტანის ფორმირებას. მეხუთე კლასის მოსწავლეებს ვასწავლი და ჩემი კითხვის სწავლების მეთოდი უფრო წასკითხი წიგნების რაოდენობაზე არიენტირებული და არა წაკითხულიდან აზრის გამოტანის ფორმირებაზე. მიმაჩნდა, რომ მეხუთე კლასის მოსწავლეებს უკვე განვითარებული ჰქინდათ წაკითხულიდან აზრის გამოტანის/ფორმირების უნარი. წინა წელს სკოლის მასშტაბით ჩატარებულმა ნიშნების კვლევამ აჩვენა, რომ მე და ამ სკოლის სხვა პედაგოგები ახლებურად უნდა მივუდგეთ იმ ფაქტს, რომ მეხუთე კლასის მოსწავლეებს ჯერ კიდევ არ აქვთ განვითარებული წაკითხულიდან აზრის გამოტანის უნარი. მაშასადამე, ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმის გაგება, თუ რა „ზეგავლენას იქონიებს „სასწავლო გეგმის ცვლილება“ მოსწავლეების კითხვით მიღწევებზე.“

## ცვლადების განსაზღვრა

დეკანატის ერთობლივი გადაწყვეტილებით, პედაგოგების მხრიდან ინდივიდუალურად განხორციელებულ ცვლილებების შედეგად, შევაღინეთ ახალი სასწავლო გეგმა, რომელიც ეხებოდა კითხვის სწავლების მეთოდების ცვლილებებს და რომელიც ეფუძნებოდა წაკითხულიდან აზრის გამოტანის ფორმირების მხრივ პროფესიული განვითარების საქმიანობას. მოსწავლეების სწავლის დონე და მოსწრება შემოწმდა პედაგოგების მიერ შედგენილი და ეროვნული ტესტირებების საფუძველზე (რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა).

## კვლევის კითხვა

რა გაელენას იქონიებს სასწავლო გეგმის ცვლილება მოსწავლეების კითხვით მიღწევებზე?

## კითხვითი მეთოდის ცვლილება

კითხვითი მეთოდის ცვლილებას, რომელსაც მეჩემს კლასში განვახორციელებ, დაუფუძნება პროფესიული განვითარების საქმიანობას. ჩემი აზრით, ეს საქმიანობა მოიცავს წაკითხულის აღქმის/გაგების უნარების ხელახალ აქცენტირებას; ახალი დიაგნოსტიკური მეთოდების შემუშავებას და მოსწავლების მიერ წაკითხულიდან აზრის გამოტანის მეთოდის დეტალურ შესწავლას. იმედი მაქვს, რომ ამ კვლევაში გამოვლენილი იქნება ჩნდვნელოვანი აქცენტები, რომლებსაც ჩემ შემდგომ საკლასო სწავლებაში გამოვიყენებ.

## მოქმედების კვლევის ჯგუფის წევრობა

სკოლის თითოეულმა პედაგოგმა წლიური მოქმედების კვლევის ერთი მიზანი დაისახა. მაგრამ ყოველ ჩვენგანს, საჭიროების და აუცილებლობის მიხედვით, დამოუკიდებლად შეაქვს კონკრეტული ცვლილებები. ყოველივე დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ჩათვლის პედაგოგი მართებულად კონკრეტულ კლასში და კონკრეტულ ბავშვებთან დამოკიდებულებაში.

## ჩასატარებელი მოლაპარაკებები

დირექტორი სრულად უჭირს მხარს მოქმედების კვლევის პროცესს. პედაგოგის წლიური ციკლის შეფასებისათვის დირექტორი გამოიყენებს პედაგოგის მიერ ჩატარებულ მოქმედების კვლევის დოკუმენტური მასალის შესწავლის და საკლასო ოთახში სწავლების პროცესზე დაკვირვების მეთოდებს. აუცილებელია დირექტორთან ჩემი მოქმედების კვლევის შეთანხმება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მჭირდება რაიმე რესურსის შეძენა.

## სამუშაო გრაფიკი

- ზაფხული – საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრში (ERIC) ღირებულებურის მოძიება და მისი შესწავლა პროფესიული კუთხით. უნივერსიტეტის მიერ შემოთხვევაზებული პროფესიული განვითარების საქმიანობის და კითხვის მეთოდების

შესწავლის კურსებზე დასწრება.

• შემოდგომა – სხვა პედაგოგებთან ერთობლივი მუშაობა პროფესიული განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრაზე. წაკითხულიდან აზრის გამოტანის სპეციფიკის ჩემებური შემუშავება; მონაცემთა შეგროვების მეთოდების განსაზღვრა და პირველადი მონაცემების შეგროვება.

• ზამთარი-გაზაფხული – ცვლილების განხილვის და მონაცემთა შეგროვება. კოლეგებთან რეგულარული შეხვედრებზე ინტერვენციის ეფექტის განხილვა.

• გაზაფხული – შეგროვებული მონაცემების ანალიზი, განმარტება და მოქმედების კვლევის „ციკლის დასრულების“ აღმნიშვნელ წვეულებაზე დეკანატისათვის შედეგების წარდგენა. მოქმედების კვლევის შემდგომი ციკლის დაგეგმვა.

## რესურსები

- ზაფხულში ღირებულებურის წაკითხვისათვის დახარჯული არასაკონტრაქტო, ანაზღაურებადი დრო.
- ზაფხულში ინსტიტუტის კითხვის მეთოდების შესწავლის კურსებზე დასწრება.
- სწავლის ხარჯების კომპენსაცია.

## მონაცემთა შეგროვების მეთოდები

- ჩემ მოსწავლების ჩატარების ჩატარება
- დაკვირვება კითხვის დროს
- ეროვნული ტესტირების ქულები
- მოსწავლეების ნაშრომების რეგულარული შეგროვება

ზაფხულში გაწეული საქმიანობის შემდეგ ჯონათანმა მონაცემთა შეგროვების გეგმა შეიმუშავა. ის შეიცავდა ტესტებს (სავარაუდო პასუხებით), პასუხების შესაგებ ტესტებს და წაკითხულის ზეპირ გადმოცემას, რაც ქვემოთ არის მოცემული.

## მონაცემთა შეგროვება

სასკოლო წლის განმავლობაში სამი სახის მონაცემს გამოვიყენებ იმისათვის, რომ განვსაზღვრო რამდენად აქვთ ჩემს მეცუთეკლასელ მოსწავლეებს მოცემული ნაბეჭდი ტექსტიდან აზრის გამოტანის უნარი. მონაცემთა შეგროვების წყაროება:

1. მე-3 და მე-6 კლასებში წაკითხული ტექსტების საგარაუდოპასუხებიანი ტესტები, გაზრებითი და გახსენების საგარჯიშოები.
2. სიტყვების ჩასასმელი საგარჯიშოები (რომლის სირთულეც კლასზეა დამოკიდებული, არის ეს II თუ IV კლასი) პოლ ბანიაზე მოთხოვების ზეპირად კითხვის დროს. ამ საგარჯიშოს დროს ისინი ზეპირად, კითხვის დროს სვამენ გამოტოვებულ სიტყვებს ტექსტში (რომლებიც ზუსტად გაძლისცემს აპზაცის შინაარსს).
3. ბერმუდის სამკუთხედზე ტექსტის (რომლის სირთულეც კლასზეა დამოკიდებული, არის ეს II თუ IV კლასი) წაკითხვა და შემდგომ მისი ზეპირი გაძლიცემა (ბერმუდის სამკუთხედზე ტექსტი მოყვანილია როგორც ერთ-ერთი მაგალითი). ამ საგარჯიშოს დროს მოსწავლეებს აქვთ ტექსტის იმდენჯერ წაკითხვის და გადაკითხვის საშუალება, რამდენსაც მოსაურევებენ და სურვილის შემთხვევაში, მოსაყიდლ მსალაზე ჩანაწერების/ჩანახატების გაკეთებაც კი.

## მონაცემთა ანალიზი და განმარტება

ერთადერთი გზა იმისათვის, რომ შემეფასებინა, თუ როგორი შედეგი პქნონდა შეცვლილ სასწავლო პროგრამას და მეთოდებს სიტყვების მარაგზე/ლექსიკურ შემადგრილობაზე აქცენტის გაკეთებით (წაკითხულიდნ აზრის გამოტანის დროს), კითხვის, წერის და იმავე სიტყვების განმარტების (კონტექსტსში და ცალკე აღებული) დროს ვაკეირდებოდი მოსწავლეებს. დრო რომ არ წაგართვათ, მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც უკავშირდება სიტყვების მარაგის/ლექსიკური შემადგრილობის და წაკითხულიდნ აზრის გამოტანის უნარის განვითარების მიზნებს.

გაკეთილზე როლანდ სმიტის რომანის, „ქუჩილის გამოვაბულის“ კითხვის დროს მოსწავლეება

გამაჩირენს და ყურადღება გამამახვილებინებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ჯეემა (რომანის ახალგაზრდა გმირი) დაკუჭიული წერილი გადასცა უცხოელ ჩინოსანს (ვიზის მისაღებად საჭირო პროცედურის დროს). ამ დეტალს და ფაქტს დიდი მნიშვნელობა პქნონდა ჩემთვის იმის გამო, ბავშვებმა მოახერხეს იმის გააზრება, რომ ეს წერილი ვითომდა მამამისის მიერ აფრიკიდა იყო გამოგზავნილი (და არა მის მიერ, სინამდვილეში, მისსავე კომპიუტერზე სახლში დაბეჭდილი), ჰყვიანური ხრიკი იყო. ის ჩანაფიქრი, რომ მას წერილი დაკუჭია (და არა უბრალოდ მიეტანა ამობჭდილი სახით) მეტად მნიშვნელოვანი იყო დამაჯერებლობის ეფექტის გამძაფრებისათვის როგორც ჩინოსნის, ასევე მეთხველის თვალში (შენიშვნა: ჩვენს სკოლაში ავტორის სტუმრობის დროს ჩემმა კლასმა ეს მონაკვეთი შეახსენებს მას და თავიანთი შეცდულება გაუზიარეს. უნდა ითქვას, რომ იგი საქმაოდ გაოცებული და გახარებულიც (რადგან მისმა ნოველამ კითხვის გააზრების საქმეში სასურველ მიზანს მიაღწია!) იყო, რადგან მას ეს ფაქტი ასე დეტალურად არ გაუანალიზებია და მასზე ასე არ უფირია.

წელს, ყოველწლიური თხრობის ფესტივალზე, თავიანთი ზეპირი გადმოცემისათვის მოთხოვების სწავლის დროს ჩემმა რამდენიმე მოსწავლემ აღნიშნა, რომ მთხოვებელმა კარგად უნდა დამახსოვროს (დაიზეპიროს) ზოგიერთი სიტყვა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მონაყოლის აზრი იცვლება. ერთ-ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ „თუ მაურებელი ვერ მიხვდება, რომ ის ასახიერებდა შხამიანი გველის ბუნების მქონე პიროვნებას, ის გამოიყენებდა დამატებით შტრიხს, რაც მათ აფიქრებინებდათ, რომ ის ნამდვილად გვილის მსგავსად იქცევილა და ვიზუალურადაც წააგვდა კიდეც ზოგჯერ.“ (შენიშვნა: ერთ-ერთმა მოსწავლემ თხოვნით მომმართა, რომ უფლება მიმეცა შარშან IV კლასში უკვე წარდგენილი მოთხოვება აეღო, რადგან, მისი მტკიცებით, წელს უფრო კარგად პქნონდა გააზრებული ეს მოთხოვება და რომ წელს ის გაცილებით უკეთ შეძლებდა მის წარმოჩენას თუ რაზეა.)

მოსწავლეთა წერილობითმა ნამუშევრებმა აჩვენა, რომ მათ ნაწერიდან აზრი გამოაქვთ აქამდე წაკითხულის ან იმის მიხედვით, თუ როგორ უნდათ მათ, რომ მკითხველმა გაიგოს/გაიაზროს

მათი ნაწერი. მაგალითად, შემდეგი დიალოგი მოსწავლეებს შორის წარმოაჩენს წაკითხულიდან აზრის გამოტანის ფორმირების არსა:

- ჩარლი, როგორ მძიმედ დაშავდა ეს მოთხობის გმირი, არა?!
- არც ისე, მას მხოლოდ უმნიშვნელო ჭრილობა აქვს მიყენებული დანით მკლავზე, რომელიც უკვე გადახვეული აქვს.
- მაშინ არ გერენება, რომ სისხლდენა ამ ვითარებაში შეუფერებლად ძლიერ იყო აღწერილი?! მის დასახსიათებლად მაშინ, უნდა გამოყენებულიყო ისეთი სიტყვები, როგორიცაა ჟონვა, წვეთა, არა?!

როდესაც ბავშვები ერთმანეთში კამათობენ, განიხილავენ მოვლენას, სვამენ კითხვებს და დამაზუსტებელ/განმარტებით განცხადებებს აკეთებენ, შეიძლება ნათლად არ ჩანდეს სწავლების პროცესი, თუმცა ბავშვები ამით ბევრს შეიცნობენ. სიტყვები წარმოსახვაში გასაოცარ კავშირებს წარმოქმნის!

წაკითხულიდან აზრის გამოტანის მრავალ განმსაზღვრელ ფაქტორზე დაკვირვებით (რომელიც მონაცემთა შეგროვების დროს გამომქდარნა), აღმოჩნდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ყოველი ბავშვისათვის იყო ტექსტში გამოყენებული სიტყვების ცოდნა ან არცოდნა. აյ საუბარი არ არის ბაზისური, მარტივი სიტყვების არცოდნაზე. მხედველობაშია სპეციალიზებული „გავრცელებილი“ ტერმინები, რომელებიც რეალურად აყალიბებს ნაწერის შინაარსს, არსა. განსაკუთრებით პასუხების ჩასასმელი ტესტის შევსების პროცესზე დაკვირვებით, უშუალო თვითმშილველი ვიყავი, თუ როგორ ახერხებდა ან ვერ ახერხებდა მოსწავლეთა ნაწილი გონიერივი აზროვნების გამოვლენას, რომ მოეხდინა აზრობრივად შესატყვისი სიტყვების ჩასმას ტექსტში გამოტოვებულ ადგილებში.

სამი განსხვავებულ მეთოდის გამოყენების საფუძველზე, განსაკუთრებით კარგად ვიცოდი ჩემი მოსწავლეების დამოკიდებულება და როგორი ლექსიკის გამოყენების გზით წაკითხულიდან აზრის გამოტანის ფორმირების სპეციფიკა:

1. სტუდენტები აღარებენ, რომ სიტყვების შეცვლით თუ ეცდები მხოლოდ მოცემული სიტყვების ჩანაცვლებას, ძნელია

შეინარჩუნო კარგად დაწერილი პასაჟის ან წინადადების მონაკვეთის არსი.

2. მოსწავლეებმა სხვადასხვა პასაჟის წაკითხულიდან ან მოსმენიდან მიღებული გრძნობები და შინაგანი აზრობრივი სურათები გადმოსცეს სხვადასხვა დაგალების დროს.
3. მოსწავლეების განსაკუთრებული, საინტერესო დეტალიზებული და შთამბეჭდავი ნაშრომებიდან ჩანს, თუ როგორ კარგად ითვისებენ და იყნებენ ისინი წერის განსხვავებულ სტილს, გამოხატვის და სიტყვათა შერჩევის ხერხებს.

## შედეგები

მონაცემთა ანალიზის და განმარტების შედეგად სკოლის დირექტორს და დანარჩენ პედაგოგებს წარუდგენ კვლევის შედეგებს, რომელიც ეხება სასწავლო გეგმის ცვლილების გავლენის შესწავლას მოსწავლეების მოსწრებაზე. ეს შედეგებია:

- უნარ-ჩვევების და ცოდნის მაღალი ხარისხით განვითარება.
- მოსწავლეები ათვითცნობიერებენ ტექსტში სიტყვათა ჩასმის სირთულეს, რადგანაც მათ უწევთ ერთდროულად სიტყვის ჩანაცვლება და შინაარსის შენარჩუნება.
- მოსწავლეებმა ისწავლეს წაკითხულიდან აზრის გამოტანა; მათ შეუძლიათ ნაწერიდან მიღებული გრძნობების და წარმოსახვის გადმოცემა.
- წაკითხულიდან აზრის გამოტანის უნარის განვითარებას ცხადყოფს კიდევ ერთი ფაქტი - მათი განსაკუთრებული, საინტერესო, დეტალიზებული და შთამბეჭდავი წერითი ნამუშევრები.

## მოქმედების დაგეგმვა

მოუხედავად იმისა, რომ ვარ ის ადამიანი, რომელსაც სიტყვებით თამაში უკვარს და აღიარებს სიტყვის დიდ ძალას, არასდროს გადავსულვარ სიტყვის ძალის შესწავლაზე. ვგეგმავ გავაგრძელო ძებნა, დამატებით საკითხავი ლიტერატურის მოძიება, დისკუსიების წარმოება და გაგება იმისა, თუ როგორი დამატებითი ძალა გააჩნია სიტყვათა

ცხრილი ა-1	ჯონთან სტოუარტის მოქმედების სექტემბერი	გრაფიკი	გრაფიკი	რესურსები
შეღუბების კლუვების კონფერენცია ცელისას მოქმედების მოწყობაზე?	შეღუბებისან გამომტკიცარ რეალურების მოქმედების მოწყობაზე? პედაგოგი მოწყობულე დარწმუნებული ექსპერტი	ვინ არის ესპერიენცია შელი მოწყობაზე? პედაგოგი მოწყობულე დარწმუნებული ექსპერტი	ვის წელი გენომით აირი ან ჩაგვაზონ სამეცნ კარი	ვინ მოხატვის განვითარება შეგროვებისა/ დაცვისა?
1.0 რა გავაუნა აქცი სასწავლო გეგმის ცელისას მოქმედების მოწყობაზე?	მოძღვანელი ობის მოვლი წლის გენერალ- გაში.	1.1 შეღუბების გამომტკიცარ და უნარების გადაცემის დოკუ მართლის საქმიანობაში (საჯავალო ციფრულება)	1.1 შეღუბების გამომტკიცარ გამომტკიცარ განვითარების ცოდნის და უნარების გადაცემა. უნარების გაზირდისაკენ მიმღებოლო დარწმუნების შეტყიცება და მცხი ცელის მიღების შეტყიცება და მცხი	1.1 შეღუბები სავარჯიშოები სავარაულო კასტერებით. დაწულის ხარჯების კამპენიარების- თვის
1.1 პროფესიული განვითარების ცოდნის და უნარების გადაცემის დოკუ მართლის საქმიანობაში (საჯავალო ციფრულება)	1.1 ზედამხედველობის გამომტკიცარი, თუ როგორ გემილიანობის პროფესიული განვითარების ცოდნის და უნარების გადაცემა. ლუქსური მარაგის გაზირდისაკენ მიმღებოლო დარწმუნების შეტყიცება და მცხი ცელის მიღების შეტყიცება და მცხი	1.1 შეღუბები პედაგოგი დარწმუნების სიტყვების ჩასატყიცებები	1.1 – 1.4 სავარჯიშოები სავარაულო კასტერები განვითარების დაწულის ხარჯების კამპენიარების- თვის	
1.2 გადალი იყო მოწყობული მხრიდან სიტყვებით ჩასატყიცების სტრუქტურის გაგება სითხეს დარს და შემდგომ მიღებული ვალიტერისტების და წარმომარცვაზე	1.2 იმ სტრუქტებს გამოყენების გაზრდულება, როგორიციც მიმღებოლოდა ნაწილები ან წაერთულდან აზრის ფრაմინგაზე	1.2 – 1.4 კედაგოგი, მასწავლე, დარწმუნების მცხოვლეობი	1.2 – 1.4 გოყოლი/ გამომაცემა, დარწმუნების მცხოვლეობი	1.2 – 1.4 ფულადი სასწავლი საკულტო კრიტიკის მოძღვანელი
1.3 მოსწავლეების აზრის გამომტკიცარის შეტყიცება	მოსწავლეების შეტყიცარის გამომტკიცარის შეტყიცება	1.3 მოსწავლეების შეტყიცარის გამომტკიცარის შეტყიცება	მოსწავლეების შეტყიცარის გამომტკიცარის შეტყიცება	მოსწავლეების შეტყიცარის გამომტკიცარის შეტყიცება
1.4 მოსწავლეების შეტყიცარის გამომტკიცარის შეტყიცება	1.4 მოსწავლეების შეტყიცარის გამომტკიცარის შეტყიცება	1.4 მოსწავლეების შეტყიცარის გამომტკიცარის შეტყიცება	1.4 მოსწავლეების შეტყიცარის გამომტკიცარის შეტყიცება	1.4 მოსწავლეების შეტყიცარის გამომტკიცარის შეტყიცება

ზუსტ/სწორ გამოყენებას ზეპირსიტყვიერებასა თუ წერილობით ტექსტებში.

ჩემი მოსწავლეების სიტყვების მარაგის გაფართოება მოხდება შემდეგნაირი საკითხავი და წერითი საგარჯო შემთხვევის გამოყენებით: ნოველები; პოეზია; ურნალები; ზღაპრები; მოსწავლის მიერ დაწერილი ამბები; მოთხოვნები; მოთხოვნების აღწერა; კვლევითი ნაშროვნები და ზეპირი პრეზენტაციები.

დაკვირვების, ცვლილებების და სიტყვების მარაგის გაფართოების ჩემებური მეთოდის ეფექტუანობის შეფასებისათვის მე გამოვიყენებ საკლასო მეთოდების შემდეგნაირ სახეობებს: მოსწავლეების შესწავლის პროცეზე დაკვირვება, მოსწავლეებთან ერთად შსჯელობა (ზეპირი, წერილობით, ინდივიდუალური ან ჯგუფური) და უწყვეტი შეფასება უკვე ნახსენები მონაცემთა შეგროვების მეთოდების (საგარჯო შემთხვევი საგარაუდო პასუხებით, სიტყვების ჩასამელი საგარჯო შემთხვევი და მოთხოვნების ზეპირი მოყოლა) გამოვიყენებით. აგრეთვე, მოსწავლეები რეგულარულად გააკეთებენ ჩანაწერებს თავიანთ დღიურებში იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქნია მათვის სიტყვების მარაგის გაფართოებამ წაკითხულიდან აზრის გამოტანის უნარზე.

ამ მოქმედების კვლევის საფუძველზე უკვე განვახორციელე სასწავლო გეგმის რამდენიმე ცვლილება. ერთი მეთოდის საფუძველზე, მე ვეუბნებითი მოსწავლეებს, რომ ნაწარმოებიდან ამოერჩიათ ერთი სიტყვა; შემდეგ მისი მნიშვნელობა მოეძიათ ლექსიკონში და შეეცვალათ მოძიებული სიტყვა მსგავსი მნიშვნელობის სიტყვით, თუმცა წინადადების არსი იგივე უნდა დარჩენილოყო. მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ გაიგონ, თუ რა იგულისხმა აეტორობა კონტრეტული სიტყვით.

დაწერებული ვარ, რომ მოქმედების კვლევის შემდგომი ციკლის დაწყებისთანავე მე შევძლებ იმის გაგებას, თუ როგორ გამოაქვთ მოსწავლეებს წაკითხულიდან აზრი. ჩემი მეზუთე კლა-

სის მოსწავლეების მუდმივი ცნობისმოყვარეობა უზრუნველყოფს ჩვენი თავის გაუმჯობესებას და სწავლების პროცესის დახვეწას (იხ. ცხრილი ა-1).

## ელექტრონული რესურსები

წლის განმავლობაში საჭირო ლიტერატურის, თანამედროვე საკითხისავი პრაქტიკების და ტერნდენციების მოძიებისათვის, აგრეთვე ჩემი მიმღინარე მოქმედების კვლევის მსოფლიოს სხვა პედაგოგებთან გაზიარებისათვის მე გამოუიყენე შემდეგი გეგმვერდები:

- საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრი (ERIC) – AskERIC Q&A კითხვა-პასუხის სერვისი, რათა ჩემი ნაშრომისათვის მომძებნა საჭირო ელექტრონული ლიტერატურა.
- სასწავლო გეგმის განვითარების და ზედამსედველობის ასოციაცია (<http://odie.ascd.org>).
- კითხვის საერთაშორისო ასოციაცია (<http://wwwира.org>) – ასოციაცია პედაგოგ მკვლევრებს სთაგაზობს გრანტებს (5000 \$) ოდენბით. კითხვის საერთაშორისო ასოციაციის გებგვერდს გააჩნია კვლევისა და პოლიტიკის განყოფილების ბმული, აგრეთვე მომავალი კვლევითი კონფერენციების და შეხვედრების ბმულებიც.
- თანამონაწილეობითი სამოქმედო კვლევის ქსელი – (<http://www.parnet.org>) მე გამოვიყენე ეს ვებგვერდი იმის შესამოწმებლად, მუშაობდა თუ არ რომელიმე პედაგოგი მსგავს სამოქმედო კვლევის პროექტებზე.
- ჯგუფური გზავნილების არქივი – მე დავრეგისტრირდი სამოქმედო კვლევის ჯგუფური გზავნილების სიაში და თვალყურს ვადევნებდი მიმდინარე დისკუსიებს.

## კვლევის შედეგების გაზიარება

კურტისის დაწყებითი სკოლის დეკანატი თვეში ერთხელ იქრიბება წაკითხულიდან აზრის გამოტანასთან დაკავშირებული პროფესიული განვითარების საქმიანობის საკითხების განსახილეველად. ძირითადად, ეს შეხვედრები სკოლის შემდეგ ტარდებოდა და სრულდებოდა რესტორანში ან დეკანატის რომელიმე წევრის სახლში სადილით. საკითხის განხილვის ამგვარი მეთოდები კურტისის დაწყებით სკოლაში ფართოდ

მიღებილი პრაქტიკაა და ამგარი ღონისძიებები ფინანსდება სკოლის პროფესიული განვითარების ფონდის მიერ.

## სამოქმედო კვლევის პრიტიპი

მე-9 თავში მოყვანილი კრიტერიუმებით, ახლა გავაანალიზოთ ჯონათანის მოქმედების კვლევის პროექტი. სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, მოდით თქვენთვის ჩამოწერეთ, როგორ აფასებთ მის ნამუშევარს, მოგეწონათ ის თუ არა.

## ვისთვის იყო კვლევა განაუთვილი

ვინ იყო ამ მოქმედების კვლევის მიზნობრივი ჯგუფი (ვისთვის იყო იგი განკუთვნილი)? თავდაპირველად იგი გამიზნული იყო თავად ჯონათანის და დირექტორისათვის, თუმცა ის საინტერესო აღმოჩნდა სკოლის სხვა პედაგოგებისთვისაც. ამ აუდიტორიისათვის გამიზნული ეს ნაშრომი, პირველი შევედვით აქმაყოფილებს მოთხოვნებს. დირექტორი კმაყოფილი იყო ჯონათანის მიერ მოხსენების დეტალური გადმოცემისათვის და იმის მანიშნებელიც იყო, რომ ჯონათანს მონაცემებზე დაყრდნობით წარმატებით შეეძლო შეეცვალა სწავლება და პროგრამა.

## ფორმატი

იყო თუ არა ნაშრომი შესაბამისი ფორმატით წარმოდგენილი? სკოლის ყველა პედაგოგის მოხსენება, მოქმედების კვლევის პროექტები წარმოდგენილი იყო ერთანი ფორმატით. ეს იყო მოკლე წერილობითი მოხსენება, რომელიც მოიცავდა შემდეგ საყითხებს: ინტერესის სფერო, ლიტერატურის მიმხრილვა, სამოქმედო გეგმა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ანალიზი და განმარტება, სამოქმედო ნაბიჯები და ელექტრონული რესურსები. პედაგოგთა ამ საბჭომ ერთობლივად ჩათვალა და მიიჩნია, რომ თავიანთი მოქმედების კვლევის პროექტების მოხსენების ამგარი ფორმატით გაზიარება დირექტორსა და კოლეგებსისთვის მეტად მისაღები იყო.

## ცრუნდები

მოქმედებდით თუ არა რაიმე ცრურწმენით, რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა კვლევის შედეგებზე? ინტერესის სფეროსთან დაკავშირებით, ჯონათანი არ მიუთითებს რაიმე ცრურწმენის შესახებ. არ ჩანს ასევე, რომ ჯონათანის კვლევის შედეგების მიმართ წინასწარშექმნილი შეხედულებები გააჩნდეს.

## პროცესული დისკორსი

როგორ იმოქმედა მოქმედების კვლევის ძალისხმევამ თქვენს პროფესიულ უნარებზე? ეს საყითხი შესაძლოა ყველაზე კარგად იყოს განხილული ჯონათანის ნაშრომში – „დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც მოქმედების კვლევის შემდგომ ციკლს დავიწყებ, მე თავად მოვახდენ ჩემი საკუთარი „აზრის ფორმირებას“ იმაზე, თუ როგორ ახდენენ აზრის ფორმირებას ბავშვები. ჩემი მეხუთეკლასელი მოწავეების დაუშრებული ცნობისმოყვარე ბუნება მაძლევს იმაში დარწმუნების საშუალებას, რომ ჩვენ ერთად მუდამ ვეცდებით ვიფიქროთ ჩვენი კითხვით, უნარების (და ზოგა-

დად) განვითარებაზე.“ ჯონათანის ეს სიტყვები წარმოაჩენს მას როგორც პედაგოგს, რომელსაც ნამდვილად გააჩნია პროფესიული დისპოზიცია, რომელიც მოწოდებულია მუდმივი სწავლისაკენ და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების გატარებისაკენ.

## პროფესიული განვითარება

როგორ იმქმედა მოქმედების კვლევის ძალისხმევაშ ჯონათანის პროფესიულ განვითარებაზე და როგორ აღიქვაშ /უყურებს ის სწავლის და სწავლების პროცესს? ჯონათანის პროფესიულმა დისპოზიციამ მოიცავა პროფესიულ განვითარება და მიანიშნებს, რომ მას მომავალი წლის განმავლობაში მოქმედების კვლევის პროცესსა და ცვლილებების შედეგებზე დაკვირვების გაგრძელების სურვილი და მონძომება გააჩნია.

## გავლენის მძრო

როგორ შევგალა კვლევაშ ჯონათანის მოსწავლეების ცხოვრება? ჯონათანის მიერ ბავშვების განწყობის, რეაქციის აღწერით და რეალური მაგალითების მოყვანით, ნათელი ხდება, რომ ბავშვების წერის და კითხვის უნარები (ტექსტიდან აზრის გამოტანის უნარების საგრძნობი გაძლიერებით) მნიშვნელოვნად განვითარებულია.

## მოქმედება

რა საქმიანობა გასწია ჯონათანმა კვლევის შედეგების გათვალისწინებით? ამ მოქმედების კვლევის საფუძველზე, ჯონათანმა უკვე განახორციელა კითხვის სასწავლო გეგმის რამდენიმე ცვლილება. ის გამიზნული იყო ლექსიკური მარაგის გაფართოებისაკენ და ეფუძნებოდა კითხვის და წერის საგარჯიშოებს, სადაც გამოყენებული იყო: ნოველები; პოზიცია; უურნალების ახალი გამოცემები; ზღაპრების კრებულები; მოსწავლეთა მიერ დაწერილი მოთხრობები; მოთხრობები; მოთხრობების აღწერა; კვლევითი ნამუშევრები და ზეპირი პრეზენტაციები. მოსწავლეები, ამასთანავე, რეგულარულად გააკეთებენ ჩანაწერებს თავიანთ დღიურებში იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქნია მათთვის სიტყვის მარაგის გაფართოებამ წაკითხულიდან აზრის გამოტანის უნარზე.

## მოქმედებისა და მონაცემების ურთიერთკავშირი

როგორ კავშირშია ჯონათანის მიერ შემოთავაზებული მოქმედება მონაცემთა ანალიზთან და განმარტებასთან? ჯონათანის მსჯელობა ეყრდნობა მონაცემებს, რამაც განაპირობა მისი აზრის ფორმრება. ეს მონაცემებია: მოსწავლეების კითხვის, წერის და დაწერილი სიტყვების განმარტების პროცესზე დაკვირვება; სავარაუდობასუხებიანი გაგებითი/გასახსენებელი სავარჯიშოები; სიტყვების ჩასასმელი დავალებები და მოთხრობების ზეპირი, წერილობითი და ნახატების მეშვეობით გადმოცემის სავარჯიშოები. ჯონათანის კვლევაში მოცემული მონაცემები კვალიფიცირდება როგორც მოქმედებასა და მონაცემების ძლიერი ურთიერთკავშირი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯონათანის ქმედებები კავშირშია იმ მონაცემებთან, რომელიც მან შეაგროვა, გააანალიზა და განმარტა.

## გავლენა

როგორ აპირებს ჯონათანი თავისი პრაქტიკული საქმიანობის შედეგების მონიტორინგს? ჯონათანი განაგრძობს, ბავშვებში აზრის ფორმირების უნარის გაძლიერებისკენ მიმართული შეცვლილი „სასწავლო გეგმის“ დაკვირვებას იმ მონაცემთა შეგროვების ხერხების უმტკიცების მეშვეობით, რომელიც მან პირველი მოქმედების კვლევის ციკლში გამოიყენა.

## ცვლილებები

რას შეცვლის ჯონათანი მომდევნო მოქმედების კვლევის ციკლის დროს? იგი გააგრძელებს კითხვაზე გაძლიერებულ აქცენტირებას შემუშავებული სტრატეგიებით, თუმცა მთავრდებს ახალი მეთოდების გამოყენებასაც (რაც მისი პროფესიული განვითარების მუდმივი პროცესის შედეგია). ჯონათანი ასევე გააფართოებს მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. მოხდება ახალი მეთოდის, კურნალის წერის დამატება, სადაც გამოჩნდება, თუ როგორ ახერხებენ ბავშვები წაკითხულიდან აზრის ფორმირებას.

## გამოხატურება კოლეგების მხრიდან

როგორი რეაქცია ჰქონდათ ჯონათანის კოლეგებს მის მიერ რეკომენდებულ აქტივობებზე? როგორც კურტისის დაწყებითი სკოლის სხვა პედაგოგებმა, ჯონათანმაც თავის მოქმედების კვლევის პროექტში დეტალურად ასახა წლიური საქმიანობა. მასში არ არის ასახული ინფორმაცია კვლევის დროს მიღებული ცოდნის შესახებ, თუმცა კურტისის დაწყებით სკოლის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს მათი განხილვა და ამ საკითხზე მსჯელობა წარმოადგენს. ჯონათანს შეეძლო გაცილებით შეტი ინფორმაცია მოეწოდებინა, იმაზე, თუ როგორი გამოხმაურება ჰქონდა მის კვლევას დანარჩენი მასწავლებლების მხრიდან და როგორი იყო ჯონათანის და ამავე თემაზე მომუშავე კვლევების კვლევის დასკვნები.

## მოქმედების კვლევის დასრულების აღნიშვნა

სასწავლო წლის ბოლოს კურტისის დაწყებითი სკოლის პედაგოგები იკრიბებიან ეწ. „მოქმედების კვლევის წვეულებაზე“. მასწავლებლები აღნიშნავენ თავიანთ ერთობლივ და ინდივიდუალურ მიღწევებს „ტექსტიდან აზრის გამოტანის ფორმირებაზე“ გამიზნული სიახლეების განხორციელების შედეგების გავლენის გააზრების საქმეში მოსწავლეთა მოსწრებაზე.

## შეჯამება

ჩვენ სრულად გავიარეთ მოქმედების კვლევის ციკლი. გავეცანით იმ თეორიებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მოქმედების კვლევას. წავიკითხეთ (და იდეალურ შემთხვევაში, პრაქტიკაში გამოვიყენეთ) პროცესის ოთხივე ეტაპი. გავეცანით მოქმედების კვლევის ელემენტებს, რაც აცოცხლებს მთლიან პროცესს და გავიაზრეთ, თუ რას წარმოადგენს მოქმედების კვლევა პრაქტიკულ საქმიანობაში. ახლა მზად ვართ მოქმედების კვლევის შემდგომ ციკლზე გადასასვლელად.

მოქმედების კვლევა არის პროცესი, თუმცა ის აგრეთვე წარმოადგენს ცხოვრების სტილს. იყო პედაგოგი მკვლევარი, მიშნავს მუდმივად სდებოდეს თქვენი მხრიდან კლასებში და მთლიანად სკოლაში არსებული პროცესების შესწავლა და მათ გაუმჯობესებაზე ზრუნვა. თქვენი მხრიდან მოქმედების კვლევის ჩატარება – ამ მიმართულებით თქვენი მოქმედება და მონდომება – ხელს უწყობს პედაგოგის პროფესიის განვითარებას. მოქმედების კვლევის წარმოების ჯილდოს წარმოადგენს მოსწავლეების მიერ შეძენილი ცოდნა, რომელსაც ჩვენ ვიღებთ პროფესიული წინსვლის და მუდმივი განვითარების მეშვეობით.

## დასკვნა

ეს დანართი შეიცავდა კურტისის დაწყებითი სკოლის მეზოთე კლასის პედაგოგის, ჯონათან კურტისის სიტუაციურ მაგალითს. მასში მოცემული იყო ჯონათანის საქმიანობის (კვლევის) ძირითადი ეტაპები. სიტუაციური მაგალითი ასევე შეიცავდა კვლევის კრიტიკას მე-9 თავში მოცემული კრიტერიუმების გამოყენებით. ეს სიტუაციური მაგალითი ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება მოქმედების კვლევის ჩართვა პროფესიული განვითარების სკოლის (PDS) ყოველდღიურ ცხოვრებაში უნივერსიტეტის ფაკულტეტისა და საჯარო სკოლის თანამშრომლობის გზით.

## განსჯისათვის

1. რა ისწავლეთ ჯონათან სტიუარტის სიტუაციური მაგალითიდან და რის გამოყენებას შეძლებთ თქვენს საკუთარ მოქმედების კვლევაში?
2. როგორ გამოიყენებდით მოქმედების კვლევის შეფასების კრიტერიუმებს ჯონათანის მოქმედების კვლევის შეფასებისათვის?
3. როგორ შეძლებთ მოქმედების კვლევის კავშირის (ქსელის) ჩამოყალიბებას სკოლის დირექტორის, პედაგოგების და სხვა აღმზრდელების (მომავალი პედაგოგები, უნივერსიტეტის პედაგოგთა შემადგენლობა და სხვანი) მონაწილეობით?



## დანართი „ბ“

### აღწერითი სტატისტიკა და მოქმედების კვლევა

დათვალიერი რისი დათვლაც შესაძლებელია! აღწერითი სტატისტიკის გამოყენება

მიღებული მონაცემებიდან აზრის გამოტანისათვის ოქვენ დაგჭირდებათ მონაცამების ანალიზი, რომელიც შეიცავს აღწერითი სტატისტიკის გამოყენებას. ჩემი რჩევა მდგომარეობს შემდეგში: დათვალეთ რისი დათვლაც შესაძლებელია! შედეგების, კატეგორიების, ტესტის შედეგების და მსგავსი მონაცემების გამოანგარიშებისათვის გამოიყენეთ შესაფერისი აღწერითი სტატისტიკის მეთოდი. თუმცა არ ვფიქრობ, რომ მეტი მნიშვნელობის შეძენის მიზნით ოქვენს ნაშრომში უნდა ჩართოთ რთული სტატისტიკური მეთოდები. პირველი თავიდან ვიცით, რომ მოქმედების კვლევა ტრადიციული კვლევებისგან განსხვავდება, შესაბამისად, ნაკლებად არის აუცილებელი სტატისტიკის იმ დონეზე გამოყენება, როგორც მეცნიერები იყენებენ. აღწერითი სტატისტიკა გამოიყენეთ, როგორც პედაგოგი მკლევრის ერთ-ერთ დამზადებელი სტუდენტი, რომლის მეშვეობით ხდება მონაცემების დამუშავება და მათი ეფექტიანად დაკავშირება სხვა მონაცემებთან.

ამ დანართში ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ცენტრალური ტენდენციის საზომო მეთოდებს (საშუალო, მოდა და მედიანა) და ცვალებადობას (სტანდარტული გადახრა). ამ სტატისტიკური მეთოდების უფრო დეტალური გაგებისათვის მე გირჩევთ გაეცნოთ გეის, მიღწის და ეირაზიანის (2006) ნაშრომს. ბევრი კომპიუტერული პროგრამა, როგორიცაა ესპიცესი (SPSS) 12.0 (მოსწავლის ვერსია), სტატისტიკური მონაცემების გამოანგარიშებისათვის შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს თქვენს სკოლაში ან უნივერსიტეტში. მხედველობაში იქონიეთ, რომ ოქვენს სკოლაში ბევრი კარგი მათემატიკის სპეციალისტია და თუ საჭირო გახდა მიმართეთ მათ.

რატომ უნდა გამოიყენოთ აღწერითი სტატისტიკა?

აღწერითი სტატისტიკა წარმოადგენს ერთი ან ორი რიცხვის გამოყენებით, რიცხვების მწერივის შესახებ დიდი ინფორმაციის წარმოდგენის მოკლე გზას. მაგალითად:

შესამე თავში განხილული იყო დამოკიდებულების სკალის გამოყენების პრინციპი (ლაიკურტის სკალა და სემანტიკური სხვაობა), რათა გაგვეზომა მოსწავლების დამოკიდებულება და სხვა რაოდენობრივი სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება მოქმედების ჰყვლებართა მიერ, მაგალითად: პედაგოგის მიერ შედგენილი ტესტები, სტანდარტიზებული ტესტები და სკოლის მიერ შემუშავებული მოსწრების ბარათი. აღწერითი სტატისტიკა წარმოადგენს მოსწავლების დამოკიდებულების აღწერის ერთ-ერთ გზას. მაგალითად: კითხვარში, ამ კითხვაზე გაცემული პასუხების საშუალოს გამოანგარიშებით, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს მათემატიკის ახალი სასწავლო პროგრამის მიმართ (იხ. 3 თავი).

1. მე მჯერა, რომ კლასში ნასწავლი ამოცანის ამოცსნის უნარები დამეტმარება სკოლის გარეთ პრობლემის სწორად მოგვარებაში.

სრულებით ვეთანხმები (სვ), ვეთანხმები (გ), არ გადამიწყვეტია (აგ), არ ვეთანხმები (აგ) ან კატეგორიულად არ ვეთანხმები (კა).

სვ	გ	აგ	აგ	კა
პასუხების ქულებით შეფასებით, სვ=5, გ=4, აგ=3, აგ=2, კაგ=1 და ამ კითხვაზე გაცემული პასუხების საშუალოს გამოანგარიშებით, ჩვენ გავიგებთ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს მათემატიკაში ამოცანის ამოცსნის უნარების კლასის გარეთ გამოყენებასთან დაკავშირებით. სხაგვარად რომ ვთქვათ, ამ რიცხვების საშუალოს გამოანგარიშება ჩვენ გვაძლევს მოსწავლეების დამოკიდებულების და კითხვარის მონაცემების გაგების შესაძლებლობას. რიცხვების გამოყენების გარეშე ვერ გავიგებდით ჩვენი ყველა მოსწავლის დამოკიდებულებას.				

### ცენტრალური ტენდენციის გამოთვლის მეთოდი

ცენტრალური ტენდენცია წარმოადგენს ერთ რიცხვს, რომელიც მთელ საკვლევ რიცხვთა ჯგუფის შესახებ გვაძლევს ინფორმაციას. ცენტრალური ტენდენციის გამოთვლის სამი საერთო მეთოდია: საშუალო, მოდა (ყველაზე ხშირად ამოსული ნიშანი/ნიშნები) და მედიანა (შუა ნიშანი). სწავლებაში ყველაზე ხშირად პედაგოგები იყენებენ აღწერითი სტატისტიკის საშუალო მეთოდს. მისი მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია, მოცემული პერიოდის განმავლობაში, ზოგადად ვიმსჯელოთ და ერთმანეთს შევადაროთ ჩვენი კლასის მოსწავლეების საკლასო მიღწევები. როგორც პედაგოგს, თქვენ უკვე გეცოდინებათ საშუალოს გამოთვლის მეთოდები, თუმცა შეგასხენებთ, რომ საშუალოს გამოსათვლელად ვაჯამებთ ყველა რიცხვს და ვკოფთ შესაკრები რიცხვების საერთო რაოდენობაზე. მაგალითად: თქვენ მათემატიკის 100 კითხვიანი ტესტი მიეცით თქვენს 30 მოსწავლეს. შეაჯამეთ თითოეული მოსწავლის ტესტის შედეგი. ვთქვათ, მოდებული შედეგები 30 ბაგშეზე ასე გამოიყურება: 95, 95, 92, 92, 90, 90, 88, 88, 85, 85, 85, 82, 82, 82, 79, 79, 75, 75, 75, 75, 72, 72, 72, 69, 69, 65. ახლა გამოვთვალოთ საშუალო.

$$\text{საშუალო } \bar{x} = \Sigma x / n$$

სადაც  $\Sigma x$  ტესტის შედეგის ჯამია, ხოლო  $n$  მოსწავლეთა რაოდენობა

$$\text{საშუალო} = 2424 : 30 = 80.8$$

(30 ბავშვის ტესტის შედეგის ჯამი) : (მოსწავლეთა რაოდენობაზე) = 80.8

საშუალოზე დიდ გავლენას ახდენს მეტისმეტად მაღალი და მეტისმეტად დაბალი რიცხვები, რადგანაც ისინი შედეგებს თავიანთი მიმართულებით “ექაჩებიან”, ანუ, ხდება ყველა მონაცემის ატიპური მაჩვენებლებისკენ გადახრა. მიუხედავათ ყველაფრისა, საშუალო ყველაზე ნაცნობი და ადვილად გამოსაყენებადი მეთოდია.

**მედიანა** არის კლებადობის მიხედვით დალაგებული ნიშნების მწერივის შუა ნიშანი. თუ ტესტში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა იქნებოდა 31 (კუნტი რიცხვი), მაშინ მედიანით გაზომილი საშუალო იქნებოდა ამ მწერივში მე-16 რიცხვი.

ჩვენს შემთხვევაში ტესტში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა არის 30. ამ შემთხვევაში ჩვენ კლებადობის მიხედვით დალაგებული ნიშნების მწერივის შუა რიცხვებს (მწერივში მე-15 და მე-16 რიცხვებს) გაჯამებთ და კუოთო ორზე. რადგანაც ჩვენს მაგალითში მწერივში მე-15 და მე-16 რიცხვები არის 82 და 82, მათი ჯამის ნახევრი იქნება ისევ 82. შედეგად, მედიანათი გამოთვლილი საშუალო ჩვენს მაგალითში არის 82 ქულა.

მოდა წარმოადგენს საშუალოს გამოთვლის კიდევ ერთ მეთოდს. მოდა მწერივში ყველაზე ტშირად გამოიყენებული რიცხვია. ჩვენს მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, მოდა არის 75 ქულა, რადგანაც 75 ქულა ყველაზე მეტმა ბავშვები მიღლო (ხუთმა ბავშვმა). მწერივში ერთზე მეტი მოდა შეიძლება იყოს, რაც მას ორმოდიან ან მრავალმოდიანს გახდის ან შესაძლოა მოდა საერთოდ არ დაფიქსირდეს. მოდა საგამანაოლებლო კვლევებში ცენტრალური ტენდენციის გასაზომად ყველაზე იშვიათად გამოიყენება, რადგანაც: ის გვამცნობს მხოლოდ ყველაზე ხშირად მიღებულ ქულებზე და არ იძლევა სხვა დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

### ცვალებადობის საზომი: სტანდარტული გადახრა

როგორც პედაგოგს, შესაძლოა შეგხვედრიათ ტერმინი სტანდარტული გადახრა (SD) თუმცა მისი მნიშვნელობა სრულად არ გცოლდნიათ. მაგალითისათვის, თქვენ ადმინისტრაციიდან მიიღეთ თქვენი მოსწავლეების სტანდარტიზებული ტესტების შედეგები (ქულები), კლასის საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა. თქვენს შემთხვევაში არ არის აუცილებელი ზეპირად ვიცოდეთ სტანდარტული გადახრის ფორმულა ან მისი წარმოშობის ისტორია. მთავარია გავიგოთ ცვალებადობის და სტანდარტული გადახრის კონცეფცია, ვიცოდეთ, რას ნიშნავენ ისინი თუ რა შემთხვევაში შეგვიძლია მათი გამოყენება.

ცვალებადობის საზომის მეშვეობით ჩვენ ვიგებთ, თუ „რამდენადაა მონაცემები ერთმანეთისაგან დაშორებული“ (გეის, მიღ. ზ. და ერაზიანს (2006), გვ. 308). ჩვენს მოქმედების კვლევაში მნიშვნელოვანია სტანდარტული გადახრის, როგორც საზომის გამოყენება. როდესაც საშუალოთი ჩვენ ვიგებთ მწერივში რიცხვის მდებარეობას (ჩვენა მაგალითიდან გამომდინარე, 80.8 ქულა მიღიღეთ 1-100 ქულათა სკალიდან), სტანდარტული გადახრა ზომავს მანძილს საშუალოდან (უტი, 1958 წ. გვ. 53-56). სტანდარტული გადახრის არსი ისაა, რომ გავიგოთ, რამდენად შორს მდებარეობს

ესა თუ ის მიღებული ქულა საშულო ქულისგან.

როგორც პედაგოგი, შეიძლება რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდე იმის გაგებით, თუ რამდენად „კარგია“ ან „ცუდია“ სტანდარტული გადახრის შედარებით მაღალი ან დაბალი მონაცემი. ამ შემთხვევაში, რადგანაც სტანდარტულ გადახრას მათემატიკური ტესტის ქულებისათვის ვიყენებთ, მასზე უნდა ვიფიქროთ როგორც მიუკერძოებელ მონაცემების მიღების საშუალებაზე. ჩვენს მაგალითში საშუალო არის 80.8 ქულა და სტანდარტული გადახრა 8.59 (სტანდარტული გადახრა მე გამოვთვალე კომპიუტერული პროგრამა Windows-ის მე-12 სტუდენტური ვერსიის ესპიცესის (SPSS) მეშეეობით. თუ თქვენ დიდი რაოდენობის მონაცემი გაქვთ დასათვლელი, ხელით მისი დათვლა გაგიჭირდებათ. თუმცა მცირე რაოდენობის მონაცემების ხელით გამოთვლა შესაძლებელია). თუ თქვენ დიდი რაოდენობის მონაცემი გაქვთ დასათვლელი და ესპიცესის (SPSS) პროგრამისთვის ხელი არ მიგიწვდებათ, სტანდარტული გადახრის გამოსათვლელად შეგიძლიათ გამოიყენოთ კომპიუტერული პროგრამა Excel-ი ან კალკულატორი (სტატისტიკური ფუნქციებით).

ჩვენს მაგალითს რომ დაუტბრუნდეთ, სადაც საშუალო არის 80.8 ქულა და სტანდარტული გადახრა – 8.59, გამოდის, რომ მოსწავლეთა უმეტესობამ (უფრო კონკრეტულად 68%-მა) – უხეშად რომ ვთქვათ, 72-დან 89 ქულამდე მიიღეს ( $\pm 1$  სტანდარტული გადახრა (SD) საშუალოდან). მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მონაცემებით უმეტესობამ წარმატებით ჩააბარა ტესტი. ახლა შევადაროთ სტანდარტული გადახრა. 8.59-ის ნაცვლად აეიღოთ, ვთქვათ, 16. ასე რომ ყოფილიყო, გამოვიდოდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობამ მიიღო 64-იდან 97-ს ჩათვლით ქულები. რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მოსწავლეთა მიღებული ქულები უფრო გაშლილია და, შესაბამისად, ტოვებს კითხვას, თუ რამდენად კარგად ფლობენ ბავშვები ამ საგანს. პედაგოგისათვის, რომელსაც თავისი შედგენილი ტესტის მეშვეობით უნდა გაიღოს ბავშვებში საგნის ფლობის დონე, საშუალოს მაღალი მაჩვენებელი და დაბალი სტანდარტული გადახრა (SD) კველაზე სასურველი შედეგი იქნება.

ახლა ჩნდება კითხვა – „როგორ მესმარება ეს კველაფერი გავიგო ჩემი მოსწავლეების მათემატიკური ტესტის ქულები?“ იმ ინფორმაციის გამოყენებით, რაც გაქვთ, კონკრეტულად კი, რომ თქვენი 30 მოსწავლის ქულების საშუალო არის 80.8 ქულა და სტანდარტული გადახრა 8.59, თქვენ შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ:

- საშუალო ბავშვებმა ტესტში 80 ქულა მიიღეს.
- დაახლოებით ბავშვების 2/3-მა მიიღო 72-იდან 89 ქულის ჩათვლით.
- შედარებით მცირე სტანდარტული გადახრა (SD) და საშუალო – 80 ქულა, გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ დაახლოებით ბავშვების 2/3 კარგად ფლობს (ტესტში მოცული) საგანს.

სტანდარტული გადახრა (SD) და საშუალოს ერთად გამოყენება, თქვენ და თქვენს კოლეგებს, დიდი რაოდენობით ინფორმაციის მიღების საშუალებას მოგცემთ იმ მონაცემების შესახებ, რომელიც თქვენ მოაგროვეთ (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ შეგროვებული მონაცემები დათვლა შეუძლებელია (უთვლადია)). იხილეთ საკვანძო კონცეფციების გრაფა ბ-1 აღწერითი სტატისტიკის გამოყენების შესახებ.

## საკვანძო კონცეფციების გრაფა ბ-1

აღწერითი სტატისტიკა	
საზომის განვითარება	მოქმედების კვლევაში გამოყენებული სტატისტიკური მეთოდები
<p>ცენტრალური ტენდენციის საზომი არის ერთი მონაცემი, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას რიცხვების მთელ ჯგუფზე</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო</li> <li>• მოდა (ყველაზე ხშირად გამოირჩებული ქულა/ ქულები)</li> <li>• მედიანა (საშუალო ქულა)</li> </ul>
<p>ცვალებადობის საზომი გვაძლევს ინფორმაციას რამდენად გაფანტულია ერთმანეთისაგან მიღებული ქულები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტანდარტული გადახრა (რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მანძილით არის დაშორებული საშუალოდან დანარჩენი ქულები. ეს ინფორმაცია გვეხმარება გავიგოთ, თუ დაახლოებით თითოეული ქულა რამდენით არის დაშორებული საშულაო ქულას)</li> </ul>

### ილუსტრაცია

მაკინზის ოლქის სკოლაში ცვლილებების შესწავლის ფარგლებში (მილსი, 1988 წ.) ვახდენდი პედაგოგების გამოყითხვას. კითხვარის ერთ-ერთი საკითხი ეხებოდა პედაგოგის დამოკიდებულების გაგებას, თუ როგორი გავლენა მოახდინა როგორ ბავშვებზე გამიზნულმა პროგრამამ საკლასო სწავლების პრაქტიკის ცვლილებაზე. პედაგოგებს უნდა ეპასუხათ შემდეგ კითხვაზე: როგორი შეცვალა როგორ ბავშვებზე გამიზნულმა პროგრამამ საკლასო სწავლების პრაქტიკა? პედაგოგებს კითხვაზე გაცემის დროს უნდა შემოეხაზათ 1-დან 5-ს შორის პასუხები (სადაც 1 = არანაირ ცვლილებას, 5 = დიდ ცვლილებას). 52 პედაგოგის პასუხები ამ კითხვაზე შემდეგნაირად გამოიყურება:

**მაღალი რისკის მქონე პროგრამის გავლენა საკლასო სწავლების პრაქტიკის  
ცვლილებაზე**

არანაირი ცვლილება	1	2	3	4	5	დიდი ცვლილება
რესპონდენტთა რაოდენობა	7 (13%)	18 (37%)	17 (35%)	10 (15%)	0 (0%)	

პედაგოგების პასუხების განაწილების აღწერისათვის გამოვიყენე შემდეგი აღწერითი სტატისტიკა:

4,4,4,4,4,4,4,4,4,4,3,3,3,3,3,3,3,3,3,3,3,3,3,3,3,2,1,1,1,1,1,1.

$$\text{საშუალო } \bar{x} = \Sigma x / n$$

$$\text{საშუალო} = 134 / 52 = 2.58$$

**მოდა** – 2.0 (ყველაზე ხშირად შემოხაზული პასუხი – 18 პედაგოგმა შემოხაზა  
პასუხი – 2)

**მედიანი** – 3.0 (52 პედაგოგის შემოხაზული ქულის მატების მიხედვით დალაგებულ  
მწკრივში შუა ციფრი – 3)

### სტანდარტული გადახრა – 1.02

გართობისათვის, მოდით ხელით გამოვთვალოთ სტანდარტული გადახრა, იმისათვის,  
რომ უკეთ გავიგოთ, თუ როგორ მივიღეთ სტანდარტული გადახრა – 1.02. ვინაიდან  
და რადგანაც ჩვენ ამ პატარა სავარჯიშოს გართობისათვის ვაკეთებთ, მოდით  
გამოვიყენოთ ვირტუალური 5 მოსწავლის მიღებული ტესტის ქულები. თუმცა  
რეალურ ცხოვრებაში ხუთი კაცისაგან შემდგარი ჯგუფის ფორმირება მიუღებელია;  
ჩვენ ამას მხოლოდ საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ.

	X	X <sup>2</sup>
ეგი	1	1
ჟერმინი	2	4
ფიტი	3	9
თინი	4	16
ანა	5	25
$\Sigma X=15$		$\Sigma X^2 = 55$
$(\Sigma X)^2=225$		

სტატისტიკურ ფორმულებში ხშირად გამოყენებული სიმბოლოების მნიშვნელობა:

X = ნებისმიერ რიცხვი

$\Sigma$  = ჯამი; შეჯამება

$\Sigma X$  = ყველა რიცხვის ჯამი

$\bar{x}$  = საშუალო; არითმეტიკული საშუალო

N = საგნების (სუბიექტების) საერთო რაოდენობა

n = კონკრეტულ გჯუფში მონაწილე საგნების (სუბიექტების) რაოდენობა

$\Sigma X^2$  = კვდრატულების ჯამი; აიყვანეთ ყველა ქულა კვადრატში და დააჯამეთ

$(\Sigma X)^2$  = ჯამის კვადრატული; შეაჯამეთ ქულები და კვადრატში აიყვანეთ მათი ჯამი.

თუ სტატისტიკას თანმიმდევრობით და სწორი მეთოდით გამოიყენებთ, ის თქვენს ცხოვრებას ბერიად გააიღებს. გირჩევთ შემდეგს:

1. ფორმულის მსგავსად, გააკეთეთ სვეტები (მაგალითად: X, X<sup>2</sup>) და დააჯამეთ თითოეული სვეტი.
2. აღნიშნეთ/მონიშნეთ თითოეული სვეტის ჯამი. წინა მაგალითში, X-ის სვეტის ჯამი აღნიშნული იყო  $\Sigma X$ -ით, ხოლო X<sup>2</sup> სვეტის –  $\Sigma X^2$ -ით.

3. დაწერეთ ფორმულა.
4. დაწერეთ ფორმულის არითმეტიკური ეკვივალენტი [ მაგალითად:  $(\Sigma X)^2 = (15)^2$  ]
5. ამოხსენით არითმეტიკული მაგალითი [ მაგალითად:  $(15)^2 = 255$  ]

### სტანდარტული გადახრა

უკვე აღვნიშნეთ, რომ სტანდარტული გადახრა არის გადახრის კვადრატული ფესვის ჯამი, რომელიც ეფუძნება საშუალოდან ყოველი ქულის დაშორების მანძილს. იმისათვის, რომ გამოვთვალოთ სტანდარტული გადახრა (SD), ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ raw score formula, რომელიც გიზუალურად შეიძლება რთულად გამოიყურება მაგრამ ჩვენ მას საკმაოდ მარტივ არითმეტიკულ მაგალითად ვაქცევთ. შეად ხართ?

$$SD = \sqrt{\frac{SS}{N - 1}} \quad \text{სადაც} \quad SS = (\bar{X}^2 - (\bar{X})^2)/N$$

ან

$$SD = \sqrt{\frac{(\bar{X}^2) - \frac{(\bar{X})^2}{N}}{N - 1}}$$

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტანდარტული გადახრა (SD) კვადრატული ჯამების (SS)  $N-1$ -ზე განაყოფის კვადრატული ფესვის ფოლია.

თუ მოსახლეობის სტანდარტული გადახრის დათვლა ხდება, სტანდარტული გადახრის ფორმულა ზუსტად ასევე გამოიყურება მცირე ცვლილების გარდა. კვადრატულ ჯამებს ჩვენ ვყოფთ მხოლოდ  $N - 1$ -ზე (და არა  $N - 1$ -ზე). ეს იმიტომ ხდება, რომ სამიზნე ჯგუფის (sample) სტანდარტული გადახრა მიიჩნევა, რომ ამახინჯებს მოსახლეობის სტანდარტული გადახრის შედეგების. როდესაც ჩვენ ვადგრნთ სამიზნე ჯგუფს (განსაკუთრებით მცირე ზომის), არის იმის აღბათობა, რომ მონაწილეები აღმოჩნდებიან განლაგების შუაში და რომ უკიდურესად მაღალი და დაბალი მონაცემები არ იქნება წარმოდგენილი. ამდენად, სამიზნე ჯგუფის მონაცემების დაშორების აღმნიშვნელი მაჩვენებელი დაბალი იქნება, ისევე როგორც სამიზნე ჯგუფის სტანდარტული გადახრა. მაშინ როდესაც სამიზნე ჯგუფის ზომა იზრდება, ასევე მატულობს უკიდურესად მაღალი და დაბალი მონაცემების მიღების აღბათობა. შესაბამისად, რაც უფრო პატარაა სამიზნე ჯგუფი, მით უფრო მნიშვნელოვანია კლების ტენდენციის შესწორება/კონტროლი.  $N - 1$ -ზე და არა  $N - 1$ -ზე გაყოფით, ჩვენ მნიშვნელს (ქვედა ნაწილს) ვამცირებთ. შედეგად  $\frac{SS}{N-1}$  გამოიდის უფრო მეტი და მოსახლეობის სტანდარტულ გადახრასთან უფრო ახლოა, ვიდრე  $\frac{SS}{N}$ . მაგალითისათვის, თუ  $SS = 18$  და  $N=10$  მაშინ:

$$\frac{SS}{N - 1} = \frac{18}{9} = 2.00 \quad \text{და} \quad \frac{SS}{N} = \frac{18}{10} = 1.80$$

ახლა მშეიდად შეხედეთ და დაკვირდით თითოეულ ფორმულას. თქვენ უკვე კარგად იცით, თუ რას ნიშნავს თითოეული მათგანი. მოდით დავიწყოთ მარტივიდან: რას ნიშნავს  $N$ ? მართალია, საგნების (სუბიექტების) საერთო რაოდენობას;  $(\Sigma X)$ ? სწორია,

უველა რიცხვის ჯამი; ( $\Sigma X$ )<sup>2</sup>? სწორია, ქულათა ჯამი აყენილი კვადრატში; გვრჩება  $\Sigma X^2$ . რომელიც არის კვადრატების ჯამი. კარგით, მოდით გამოიყენოთ საშუალოს გამოთვლისათვის გამოყენებული ქულები. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, უნდა ავიყვანოთ კვადრატში თითოეული ქულა და შემდეგ დაგვაჯამოთ ისინი. სანამ ამ ეტაპზე ვართ, ამასობაში შეგვიძლია მთლიანად ქულების დაჯამებაც.

X	$X^2$	
ეგი	1	$\Sigma X=15$
ჰერმინი	2	4
ფიტი	3	9
თინი	4	16
ანა	5	25
$\Sigma X=15$	$\Sigma X^2 = 55$	$N = 5$
$(\Sigma X)^2 = 225$		$N - 1 = 4$

უველა მონაცემი გვაქვს რაც გვესაჭიროება? – დიახ. ფორმულა კიდევ რამეს ხომ არ საჭიროებს? – არა. ფორმულაში მონაცემების ჩასმით ჩვენ მივიღებთ:

$$\frac{(X)2}{N} = 55 - \frac{(15)2}{5}$$

რა მივიღეთ შედეგად? სტატისტიკური მონაცემი? – არა! არითმეტიკური მოცანა? – დიახ! რთული არითმეტიკული ამოცანა? – არა! რთულია ვიდრე  $\frac{5}{5}$ , მაგრამ სინამდვილეში სულაც არა. თუ ჩვენ სწორად გავაკეთებთ და მივყვებით ფორმულას, არანაირი სიძნელე არ წარმოქმნება. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ ფორმულის მიხედვით, უნდა ავიყვანოთ 15 კვადრატში:

$$\frac{(X)2}{N} = 55 - \frac{(15)2}{5} = 55 - \frac{225}{5}$$

აქამდე კარგად მივდიგართ. შემდეგ, ფორმულის თანახმად, 225 უნდა გავყოთ 5-ზე, რაც უდრის 45-ს. ცოტა გამარტივდა არა?! ახლა მარტივი არითმეტიკული მაგალითი გვაქვს გამოსაყვანი. შემდეგ ჩვენ 55 გამოვაკლებთ 45-ს და მივიღებთ კვადრატულების ჯამს (SS), რომელიც უდრის 10.00. ადვილი, საბავშვო მაგალითია.

შეგიძლიათ შემდეგი მოქმედების გამოცნობა? მშვენიერია! რადგანაც ჩვენთვის ცნობილია SS-ი (რომელიც უდრის 10.00), ჩვენ მას უბრალოდ ჩავსგამთ სტარნდარტული გადახრის ფორმულაში.

$$SD = \sqrt{\frac{SS}{N-1}} = \sqrt{\frac{10}{4}} = \sqrt{2.5}$$

იმისათვის, რომ გავიგოთ რას უდრის 2.5- ის ფესვი, აკრიფეთ 2.5 კალკულატორში და დააჭირეთ  $\sqrt{2.5} = 1.58$ . პასუხი იქნება 1.58, ანუ:

$$SD = \sqrt{2.5} = 1.58$$

გამოვიანგარიშეთ, რომ სტანდარტული გადახრა უდრის 1.58-ს. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, როგორ გამოვიყენოთ აღწერითი სტატისტიკის ორი მეთოდი.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ რიცხვები არ ქმნის სრულ სურათს. ისინი გამოსახავს, თუ როგორი იყო სამიზნე ჯგუფის პასუხი ცალკეულ კითხვაზე. მაგალითისათვის, პედაგოგების დამოკიდებულების გაგების ანალიზი – თუ როგორ გავლენას ახდენდა რთულ ბავშვებზე გამიზნული პროგრამა საკლასო სწავლების პრაქტიკის ცვლილებაზე – მხოლოდ აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით სრული ვერ იქნება. ამ თემაზე საუბარი რომ დავასრულო, ჩავრთე შემდეგი კომენტარი, რომელიც ეხებოდა დასმულ კითხვას – „თქვენი აზრით, რა გავლენა იქონია მაღალი რისკის მქონე პროგრამას საკლასო სწავლების პრაქტიკის ცვლილებაზე? პასუხები დაჯგუფდთა შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „დადგებითი გავლენა“ და „არანაირი გავლენა“.“

#### „დადგებითი გავლენა“

გამახსენებს და გამიძლიერებს სწავლის (და არა სწავლების) მეთოდების კონცეფციების ცოდნა და თუ როგორ გავითვალისწინო ისინი კლასში.

ასეთი ბავშვების უკეთ ცოდნამ საშუალება მომცა ვყოფილიყავი მეტად რბილი, მზრუნველი და ლიმობიერი მათ მიმართ.

ახლა ვიცი „მთლიანად ბავშვის“ მოთხოვნები, ისევე როგორც მოსწავლისა.

#### „არანაირი გავლენა“

არ არის საკმარისი დრო მსგავსი მეთოდების დასაგეგმად და განსახორციელებლად!

ჩემი აზრით, რთული ბავშვებისათვის საჭირო პროგრამები არ არებობს. უნარ-ჩვევების უმეტესობას უკვე ვიყენებდი.

მას შემდეგ რაც დამზარე პედაგოგი (პედაგოგი, რომელიც ეხმარება დამატებით იმ ბავშვებს, რომლებსაც გარკვეულ საგნებში პრობლემები აქვთ) გავხდი, ამ პრობლემის შესახებ ინფორმირებული ვიყავი.

ვფიქრობ, ამ პრობლემის შესახებ წარმოდგენა მქონდა. ხოლო მისი წარმოჩენა საუბრო დონეზე სიახლე იყო.

ფრთხილი იყავით განცხადებების პერიპოსას

ბოლო გაფრთხილება: იყავით ფრთხილი, თუ როგორ გადმოსცემთ და როგორ განმარტებას უკეთებთ აღწერით სტატისტიკის, რომელსაც თქვენ იყინებთ თქვენი მონაცემების ანალიზისათვის და აგრეთვე ფრთხილი იყავით მიღებული აღწერითი

სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე გაკეთებულ განცხადებებისას. მხედველობაში იქნიეთ ის ფაქტი, რომ საშუალოებს და სტანდარტულ გადახრებს ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭებათ. გახსოვდეთ, ეს სტატისტიკური მეთოდები გამოიყენება აღწერისათვის და არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულების გამოსავლენად (რომელიც მეტწილ მოსახლეობაზე შეიძლება განზოგადდეს).

ნათელია, რომ აღწერითი სტატისტიკის ეს მიმოხილვა ძალიან მცირეა. ჩემი გამოცდილებიდნ ვიცი, რომ მკვლევარი პედაგოგები მათემატიკას, რბილად რომ ვთქვა, უფრთხიან და ერიდებიან სტატისტიკის გამოყენებას თავიანთ ნაშრომებში. მაგრამ, როგორც პერტო და პელტო (1978 წ.) თავიანთ წიგნში მოგვითხრობენ:

არა მარტო ადამიანები, არამედ სხვა ცოცხალი არსებებიც მუდამ ახდენენ საგნების დათვლას თავიანთ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში. ექსპერიმენტაციორი ფსიქოლოგების აზრით, სწავლის პროცესში (ყველაზე აღრეულ ეტაპზე) ხდება გათვლითი ან შეფასებითი პროცესების მიმდინარეობა, რაც ცოცხალ არსებას (ადამიანს ან სხვა) საშუალებას აძლევს განასხვავოს ერთი გარემოება მეორესაგან, რაც შესაფერისი ქცევის სტიმულად გვევლინება (გვ. 123).

თუკი გამოთვლითი საშუალებების გამოყენება დადებითად იმოქმედებს თქვენს კვლევაზე ან წარმოაჩენს ურთიერთკავშირს, რაც შემდგომი კვლევის შესაძლებლობას შექმნის, ამ ვითარებაში გამოიყენეთ სტატისტიკის ნებისმიერი მეთოდი, რომელსაც საჭიროდ ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ნაშრომში სტატისტიკის გამოყენებას გადაწყვეტთ და ამასთანავე მათემატიკის კარგი მცოდნე არ ხართ, ნუ მოგერიდებათ, თუ ამ საქმეში მცოდნე და გათვითცნობიერებულ კოლეგებს ან მეგობრებს დაიხმართ.



## დანართი „გ“

### მონაცემების ვიზუალურად წარმოდგენა

დანართ „გ“-ში მოცემულია სხვა მოქმედების კვლევის პროექტებიდან მაგალითები პედა-გოგ მკვლევარის მიერ მონაცემების ვიზუალური წარმოდგენისა, რომელიც მონაცემთა ანალიზის პროცესის და კოლეგებთან გაზიარების სიმარტივისათვის გაკეთდა. მონაცემების ვიზუალურად წარმოდგენა აადვილებს როგორც მათ აღქმას, ასევე წარმოადგენს დიდი მოცულობის ინფორმაციის მოკლედ გადმოცემის საშუალებას. უმეტესწილად, მესამე თავში განხილულ მონაცემთა შეგროვების ტექნიკის გამოყენებით შეგროვებული მასალა წარმოდგენილია ტექსტების სახით ველვბზე. ამ დანართიდან ჩვენ შევიტყობთ როგორ ლაკონურად გადმოვცეთ მონაცემები ისე, რომ პედაგოგმა მკვლევარმა მათზე მუშაობა შეძლოს და სანდო ანალიზი მივიღოთ. მაილზის და პაბერმანის (1994 წ.) თანახმად:

სანდო ანალიზისათვის საჭიროა მეტად კონკრეტული ვიზუალური მასალა, რომელიც მუდმივად ახდენს კვლევის კითხვაზე პასუხების ილუსტრაციას (გვ. 91-92).


ამ დანართში მოცემული მონაცემების ვიზუალური წარმოდგენის მაგალითები გამოიზულია პედაგოგ მკვლევართათვის, რათა ისინი გაუცნონ მონაცემთა ვიზუალურად გადმოცემის არსებულ სერხებს, რაც დაეხმარებათ მონაცემთა ანალიზის პროცესში და კოლეგებთან გაზიარებისას.

მაგალითი №1: წერითი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებელი სემინარები და ESL-ის (ინგლისურის, როგორც მეორე ენის შემსწავლელი პროგრამა) მოსწავლეების წერილობითი ნაშრომები და დამოკიდებულებები.


შემდეგი ცხრილები აღებულია ESL-ის VII და VIII კლასის მოსწავლეების წერითი უნარ-ჩვევების და წერისადმი მათი დამოკიდებულების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შედეგების შესასწავლად მიმართული კვლევიდან. მოსწავლეების ნაწერები შეფასებული იყო ქულათა კატეგორიებით, რომელებიც ზომავდა მათი „გამოხატვის უნარს“ და „კუთვნილებას“ თავიათ ნაშრომებში (შეფასების სისტემა გადმოღებულია ორეგონის განათლების წერითი შეფასების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სტანდარტებიდან).

პედაგოგმა გამოიყენა სკოლური გრაფიკები, რათა წარმოებინა და შევჯამებინა ღონისძიებებამდელი, ღონისძიების განმავლობაში და შემდეგ ჩატარებული კვლევის შედე-

გები (რომელთა რიცხობრივი მონაცემებიც შეიძლება გადატანილი იყოს პედაგოგის ორგანიზერში). სკოლის გრაფიკები პედაგოგს საშუალებას აძლევს მარტივად იმუშაოს მონაცემებზე და ადვილად დაინახოს ცალკეული ბავშვის შედეგი და წარმატებები წერითი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებელი პროგრამების განხორციელებისას. მკითხველიც ეცნობა და ხედავს ასეთი სახით წარმოდგენილ მონაცემებს, რაც კვლევის შედეგების ეფექტიანად წარმოჩენას უწყობს ხელს (იხ. სკოლის გრაფიკები გ - 1 და გ - 2)



გრაფიკი გ- 1. მოსწავლეთა მოსწრების საერთო ქულების - გამოხატვის უნარი



გრაფიკი გ- 2. მოსწავლეთა მოსწრების საერთო ქულები - საკუთრებითობა

ამ პედაგოგმა წარმოადგინა მოსწავლეთა წერითი უნარ-ჩვევებისა და წერისადმი მათი დამოკიდებულების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შემდგომ ჩატარებული კითხვარის ცხრილიც, სადაც ასახულია ბავშვების პასუხები შემდეგ კითხვებზე: მოგწონთ თუ არა წერა? თუ კი – რატომ და თუ არა – რატომ? მონაცემთა ასეთი რეზუმირება კიდევ ერთხელ აძლევს პედაგოგს იმის საშუალებას, დაინახოს როგორი დამოკიდებულება აქვთ მოსწავლებს წერის მიმართ კითხვაში გამოყენებული დამატებითი გრაფების გამოყენებით – მოსწონს წერა, არ მოსწონს წერა (იხ. ცხრილი გ – 1)

### ცხრილი გ- 1 შეფასების შემდგომი კითხვარი

კითხვა №1: მოგწონთ წერა? რატომ კი და რატომ არა?		
მოსწავლეთა რაოდენობა	მოსწონს წერა	არ მოსწონს წერა
1	დიახ, რადგანაც ასე მე გამოვხატავ ჩემს აზრებს	
2	დიახ, რადგანაც უბრალოდ მიყვარს წერა	
3	წერა დიდად არ მიყვარს. და თუ მომწონს იმიტომ, რომ ასე მე ჩემს გრძნობებს გადამოვცემ	
4		არა, რადგანაც წერა საერთოდ არ მიყვარს
5	დიახ	
6	ზოგჯერ, როდესაც მოწყენილი ვარ მაშინ კწერ ხოლმე	
7	დიახ, რადგაც წერა გამოხატვის საშუალებას იძლევა	
8		არა, რადგანაც სკოლაში ბევრის წერა გვიჩდება დავიღალე ამდენი წერით და ახალ-ახალი თემების მოფიქრებით. ადრე თუ გვიან, ადამიანს გამოელევა თემა, თუ რაზე შეუძლია დაწეროს
9	დიახ, რადგანაც ასე მე გამოვხატავ ჩემს აზრებს	
10	დიახ, რადგანაც ის ჩემს გრძნობებს გამოხატავს	
11	დიახ, რადგანაც ჩემს შესახებ შემიძლია წერა	

ამასთან ერთად, პედაგოგმა დამატებით გამოიყენა მსგავსი ფორმატი, რათა წარმოეჩინა ბავშვების პასუხები შემდეგ კითხვაზე: როგორ მიგაჩნიათ, გაუმჯობესდა თუ არა თქვენი წერის უნარ-ჩვევები ამ წლის განმავლობაში? როგორ? რა ისწავლეთ ახალი? (იხ. ცხრილი გ – 2)


## ცხრილი გ- 2 შეფასების შემდგომი კითხვარი

კითხვა №3: როგორ მიგაჩნიათ, გაუმჯობესდა თუ არა თქვენი წერის უნარ-ჩვევები ამ წლის განმავლობაში? როგორ? რა ისწავლეთ ახალი?		
მოსწავლეთა რაოდენობა	წერის უნარ-ჩვევები გაუმჯობესდა	წერის უნარ-ჩვევები არ გაუმჯობესდა
1	ვისწავლე, რომ უკეთესია თავისუფალი თემების/თხზულებების წერა, რადგან უფრო მეტად შემძლია საკუთარი იდეები და აზრები გადმოვცე	
2	დიას, უკეთესად ვისწავლე წერა	
3	ვფიქრობ ჩემი წერის უნარ-ჩვევები ოდნავ გაუმჯობესდა	
4	დიას, რადგან სკოლაში ყოველდღიურად ახალ-ახალ რამეს ესწავლობ. სიტყვების წერისას ნაკლებ შეცდომებს ვუშევებ	
5	დიას, რადგანაც იმ თემაზე ვწერდი, რაზეც მსურდა	
6	დიას, რადგან უფრო დიდი მოცულობის ნაშრომები გამომდის	
7	დიას, რადგან ნაკლები შეცდომები მაქვს სიტყვების წერის დროს	
8	დიას, რადგან ნაკლები შეცდომები მაქვს მძიმეების დასმაც და სიტყვების წერაში	
9	როდესაც ჩემს თავზე ან ვინმე სხვაზე ვწერ, გაცილებით მეტს ესწავლობ. მეტად ხდება ჩემი შინაგანი სამყაროს გამოხატვა	

პედაგოგის მხრიდან მონაცემების ვიზუალიზაცია საშუალებას აძლევს მას მოსწავლეთა მხრიდან მიიღოს მოკლე და, ამავდროულად მაქსიმალურად ინფორმაციული და ტევადი პასუხები. კიდევ ერთი, პედაგოგი ამ გზით, მოსწავლეების პასუხებიდან ახალი ინფორმაციას იღებს. მაგალითისათვის, ყველა მოსწავლის აზრით, მათი წერის უნარ-ჩვევები გაუმჯობესდა სემინარებში მონაწილეობის შემდგომ - მაგრამ, გრაფიკების (მოსწავლეთა საერთო მოსწრების ქულების) თანახმად, სულ მცირე, ორი მოსწავლის შედეგები არ გაუმჯობესდა (კატეგორიების მიხედვით შეფასების თანახმად).


## მაგალითი №2: მათემატიკის სწავლება მანიპულატორების გამოყენებით

შემდეგი მაგალითი აღებულია მეორე კლასის პედაგოგის კვლევიდან, რომელიც სწავლობდა მათემატიკური მანიპულატორების გავლენას სწავლის და საგრაფიშოების კეთების დროს მოსწავლეების ქცევაზე. აღნიშნული კვლევა შეიცავდა დამატებით ხუთი (საერთო ჯამში ექვსი) პედაგოგის შეტედულებას, თუ რა გავლენას ახდენს მათემატიკური მანიპულატორები სავარჯიშოების კეთების დროს მოსწავლეების ქცევაზე.




გრაფიკი გ- 3. მასწავლებელთა კითხვარის შედეგები: მათემატიკის

გრაფიკი გ- 3 წარმოაჩენს ექვსი პედაგოგის შეხედულებას მათემატიკური მანიპულატორების გავლენის შესახებ სწავლის და საგარჯიშოების კეთების დონის მოსწავლეთა ქცევაზე. საინტერესოა, რომ II<sup>4</sup> კლასის პედაგოგის დაკვირვებით, როდესაც მოსწავლეთა სწავლის დონე არ შეცვლილა, საგარჯიშოების კეთების ხარისხმა დაიკლო. აღნიშნული ანომალია კარგად ჩანს ამ გრაფიკზე. შენიშვნა: შეფასების სკალა 1-5. 1=შემცირდა, 2= არანაირი ცვლილება, 3 = გაიზარდა




გრაფიკი გ- 4. 'მათემატიკის საოცრებათა' სერიის გაპვეთილის ფორმატი – საგარჯიშოების კეთების დონის მოსწავლეების ქცევა შენიშვნა: შეფასების სკალა 1-5. 1=ძრანწილების დაბალი დონე, 2= საშუალო აქტივობა, 3 = აქტიური მონაწილეობა

შემდეგი სკოლიანი გრაფიკები წარმოაჩენს მეორე კლასის ექვსი მოსწავლის მონაცემებს „მათემატიკის საოცრებათა“ სერიის გაკვეთილებზე სავარჯიშოების კეთების დროს ქცევის შესახებ (გრაფიკი გ- 4), სტრატეგია/პროცესს (გრაფიკი გ- 5) და დასრულებას/სიზუსტეს, რომლის სწავლებაც მიმდინარეობდა მანიპულატორების გამოყენებით და მის გარეშე.



გრაფიკი გ- 5. „მათემატიკის საოცრებათა“ სერიის გაკვეთილის ფორმატი – სტრატეგია/პროცესი შენიშვნა: შეფასების სკალა 1-5. 1=შეფასებამო სტრატეგია, 2= სტრატეგია/პროცესი შედგა, 3 = სტრატეგია/პროცესი დასრულდა



გრაფიკი გ- 6. `მათემატიკის საოცრებათა“ სერიის გაკვეთილის დასასრული/სიზუსტე შენიშვნა: შეფასების სკალა 1-5. 1=შედეგის არმქონე, 2= არასრული/არაზუსტი, 3 = ზუსტი და პრობლემების შესატევისი

### **მაგალითი №3: წიგნის გაზიარების/სელმისაშვდომობის ზეგავლენა მოსწავლის კითხვის მოტივაციაზე**

ეს მაგალითი აღიტულია პირველი კლასის პედაგოგის ნაშრომიდან, რომელიც შეისწავლიდა წიგნის გაზიარების ზეგავლენას მოსწავლის კითხვის მოტივაციაზე. ამ პედაგოგმა მკვლევარმა გამოიყენა მატრიცა, რათა შეჯამებინა 15 მოსწავლის პასუხი. კითხვები დასტული იყო შეფასებამდე და შეფასების შემდეგაც, ასეთმა მეთოდმა პედაგოგს საშუალება მისცა გაეგო, იქნია თუ არა წიგნის გაზიარებამ დადებითი ან არანაირი შედეგი მოსწავლის კითხვის მოტივაციაზე (იხ. ცხრილი C - 3). პედაგოგმა მკვლევარმა გამოიყენა გამოვლენილი მონაცემები (სვეტების ცხრილები გვიჩვენებს მოსწავლის კითხვისადმი დამზუდებულების დადებით ცვლილებას), რათა განემტკიცებინა მოსაზრება, რომ უფრო მეტ მოსწავლეს მოსწონდა უკვე კითხვა თავისუფალ დროს, ვიდრე განხორციელებული ცვლილებების პროგრამებამდე.

### **მაგალითი №4: პედაგოგის კლასში მოძრაობის/ადგილმდებარეობის რუკა**


ზოგჯერ პედაგოგ მკვლევრებს სჭირდებათ საკლასო ოთახში თავიანთი მოძრაობისათვის/ადგილმდებარეობისათვის თვალის დებება, რათა გაიგონ, თუ რომელი მოსწავლე ან მოსწავლის ჯგუფი უფრო მეტად საჭიროებს პედაგოგის დახმარებას. გაკვეთილის დროს, მოსწავლის და პედაგოგის ურთიერთქმედების მონაცემების ვიზუალური ასახვით მარტივდება ამ სახის მონაცემების შეგროვება. ამ კონკრეტულ მაგალითში, პედაგოგ მკვლევარს თავისი კოლეგის დახმარებით შეუძლია ასახოს პედაგოგის და მოსწავლის ურთიერთქმედების სისტემა (იხ. გრაფა C - 7). შედეგად, კოლეგა-პედაგოგს შეუძლია თვალი ადეკვნოს საკლასო ოთახში პედაგოგის გადაადგილებას (ხაზები დაკავშირებული რიცხვებთან). მიღებული მონაცემების ვიზუალური ასახვიდან, ამ კონკრეტული სასწავლო ეპიზოდისათვის, პედაგოგ მკვლევარს შეუძლია დაასკენოს, რომ მისი ენერგია და უძრულესი დრო ფოკუსირებული იყო მოსწავლეების იმ ჯგუფზე, რომლებიც საკლასო ოთახის ბოლოში ისხდნენ. ამ სახის მონაცემების საფუძველზე, პედაგოგს შეუძლია განიხილოს შემდეგნაირი კითხვები: „რატომ?“ „რა ხდებოდა ისეთი, რამაც გამოიწვია დანარჩენი მოსწავლეების უყურადღებოდ დატოვება?“ კვლავ, ამგვარი მონაცემების ვიზუალური ასახვა წარმოადგენს მნიშვნელოვან და საჭირო მეთოდს, რომლის გარეშეც პედაგოგი ვერ მიიღებს საჭირო მონაცემებს.

### **მაგალითი №5: კონცეფუალური რუკა**


მექქსე თავში (მონაცემთა ანალიზი და განმარტება) თქვენ ნახავთ მონაცემთა ვიზუალური წარმოდგენის სხვა მეთოდებს, რომელებიც დაგეხმარებათ და გაგიმარტივეთ მონაცემთა ანალიზის და განმარტების პროცესს (კონცეფუალური რუკა). ამ მაგალითში მე გამოვიყენ რუკა, რათა საზი გამესვა იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს გაცდენებზე ისტყოუსის სკოლაში. კვლავ, მონაცემების ამგვარი მეთოდით ჩვენებით, პედაგოგ მკვლევრებს და მკითხველებს შესაძლებლობა ეძლევათ ნახონ ყველა ის ფაქტორი, რომლებიც ისტყოუსის სკოლაში გავლენას ახდენს გაცდენებზე (იხ. გრაფა გ - 8).

### ცხრილი გ-3 მსაწავლებლა პასუხების შედარება

მსაწავლებები	მოგწონთ კოთხვა?	გიყვართ რომ გიყითხავენ?	კულტურული კოსტუ- ლონი?	ბიბლიოთეკაში თუ გიყვართ ინარული?	სკოლაში თავისუ- ფალ ღრძნის თუ გიყვართ კოთხვა?	კითხვას ამჯობინ- ებით თავისუფალის მიერადა?
1	დიას	უკეთებ	მძე	უკეთებ	მძე	უკეთებ
2	დიას	ზოგჯერ	დიას	ზოგჯერ	დიას	ზოგჯერ
3	ზოგჯერ	ზოგჯერ	დიას	არა	არა	არა
4	ზოგჯერ	დიას	ზოგჯერ	დიას	არა	ზოგჯერ
5	ზოგჯერ	ზოგჯერ	დიას	ზოგჯერ	არა	ზოგჯერ
6	დიას	ზოგჯერ	დიას	ზოგჯერ	დიას	დიას
7	ზოგჯერ	ზოგჯერ	ზოგჯერ	არა	ზოგჯერ	ზოგჯერ
8	ზოგჯერ	არა	დიას	არა	არა	არა
9	დიას	ზოგჯერ	არა	არა	დიას	დიას
10	დიას	დიას	ზოგჯერ	დიას	დიას	დიას
11	ზოგჯერ	დიას	დიას	არა	ზოგჯერ	დიას
12	დიას	დიას	დიას	არა	ზოგჯერ	ზოგჯერ
13	ზოგჯერ	ზოგჯერ	დიას	დიას	არა	არა
14	დიას	ზოგჯერ	ზოგჯერ	დიას	დიას	ზოგჯერ
15	დიას	დიას	დიას	ზოგჯერ	დიას	ზოგჯერ



გრაფიკი გ-7. მაცწავლებლის მოძრაობა/ადგილმდებარეობის კონტროლი



გრაფიკი გ-8. აპსცენტიზმზე გავლენის მქონე ფაქტორები. ისტორიუსის კონცეფცია

## დასკვნა

ამ დანართში ნაჩენები მაგალითები გადმოტანილია სკოლამდელი პედაგოგის მოქმედების კვლევის პროექტებიდან. ამ მაგალითების მეშვეობით, ნათლად ჩანს თუ როგორ შეუძლია მონაცემების ვიზუალურ წარმოდგენას პედაგოგი მკვლევრის მონაცემთა შეგროვების, მონაცემთა ანალიზის და მათი შემდგომი გაზიარების გამარტივება. თუმცა მონაცემთა ანალიზის გასამარტივებლად გამოსაყენებელი

მონაცემთა წარმოდგენის მეთოდების შესარჩევად, მე გირჩევთ, გადახედოთ მაილზს და პუბერმანს (1994), რომლებიც სთავაზობენ მონაცემთა წარმოდგენის ისეთ მეთოდებს როგორიცაა: კონტექსტური ცხრილი, საკონტროლო ჩამონათვალი; საკვანძო მოვლენათა ცხრილი; დროზე დაფუძნებული წარმოდგენის მეთოდი; ნახევრად სტრუქტურიზებული მეტა-მატრიცა და სხვა.

ცხადია, რომ მონაცემთა წარმოდგენის იმდენი მეთოდი შეიძლება არსებობდეს, რამდენი პედაგოგი მკვლევარიცაა. მონაცემთა წარმოდგენის როგორი მეთოდიც უნდა გამოვიყენოთ, ჩვენი მთავარი მიზანია ხარისხობრივი კვლევის შედეგად მიღებული დიდი მოცულობის მონაცემების მაქსიმალურად ეფექტურად და ეფექტურად წარმოდგენა.

# წყაროები

ადელმანი ც. (1993 წ.) კურტ ლევნი და  
მოქმედების კვლევის საფუძვლები.  
საგანმანათლებლო სამოქმედო მუკლევარი,  
1(1), 7-25.

მ. პ. აგარი (1980). უცხოელი პრობესიონალი:  
ეთნოგრაფიის არაფორმალური შესავალი.  
ორლანდო; ფლორიდა: აკადემიკური.

ამერიკის ფსიქოლოგის ასოციაცია (2003).  
ამერიკის ფსიქოლოგის ასოციაციის  
პუბლიკისტური სახელმძღვანელო (მეცნიერება). ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი:  
ავტორი.

ჯ. ლ. ანდერსონი, კ. ჰერრი და ა. ს. ნიპლენი,  
(1994) საქუთარი სკოლის შესწავლა:  
პედაგოგის მექ ზური ხარისხობრივი  
პრაქტიკოსი კვლევისადმი. ათასი მუხა,  
კალიფორნია: კორვინი.

პ. ს. ბექერი (1986). წიგნი სოციალური  
მეცნიერებისათვის: როგორ დაგეწყოთ  
და დავამთავროთ თეზისი, წიგნი ან  
სტატია. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის  
გამომცემლობა.

ი. ფ. კალპუნი (1994). როგორ გამოვიყენოთ  
მოქმედების კვლევა თვითგანახლებად  
სკოლაში. ალექსანდრია, ვირჯინია.  
ზედამხედველობისა და სასწავლო  
პროგრამის განვითარების ასოციაცია.

ს. ჯ. ქრისტიანი (2000). ეთიკა და პოლიტიკა  
სარისხობრივ კვლევაში. ნ. კ. დერზინი  
და იუ. ს. ლინკოლნი (გამომცემლები),

ხარისხობრივი კვლევის სახელმძღვანელო  
(მეორე გამოცემა, გვ. 133-155). ათასი  
მუხა, კალიფორნია, სეიჯი.

- მ. კოხრან-სმიტი და ს. ლ. ლითლი (1993).  
შიგნით გარეთ: პედაგოგი მკვლევარი  
და მეცნიერება. ნიუ-იორკი: პედაგოგთა  
კოლეჯის გამომცემლობა.
- კონლეი, ს. (1991). პედაგოგთა მონაწილეობა  
სკოლის გადაწყვეტილების მიღების  
პროცესის შესახებ, კვლევის განხილვა.  
განათლებაში კვლევის მიმოხილვა, 17, 225  
– 226.
- ჯ. უ. კრესველი (2002). საგანმანათლებლო  
კვლევა: დაგეგმვა, განხორციელება და  
ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის  
შეფასება. ზედა სედდლის მდინარე, ნიუ-  
ჯერსი: მერილლ/პრენტის პალლი.
- ჯ. უ. კრესველი (2005) საგანმანათლებლო  
კვლევა: დაგეგმვა, განხორციელება და  
ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის  
შეფასება (მეორე გამოცემა). ზემო  
სედდლის მდინარე, ნიუ-ჯერსი: მერილლ/  
პრენტის პალლი.
- ლ. ჯ. კრონბახი და პ. ი. მიპლი (1955).  
სინამდვილის/საფუძვლიანობის აგება  
ფსიქოლოგიურ ტესტში. ფსიქოლოგიური  
გიულეტინი, 52(4), 281 – 302.
- პ. განინგემი (1983). მონაცემთა შეგროვება  
ცვალებად ორგანიზაციაში. ადამიანური  
ურთიერთობები, 36(5), 403 – 420.

- ტ. დილი (1987). სკოლების კულტურა. ლ. თ. შივი და მ. ბ. სკონცენტი. ხელმძღვანელობა: რთულად მოსახლეობების შესწავლა (გვ. 3 – 15). აღექსანდრია, ვირჯინია: ზედამხედველობისა და სასწავლო პროგრამის განვითარების ასოციაცია.
- ი. უ. ეიზნერი (1991). გამრწყინებული ოფალი: ხარისხობრივი გამოკვლევა დასაგანმანათლებლო პრაქტიკის გაუწვევებება. ნიუ იორკი: მაკმილანი.
- ჯ. ელიოტი (1991). მოქმედების კვლევა საგანმანათლებლო ცვლილებისათვის. ბრისტოლი, პენსილვანია: ღია უნივერსიტეტი.
- დ. ჯ. ფლინდერსი (1992). ეთიკური ხელმძღვანელობის ძიება: დიალოგის საფუძვლების მშენებლობა. განათლებაში ხარისხობრივი გამოკვლევა, 5(2), 101 – 115.
- ვ. ფუეიო და მ. ა. კუურლანდი (1997). პედაგოგი როგორც მკვლევარი: პროფესიონალიზმის სინონიმი. პედაგოგთა საგანმანათლებლო ჟურნალი, 48(5), 336-344.
- მ. ფულენი (1993). ცვლილების ძალები: საგანმანათლებლო რეფორმის საფუძვლების შეცნობა. ნიუ-იორკი. ფალმერი.
- მ. ფულენი (1997). ემოცია და იმედი. კონსტრუქციული კონცეციების შემუშავება რთულ დროს. ა. პარგრივზი, საგანმანათლებლო ცვლილების გულით და გონებით ხელახალი გააზრება (გვ. 216-233). აღექსანდრია, ვირჯინია: ზედამხედველობისა და სასწავლო პროგრამის განვითარების ასოციაცია.
- ლ. რ. გეი, ჯ. ი მილზი და პ. ეირაზიანი (2006). საგანმანათლებლო კვლევა: ანალიზის გაკეთების და გამოყენების უნარი (მერვე გამოცემა). ზედა სედლის მდინარე, ნიუ-ჯერსი: მერილ/პრენტის ჰალლი.
- უ. ლ. გრიინი (2002). ეთნიკური თავისებურება და სოციო-კულტურული გარემო: პავაიზე ეთნიკურად განსხვავებული მოზარდების მიერ გაკეთებული არჩევნები. დ. მაკინრეი და ს. ვან ეთენნი. კვლევა „სოციო-კულტურული გავლენა მოტივაციასა და სწავლებაზე“ (მეორე ტომი, გვ. 23 – 56). გრინვიჩი, კონექტიკუტი: ჟურნალი „საინფორმაციო ერა“.
- დ. ჯ. გრიინული და ლევინი, მ. (2000). მოქმედების კვლევის მეშვეობით უნივერსიტეტებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის დამყარება.
- ნ. კ. დეზინი და ი. ს. ლინკოლნი. ხარისხობრივი კვლევის ნაშრომი (მეორე გამოცემა, გვ. 85-106). ათასი მუხა, კალიფორნია: სეიჭი.
- ი. ჯ. გუბა (1981). სამედიც ნატურალისტური კვლევების შესაფასებელი კრიტერიუმები. საგანმანათლებლო კომუნიკაცია და ტექნილოგია, 29(2), 75 – 91.
- ჯ. გუნზი (1996). ჯეიკობ ლ. მორენო და მოქმედების კვლევის საფუძვლები. საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა, 4(1), 145-148
- პამერსლი, მ. (1993). პედაგოგი როგორც მკვლევარი. საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა, 1(3), 425 – 441.
- ქ. ჰენდრიქსი (2006). მოქმედების კვლევის განხორციელებით სკოლის გაუმჯობესება: ბოსტონი, მასაჩუსეტსი: ალნ და ბეიკონი.
- პოლმსის ჯგუფი (1986). მომავალი საგანმანათლებლო სკოლები. აღმოსავლეთ მიჩიგანი: ავტორი.

- ს. პორდი, უ. ლ. რუტერფორდი, ლ. ჰალინგ-ოსტინი და ჯ. ი. ჰალლი (1987). ცვლილებაზე პასუხისმგებლობის აღება. ალექსანდრია, ვირჯინია: ზედამხედველობისა და სასწავლო პროგრამის განვითარების ასოციაცია.
- დ. იმიგი (2001). სკოლის კითხვებთან დაბრუნება. პედაგოგთა განათლების ამერიკული კოლეჯების ასოციაცია. (AACTE).
- ბრიგზი 22(9). გაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: პედაგოგთა განათლების ამერიკული კოლეჯების ასოციაცია. (AACTE).
- პ. ჯექსონ (1968). ცხოვრება საკლასო ოთახებში. ნიუ-იორკი: პოლტი, რინერპარტი და უინსტონი.
- ჯ. ჰ. ჯოუნს (1998). ტუსკეგის სიფილისის ექსპერიმენტი (The Tuskegee Syphilis experiment) ნიუ- იორკი: თავისუფალი პრესა.
- ბ. რ. ჯოისი, რ. ჰ. ჰერში და მ. მაკეიბენი (1983). სკოლის გაუმჯობესების სტრუქტურა. ნიუ-იორკი: ლონგბანი.
- ს. კემისი (1982). მოქმედების კვლევის რეტროსპექტივა და პერსპექტივა. ს. კემისი და რ. მაკტაგარტი. მოქმედების კვლევის მკითხველი. გილონგი, ვიქტორია, ავსტრალია: დიკინის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ს. კემისი და რ. მაკტაგარტი (1988). მოქმედების კვლევის მკითხველი (მესამე გამოცემა). გილონგი, ვიქტორია, ავსტრალია: დიკინის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მ. მ. კენედი (1997). კავშირი კვლევასა და პრაქტიკის შორის. საგანმანათლებლო მკვლევარი. 26(7) 4 – 12.
- ჯ. კინჩელი (1991). პედაგოგები როგორც მკვლევრები. ხარისხობრივი კვლევა
- დამატებითი ცოდნის მისაღებად.  
ფილადელფია: ფალმერი.
- კ. ლევინი (1992). ჯგუფური გადაწყვეტილება და სოციალური ცვლილება. ჯ.ი. სეანსონი, ტ.მ. ნიუკომბი და ი.ლ. ჰარლე, ნაშრომები სოციალურ ფსიქოლოგიაში. ნიუ-იორკი: პოლტი.
- დ. ს. ლორტი (1975). სკოლის პედაგოგი. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ს. ლიტლი (1997). მოქმედების კვლევის ძირითადი გზავნილი. ქალაქი კანზასი, მისური. ცოდნის გაზიარება.
- ჯ. ა. მაქსველი (1992). გაგებისა და საფუძვლიანობის პრინციპი ხარისხობრივ კვლევაში. ჰარგარდის საგანმანათლებლო მიმოხილვა, 62(3), 279 – 300.
- ჯ. ჰ. მაკმილამი (1996). საგანმანათლებლო კვლევა: საფუძვლები მომხმარებლისათვის (მეორე გამოცემა). ნიუ იორკი ჰარპერ კოლინზი.
- გ. ბ. მაილზი და ა. მ. ჰუბერმანი (1994). ხარისხობრივი მონაცემთა ანალიზი: ცნობათა წიგნი (მეორე გამოცემა). ათასი მუხა, კალიფორნია: სეიჭა.
- ს. მილგრამი (1964). ჯგუფური ზემოქმედება და პიროვნების წინააღმდეგ მოქმედება. პათოლოგიური და სოციალური ფსიქოლოგიის უურნალი. 69, 137 – 143.
- ლ. მილერი და ა. ლიბერმანი (1988). სკოლების გაუმჯობესება ამერიკის შეერთებულ შტატებში: ნიუანსები და რიცხვები. განათლების სფეროში ხარისხობრივი კვლევების საერთაშორისო უურნალი. 1(1), 3 – 19.
- გ. ი. მილზი (1985). ბავშვები გარდამავალ პერიოდში. გამოუქვეყნებელი სამაგისტრო თეზისი (M.Ed.). ბერთო, ავსტრალია: დასავლეთ ავსტრალიის ტექნიკური

ინსტიტუტი.

- გ. ი. მილზი (1988). მრავალრიცხოვანი საგანმანათლებლო ცვლილების მართვა. კონკრეტული შემთხვევის განხილვა და ანალიზი. გამოუქვეყნებელი სადოქტორო სიდერტაცია.
- ეუჯინი, ორეგონი: ორეგონის უნივერსიტეტი.
- გ. ი. მილზი (1993). აბსტრაქციის დონეები საგანმანათლებლო ცვლილების მაგალითის შესწავლაში. დ.ჯ. ფლინდერსი და გ.ი, მილზი. ხარისხობრივი კვლევის თეორია და კონცეფციები. დარგის პერსექტივები. ნიუ-იორქი: პედაგოგთა კოლეჯის გამომცემლობა.
- მათემატიკის პედაგოგთა ეროვნული საბჭო (1991). მათემატიკის სწავლების პროფესიული სტანდარტები. რესტონი, ვირჯინია: მათემატიკის პედაგოგთა ეროვნული საბჭო.
- ს. ნოფკე (1994) მოქმედების კვლევა: შემდეგი თაობისაკენ. საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა, 2(1), 9 – 18.
- კ. ფ. ოსტერმანი და რ. ბ. კოტკამპი (1993). პროფესიული პრაქტიკა პედაგოგებისათვის: პროფესიონალური განვითარებით სახწავლო პროცესის გაუმჯობესება. ნიურბჟირის პარკი, კალიფორნია: კორვინი.
- მ. ქ. პატონი (1990). ხარისხობრივი შეფასება და კვლევის მეთოდები (მეორე გამოცემა). ნიურბჟირის პარკი, კალიფორნია: საიჭი.
- პ. ჯ. პელტო და ჯ. გ. პელტო (1978). ანთროპოლოგიური კვლევა: კვლევის სტრუქტურა. კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- რ. საგორი (1992). როგორ ჩავატაროთ ერთობლივი მოქმედების კვლევა. ალექსანდრია, ვირჯინია: ზედამხედველობისა და სასწავლო პროგრამის განვითარების ასოციაცია.
- რ. საგორი (2000). მოქმედების კვლევის საფუძველზე სკოლის მთლიანი გარემოს გაუმჯობესება. ალექსანდრია, ვირჯინია: ზედამხედველობისა და სასწავლო პროგრამის განვითარების ასოციაცია.
- ს. ბ. სარასონი (1990). საგანმანათლებლო რეფორმის მოსალოდნელი წარუმატებლობა: შეგვიძლია თუ არა პროცესების დარღულად შეცვლა. სან-ფრანცისკო: ჯოზი-ბასი.
- ლ. მ. სმიტი (1990). ეთიკა ხარისხობრივ კვლევაში: ი. უ. ეიზნერის და ა. პ. პეშინის განათლების დარღმი ხარისხობრივი კვლევა: დაუსრულებელი დებატები (გვ. 258 - 276). ნიუ-იორქი: პედაგოგთა კოლეჯის გამომცემლობა.
- ჯ. სოლტისი (1990). ეთიკა ი. უ. ეიზნერის და ა. პ. პეშინის ნაშრომში – განათლების დარღმი ხარისხობრივი კვლევა: დაუსრულებელი დებატები (გვ. 247 - 257). ნიუ-იორქი: პედაგოგთა კოლეჯის გამომცემლობა.
- ჯ. სპარდლი (1980). დამკვირვებლის შეფასებები. ნიუ იორქი: ჰილტონ, რაინბარტი და უინსტონი.
- ი. ტ. სტრინგერი (1993). საზოგადოებრივი ინტერესებზე მორგებული საგანმანათლებლო კვლევა: დაკავშირების თეორია და პრაქტიკა დ. ფლინდერსის და ჯ. ი. მილსის ნაშრომში, ხარისხობრივი კვლევის თეორია და კონცეფციები: დარგის პერსექტივები (გვ. 141-162). ნიუ-იორქი: პედაგოგთა კოლეჯის გამომცემლობა.
- ი. ტ. სტრინგერი (1996). მოქმედების კვლევა: სახელმძღვანელო მონაწილეთათვის. ათასი მუხა, კალიფორნია: სეიჭი.
- ი. ტ. სტრინგერი (2004). მოქმედების კვლევა განათლების დარღმი. ზემო სედლის მდინარე, ნიუ ჯერსი: მერილი/პრენტის

- ღ. ტიკლი (1993). განათლების დარგში მოქმედების კვლევის ხარისხის შემოწმება. სისტემატური შემოწმებების შიში? საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა, 3 (2), გვ. 233-236.
- ამერიკის ეროვნული კვლევითი ცენტრი (1996). მათემატიკის და მეცნიერების დარგის მესამე საკრითაშორისო განხილვა. მოსხეული N7. ვაშინგტონი, კოლუმბის ოლქი: ავტორი.
- ჯ. ა. ვან დე ვალე (2003). დაწყებითი კლასის მათემატიკა: ექსპერიმენტული სწავლების მეთოდი. ნიუ-იორკი: ლონგმანი.
- ი. ლ. ვაკელი და ჯ. უ. აშერი (1996). საგანმანათლებლო კვლევა. ზემო სედლის მდინარე, ნიუ-ჰერსი: მერილი/პრენტის პოლლი.
- გ. უელსი. (1994). სკოლების შეგნიდან შეცვლა: საზოგადოებრივი გამოკვლევის გაყენება. პორტმოული, ნიუ ჰემფსირი: ჰაინენანი.
- რ. ს. უიტი (1985). სტატისტიკა. ნიუ-იორკი: პოლტი, რაინჰარტი და უინსტონი.
- ჰ. ფ. უოლკორტი (1982). ადგილზე ჩატარებული კვლევის სხვადასხვა მეთოდი „რა არის ის თუ არა ეთნოგრაფია?“ ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერების მიმოხილვის უურნალი, 7, 154 – 169.
- ჰ. ფ. უოლკორტი (1988). ეთნოგრაფიული კვლევა განათლებაში. გამომცემებული ჯაგერ რ. მ, განათლების სფეროში კვლევების დამატებითი მეთოდები (გვ. 187-210). ვაშინგტონი, კოლუმბის ოლქი: ამერიკის საგანმანათლებლო

საგანმანათლებლო კვლევითი ასოციაცია.

- ჰ. ფ. უოლკორტი (1989). კუაკიუთლის სოფელი და სკოლა. პროსპექტ ჰეითსი, ილინოისი: უევლენდის გამომცემლობა.
- ჰ. ფ. უოლკორტი (1990). ხარისხობრივ კვლევასი ვალიდურობის მინიჭება/არმინიჭება. ი. უ. ერზნერის და ა. პ. პეშინის ნაშრომში – განათლების დარგში ხარისხობრივი კვლევა: დაუსრულებელი დებატები (გვ. 121-152). ნიუ-იორკი: ბედაგოგთა კოლეჯის გამომცემლობა.
- ჰ. ფ. უოლკორტი (1992). დამოკიდებულება ხარისხობრივ კვლევაში. მ. ლეკინბატის, უ. ლ. მილროის და ჯ. პრესლის ნაშრომში – განათლების დარგში ხარისხობრივი კვლევის სახელმძღვანელო (გვ. 3-52). სან- დიეგო: აკადემიის.
- ჰ. ფ. უოლკორტი (1994). ხარისხობრივი მონაცემების ტრანსფორმირება: აღწერა, ანალიზი და ინტერპრეტაცია. ათასი მუხა, კალიფორნია: საიჯი.
- ჰ. ფ. უოლკორტი (1997). ეთნოგრაფიული კვლევა კვლევის დარგში. რ. მ. ჯაგერის ნაშრომში განათლების სფეროში კვლევების დამატებითი მეთოდები (მეორე გამოცემა, გვ. 325 - 398). ვაშინგტონი, კოლუმბის ოლქი: ამერიკის საგანმანათლებლო კვლევითი ასოციაცია.
- ჰ. ფ. უოლკორტი (2001). ხარისხობრივი კვლევის წერა (მეორე გამოცემა). ათასი მუხა, კალიფორნია: სეიჯი.

# ავტორის ინდექსი

- პ. აბიტი, 82  
ც. ადელმანი, 5, 142  
მ. პ. აგარი, 62, 72, 169, 172  
პ. ეირაზიანი, 3, 55, 75, 76, 95, 107, 113, 223, 225  
გ. ლ. ანდერსონი, 56, 69, 90-92, 98, 103  
ენისი, კლემი, 101-103, 137  
არმსტრონგი, ნილი, 203  
ჯ. უ. აშერი, 96-97
- პ. ს. ბეკერი, 137  
მ. ბელი, 81, 81  
ც. გ. კრისტიანი, 107  
მ. კოხრან-სმიტი, 70  
ს. კონლეი, 156  
ჯ. უ. კურსველი, 17, 26, 55, 66, 107, 133, 134, 205  
ლ. ჯ. კონბახი, 84  
ჯ. ბ. კანიგპემი, 91  
კურტის-გრამლი, მერი, 189-191
- მ. დოგერტი, 169, 172  
თ. დილი, 207  
დივი, ჯონი, 6
- ბ. ედელმანი, 82  
ი. უ. ეიზნერი, 107, 113  
ჯ. ელიოტი, 6, 25, 26, 28, 44, 48, 149-150, 153, 154
- ფაგელი, ლურენი, 117-120  
დ. ფლინდერსი, 107, 109, 112, 113  
კ. ფუეიო, 10  
მ. ფულენი, 155, 1556, 157, 158, 159  
ბ. ლ. ფუნკე, 169, 172
- ლ. რ. გეი, 3, 55, 75, 76, 95, 107, 113, 223,
- გორლესკი, ჯონი, 117-120  
უ. გრინი, 133- 135  
დ. ჯ. გრინვუდი, 85  
ი.ჯ. გუბა, 85-87, 98  
ჯ. გუნზი, 5
- ჯ. ი. ჰოლლი, 156  
მ. ჰამერსლი, 7  
ლ. ჰანსენი, 180  
ლ. ჰარასიმი, 169, 172  
ც. ჰენდრიქსი, 17, 18, 56, 121  
რ. პ. ჰერში, 15  
ჰოლმსის ჯგუფი, 212  
ს. ჰორდი, 156  
ა. მ ჰუბერმანი, 231, 239-240  
ჰიუ, იანი, 204, 205  
ლ. ჰოლინ-ოსტინი, 156
- დ. იმიგი, 3-4  
ა. ისააკი, 81, 82
- პ. ჯექსონი, 12  
ჯ. პ. ჯონსი, 104  
ს. ც. ჯონსი, 81  
ბ. რ. ჯონსი, 15
- კემისი, სტეფენი, 5, 6, 15, 16, 16, 29, 44, 47, 48
- მ. მ. კენედი, 7, 11, 12, 13, 162, 178, 198  
ჯ. კინჩოლი, 85  
გ. ა. კურლენდი, 10  
რ. ბ. კოტკამპი, 10
- ლამოტი, 175  
დ. ლევინი, 168-169, 172  
გ. ლევინი, 85

- ლეგინი, კურტი, 5, 15, 121, 142  
 ა. ლიბერმანი, 155, 156  
 დ. ც. ლორტი, 12  
 ს. ლიტლი, 2, 70
- მალინოვსკი, 137  
 მარლენდი, ალისონი, 81-83  
 ჯ. ა. მაქსველი, 87-90, 98  
 მ. მაკეიბენი, 15  
 ჯ. ჰ. მაკმილანი, 58  
 რ. მაკტაგარტი, 26, 29, 44, 47, 48  
 ფ. ი. მიჭლი, 84  
 ს. მიგრამი, 104  
 მ. ბ. მაილზი, 231, 239-240  
 ლ. მილერი, 155, 156  
 გ. ი. მილზი, 3, 43, 55, 60, 75, 76, 84, 95, 104,  
     113, 125, 137, 167, 168, 172, 180, 223,  
     225, 226  
 მითჩელი, კეთი, 23-24, 57, 62, 135, 157, 158  
 ა. ს. ნიპლენი, 56, 90-92, 96, 98, 121  
 ს. ნოფკე, 5, 6  
 კ. ფ. ოსტერმანი, 10  
 მ. ქ. პატონ, 65  
 გ. ჰ. პელტო, 56, 58, 76, 84, 230  
 ჟ. ჯ. პელტო, 56, 58, 76, 84, 230
- რესტონი, ჯეკი, 91, 130, 131, 141-142, 143, 149,  
     152, 156, 157  
 როკფორდი, ჯეიმსი, 51-55, 56, 57, 66, 71, 158  
 უ. ლ. რუტერფორდი, 156
- საგორი, რიჩარდი, 16, 26, 29, 56, 96
- ს. ბ. სარასონი, 151, 155  
 ლ. სტრუმი, 168, 172  
 სენესი, ჯოი, 117-120  
 ლ. მ. სმიტი, 107, 108  
 სმიტი, როლანდი, 216  
 ჯ. სოლტისი, 107  
 სამხრეთი, დებორა, 1-2, 19, 57, 122-123, 136,  
     153, 156, 157  
 ჯ. სპარდლი, 58  
 ლ. სტინპაუსი, 17  
 სტეუარტი, ჯონათანი, 211, 215, 216, 218, 220,  
     221, 222  
 ი. ტ. სტრინჯერი, 7, 16, 18, 56, 89, 126,  
     129, 130, 131, 135, 207-208  
 სვანისონი, პოლი, 117-120
- ლ. ტიკლი, 205, 206  
 დ. ვალენტინი, 82  
 ჯ. ა. ვან დე ვალკე, 82  
 ი. ლ. ვოკელი, 96-97
- ველსი, გორდონი, 16, 17, 56  
 უაითჰედი, ჯეი, 204  
 რ. ს. უითი, 225
- ჰ. ფ. უოლკოტი, 20, 56, 57, 60, 61, 87, 92-94,  
     95, 98, 107, 135, 136, 137, 162, 175,  
     186

# თემის ინდექსი

- სკოლის გაცდენები 91, 141-142, 142-143, 152, 156, 158, 237  
განათლება, როგორც წერის მოტივატორი 164  
სიზუსტე  
ეთიკა და 110-111  
ელექტრონული რესურსები 192-193  
სამოქმედო გეგმა 170-171, 175-176, 182, 186-187  
საკონტროლო სია 47  
მოქმედების დაგეგმვა 14, 140-160.  
აგრეთვე იხილეთ მოქმედების კვლევის გეგმა  
მაგალითის შეწავლა 141-142  
გამოწვევები 151-152  
ცვლილება და წინააღმდეგობა 152  
თანამშრომლობა 153  
საერთო ელემენტები 18-19
- განმარტება 140  
განვითარება/შემუშავება 20  
სირთულის აღიარებისგან თავის არიდება 153  
საგანმანათლებლო ცვლილება 155-159  
საკუთარი ცოდნის გასაზიარებლად ფორუმის პოვნა 154  
ბარიერები 151  
ინდივიდუალურად მუშაობა 145, 149-150  
დონეები 145, 149-150  
მოქმედების მიმდინარეობა 151, 208-209  
კითხვები 160  
კვლევის კითხვა 219  
პრაქტიკების განხილვა 151  
რესურსების ნაკლებობა 152  
სკოლის მასშტაბით 145, 150
- მოქმედების საფეხურების სქემა 143, 146-148, 218  
მოქმედების საფეხურების სქემის საკონტროლო სია 149
- დასკვნა 160  
პედაგოგის შექნელი ცოდნა 159  
გუნდი 145, 150  
დრო 154-155  
მოქმედების კვლევა 1-20. აგრეთვე იხილეთ: ელექტრონული მოქმედების კვლევა; მოქმედების კვლევის გეგმა; მოქმედების კვლევის მოხსენება  
პრიორიტეტული სფერო 23-49  
სტატია, ნიმუში 166-172  
აგრეთვე იხილით კურტისის დაწყებითი სკოლის მაგალითი.  
ზემობა 207-208, 222  
ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპები 168  
საკონტროლო სია 15  
კურსი 168  
შეფასების კრიტერიუმი 204-206, 211, 220  
კრიტიკული სამოქმედო კვლევა 6-7, 8, 20  
ყოველდღიური სწავლების პრაქტიკა 14-15  
მოქმედების კვლევის განმარტება 5  
აღწერითი სტატისტიკა 223-230  
საგანმანათლებლო ცვლილება 12-13  
საგანმანათლებლო რეფორმის დაუყოლიებლობა 13  
ელექტრონულად სწავლების ეფექტები 166-172  
გამანთავისუფლებელ (ემანსიპატორულ) სამოქმედო კვლევა 6  
ეთიკა 103-104  
შეფასება 204  
ახირება 13-14  
მიზნები და რაციონალობა 8, 10, 20, 155  
გრანტები 152, 219  
პრაქტიკაზე ზეგავლენა 10-13  
ინფორმირებული თანხომობა 104-106  
ურნალები 176-178  
აგრეთვე იხილეთ კურნალები, რეფერირებადი,

- სამოქმედო კვლევის ელექტრონული ფურ-  
 ნალები  
 გამართლება 10-13  
 მოდელები 15-17  
 მიმღინარეობა 151, 208-209  
 ელექტრონული. იხილეთ ელექტრონული რესურსე-  
 ბი  
 საფუძვლები 5-6  
 შედეგი 142  
 მიმოხილვა 2-5  
 ტენდენციურობა სამოქმედო კვლევის ჩატარებისას  
 97
- დამაჯერებლობა და მშრძანებლურობა 11-12  
 პრაქტიკული 7, 9, 20  
 პრაქტიკაში 211  
 პროცესი 5, 15-20, 19, 222  
 საფუძურები/ნაბიჯები 19, 20  
 განხილვის პროცესი 17-18  
 შესაბამისობა 12  
 ეთიკის როლი 107  
 გაზარება 188-209, 219  
 მოსწავლის მოტივაციის კვლევის მაგალითი 1-2  
 დასკვნა 18-19, 20  
 პედაგოგებისათვის კვლევის შედეგების ხელმისაწვ-  
 დომობა 12  
 გუნდური მიდგომა 120  
 სამოქმედო კვლევის წარმოშობა 6-7  
 ტრადიციული კვლევის წინააღმდეგობა 3-4  
 ვებგვერდები 154, 194-196  
 მოქმედების კვლევის დაწერა 162-187  
 მოქმედების კვლევის სტატია 166-172  
 მოქმედების კვლევის ციკლი  
 კალკულის 15, 17  
 კრესველის 17  
 ჰენდრიქსის 17  
 ლევინის 15  
 ველსის იდეალიზირებული მოდელი 16-17  
 მოქმედების კვლევის ელექტრონული მკითხველი  
 (ელექტრონული ურნალი) 154, 200  
 მოქმედების კვლევის ჯგუფი  
 გაწევრიანება 45-46  
 სამოქმედო კვლევის ურთიერთმოქმედი სპირალი  
 (სტრინგერის) 18  
 საერთაშორისო მოქმედების კვლევა (ელექტრონუ-  
 ლი ურნალი) 154, 200, 201
- მოქმედების კვლევის ლაბორატორია, პაილენდ  
 პარკის საშუალო სკოლა 117-120  
 მოქმედების კვლევის გეგმა, პრიორიტეტული სფერ-  
 ოს ფორმულირება 44  
 საკონტროლო სია 47  
 სამოქმედო კვლევის ხარისხობრივ მონაცემთა შე-  
 გროვების მეთოდის სისტემა 73  
 განხორციელება 168-169  
 ჩარევის ან ინოვაციის აღწერა 45  
 მოლაპარაკებები განხორციელებისათვის 46  
 მონახაზი სამოქმედო კვლევის ანგარიშისათვის  
 175-176
- წინასწარი მონაცემების შეგროვების მეთოდები 47  
 სრულყოფა 76-77  
 კვლევის ჯგუფის წევრობის აღწერა 45-46  
 კვლევის კითხვების შემუშავება 45  
 საჭირო მასალის ჩამონათვალის შედგენა 46-47  
 ნაბიჯები 44, 166  
 სტრუქტურა 176-178  
 მუშაობის გრაფიკი 46  
 ცვლადების განმარტება 44-45  
 მოქმედების კვლევის პროცესის ნაბიჯები, 19  
 მოქმედების კვლევის პროცესი (ჰენდრიქსის) 18  
 მოქმედების კვლევის მოხსენება  
 აუდიტორია 220  
 ზეიმობა 207-208  
 საკონტროლო სია შეფასებისათვის 206  
 ფორმატი 220  
 ხარისხის მახასიათებლები 205  
 მოქმედების კვლევის სისტორის შეფასების კრიტე-  
 რიუმები 85-91  
 მოქმედების კვლევის სისტორის სტრატეგიები 92-  
 95
- ზუსტი შედეგების წარმოდგენა 92-93  
 მუკერძოებელი მიდგომა 93-94  
 სრული ჩაწერა 93-94  
 წინასწარი მონაცემების ჩაწერა 93  
 უპუავშირი 94  
 ილაპარაკეთ ცოტა; მოისმინეთ ბევრი 92  
 ზუსტი დაკვირვება 92-93  
 ძირითადი მონაცემების ჩაწერა 93  
 აქტიური მონაწილე დამკვირვებელი 58  
 ყოველწლიური შესაბამისი პროგრესი 74  
 ამერიკის ფისიქოლოგიის ასოციაცია. იხილეთ  
 ამერიკის ფისიქოლოგიის ასოციაციის სა-  
 ხელმძღვანელობა

- ეთიკის ზოგადი პრინციპები 104  
 მონაცემთა განმარტების მეთოდები და ანალიზის გაფართოვება 135  
 სამოქმედო კვლევის ანოტირებული სტატია 166-172  
 ფიქლოლოგიური კვლევების წლიური მიმოხილვა 33  
 კვლევის თემების ანონიმურობა 105  
 წინამავალის და შედეგებს გაანალიზება 131  
 ამერიკის ფსიქოლოგის ასოციაციის სახელმძღვანელო 187  
 აბრევიატურები 180  
 ჟურნალის სტილის შერჩევა 179  
 ამერიკის ფსიქოლოგის ასოციაციის სახელმძღვანელოს წესები 179-180  
 ფორმატი და სტილი 165-166  
 პუნქტუაცია 179  
 ოფერირების ფორმატები (მაგალითები) 180  
 ოფერირების სტილი 180  
 მონაცემთა განმარტების გაზიარება 137-138  
 სამოქმედო კვლევის ექსპედიცია (ელექტრონული ჟურნალი) 200, 202  
 საარქივო დოკუმენტები 78-79  
 პრიორიტეტული სფერო, 25, 26, 213, 215.  
 აგრეთვე იხილეთ პრიორიტეტული სფეროს გამოვლენა Arlist-L – ი (სამოქმედო კვლევის ჯგუფური გზანილების სია) 196, 219  
 არტიფაქტები 72-73, 85, 170  
 AskERIC Q&A კითხვა - პასუხის სერვისი 215, 219  
 სასწავლო გეგმის განვითარების და ზედამხელველობის ასოციაცია (ASCD) 36, 219  
 დაშვებები/ვარაუდები, დამტკიცებულად ჩათვლილი 7, 143  
 მოქმედების კვლევის შედეგები 13  
 სკოლაზე დაფუძნებული კვლევის საფუძვლები 10-11  
 დასწრება სკოლაში 141-142  
 დამოკიდებულების შეკალები 74-75  
 როგორც კვლევის მონაცემების წყარო 74-75  
 აუდიოფირები 71-72  
 „სარევიზო სასამართლო“ მონაცემების შეგროვებისათვის 86  
 ძალაუფლება, ურთიერთობის რესტრუქტურირება 155-156  
 ბალიბონგის დაწყებითი სკოლის მაგალითი 101-103, 107, 137, 156  
 ბრძა განსხილვა 177-178  
 დამავალი და აღმავალი სტრატეგიები, მოქმედების დაგეგმვა 156  
 ბაკლის შესწორება 105, 106  
 ფსიქოლოგიური მაჩვენებლის ბუნოს ინსტიტუტი 76  
 ჯორჯ ვ. ბუშის საგანმანათლებლო გეგმა 3-4  
 ი. ფ. კალპუნი  
 მოქმედების კვლევის ციკლის დიაგრამა 17  
 კალიფორნიას მიღწევის ტესტი 84  
 კვლევისადმი მიუკერძობელი მიდგომა 93-94  
 CARN (თანამშრომლობითი სამოქმედო კვლევის ქსელი) ვებგვერდი 194-195  
 CARPP (პროფესიული პრაქტიკის სამოქმედო კვლევის ცენტრი) ვებგვერდი 195  
 მოქმედების დაგეგმვის მაგალითების შესწავლა/განხილვა 141-142  
 თანამშრომლობითი სამოქმედო კვლევა 189-191  
 მოქმედების კვლევა პრაქტიკაში 211-213  
 პრიორიტეტული სფეროს შესახებ 23-24  
 კითხვისას აზრის გამოტანის შეახებ 215-219  
 კურტისის დაწყებითი სკოლა 211-213  
 მონაცემთა ანალიზი და განმარტება 117-120  
 მონაცემთა შეგროვების მეთოდების შესახებ 51-55  
 ნიშნებზე ყურადღების შემცირება 117-120  
 მოზარდთა ინტერაქტიული თეატრი 23-24, 135  
 სამოქმედო კვლევის განხილვა 51-55  
 მოსწავლის მოტივაცია 1-2  
 კატალიტური სისწორე 91, 92  
 ზემობა, მოქმედების კვლევის მოხსენება 207-208  
 ცენტრალური ტენდენცია, საზომები 224-225, 226  
 ცვლილება. აგრეთვე იხილეთ საგანმანათლებლო ცვლილება, გარემოება 155-159  
 არსი 152  
 ცვლილების მოხდენა შეუძლია თითოეულ ჩვენგანს, იდენტიფიკაცია 157  
 1 თავი 212  
 ე.წ. „ჩათი“ (სადისკუსიო დაფები) 167, 171  
 საკონტროლო სია, მოქმედების გეგმა 47  
 ყოველდღიური სწავლება 15  
 მონაცემთა ანალიზის მეთოდები 132  
 მონაცემთა განმარტების მეთოდები 138  
 ეთაკური ჩჩევები 114  
 ინტერესის სფეროს განსაზღვრა 26  
 მოქმედების კვლევის შეფასება 206

- გამოკვლევა 28  
 მოქმედების დაწყების საფეხურები 149  
 მოქმედების კვლევის სისწორე 95  
 ულკოტის მეთოდები 95  
 ბავშვების, ცხოვრებას გაუმჯობესება 8, 10, 221  
 სიცადე, კვლევის შემადგენელი ნაწილი 164  
 საკლასო ოთახი  
 წინასწარ განწვრეტა 12  
 რუტინა 12  
 ელექტრონული 166-172  
 მონაცემთა ანალიზის ინდექსირება 124-126  
 დემოგრაფიული 134-135  
 თანამშრომლობა  
 მოქმედების დაგეგმვა 150  
 თანამშრომლობითი მოქმედების კვლევის ქსელის (CARN) ვებგვერდი 194-195  
 კომუნიკაცია  
 ჯუფური გზავნილების სია 169-170  
 კომპიუტერული პროგრამა  
 მონაცემთა ანალიზისათვის 132-135  
 NUD-IST 6 (ხარისხობრივი ანალიზის კომპიუტერული პროგრამა) 133-135  
 კონცეფტუალური რუკის შემუშავება 130, 237, 239  
 კონცეფტუალური რუკა 130  
 კონფიდენციალურობა 105  
 აუცილებლობა/საჭიროება 109  
 დამტკიცებულობა  
 მონაცემების  
 დამაჯერებლობის შემოწმება 86-87  
 თანხმობა, ინფორმირება 104-106  
 შესწავლა, ხარისხიანი მოქმედების კვლევა 205  
 კონტექსტის აღწერები, შემოწმების გამჭვირვა-ლება 86  
 საკონტროლო ჯგუფი 3  
 შესაბამისი განათლება 168  
 გაბედულება, ხარისხიანი მოქმედების კვლევა 205  
 კვლევის დამაჯერებლობა 85-86  
 კრიტიკული მოქმედების კვლევა 6-7, 8  
 ფასეულობები 7  
 ამხანაგის მნიშვნელოვანი რჩევები  
 განმარტება 136  
 CSTEETP: ტესტირების, შეფასების და განათლების პოლიტიკის სასწავლო ცენტრის ვებგვერდი 34  
 სასწავლო პროგრამა, შეცვლილი 213, 215, 221,
- 222  
 კურტისის დაწყებითი სკოლა 221, 212, 213, 215, 219, 220, 222  
 მოქმედების კვლევის სამართლიანობა (ზემობა) 222  
 პრიორიტეტული სფერო 213-214  
 მაგალითის შესწავლა 215-219  
 კრიტიკა 220-222  
 ელექტრონული რესურსები 214  
 გარემოცვა 211-213  
 შედეგების გაზიარება 219  
 სტუარტის მოქმედების გეგმა 215-219  
 მონაცემები, ვიზუალური ჩვენება 223-230  
 მონაცემთა ანალიზი 14, 19, 20, 116-138, 169-170  
 აგრეთვე იხილეთ მონაცემთა განმარტება  
 მაგალითის შესწავლა 117-120  
 აღწერითი სტატისტიკა 223-230  
 მიმდინარე 121-123  
 ნააღმდეგი მოქმედება 121-122  
 როლი 122-123  
 დასკვნა 138  
 მონაცემთა ანალიზის მეთოდები 123-125  
 წინამავლების/შედეგების ანალიზი 131  
 საკონტროლო სია 124-126  
 ინდექსირება 124-126  
 კომპიუტერული პროგრამა 133-135  
 კონცეფტუალური რუკის შემუშავება 130  
 შედეგების/აღმოჩენების წარმოდგენა 131, 223-230  
 მთავარი კითხვები 126, 129  
 გამორჩენილი საკითხები 131-132  
 ორგანიზაციული განხილვა 129-130  
 თემის იდენტიფიცირება 123  
 მონაცემთა შეგროვება 14, 19, 20, 169, 180.  
 აგრეთვე იხილეთ მონაცემთა შეგროვების გათვალისწინება; მონაცემთა შეგროვების მეთოდები, მონაცემთა მატრიცა, წინასწარი
- მონაცემთა შეგროვების წყაროები 47, 216  
 მონაცემთა შეგროვების გათვალისწინება 80-98  
 ანდერსონის, ჰერის და ნიპლენის კრიტერიუმები  
 სამოქმედო კვლევის სისწორის შესამოწმებლად 90-92  
 მაგალითის შესწავლა 81-83  
 დადასტურება 86-87

დამაჯერებლობა 85-86  
 სარწმუნობა 86  
 ეთიკა 103-114  
 განზოგადება 89  
 გუბას კრიტერიუმების ვალიდურობა 85-87  
 მაქსელის კრიტერიუმების ვალიდურობა 87-90  
 ტენდენციურობა 97  
 საიმედოობა 84  
 გამჭირვალეობა 86  
 ვალიდურობა 84-96  
 უოლკოტის მეთოდების ვალიდურობა 92-95  
 მონაცემთა შეგროვების მეთოდების 50-78, 143-145, 216  
 საარქივო დოკუმენტები 68-69  
 დამოკუდებულების შეაღები 74-75  
 მაგალითის შესწავლა 51-55  
 კომპონენტები 72  
 პირდაპირი დაკვირვება 57-61  
 გამოკვლევა 61-68, 73  
 შემოწმება 68-73, 73  
 გამოცდილების მიღება 57-61, 73  
 ჯგუფური ინტერვიუს მეთოდები 62  
 ინტერვიუები 62-65  
 ჟურნალები 69-70  
 რუკის გაკეთება 70  
 დაკვირვება 57-59  
 სარისხობრივი 55-57  
 რაოდენობრივი 55, 73-76  
 დამოკიდებულების შეაღები 74-75  
 სხვა საზომები 76  
 სკოლის მიერ შემუშავებული მოსწრების ბარათები 74  
 სემანტიკური სხვაობა 75-76  
 სტანდარტიზირებული ტესტები 74  
 პედაგოგის მიერ გაკეთებული ტესტები 73-74  
 კითხვარები 67-68  
 დასკვნა 77  
 ჩაწერა 71-72, 108  
 მონაცემების განმარტება/ ინტერპრირება 14, 19, 20, 116-138, 169-170  
 გაზიარება 137-138  
 მაგალითის შესწავლა 117-120  
 აღწერითი სტატისტიკა 223-230  
 როლი 122-123  
 დასკვნა 138  
 მონაცემთა განმარტების მეთოდები 135-137

ანალიზის გაფართოება 135  
 საკონტროლო სია 139  
 „კრიტიკულად“ განწყობილ მეგობრებს რჩევები 136  
 აღმოჩენების კონტექსტუალიზება ლიტერატურაში 136-137  
 აღმოჩენების დაკავშირება პირად გამოცდილებასთან 136  
 თეორია 137  
 მონაცემთა მატრიცის მაგალითი 52  
 მონაცემთა წყაროები 68, 169-170  
 მოტყუება და ეთიკა 106  
 დირექტივები 109-110  
 დემოკრატიული სისწორე 90-91  
 კრიტიკული მოქმედების კვლევის დემოკრატიული ფასეულობა 7  
 დეონტოლოგიური ეთიკა 112-113  
 სარწმუნობა, დამაჯერებლობის შემოწმება 86  
 აღწერითი აქტივობები, გამოკვლევა 27-28  
 აღწერითი სტატისტიკა. აგრეთვე იხილეთ სტატისტიკა, აღწერითი  
 აღწერილობითი სისწორე 87-88  
 საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება 35  
 დიალექტური მოქმედების კვლევის სპირალი 19-20, 167  
 დიალოგური სისწორე 91, 92  
 სადისკუსიო დაფა. იხილეთ ე.წ. „ჩათი“ (სადისკუსიო დაფები). მოხაცემების ჩვენება 223-230  
 დისერტაციის მოკლე მიმოხილვები 32, 33  
 დოკუმენტები, საარქივო 68-69  
 ისტორიუს სკოლა 91, 153  
 კონცეფტუალური რუკა 130, 239  
 ეკოლოგიური ეთიკა 113  
 განათლება, შესაბამისობა 168  
 ამერიკის განათლების დეპარტამენტი 35  
 განათლების კატალოგი 31-32  
 განათლების რეფორმაზე პერიოდული გამოცემების ვებგვერდი 34  
 საგანმანათლებლო მოქმედების კვლევა (ელექტრონული ჟურნალი) 154, 177, 196-198  
 ვებგვერდი 197  
 გამოცემების დირექტივები 176-177  
 საგანმანათლებლო ცვლილება 3, 155-156  
 მოქმედების დაგეგმვა 140-160  
 მოქმედების კვლევა 12-13  
 ყველა ადამიანს შეუზღია ცვლილების გაკეთება

- 157  
 მძედი, როგორც ყველაზე ძლიერი რესურსი 158-159  
 ძირითადი არსი 157  
 შედეგები და სტუდენტთა კეთილდღეობა 158  
 პოზიტიური 3  
 ძალაუფლების და ავტორიტეტის რესტრუქტური-რება 155-156  
 სკოლის კულტურა 157  
 პედაგოგის მხარდაჭერა 156-157  
 დამაგალი და აღმაგალი სტრატეგიები 156  
 საგანმანათლებლო ხელმძღვანელობა 36  
 საგანმანათლებლო კვლევა, წეგატიური ასპექტები 6-7  
 საგანმანათლებლო საინფორმაციო რესურს ცენტრი . იხილეთ ERIC  
 ედუარდ ჯ. ბეგლ გარნტი 183  
 ნამუშევრების ელექტრონულად გამოქვეყნება 188  
 ელექტრონული ფოსტა 170  
 ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინტერვიუს ჩატარება 66-67  
 გაძლიერება 164  
 კრიტიკული სამოქმედო კვლევის მნიშვნელობის გაზრდა 7, 8, 10  
 ERIC (საგანმანათლებლო საინფორმაციო რესურს ცენტრი) 30-31, 37, 51, 214, 216  
 AskEric 215, 219  
 საუკეთესო საწყისი წერტილი 31  
 CD-ROM 37  
 კურტისის დაწყებითი სკოლის წყაროები 214  
 აღმწერი 31  
 ED და EJ კატეგორიები 31  
 საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრი (ERIC) 31  
 ინფორმაცის მიღება 31  
 ESL (ინგლისური, როგორც მეორე ენა) 231, 234  
 ეთიკა  
 სიზუსტე 110-111  
 მოქმედების კვლევა 103-114  
 ანონიმურობა 105  
 საკონტროლო სია 114  
 კონფიდენციალურობა 105, 109  
 მოტყუება 106  
 დეონტოლოგიური 112-113  
 ეკოლოგიური 113  
 ფინდერსის ჩარჩო 112-114
- დირექტივები 103-112  
 შეტყობინებული თანხმობა 104-106, 107  
 ზიანისგან დაცვა 105  
 ურთიერთობა 113  
 სოციალური პრინციპები 109  
 დასკვნა 114  
 უტილიტარისტული 112  
 ეთნოგრაფი 133  
 შეფასებითი სისტორე 89, 90  
 Excite (ელექტრონული საძიებო რესურსი) 34  
 საექსპერიმენტო ჯგუფი 3  
 ექსპერიმენტი პროფესიული განვითარების სკოლებში 212-213  
 განმარტებითი მოქმედებები, გამოკვლევა 28  
 ოჯახის განათლების უფლებები და საიდუმლოდ შენახვის აქტი (FERPA) 105, 106  
 უკუაგშირი 94, 150, 151  
 წერა 184-185  
 საველე ჩანაწერები 59-60  
 აკურატული ჩანაწერები 92-93  
 ნააღრევი ჩანაწერები 93  
 ახლებური ხევდა 61  
 შეზღუდვები 59-60  
 პარადოქსები/წინააღმდეგობები 61  
 რა ჩავიწეროთ 60-61  
 საველე სამუშაოს მეთოდები 57  
 გამოკვლევა 61-68  
 შემოწმება 68-73  
 გამოცდილება 57-61  
 ფილმები 71-72  
 შედეგების გაზიარება/ჩვენება 153, 188, 191-193  
 კურტისის დაწყებითი სკოლა 219  
 მონაცემთა ანალიზი 131  
 გაზუალური ჩვენება 223-230  
 ფოკუს ჯგუფები 65  
 პრიორიტეტული სფეროს გამოვლენა 19, 20, 22-49  
 მაგალითის შესწავლა 23-24  
 საკონტროლო სია 26  
 ზოგადი იდეის ჩამოაყალიბება და პრიორიტეტული სფერო გამოფა 25-26  
 კრიტერიუმი 26  
 მოზარდთა ინტერაქტიული თეატრის კვლევა 23-24  
 ლიტერატურის მიმხილვა 29-45  
 კითხვები 48

- გამოკვლევა 26-28  
 პრიორიტეტული სფეროს ფორმულირება 44, 168,  
 180  
 დასკვნა 48  
 ფირმები  
 სტუდენტების შესახებ უსისტემო ჩანაწერი 64  
 მოქმედების დაგეგმვის მონაცემების გაზიარების  
 ფორუმი 154  
 განზოგადება 89, 96-97  
 შესაბამისობა წინააღმდეგ 98  
 ტრადიციული საგანმანათლებლო კვლევის მიზნები  
 3  
 გუგლი (Google) ელექტრონული საძიებო რესურსი  
 34  
 შეფასების მეთოდები, კვლევა 117-120  
 გრანტები მოქმედების კვლევისათვის 152, 219  
 ზრდა, მოქმედების კვლევა ხარისხი 205  
 დირექტორები  
 ეთიკა 103 -112  
 ჟურნალების გადაცემა 178-179  
 წერა 173-175  
 ჰაილანდ პარკის საშუალო სკოლა, სამოქმედო კვ-  
 ლევის ლაბორატორიის მაგალითის შესწავ-  
 ლა 26, 117-120, 129, 136, 156, 195  
 იმედი, როგორც ძლიერი რესურსი 158-159  
 HyperRESEARCH (ხარისხობრივი ანალიზის კომ-  
 პიუტერული პროგრამა) 133  
 ცყვერსტუდიო (ინტერაქტიული მულტიმედიური  
 პროგრამა) 191  
 ჰიპოტეზა 3  
 სამოქმედო კვლევის იდეალიზირებული მოდელი,  
 ველსი; 16, 17  
 დამოუკიდებლად სწავლის აქტივობები (ILA) 190  
 ინდივიდუალური მოქმედების გაგეგმვა 145, 149-  
 150  
 არაფორმალური ეთნოგრაფიული ინტერვიუ 62-63  
 ინფორმაციის მოგროვება 26-28  
 აღწერითი მოქმედებები 27-28  
 ახსნითი/განმარტებითი მოქმედებები 28  
 თვითშეფასება 26-27  
 ინფორმირებული თანხმობა 104-106, 107  
 დირექტივები 108-109  
 შშობლის თანხმობის ფორმა 111  
 თანდართული წერილის ნიმუში 110  
 წერილობითი თანხმობა 106  
 Infoseek (ელექტრონული საძიებო რესურსი) 34
- ინსტიტუტის შემსწავლელი საბჭო (IRB)  
 გაწევრიანება და პროცედურები 105-106  
 ონლაინსწავლა (WBI) 169  
 იზოლაცია 171  
 ინტერაქტიული მულტიმედიური პროგრამა 191-  
 192  
 მოზარდთა ინტერაქტიული თეატრი 23-24  
 შუალედური ანალიზი 121  
 კითხვის საერთაშორისო ორგანიზაცია (IRA) 36,  
 183, 219  
 ინტერნეტი 136. აგრეთვე იხილეთ ელექტრონული  
 რესურსები; ვებგვერდები და ე.წ. „ჩათი“  
 (სადისკუსიო დაფები) 167, 171  
 ERIC (საგანმანათლებლო საინფორმაციო რესურს  
 ცენტრი) 30-31  
 კავშირის დამყარება 193  
 ხარისხის კონტროლი 192-193  
 ელექტრონული საძიებო რესურსები 34  
 ძიებები 34-35  
 მოქმედების კვლევის გაზიარება 192  
 უნარები 171  
 ინტერნეტ რესურსები სპეციალური განათლებისათ-  
 ვის 35  
 მონაცემთა განმარტება. აგრეთვე იხილეთ მო-  
 ნაცემთა ანალიზი; მონაცემთა განმარტება;  
 მონაცემთა განმარტების მეთოდები  
 განმარტებითი სისტორე 88  
 ჩარევის ან ინვაციის აღწერა 45, 48  
 კითხვა 215, 216-217  
 წერა 231-234  
 ინტერვიუები 169-170  
 დამოკიდებულების შეალები 74-75  
 ინდექსირება 126, 127-129  
 ცომბონენტები 64-65  
 ელექტრონული ფოსტით 66-67  
 ფოკუს ჯგუფი 54-66  
 არაფორმალური ეთნოგრაფიული 62-63  
 ჩანიშვნების გაკეთება 65  
 განმარტოება 65  
 კითხვარები 67-68  
 ჩაწერა 64  
 იზოლაცია და ონლაინსწავლა 171
- ჟურნალი მათემატიკის სწავლების კვლევა 36  
 ჟურნალი მოზარდთა და ზრდასრულთა წიგნიერე-  
 ბის შესახებ 36

- ურნალი კოლეჯში მეცნიერების სწავლებაზე 36  
 ურნალი ხელმძღვანელობასა და სასწავლო პრო-  
 გრამაზე 36
- ურნალები. აგრეთვე იხილეთ მოქმედების კვლევის  
 ელექტრონული ურნალები
- მონაცემთა შეგროვება 69-70, 93  
 სიგრძე 183-184
- ელექტრონული 154, 177, 196-202  
 რეცეზირებული ურნალი 37, 177, 188, 196,  
 204
- სპეციალური ურნალები 176-178  
 ჩაბარების დირექტივები 178-179
- მთავარი ასპექტები  
 მოქმედების კვლევა  
 კრიტიკული პერსპექტივები 8  
 პრაქტიკული პერსპექტივები 9  
 პროცესი 19
- ეფექტური დაკვირვების კომპონენტები 62  
 ინტერვიურების კომპონენტები 66  
 ჩანაწერების კომპონენტები 72  
 ხარისხის კომპონენტი 72  
 ხარისხის კომპონენტი 72  
 ხარისხის კომპონენტი 72  
 ხარისხის კომპონენტი 72  
 ანდერსონის 92
- გუბას 87  
 მაქსელის 90  
 უოლკორტის 95  
 მონაცემთა შეგროვების ტაქსონომია 73  
 აღწერითი სტატისტიკა 226  
 ელექტრონული მისამართები 202  
 რაოდენობრივი მონაცემთა შეგროვება 76  
 კვლევების შედარებები 4  
 მონაცემთა ანალიზის მთავარი კითხვები 126, 129
- LAAP (სწავლა ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს) 167
- სწავლის მეთოდები, ონლაინსწავლა 171
- კურტ ლევინი  
 მოქმედების კვლევის ციკლი 16  
 ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტი 36-37  
 ცხოვრების გაუმჯობესება 10, 221  
 ცხოვრება საკლასო ოთახებში (ჯექსონი) 12  
 ლიკერტის შეალები 75, 223  
 მოსმენის/ლაპარაკის ფარდობა, კვლევის ვალიდუ-  
 რობა 92
- ჯგუფური გზაგნილების სიები 167, 196, 209  
 ლიტერატურის მატრიცა 42, 43
- ნიმუში 43  
 ლიტერატურის მიმოხილვა 29-45, 168-169, 182,  
 215
- მოქლე მიმოხილვა  
 38-39
- ლიტერატურის ანალიზი, სისტემატიზაცია და აღ-  
 წერა 39-41
- მოქლე მიმოხილვის შემაჯამბეჭდი განცხადება 42,  
 44
- ERIC (საგანმანათლებლო საინფორმაციო რესურს  
 ცენტრი) 30-31
- წყაროების შეფასება 37  
 რჩევები ტექნიკური წერისთვის 40  
 მატრიცა 42, 43
- პროფესიული ორგანიზაციის წევრობა 35-36  
 იმედის მომცემი პრაქტიკები 29-30  
 უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში 36-37  
 წერა 42-44
- მასწავლებლის კლასში მოძრაობის/ადგილმდებარე-  
 ბის რუკა 237, 239
- Lycos (ელექტრონული საძიებო რესურსი) 34, 204
- რუკის გაკეთება და მონაცემთა შეგროვება 70
- მაგალითი 70-71
- რუკის გაკეთების მნიშვნელობა 130
- მათემატიკის სწავლება მათიპულატორების გამოყე-  
 ნებით 234-237
- მათემატიკური განათლების ფონდი 183
- მათემატიკის პედაგოგი 36
- მათემატიკის სწავლება საშუალო სკოლაში 36
- მატრიცა
- მონაცემები 52
- მაგალითი 57, 78
- უნარ-ჩვევების ორგანირება 43
- ტრიანგულაცია 57
- ჯ. ა. მაქსველი
- საკვანძო კონცეფციების სისწორე 90
- მაკეინზის ოქტის სკოლა 226
- საშუალო, სტატისტიკა 223, 224
- ცვლადების საზომი 226
- მედიანა, სტატისტიკა 223, 224-225
- მონაწილეთა აღრიცხვა, დამაჯერებლობის შე-  
 მოწმება 86
- ყოველწლიური გამოცემები ფსიქიკური მაჩვენებე-  
 ლინ (MMY) 76
- მარიამ ვებსტრუქტირის საუნივერსიტეტო ლექსიკონი  
 180

- გ. ი. მძილზი  
 სამოქმედო კვლევის ანოტირებული სტატიის მა-  
 გალითი 166-167
- ლიტერატურის მატრიცის ნიმუში 43  
 გამორჩებილი საკითხები, მონაცემთა ანალიზი 131-  
 132
- კვლევის შერეული მეთოდი 4-5  
 მოდა, სტატისტიკა 223, 224, 225  
 მოქმედების კვლევის ნიმუში 167  
 მოტივაცია  
 მაგალითის შესწავლა 1-2  
 კითხვა 237, 238  
 გამრავლების საკითხის მაგალითის შესწავლა 81-  
 83
- განათლების სტატისტიკის ეროვნული ცენტრის  
 ვებგვერდი 35  
 სოციალური მეცნიერებების ეროვნული საბჭო  
 (NCSS) 36
- მათემატიკის მასწავლებელთა ეროვნული საბჭო  
 (NCTM) 36, 88, 101, 183  
 ეროვნული კვლევის აქტი (1974) 105  
 მასწავლებელთა მეცნიერების ეროვნული ასოცია-  
 ცია (NSTA) 36
- მოლაპარაკებები მოქმედების კვლევის გეგმის გან-  
 ხორციელებისათვის 46  
 ქსელი 149-150  
*Networks* (ელექტრონული ჟურნალი) 154, 198-199  
 ვებგვერდის მთავარი გვერდი 199  
 გამოქვეყნების დირექტივები 176, 177  
*Newjour* ის ვებგვერდი 34  
 „არც ერთი ბავშვი არ უნდა ჩამორჩეს“, (NCLB)  
 3-4  
 ტესტირებაზე ყურადღების გამახვილება 74  
 ჩანიშვნების გაკეთება 64  
 NUD\*IST 6, (ხარისხობრივი ანალიზის კომპიუტერ-  
 ული პროგრამა) 133-135
- აღწერითი ცხრილი 134  
 ობიექტური 6  
 პირდაპირი დაკვირვება 57-61  
 აკურატული ჩაწერა 92  
 ნაადრევი ჩაწერა 93  
 საველე ჩანაწერები 59-60  
 პარადოქსები 61  
 მონაწილე დამკვირვებელი 57-58  
 პასიური დამკვირვებელი 59  
 მტკიცე 85
- მიზანი 57  
 მოქმედების კვლევის ელექტრონული ჟურნალ-  
 ები 196-202 აგრეთვე იხილეთ ჟურნალების  
 გამოქვეყნების კრიტიკულები 176-177  
 სასკოლო მათემატიკის ელექტრონული ჟურნალი  
 36
- ელექტრონული სწავლა, პრობლემები 169. აგრეთვე  
 იხილეთ ელექტრონული სწავლება  
 ელექტრონული რესურსები 171, 199-202, 219.  
 აგრეთვე იხილეთ ERIC (საგანმანათლებლო  
 სანოფორმაციო რესურს (ცენტრი)  
 აკურატულობა 192-193
- ელექტრონული მისამართები 202, 214  
 Arlist-L - ი (სამოქმედო კვლევის ჯგუფური გზა-  
 ვნილების სია) 196
- გამოწვევები/გადასაწყვეტი საკითხები 202-204  
 ინტერნეტ რესურსების ცვალებადობა 203  
 ინტერნეტ კავშირები 194-196  
 ჟურნალები 154, 196-202  
 ჟგუფური გზავნილების სიები 196  
 ლიტერატურის მიმოხილვა 35  
 კვლევის კითხვა 219  
 პროფესიული განვითარება 206-207  
 ტექნოფობია 203  
 ინტერნეტით სარგებლობის დროის კონტროლი  
 204
- სხვადასხვა სახის ონლაინრესურსები 194-202  
 ვებგვერდები 154, 194-196  
 გულახდილობა, მოქმედების კვლევის ხარისხი 205  
 ორეგონის განათლების წერითი შეფასების დეპარ-  
 ტამენტი 231
- ორეგონის უნივერსიტეტის სისტემა 167  
 ორგანიზაციული მიმოხილვა 129-130  
 კვლევის შედეგების სისტორე 91  
 სტუდენტთა კეთილდღეობაზე ცვლილების ასახვის  
 აუცილებლობა 158
- საფუძვლები 40-41  
 მოქმედების კვლევის მოხსენება 175-176  
 სხვა სტრუქტურები 176-178  
 ნაწილობრივ დამთხვეული მეთოდები, სარწმუნო-  
 ბის შემოწმება 86  
 მიმოხილვა, მოქმედების კვლევის ხარისხის მოხ-  
 სენება 205  
 მსობლის თანხმობა 111  
 PARnet (თანამონაწილეობითი სამოქმედო კვლევის  
 ქსელი) 194, 219

- მონაწილე დამკვირვებელი 57-58  
 აქტიური 58  
 საველე ჩანაწერები 59-60  
 მიზნები 58  
 თანამონაწილეობითი სამოქმედო კვლევის ქსელი (PARnet) 194, 219
- პასიური დამკვირვებელი 59  
 კოლეგების გამოყითხვა, დამაჯერებლობა 85  
 ტენდენციურობა კვლევაში 97, 220  
 კვლევის შედეგებთან პირადი გამოცდილების დაკავშირება, მონაცემთა განმარტება 136  
 მონაწილეთა პერსპექტივა 88  
 ფოტოსურათები 71-72  
 პლაგიატის არიდება 39  
 პორტფოლიოები 72-73  
 პოზიტივიზმი 3  
 პოსტმოდერნიზმი 6-7  
 ძალაუფლება, ურთიერთობების რესტრუქტურირება 155-156
- PowerPoint (კომპიუტერული პროგრამა) 167, 191  
 პრაქტიკული მოქმედების კვლევა 7, 9  
 კომპონენტები 9  
 პროგნოზირება 12  
 ცრურწმენა მოქმედების კვლევაში 220  
 ნააღრევი მოქმედება მონაცემთა ანალიზის დროს 121-122  
 პრივილეგიური, აქტიური მონაწილე დამკვირვებელი 58-59  
 კვლევის პროცესის სისწორე 91  
 პროფესიონალი კოლეგები, მოქმედების კვლევის განხორციელება 15  
 პროფესიული განვითარების სკოლა (PDS) 211-213, 222  
 პრინციპები 212  
 პროფესიული ორგანიზაციის წევრობა, ლიტერატურუს მიმოხილვა 35-36  
 პროფესიონალიზმი, პედაგოგი 10, 220  
 იმედის მომცემი პრაქტიკა, ლიტერატურუს მიმოხილვა 29-30  
 თეორია, მონაცემთა შეგროვება 97  
 ძიანისგან დაცვა 105  
 ჭინდახელულობა, მოქმედების კვლევის ხარისხი 205  
 ფსიქოლოგიური კვლევების მოკლე მიმოხილვები 32  
 PsycINFO-ს მონაცემთა ბაზა 32
- ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის სახელმძღვანელო 166. აგრეთვე იხილეთ აფა-ის სახელმძღვანელო  
 პუბლიკაციები. აგრეთვე იხილეთ უურნალები; ელექტრონული უურნალები 188  
 QSR (NUD\*IST). აგრეთვე იხილეთ NUD\*IST 6  
 ხარისხობრივი მონაცემთა შეგროვების მეთოდები 56-57  
 სია 55  
 ტრიანგულაცია 56-57  
 ხარისხობრივი კვლევა 4, 57, 85-91  
 რაოდენობრივი კვლევა 4  
 ქუინსის უნივერსიტეტის მოქმედების კვლევის ვებგვერდი 195-196  
 კითხვარები 24, 61, 67-68, 233  
 დამოკიდებულების შეკალები 74-75  
 საკონტროლო სია 69  
 განხილვები 67-68  
 ლიკერტის შეკალები 75, 223  
 სემანტიკური სხვაობები 75-76, 223  
 სტანდარტული ტესტები 76  
 დახურული შეკითხვები 64  
 ღია შეკითხვები 64  
 კვლევა 5, 168, 215  
 ელექტრონული სწავლება 172  
 შემთხვევითი შერჩეული ჯგუფები 3  
 ურთიერთობების დაყარება 172  
 Readers Guide to Periodical literature (ფორმატის კატალოგი) 32-33  
 მოსწავლეების მიღწევები კითხვაში 211  
 ინსტრუქცია 213  
 ინტერვენცია 215, 216-217  
 მნიშვნელობა 213-214  
 რეკომენდაციები 214  
 კვარტალური გამოცემა კითხვის კვლევის შესახებ 36  
 კითხვის მასწავლებელი 36  
 თანაზიარობა პროფესიული განვითარების სკოლებში 212  
 კვლევა 26-28  
 კრიტიკული მოქმედებების საკონტროლო სია 28  
 განსაზღვრული 26  
 აღწერითი მოქმედებები 27-28  
 განმარტებითი მოქმედებები 28  
 თვითშეფასება 26-27  
 ჩანაწერები

საარქივო დოკუმენტები 68-69  
 არტიფაქტები 72-73  
 კომპონენტები 72  
 ჟურნალები 69-70  
 გაკეთება და გამოყენება 68-73  
 რუკები 70  
 ფოტოსურათები და ფილმები 71-72  
 ვიდეო/უდიო ფირები 71-72  
 რეფერირება, ბიბლიოგრაფიული ფორმატის მაგალ-  
     ითები (აფა-ის მიერ აღიარებული რეფერ-  
     ირების ფორმატი) 165  
 როგორ მოვაძიადოთ 38-39  
 ადექვატურობის განსაზღვრა, დამაჯერებლობის  
     შემოწმება 86-87  
 საკუთარი პრაქტიკის შესაფასება 15, 26-27, 220  
 მოქმედების დაგეგმვა 151, 206-207  
 მოქმედების კვლევა 121-122  
 კრედიტ 10  
 ყოველდღიური 10  
 აღწერილი 177  
 მოქმედების კვლევის ხარისხი 205  
 კვლევა 26-27  
 სწავლება 53-55, 191  
 მსჯელობა, დადასტურებულობის შემოწმება 86  
 ურთიერთობის ეთიკა 113  
 საიმედოობა 94-95  
 სისწორე წინააღმდეგ 95-96  
 მოსწრების ბარათები 74  
 მოხსენება. აგრეთვე იხილეთ შედეგების გაზიარე-  
     ბა/ სრული მონაცემების წარმოდგენა 93  
 მონაცემთა დაგეგმვის ფორმული 154  
 ძირითადი მონაცემები 93  
 კვლევა. აგრეთვე იხილეთ მოქმედების კვლევა;  
     მოქმედების კვლევის გეგმა; მოქმედების კვ-  
     ლევის მოხსენება; მოქმედების კვლევის სის-  
     წორე  
 შედეგები, ხელმისაწვდომობა 12  
 გავლენა პრაქტიკაზე 6-7, 10-13  
 სწავლების და წერის ინტეგრირება 182-183  
 მეთოდები 4-5  
 სარისხობრივი 57, 85-91  
 კითხვები 5, 45, 215  
 შესაბამისობა 7  
 სტატიის ნიმუში 166-172  
 მეცნიერული 2-3  
 ტრადიციული, მოქმედების კვლევის წინააღმდეგ

3-4

კვლევის სტატია, ანოტაციის ნიმუში 166  
 მოქმედების გეგმა 171-172  
 საკვლევი თემა 168  
 კონტექსტი 167  
 მონაცემთა შეგროვება 169  
 ლიტერატურებს მიმოხილვა 168-169  
 კვლევის კოთხვები 168  
 კვლევის ჯგუფის წევრობის აღწერა 45-46  
 ცელილების წინააღმდეგობა 152  
 რესურსები, ფისკალური მოქმედების კვლევის  
     დამტკიცება 46-47  
 ნაკლებობა 152  
 რიტუალები და წერის პროცესი 173-175  
 მაგალითები 174  
 სამოქმედო კვლევის ანოტირებული სტატიის მა-  
     გალითი 166-172  
 შეკალები  
 დამოიდებულება 74-75  
 ლიკერტი 75, 223  
 სემანტიკური სხვაობა 75-76, 223  
 სკოლის პედაგოგი (ლორტი) 12  
 მოქმედების დაგეგმვა სკოლის მასშტაბით 145,  
     150  
 მეცნიერება და ბავშვები 36  
 მეცნიერების მიზანი 36  
 მეცნიერული მეთოდი 96  
 მეცნიერული კვლევა 2-3  
 საძიებო რესურსები 35, 204  
 ელექტრონული მისამართების განახლება 203  
 თვითშეფასების ფურცელი, მოსწავლეების შეფასე-  
     ბა 118-119  
 პედაგოგის თავმოყვარეობა 207  
 პედაგოგის თვითშეფექტურობა 207  
 თვითშეფასება. იხილეთ საკუთარი პრაქტიკის შე-  
     საფასება.  
 სემანტიკური სხვაობა 75-76  
 მოქმედების კვლევის გაზიარება 188-209  
 მაგალითის შესწავლა 189-191  
 კრიტერიუმები 204-206  
 სამოქმედო კვლევის გაზიარების ელექტრონული  
     საშუალებები 192-193  
 შეფასება 204-205  
 არაფორმალულ კრიტერიუმები (ნიმუში) 204-205  
 ინტერაქტიული მულტიმედიური პროგრამა 191-  
     192

- Networks* (ელექტრონული ჟურნალი) 198-199, 199  
 სტატისტიკურ მნიშვნელოვანება 3  
 პროექტზე ერთობლივად მომუშავე გუნდი, მოქმედების დაგეგმვა 150  
 სოციალური განათლება 36  
 სოციალური პრინციპები, ეთიკა 109  
 სოციალური მეცნიერებები და ნორჩი მოსწავლეები 36  
 ინტერაქტიული მულტიმედიური პროგრამა 191  
 რაოდენობრივი ანალიზი 133, 134  
 სამოქმედო კვლევის სამხრეთ ჯვრის უნივერსიტეტი (SCIAR) 200  
 სამხრეთ ორეგონის უნივერსიტეტი 167  
 SPSS 12.0 მოსწავლის ვერსია (ესპესი-ი, კომპიუტერული პროგრამა) 223, 225  
 სტანდარტული გადახრა, სტატისტიკა 223, 225-226, 227, 228-229  
 სტანდარტიზირებული ტესტები 76  
 როგორც რაოდენობრივი მონაცემების მიღების წყარო 74  
 სტატისტიკა, აღწერითი 223-230  
 ცენტრალური ცენდენცია 224-225  
 ილუსტრაცია 226-228  
 ინტერპრეტირება 230  
 საერთო სიმბოლოების სია 227  
 მიზეზები რატომ გამოვიყენოთ 223-224  
 მნიშვნელობა 230  
 სტანდარტული გადახრა 223, 225-226, 227, 228-229  
 რეკომენდირებული პროცედურები 228  
 საქმიანობით გაწერილი ცხრილი მოქმედების დაგეგმვისათვის 140, 143, 145, 146-148, 150, 160, 175-176, 218  
 მოქმედების სქემის შეუკებელი საფეხურები 148  
 ჯეპ რესტონის 146-147  
 ჯონათან სტიუარტის 218  
 ცხრილი 144  
 საქმიანობით გაწერილი ცხრილის საკონტროლო ცხრილი 149  
 აღმავალი სტრატეგია 156  
 დამავალი სტრატეგია 156  
 ე. თ. სტრინგერი მოქმედების კვლევის ინტერაქტიული სპირალი 18  
 სტრუქტურიზებული ფორმალური ინტერვიუები 64-65
- მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენები. იხილეთ სკოლის გაცდენები  
 მოსწავლეების მრავალფეროვნება  
 პროფესიული განვითარების სკოლებში 212  
 სწავლის მეთოდები 171  
 მოტივაციის მაგალითის შესწავლა 1-2, 122-123  
 კითხვისათვის 237, 238  
 არამოტივირებული 1-2  
 სტუდენტების და პედაგოგების კრებები 119  
 გამოკითხვები 169, 226  
 ოჯახების 142  
 მოსწავლეების თვით შეფასება 53  
 პედაგოგი 54  
 პროფესიული განვითარების სკოლებში  
 კვლევების სისტემატიური ჩატარება 212  
 გრანტები პედაგოგ მკვლევარებისათვის 219  
 პედაგოგი მკვლევარები 3-4  
 პედაგოგის მიერ გაყენებული ტესტები 73-74  
 პედაგოგისათვის მოქმედების კვლევის შედეგების ხელმისაწვდომობა 12  
 სწავლების საკითხები 169  
 ხელობის პროფესია მოაზროვნე პრაქტიკოსის პროფესიის წინააღმდეგ 191  
 სამოქმედო კვლევა ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის ყოველდღიურ შემადგენელ ნაწილი 14-15  
 სწავლების და წერის ინტეგრირება 182-183  
 მათემატიკის სწავლება მანიპულატორების გამოყენებით 234-237  
 ელექტრონული სწავლება 166-172  
 ბაგშევებისათვის მათემატიკის სწავლება 36  
 ჯგუფური მოქმედების დაგეგმვა 145, 150  
 ტექნიკის გამოყენება მათემატიკაში მიღწევების გასაუბჯობესებლად 101-103, 137  
 ტექნოლოგია 203  
 ტელეკომუნიკაციები და ელექტრონული სწავლება 172  
 ტესტირება 4-5  
 სტანდარტიზირებული ტესტები 76  
 საკითხის გამოვლენა 123  
 თეორიული სისტორე 89  
 კრიტიკული თეორია 6, 7, 8  
 მონაცემთა განმარტება 137  
 დეფინიცია 137  
 პოსტ მოდერნისტული 6-7, 8  
 Thunder Cave (როლანდ სმიტის რომანი) 216-217  
 დრო მოქმედების დაგეგმისათვის 154-155

- დრო ელექტრონული კვლევისათვის 46, 171, 204  
 დრო წერისათვის 173, 182-183  
 სამუშაო გრაფიკი მოქმედების კვლევის გეგმისათვის 216  
 მათემატიკის და მეცნიერებათა საერთაშორისო კვლევის მიმართულებები-ის კვლევა 207  
 დამავალი სტრატეგიები, მოქმედების დაგეგმვა 156  
 გამჭირვალობა და დამაჯერებლობის შემოწმება 86  
 დადასტურებულობა 86-87  
 სარწმუნობა 86  
 მატრიცა 57, 78  
 დამაჯერებლობა  
 დადასტურებულობა 86-87  
 დამაჯერებლობა 85-86  
 სარწმუნობა 86  
 სარისხობრივი კვლევა 85  
 გამჭირვალობა 86  
 სისწორე 85, 90
- Uncover Periodical Index (ინტერნეტ მისამართი) 34  
 „გაგება“, 85  
 აღწერილობითი სისწორე 87-88  
 შეფასებითი სისწორე 89  
 განზოგადება 89  
 განმარტებითი სისწორე 88  
 თეორიული სისწორე 89  
 შისწორე 85, 89  
 ლიტერატურის მიმოხილვისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების გამოყენება 36-37  
 ელექტრონული მისამართები. იხილეთ ვებგვერდები,  
 მოქმედების კვლევა  
 ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სამინისტრო 35  
 ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული კვლევითი ცენტრი 207  
 უტილიტარისტული ეთიკა 112  
 სისწორე, როგორც წერის მოტივატორი 164  
 სისწორე 84-96  
 ანდერსონის, ჰერის და ნიპლენის კრიტერიუმები სამოქმედო კვლევის სისწორის შესამოწმებლად 90-92  
 კატალიტური სისწორე 92  
 დეფინიცია 84
- დემოკრატიული სისწორე 90-91  
 აღწერითი სისწორე 87-88  
 დიალოგური სისწორე 92  
 შეფასებითი სისწორე 89  
 გუბას კრიტერიუმები სამოქმედო კვლევის სისწორის შესაფასებლად 85-87  
 განმარტებით სისწორე 88  
 ხარისხობრივი კვლევის სისწორის მაქსველის კრიტერიუმები 87-90  
 შედეგის სისწორე 91  
 პროცესის სისწორე 91  
 ხარისხობრივი კვლევის 85-87  
 სანდობა წინააღმდეგ 95-96  
 თეორიული სისწორე 89  
 გაგება წინააღმდეგ 89  
 უოლკოტის მეთოდები სამოქმედო კვლევის სისწორის უზრუნველსაყოფად 92-95  
 მოქმედების კვლევის სისწორე 98  
 ცვალებადობა სტატისტიკური საზომი 223  
 სტანდარტული გადახრა 223  
 ცვლადები 3  
 განმარტება 44-45, 215  
 მონაცემების ვიზუალური ჩვენება 223-230
- ვებგვერდები, მოქმედების კვლევა 154, 194-196.  
 აგრეთვე იხილეთ ინტერნეტი; ელექტრონული რესურსები  
 ინტერნეტ რესურსების ცვალებადობა 203  
 ხარისხის კონტროლი 192-193  
 ონლაინით სწავლება (WBI) 169  
 ონლაინით სწავლება 166-172  
 სამოქმედო კვლევის კურსი 167  
 კომუნიკაცია 169-171  
 წარმატების კრიტერიუმები 171  
 კითხვები 172  
 ტელეკონფერენცია 172  
 უელსი, გორდონი  
 მოქმედების კვლევის ციკლი ცხრილი 17  
 მიმდინარე მოქმედების კვლევის საკონტროლო სია 95  
 სამოქმედო კვლევის სისწორის მეთოდები 92-95  
 ინტერნეტის და სერვერების ძიება 34-35  
 წერის თავიდან აცილება 174, 175  
 ურნალის სტილის შერჩევა 179  
 ESL-ის (ინგლისურის, როგორც მეორე ენის შემს-

- წავლელი პროგრამა) სტუდენტი 231-234  
 უკუკავშირი 184-185  
 წერა როგორც პროცესი 164  
 რჩევები 173-175  
 ტექნიკური წერისთვის 40  
 სწავლების და კვლევის ინტეგრირება 182-183  
 ჩარევა 231-234  
 ნაშრომის მოცულობა (სიგრძე) 183-184  
 ტექსტის დახვეწა 186  
 რიტუალები და 173-175  
 რეგულარულად წერის პრაქტიკის დამკვიდრება 173  
 სოციალური მეცნიერებისათვის 173  
 სტილი 178-179, 182  
 დრო 182-183  
 სათაურები 185  
 ლიტერატურის მიმოხილვის დაწერა,  
 უნარ-ჩვევები და რჩევები 42-44  
 მოქმედების კვლევის დაწერა 162-187. აგრეთვე  
 იხილეთ აფა-ის სახელმძღვანელო
- პუბლიკაციები.  
 ფორმატი და სტილი 165-166  
 მნიშვნელობა 164  
 ნაშრომის მოცულობა (სიგრძე) 183-184  
 მოტივაცია 162-163, 164  
 ურნალში დასაბეჭდად სტატიის ჩაბარების ზოგა-  
 დი წესები 178-179  
 რეფერირების ფორმატი 165  
 სტატიის ნიმუში 166-172  
 თვითშეფასება 180-182  
 ცხრილში გამოყენებული კრიტირიუმების გამოყ-  
 ენება 180-181  
 დასკვნა 186-187 Yahoo! (ელექტრონული საძიებო  
 რესურსი) 203